114/5
1927

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ალმანახი

№ 8–9

1927

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

25898

№ 8-9

წელიწადი მეოთხე

უოველთვიური სალიტერატურო, სამხატვრო და სამეცნიერო ჟურნალი

აგვისტო—სექტემბერი

ტფილისი: საცენზურო. 1927.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

Библиотека

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ს. მ. ტ. ს.
პოლიგრაფიულ
ტრესტის მე-3
სტამბა.

შეკვ. № 2407—9367. მთავ. № 1641. ტირაჟი— 2.000

ალ. აბაშელი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მოგონება

მახარებს გრძნობა ფესვიან ძირის,
და მომავალსაც ცუდს არ მოველი.
მაგრამ ხანდახან გული რათ ტირის,
მოულოდნელის ცრემლის მთოველი?
თუმც დღეთა რბენამ ჩემი წარსული
ჩრდილით ააესო და ამოჭვისა,—
მაინც იელვებს ფერგადასული
ხშირად სინათლე ჩემის ყრმობისა.
გაივლის ჩემ წინ კაცი, ან ქალი,
და უცებ თვალებს ცა მოასკდება,
და ისევ ბრწყინავს სახე ჩამქრალი
და ვიცი, გული რომ არა სცდება.
იღვიძებს ამ დროს სული მძინარი
და საამოა წუთების რბენა,
როგორც გუგუნი მთაში მდინარის,
როგორც ლაჟვარდში მტრედის გაფრენა.
მშორდება ჩრდილი, თვალთ რომ მებურა,
თითქოს არა ვგრძნობ სიმძიმეს წელთა;
მაგრამ ეს ვიცი, რომ ძველებურად
ხმალს ვერ ავიღებ ბრძოლისთვის ხელთა.
დაბლა სიმტკიცე ძველი ქვითკირის
და აღარ არის ბრძოლის უნარი,—
და თუ ხანდახან ეს გული ტირის—
გული არ არის გასამტყუნარი...
აი, ამ წუთსაც რათ მომაგონდა
ერთი ამბავი ცხრაას ხუთიდან?
თითქო საბაბი აღარა მქონდა,—
არ ვიცი ხსოვნას რამ მიუთითა!..

ეროვნული
ბიბლიოთეკა

... წყლის პირს მიტინგი. სიტყვებში იწვის
მეფის ერობა უარყოფილი.
(ხალხს რაც სჭირია—თვით უკეთ იცის!
ქვეყანა გვქვია თუ საპყრობილე?!.)
მიტინგზე სახე მარქსის, ბებელის,
წითელ დროშებით გადმოფენილი.
შემდეგ... უდროო მატარებელი
ტეხურის ხიდზე გადაფრენილი.
საშიშ ფურცლებით ავსილი უბე,
თვალები ცეცხლით შემოხაზული;
მარსელიეზით მგრგვინავი კუპე
სამი ჟანდარმით გადარაზული!..
შემდეგ სადგურზე ბრძოლა გმირული,
თოფის გრიალი მოუსვენარი;
შიში, ქვასავით გულს ჩაძირული,
ტყვიები, გველის კბილით მკბენარი.
და ბოლოს მთვარე ამომავალი
და შეეერცხლილი მთათა გრეხილი.
მატარებელი უორთქმავალო,
გველეშაპივით თავგაჩეხილი...
მშორდება ჩრდილი, თვალთ რომ მებურა,
გული ბრძოლისკენ მიმიწევს ეხლაც;
მაგრამ ეს ვიცი, რომ ძველებურად
არ შემიძლია მე მტერთან შეხლა!
ალბად დავკარგე ძალა ქვითკირის,
და აღარა მაქვს ბრძოლის ენარი.
ჰო და, ხანდახან გული თუ ტირის,
გული არ არის გასამტყუნარი!..

6. ზოგლეთელი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ზღვის პლიაჟი

ლურჯი ცა; ქარი, ზღვის მხარი;
ჰაერში — ორთქლის სპლინები!..
ცის ქვეშ კი — ღრუბელთა ჯარი,
გრუზა, ვით ცეპპელინები!..

მტრის შემოსევა თუ ხდება,
სადლაა ჩვენი ჯარები?
ეს ტყე, ვსთქვათ, რაზედ სწუხდება?
რათ ჰბოლავს მთა და შარები?!

ტბის მკერდმა, შენაბორცვებმა,
დოლბანდი გადაიქსელა;
იფნის ფოთოლთა ლოცვებმა
ლამის მოხიბლონ თხიფსელა...

ყანა ხომ, სიმინდის ყანა,
ღელავს ლაქვარდა ლოპერით;
ზღვამც ყელი ამოიფხანა
სილიან საგალობელით...

ქვიშაში თეთრი ქაფები
შაქრის ცხვრებივით სდნებიან
და წყლის ტეხილი ძაფები
ისევ ზღვას უბრუნდებიან...

და იქსელება ახალი
ბრძოლის და ცოფის სტიქია:
მოდის ზღვის აყალ-მაყალი,
ზვირთი რომ ზვირთის ჯიქია!..

ნაპირში ქალის და კაცის
უცფად აშალა რგოლები
და ხრეშზე მისი ხაცხაცის
დატყდა მინა და ბროლები...

ი. მოსაშვილი

ცხოვრების გზაზე

გული ნაღვლიან ფიქრებს შეება
და სათითაოდ ითვლის იარებს...
ახალგაზრდობის ტკბილმა დღეებმა,
როგორც მერცხლებმა, გადაიარეს.
სიცოცხლე მაინც საყვარელია,
გაზაფხულივით მოაქვს ხალისი...
თუმცა ვინ იცის, იქნებ მელიან
კიდევ ტანჯვები უმწვერვალესი.
მაინც მალამოდ გულზე მედება
ახალი ქვეყნის მზე და ჰაერი...
ეხლა ჩნდებიან სხვა იმედები
და მეც მეძახის გზა სხვანაირი.
თითქოს ცხოვრება ჩემს ბალში ზრდიდა, —
სულში ირხევა ვარდის ღერები...
და საუკუნის იტეხილ გრიგალს
ვხვდები ლოცვებით და სიმღერებით.
მივალ ამ გზაზე და რას მიქვიან.
შემოლამება, შიში, ეჭვები...
ვხედავ, აბჟანდებს სწყვეტავს სტიქია
და მეც მოვარდნილ ქარში ვეშვები.
მშვიდობით! სევდის ღრუბელ-ნარევი
თან მიმაქვს გული ნაალერსები.
დეე გრიგალში რეკდეს ზარივით:
ჩემი ბიჭობა, შნო და ლექსები!

1927 წ. 19 სექტემბერი.

კალე ბოგოხიძე

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ზღვის პირად

ძე შენ გიცქერი და ეგ სინაზე
ველარ მოქმედობს დარკინულ გულზე,
მხოლოდ გავიშლი შენით იმ აზრებს,
რაც დროთა ბრუნვას ადვილათ უძლებს.
ვხარობ, მზესავით გული მენთება,—
მებრძოლი სისხლი ჩემში არ დაშრა;
მიწვევს გრიგალის თავგამეტება,
როს ტალღა არღვევს ნაპირებს ქარში-
არ მსურს შევხედო მთებს—კავკასიონს,
ვით ჩინურ კედელს, ზღუდეთ ამართულს;
მისმა ყინულმა რომ გამაციოს
შენი ალერსი ველარ გამათფობს.
ისევ შევხარი იყოს გუგუნი,
ვიკარგებოდე, ვით ტყვია ქარში;
ფოლადის მკერდზე მდგარ საუკუნეს,
როგორც სიყვარულს ხალისათ ვმლიდე.
და... ფიქრებდაღლილ ლამაზის ნაცვლად,
თანამებრძოლი გვერდს მიდგეს ქალი,
რომ ამ ვრცელ მინდვრებს წვიმებით ნაცვარს
ხარბათ იჭერდეს ორივეს თვალი.
დაუდეგარი ვდგევარ ზღვის პირად,
ვფიქრობ და ველი სიყვარულს ასე...
სადა ხარ ჩემო, თუ მზემ გიტირა,
რისთვის მღელვარე ოცნებას მასევ?!.
გადაბურული წინ მიდგას სივრცე,
ასე იღლება თვალი სიშორით,—
და სხვა ლოდინში ისევ შენ გიცქერ,
ვნებით აღსილი ვერ მოგიშორე...

ვგრძნობ, შენი სახე მომხიბლავია,
რა გაგაჩნია შენ ამის მეტი;
ამაღელვებელ ვნებათ გამიარ,
მაგრამ მიზანი მაინც არ გეტოფის.
სხვა სიყვარული აძანთებს ისე,
რომ მაქეზებდეს ბრძოლებში, ქარში;
ამბოხებულო გრიგალო ზღვისა,
ვიმღეროთ მაშინ, ვიმღეროთ მაშინ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

5 /VIII 27 ქ. სოხუმი.

ვიქტორ გაბესკირია

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ჩონგური

ერთხელ როდესაც შენ გაათიე
ღამე და როცა სიმებს გაბამდენ
გენატრებოდა გეთქვა უთუოდ
შხეფიდან მოსულ ქალის ამბავი.
ეხლაც ამ ჩრდილებს როცა ეხვევი
მოგენატრება გასვლა მიდორზე
და სთქვა თუ რატომ სცივა სხივები
თეკლათის ორივ სანაპიროზე.
გინდა ამბავი იყვეს მდაღავი
(ეხლა სიცოცხლეს რომ შეელია)
როგორ აღრჩობდა მარტვილის ღამეს
ტყეში ყაჩაღი ბურდუ შელია.
ვიცი შენ ეხლაც უთქმელი დაგრჩა —
ლექსი რომელსაც სჭვრეტდი ყორედან;
თუ რათ გავარდა იმ დღეს დამბაჩა
თოლორდავების სადოხორედან...
სტირი და გრძნობას ველარ ეხები,
ძველი ზღაპარი გულს ვერ მიარღვევს
რადგან შენ ნაცვლად ეხლა გლეხები
ეკითხებიან რადიო მიმღებს.

იაკინთე ლისაშვილი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ეს ხომ არ არის კიდევ თამაში

ეს ალარ არის ვფიქრობ საჭირო
ან და თამაში „ფოქსტროტის“ გვარად
როცა შუშებმა ავსტრიის ტირანს
შუბლში მუშტი და ქვა მიაყარა.

ვინ ნახა ქუჩა სადაც არ არის
ქვა-იარაღი ისტორიულად
მას მოჰგლეჯს მხოლოდ მკლავი მაგარი
ნდომა მებრძოლი თავგანწირულად.

ამიტომ ვენის თუ ყოველი ქვა
სქდება ბომბებათ და მაშხალებად
მინდა ფიქრებში ასე ჩაუთქვა:
დროა დაიწყოს მტრის აღსარება.

როცა ქუჩაზე ბარიკადები
გრძელ ნაპრალებად აიმართება
ვინ გაერთობა თეთრი ვარდებით
ნაშინ ვინ იცის რა გემართება

აქ წყდება ძარღვი, გული ფართხალებს
როგორც ბებელა წყალში ჩამლრჩვალი
როცა დაჭრილი სისხლში ამთქნარებს
და გარბის მტერი როგორც ლაჩარი.

ეს ყველაფერი არის მართალი,
მაგრამ რა უყო, რა უყო სურვილს
როცა ვენაში ბრძოლა მედგარი
სისხლში და გულში ისრებად ეცლის

ამხანაგებო!—რა გითხრათ მეტი
გულზე ფრთებია თურმე საჭირო
რომ მოგეშველოთ ქართული კეტით
და თქვენი მტერი მეც ავატირო.

ეს ალარ არის ვფიქრობ სატირა
ანდა თამაში „ფოკსტროტის“ გვარად
როცა მუშებმა ავსტრიის ტირანს
დავთრები ცეცხლში გადაუყარა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ვ. ჟურული

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ომი და ზავი

(ნაწყვეტი პოემისა)

სისხლის მორევში იწვა ევროპა,
თიბავდა ხალხებს სიკვდილის ცელი;
ღელავდა ბრბო და დაუდეგრობა,—
შორს კი გრგვინავდა ჩვიდმეტი წელი...

მაშინ ვილჰელმი აფრთხობდა ვერდენს,
მძლე იყო ციხე და გალავანი;
ტყვიის მფრქვეველნი ლეწავდენ მკერდებს,
ფარავდენ მინდვრებს თავთა ქალანი...

მილიონ ძმების გმინვა-ღრიალში
კვეთავდა სივრცეს ხმა აფთარული;
ხიშტთა წკრიალში, ხმალთა ტრიალში
ჰქუხდა რისხვა და დრო აედარული.

რამდენი ველი სისხლით გალაქეს
იმდენ გორებად დგებოდენ ძვლები;
ძალთა წინაშე ფქვავდა ქალაქებს
ევროპა ნგრევას შენაჭიდები.

მშობლიურ მიწის სუნთქვას შეზრდილი
დაქონდათ ყორნებს მხედარის ლეში.
ქვეყანა ხმლის წინ გადაფერილი
გახვეულ იყო ქაოსის ქსელში.

რეკავდა ზარი, ზუოდა ქარი,
ბრუნავდა ველი, სიკვდილის ცელი,
ცივ სანგრებიდან წყდებოდა ჯარი,
ღელავდა ბრბო და ჩვიდმეტი წელი.

ეხლა ვიგონებ იმ დროს გაფრენილს
რაც, რომ ევროპას სისხლით უცვნია,—
ეჭირათ დროშა პიტერს და ლენინს —
უხმობდენ ზავს და რევოლიუციას.

სიმონ ჩიქოვანი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

კავკასიიდან — ტაგანროგამდე

თითქოს მიგალობს ლიანდაგზე გვალვის ბულბული
ისე გავიგე მე ბორბლების ხშირი ბგერანი;
და სივრცეებზე უსირცხვილოთ დახარბებული
გაშლილ მინდორებს გადაკივის რკინის მერანი.
და ვრცელ რუსეთზე გაქცეული რგოლი ბორბლების
მაჩვენებს მხარეს ბრძოლისა და თავისუფლების;
თითქოს გამომყვენ მე მთებიდან დიდი ორბები —
ისე მოფრენენ ცის ნაჭრები დაზაფრებული.
მირბის მინდვრები, კავკასია რჩება ზურგიდან.
ვხედავ წისქვილებს ჯეჯილებზე ქარით დაჟენილს.
ტრიალებს სიბრტყე და ქვეყანა ბრუნავს მორგვივით
და ცვლილებაა ერთფეროვან პეიზაჟების.
დარჩა კასპია -- გზა — ლიანდაგი აზოვიამდე
დარჩა როსტოვიც. და დონს მდუმარე მოედანია
და ამ სივრცეებს ბრძოლებიდან გაზვიადებულს
ვინ იცის ბედი რამდენ სისხლით გადუტანია.
აჰა აზოვიაც. ჩრიე გემები ქანაობენ ქარის ნეკნებზე
ზღვაც-კი მწვანეა — თითქოს იყოს იქაც ჯეჯილი
და ტაგანროგში მოლუშული სდგას ეკლესია
კომკავშირელთა აჯანყებით გადაგლეჯილი.
და დღე ყვითელი საღამო ჟამს ჩინელებივით
ზღვაში ეშვება და ირეცხავს სხეულს ჭვარტლიანს
ეს ქვეყანაა,
თავისუფლების გონებრივად მაჩვენებელი
და ბრძოლებია მსოფლიოში გასაჭვრეტელი.
ჩრიე გემები იალქნებით გეესალმებიან
და წისქვილებიც ფრთებს არხევენ უკვე ჯვრებივით.
მატარებელი კვნესის და მირბის გასრიალებით,
თითქოს ის იყოს პოლონეთზე გაჯავრებული.

მთები არ არის—ალბათ წასულან საქართველოში,
გზები ბევრია—ალბათ მოდიან საქართველოდან.
ასეთი ცნობა წავიკითხე ხორბლის თვალებში.
და ასეთ ხმებზე აზოვის გული მღეროდა.
დიდო ქვეყანავ, სამშობლო ხარ, ჩემი სამშობლო
დიდო მინდვრებო დამძირაო ქართა ბორბლებმა
თითქოს შრომა გაქვს შენ ოფლივით გამოშვებული
და მე შენთან ვარ, ჩემი მთით და ჩემი ორბებით.
ცას აზოვის ნისლი აკრავს პაპირუსების
ნარეცხს სალამოს პურის ჭვარტლი გადაერია
ყველა გემებით დატვირთული მზერა რუსების
და იალქნებით პონტოიას მიიმღერიან.
მართლაც მიგალობს ლიანდაგზე გვალვის ბულბული
ორკესტრს ადგენენ ბორბლებიდან ხშირი ბგერანი;
და სივრცეებზე უსიცოცხლოთ დახარბებული
გაშლილ მინდორებს გადაკივის რკინის მერანი.

ლეო ქიაჩელი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სისხლი

რომანი

(გაგრძელება *)

XXIII

ოთხშაბათი იყო, ვარდოს დაღუპვის მესამე დღე.

ამ დღეს დილით ვარდოს ასაფლავებდენ, ხოლო საღამოსთვის უკვე დამთავრებული გვირაბით პოლიტიკურების ციხიდან გაქცევა იყო დანიშნული.

დილიდანვე ქარი ჰქროდა არეული და თბილი. მტვრის სვეტებს აყენებდა ქუჩებში და ციხეს ყოველი მხრიდან კენჭებს და ქვიშას უშენდა შემოსეული მტერივით.

თან, დროგამოშვებით, აბლანდიას ბინიდან ვარდოს დედის გულისგამწყალებელი მოთქმის ხმას იტაცებდა და ციხის ღია ფანჯრებში უცნაური ფონოგრაფივით შემოაკივლებდა:

— „დედაია ვარდო!.. დედაია შვილო ვარდო!... დედაია... დედაია..."

სული გაენაბა ციხეს.

ტუსაღების უმრავლესობის ყურადღება ამ დამთუთქველ უცხო „დედაიას" გაეტაცნა დილიდანვე და იმის ამბავს წეექცია, თუ რა უჩვეულო ზარითა და ვიშით ჩამოსულიყვნენ სამეგრელოდან ვარაძის ქალის მგლოვიარე ჭირისუფლები და მეგრული წესით გაემართათ ტირილი.

ადმინისტრაციაც ნაკლებად სჩანდა დღეს ციხეში. უფროსი ზედამხედველები აბლანდიას ბინაზე იმყოფებოდენ, ხოლო უმცროს მსახურთაც თვალყური იქითკენ ეჭირათ და ტუსაღების საერთო ცნობისმოყვარეობას ინაწილებდენ.

თავისთავად შენელებულიყო სასტიკი რეჟიმი, რომელიც გენერალური ჩხრეკის შემდეგ ადმინისტრაციას ციხეში დაემყარებინა.

კამერებში და დერეფნებში ჩუმი მითქმა-მოთქმა სწარმოებდა ვარდოს ტრაგედიის გარშემო.

*) იხ. „მნათობი" № 7.

საქართველოს
პარლამენტის
ეროვნული
ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა 25898

ამ ტრაგედიის ამბავი თუმცა პირველად ისე გავრცელდა ციხეში, თითქოს აბლანდიას მეუღლე უბედური შემთხვევის მსხვერპლი გამხდარიყოს და რიონში უცაბედად გადავარდნილიყოს, მაგრამ ციხის ყურა მაინც არ ასცდა საქმის ნამდვილი ვითარება.

თომა და არჩილი თავიდანვე მოელოდენ, რომ ვარდოს თავს რაღაც უბედურება დატრიალდებოდა: აბლანდიას სანახაობა ხელსახოცის აღმოჩენის დროს და მისი საქციელი ამის ეჭვს არ ბადებდენ. მაგრამ თუ სიკვდილამდის საქმე მივიდოდა, არც ამათ ეგონათ.

ვარდოს დახრჩობის ამბავს სხვა ფაქტებიც მოჰყვა: ფიცხლათ დააპატიმრეს თომას მეგობარი მეკარე პავლიკი და არჩილ დადიშიანის „სეკრეტთან" ცალკეთ დარაჯი დააყენეს, ახმახი ვინმე შემზარავი სანახაობისა, რომლის საეჭვო ფიგურას ტუსაღები ყოველთვის შეამჩნევდენ ხოლმე ციხის ჰორიზონტზე, როცა მორიგი სიკვდილის განაჩენის სისრულეში მოყვანის დღე დადგებოდა.

ყოველივე ეს და საბედისწერო ხელსახოცის აღმოჩენის ისტორია, რომელიც სათანადო კომენტარიებით მყისვე სასწაულებრ მოეფინა მთელ ციხეს, მრავალი ჭორის საბაბი გამხდარიყო თავიდან.

და დღესაც ტუსაღები ამ მძიმედ აცმულ ჭორებსა და ქარით აწიეულებულ ვარდოს დედის უცხო მოთქმას ისე ზეკცეოდენ, რომ მათი გულისყური ოდნავაც კი ვერ შეერხია იმ ფაცაფუციან თავდარიგს, რომელსაც თომა და მის მიერ შერჩეული კომისია დილიდან აწარმოებდენ ციხიდან წესიერად გასვლის ჩასატარებლად.

არჩილ დადიშიანი კი მშვილდის მძლავრად მოზიდულ ლარს დამზგავსებოდა. თითქოს გაწყვეტაზე იყო, ისე მოეკრიბა რაც კი ღონე ჰქონდა, და ძარღვები ისე დაეჭიმა.

ისეთი შეგრძნობა ჰქონდა მდგომარეობისა, რომ ეჩვენებოდა, თითქოს საიდღამაც უეცრად მოვარდნილ ჩიჩქერს ჰყავდა გატაცემული და თავადაც მისი ფაფარაყრილი ტალღების გიჟური სრბოლვის მონაწილე იყო ძალაუნებური.

რაც თავში ფიქრი ჰქონდა და გულში კიდევ რაც გაბედა უტრიალებდა, კარგად იცოდა, რომ ამას ვერც სიტყვაში მოაქცევდა და ვერც სხვა სახით გამოხატავდა.

რაღაც დამუნჯებას გრძნობდა იმ დიდი და სწრაფი ამბების წინაშე, რომლებიც მის თვალწინ ხდებოდენ და რომლების მთავარი მონაწილე თეითონ იყო სრულიად მისდა უნებურად, რაღაც გაუგებარი და შეუცნობელი ბედის წყალობით.

ეჩვენებოდა—და ყველაზე უფრო არჩილს სწორედ ეს გარემოება ამუნჯებდა—რომ მისი სინდისის ყურთან საიდუმლო ხმა წამდაუწუმ სამს სახელს იმეორებდა და თითოეულისათვის ცალცალკეთ მისგან პასუხს მოითხოვდა, გარკვეულ ზნეობრივ ვალდებულებას ადებდა. ეს სახელები იყვნენ:

სამსონა. ვარდო. ანდრო.

არჩილის პასუხი კი ის იყო ფაქტიურად. რომ მას დღეს დილიდანვე სა-

განგებოდ ჩაეცვა და დაეხურა, ისე მორთულიყო, როგორც ქუჩის წესი მისი წრის კაცისაგან მოითხოვდა, და ასე გასაქცევად გამზადებული მოუთმენლად მოელოდა იმ საათს, როცა თომას კომისია მასაც გამქცევთა რიგში ჩაყენებდა იმ საშინელი გვირაბის თავთან.

მაგრამ გულში კი არ უნდოდა, რომ ასე ყოფილიყო. რცხვენოდა, რომ თავს შველოდა.

ეჩვენებოდა, თითქოს ბედზე ეწერა ყოველივე, რაც მის გარშემო ხდებოდა, და გარემოებათა მიმდინარეობის შეცვლა მის ძალ-ღონეს აღემატებოდა.

ისეთი წინათგრძნობა ჰქონდა, რომ ახლოოც ვერ გადარჩებოდა სიკვდილს და მისი დაღუპვა მხოლოდ დროს საკითხი იყო.

თომაზედაც ასე ფიქრობდა.

უთუოდ სიკვდილი ახლდა არჩილს, ცელმოღერებული, დაუნდობელი, რომელსაც შეუცნობელი რამ მიზანი უნდა ჰქონოდა დასახული: თვითონ არჩილს უვნებელს სტოვებდა, ხოლო იმათ კი არ ზოგავდა, ვინც მისი მახლობელი ხდებოდა.

ვარდოც აშნაირად დაიღუპა.

თითქოს გზა გაუკაფა არჩილს გასაქცევად.

და არჩილიც მიდის.

გადაურჩება დაბრალებული „ექსპოპრიაციისათვის" სასჯელს, გადაურჩება ალბანდიას მიერ შემოჩენილ ჯალათსაც, რომელიც მესამე დღეა, რაც მის „სეკრეტთან" აყუდებულა უბოროტესი განზრახვის აშკარა ნიშნებით სახეზე და ლეშ-მონატრებული ყორნის მოწითალო თვალების შემზარავი ახამხამებით. —გადაურჩება სიკვდილს, თავს დაახწევს ციხეს და...

მაგრამ რისთვის უნდა მოხდეს ყოველივე ეს?

იქნება, ვისმე ან რასმე დაფარული განზრახვა ჰქონდეს, რომ ამას სჩადის და არჩილსაც რაიმე დიდი მიზნისთვის ინახავდეს?

სად და რისთვის უნდა წავიდეს არჩილი?

სისხლი, რომელიც დაინთხა, და, სჩანს, კვლავად უნდა დაინთხიოს მის გარშემო, განა ვალდებულს არ ჰყოფს მას განაგრძოს ის ბრძოლა, რომლისთვის თვითონვე აღძრა ამდენი ხალხი და მათ შორის ისინიც, ვინც მას ასე დაუფიქრებლად ეწირებიან.

მაგრამ არჩილის სულიერი განწყობილება რომ შეცვლილია? ის ხომ მორალურად თითქმის საბოლოოდ გაეყარა წარსულს, დაშორდა პარტიას და თუ ჯერ კიდევ მის პოლიტიკურ დროშის ქვეშ იმყოფება, ეს მხოლოთ ინერციით შენახული კავშირის წყალობაა, გარეგნული რამ სახე.

და ახლა რომ მიდის, სად მიდის, და რა უნდა გააკეთოს?

ის, რასაც ამდენხანს აკეთებდა?

ეზოში გამავალ ფანჯარასთან სდგას. თვალები ეზოს მიღმით, შორს სივრცეში შეუსვრია, სადაც აბორგებულ ბეების წვეროებზე ქარს ყირამალა თარეში გაუმართავს და ჰაერის ცღვრიე მორევი დაუტრიალებია. ყურთა სმენა კი ვარდოს დედის შეუწყვეტელ „დედაიასთვის" მიუპყრია და მის აქვითი-

ნებულ ჰანგებში საკუთარი გულის ცრემლმორეული მოთქმა უხმოდ, ჩუმად გაუხვევია.

„დედაია, ვარდო, დედაია... დედაია..." ხან ნაწყვეტად გაიკივლებს ამ დედური მწუხარების ამონაკვნესს არჩილის ფანჯარასთან ქარი, ხან კიდევ მოზარე გუნდივით სხვადასხვა ხმაზე აბგერებს გაშლილი დაგლეჯილი, — დაბლიდან მაღალზე გადასვლით, კვნესით, ოხვრით, ვაებით.

და ამ უცნაური სიმფონიის ზეგავლენით არჩილის თვალწინ თანდათან მისი სამშობლო სოფლის დათალხული მიდამოები იშლებიან, სადაც პირველად ფეხი აუდგამს, ენაზე ტკბილი ნანა მოსწყვეტია და მერე ანდროსთან ერთად ბუნებისა და ადამიანების უშუალო ცნობა მიუღია. წარმოუდგება თითქოს ყველა დედები, რამდენის სახეც კი დამახსოვრებია, შავში შემოსილები ერთად შეჰყრილან და ხმაშეწყობით საზოგადო ტირილი გაუმართავთ. მორიგეობით მოსთქვამენ, საჯაროდ ჰშლიან გულის წყლულს და ცრემლთა ფრქვევით ღაღადებენ, თუ ვის რა უბედურება სჭირთ დაუნდობელი სიკვდილისაგან.

მათ შორის არჩილის დედაც იმყოფება და ანდროს საცოდავი მამიდაც. გარშემო სოფლის მამაკაცობა დამდგარა ღრმა მდუმარებით. მამები. ძმები. შვილები. გულზე ხელები დიუკრეფიათ. ამათ მკვერდის სიღრმიდან მძიმე „ვაი" ამოსკდებათ დროგამოშვებით და ისევ დადუმდებიან.

მოთქმის რიგი არჩილის დედასაც ხვდება. წინ წარსდგება მორიდებით. მწუხარების ნაოჭებით დალარული სანთლის სახეზე ღაწვების გასწვრივ თითების ჩხირებს ჩამოისვამს, კანს გაიკაწრავს და სისხლის ღარებს გამოაჩენს. დათუთქვით დაიწყებს:

„—ჰეე... ჰეე... შვილო არჩილ... შვილო ჩემო არჩილ..."

დედათა გუნდი აქვიოინდება. არჩილის დედას მოთქმას ჩამოართმევს:

„—დედაია... დედაია... უბედურო სალომე... უბედურო დედა სალომე, სადა გყავს შენი ერთა, შენი საყვარელი არჩილი!."

მერე მამაკაცები დაამთავრებენ „ვაი... ვაის" შეძახებით, რომელიც მთელს მიდამოს ზარის ხმათ მოედება—ნაცნობ ეზოებს, ჭალებს, გორაკებს, ტყეს, შუკებს.

გულს ესალმუნება არჩილს. თვალებზე ცრემლი მოადგება.

თითქოს ხორცი თუ სისხლი მოუწოდებდეს ამ მგლოვიარე მასლობელთა კრებულისკენ, ისე უნდა მათთან ყოფნა,—თითოეულ დედისთვის სამძიმრის გამცხადება, გულში ჩაკვრა და მათი ცრემლთა ნაკადების კოცნით დაშრეტა.

რათ ულირს, რომ შეეძლოს თავისი „ვაიც", მკერდის ბოყვზე შიგნიდან რომ მოსწოლია, იმათ ზარსა და გლოვას შეუერთოს და, რაც სულის ტკივილი აქვს, მათ წინაშე ერთბაშად ამოანთხიოს.

ისინი თუ გაუგებენ, რაც არჩილს ახლა აწვალებს, რაც მას ასე მოსწყურვებია.

ეს ხომ პარტიული საქმე არ არის, რომ უცხოს შეეძლოს მისი გაგება.

აქ მოდგმის წუხილი ღაღადებს.

აქ ერთი-ხორცისა და ერთი-სისხლის შეტევაა დამუქრებული სიკვდილი-

სადმი მიმართული, და პროტესტის გამოცხადება განგებისათვის, რომელსაც მოდგმის დაცვა აქვს დავალებული.

არჩილის გაგება ახლა მხოლოოდენ დედას შეუძლია.

ჰო, სიცოცხლესაც კი არ დაიშურებდა იგი მისი ერთი დანახვისათვის, მასთან ერთი გამოლაპარაკებისათვის.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მან არ იცოდა დედის ფასი აქამდის.

იქნება, იმიტომ იყო ასე, რომ მის სულს ამ ზომამდის ჯერ კიდევ არ გასჭირვებია.

იქნება იმიტომაც იყო კიდევ ასე, რომ ცაცა...

მაგრამ ცაცაზე ფიქრი ახლა შეურაცხება იქნებოდა არჩილის უფაქიზესი გრძნობების.

მას ვარდომ შესწირა თავი, ხოლო ვარდოს დედან დაიწყებული დედამისი მოაგონა და მისმა მშობლიურმა „დედაიამ“ მიტოვებულ კერას დაუბრუნა; სისხლის გაწყვეტილი კავშირი აღუდგინა.—

დეე, კიდევ იქვითინოს არჩილის სენაკის სარკმელთან ამ დედაიამ, დეე, უფრო ღრმად ჩასწვდეს არჩილის სულს მისი მწუხარე ჰანგი: მას ტირილი მმართევს უფრო ხანგრძლივი და ცრემლის დინება დაუშრეტლად, რომ ნაწილობრივ მაინც გამოიტიროს, რაც გულში მწუხარება დაგუბებია.

და ქუთაისის გიჟი ქარიც, თითქოს არჩილს დამორჩილდაო, ათას საკრავიდან შემდგარი ორკესტრივით ხმების ზღვას აგუგუნებს გულის შემღონებელი ერთი ლეიტ-მოტივის გარშემო, რომელიც „დედაიათ“ გამოითქმის.

ასეა დიდხანს.

მერე უცებ თითქოს შესწყდება ეს უჩინარი სიმფონია, და მის მაგიერ უწესრიგო კივილი მოიცავს გარემოს: თითქოს ველურების ლაშქარი ქალაქს შემოესიაო.

არჩილი მიხვდება, რომ ჭირისუფლები უკანასკნელად ეთხოვებიან ვარდოს, და კუბო სახლიდან გააქვთ.

მან იცის, როგორ ხდება ეს. თითქოს იქ, ჭირისუფალთა შორის იდგეს, ისე ხედავს გაკაწრულ სახეებს, გაშლილ თმებს, გაგიჟებულ თვალებს და თავდავიწყებულ ამაო ჭიდილს კუბოსთან.

მაგრამ სად არის, ნეტავი, ახლა ანდრო?

რას შვრება? რას ფიქრობს?

ნეტავი, თუ იცის, რომ ვარდოს უბედურობის მიზეზი არჩილია და სხვა არავინ?

იქნება, იმ თეთრი სახლის სარდაფიდან ეს დღეები სულაც არ ამოსულა, მიწის ქვეშ იმყოფება, და, რაც ამბავი დატრიალდა, ამის ცნობაც არა აქვს?

ჰო, რა ძნელია იმის წარმოდგენა, თუ როგორ შეხვდება მას არჩილი, როგორ შეხედავს თვალებში ან ხმას როგორ გასცემს...

მაგრამ, აჰა, კივილიც მისწყდა.

ალბად, გაასვენეს მიცვალებული.

„მშვიდობის“ მაგვარი რაღაც ტუჩებზე უხმოდ დაეწერება არჩილს და გუ-

ლი ისე ჩაეთუთქება, რომ გრძნობა-წასულივით შებარბაცდება და იქვე კედელთან ულონოდ ჩაიკეცება...

XXIV

ხალხისაგან დაცალიერებული სასაფლაო ქალაქგარეთ, [illegible] კუთხეში ვარდოს ახალი მიწაწაყრილი საფლავი, განმარტოვებია. [illegible] ზედ გვირგვინი და ცოტა მოშორებით ცაცხვის ხე.

კიდით-კიდემდე ქარის ანჩხლი ნავარდი და ფსტვენა გადარეული.

შუადღეა.

საფლავიდან დაშორებული ჯვრიან რკინის ჭიშკრიდან ვარდოს დაგვიანებული უკანასკნელი ჭირისუფალი გადის.

ერთდროულად, თითქოს მიწამ შობაო, მიტოვებულ საფლავთან სახე ყაბალახით დაფარული, ლურჯ-ხალათიანი ანდრო გამოჩნდება და, ქარის ტალღებში გახვეული, რკინის სვეტივით თითქოს მიწაში ჩაერჭობა მოშორებით.

ყაბალახის წვეტები შენასკვნილი აქვს. ნასკვზე ხელები ჩამოუწყვია.

უძრავად სდგას და მდუმარებს.

ქარის ქროლვაში სიჩუმის ხარვეზებია ჩატანებული. ისინი უფსკულებს ჰგავან. ქროლვის ერთი ტალღა რომ გაივლის, მეორის მოსვლამდის, სასაფლაოს ეს უფსკრულისებური სიჩუმე მოიცავს. ხანმოკლეა იგი, წამზე უფრო წამიერი, მაგრამ სიკვდილის უმძიმესი ლოდივით აწვება თავზე გარემოს და სუნთქვას უკრავს, საუკუნო მდუმარების შიშსა ჰგვრის.

ისევ მოვარდნილ ქარს გადააქვს და ქვეყანასაც ისევ შვება ეძლევა.

ანდროს მდუმარება კი თითქოს გარდუვალი სჩანს. თვითონაც სიკვდილის ლოდს დამსგავსებია, ვარდოს საფლავზე ხელოუქმნელად ამართულს, ისე სდგას ცივი და შეუვალი.

ასე გადის დიდი ხანი.

მერე უცებ, თითქოს სხვა ქვეყნიდან არისო, ყრუდ გაისმება:

— აჰა, უკანასკელად დავიგვიანე, და შენც ალარ ხარ... ალარ ხარ, ვარდო, შენი ჭირიმე!..

მის მაგიერ ქარი ჩაისლოკინებს.

თვითონ მას კი ამ გაწლილ მინდორში ჰაერი არ ყოფნის სასუნთქად და სული ეხუთება.

ყაბალახს გადიძრობს. თავს შეაქანებს და ჰაერს ზედიზედ ხარბად ჩაჰყლაპავს.

სახეზე ბრინჯაოს ფერი შეფითრებია.

თვალების ნახშირში ცეცხლი აქვს შეკიდებული და ხედვა ალად გადაქცეულა. შიგ სისხლის ფერი უკიაფობს.

იტყვის და ისევ დადუმდება. მეტი სიტყვა არა აქვს.

კვლავ უძრავად სდგას. შეკუმშული, და ასე საფლავს დასჩერებია.

გადის ხანი.

გულისჯიბიდან საათს ამოიღებს. დახედავს. დროს ანგარიშობს.—ეს საათი

ამხანაგებმა გამოატანეს. დრო დაუნიშნეს: ციხიდან გამოსვლა ამა და ამ საათს მოხდება, არ დაგაგვიანდეს, სადაც მიდიხარ, თუ გინდა ქუჩაში არჩილს დახვდეო.

საათს ისევ ზეინახავს. დრო ჯერ კიდევ აქვს.

ადგილს გამოიცვლის. ხისკენ მიდგება. მის სვეტს მიეყრდნობა და საყვარელ საფლავს ახლა აქედან მიაცქერდება.

— თეთრი დღეა, და მე და შენ მარტო ვართ ერთად. არ არის საჭირო, რომ ღამე გვფარავდეს. ჩვენ აქ არავინ გვიცნობს. ასე უნდა იყოს განა, რომ შენ მკვდარი ხარ და მე ცოცხალი. საშინელი ბედისა ვყოფილვართ, ვარდო... მაგრამ ვის რა ეუთხრა მე აქ? ჩემი მეგობრები შორს არიან და შენ კი მდუმარებ...

ამას უხმოდ ამბობს. თავისთვის, ფიქრში.

მერე თავს მაღლა ასწევს და მიმოიხედავს, თითქოს თანამგრძნობთ ეძებსო.

აგონდება უკანასკნელი ღამე, სოფელში რომ გაატარა, და თითქოს იქითკენ იცქირება.

ქარის ფრთებზე შორს, ცის ტატნობთან, სახეები გაიელვებენ.

ანდრო შეკრთება.— ნაცნობ საახეებს დაინახავს.

მგლოვიარეთ, თავჩაქინდრვით მისკენ დინჯად წამოიმართებიან: ყველაზე წინ ნაცნობი ტყის დედოფალი მოდის, ანდროს და ვარდოს მესაიდუმლე, მერე სამნი ერთად: არსენა, იონა და სანდრო. გვერდზე, განცალკევებით—ანდროს საცოდავი მამიდა.

მოდიან ნელა. მძიმედ. მდუმარეთ.

ტყის დედოფალს ხელთ ანთებული კელაპტარი უჭირავს.

ვარდოს საფლავს მიუახლოვდებიან, სათითაოდ სტირიან როგორც წესი და რიგია. მერე ანდროსთან მიდიან ხის ძირში და სამძიმარს უცხადებენ.

ვაჟები მასთან დადგებიან. მამიდა და ტყის დედოფალი კი ისევ ვარდოს საფლავს დაუბრუნდებიან. ფეხების მორთხმით გარს შემოუსხდებიან თმა გაშლილები.

ერთხანს ყველანი მდუმარებენ.

ანდროს თითქოს რცხვენია, რომ აქ იმყოფება ვარდოს საიდუმლო ჭირისუფლად.—აკი, უმალავდა მეგობუებს თავის სიყვარულს.

მაგრამ მოთმინება აღარ ჰყოფნის. აქვითინდება. ცრემლის ნაკადებს გადმოაფრქვევს.

მეგობრებიც სტირიან.

—„როგორ მოხდა, ანდრო? განა ისე შორს იყავი, რომ ვერ უშველიდი?“— ბოლოს დაარღვევს სიჩუმეს არსენა.

— მე არ ვიცი, როგორ მოხდა. ცხადია ვერ გასძლო ტყეობაში და თავი დაიხრჩო. ყველაზე გვიან მე გავიგე. არ მცალოდა: არჩილის დახსნისათვის ვმუშაობდი. გავიგე, მაგრამ მერე რა? მე მაინც ცოცხალი ვარ და ის კი მკვდარი...

— „საცოდავი ვარდო“...

კვლავ სიჩუმე ჩამოვარდება.

— შენ როგორ გგონია, არსენა, შენც, იონა, და შენც, სანდრო, რამდენი

სისხლი უნდა დაიღვაროს, რომ ოდნავად მაიცნ მომიკლას შურისძიების წყურვილი?

— „ბევრი, ბევრი, ანდრო.“—ნაღვლიანი დაღონებით უპასუხებენ მეგობრები.

მაშინ ანდრო სამსონას ნაჩუქარ რევოლვერს ამოიღებს, მეგობრებს გაუწოდებს საჩვენებლად.

— აი, ამაზე ფიცი დამიდვია. ხატზე უფრო მწამს. ეს რევოლვერი ნაჩუქარია, და ის, ვინც იგი მაჩუქა, მხოლოდ ერთი დღე-და-ღამე იყო ჩემთან. მაგრამ თქვენსავით მახლობელი და ძმად ნაფიცი გამიხდა. ხოლო ახლა ჩემთან ვერ მოვა იგი. თქვენც ვერასოდეს ვერ ნახავთ მას. მისი სახელი სამსონა იყო. დაიმახსოვრეთ. გურული იყო, ვაჟკაცი... და ამ მისი ნაჩუქარის პირველმა ტყვიამ, ჩემი ხელიდან განასროლმა, ბოლო მოუღო მასვე... ასე მოხდა, ძმებო... აი, რა ბედი მქონებია... ეს ის რევოლვერია. და, აი, ამაზე თქვენთვის ფიცი მოგიცია: ბოლო მოუღო ვარდოს ჯალათებს და იმათაც, ვინც მე სამსონა მომაკვლევინეს... მე ახლა ისეთი უფროსი მეგობარი მყავს, რომელსაც მკერდში ფოლადის გული უდევს... რასაც ვაბბობ, მე სხვასთან არ ვიტყოდი. ეს თქვენც იცით... უთუოდ შევასრულებ...

სამსონას ამბავი ძალიან გააკვირვებს მეგობრებს. ერთმანეთს გადახედავენ. მერე სიტყვას მოუწონებენ ანდროს.

ისევ დუმილი ჩამოვარდება.

ანდრო კვლავ საათს დაჰხედავს.

— მე მალე უნდა წავიდე, ძმებო...—იტყვის უცებ აჩქარებული.—დღეს კიდევ არა მცალია. დღეის იქით კი-თავისუფალი ვარ. ერთ დიდ საქმეზე მივდივარ: ჩვენი ძვირფასი არჩილის ბედი ამ საქმეზე ჰკიდია... შეიძლება, გაგვიჭირდეს და თქვენთან მოსვლა მოგვიხდეს სოფელში... მზად იყავით... მე ახლა ამ საქმისთვის მივდივარ. დაყოვნება არ შეიძლება... ვარდოს საფლავი კი გულში მექნება. იგი სულ ჩემთან იქნება... მშვიდობით... თანაგრძნობისთვის მადლობელი ვარ...

და ანდრო ისევ მარტო სდგას ხის ძირში დაურღვეველი მდუმარებით და სადღაც შორს გაიცქირება. მის წინ ისევ ვარდოს მიტოვებული საფლავია და გარშემო აზვირთებული ქარის ქვეყნიერებასთან ჭიდილი.

საათი ამოუღია და ხელში უჭირავს.

დროა, უნდა წავიდეს.

ნელა გადადგამს ნაბიჯს. რაღაც შიშითა და კრძალვით ერთხელ კიდევ საფლავს მიუახლოვდება.

„აი, რით გათავდა ყოველივე“, გაიფიქრებს და საფლავს ახლოს დააცქერდება.

იქ, შიგნით, ღრმნდ მიწაში, ვარდო წევს. პირაღმა, თვალებდახუჭული. ხელები გულზე დაკრეფილი აქვს და ისე უძრავია, როგორიც მხოლოდ მკვდარი შეიძლება იყოს.

ოქროსფერი თმა გაშლილი აქვს და ყელზე შემოჭდომილი. გულმკერდზედაც უფენია.

თეთრია, როგორც ქაღალდი. ტუჩებიც ისე თეთრი აქვს, რითაც მთელი სახე.

ერეკენულის ბიბლიოთეკა

არ სუნთქავს. არ ხედავს. არ გრძნობს.

ასეთია ახლა ვარდო.

ანდრო თითქოს სულ ახლოს, კუბოს თავთან სდგასო, ასე დასცქერის მას. დასცქერის და თვალებს არ უჯერის...

ნუთუ სიკვდილს, მართლა, არაფრის გრძნობა არა აქვს?

აი, ხელს ასწევს ანდრო და ვარდოს ფრთხილად შუბლზე დააადებს...

მაგრამ უცებ თავში ყოველი ფიქრი შეუწყდება. ხელი შეუკანკალდება და ისევ უკან გადადგამს ნაბიჯს.

მისმიერ ჯერ განუცდელი, გაურკვეველი. მაგრამ დიდი რაღ გრძნობა მოცავს, და უაღრესი შიში ისე შეუფოთიქებს მთელ არსებას, თითქოს ყოფნის საიდუმლოების საზღვართან მოსულიყოს და საშიშ უფსკრულს მისი ჩანთქმა განეზრახოს.

შეიკუმშება.

მარტოობაზე შეყვარებულს ახლა მარტოობა აშინებს ამ საყვარელ საფლავთან.

ჰო, ნეტავი, ანდროც მკვდარი იყოს და უგრძნობი...

თორემ ასე იგი სხვაა, ვ ვარდო კიდევ სხვა ვ ანდროსთვის ეს აუტანელია..

მას ახლა წასვლაც ვერ მოუხერხებია. გული შეღონებული აქვს და ცნობა დაკარგული.

ასეა კიდევ ერთხანს.

ბოლოს, როცა ქარი შემოუქროლებს ვ სასაფლაოზე დაწოლილ სიკვდილის მძიმე დუმილს ზუზუნით დაარღვევს, ანდროს გულზე მოეშვება და ცნობიერება დაუბრუნდება.

საფლავს ნელი ნაბიჯით ჩაუვლის. ერთხელ კიდევ დახედავს, ახლა კი უკანასკნელად. ერთხელ კიდევ უცნაური შიში ეწვევა, ამას წინად რომ განიცადა, კვლავ მთელი ტანით შეუკუმშება, და როგორც მოვიდა უეცრად, ისე უეცრადვე მიიმალება, თითქოს მიწამ ჩაყლაპაო.

. . .

ნაშუადღევის ოთხი საათი შესრულდა და ანდროც დანიშნულ ადგილს მოვიდა.

რაც ნიშნები ჰქონდა, ყველაფერი რიგზე იყო.—ბალახვანის ქუჩაში, ბორანის შესახვევთან. ეტლი იდგა, როგორც სრულიად ჩვეულებრივი მოვლენა ქუჩის ამ კუთხეში, და კოფოზე წამოწოლილი მეეტლე ზანტად ყალიონს აბოლებდა.

ეტლის პირდაპირ, მეორე მხარეს, ტროტუარით, შალვა რამაძე მიმოდიოდა გაზეთით ხელში.

ანდრო ეტლთან მივიდა, ახლოს მდგარ ხეს მიეყუდა და მეეტლეს მიმართა:

— ალექსა-მეეტლეს გაუმარჯოს!

ალექსამ ყალიონი პირიდან გამოიღო. კოფეახე შესწორდა და უცნობ ყმაწვილს ჯერ შუბლ-შეკრული მიაშტერდა და მერე უპასუხა:

— რა გამარჯობა, ძმაო, მუშტარი რომ არ არის.

შალვა რამაძემ ამ დროს ნაბიჯი შეანელა, დაეცილა [illegible] ვალთან მიიტანა და მოგონებული ყურადღებით კითხვა დაუწყო. [illegible]

ქუჩა ცალიერია. მთელ მის სიგრძეზე არაკინ არ სჩანს. დროა ისეთი, რომ ხალხი სახლში ისვენებს. ქარსაც უფრთხილდებიან.

ანდრო სადაც შესდგა ეტლთან, იქვე დადგა. ალექსას შინაური კაცის სახე მიიღო.

ზედმეტი სიფრთხილე იყო, მაგრამ ერთ-ორჯერ კიდევ სიტყვა გაუცვალა მეეტლეს.

მერე დადუმდენ.

შალვა რამაძე მოკლე მანძილზე მიმოდის. პაპიროს სწევს. როცა პირს ბორანის მხარეზე მოაბრუნებს, პენსნედან ირიბული გამომზერით თვალებს ვიწრო შესახვევს გააყოლებს ბორანისაკენ, და ასე ჯერ გამოლმა, მერე კიდევ გაღმა გზის ხაზს შეათვალიერებს. ამას რაღაც მალულად შვრება, ქურდულად, და ისევ გაზეთს დააცქერდება.

როცა ქარი გაზეთის ხელიდან გამოგლეჯას გაუპირებს, რაღაც გადაჭარბებით გაჯავრდება, ცალი ხელით გაზეთს იღლიაში იჩრის, ცალით კი ცხვირზე პენსნეს იმაგრებს...

ასე მიაქვს დრო.

თვალები მალვით სამაჯურის საათისკენაც უჭირავს. მაგრამ ეს თითქოს თავისთავად ხდებაო, ისე გამოუდის,

ვინ შეამჩნევს შალვას, რომ იგი აქ ეტლიანად ციხიდან გამოქცეულ მეგობარს მოელის, რომელიც დასამალავად უნდა წაიყვანოს!

გულში ეუცხოვება, რომ ასე გაეშმაკებულია, და უკვირს, ქვეყანას როგორ ატყუებს.— კონსპირაციის ნიჭიც თუ აღმოაჩნდება, არ ეგონა.

ყოველივე ეს, რა თქმა უნდა, არჩილის წყალობაა.—

ლამის იქამდისაც მივიდეს შალვა, რომ იგი სოც.-დემოკრატიულ პარტიაშიც კი ჩაეწეროს!

თუმცა ეს არასოდეს არ იქნება. პირიქით რომ მოხდეს, ეს კი შეიძლება: დადიშიანი შალვას პარტიაში ჩაეწეროს.

მაგრამ აი, მეოთხე საათმაც განვლო, და შალვას გული ძალზე ეკუმშება.

სადაც არის, უნდა გამოჩნდენ გამოქცეულები.

ნუ თუ მართლა გამოიქცევიან?.. რა საშინელებაა! ერთი ვნახოთ, უცბად სროლა ატყდა! გაუგეს. მაშინ? მაშინ რა ჰქნას შალვამ?

მეგობარს მიეშველოს, თუ გაიქცეს, წავიდეს, გაეროდოს?

„ნეტავი, ის ყმაწვილი რას იზამს, ეტლის გვერდით რომ სდგას ასე შეუნძრევლად, თითქოს ხის სვეტს შეზრდიაო? ის კი უთუოდ მიეშველება არჩილს.

ისეთი თვალები აქვს და სახე, რომ თავგანწირვა მისთვის ადვილი საქმე უნდა-იყოს... არჩილის ძიძის შვილიცაა, მგონია.“

არა, არაფერიც არ გაუჭირდებათ, ისე წამოვლენ. მერე კი, ...

მთავრობა უთუოდ დიდ ამბავს დაატრიალებს ქალაქში, მაგრამ გვიან იქნება! არჩილი მაშინ შალვას ისეთ ადგილას ეყოლება დამალული, ...

მერე კი... მერეც ყველაფერი საგანგებოდ მოწყობილი და მოგვარებული აქვს რამაძეს:—მატარებელი. ბათომი. გენი. ზღვა... მოსკოვი.

მისი პასპორტიც ჯიბეში გამოწყობილი უდევს. დიდმა ვასომ გაამზადა ყველა ფორმის დაცვით. რა ჭკვიან ახლა არჩილს?.. გაბრიელ ანუ გაბო გაბაშიძე... კარგია. შიგ ყველაფერია, რაც სახელსა და გვარს ესაჭიროება... თითქოს ალიტერაციის წესითაც გამართულიაო.

მაგრამ რომ აგვიანებენ?..

XXV

სანამ აბლანდიას ბინიდან ვარდოს გაასვენებდენ და არჩილიც თავის სეკრეტში ქარის ამოტანილ „დედაიას“ ხმაზე მოსთქვამდა თავისთვის, ციხის ქვედა-სართულის „სეკრეტში“ № 1 დაუჯერებელი რამ ამბავი ხდებოდა.

ამ „სეკრეტის“ ერთ-ერთ კუთხეში, კედლიდან გამოწეულ ტახტთან, დულაბის იატაკზე, ჩვენებური ცხენის ნალის მსგავსი და მისი ოდენა ნახვრეტიო გაკეთებული და მის ქვეშ შავი ღრუ მოსჩანდა.

ტახტზე ავადმყოფი ტუსაღი იწვა, თავწაკრული, რომელსაც თავთან, ძირს იატაკზე, თომა უჯდა ფეხმორთხმული, ჭირისუფალივით.

„სეკრეტის“ კარი მაგრად იყო დახშული და ხელის გულის ოდენა კარის პატარა სარკმელს შიგნიდან რაღაც ტილო ჰქონდა აფარებული, ვითომ ორი-ქარის წინააღმდეგ.

ავადმყოფი დროგამოშვებით კვნესოდა, ხოლო თომა სდუმდა და თვალებს მოუცილებლად მის გვერდით ამოჭრილ ნახვრეტს დასცქეროდა ლოდინად გადაქცეული.

ასე იყო ცოტახანს.

მერე უცებ რაღაცამ ნახვრეტის თავთან შეიშრიალა, და იქიდან პაპიროსის მაგვარად დახვეულმა ქაღალდმა სასწაულივით თავი ამოჰყო.

როგორც კი შენიშნა იგი თომამ, ხელი მოავლო და ამოიღო. საკმაოდ გრძელი აღმოჩნდა. ძველი საბუთივით დაგრაგნილი რამ იყო.

— თომა ხარ, ბიკო?— ამოჰყვა ქაღალდს ადამიანის გარკვეული ხმა.

გახარებული თომა ნახვრეტზე უმალვე თავით მიწვა, ზედ ტუჩები მიადვა და შიგ ჩასძახა:

— მე ვარ ნიკო!..

— მაშ, აჰა, ესეც წაიღე!—კვლავ მოისმა ღრუდან ხმა. ახლა რამდენიმე მოკლე ხვეული ზედიზედ ამოვარდა ნახვრეტიდან. ეს მოწითალო თუმნიანი ასიგნაციები იყო. ათრთოლებულმა თომამ ისინი ჯიბეებსა და უბეში ჩაიჩარა.

— ფულია... ქუთაისის ბურჟუაზიამ შემოგწირათ.—ამოაძახა იმავე ხმამ გახუმრების კილოზე.

— ხეხეხე...—გაცინება-ღა მოახერხა ამაზე თომამ.

— სხვა კიდევ თუ რამე გინდათ?.. სთქვი რალა!

თომამ თითქოს აღარ იცოდა, თუ კიდევ რამე უნდოდა.

— ყველაფერი მზადაა? რიგზეა?—ჰკითხა მცირე გაჩუმების შემდეგ.

— მანდ ქალალდში სწერია ყველაფერი. დაწვრილებით. წესი სასტიკად დაიცავით, იცოდე. ყველაფერი მოზომილია და არ აირიოთ... მაშ, ასე... ნა-ხვამდის.

— ნახვამდის..ნახვამდის, ნიკო!... ნა-ხვა-მდის, ბიჭო!

როცა თომა იატაკიდან წამოდგა, სიხარულისაგან სულელივით იღრიჯებოდა: თითქოს კიდევაც იცინისო და კიდევაც სტირისო ერთდროულად.

— ა? ხედავ, პეტრე, რა ამბავია? მიმართა მან ავადმყოფ მეგობარს და ისე შეხედა, თითქოს იმის სინამდვილე შეამოწმაო, რაც მოხდა.

— ვხედავ და მეტი არა!.. ამაზე უკეთესი ზღაპარიც არ იქნება!

— მეც მგონია, მაგრამ თუ იქნება, მით უკეთესი...—ახლა გონს მოეგო თომა. ისევ ხელმძღვანელის როლში ჩადგა და პეტრეს უთხრა:—ხო, შენ, ჩემო პეტრე, ყველას ის უთხარი, თითქოს სახადი გჭირს, რომ გაგერიდონ. რაც ნაკლებად შემოვა აქ ხალხი, მით **უკეთესია**... თუმცა არავის სცალია, მგონი, ჩვენთვის, ისე გაიტაცა აბლანდიას ცოლის ტირილმა ხალხი... მაინც იკვნესე, რამდენიც შეგიძლია... საღამომდის ასე გაძელი. მე, არჩილ დ შენ ერთად გავალთ.. ახლა გავიგებ, რასაც ამხანაგები გარედან იწერებიან... შენ იცი: მაგრად იყავი. კიდევ შემოვალ, რა თქმა უნდა.

მერე ამხანაგი პეტრეს „ავადმყოფობით“ თითქოს ძალზედ შეწუხებული „სეკრეტიდან“ გავიდა და „გასვლის“ ხელმძღვანელი კომისიის წევრების თავის მოსაყრელად გაეშურა...

. . .

წამსვლელთა რიცხვი ოცდაათამდის ადიოდა. ესენი უკვე წინადღით იყვნენ გაფრთხილებულები, და თითოეულმა მათგანმა იცოდა, რომ დღეს, რა დროსაც არ უნდა მიეცათ ნიშანი, წასასვლელად მზად უნდა ყოფილიყვნენ და დაუხანებლად მიჰყოლოდენ მნიშნებელს.

ყველას სუფთად ჩაეცვა და დაეხურა. ვისაც თავისი არ ჰქონდა, იმისთვის გამოერთმია, ვინც რჩებოდა.

ცდილობენ, რომ ქუჩაში რაიმე განსაკუთრებული ნაკლით ზედმეტი ყურადღება არ მიექციათ. უმრავლესობას წესაფერისი ქუდის უქონლობა უჭირებდა საქმეს. ეგონათ, რომ კარგ ქუთზე ბევრი რამ იყო დამოკიდებული. თომას მოსვენებას არ აძლევდენ: შესთვალე გარედ, რომ ამხანაგებმა რაც შეიძლება მეტი ქუდი დაგვახვედრონ ამოსარჩევადო.

ყველაზე უფრო შფოთავდა მეოთხე კამერის ფილოსოფოსი, ენგელსის „ანტიდიურინგის“ კრიტიკოსი. მისი დიდი თავისა და გრძლად მოშვებული თმის

დასაფარავი მთელ ციხეში არაფერი არ აღმოჩნდა. ვერც გაკრეჭა გაებედნა, ეჭვი არ აიღონო. თავახდილად ქუჩაში გაელის კი ეშინოდა, უთუოდ მიცნობენო.

ბოლოს, ვილაცის რჩევით ჩოხა-ახალუხი ჩაეცვა და თავზე ყაბალახი ჩამოეცვა. ახლა მართლაც ძნელი საცნობი ვინმე იყო. მაგრამ ჩოხა-ახალუხი [illegible] ეხებოდა. რალაც უცნაური ფერისაც იყო. ამ უცნაური ფერისცვალობამ [illegible] ციხეს ყურადღება მიექცია.

— სად მიბრძანდები, ბატონო მელიტონ, რომ ასე გამოწყობილხარო? — შეეკითხა კიდევაც ვილაცა უცხო ტუსაღი, როცა მისი არაჩვეულებრივი და შეუფერებელი მოკაზმულობა თვალში უნებლიეთ ეცა.

— სასამართლოში მიბარებენ, ძმაო. — უპასუხა ცნობისმოყვარე ტუსაღს „ფილოსოფოსმა", მაგრამ გულში კი დიდი უბედურება გადაწყდა.

თომას სათითაოდ გაფრთხილებული ჰყავდა ამხანაგები: არამც და არამც არ შეამჩნევინოთ როგორც ადმინისტრაციას ისე სხვა ტუსაღებსაც, რომ გასაქცევად ეწყობითო. ამის შორეული ეჭვიც კი არ უნდა დაიბადოს. თავი ისე დაიჭირეთ, როგორც ყოველთვის გეჭირათო.

უცხო ტუსაღის შეკითხვამ მელიტონ ფილოსოფოსს მთლად აუშალა ნერვები. — თავი გაეეცი და სხვებიც დავლუპეო, გაიფიქრა.

ერთ ადგილას ვერ დგებოდა. ერთ კამერაში ვერ იცდიდა. წინასწორობა დაკარგოდა წინასწარ შიშის ზეგავლენით და აწყვეტილივით დადიოდა მთელ ციხეში, ამღვრეული თვალების შტერებითა და შემკრთალი სახის უცნაური ჭიმვით.

ამხანაგებმა თომას ყურადღება მიაქციეს ამ საშიშ ამბავს.

თომამაც თავისებურ ხერხს მიმართა. მოიხმო კალაპოტიდან ამოვარდნილი ამხანაგი, განზე გაიხმო და საიდუმლოდ ყურში ასე უთხრა:

— ამხანაგო მელიტონ, გარემოება ისეთი შეიქმნა, რომ ჩვენი წასვლა კიდევ ხუთი დღით გადაიდვა. ასე რომ დღეს და ხვალ არაფერი არ იქნება... როცა დრო მოვა, ისევ გაგაფრთხილებ... სხვებიც გაფრთხილებული მყავს... — მერე ახედ-დახედა, თითქოს მხოლოდ ამ წამში მიაქციაო მის ჩოხას ყურადღება, ისე დაასრულა: — ბიჭოს, მართლა კარგად გამოწყობილხარ. სად იშოვე, კაცო, ამ ფერის ჩოხა? ძალიან მოგწონს... ათასი რომ გიყურონ, ერთხელაც ეჭვიც კი არვის არ დაებადება. ყოჩაღ!..

უაღრესად დამამშვიდებელი წამალივით იმოქმედეს თომას ამ სიტყვებმა მელიტონზე. განსაკუთრებით კი მის მიერ ჩოხის მოწონებამ დაამშვიდა. სახე გაუსწორდა და თვალები დაუწყნარდა. კამერაში კმაყოფილი დაბრუნდა და ჩუმად „ნარზე" წამოწვა...

. . .

გათავდა თუ არა მეოთხე საათი, ზედამხედველებმა დერეფნებში ხარი ჩამოაწკარუნეს, და პოლიტიკურების საერთო სეირნობაც დაიწყო.

სულ რამდენსამე წამში ორასზე მეტი კაცი ციხის პატარა ეზოს განსაკუთრებული ახმაურებით შეეუინა და კუთხიდან კუთხემდის მიმოიფანტა.

ზედამხედველები სადარაჯო პუნქტებზე ჩამორიგდენ, და ტუსაღებმაც მათ შორის ტრიალით მიმოსვლა გამართეს, როგორც სეირნობის წესი მოითხოვდა.

ერთი ნაწილი განზე გადგა და ტანთვარჯიშობას მიჰყო ხელი.

ზოგნი კიდევ შეჯგუფდენ და მასლაათი გააბეს, რომლის საკანი ისევ უბედური ვარდო იყო და აბლანდიასას ამ დილით გამართული მეგრელ ქალების უცხო ტირილი.

ეზოში ჩამოცვალი ციხის კიბის ყურესთან, არჩილი და თომა დამდგარიყვნენ განცალკევებით და ხელების დამშვიდებული შლით ჩუმი საუბარი გაემართათ. თან ისეთი სახე გამოეჩინათ, რომ, თუ ვინმე მათთან მისვლას განიზრახავდა, უთუოდ ენიშნებოდა:

— ცოტახანს დაგვაცადე, ამხანაგო, არა გვცალია, და მერე შემოგვიერთეო.

ერთდროულად ეზოს კი ათვალიერებდენ წამდაუწყმ და, თითქოს საიდამაც რაღაც საიდუმლო ნიშნის გაელვებას მოელიანო, ფარულად აცახცახებულ მოლოდინში იმყოფებოდენ.

გაჭცევის სანატრელ საათს, სადაც იყო, უნდა დაერეკა.

ნიკოს მიერ გვირაბიდან უმუალოდ გადმოცემული ინსტრუქცია ზედმიწევნით იყო შესრულებული. ყველამ იცოდა გზა, როგორც ხვრელამდის, ხვრელის იქითაც, როცა ქუჩაში გავიდოდენ, თუ სად მისულიყვნენ და ეისთვის როგორ უნდა მიემართნათ.

ახლა მხოლოდ ნიშანს მოელოდენ რიგ-რიგობით წასასვლელად.

უცებ ვიღაცის ჩვენებით, ეზოს შუაგულში მოსეირნეთა ერთი ნაწილი რგოლივით შეიკრა. დაჭკრეს ტაში და ისეთი საცეკვაო შემოსძახეს, რომ მთელმა ეზომ ახლა ამათკენ პირი იბრუნა.

მყისვე ტუსაღთა რგოლის გვერდით, ვითომ ვიღაცა სიხარულმა აიტაცაო, თვითრი ცხვირსახოცი მაღლა ავარდა და ჰაერში გაიშალა.

ეს გასვლის დაწყების ნიშანი იყო, რომლის დანახვაზე თომა და არჩილი დაუყოვნებლივ უნდა წასულიყვნენ ქვედა სართულის სეკრეტისკენ № 1, სადაც ხვრელი იყო შემოყვანილი.

— წამო, ჩვენი რიგია!—უთხრა არჩილს თომამ, ხელი ხელში გაუყარა და თვალის დახამხამებაში კიბეზე აირბენინა.

პირველ „სეკრეტში" მიმავალ დერეფანში, „სეკრეტის" კარის წინ, კომისიის ერთ-ერთი წევრი იდგა, რომელსაც მომავალთათვის ორი ნიშანი ჰქონდა: თუ ყბა შეხვეული ექნებოდა, დერეფანში შემოსული ამხანაგი უმალვე უკან უნდა დაბრუნებულიყო. ხოლო თუ ყბა არ ექნებოდა ახვეული,—გზა ხსნილი იყო.

მშვიდობით გაიარეს დერეფანი თომამ და არჩილმა:

— გზა დამილოცნია!—წასჩურჩულა მათ კომისიის წევრმა სეკრეტში შესვლისას.

— მშვიდობით, სვიმონ...—შესდგა მასთან თომა.—აბა, შენ იცი: წესრიგზე ჰკიდია ჩვენი ამბავი... ოდნავი გადახრაც კი არ უნდა მოხდეს...—უთხრა და ხელი ჩამოართვა.

— ჯავრი ნუ გაქვს... ვინც წესს დაარღვევს, ჩემივე ხელით გავათავებ! იარეთ! მშვიდობით!..

თომა და არჩილი სეკრეტში შევიდენ და კარი მოიხურეს. აქ მარა ამ „სეკრეტის“ ავადმყოფი აბორიგენი დახვდა, ამხანაგი პეტრე, მომზადებული, გამოწყობილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თომას არ შეუყოვნებია. ხელის ერთი გაჭკვრით მოიშორა წინანდელი ქაქლიბული ბოკილი და კუთხეში მიაგდო. მერე მივიდა იატაკში ამოჭრილ ნახვრეტთან და ზედ, რაც ძალა და ღონე ჰქონდა, მაგრად მოქნეული მარჯვენა ფეხი დაჰკრა, როგორც ნიკოს ინსტრუქციაში იყო ნაჩვენები.

ხრიალით ჩაიქცა იატაკი და ხვრელს შგრვალად მოყვანილი პირი გაუკეთდა, რომელშიაც კაცი ადვილად გაეტეოდა.

თომამ არჩილს გადახედა და შეუცინა, ოითქოს თავი მოიწონაო.

— ხედავ?

არჩილი სახეზე შეწითლებულიყო და დაუფარავი განცვიფრებით დასცქეროდა მის წინ შავი გველვეშაპივით პირდაღებულ ღრეს.

აღელვება რომ დაემალა, იღიმოდა.

— რაღაც სასწაულის მაგვარია...—თითქოს თავისთვის ჩაილაპარაკა და უნდოდა რაღაც კიდევ ეთქვა, მაგრამ თომამ დაასწრო.

— მაშ, პირჯვარი დაიწერეთ და მომყევით!—დაიძახა მან მოკლედ და თქმის უმალვე მართლა სასწაულისებრ გაჰქრა. მიწამ ჩაყლაპა.

არჩილს ახლა სახეზე ღიმილი ჩამოშორდა.

უნებლიეთ მის უკან მდგომ ამხანაგს ჩახედა სახეში: აბა, ამახე როგორ იმოქმედა ამ ამბავმაო.

ამხანაგ პეტრეს სახე შენაცვლებოდა და გალურჯებული ტუჩები უცნაურად აეცმაცურებინა. თან პირჯვარს იწერდა და ერთი თვალი რომ ხვრელისკენ ეჭირა, მეორე ისე ავბედურო მაღლა, იატაკისკენ, თითქოს იქ ღმერთს უყურებსო.

— მივდივართ, მაშ!—უთხრა მას არჩილმა იმისთვის, რომ რამე ეთქვა, და, სანამ ხვრელისკენ ნაბიჯს გადადგამდა, მისი გონების რომელიმეც უჯრედმა გაკვირვებით აღნიშნა, რომ მას შიშის გრძნობა სრულიად დაჩლუნგებოდა და იმის წარმოდგენაც კი არ ჰქონდა, თუ რა საშიშ გზაზე იმყოფებოდა.

აუჩქარებლად მოიხადა ქუდი. შუა გაკეცა და იღლიაში ამოიდვა. მერე ტანი და ფეხები სრულიად ისე მოიმარჯვა, ავტომატიური წაბაძულობით, როგორც თომამ ხვრელში ჩასვლის დროს, და თავი უფსკულულს მისცა თვალებდახუჭულად.

უცებ ბრაგანით დაეცა რაღაც მყარზე და ფეხებქვეშ მიწა იგრძნო.

თვალებში სინათლე არ ჰქონდა. ეგონა, რომ ისევ დახუჭული ჰქონდა და ფართოდ გააღო. მაგრამ მაინც ბნელოდა.

გაიწ-გამოიწია, მაგრამ ლურსმანივით ჩარჭობილიყო მიწის კედლებ შუა და ვერ ინძრეოდა.

უცებ წარმოიდგინა, რომ შესაძლებელი იყო, უკან მომავალი პეტრე თავს დასცემოდა, და შეეშინდა. მიტრიალდ-მოტრიალდა მაგრად. ზურგის

მხრით ცარიელი ადგილი იგრძნო... ნაგრამ მისკენ პირი ვერ მოებრუნებია, ისე ვიწრო იყო ხვრელი. მაშინ მოიკაკვა და კიბოს მსგავსად დაიხია. ასე გასხლტა ამ ვიწროობიდან.

ახლა გვირაბის სიმაღლემ იკლო და არჩილიც მიწაზე გაეოხა. მკლავებითა და მუხლებით მისჩოჩავდა.

ცოტახანს ამ სახით იარა.

უცებ სინათლე ეცა თვალში. გაუკვირდა. ნახა, რომ ... კედელში მიწა შეთხრილიყო და შიგ ანთებული სანთლები ბეუტავდენ.

აქ ხვრელიც ფართოვდებოდა.

არჩილიც მობრუნდა, პირი გასაველისკენ ჰქნა, გაიმართა კიდევაც სანახევროდ და გამალებით გაჰყვა გზას.

მალე მოხვდა გვირაბის იმ ნაწილში, რომელიც ქუჩის ქვეშ გადიოდა. ეს ნაწილი ხემოდ და ქვემოდ ფიცრებით იყო შეკრული და სვეტებით გამაგრებული, რომ მიწა არ ჩამოშლილიყო.

აქედან თითქმის გამართული შეიძლებოდა სვლა. თეთრი სახლის სარდაფიდან აქ სინათლეც კი აღწევდა.

რამდენიმე ნაბიჯი კიდევ და არჩილიც ნათხარი მიწით სავსე სარდაფში გაჩნდა, საიდანაც, თითქოს მოულოდნელად, დიდსა და ნათელ ოთახში შესდგა ფეხი.

ისე მოეჩვენა, რომ ნამდვილად სულ სხვა ქვეყანაში მოხვდა.

პირდაპირ, კედელზე, დიდი სარკე იყო მიყუდებული და იქიდან ვიღაცა ევროპიულად მორთული და თვალებზე მწვანე სათვალეები აფარებული არჩილს ღიმილით შესცქეროდა.

სარკის წინ თომა იდგა ზურგით არჩილისკენ.

არჩილმა ზურგი იცნო, რომ თომასი იყო. ხოლო სარკის სიღრმიდან რომ სახე შემოსცქეროდა, ის ეუცხოვა.

— აქ მოდი, არჩილ, თომა ვარ. —უთხრა არჩილს თომამ, როცა გაკვირვება შეატყო.

— უნდა დაგიჯეროთ, თორემ არ გავხარ!—უპასუხა არჩილმა და მისკენ გაემართა.

სარკეს რომ კარგად გაუსწორდა, შიგ კიდევ საკუთარი თავისა და თომას გარდა სხვაც დაინახა, რომელიც მის უკან იდგა, კუთხეში, და მშვიდად იცინოდა.

— მართლა არ გამაგიჟოთ, ხალხო!—სთქვა არჩილმა და უკან დაიხია.

— მომილოცავს, ამხანაგო არჩილ! მე კიდევ კოტე ვარ!—გაისმა კოტეს ხმა. არჩილი მყისვე მისკენ მიბრუნდა.

ხელი ჩამოართვეს ერთმანეთს

— არ მოგელოდით აქ, კოტე...

— მე ამ სახლის კომენდანტი ვარ... ამხანაგებმა პირველი სალამის გადმოცემა დამავალეს.—უპასუხა კოტემ.

მაგრამ ამ დროს არჩილს თომა მოუახლოვდა და ზურგზე ტანთსაცმელის ფუნჯი ჩამოუსვა. მერე ხელი ჩამოჰკრა სახელოებზე და გვერდებზე.

— ლაპარაკის დრო არ არის... გაიფერთხე მტვერი... გაიწმინდე და ჰაიდა!.. სარკესთან მიდი თმა დაივარცხნე... ქუდი სად გაქვს, რომ არ გახურავს?

არჩილს ახლა მოაგონდა მისი ქუდი, რომელიც ხვრელში ჩასტამის წინ იღლიაში ამოიჩარა.

ფიცხლად იტაცა ხელი ჯერ ერთი იღლიაში, მერე მეორეში, მაგრამ არც ერთში ქუდი არ აღმოაჩნდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაწითლდა. დაიბნა. თითქოს დანაშაულობა რამ ჩაედინოს.

ახლა გვერდის ჯიბეებში დაუწყო ქუდს ძებნა.

— რას ეძებ, კაცო?—ჰკითხა თომამ.

— ქუდს... აქ შევინახე, რომ არ დამკარგოდა... და აღარ არის...—გაიხადა ზევითა საცვამი. სახელოები გადმოუბრუნა, მერე მაგრად დაფერთხა და იატაკს დააშტერდა, ხომ არ დავარდნილაო. მაგრამ ქუდი არ იყო.

ძალიან შეწუხდა. სარდაფში ჩასავალისკენ მიიხედა და ის-იყო უცებ უნდა მოწყდომოდა თავის ადგილს, რომ თომამ ხელი სტაცა მკლავზე და შეაკავა.

— მოიცა... ხომ არ გაგიჟდი, ქუდისთვის ისევ ხვრელში ბრუნდები? უქუდოდაც კარგად წავალ!...

— უქუდობა როგორ იქნება?—არ ნებდებოდა არჩილი.

— აი, ჩემი ქუდი!—განაცხადა კოტემ. თქვენს კოსტიუმზე ზედ გამოჭრილია.—ამ სიტყვებით მან ქუდი მოიხადა და არჩილს თავზე დაახურა.

არჩილს კიდევ უნდოდა რაღაცის თქმა, მაგრამ ამ დროს ამხანაგებს მოულოდნელად თავზე უცნაური სახე წამოადგა.

ძლივს იცვნეს.

— ჰო, პეტრე!—მიეგება მას თომა.—ჩვენ ვართ, ნუ გეშინია! —თან გიჟივით სიცილი წასკდა.

ძნელად წარმოსადგენი რამ სახე ჰქონდა ამ პეტრეს —შიშს, გაოცებას და მტვერს ასპარეზად გაეხადათ იგი და ზედ ისეთი ბუქნაობა გაემართათ, რომ კაცს მართლა არ შეეხედებოდა.

მაგრამ მისთვის ახლა აღარ ეცალათ ამხანაგებს.

— თომა, თქვენ უკვე აგვიანებთ! —სერიოზულად გააფრთხილა თომა და არჩილი კოტემ.

გონს მოეგო თომა.

— აბა, არჩილ, წამო!—მიმართა არჩილს. მკლავში ხელი გაუყარა და ქუჩაში გასავალი კარისკენ გააქანა.

პირველი თომა გავიდა ქუჩაში.

— აი, სარკე, ამხანაგო, შეილამაზე თავი და წადი... შიში ნუ გაქვს. ყველაფერი რიგზეა. ბინის ადრესი ხომ იცი?—მოესმა ოთახიდან არჩილს კოტეს ოფიციალური და ბეჯითი ხმა, როცა ტანი გამოღებულ კარსა და კარს შუა გაჰქონდა.

პატარა სახლის ეს კარი პირდაპირ ციხეს შეჰყურებდა. იქვე საყარაულო იყო და თოფიანი ჯარისკაცი გალავნის გაყოლებაზე დინჯად მიმოდიოდა.

თომამ და არჩილმა უდარდელი სახე მიიღეს, წყნარი სიცილ-გარეული საუბარი წამოიწყეს და ასე ჩაუარეს გვერდში ჯარისკაცს. მერე ბორანის მხრით წავიდენ.

გაიარეს თუ არა ციხის განი, ნაბიჯს მოუმატეს.

პირველსავე გადასახვევში გადაუხვიეს. აქ კიდევ მოუმატეს ნაბიჯს.

— იცი, არჩილ, ჩვენ პილახვანის ქუჩამდის ერთად [illegible] რამაძე დაგვხდება ეტლით. ეს ეტლი ერთად წაგვიყვანს... შენ შენს ბინასთან ჩამოგსვამს... მერე მეც ჩემს ბინასთან, ცალცალკეთ, მაგრამ ახლოს... ჩვენსა და ვასოს შორის შენი ანდრო ივლის მოამბეთ... ასეა მოწყობილი.—ეუბნებოდა გზადაგზა თომა არჩილს.

— აკი მითხარი, კაცო, ერთხელ... თუ დაგავიწყდა...

არჩილს რაღაც ფეხი ფეხზე ედებოდა და ამისგამო გუნებაზე ვერ იყო, ცხენივით იათახს იკრავდა.

მალე ბორანისკენ პირდაპირ მიმავალ ქუჩაში გავიდენ.

— საკვირველია,—დაიწყო ახლა არჩილმა—მე არ მეშინია და ამ ჩემს ფეხებს კი რა მოუვიდა?

— არ მოდიან?

— მოდიან კი, მაგრამ რაღაც კარგად ვერ მოდიან... თქვენში რა ჰქვიან ისეთ კაცს, რომელსაც სიარულის დროს ფეხი-ფეხზე ედება... ნახირშიაც გაერევა ხოლმე ასეთი ძროხა ან ხარი... ზოგს ცხენსაც სჩვევია... ა? არ იცი ამის სახელი?

თომამ ჯერ გაკვირვებით გადახედა არჩილს. მერე მიუხდა, რომ კარგად იქცეოდა, გულის გადასაყოლებელს რასმე რომ ამბობდა.

— რა ჰქვიან?.. ჰმ... ცხენზე იტყვიან იათახს იკრავსო...—სერიოზულად უპასუხა.

— იმ კაცს, ცხენივით რომ იათახს იკრავს, იმას რა ჰქვიან მეთქი?—არ დაკმაყოფილდა არჩილი თომას პასუხით.

— ისეთ კაცს რა ჰქვიან? ჰმ... ჰმ...—ვერ მოიგონა თომამ. ნერე ჩაიცინა და უპასუხა:—ჩვენში ასეთი კაცი ხალხში არც კი ურევია... ყველა სწორად დადის. სამეგრელოში კი ბევრია ალბად და სახელიც იქ ეცოდინებათ...

— ჩვენში ამისთანა კაცს „კაჭა“ ჰქვიან.

— ვერაფერი შვილი სიტყვაა... ენდა გამოგიტყდე... ბიჭო, ბორანიც გამოჩნდა, მგონი. შეხედე. ამ მხარეს არის... იქნება, მოუსწროთ, გამოიარე! გეყოფა ლინგვისტიკა...

— გავიქცეთ, გინდა?იქნება, გგონია, რომ ვერ შემიძლია...

კიდევ უფრო ჩქარა წავიდენ.

— „კაჭა“ იმიტომ ჰქვიან ალბად,—განაგრძო სულის მოთქმასა და მოთქმას შუა არჩილმა,—რომ, როცა ძვალი ძვალს მოხდება, ხმას გამოსცემს ხოლმე: კაჭ... კაჭ... კაჭ... გესმის?

— კი, მარა ამ სამეგრელოში ხალხს ძვალს არაფერი არ უფარავს? როგორ გეკადრება! არ აცვიათ მაინც?

— იმ დროის ამბავია, როცა არ ეცვათ.

— აგაშენა ღმერთმა... ჰე, არჩილ, მგონი მოუსწარით კიდეც... მხოლოდ ახლა სხდებიან!.. აწი არა გვიშავს რა, იცოდე.

მართლაც, მიუსწრეს ბორანს.

რიგში ჩასდგენ. ჩასხდენ. ნავიც დაინძრა.

როცა არჩილს რიონის ნაცნობმა სიომ შემოუქროლა, გულ[illegible] მოუამდა, და დაწყნარდა.

მეგობრები ახლა სდუმდენ, და თითოეულ თავის ფიქრში იყო წასული.

არჩილს ახლა გონებაც აუმუშავდა. მაგრამ უცნაური რამ ტენდენცია შენიშნა მან ამ გონებას: იგი თითქოს არ ადასტურებდა ციხიდან გამოქცევის მომხდარ ფაქტს და არჩილს კიდევ ციხეში გულისხმობდა, ისევ მის პატარა საკანისებურ „სეკრეტში“.

რამდენჯერ მიუდგა არჩილი მომხდარ ამბავს გონების თვალით, იმდენჯერ მისმა გონებამ ჯორიკვით თავი შორს დაიჭირა, და თვითონ ფაქტიც ყოველთვის გაუსხლტდა ლოგიკის ბრჭყალებს.

არჩილსაც ახლა მომხდარ ამბავზე უფრო ეს გარემოება აკვირვებდა.— რამდენიმე წუთის წინად იგი უთუოდ ციხეში იმყოფებოდა, ახლა კი, ეჭვსგარეშეა, რომ თავისუფლია და ბორანზე ხის თომასთან ერთად სრულიად ხელუხლებელი და უვნებელი.

საიდან არის, რომ მის გონებას ამ ფაქტში ეჭვი შეუდის?

დაუჯერებელი ამბავი კი მოხდა, მაგრამ ხომ მოხდა, და ამას ყველაფერი ამტკიცებს: რიონი, ბორანი, გალმა-გამოღმა—ნაცნობი ადგილები, გარშემო უცხო ხალხი, რომელიც მისებურად ხან წყალში ჩაიხედავს, ხან გარემოს მიმოავლებს თვალებს და ხან კიდევ ბორანის ჯაჭვით გასრიალებულ კოჭს უცქერის.

უმთავრესი კი ის არის, რომ არჩილს იმ შემოჩენილ წითელ თვალებიანი ჯალათის არ ეშინია, რომელიც ან უკანასკნელ დროს დღედაღამ მოსვენებას არ აძლევდა.

„ფაქტია, ფაქტი!“ ამბობს გულში არჩილ, თითქოს თავის თავს არწმუნებსო.

„კი, მაგრამ, რომ დაგიჭიროთ? ხომ არ გადარჩები“!

ამაზე არჩილს ის პასუხი აქვს, რომ გაიფიქრებს:

მართლაც, კაცმა რომ გონებას დაუჯეროს, ქვეყანაზე არაფერი არ შეიცვლებოდა, და ცხოვრებაც მაშინ არაფრად არ ეღირებოდათ.

ჩამოიშორებს სულელ ეჭვებს. გალმა ნაცნობ ნაპირს მიაპყრობს თვალებს.

აი, პირდაპირ, რამაძეების ნაცნობი ბაღის გალავანი და ჭადრების ჩამწკრივებული რაზმი მოსჩანს. აი, მათ ქვემოდ, ის წყლიდან ამოზიდული კლდეც, რომელზედაც არჩილი დაჭერის წინ იჯდა და წინალამის კოშმარებს მდინარეში ანრჩობდა.

მოაგონდება ის აფრთოვანებაც, რომელიც მაშინ რიონმა განაცდევინა...

ცაცაც დაუდგება თვალწინ და მისი დავიწყებული კოცნის ბეჭედი ტუჩებზე გახელმეორებით დააკვდება...

მაგრამ არა... ეს არ უნდა არჩილს.

თვალებს მოსწყვეტს ნაცნობ ადგილს და მაგრად დახუჭავს, რომ როგორც სინათლე თვალში, ისე თავშიც მოგონება გაუქრეს.

მაგრამ მისმა თვალებმა ახლა სხვა მხრით დაიწყეს მზერა,—არჩილს შიგნით, სადღაც შორს, მიუვალ კუნჭულში.

რამდენი უხილავი ფიქრი, გრძნობა და განცდა მიმალულა ამ კუნჭულში!—მთელი ლაშქარია.

მივოავლებს თვალებს მათ რიგებსაც არჩილი და შეკრთება. თითქოს ვერ იცნო, ისე ეუცხოვება.

უცნაურია: მათ შორის წინ სწორედ ისინი გადმომდგარან, რომლებიც არჩილმა ციხეში საბოლოოდ დაჭგმო და უარჰყო...

რადგანაც არჩილი მათ ცაცა რამაძის ქალის გამოქომაგებას აბრალებდა...

ახლა კი ისევ შემოსევიან არჩილს. აჯანყებულებივით უჭირავთ თავი, არჩილის წინ ცაცას სახე დროშასავით გაუშლიათ, დემონსტრატიულად, და იმუქრებიან.—არჩილს პირაქით ღალატს აბრალებენ.

ჰოო, სად წაიღოს თვალები არჩილმა, ან ეს გარდაუვალი ფიქრები სად ან როდემდის დამალოს?

თუ არჩილმა ციხის ზღუდე გაარღვია და აიწყვიტა, აჰა, მის გრძნობებსაც აუწყვეტიათ, ციხეში რომ ჯაჭვით ჰყავდა დაბმული...

იქნება, ისევ ციხეში სჯობდა ტანჯვა...

მაგრამ: დეე, კიდევ მოხდეს რაც მოსახდენია.—როგორც ამ ნავს მიჰყვება არჩილი, ისე გაჰყვება იგი ცხოვრებასაც და იმ ნაპირს მიადგება, რომელიც ბედზე უწერია. თუ კი არსებობს სადმე ნაპირი ამ ცხოვრებაში და მასზე დადგომა შესაძლებელია...

და არჩილი თვალებს გაახელს.

ბორანიც ამ დროს ნაპირს მიადგება, და არჩილის ხანმოკლე ექსკურსიც ფიქრებში ამაზე შესწყდება.

. . .

არ გასულა ხანი, რომ ალექსა-მეეტლე ოთხ ამხანაგს ბალახვანის ქუჩით ქალაქის ცენტრისკენ მიაქანებდა, როგორც შურდული.

უკან საჯდომზე არჩილი და თომა ისხდენ, წინ კი, მათ პირდაპირ—ანდრო და შალვა რამაძე.

XXVI

ასეთი საშინელი საღამო და მერე კიდევ უფრო საშინელი ღამე ჭუთაისს თავის დღეში არ უნახავს.

ხვრელის აღმოჩენის უმალვე ქალაქს გარედან ცხენოსანი ყაზახ-რუსები ალყად შემოარტყეს, ხოლო შიგნით ქვეითა ჯარითა და პოლიციით ყველა ქუჩა შეჭრეს, როგორც გალმა ისე გამოლმა.

შეიქმნა საყოველთაო ჩხრეკა, დაპატიმრება, ცემა, გინება და ვაის ყვირილი.

თვითონ ციხე კი ჯოჯოხეთად გადაქცეულიყო.

გაქცევის ამბავი ციხის ადმინისტრაციამ შემთხვევით გაიგო.

სანამ პოლიტიკურების სეირნობა გათავდებოდა, გასვლის ხელმძღვანელმა კომისიამ სია ამოსწერა და ოცდა ათი პატიმარი, თომასა და არჩილის კვალობაზე, ციხიდან მშვიდობით გაისტუმრა.

შემდეგ ხვრელის არსებობის ამბავი სისხლის სამართლიანად ... ილთ შეატყობინა,—ვისაც გინდათ, წადითო.

ხალხი მიაწყდა ხვრელს. საქმე მისწრებაზე იყო. მსურვილი იმდენი აღმოჩნდა, რამდენიც ციხეში კატორღა და ციმბირში გადასახლება მისჯული ტუსაღი იმყოფებოდა.

მაგრამ შეიძლებოდა, ესეც რომ კიდევ კარგა ხანს ვერ გაეგო ადმინისტრაციას, რომ ერთ-ერთი ასეთ ნაირად გაქცეულთაგანი ქუჩაში შემთხვევით არ დაეპმტიმრებიათ ჯარისკაცებს და ციხეში არ შემოეყვანათ.

ეს კატორღელი იყო. ქალაქის ასავალ-დასავალი არ სცოდნოდა და ციხის ახლო-მახლო დაეწყო ხეტიალი, სადაც ჯარის სადგომი კაზარმები იყო. ციხეში ნაყარაულებ ჯარისკაცებს ეჭვი აელოთ,—ტუსაღი უნდა იყოს, ციხიდან გამომძვრალიო,— და შეეპყრათ. შესამოწმებლად ციხეში წამოეყვანათ.

გამოიცვნეს.

ეს ამბავი აბლანდიას აცნობეს ბინაზე. ისიც მოიჭრა ციხეში და როცა ამ ტუსაღს ცემით დაჰკითხა, თუ როგორ გაჩნდა იგი ქუჩაში, ციხის საიდუმლოებასაც ფარდა აეხადა.

ხვრელი აღმოაჩინეს, და ისედაც გაბოროტებული აბლიანდია ცალ ხელში რევოლვერით და ცალში კიდევ განუყრელი თასმის შოლტით ნამდვილ ავთარიევით დაერია ტუსაღებს.

ასე დაიწყო. რაც ციხეში და მერე კიდევ ქალაქშიც ჯოჯოხეთი დატრიალდა.

. . .

მთავრობის სასტიკი შემოტევის წინააღმდეგ ორგანიზაციული თავდაცვა რევოლიუციონერების მხრით შეუძლებელი იყო და უადგილოც.

თავდაპირველად ისეთი მდგომარეობა შეიქმნა, რომ რევოლიუციონერების ბანაკი დაიბნა და დაიქსაქსა.—არავინ არ იცოდა, თუ ვის რა უჭირდა და თავს ვინ როგორ შველოდა.

კავშირისათვის დანიშნული ამხსნაგები ქუჩაში ვერ გამოდიოდენ და დაკისრებულ მოვალეობას ვერ ასრულებდენ.

ასე იყო ვიდრე შუალამემ არ მოაწია და მთავრობის აგენტებსაც სიფიცხე ოდნავ არ შეუნელდათ.

დიდი-ვასოს შტაბი ქალაქის ცენტრალურ ნაწილში იმყოფებოდა, ერთ-ერთი ეჭვ-მიუტანელი და დიდი მოხელის ბინაზე, მეორე სართულში, სადაც თავი უნდა მოეყარა ყველა ცნობას გიმოქცეულთა მდგომარეობის შესახებ.

ვასოს გარდა აქ იყვნენ ამ დღის უშუალო ავტორებიც: ნიკო, კოტე, თომა და აგრეთვე ანდროც.

ოთახი საკმაოდ მოდიდი იყო და მისი ორი ფანჯარა მთავარ ქუჩაში გა-

დიოდა. ზიგ ბნელოდა. მხოლოდ ღია ფანჯრით მთვარის მკრთალი სინათლე ალმოცერად შემოდიოდა და ერთ კუთხეში წამოქცეულ სვეტივით, კედელზე ებჯინებოდა.

ამ კუთხეში ტახტი იდგა და ზედ ნაირნაირი ტანთაცმელი ეწყვრიგოდ ეყარა:—სამხედრო-სამოქალაქო, ეპოლეტებითა და მედლებით, [illegible] სხვადასხვა ფერის ჩოხა-ახალუხი, ქამარხანჯლითა და წულამესტებ[illegible]

ოთახში დუმილი იყო გამეფებული.

ის ღა აშკარავებდა იქ მყოფთ, რომ დროგამოშვებით კედლის გასწვრივ, აქა-იქ, ციცინათელასავით გაანათებდა მოქაჩული პაპიროსი და ისევ ჩაქვრებოდა.

მას შემდეგ, რაც მთავრობამ შემოტევა დაიწყო და საშინელი პანიკა დასცა ქალაქს, ვიდრე აქომამდე ოთახში შეკრებილებმა არ იცოდენ, თუ ციხიდან გამოქცევის შემდეგ ამხანაგებს რა ბედი ეწიათ.

ამბავის პირველი მოამტანი ანტონა ფერშალი უნდა ყოფილიყო, რომელსაც დავალებული ჰქონდა ციხეში იმ დრომდე დარჩენილიყო, სანამ ხვრელს არ აღმოაჩენდენ და საქმის მდგომარეობა დაახლოვებით მაინც არ გამოერკვეოდა.

მაგრამ იგი არ სჩანდა.

ვასოს ის ამშვიდებდა, რომ მისმიერ შერჩეული ბინების დიდი იმედ ჰქონდა, და ფიქრობდა, თუ ამხანაგები დროზე მიაღწევდენ დანიშნულ ადგილებში, ჩხრეკასა თი დაპატიმრებას ადვილად გადაურჩებოდენ.

ეს ბინები მეტ წილად ცნობილ თავადებს ეკუთვნოდა, ან კიდევ ეპკს გარეშე მდგომ საზოგადო მოღვაწეებს და სხვადასხვა რანგის მოხელეებს.

არჩილ დადიშიანის შიში ამხანაგებს სულაც არ ჰქონდათ.—შალვა რამაძეს იგი მის ნათესავთან ჰყავდა მოთავსებული, რომელიც საგანგებო მინდობილობათა მოხელეთ მსახურობდა გუბერნატორთან და ახლა, ალბად, ამ რეპრესიების ხელმძღვანელთაგანიც იყო. შალვაც მასთან იმყოფებოდა.

შუალამე გადასული იყო, როცა ბოლოს ამხანაგებს ლოდინი გაუმართლდათ და ოთახში ანტონა-ფერშალი შემოვიდა.

იგი უფრო მკვდარს ჰგავდა, ვინემ ცოცხალ ადამიანს.

ამდენი ამხანაგი ერთად შეკრებილი რომ ნახა ეუცხოვა.

მაგრამ მალე დაამშვიდეს და იმანაც ამხანაგებს ერთიმეორეზე უსაშინელესი ამბავი აუწყა.

მისი დაგვიანების მიზეზი ის ყოფილიყო, რომ თვითონ მთავრობას არ გამოეშვა იგი ციხიდან:

ქუჩაში დაპატიმრებული ტუსაღები სასტიკად ნაცემი შემოჰყავდათ უკან ციხეში, ზოგი გრძნობა დაკარგულიც. ამათ კიდევ აბლანდიაც სცემდა თავის კაბინეტში დაკითხვის დროს. ვისაც სიკვდილის ნიშნებს შეატყობდენ, მოსასულიერებლად ანტონა-ფერშალს უგზავნიდენ საავადმყოფოში. ასე გრძელდებოდა დიდხანს.

— ამით აიხსნება ჩემი დაგვიანება, თორემ „პროპუსკი“ მქონდა და რა დამაკავებდა—დაასრულა ამხანაგმა ანტონამ.

— ჩემს ხელში ათამდის ასეთმა ტუსაღმა გაიარა. ისეთებიც იყვნენ, რომლებიც უწამლოდაც უძლებდენ ცემას.—განაგრძო კვლავად მანვე ბერეთ პაუზის შემდეგ. რადგანაც მისი მსმენელები მძიმე დუმილს განაგრძობდენ.

— ჩვენიანი ბევრი შეიპყრეს?—რაღაც გაუბედავად, ძლივს გასაგონად იკითხა ბოლოს თომამ.

— თითქმის ყველა დაჭერილები სიის გარეშე წასულები არიან, ჩვენიანი მხოლოდ ერთად ერთი მელიტონ კოლონაძე ვიცი...

— ჩვენი ფილოსოფოსი!..—წამოიძახა ახლა თომამ.—ესეც სცემეს?

— აბლანდიამ საკუთარი ხელებით სულ თმით ათრია საცოდავი... ვითომ მარქსი ხარ, თმა რომ მოგიშვიაო. ძალიან ცუდად არის!

— ვაიმე, აბლანდიავ!—და თომამ მუშტი მკერდში ჩაირტყა.

— ჩვენიანი კი ბევრი სცემეს დარჩენილთაგანი. იცოდით და რატომ არ გაამხილეთო, და აბლანდია არაკის ზოგავდა... პავლიკი რომ იყო მეკარე, აი, კარცერში რომ იჯდა ჩხრეკის შემდეგ, იქამდის სცემა, სანამ საწყალმა სული განუტევა.

— რას ამბობ, კაცო!?—იყვირა თომამ და ნაკბენივით ზეზე წამოდგა.—მართლა მოკვდა?..

— ნაგანის ტარი საფეთქელში მოერტყა იმ რჯულძაღლს... საავადმყოფომდისაც არ მოუღწევია.

— საწყალი ჩემი პავლიკი!

ამ დროს ნიკო უცებ თავის ადგილიდან წამოიჭრა და კოტესკენ მოკლე ნაბიჯით გაემართა.

— კაცო, შენ რა ჭალივით მოსთქვამ!—ესროლა მან გზაზე თომას. მერე კოტესთან შედგა.—კოტე, მომეცი ერთი შენი ქუდი! და მძიმე რისხვით დამძიმებულმა ოთახში გაიარ-გამოიარა.

— ის ვიღაც ცინიკი აბლანდია ამდენს როგორ უნდა ბედავდეს? ჩვენი ბრალია! მომეცი მეთქი, კოტე ქუდი!—მთვარით გაშუქებულ კუთხეში მიდგა. გულისჯიბიდან ქაღალდი და ფანქარი ამოიღო. ქაღალდი შუაში გახია. ერთზე ჯვარი დასვა მოდიდოდ და მერე პაპიროსის მსგავსად დამრგვალება დაუწყო.

გაკვირვებით შესცქეროდენ თომას ამხანაგები. ვერ მიმხვდარიყვენ მისი საქციელის საადუმლო მნიშვნელობას.

კოტემ ქუდი მიაწოდა ამხანაგს.

ნიკომ ჩამოირთვა. შიგ ორი დახვეული ქაღალდი ჩაიგდო და ფანჯარაზე ჩამოდვა.

ახლა კი მიხვდენ ნიკოს განზრახვას.

— ვადა: ხვალ საღამომდის. ვისაც ჯვარი ამოუვა, იმან აბლანდია საიქიოს უნდა გაისტუმროს. პირველი მე ვიღებ...

სანამ დანარჩენები სიტყვას დასძრავდენ, ნიკომ ქუდში ხელი ჩაჰყო და „კენჭი“ ამოიღო. ფიცხლად გაშალა.

— სამწუხაროა: თქვენ დაგრჩათ!—განაცხადა და უნიშნო ქაღალდი ქუდის გვერდით დააგდო.

— მაშ ჯერიანი ჩემი იყოს!—რევანშის მნიშვნელობით მიმართა მას თომამ და ქუდისკენ წამოვიდა.

მაგრამ მოულოდნელად მას წინ ანდრო გადაეღობა:

— უკაცრავად, ამხანაგო! იგი ჩემია... ვერ დაგითმობთ!—სთქვა და თვალებიდან ცეცხლი დასცვივდა.

თითქოს ნაბიჯიც არ გადაედგას, ისე გაჩნდა ქუდთან და ... ამოიღო. არ გაუშლია ისე ხელში შეკუმშნა. მერე გულთან მიიტანა და ამ სახით უსიტყვოდ თავის ადგილზე დაბრუნდა.

ისეთი იყო, რომ ყველა გაკვირვებით შესცქეროდა. სიტყვაც კი ვერავის შეებედნა.

მცირე ხნით სიჩუმე ჩამოვარდა.

მერე ნიკო მივიდა ანდროსთან. თითქოს მალულად, რაღაც სწრაფად ხელი ჩამოართვა და დაბლაღ უთხრა:

— რაკი ასე გინდა, ანდრო, შენი იყოს... გეგმა მერე კოტესთან ერთად შევადგინოთ...

ამას შემდეგ ამხანაგები იმის ბჭობას შეუდგენ, თუ ამიერიდან რა გზას დადგომოდენ, რომ გამოქცეული ამხანაგები ქალაქიდან გაეყვანათ.

ეს არც ისე ადვილი საქმე აყო.

— ბოლოს და ბოლოს გვირაბის გაყვანა და გამოქცევა უადვილესი რამ საქმე გამოდგა. ძნელი ამბავი აქედან იწყება!—ამბობდა ნიკო.

ვასოს აზრით, ერთად ერთი საშუალება ქუთაისიდან გასვლა იყო, რომ ამხანაგები სათითაოდ არ შეეპყრათ და ისევ ციხეში არ დაებრუნებიათ.

— უნდა გადაიცვან და ხვალიდანვე აქედან წასვლა უნდა დაიწყოს. ზოგს სამხედრო ფორმა ჩავაცვათ. ზოგს ბერის თუ ხუცესის. ზოგს თავადი გავაყოლოთ. ზოგს კნეინა რომელიმე. ნაწილი პარტიულ კონდუქტორებს ჩავაბაროთ... და ასე ცოტ-ცოტათ, თითო-თითო ან ორ-ორი ყოველ მატარებელზე გავისტუმროთ—ცალკე ტფილისის, ცალკე ბათომისა და ფოთის მიმართულებით. ამდენიც არ არიან, და ორ-სამ დღეში დავცლით ქუთაისს.

— სადგური ძალიან სახიფათო იქნება, ვასო.

— აქ დარჩენა კი უფრო სახიფათოა.

— მიხელა-იმერელი მე უკვე გავამგზავრე ბათომისკენ. ალბად ახლა წასული იქნება.— ცნობად სთქვა ნიკომ.—გამოვიდა თუ არა, ნიკა მემანქანეს გავუგზავნე. ნათქვამი ჰქონდა, ჩემთან ორთქლმავალში მოვათავსებო. იგი მგონი, ხვალ უკან დაბრუნდება. ყოველ წასვლაზე თითოს წაიყვანს...

— კი, მაგრამ ასე რამდენი უნდა წაიყვანოს?

— რაკი საეჭვო ბინებზე არ არიან, ჩემის აზრით, მოცდაც შეიძლება, სანამ ეს ქარიშხალი დაწყნარდებოდეს. აჩქარებამ, იქნება საქმე წაახდინოს...

სხვადასხვა აზრი ტრიალებდა. თითოეულს თავისი რეზონი ჰქონდა. უპირატესობა ვერც ერთისათვის ვერ მიეკუთვნებიათ

ბოლოს ყველა საშუალებისა და ყველა გზის გამოყენება გადაწყდა.—ზოგი რკინის გზას უნდა მინდობოდა, ზოგი ფეხის გზას. ზოგს კიდევ ქუთაისში უნდა დაეცადა, სანამ პირობები გამოიცვლებოდენ.

— თქვენც ნუ ხართ, ხალხო, აქ! — დაასრულა ვასომ ნიკოსადმი მიმართვით. — წადით სადმე... ახლა, ხვალ ის კაცი უნდა მოვკლათ და ეს უბედურება კიდევ რას გამოიწვევს, ღმერთმა იცის.

— ბრძოლაში, ჩემო ვასო, რამდენს ეტს დაჰკრავ, იმდენს მოიგებ. — გაიწყვეტინა მას ნიკომ. — შეიძლება, აბლანდიას მოკვლამ ისე [illegible] მთავრობის აგენტები, რომ აქეთ შემოგვეხვეწონ: ბილეთს ჩვენ [illegible] და სადგურზედაც გაგაცილებთ, ოღონდ აქედან წადითო.

— მაგრამ ხომ შეიძლება პირუკულმაც მოხდეს... და ეს ხალხი სულ დაიღუპოთ...

— ჩვენი საქმე. ბოლოს და ბოლოს, გაბედვაზე ჰკიდია!.. დამიჯერე, რომ ასეა...

XXVII

დილის რვა საათი იქნებოდა როცა ახალგაზრდა „პროპორშჩიკის" ფორმაში გამოწყობილი კოტე თავის მოკლე-ჩოხიანი კოხტა მოახლითურთ ქუთაისის საკათედრო ტაძრის წინ გაშლილ მოედანზე გამოჩნდა და ბულვარისკენ წავიდა.

თითქოს შემთხვევით მოედნის კუთხეში მდგომი ეტლი შენიშნა. უცებ შესდგა და მეეტლეს ნიშანი მისცა მოახლოვებოდა.

შავი ჩოხა ეცვა და, თეთრი ახალუხი. მომაღლო წინ ოდნავ ჩაკეცილი ფაფახის ქუდი ეხურა. მხრებზე ეპოლეტები უბრწყინავდა. ხოლო წელზე მოჭრული ხანჯალი და ხმალი ერტყა. მოდურ წელწერწეტა თავადს ჰგავდა, რომლის მსგავსები იმ ხანად მრავლად მოიპოვებოდენ ქუთაისში და დილიდან საღამომდის ქუთაისის ბულვარს ამშვენებდენ იშვიათი ტანადობით, უცხო ჩაცმულობით და მობეზრებულ უსაქმობით.

მისი მოახლეც ანდრო ქართველაძე — ლამაზად იყო ჩაცმული. თალხი ფერის ჩოხა ეცვა და უბრალო მოკლე შავი ხანჯალი ერტყა. თავი ყაბალახით ჰქონდა წაკრული გურულ ყაიდაზე.

— საითკენ მიბრძანებ, კნიაზ? — განსაკუთრებული თავაზიანობით მიმართა კოტეს მეეტლემ, როცა შეჯირითებულ ცხენებს ლაგმების მაგრა მოზიდვით კისერი მოუქცია და მოხდენით კოტეს წინ დადგა.

— მესხეთის ქუჩა! — უპასუხა კოტემ და მსუბუქი ტანის თავადური რხევით ეტლში ჩახტა.

ანდრო მყისვე კოფოზე აფრინდა.

ასე ჩაიარეს ბულვარი და გიმნაზიის ქუჩით თეთრი ხიდისკენ შეუხვიეს.

როცა ხიდზე გადავიდენ, კოტემ მეეტლეს მოკლედ შესძახა:

— ციხისაკენ, ალექსავ!

ციხისაკენ მიმავალ ქუჩაში რომ შეუხვიეს და, ის-იყო რომელღაც სახლის წინ დგომას აპირებდენ, რომ პირდაპირ დიდი არახრახებით მომავალი ეტლი შენიშნეს, რომლის კოფოზე მეეტლესთან სავაზნეებით გულ-მკერდი აბზიალებული ვეება ვინმე იჯდა და ხელში მომარჯვებული თოფი ეჭირა.

— გასწი, პირდაპირ ჩაუარე! — დაიძახა ამის დანახვაზე კოტემ. როცა ალექსამ დასაყენებლად ცხენებს ლაგამი მოსწია.

მეეტლემ უმალვე ისევ მიუშვა.

შეყრილ ეტლიდან კოტესა და ანდროს თვალწინ ორმა სახემ ბაჭოლებით გაიელვა. კოტემ იმათში მხოლოთ ერთი იცნო—აბლანდია. ანდროს კი მეორეცეს იყო სოლომონ ვარაძე, ვარდოს ბიძა და მაჭანკალი.

„ეს ასე როგორ მოხდა? რა ამბავია.“ გაიფიქრა შეკრთალმა ანდროს და უმალვე კოტესკენ მოიხედა, როგორ მოეფიქცეო. და თან გადმოსახტომათ გამზადებულმა ხელი ჯიბეზე წაივლო, სადაც რევოლვერი ჰქონდა დამალული.

კოტე თვალებით შეუწყარა და ანიშნა ადგილიდან არ დანძრეულიყო.

ცოტა მანძილი რომ გაიარეს, კოტემ ეტლს მარჯვნით გადაახვევინა. ასე იარეს პირველ შესახვევამდის. მერე მარცხნით მოუხვიეს და მეორე მხრიდან ისევ ციხის ქუჩაზე გამოვიდენ.

კოტეს სახე არაჩვეულებრივად ანთებოდა. რაც ნიკოსთან ერთად გეგმა შეემუშავებინა, აბლანდიას მოულოდნელ შეხვედრას სრულიად დაეშალა და ახლა იმის გააზრებაში იყო, თუ როგორ მოქცეულიყო.

სწრაფი ორიენტაცია იყო საჭირო და ახალ გარემოებათა გათვალისწინება.

სანამ მიხვეულ-მოხვეულში გაივლიდენ, თავში ახალი გეგმა შეამზადა.

თითქოს ეს ახალი უფრო მოეწონა და ჭკუაში დაუჯდა.

ჯერ კიდევ გატაცებით ითვალისწინებდა მის დეტალებს, რომ ციხეს დაუახლოვდენ.

— კარებთან შესდექ! უბრძანა მან უცებ მეეტლეს და სანამ ალექსა ეტლს ბრძანებისამებრ დააყენებდა, წამოდგა და გადმოსახტომად გაემზადა.

ანდროს ვაკვირვებულ თვალებისათვის ყურადღებაც არ მიუქცევია, ისე ჩამოხტა და სწრაფი, მაგრამ ნაბიჯის მხედრულ ყაიდაზე მოქნევით, ციხის ალაყაფის კარებთან მიიჭრა, სადაც ზარის ჩამოსარეკი ტარი ეკიდა. დარეკა.

სანამ კარს გააღებდენ, ანდროსკენ პირი მოიბრუნა და ცალი თვალი დაუხამხამა, არხეინად იყავი მანდ ჯავრი ნუ გაქვს.

მეკარემ ჯერ კარის ვიწრო სარკმელში გამოიხედა. სამხედრო პირი რომ დაინახა, სასწრაფოდ გააღო კარი და სამხედრო სალამის მიცემით კოტეს წინ გაუჩერდა.

— ბატონი ვიცე-გუბერნატორის დავალებით ციხის უფროსი აბლანდია უნდა ვნახო. —რიხით განუცხადა კოტემ მეკარეს.

— არ გახლავთ.. თქვენო კეთილშობილებავ... —მიუგო იმან და კვლავ გამოეჭიმა.

ნაბრძანები იყო უნდა დამხვედროდა... —თითქოს თავისთვის ჩაილაპარაკა კოტემ და მერე უცებ ისევ მეკარეს მიმართა: —ვერ გამიგებ, გეთაყვა, სად იქნება ბატონი აბლანდია ან... როდის დაბრუნდება უკან?

მეკარე დაფაცურდა კარი დახშო და კანტორაში გაიქცა. მეორე წამშივე უკან დაბრუნდა და კოტეს ასე მოახსენა:

— ციხის უფროსი ეს-ეს არის საგუბერნიო სამმართველოს უფროსის თანა-

შემწის თანხლებით პოლიცმეისტერთან გეახლათ. უკან ერთ საათში მოელიან...

კოტემ მას მადლობა გადაუხადა და ეტლს მიაშურა.

— პოლიცმეისტერთან!—მთელი ქუჩის გასაგონად უბრძანა მეეტლეს.

ალექსამაც ოთხო დასძრა თავისი ლურჯა ლაფშები.

მაგრამ გაიარეს თუ არა ცარის ქუჩა, იმის მაგიერ რომ [illegible] ხიდისკენ გამართულიყვნენ, კოტემ შეეტლეს განკარგულება მისცა [illegible] ქუჩაში შეეხვია და წითელ ხიდისკენ წასულიყო.

• •

კოტეს მიერ ანაზდათ შემუშავებული გეგმა ასეთი იყო:

რაკი აბლანდიას უკან ციხეში ერთ საათში მოელოდენ, საპოლიციო სამართველოდან იგი სხვაგან აღარ გაიელიდა და პირდაპირ ციხეში დაბრუნდებოდა. ამ შემთხვევაში მისი მარშრუტი არ აცდებოდა ბულვრის რომელიმე მხარეს, მერე იქიდან გიმნაზიის ქუჩას, ამ ქუჩიდან თეთრ ხიდს და ასე ციხემდის.

ამ მანძილის გათვალისწინებამ კოტე იმ დასკვნამდის მიიყვანა, რომ ყველაზე უფრო ხელსაყრელი და მარჯვე დასახვედრ პუნქტად გიმნაზიის შენობის ის კუთხე გამოდგებოდა, რომელიც რიონისკენ მიმავალ ქუჩაში გადიოდა და პირდაპირ კიდევ თეატრის ქუჩის სწორი ხაზით ბულვრისკენაც იცქირებოდა. აქედან, უპირველესად ყოვლისა, ადვილი იყო აბლანდიას ეტლის ზორიდანვე დროზე შენიშვნა, რასაც მისი მცველის კოფოზე გამოკიმული ფიგურაც გაადვილებდა.

ამას გარდა ამ ადგილს თავს იყრიდა რამდენიმე ქუჩა. გზაჯვარედინი კეთდებოდა. უკან დახევის დროს მიმალვისათვის ამ გარემოებას დიდი მნიშვნელობა ექნებოდა: ოთხ გზაში გასაქცევად იმას აირჩევდენ, რომელიც ნაკლებად შეკრული აღმოჩნდებოდა. ოთხივე ქუჩის შეკვრას კი იმ მომენტში, თავდაპირველად, პოლიცია ვერ მოახერხებდა. მაგრამ ასეთი შემთხვევითი არჩევანი მხოლოდ მაშინ უნდა მომხდარიყო, თუ მტერი კოტეს მიერ უკან დასახევად წინასწარ არჩეულ გზას გადასჭრიდა, ასეთ გზად მას ცარჩნეული ჰქონდა თეატრის ქუჩის გაგრძელება, რომელიც გიმნაზიის შენობის გაყოლებით რიონში ჩადიოდა.

ეს ქუჩა მრავალ მხრით იყო კოტესთვის ხელსაყრელი.—მის ერთ მხარეს გიმნაზიის შენობა იდგა,—ნეიტრალური დაწესებულება, რომელიც უფრო ხელს შეუწყობდა ამხანაგებს, ვინემ დააბრკოლებდა,—მეორე მხარეს კი ხეტყის საწყობი იყო, რომლის ადგილმდებარეობის გამოყენება შეიძლებოდა თავდაცვის დროს, როგორც თავშესაფარად, ისე საბარიკადო ბრძოლისათვისაც, თუ ამას მდგომარეობა მოითხოვდა.

ყველაზე უფრო კი კოტეს ეს ქუჩა იმ მხრით აინტერესებდა, რომ აზრად ჰქონდა, როგორც კი ანდრო „საქმეს“ მორჩებოდა, იგი რიონისკენ გაექცია და ნაპირ-ნაპირ ეტარებინა ნდინარის გაყოლებაზე ვიდრე წითელ ხიდს ქვეშიდან არ გაივლიდა და მერე, ესრედ წოდებულ „სკაპცების“ უბანში რიონიდან პირდაპირ ამავალ ბილიკს არ მიაღწევდა.—აქ კი მას საიმედო თავშესაფარი ეგულებოდა...

. . .

ყოველივე ეს უკვე გათვალისწინებული ჰქონდა კოტეს, როცა ალექსამ ზედ წითელ ხიდის მოკაუჭებულ მოსახვევთან ნაბიჯი შეანელა და ჰკითხა, თუ ახლა საით წასულიყო.

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

ცოტა გაფიქრების შემდეგ კოტემ ეტლი დააყენებინა, ჩამოხტა, ანდროსაც უთხრა ჩამოსულიყო, და ალექსა ამ სიტყვებით გაისტუმრა:

— შენ წადი ახლა, ალექსა... შეიძლება დაგვჭირდე, შეიძლება არა... ყოველ შემთხვევაში აქედან რომ წახვალ, მწვანე ბაზრის უკან დადექი, „სკაპეცებში“ რომ ქუჩა მიდის იმის კუთხეში... გვიცადე არა ნაკლებ ორი საათისა... მერე, სადაც გინდა წადი... მაშ, ასე! გამარჯვებით.

მერე გვერდში ანდრო ამოიყენა და დიდად მოცლილ მოსეირნის ნაბიჯით ხიდზე გამოიარა.

შუამდის რომ მივიდენ, კოტე შესდგა. ანდროს მკლავში ხელი გაუყარა და ასე სამხრეთისკენ მიბრუნებული ხიდის მოაჯირს მიეყრდნო.

— აი, ის დიდი შენობა, რიონის პირად რომ სდგას, გიმნაზიაა...—შენგონებელივით დაიწყო კოტემ.—ხედავ, ფართე ქუჩა ჩაუდის... ის ქუჩა პირდაპირ წიგ ქალაქში იჭრება და ბულვარამდის მიდის... აქეთ კი რიონში ჩადის... სადაც, ხომ ამჩნევ, მეთულუხეებს წყალი ამოაქვთ... დააკვირდი კარგად. მერე აქეთ... ნაპირს გამოაყოლე თვალები... ცარიელი ადგილია. ნაპირი საკმაოდ ფართეა... ხომ ხედავ, ურემიც კი გაივლის... გზასავითაა. აქეთ მოდის, ჩვენსკენ. მერე ვიწროვდება... ვიწროვდება და ჩვენ რომ ვდგევართ, ამ ხიდს უახლოვდება. ხიდის ქვეშ გამოივლის. მერე... მოდი, იმ მხარეს გადავდგეთ. უფრო ვნახავთ... აი, აი, ძალიან დავიწროებულია ამ მხრით, მაგრამ გავლა მაინც. როგორც ხედავ, შეიძლება... იქ უკვე კლდე იწყება... მაგრამ კლდემდის, ძველი ქვითკირის ნაშენია რაღაც, და იმის გვერდით, აქეთ, კარიერით ადგილია, ნაგვის გადმოსაყრელს რომ ჰგავს... ზედ ასვლა შეიძლება... ბილიკზე ნაფეხურებიც კი სჩანს... გადიან-გამოდიან ალბად. იქ რომ აცოცდეს კაცი, პატარა ქუჩაში მოხვდება. გარშემო დაბალი სახლებია სულ პატარა ეზოებით... სოფელში ნაცხოვრებ კაცს გაეცინება კიდეც... იქვე ურიები ქათმებს ჰყიდიან გალიებში და კიდევ კვერცხებს. ეს ადგილი წინეთ „სკაპცებით“ იყო დასახლებული... ახლაც არიან, თუმცა ცოტა... იმ ქუჩას რომ გაივლი, სამიკიტნოები ხშირდება და მერე მწვანე ბაზარიც იწყება. იქ, სადმე კუთხეში, ჩვენი ალექსა იდგომება ეტლით. გაიგე, რასაც გეუბნები? იმასაც ხომ მიხვდი, თუ რისთვის გეუბნები?

— კი.

— დაინიშნე ეს გზა, იმ დიდი შენობიდან ვიდრე იმ ბილიკამდის...

— კი...

— ყური მიგდე: შესაძლებელია, ჩვენ ამ გზით მოგვიხდეს წამოსვლა... გაიგე? კარგი გზაა ხომ: ერთი მხრით, ზემოდან, კლდიანი ნაპირი... მეორე მხრით მდინარე... წინ და უკან ბილიკი... შესაძლებელია ერთად მოგვიხდეს

უკან დახევა... ეს ჩვენთვის ხელსაყრელი ამბავია. მაგრამ შესაძლებელია, შემთხვევამ დაგვაშოროს და შენ მარტო მოგიხდეს ამ ბილიკით სვლა... მაშინ, მე ალექსასთან დაგხვდები... თუ არა და, ალექსა მაინც დაგხვდება და... იმას მიენდობი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— კარგი.

— დაიმახსოვრე კარგად... მაშიხაც არ დაგავიწყდეს, ცეცხლში რომ გაგბვირონ, და ეცადე ამ გზით დაუსხლტე მტერს...

— არ დამავიწყდება...

— ახლა კი ხარ ყოჩაღად, ანდრო, მაგრამ... ხომ იცი... იმ დროს გული და თვალია კაცის ბედის გადამწყვეტი...

— ხომ არ მაშინებ, ამხანაგო?—და ანდრომ ამ ლბილად წარმოთქმულ სიტყვებთან ერთად ისე შეუღიმა კოტეს რომ აგრძნობინა: როგორ გითხრა, ბოდიში მომიხდია, მაგრამ საჭიროა მხოლოდ გზის ჩვენება და დანარჩენი მე ვიცი.

— ეს ყველაფერი კარგი, ანდრო...—მიუხვდა აზრს კოტე, მაგრამ—მაინც არ მოეშვა—მაგრამ ისიც უნდა გითხრა, რომ თუ დაინახო საქმე არ გამოდის, ან უხერხულია, ან მოულოდნელი რამ ხელს გიშლის, თავი უცებ მიანებე... არავითარ შემთხვევაში არ აჩქარდე. გადავდვათ... ხვალ რომ მოხდეს, დაგვიანებული არ იქნება...

— კარგი...

— მაშ, ვიაროთ... დანარჩენს კიდევ გზა-და-გზა გეტყვი...

. . .

ეს მოხდა დილის სრულ ათ საათს.

ის-იყო, აბლანდიას ნიშნიანი ეტლი—თოფიანი მცველით კოფოზე—ბულვრის კიდურ ქუჩაში გამოჩნდა და მერე, დაბარებულივით, პირდაპირ გიმნაზიისკენ წამოვიდა, რომ თეატრის კუთხეში მდგარმა კოტემ ქუდი მოიხადა და თეთრი ცხვირსახოცით, წინასწარი დაბერტყვის შემდეგ, თავსა და პირზე ოფლი მოიხოცა.

იმავე წამში გიმნაზიის წინ გაშენებული პატარა ბაღის მოაჯირს ანდროც მოსწყდა და ქუჩის პირად დადგა, გზა-ჯვარედინის იმ კუთხეში, სადაც ბულვრიდან მომავალი ქუჩის მოსახვევი იყო.

მისცა თუ არა ნიშანი, კოტე აჩქარებული ნაბიჯით თეატრის კედელს გამოჰყვა და ანდროსკენ გამოეშურა. მას თვალები ანდროსთვის შეეცვალებინა, ხოლო ყური უკან მომავალი ეტლის ხმაურისთვის მიეპყრო.

მოეწონა ანდროს სახე, როცა მცირედ მოახლოვებულმა მისი გამომეტყველება კარგად გაარჩია.

თვალები ცეცხლმოკიდებული ისარივით ქუჩის პირდაპირი ხაზით, მომავალი ეტლისკენ გაეტყორცნა ანდროს და სახეზე საკვირველი სიმშვიდის ნიღაბი

აეკრა, უცნაური ღიმილის ხაზებით შეკრული. ზედ შეურყეველი გაბედულების ბეჭედი აჯდა და სიხარულის შუქი უკრთოდა.

„უკან დამხევს არ ჰგავს"... გაიფიქრა კოტემ.

მაგრამ, აი, მას კიდევაც დაეწია ეტლი. წამი, და გაუსწრო კიდეც.

თვალები შეავლო. შიგ ისევ ორნი იყვნენ: აბლანდია და მისი უცნობი თანამგზავრი.

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

და როცა კოტემ კვლავ ანდროს შეხედა, ერთდროულად ეტლიც მოჰყვა მის ხედვის ფარგალში: ეტლმა ჯერ უძრავად მდგარ ანდროს გაუპირდაპირა და მერე მისგან სამოოდა ნაბიჯის მანძილზე გიმნაზიის ეზოსკენ მიუხვია.

გადამწყვეტი მომენტის დადგომის აღსანიშნავად კოტემ თვალი, ფიქრის უმალესად, დახუჭა და ისევ გააღო.

თითქოს არ დაიჯერა: ანდრო ეტლის ასავალ საფეხურზე იდგა...

მაგრამ უმალვე ზედიზედ ორჯერ გავარდა რევოლვერი, და ეტლი კომლმა შებურა.

აირია ყველაფერი. შეინძრა ქუჩა. რახუნით დაიხურა დარაბები.

კოტემ მაინც გააოცა, რომ ორი კაცი ჰაერში ავარდნით მოსწყდენ ეტლს და ქუჩაში გაიწხლართენ. იმავე წამში მან ისიც დაინახა, რომ ცხენების მიერ გატაცებულ ეტლის კოფოდან თოფიანი მცველი გადმოხტა და ცალ მუხლზე დაშვებულმა თოფი ანდროს დაუმიზნა.

გავარდა ორი ერთიმეორეზე.

კოტეს სმენაში ისინი ისე მოთავსდენ, თითქოს პირველი რევოლვერი უნდა ყოფილიყო.

მაგრამ სანამ თვალით შეამოწმებდა, რომ ანდრო კვლავ ფეხზე იდგა, ძესამედ კიდევ გავარდა. ახლა კი გარკვეულად რევოლვერის ხმა მოესმა კოტეს, და ისიც შენიშნა, რომ აბლანდიას მცველი ქუჩაში გართხული იყო.

თითქოს დაავიწყდაო თავისი მოვალეობა, კოტე გახარებით მოსწყდა თავის ადგილს და იქითკენ გაეშურა, სადაც შუა ქუჩაში რევოლვერით ხელში ანდრო იდგა და ხან ერთი მხრით უსულოდ დაყრილ აბლანდიასა და მის თანამგზავრს დახედავდა, ხან კიდევ მოშორებით მეორე მხარეს მიგდებულს მათ მცველს.

ქუჩა სრულიად დაცარიელებული იყო.

კოტეს გახარების აღტაცებამ გადაუარა. ისევ შესდგა.

საუკეთესო მომენტი იყო გაქცევისათვის. მათი კვალიც კი ახლა ადვილად დაიკარგებოდა.

მაგრამ ანდრო არ ჩქარობდა წამოსვლას, ადგილიდან არ იძროდა.

კოტეს სისხლი ეცა სახეში მოუთმენლობისაგან.

— წამოო!—უცებ დასჭექა მან, რომ გარინდებულ ანდროს სმენამდის კარგად მიეწვდინა, და თვითონ კი უკან დაიხია ზურგით, რომ ანდრო ხედვიდან არ დაკარგოდა.

ახლა შორი ახლა ფსტვენაც გაისმა.

მაშინ ანდრო მობრუნდა და რიონისკენ მიმავალ ქუჩას თვალები გააყოლა.

მის თავში კოტე დაინახა, რომელმაც ახლა ხელითაც ანიშნა, ჩქარა ჩემსკენ გამოიქეცი.

ანდრომაც მისკენ ნაბიჯი გადმოდგა.

მაგრამ წამოსელის წინ დახოცილ მტრებს ერთხელ კიდევ შეავლო თვალი.

„სოლომონ ვარაძე"—ჩუმად სთქვა გულში, თითქოს მხოლოდ ახლა იცნო, როცა აბლანდიას თანამგზავრს ჩაუარა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეორესთან კი შესდგა.

მის ფეხებთან აბლანდია პირაღმა გაეხლართულიყო.

დააცქერდა.

აბლანდიას სახეზე მტვერი წაყოლოდა და ზედ პირიდან გადმონთხეული სისხლი გადაღვროდა. ცალი თვალი ღია უჩანდა, უმეტყველო, მინისებური.

ანდროს ყურადღება, თითქოს მოულოდნელად, გახვრეტილ გულიდან მომდინარე, დაშრეტაზე მიმდგარმა სისხლის ნაკადმა მიიქცია.

უცებ იგრძნო, რომ რაღაც შეენძრა შიგნით, სადღაც აქამომდე დაშხულ სიღრმეში, და ყოველ ტკივილზე უმწვავესი სურვილი ცეცხლის ალივით მთელ ტანზე შეეკიდა.

„სისხლი"—გამოსახა ტუჩების უხმო აბგერებით და, თითქოს ულმობელი წარმართული ღმერთის იდუმალ ძახილს ყური მოჰკრაო, ისე შეთრთოლდა, აღტკინდა.

წელის სწრაფი და უცნაური გადატეხით დაიღუნა და მარჯვენა ხელის საჩვენებელი თითით სისხლს დასწვდა.

თბილი იყო.

მერე თვალები დახუჭა. თავი მაღლა შეისროლა, და, მიუწვდომელი ექსტაზის ფარული სიამის სახეზე გამოხატვით, სისხლიანი თითი, უცნაური მლვდელთმოქმედების მსგავსი წესის დაცვით, პირიდან გამოყოფილ ენისკენ წამოიღო.

— აჰა, მოვიკალ ერთი წყურვილიც...

სთქვა, სანამ დახუჭულ თვალებს გაახელდა.

მერე უცებ მოსწყდა თავის ადგილს.

სწრაფად გაიარა ქუჩის განი და ტროტუარით ხეტყის საწყობისკენ გაეშურა, სადაც მას ჯერ კიდევ კოტე მოელოდა.

ამ დროს კიდევ გაისმა პოლიციის სანიშნებელი ფსტვენა, ამ შემთხვევაში უკვე ახლოს, და ანდრომ და კოტემ ერთდროულად შენიშნეს, რომ ბულვარის მხრიდან პოლიციელთა გუნდი გამოჩნდა ორი ბოქაულის მეთაურობით.

ჯერ კიდევ შორს იყვნენ, მაგრამ, სჩანდა სწორი გეზი ჰქონდათ აღებული და მკვლელობის ადგილისკენ ერთმანეთს დაშორიშორებულები ფრთხილად მოდიოდენ.

მათ დანახვაზე ანდრო შესდგა და შესატევად იქვე თავშესაფარს დაუწყო ძებნა.

მაგრამ მოახლოვებულმა კოტემ მაგრად ჩაავლო მკლავში ხელი და თან გაიყოლია.

— წამოდი მეთქი ჩქარა!—თითქოს შეუწყარა შეგვიანებისათვის.—რევოლვერი დამალე... ფეხდაფეხ მომყევი...

ასე მცირე მანძილი სირბილით განვლეს და მერე ხეტყის საწყობის ეზოში შევიდენ.

აქ ერთიც უკან მოიხედეს.

პოლიციელებს უკვე შეენიშნათ ისინი და ახლა ზოგი ტყვიით და ზოგიც ტროტუარით რევოლვერებით ხელში მათკენ გამორბოდენ.

— არაფერია!—სთქვა კოტემ.—წამო!

ეზო გადაჭრეს. უკანა ღობეზე გადახტენ. მერე რაღაც ხრამი გადაიარეს და იქიდან დაქანებით რიონის ნაპირს მიაღწიეს.

უკან ეხლა ხმაურობა ისმოდა, ცხენების თქარათქური შერეული.

კოტე და ანდრო ნაპირის ხაზს მიჰყვებოდენ.

მალე წითელ ხიდს დაუახლოვდენ.

მის ქვეშ რომ მოხვდენ, კოტემ ანდრო წინ გაატარა. თვითონ კი თვალის დახამხამებაში ქამარი წელზე შეიხსნა და ხმლიან-ხანჯლიან მდინარეში გადაუშვა. მერე ჩოხა-ახალუხი შეიგლიჯა. გაიხადა. ფაფახის შიგნით შეყოლებით შეხვია, ბურთივით დაამრგვალა და ესეც წყალში გადაისროლა.

ახალუხის ქვეშ უბრალო ხალათი აღმოაჩნდა, ზოლებიანი.

ამ სახით დაწინაურებულ ანდროს დაეწია.

რამდენიმე ნაბიჯი კიდევ, და ნაცნობ ბილიკსაც მიაღწიეს, რომელსაც ამას წინად ხიდიდან ათვალიერებდენ.

აქ მათთან ერთად მათი კვალიც გაჰქრა.

XXVIII

ხელჩართულ ომს ჰგავდა მთავრობასა და რევოლიუციონერების ორგანიზაციის შორის გამართული ბრძოლა.

მთელი კვირა გასტანა მან.

ამ ხნის განმავლობაში დიდი-ვასო და მისი შტაბი ციხიდან გამოქცეულ ამხანაგებს დღე-და-ღამ შეუსვენებლად ისტუმრებდენ ქუთაისიდან.

მიუხედავად დიდი სიფრთხილისა და მიღებული ზომებისა, ბევრს მათგანს ბედმა უმტყუნა და პოლიციას ხელთ ჩაუვარდა—ზოგი საერთო ჩხრეკის დროს შემთხვევით დააპატიმრეს, ზოგი გზაზე „ჩავარდა". ორ შემთხვევაში ღალატსაც ჰქონდა ადგილი, რომლისგან მიუხედავად დამხმარე ხალხის სასტიკი შერჩევისა, ვასომ მაინც ვერ უზრუნველყო ამხანაგები.

თომა, მღვდლის ანაფორაში გადაცმული, აბლაბნდიას მოკვლის დღესვე უვნებლად გავიდა ქალაქიდან, ტფილისის მიმართულებით.

მეორე დღეს კი, ღამით, ბათომის მატარებელს გაჰყვა აოჩილ დადიშიანი შალვა რამაძის თანხლებით, და მისგან დამოუკიდებლად, სრულიად ცალკე, ამავე მატარებლით ნიკო და ანდროც ბათომისკენ გაემგზავრენ.

ასე თანდათან განიტვირთა ქუთაისი.

ციხიდან გამოსულ ოცდაათი კაციდან, ვასოს ანგარიშით, ოცამდის თუ

ააღწევდა ამ დროებით გადარჩენილთა და ქუთაისიდან გამგზავრებულთა რიცხვი.

ბოლოს ქუთაისს მხოლოდ ორი კაცი შერჩა:—დიდი-ვასო და ამხანაგი კოტე...

. . .

ეროვნული ბიბლიოთეკა

განსაკუთრებით ხელსაყრელ პირობებში მოხდა არჩილის გაგზავნა ქუთაისიდან. მას სრულიად ლეგალური სახე ჰქონდა.—

ბათომის მატარებლის გასვლამდის რამდენიმე წუთით ადრე, ნაშუალამევს, ქუთაისის სადგურს ორი ეტლი მიადგა, ბრწყინვალე გვამებით დატვირთული. —ეს იყო წარჩინებული თავადი ნოდარ რამაძე მახლობლების თანხლებით, რომელიც ამ ღამეს თავის ვაჟს, შალვას, მის მეგობართან ერთად რუსეთს ისტუმრებდა ბათომით.

მათთან იყვნენ: განსაკუთრებულ მინდობილებათა მოხელის თანამდებობის აღმასრულებელი გუბერნატოროთან, მთელ ქუთაისში კარგად ცნობილი ახალგაზრდა თავადი ბოკოკი რამაძე, რომლის ბინაზე შალვას არჩილი ჰყავდა დამალული, მისი და მერი, დროგარდასული თავადის ასული, ცაცასა და არჩილის რომანის შორიდან მეთვალყურე, და ერთიც სამხედრო პირი, ბოკოკის მეგობარი, ესეც რამაძეების ნათესავი.

ეტლიდან ყველანი ერთად სადგურის დარბაზში შეიმართენ. სტუდენტურ ფორმაში გამოწყობილი შალვა და არჩილი შუაში ჩაყენებული მოჰყავდათ. ამათაც თავი ისე ეჭირათ, როგორც ამ ბრწყინვალე წრეს შეეფერებოდა.

მერის ერთი მხრით თავადი ბოკოკი ამოდგომოდა, მეორე მხრით კი—არჩილი.

ხმაურობით შევიდენ დარბაზში. ბოკოკი რამაძეს პირზე სულ „კნიაზ“ და „კნიაგნა“ სწყდებოდა. ხმამაღლა ლაპარაკობდა, ხუმრობდა, თვითონაც იცინოდა და სხვებსაც აცინებდა. ნაცნობებს მარჯვნით და მარცხნით რუსულად სალამს აძლევდა სამხედრო ყაიდაზე, და ასე წერწეტი ტანის რხევითა და ბედნიერი უდარდელობით ბაქანზე გასავალ კარისკენ გზას მიიკვლევდა. აქით „პარდონს“ შესძახებდა ფრანგულად, იქით კიდევ—რუსულად ბოდიშს მოიხდიდა.

რამაძეების ჯგუფმა პირველი კლასის რონოდისკენ გაუპირდაპირა და ასავალ კიბესთან შესდგა, სანამ მუშები შალვას ბარგს კუპეში შეიტანდენ.

თავადი ბოკოკი აქაც არ დაწყნარდა. ერთიც ბარგის მუშებს შეუწყრა, რალაც განკარგულება მისცა. კონდუქტორსაც სათანადო კილოზე გამოელაპარაკა. მერე ანაზდად თვალი მოჰკრა ჟანდარმთა ოფიცერს, რომელმაც შემთხვევით იმ მხარეს ჩაიარა და მთელი ბაქანის გასაგონად მიესალმა. შეაყენა. ხელი ჩამოართვა. მოიკითხა და შემდეგ სერიოზული სახით საუბარიც გაუმართა.

არჩილ დადიშიანს რალაც უხერხულობის გრძნობა აწუხებდა. ღიმილით კი შერჩენოდა ცალ ყბაზე, მაგრამ ნაძალადევი რომ იყო თვითონ ატყობდა. არ იცოდა, როგორ მოქცეულიყო: ბუნებრივ ღიმილად ვერ შეეცვალა, ხოლო მისი მთლად ჩამოშორებაც ვერ გაებედნა.

მერი მას განზრახ გრძელ რასმე ამბავს ელაპარაკებოდა, ვითომ ძალიან საინტერესოს. მაგრამ არჩილს აქა-იქ თუ ესმოდა მისი სიტყვა. ხანდახან, ანსაბლისათვის, თვითონაც საპასუხო ორ-სამ სიტყვას გადმოაგდებდა პირიდან, მაგრამ უმალვე ისევ დადუმდებოდა... შალვას კი ხშირად შეხედავდა თვალებში, უმწეოდ, თითქოს ეკითხებოდა:

„კაცო, როდის გადავრჩები ამ კომედიას?.. წავალთ თუ არა?“

მეორე ზარიც დაირეკა.

ახმაურდა სადგური.

გულზე მოეშვა არჩილს.

— მე თქვენ განსაკუთრებული მოკითხვა უნდა დაგაბაროთ ცაცასთან...— აჩქარებით მიმართა ახლა მას მერიმ. —უთხარით: მერიმ... იმდენი გაკოცა... იმდენი გაკოცა, რომ სულ რომ ითვალო, ვერ დაითვლითქო. ასე უთხარით...

— რა თქმა უნდა... დიდი სიამოვნებით... დიდი მადლობელი ვარ...— უპასუხა ამაზე არჩილმა ავტომატივით, მაგრამ მექანიკურად წარმოთქმული სიტყვების აზრი რომ ცოტა მოგვიანოდ გაიგო, ოცებ შეკრთა.

„როგორ? ცაცასთან კოცნას მაბარებენ და მე მადლობას ვებუნებიო?“— ძალიან შეწყრა გულში, მაგრამ გვიან იყო. ნათქვამის გამოსწორება არ შეიძლებოდა.

— თქვენი განთავისუფლებაც მიულოცეთ ჩემ მაგიერ...—ყურთან ჩასჩურჩულა ახლა მერიმ და დიდ მნიშვნელოვანად გაიცინა.

— უკაცრავად, ქალბატონო მერი, მაგრამ... ჰმ... მე მგონია, რომ მოსკოვში ძალიან შეკვიანებით მოვხვდები და... კარგს იზამთ თუ მოკითხვას შალვას დააბარებთ.—ვითომ ეს მოიგონა, რომ პირველი მარცხი გაესწორებინა, მაგრამ თითონაც იგრძნო, რომ საქციელი წაუხდა. შერცხვა.

უხერხული მდგომარეობიდან იგი შალვას მამამ გამოიყვანა:

— მაშ, გზა მშვიდობისა!—მიმართა მან არჩილს და გამოსამშვიდობლად მიუახლოვდა. ხელი ჩამოართვა.

არჩილს მისთვის მადლობის გამოცხადება უნდოდა. ის იყო ძლივს აიდგა ენა აბორძიკებით, მაგრამ თავადმა ნოდარმა გააწყვეტინა:

— თავი ტყუილა არ დაიღუპო, შვილო... სხვა რომ არა იყოს რა, დედა უნდა შეიცოდო...—მერე თავი დახარა და შუბლზედ აკოცა.

— თქვენო ბრწყინვალებავ!—გაისმა ახლა არჩილის მიმართ თავადი ბოკოკის რუსული.—მეც მომეცი ნება, გზა დაგილოცო და მშვიდობით დაბრუნება გისურვო. იმედი მაქვს სასახელო დიპლომს ჩამოიტან და შენს ცოდნას და გამოცდილებას მეფის, სამშობლოს და სარწმუნოების ერთგულ სამსახურისათვის გამოიყენებ... გვარისა და ერის სასახელოდ!.. —უკანასკნელი წინადადება ძალიან ხმამაღლა წარმოსთქვა ბოკოკიმ, თვალების ირგვლივ მიმოვლებით. მერე მალულად სახე ძალზე დაღრიჯა, ენის წვერი გამოაჩინა და ასე საკოცნელად არჩილს პირი დაუახლოვა.—მეფე კი საქართველოსი“ იგულისხმე, იცოდე— ყურთან გაუჩურჩულა ქართულად და აკოცა.

მესაძე ხარზე გამოთხოვებაც გათავდა. შალვა და არჩილი კუპეში შევიდენ.

(გაგრძელება იქნება)

ალექსანდრე ქუთათელი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ცხენოსანი

I

სარდაფიდან ამოვიდა მთვრალი კაცი, დოინჯები შემოიყარა და ქუჩას გამომწვევი მედიდურებით გადაჰხედა, თითქოს ამბობდა:

„ვისაც გული გერჩით, აბა ერთი წინ დამიდექით და ხმა გამეცით“-ო!

მძლავრი ხმა გამოსცა. მილიციონერმა სასტვენი დაუკრა. მთვრალმა იუკადრისა და იერიქონის საყვირივით ილრიალა. ეს ხმა იყო მეტად ჯანსაღი და დევივით ძლიერი, ოჩოკოჩის ხმა.

შუალამე გადასულიყო. მე შევჩერდი და მაცინებდა მისი ახირებული გადაწყვეტილება: „გინდათ თუ არა, თქვენს ჯინაზე უნდა ვილრიალო!“-ო.

ლიმილი შემამჩნია და ოდნავ მოკაუჭებულს, მაღალწვივიან—კანჭებზე მდგარი, ბარბაცით ჩემკენ წამოვიდა.

მას ეცვა შავი ჩითის დაჭმუჭნილი და მეტად ვიწრო შალვარი, ასეთივე ხალათი, წელზე შემოეკრა ზორნის ფოჩვიანი ქამარი და თავზე—თუშური ქუდი. ლამფის შუქზე დავინახე არწივისებური, უზარმაზარი ცხვირი; შუბლი კუნთიანი, ლოთობისაგან დასივებული; ცალი წარბი მრისხანებით მაღლა აზიდული; წარბებიდან იცქირებოდენ ფოლადივით მაგარი, წყლისფერი თვალები; პირისახე შედარებით გამხდარ სხეულთან, უჩვეულოდ დიდი; იგი იყო დაღარული ხაზებით თვალთან, ცხვირის ნესტოებიდან და ბაგეთა განაპირა კიდედან; წაბლისფერი წვერ-ულვაში. სინათლეზე თითქოს მოსჩანდა გამსჭვირვალე ტანთსაცმელითგან მუხლებში ოდნავ მოხრილი, მეტად მაღალი და ახმახი კაცის ჩონჩხი, მუხლებამდე დაცვენილის, გძელი მკლავებით—ხელითა“.

ეს ხელები თავისი უჩვეულო სიგძისა და სიდიდის გამო იწვევდენ გაკვირვებას.

ამ ხელების პატრონი მიახლოვდებოდა, და მე შევნიშნე ნიჩაბივით ფართო ტორიანს ხელებზე სისხლით დაბერილი, დაჭინთული უზარმაზარი ძარღვები.

გავიფიქრე: ამ კაცთან აყალმაყალი, მუშტკრივზე გასვლა, სრულიად არ

იქნებოდა ჩემთვის ხელსაყრელი და თანაგრძნობის გამომხატველ, თავაზიანის ღიმილით შეეგებე.

— Вы чего смеетесь?—მეკითხებოდა ის.

— არც მიფიქრია—მეთქი. ამ დროს მილიციონერიც მოვიდა, ნაკვავილევი, შავად გარეულული; ეხლა მას მიჰმართა:

ეროვნული
ბიბლიოთეკა

— Ты чего свистишь?

— Нелзиа на улица кричишь!—უპასუხა მილიციონერმა.

— შანვორთი!—ჩაილაპარაკა ჯოხზე დაყრდნობილმა მეეზოვემ ქურთულად, ისე რომ მთვრალს არ გაუგონია. მილიციონერი და სამი მეეზოვე გარს-შემოერტყა.

— ქართველი ხარ?—ჰკითხა მილიციონერს დამნაშავემ.

— არა.

— მაშ?

— ინგუში!

— ქართული იცი?

— ვიცი!

— ჯარში გიმსახურია?

— მიმსახურია!—უპასუხა მილიციონერმა.

— მაშ იცოდე: შენისთანა ბიჭები ბევრი გამამიზდია. ქუჩაში რა შაიძლება რა კიდევ არა, შენ უნდა მასწავლო?

— აუწია ხმა მთვრალმა. მილიციონერს გაეღიმა.

— გთხოვთ ჩაიწიოთ!—მომმართა მე და მილიციონერი გვერდით მოისვა. ქუჩაში დადგმულს სკამზე. უზარმაზარი თათი ბეჭს—კისერზე დაადო, ხმადაბალი საუბარი დაუწყო, სიტყვები კანტი-კუნტად მესმოდა. ჩემკენ უნდობლობის თვალით იცქირებოდა. ქართულს ძლივს ახერხებდა. უმთავრესად რუსულს ამბობდა. მტვერში ამოსვრილი, გაქონილი ტანსაცმელით და დაუბანი სახით იგი ახდენდა ქუჩის მდაბიო ლოთის შთაბეჭდილებას.

— სად გიმსახურნია? ჩააცივდა ისევ მილიციონერს.

— კავალერია.

— რომელში?

— დიკი დივიზია!—ამ სიტყვების გაგონებაზე მთვრალის თვალები ნაღვერდალივით აენთნენ:

— შენი სახელი?

— მე ინგუში ხარ, ისმაილ!—მეზობელმა თავისი უზარმაზარი ხელის თითები რკინისებურის მარწუხებივით ჩასჭიდა კისერში მილიციონერს, თავი ბავშივით მაღლა ააწევინა, შემოატრიალა და თვალებში ჩააცქერდა:

— ისმაილ, კარგა შამომხედე!

— მგონი მე შენ იცი!—უპასუხა მილიციონერმა და თანაც უხერხულობას ჰგრძნობდა სადარაჯოს მიტოვების გამო. მეზობელი ნუსხავდა ფართოდალებულ, გაბრწყინვებულ თვალებით: ეკითხებოდა თუ რომელ ლეგიონში და ასეულში იმსახურა მან.

— ისმაილ, კარგა შამომხედეი! ნუ-თუ ვერ იცან შენი უფროსი გიგა მახვილაძე?

— გიგა მახვილაძე!—გავიმეორე მე ჩუმად და მართლაც შევიცანი ერთ დროს ომში განთქმული ძველი ცხენოსანი, ყოფილი ოფიცერი.

— მახვილაძე!—წამოიძახა ისმაილმა და უნებლიეთ თვალებში, ფეხზე წამოდგა. გაკვირვებული უცქერდა:

— გიცნობ, ვიცი, ხელები, ცხენი, ძალა...

— ჰო, ჩემო ისმაილ, ეს ხელები კარგა სჩეხდენ ერთ დროს...

გაიბა საუბარი. იგონებდენ თავის ნაწილს. ომს. თავგადასავალს...

ისმაილ წასვლას აპირებდა და ბოდიშს იხდიდა, მახვილაძე წამოდგა, შეაღიმართა, მხარბეჭი გაშალა. გაკვირვებით შემომხედა, რომ ასე გულდასმით ყურს ვუგდებდი მათ საუბარს. ცალი თვალი ჩემზე დასტოვა, მიჰმართა ისმაილს და გაუწოდა თავისი დაძარღვული, ნიჩაბივით ფართო, ვრცელი და ჯანსაღი ხელი:

— Вот моя лапа, лапа старого драгуна, помни своего командира— ისმაილმა ხელი ჩამოართვა. მახვილაძე უჭერდა.

მილიციონერს მუხლები ეკეცებოდენ, მოიხარა, მიწაზე ეშვებოდა... მახვილაძემ მაშინ მყისვე ამოჭრა ხელი და ფეხზე წამოაყენა... ისმაილი ხელს იზელავდა და სიცილით გაეშურა თავის სადარაჯოსაკენ.

II

მახვილაძემ მიიხედ-მოიხედა და ჩემს მეტი არავინ ხელთ არ შერჩა:

— ის ყოფილი ჩემი ჯარისკაცია, მე ეგრე ნუ მიცქერით, მე ვარ პოლკოვნიკი... იქნებ თქვენ არ გჯერათ? დამიწყო საუბარი მახვილაძემ რუსულ ენაზე.

— რათ არ უნდა მჯეროდეს? მე ისიც ვიცი, რომ თქვენ ხართ დაჯილდოვებული ოფიცერთა წმ. გიორგის ჯვრით, ოქროს ხმლით, ატარებდით მამაცი მხედრის სახელწოდებას!—ვუპასუხე მას.

მახვილაძე ძალზე გაკვირვებული დარჩა, კარგა ხანს არასფერი უთქვამს, არც ჩემ ქართულს მოელოდა, ხმა და მიხვრა-მოხვრა გამოიცვალა. შეეცადა თავი ფხიზლად გამოეჩინა. თამბაქოს კოლოფი ამოიღო და მომაწოდა თავაზიანად, კავალერისტის გადაჭარბებულ ე. წ. დეენტლემენ მოქცევით... რუსეთში გაზრდილი ბავშობიდანვე იგი ამბობდა რუსულს „პეტერბურგის“ უნაკლო გამოთქმით: ასო „რ“-ს უკანაენისმიერი გაბგერებით...

— Папиросы-то у меня демократические, может быть вы их и не курите?!—გამოვართვი:

— ვეწევი!—მეთქი. მისი თამბაქო იყო: „Закфедерация“. გააბოლა. თვალებში ხანგრძლივ ჩამაცქერდა და ვინაობა გამომკითხა; მე ვუპასუხე...

— თქვენ ისმენდით ჩემს საუბარს მილიციონერთან! დროებით შეშინებულმა ცხენოსანმა დაიწყო რვეერანსები არსებულ ხელისუფლების მიმართ, როგორც კოზირი ჩემთან საუბრის გაგრძელებისათვის:

— უპირველეს ყოველისა მე ვფიქრობ საქართველოზე! — სთქვა მახვილაძემ და ცალი თვალი დაჰხუჭა, მეორე ეშმაკურად შეათამაშა ფართოდ აღებული; ირონიულად გაიღიმა და თავითფეხამდე ამათვალიერა:

— Почему наша многострадальная, когда-то рыцарская, красивая наша родина Грузия, которая достигла такой мощи при Царице Тамаре, должна быть теперь такой отсталой страной..? — დაიწყო [illegible] ქართულებულ ქართველ ინტელიგენტის მსგავსი სიტყვები, რომელიც ოცნებობს გარკვეულ შინაარსის მქონე საქართველოზე. მახვილაძე განაგრძობდა თავის საქართველოს შესახებ:

— საქართველოს არა აქვს უფლება, ან არ შეუძლია იყოს სახელმწიფო, ჰყავდეს ჯარი..?

— აკი არის, ჯარიც ჰყავს! — ვუპასუხე მას,

— სრულიადაც არა! განრისხდა ის: „ეხლანდელი ჯარი? ჯარში უნდა იყოს რკინისებური დისციპლინა! ხშირად მე ჩემს ჯარისკაცებისათვის სახეში მათრახი მიცემნია, მაგრამ ომის დროს ყველა მზათ იყო თავი დაედო ჩემი გულისათვის, მაინც ვუყვარდი მათ; ინგუშები ამბობდენ: „Закон крепко держит, пули не боится!“ ეხლანდელი ჯარი კი ომის დროს მიტინგს მოგიწყობს“.

— მკვდარს დისციპლინაზე აღზრდილ ჯარს სჯობს ჯარი შეგნებით და იდეის გულისათვის მიმავალი ბრძოლაში! — ვუპასუხე მას, მაგრამ მახვილაძე ისევ აცივდებოდა თავის ძველ დრაგუნებს და ინგუშებს.

— თქვენი ჯარისკაცები ინგუშები იყვნენ? — შევეკითხე მახვილაძეს.

— ჰო, დააგუგუნა მან ბოხი ხმით. — უნდა გამოგიტყდედ, ქართველი ომში სუსტია, განსაკუთრებით იმერელი, ხომ გახსოვთ ლერმონტოვის: „Не долго продолжался бой, бежали робкие грузины“!? ო, სადღა არიან ჩემი ძველი ბიჭები, ისინი მყვანდნენ? ბევრი კი არა, — სულ ასი, ორასი დრაღუნი. უხ! Зарубим к чорту! — სთქვა მან და ხელი მძლავრად გაიქნია ცარიელი, უხმლო, ლოდის ოდენა მუშტი... ამ წუთს იგი გაიზარდა ლომივით, ბეჭები გაუფართოვდენ, თვალები ველურად აენთენ, წვერ-ულვაში ნადირივით გაეფოფრა, ტანთ გააჟრჟოლა... შემდეგ შორს, ტფილისის ნთებისაკენ გაიხედა და დამშვიდდა.

მე მეტის-მეტად დამაინტერესა ამ კაცის ვინაობამ, წარსულმა და აწმყომ... საუბრის გამომწვეული კითხვები დაუსვი... მახვილაძე ჩამაცქერდა თვალებში და ღვინოზე მიმიპატიჟა:

— მხოლოდ ერთი ბოთლი! დღეს ხუთმეტი მანეთი ავიღე. სკამები გავყიდე ბაზარზე... შუადღიდან ვსვამ... ფული სულ დავხარჯე. ვინც კი შემხვდა ნაცნობი, ყველას დავუძახე... მე ასეთი ხასიათი მაქვს... მერე რა? ერთი ბოთლის კიდევ მექნება... ეკაცრავად... იქნებ თქვენ ჩემისთანა ლოთთან გრცხვენიათ?.

— სრულიადაც არა!

— არა უშავს რა! ხუთი კვარტი მექნება დალეული... ორი ჩაის ჭიქა არაყი... მერე რა? სხვას, რომ ამდენი დაელია, ის იქვე სტოლქვეშ დაეგდებო-

და. მე კი აი, კიდევ ფეხზედ ვდგევარ (თუმცა ის ფეხზე ვერ იდგა მაინცა და მაინც მყარად!) გესაუბრებით კიდეც; სისულელეს ხომ არ ვამბობ რასმე? მაპატიეთ გეთაყვათ! მობრძანდით! – არ მეშვებოდა მახვილაძე.—ახლოდ ერთი ბოთლისა მაქვს...

— თუნდაც ორი ბოთლის დავხარჯოთ, მაგრამ მე ღვინოს არა ვსვამ — მეთქი. მინდოდა თავიდან ამეშორებინა ასეთ გადამთვრალ კაცთან ლაპარაკი, მაგრამ ცნობისმოყვარეობა არ ცხრებოდა.

— თქვენ ლუდი ინებეთ!

— არც ლუდს!

— მაშ ლაღიძის წყალი სვით! Чорт вас знает, что-за вы грузин! — აღარ დამერიდა მახვილაძე. უარის თქმა შეუძლებელი იყო. ისევ რესტორანში შევედით.

III.

რესტორანში იდგა თაბაშაქოს ბოლისგან ბური... სხვადასხვა ჯურის ხალხი მწერივით ირეოდა. ერთი ბოთლი ღვინო, ყველი-მწვანილი და ლიმონათი მოითხოვა... მე დავამატე მწვადი... გადაჭრა და ასე დაიწყო:

— ეს ჩვენი გაცნობისა იყოს! ჩვენ უნდა გავეცნოთ ერთმანეთს უფრო ახლო... ეხ, ბიჭუნავ, მე ხომ მაქვს უფლება გითხრათ თქვენ „ბიჭენა“? ორმოცი და რვა წლის კაცი ვარ... ბევრის მომსწრე და მნახველი, ცხოვრებით გამოცდილი.

— რომ თქმა უნდა! დაუდასტურე მას.

— მართალია, მე ეხლა კაცის სახე დავკარგე... მერე რა? მე არავის ხელს არ უშლი... სოციალისტებს სურთ იდეალური სამყარო? კეთილი ინებონ! იდეალი კარგია, მაგრამ აი, მეთოდი, მეთოდი. მისი განხორციელება!..—მახვილაძე დამაცქერდა ორჭოფულად:

— სოციალიზმი ეს ბედნიერებაა კაცობრიობის!. იგი—ბოლომდე განაგრძობდა ჩემში დაეჭვებას და ისევ დაიწყო:

— Моя хата с краю! მე არაფერში ვერევი, მაგრამ მე ჩემი აზრი მაქვს, გაგება ცხოვრების შინაარსისა... თვით ადამიანის ბუნებაა დაშორებული სოციალურ ინსტინკტს; იგი ეგოისტურია უფრო... არა, მე ჭკვიანი კაცი ვარ!— სთქვა მახვილაძემ და მოჰყვა ციტატებს წაკითხულიდან.. მახვილაძე ისევ იმეორებდა:

— მე ჭკვიანი კაცი ვარ და მიტომ არასფერში ვერევი, დღესაც თავისუფლათ დავდივარ. нет брат, я стреленная птица! მაგრამ აი, ჩემი ძმისწული, საყვარელი ჩემი მიტო. ჩემს ყაიდაზე გამოზრდილი ცხენოსანი ვაქკაცი, ლამაზი გუსარი, იყო აჩქარებული და დაუკვირვებელი!.. მახვილაძემ გულისფიცარი შეინგრია მჯილითა და განაცხადა სრულის შეგნებით:

— ცხოვრების სიბრძნე მაქვს შესმული. შემიძლია ზოგი რამ თქვენც გაგიზიაროთ გინდათ?

— მასწავლეთ!

— მაშ კარგად დაიმახსოვრეთ, რომ ამა და ამ დღეს, ამა და ამ სარდაფში ვინმე ლოთმა გიგა მახვილაძემ მითხრა თქო: არ დაივიწყო, ამა ქვეყნად რუსული ანდაზა: „ღმერთო დამიფარე მეგობრებისაგან, მტრებს კი მე თვით გაუსწორდები!“

— მაგ სიტყვებში არის ერთგვარი სიმართლე! შევნიშნე მას.

— მეც ვზივარ ეხლა და მეგობარიც არა მყავს! არცა მსურს! ეგენ ჩემთვის და ვმუშაობ! ვმუშაობ და შემდეგ ვსვამ...

— რას მუშაობთ?

— რასა? მე დურგლობა ვიცი: ვაკეთებ სკამებს, სტოლებს, ტახტს; მალარიცა ვარ; შპალერებს ვაკრავ; на все руки мастер! დარდი ნუ გაქვთ: я не пропаду! აი, შეხედეთ, როგორი ნამუშევარია ჩემი ხელები?

მე შევხედე.. გამართა ნიჩაის ოდენა ხელის გული ზედ მეორე ხელი გადისვა და სული შეუბერა:

— Чисто! რას წაიღებენ გიგა მახვილაძისაგან? რა გააჩნია მას? (მახვილაძემ ეხლაც ჩაიქნია ღიმილით თვალი.) ერთი ბნელი პაწია ოთახი, ლოგინიც ძლივსღა ეტევა. ფული ვერ დავაგროვე— დავიქირავო ერთი მოზრდილი ოთახი, გავაფართოვო დურგლობის საქმე... რა გაეწყობა?

მახვილაძეს ღვინო ძალზე მოეკიდა. გადაჭარბებულ ტანის რხევით, ხელების შლითა და სახის კუნთების ათამაშებით ამბობდა:

— ძველი დრალუნი, ომის ცეცხლიდან გამოსული, დაჯილდოვებული წმ. გიორგის ჯვრით, ოქროს ხმალით, პოლკოვნიკი გიორგი მახვილაძე, ეხლა ნამდვილი დურგალიც კი არ არის! რა გაეწყობა? судьба!-ო სთქვა მახვილაძემ, ნაძალადევათ გაიღიმა, მაგრამ იმ წამსვე ტანტ გააკრეკოლა, მხარ-ბეჭი აეწურა და თვალები შუშის ნატეხებივით გაშტერებული, უაზრო თვალები მალ-მალ დაახამხამა.. ხახიდან ამოსდიოდი ღვინისა და გამწვარ თიმბაქოს სუნი.

— სად და როგორ პირობებში მიიღეთ თქვენ წმ. გიორგის ჯვარი? შევეკითხე მას.

— უკაცრავად. მე ქართული კარგად არ ვიცი რუსეთში გავიზარდე: კადეტთა კორპუსი, სამხედრო სკოლა, სამსახური, თუ ნებას მომცემთ რუსულად გიამბობთ!—მითხრა მან.

— ინებეთ!

მახვილაძემ მიამბო თუ რა საქმისათვის უბოძეს წმ. გიორგის ჯვარი.

IV

— 1915 წ. ჩვენი ნაწილი გაგზავნეს ავსტრო ჰუნგრეთის ფრონტზე. ჩვენი პოლკოვნიკი იყო აფხაზეთიდან, მეტად სახელოვანი მეომარი და მეგობარი მამაჩემისა, შვილში არ გამომარჩევდა. სახელი გიგა, გიორგის მაგიერ პირველად მან მიწოდა; ეხლა ყველა ასე მეძახის.

— ერთ დღეს პოლკოვნიკმა დაგვიბარა, გაგვაცნო მდგომარეობას ფრონტზე, თანაც მოგვმართა: „საჭიროა პაწია გორაკზე №. მტრის უკუქცევა ჩვენი დივიზიის მარჯვენა ფრთის მოძრაობის უზრუნველსაყოფად,“ მაგრამ იმ დროს

და იმ პირობებში ავსტრიელთა წინააღმდეგ ცხენოსან წყობილებით იერიში უდრიდა ნამდვილ სიკვდილზე წასვლას, რაიც არ დაუფარავს ოფიცერთა კრებისათვის თვით პოლკოვნიკს.

— ვინ გაბედავს იმ სინაღლის აღებას?—სთქვა მან და მე ვამოიწოდა შეჯიბრებაზე უხილავმა ძალამ. ოფიცერთა კრება სდუმდა. გული შეერხა პოლკოვნიკისა და ჩემი ანთებული თვალები ერთმანეთს შეხვდენ. ძალადობრივად მივეც სალამი:

— Разрешите мне атаковать!—უფროსმა ჩაილაპარაკა წყენით, რადგან უკმეხილდებოდა ჩემს თავს:

— მე ვიცოდი, რომ თქვენ მოჰკიდებდით ხელს ამ საპასუხისმგებლო საქმეს!

— ნება მიბოძეთ!—განუმეორე მას მოკლედ.

— მე ვარ ჯარისკაცი, მიბრძანეს—უნდა ავასრულო. და მეც: „Повел, взял!"—გაათავა მახვილაძემ. მე მაინტერესებდა თვით „აღების" გარემოება. მაგრამ ის ამბობდა, რომ არ უყვარს თავის თავზე ბევრი ლაპარაკი, ტრაბახი და ჩემს ცნობისმოყვარეობის დასაკმაყოფილებლად შემპირდა ამ „აღების" შესახებ დაბეჭდილ საქმის წაკითხვას.

ჩემი აზრით ეს იყო მხოლოდ ჟესტი და მე დღემდე არ შემხვედრია არც ერთი სამხედრო პირი, რომელსაც ცოტაოდენი გადაჭარბებით მაინც არ მოეგონებინოს განვლილი შემთხვევები ომიდან და ამას არ მოეგვაროს მისთვის სიამოვნება, იყოს ის თუნდაც განთქმული ლიუდენდორფი ან ფოში. ამის გამოც იყო ალბათ, რომ მიუხედავათ თვისი განცხადებისა, მახვილაძემ მაინც ზოგი რამ სთქვა სწორედ თავის შესახებ.

— დადგნენ, ჩაემწკრივენ ჩემი ცხენოსნები—ამბობდა ის,—გადამწერეს, პირჯვარი, უფროსმა მაკოცა და ცრემლმორეული მეტყოდა:

— „Помни Гига—ты первая ласточка: не действуй опрометчиво, береги себя!"—მახვილაძე განაგრძობდა:

— მყვანდა ინგლის-არაბული ჯიშნარევი ცხენი ატესტატით. „Красавица была лошадь!—ეს სიტყვები მახვილაძემ წარმოსთქვა რალაც მეტის სირბილით, ნაღვლით და სინაზით, თითქოს საყვარელ არსებას, სატრფოს ან ცოლს შეეხებოდენ.

— გარიჟრაჟისას შეუტიეთ მტერს, ტყვიები დაგვაყარეს, სკდებოდა შრაპნელი... ველარ გვაკავებდენ გადალობილი მავთულები.. ჯარის კაცები მელუპებოდენ.. საჭირო იყო ჩქარი და გაბედული წინსვლა.. მიუახლოვდით.. შამოგვეგებნენ მადიარების ცხენოსნები.. ხმალი და შუბი წამოიმართა. ჩაუქროლეთ ქარივით. ამუშავდნენ ხმლები. დრაღუნთა ხელები იღლებოდენ ჩეხითა. „Ну и устроили же мы молярам рубку!?" მე ბედი მფარველობს: ტყვია არ მეკარება! მაგრამ მომიკლეს ცხენი, მომიკლეს საყვარელი ცხენი. ერთგული, ჭკვიანი, გაბედული და სანდო..

„Красавица была лошадь!"—გაიმეორა მან ისევ გულნატკენად—მივიხედ-მოვიხედე: რამოდენიმე-ღა კაცი ვრჩებოდით: მე, ვახმისტრი, მესაყვირე

და კიდევ ორიოდე.. ვახმისტრი ტირილით შმეევედრა, მეშველნა თავისათვის.. მაგრამ „На подмогу ворвалась наша сотня!“ დრალუნის ცხენს მოვახტი.. გამომყვენ. ო, რაც იქ ვნახე?!—სთქვა მან ლ თავისი ვეება თითებე თვალზე აიფარა:

— თქვენ გეკითხებით რად არის ასე ამ ქვეყნად?— მე ეს მოულოდნელი შეკითხვა ყოფილ დრალუნისა მიკვირდა: ხომ არ მცდის

— რას ვერჩოდით მადიარებს? ლამაზ და ნაგარ ვაჟკაცებს? ე ვიყავ განთქმული ხმალში.. ჩემი ხმალი... ნადიარები... — სთქვა მან.. თითქოს მრავალი რამ მოაგონდა ამ წუთს შორეულ წარსულიდანო და განზე გაიხედა, ამოიოხრა:

აგრე გამიჩეხნია ტანი და სახე რომ! „Эх, я отворачивал, бывало, свою морду..!“—დალრეჯილი სახე გაშლილს თითებიან ფართო-ვრცელს თათთში ჩასდო და განზე მიიბრუნა.

V

მახვილაძის სიტყვამ და საქციელმა გამაოცა. მინდოდა მიმეცა მისთვის რამოდენიმე შეკითხვა ომში მიღებულ შთაბეჭდილებათა და სხვათა შესახებ, მაგრამ დამასწრო:

— თქვენ ეხლა ეგრე, რომ მიცქერით, მაშინ ვიყავ ჯან-ღონით სავსე ვაჟკაცი.. ეგ არაფერია.. გიგა ისე არ მოკვდება ადვილად.. გიგა ხევსურია!— სთქვა მან, თუმცა მახვილაძე არის ქიზიყიდან, ხევსური ის უნდა იყოს მგონი დედის ხაზით. გულმკერდი გამოიშვირა, თავი მაღლა ასწია, წარბი გახარა, უზარმაზარი ცხვირი არწივივით დააჯდა მის სახეს, თვალები ანათებდენ:

— გიგა ხევსურია!—იმეორებდა ის და შეეცადა წაებაძნა ხევსურთა ლაპარაკის კილოს:

— ჯერ კიდ არ მოკვდების; ხელში და მკლავში დიდი ღონე მაქვს; ჩემი დაკრული ხმალი მკერდამდე დადიოდა; სპილენძის ფულს ვღუნავდი, ვტეხდი...

— შეგიძლიათ თქვენ ეხლა ცხენოსნობა ლ ხმლის მოხმარა?—შეეკითხე მას.

— ე, ჰე!—ჩაიცინა მახვილაძემ.—რად არ ძალმიძს? ცხენზეც დავჯდები, ხმალსაც მოვიქნევ! ნუ გეშინის! მე მაგარი ვარ! ე, ჰე!—ჩაიცინა ისევ მან და ფართო მხარბეჭი გადაშალა, შეარხია.

— აბა გასინჯე! — სთქვა მან და მაგიდაზე წამოიწია, მკლავზე კუნთები დასჭიმა, შეკუმშა და გულუბრყვილო ყმაწვილივით გამომიწოდა. გავუსინჯე. ამ ლოთობისაგან სახე დასივებულს, ვამხდარი ტანის კაცს ამობურთია მაგარი კუნთები რკინასავით:

— „Эсть еще порох в пороховницах“!—

ილიმებოდა ის: „Вот моя лапа, лапа строгого драгуна; Я так умею здароваться“!—ხელი ჩამომართვა. მე ვიგრძენი მისი დიდი და მაგარი ხელი.

— რად არ მსახურებთ თქვენ ეხლა?

— მე ბევრჯერ დამიბარეს, მაძლევდენ ნაწილს, მაგრამ უარი ვუთხარი. ასეთს ჯარში მე არ ვიმსახურებ. ჩემს ჯარში უნდა იყოს დისციპლინა. გესმით

ეს თქვენ, თუ სამხედრო საქმის სრულიად არა გესმით რა?! – ბრაზობდა მახვილაძე.

— რევოლიუციის დროს, ხიდზე დაშიხვდა ჯარისკაცთა ბრბო. ერთმა ჯარისკაცმა დედა შემაგინა, ხელი მკრა გულზე და ჯვრის მოგლეჯვა დაიბერა. „Я так дал ему тогда по немытому рылу"! ცხვირი ხელის გულით აუხვე, თითებმა გაუბეჭეა თვალის ქუთუთო, მკვდარივით გაიშალა. სახეზე სისხლი სდიოდა! — სთქვა მან და მე დაკინახე მისი ნიჩაბივით ფართო და სველი ხელის გული. მახვილაძის თვალები ბრაზმორეული ბრიალებდენ:

— „Я дикий хевсур!"

VI

— მე მაგარი ვარ! იმეორებდა მახვილაძე. შემდეგ დადუმდა. თვალებში არწივივით მიცქერდა:

— ბიჭუკა! — მითხრა მან და ხმა გამოეცვალა, თითქოს შორეულ ხმას ყური ათხოვა:

ჩემს წინ იყო ომით გარუჯული, ცალ წარბაწეული, ყოფილი დრაღუნის გიგა მახვილაძის სახე. განზე თვალთ ისროდა. თითქოს შემოესმა ნაღარის ხმა, ცხენთა ჭიხვინი და თოფ-ზარბაზნების გრიალი:

— მე მივხვდი, რომ ეგ გრძელი ფართო მაჯიანი ხელი, რკინის მარწუხებივით მაგარი თითებით, ხელი შემოხლართული სისხლით დაბერილ მუხათა ფესვების მაგვარის ძარღვებით, — იყვნენ გაჩენილი კაცთა საკვეთად, ომისა და ცხენოსნობისათვის.

მახვილაძემ თავი მაგიდაზე დაჰხარა, მე ვუცქერდი მას. ხმლის ხმარებით და ულაყის ლაგამ-აღვირის მოზიდვით გაზრდილა უჩვეულოდ და დაძარღვია მაგარი მკლავი, ხელი, ხელები დრაღუნს. მასში ღრმად ჩამჯდარა თაობიდან თაობაში გადმოსული ტრადიცია ბრძოლისა, ომიანობის, გამოწვეული მტერთა მიერ მუდმივ გარემოცვისაგან თავდაცვით. მახვილაძის სახით მიცქერდენ ველური წინაპრები.

თვალწარბი უელავდა; უზარმაზარი ცხვირი... ეს ცხვირი პირისახის ძვლები, ყბა, ვიწრო შუბლთან შედარებით იყო ესოდენ შეუხამებლად დიდი, რომ ძალაუნებურად გავიფიქრე:

— რა აზრი უნდა ჰბუდობდეს ნეტავ ამ თავში? რა სურს მას? — მახვილაძემ მხრები აიწურა, თვალები დაახამხამა, ძილი მოეკიდა, თავი უმძიმდებოდა, ბოლოს მაგიდაზე დაჰხარა, ხელი ქვევიდან ამოიდო და მიიძინა. ვუცქერდი:

— აღსრულდა! შენ ეკუთვნი ძველს, გარდასრულ თაობას! შენი დრო მოკვდა! შენ გენატრება ომი, მაგრამ ომი ხომ ატარებს ველურ თვისებას, რომელიც გვიმხელს (არა მარტო შენში), არამედ საერთოდ ადამიანში არსებულს პირველყოფილ და ბუნებრივ მდგომარეობას; ადამიანი უნდა ებრძოდეს მას!

გარდა ამისა ომში არის კიდევ რაღაც მიუწვდომელი, რომელიც გიპყრობს, გიტაცებს, გიხმობს...

მაგრამ ადამიანი უნდა ებრძოდეს ამასაც!

VII

მე გავათავე ჩემი განაჩენი, მაგრამ მახვილაძე თავს აღარ იღებდა. იბადებოდა ერთგვარი უხერხულობა. კუთხეში დოლს შემოჰკრეს, მედოლე ცივი ხმით მღეროდა. მახვილაძემ თავი აიღო და უსიამოვნოთ შესტეხა სახის კუნთები:

— გააჩერეთ ეს ვანდალი! აბა ერთი თქვენ დაიწყეთ ჭუჭუ, ჭუჭუ, ჩირიმე შენი!"

მე უარი განვაცხადე სიმღერაზე, არ ვიცი მეთქი

მას არ სჯეროდა... და თითონ წაიღიღინა... „ჭუჭუ, ჭუჭუ, ჩირიმე შენი"... მახვილაძემ რატომღაც ძალზე მოიწყინა და თავი ისევ ჩაჰკიდა:

— რათ მოიწყინეთ! — შევეკითხე მას.

მახვილაძემ თავი ისევ ასწია და მე შევნიშნე ცრემლი თვალს მომდგარი, რომელიც მალე გაჰქრა.

— И нет у меня ни жены, ни друга! — მიპასუხა მან ესსენინის სიტყვებით, რამაც ძალზე გამაოცა. სრულიად არ მოველოდი!

— გყავთ თუ არა, თქვენ ნათესავები, მოკეთეები? — შევეკითხე მას

— მე აღარავინ აღარა მყავს! — მიპასუხა მახვილაძემ სასოწარკვეთით.

— არც ცოლშვილი?

— შვილი მე არ მყოლია!

— ცოლი?

— ცოლი მყავდა! — სთქვა მან და რაღაც ორჭოფულად შემომხედა.

— თქვენი ცოლი ქართველი ქალი იყო?

— არა!

— მაშ?

— რუსი... მოსკოველი!.. — უხასიათოდ მიპასუხა მახვილაძემ.

— სად არის ეხლა ის?

— ნუ მაგონებთ! — მახვილაძემ თვალები დაჰხუჭა...

— გარდაიცვალა?

— არა...

— ხომ არ გაიყარეთ?

— Ох, не напоминайте же мне жену, торт вас побери! — ამოიოხრა ბან და იდაყვებით დაემხო სუფრას. მე მივხვდი, რომ მათ შორის რაღაც მომხდარა და საუბარი სხვა საგანზე გადვიტანე.

VIII

გათენებისას სარდაფიდან ამოვედით. მახვილაძე ფეხებზე ველარ დგებოდა. იგი ამეკიდა და დილამდე გამაწვალა. ხუთ საათზე გაისმა ქარხნის საყვირი. იდგა მაისის დილა. აყვავებულ აკაციის თეთრ მტევნებს ესეოდენ ზუზუნით ფუტკრები. მზის სხივები ნათლავდენ იისფერ ბურუსში გადაბდნარ მთის

მწვერვალებს. მთებიდან ეშვებოდნენ გლეხები. გლეხთა ჩოჩრები იყვნენ დატვირთული დიღმის ნორჩი მწვანილით, კიტრებით. ურმები — შეშით.

იდგა საყვირი და ქალაქის სხვადასხვა უბნებიდან მოდიოდენ მუშები ლურჯ ხალათებში, მხიარული სახეებით; სახეებს ანათებდა ამომავალი მზის სხივები; ელვარებდენ მუშა ქალების წითელი თავსაფრითა [illegible] თავები, თითქოს ტაბახმელიდან და ოქროყანიდან გადმოფრენილნ [illegible] ქუჩებზე ყაყაჩონი. იღვიძებდა ქალაქი. საბარგე ავტომობილები ახმაურდენ. გაისმა დინამო-მანქანათა ქშენა. ქუჩებზე დაიფანტა ტრამვაის თეშების რეკა. მიდიოდენ ფეხოსნები საქმიანის სახითა და ჩქარის ბიჯებით.

მახვილაძე მიაწვა კედელს; უაზრო თვალები მიაბჯინა საცქერლად გამვლელთ, ჰქონდა უძრავი სახე და მეტყველება, რომელსაც არა ესმოდა რა მიმავალთა, მათი სერიოზული და ხალისით სავსე სახეებისა, მათი საქმიანი ნაბიჯებისა, სურვილებისა და მისწრაფებისა.

მე გამოვიყვანე მახვილაძე უაზრო გაშტერებიდან და დავაპირე მისი მიცილება სახლამდე. არ დამთანხმდა. მიმავალი მუშები და მოსამსახურენი მას გაკვირვებით უცქერდენ.

მახვილაძე შეტორტმანდა, შესდგა და გაურკვევის ბგერებით ერთი გიჟივით შესძახა, თითქოს ამბობდა:

— „ვისაც გული და ძალა გერჩით, აბა ერთი წინ დამიდექით და ხმა გამეცითო!“

მაგრამ მახვილაძეს შუხლში და მკლავებში ძალა უკვე აღარ ჰქონდა. იგი მიეყრდნო კედელს და ასე ბარბაცით, ნელი-ნელ გაეშურა შინისაკენ, ბებერ ძ ღლივით წელში მოხრილი, ცემისაგან თეძო ამოვარდნილი, ყველასაგან მიტოვებული და აღრენილი.

იდგა საყვირი. ქარხნებისაკენ მიდიოდენ მუშები.

1926 წელი.
ტფილისი.

6. ზღვლეთელი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ი ფ ქ ლ ი

ორმანი ქართველ რევოლიუციონერის ცხოვრებიდან

I

№-ის თითქმის ერთი წლით კარებ-მიკეტილსა და მიყრუებულს სოფლის კანცელარიას უცბათ გამოცოცხლება დაეტყო.

რა მოხდა?

ის, რომ 1906 წელი შემობრძანდა ჩვენში „ცეცხლითა და მახვილი"-თა.

ს., №-ის მოსახლეობის ურეაქციონერესმა ნაწილმა იწყო შემოკრება მწერლისა და მამასახლისის გარშემო.

— არა, ბიძია, რუსის მორევა რომ ჩვენ არ შეგვეძლო, ამას მე იმ თავიდანვე ვჩივოდი, მარა, „კარგის მთქმელს კაი გამგონე უნდაო", ხომ გაგიგონია?

მე ჩემი ყაზილარი რომ ვერ დამიჯერებია, აბა, სხვები გამიგონებდენ?!.

მცოდნე და გამოცდილი კაცის გამომეტყველების მიღებითა და პირში გამოკვეხებულ ჩიბუხის ტარის ღეჭით მოუთხრობდა ირგვლივ შემოკრებილს გლეხებს ივლიანე ყოყოჩაძე და, ამ სიტყვებთან ერთად, რაღაც ციებ-ცხელებიანს საქმეში თავჩარგულ მწერალსა და მამასახლისს მალი-მალ გადახედავდა, თითქოს ანიშნებდა: „ნუ გეშინიათ, ხელი მაგრათ მოჰკიდეთ თქვენს საქვეს და ჩემი იმედი კი გქონდეთ, როგორც ერთგული ძაღლისაო".

— მართალს ამბობს ბატონი ივლიანე, მე და ჩემმა ღმერთმა, ჩიბუხიდგან თუთუნის ნამწვავის ხელის გულზე ბერტყვით უკრავდა მას კვერს გლეხი, ზალიკა ქლესიაშვილი.

იქვე ღია კარებში გაჯგიმული სოფლის მედუქნე, გაბრიელა ჩითაძე, თითქმის სადღესასწაულოთ გამოწყობილი, იდგა და გლეხებს თავიდგან ფეხებამდე ზომავდა, თითქოს გულში ანგარიშობდა: ამათ კიდევ რამდენი კეცა ტყავი შერჩენიათ, რომ მიმდინარე წელში ავინაზღაურო წარსული წლისგან მოყენებული „ზარალიო".

გაბრიელ „ზარალს“ ეძახდა ყველაფერს იმას, რაც ჯერ კიდევ ჩალის ფასად, ან სრულიად მუქთად ვერ ჩაეგდო ხელში გლეხებისაგან.

მწერალი პირველი მიესალმა ახლად მოსულ ვაბრიელსა.

მათ პირად-მეგობრობას წარსულმა წელმაც კი ვერაფერი დააკლო, თორემ მომავალი ხომ რა, ახალს ვარდისფერს მოლოდინებს ამსახველა — ეს მათს გულითადს ურთიერთობას.

ამიტომაც, ცოტა ხნის დუმილის შემდეგ, სხვებთან ენა-მწარემა და გესლიანმა მწერალმა დათაფლვითა და თითქმის თანაგრძნობით მიმართა გაბრიელს:

„გაბრიელ“!

მოწერილობა არის აგერ და თანაც ერთი კვირა ვადაა მოცემული, რომლის განმავლობაშიც ყველა მოვაჭრეებმა უნდა აიღონ პატენტები არა მარტო ამ წლის, წარსული წლისაც, თუ ასეთი არა ჰქონიათ.

შენ როგორ გაქვს საქმე?!“

თუმცა გა ძვერა მწერალმა მშვენივრადაც იცოდა, თუ როგორ ჰქონდა საქმე გაბრიელ მედუქნეს, მაგრამ იქ დამსწრე გლეხების წინაშე განზრახ გადაჭარბებულს გარკვეულობას იჩენდა.

სოფლის გამოქნილ ბიუროკრატს ჯერ კიდევ დიდ საიმედოთ არ მიაჩნდა მის და მისთა მ-გავსთათვის ასე მოულოდნელათ წემობრუნებული მდგომარეობა და ამიტომ თითო—ორ-ოლა მაგალითით ნოხერხებულად იტკეპნიდა ერთად ერთსა და საიმედო გზას მთავრობის მორჩილებისა და მოთხოვნილებათა უსიტყვოდ დაკმაყოფილებისაკენ.

ამ საქმეში ის ეძებდა საიმედო დასაყრდენებს და აი, გაბრიელ მედუქნეც სწორეთ ერთი ასეთ დასაყრდენთაგანი იყო მისთვის.

„ოგული გულს იცნობსო“, ნათქვამია და გაბრიელმაც ეს ნდობა სავსებით გაუმართლა ენა-გაშოქნილს მწერალს:

— შარშანდელი პატენი, ჩემო ბესარიონ, ჩემზე უწინ, მგონი, ქალაქის ვაჭრებსაც კი არ შეუძენიათ.

ახლის აღებას კი რაღა თავი სტკივა?

ფული მზათა მაქვს. ცხენიც სახლში მიბია; ცოტა უფრო შესაფერს დარს ვუცდი, და როგორც კი ოდნავ ილანილებს, მეც მზათ ვიქნები.

შენ სხვები იკითხე, თორემ მე ჩემს ვალდებულებას არ გავექცევი.

ნიშნიანი თავის დაქნევით დააბოლავა ყოყლოჩინა მედუქნემ.

— ყოჩაღ, გაბრიელ, ყოჩაღ!

თავის კანტურითა და სხვებისკენ მრავალ მნიშვნელოვანი გადახედვით წამოიძახა მამასახლისმა.

წამოდგა, ქალალდები და რაღაც დასტათ შეკრული დიდ ფერად ცხვირსახოცში შეახვია. ესენი ჩოხის ქვეშ ახალოხის გულის ჯიბეში ჩაილაგა, თავზე ყაბალახი ჩამოიბურა, ზურგში ნაბადი მოისხა, ხელში მათრახი აიღო, ერთი ჩექმის ყელზეც შემოიტკაცუნა, თითქოს ახლად დამამლებულმა ყვინჩილამ ფრთები შეიფერთხაო, და ოთახიდან გასასვლელად მოემზადა.

მამასახლისი, რომლის უკან იქ დამსწრე გლეხებიც წამოდგენ და აღლუმზე გამოსულ ჯარისკაცებივით დაირაზმენ, კარებთან შეჩერდა და ოჯახის მზრუნველ მამასავით მიუბრუნდა მწერალს:

—„მაგ მოწერილობების საქმე შენ იცი, ბესარიონ!

„დეეურნი პოპოშნიკი“ აქანაი გეყოლება; რაც დაგჭირდეს, ბრძანე და იგი შეგისრულებს.

მე თუ ისე შევატყვე საქმეს, რომ მიგვიანდება, იასაულს წინ-წინ გამოუშვებ და ყველაფერს შემოგითვლი.

აბა, თქვენ იცით!

საერთო გამომშვიდობების ნაცვლად დაატანა ბოლოს მამასახლისმა, ოთახიდან გავიდა, აივანზე გადადგა და იასაულს გადასძახა:

„ბიჭო, ნიკოია, გამოდი ერთი იი ცხენი გამომგვარე“-ო.

კონკა ძველებისაგან აკინძულ სალდათის მაზარაში გახვეული ნიკოია იასაული იჯდა კანცელარიის გვერდით მიდგმულ საყარაულოში და, მოლაზღანდარე ბიჭებთან ერთად, ცეცხლს ითბობდა.

ნიკოიამ იცოდა, რომ მას ადრე, თუ გვიან მამასახლისთან ერთად უწევდა გამგზავრება საბოქაულო ცენტრისაკენ.

ამიტომ, გაიგონა თუ არა მამასახლისის ხმა, ნიკოია ფიცხლავ წამოხტა და საყარაულოდგან ისარივით გარეთ გამოვარდა.

მას თან გამოედევნა ამხანაგების გამანადგურებელი დაცინვა.

იასაული ელვის სისწრაფით შევარდა კანცელარიის მეორე გვერდით მიდგმულ თაველაში, ახსნა იქ დაბმული მამასახლისის ლურჯა ცხენი, სწრაფად გამოარბენინა გარეთ და მამასახლის ზე კაკალ აივანზე ასასვლელ კიბესთან შეაგება წინ.

— შეაბრუნე, ბიჭო, ცხენი, შენ თავუკულმა დაბადებულო,—უბრძანა ამასობაში სხვა და სხვა ქალალდებით გატენილი ბოხჩით ხელში აივანზე გამოსულმა მწერალმა.

დარცხვენილმა ნიკოიამ, მწერლისა და მამასახლისის უკან მოწიწებით ჩამწკვრივებულ გლეხების დამცინავ-გამჭირდავ შენიშვნებზე, სწრაფად შეატრიალა ცხენი და, როცა უკანასკნელზე მამასახლისი ჯდებოდა, ნიკოიას ცალი ხელით ცხენი ლაგმით ეჭირა, ხოლო მეორით უზანგს უწევდა, რათა ცხენზე შეჯდომის დროს მამასახლისის სიმძიმე დაეძლია და უნაგირის წონასწორობა დაეცვა.

— ნიკოია!..

მიუბრუნდა მწერალი იასაულს, როცა უკანასკნელმა ხელი უშვა მამასახლისის ცხენის ალვირსა და უზანგს ერთსა და იმავე წუთს.

— შენ წაყვები ბატონს ერმილეს, ამ ქალალდებსაც თან წაიღებ და დაარიგებ, როგორც წესია.

აქეთობისას „ფოშტა“-ს გამოიმძღვანიებ.

გლახათ არაფერი გააბნიო.

წიგნში ყველას ხელი მოაწერინე თავ-თავის ადგილზე.

აჰა, გამომართვი!..

დაატანა მწერალმა და ამ სიტყვებით გაუწოდა იასაულს ქაღალდებით დატენილ კონვერტებით სავსე ბოხჩა.

ნიკოლა გამოცდილი იყო ფოსტის გადატანა-განაწილებაში და ამიტომ ბევრი დარიგება მისთვის საჭირო აღარ იყო.

მწერალს ბოხჩა ჩამოართვა, თავზე ყაბალახი და ტანზე ფალტო მოისწორა-მოისწორა, ბოხჩა მხარზე გადაიგდო და მგლურის ძუნძულით აედევნა უკან ცხენით მიმავალ ერმილე ძამასახლისს.

მწერალმა, გაბრიელმა და სხვებმა შურის თვალი გააყოლეს მიმავალთ.

ვინ იცის, რა და რა ახალი ამბებით დაბრუნდებიან ისინი უკან.

დრო, რომლის მოწამენიც ისინი იყვნენ, ერთობ საოცრებით სავსე და ციებ-ცხელებიანი იყო.

II

თოვს.

ქარბუქია...

იანვრის შუა რიცხვებიდგან ზამთარმა განახლებულის ენერგიით დაიწყო იერიშები ბუნების წინააღმდეგ.

ღამეა, მაგრამ ღრუბლებით მინანქრათ მოფენილ ციდგან მთვარის მკრთალი ანარეკლი მაიც საკმაოთ გამოსჩვივის.

მისი მრგვალი მოთეთრო დისკო თოვლის სითეთრით უიმისოდაც ნათელს არებარეს გაორკეცებულ სინათლესა ჰფენს.

თოვლის წვრილი ბლარდნები ამ სინათლეზე, როგორც დახოცილი ჭეპლები, რაღაც ზღაპრული ელვარებით მოცვივიან დაბლა და ჰაერს მოჯადოებულის სილამაზითა ჰქარგავენ.

ჩადრწამოსხმული ახლობელი ტყე ისეთი თეთრი ხუჭუჭებით არის გადაპენტილი, რომ გეგონებათ, სალაშქროდ გამზადილს ძველ ქართველ დარბაისელთა რაზმებს დაუქვეითებიათ ქვეყნის ამ ნაწილზეო.

№-ის კანცელარიის ბუხრიდგან ქალის კულულებიანი დალალებივით დაწნული ბოლი ნაცრისფერი ნისლივით ამოჰწირეხებდა და დასავლეთის მიმართულებით ისე რიგათ წვებოდა ჰაერში, თითქოს ეს კანცელარია კი არა, ქენტი ორთქმავალია, რომელიც დასავლეთიდგან-აღმოსავლეთისაკენ უსაზღვრო სისწრაფით მიჰქრისო.

კანცელარიის სამწერლო ოთახში აგიზგიზებული ბუხრის წინ ისხდნენ სამნი: ბესარიონ მწერალი, გაბრიელ მედუქნე და ივლიანე ყოყოჩაძე, სოფელში მეტ სახელად „მაძიებელ აზნაურად“ წოდებული, თუმცა ყოყოჩაძის გვარს აზნაურობა თავის დღეშიც სიზმრადაც კი არ მოლანდებია.

ეართოთ ფეხებ-განრთხმულ ბუხარში შეშის უზარ-მაზარი მოორგვები ეწყო და ისეთი ძლიერი კოცონი ბრიალებდა, რომ თითქმის ორ-ორი მეტრით უნდა დაშორებულიყო ადამიანი ბუხარს, რათა ცეცხლის ეს სიძლიერე უმტკივნეულოდ აეტანა.

ბუხრის პირას თბებოდა ცეცხლზე აფიცხებული კარგათ მოზრდილი ხაჭაპური, რომელიც დღეს ძღვნათ მიართვეს ბესარიონ მწერალს და ამ წლის ძღვენთა რიცხვში იგი იმითია შესანიშნავი, რომ, თვითონ მწერლის სიტყვით, „იგი ერთი მეტად ლამაზი ქალის ნახელავია“.

ვინ უნდა იყოს ეს ლამაზი ქალი?

ამის გამოცნობას დიდხანს ატეხდენ თავს ბესარიონის [illegible], მაგრამ ზედ გადაჭრილი პასუხის გამოთქმას არც ერთი არ ნებულობდა. საქმეს ისე აძნელებდენ, თითქოს, ბესარიონის დაუხმარებლათ, ამ საკითხში ეშმაკიც კი ფეხს იღრძობსო.

იყო ეს მასპინძლის ხათრი, თუ მართლა ძნელი იყო ამ საკითხის ახსნა, ჩვენ ეს იმათ სინდისზე მიგვინდია.

თვითონ ბესარიონი კი სდუმდა, რადგან ზედმიწევნით იცოდა ასეთ შემთხვევებში დუმილის უპირატესობა.

ხაჭაპურის გვერდით ცეცხლზე ვულის მფცქვნელი ხმით შიშხინებდა რკინის ვეებერთელა შამფურზე აგებული ღორის მსუქანი შაშხი, ხოლო დოქით ღვინო ისეთის სიკოხტავით გადმოიყურებოდა საქმის ქალალდებით გამოტენილ მოდაბლო განჯინის თავიდგან, თითქოს მჭერმეტყველური ნიშნიანი დუმილით ამტკიცებს თავის უპირატესობას შაშხისა და ხაჭაპურის წინაშეო.

ღვინო გაბრიელის წილი იყო.

თითქმის დილიდგან საღამომდის ევაჭრა ამ ღვინოში ერთ სოფლელ ბიჭს, რომელსაც ღვინო დუქანზე ჩამოეტანა, ნავთისა და ტარანის შეძენის მიზნით.

გაბრიელს ჩვეულებრივ ჩალის ფასად უნდოდა ღვინის ხელში ჩაგდება. გლეხი ჯიუტობდა და არ უთმობდა გალალებულ ჩარჩს; მაგრამ ბოლოს მონოპოლისტმა ვაჭარმა მაინც თავისი გაიტანა: სძლია გლეხის სიჯიუტესა და ეს ვეებერთელა დოქი ღვინო რაღაცა სამიოდე შაურათ ჩაიგდო ხელში.

ეს სამი შაურიც ორიოდე გირვანქა ნავთში იქავე გამოართვა და ჭურჭელიც კი აღარ გაუცალა დაჯაბნებულ გლეხს.

—„როცა მეორედ ჩამოხვალ, ბიძი, მოიკითხე და მიიღე შენი დოქიო“,

უკმეხად მიახალა პირში ჭურჭლის გაცლის მოთხოვნაში გაჭირვებულს დოქის პატრონს.

აი, ეს დოქით ღვინოც, გაბრიელის მიერ აქ მოტანილი, საკალმო ფონდში მონაწილეობის მიზნით.

რაღა იყო ივლიანე ყ ო ყ ო ჩ ა ძ ი ს?

— ჭამა-სმა, ტრაბახი და სოფელთან „სმიჩკა“.

უ ყ ო ყ ო ჩ ა ძ ე ე ბ ო თ მწერლისა, მედუქნისა და, თუ გნებავთ, მამასახლისის სოფელთან სასურველს დამოკიდებულებაზე ოცნებაც კი მეტი იქნებოდა.

იქით თუ აქეთ დაუსრულებელი ტრაბახი, „ბალნიანი“, წვერლესილი ენა, და, როგორც ყველი-ერბოში, განცხრომაში ტოპვა, აი—ივლიანე ყ ო ყ ო ჩ ა ძ ი ს ხვედრი.

ის ეხლაც ამ ცეცხლზე აფიცხებულს ხაჭაპურის, შაშხისა და ღვინის შემყურეა.

გაძლება, გასისინდება თუ არა, მაშინვე მოუსობს თავის ბუნაგისაკენ, რათა ადრე დილით ისევ დაეცეს თავზე ჯერ კიდევ ლოგინში მგორავს მწერალს, სოფლის წიაღიდან რაიმე მოხდენილი და განსაცვიფრებელი ცნობით ხელდამშვენებული, ან წინ აეყუდოს რომელიმე გლეხის ქოხს კანცელარიაზე მიღებულ მზაბზარეული ცხელი ამბით, რომელიც უმეტეს შემთხვევაში, ეთავისვე საკუთარი ოცნებით აქვს მოხდენილადვე შელამაზებულ შეკეთებული.

ორივე შემთხვევაში ივლიანე „დილის ზაკუსკით" უფროა დაინტერესებული, ვიდრე სხვებისთვის „ფოშტის" მიტანით (ასე ეძახიან სოფელში ივლიანესგან ცნობების „მიწოდებას")

ყოველთვის არ უმართლდებოდა ივლიანეს მოლოდინი, მაგრამ „ცდა ბედის მენახევრეაო", იტყვიან და ივლიანეც ამ ცდას ხელს არ აკლებდა.

ყოყოჩაძემ იცის გლეხის სუსტი მხარე.

იცის, რომ გლეხი ახალი და საინტერესო ამბისათვის მზად არის გაიღოს უკანასკნელი სახსარიც კი.

ამიტომაც, შინაგანი ძრახვისა და სიძულვილის მიუხედავათ, გლეხებს მაინც უყვარდათ იგი და ყოყოჩაძე ისეთივე საჭირო და აუცილებელი იყო გლეხებისათვის, როგორც საჭირო და აუცილებელი იყო მისთვის მწერალი, მამასახლისი დამასთან დღე და ღამე კანცელარიიდან სოფელში და სოფლიდან კანცელარიაზე ტრიალი.

სოფლის ცხოვრებაში, როგორც მთელმა საზოგადოებრიეობამ, ან კიდევ მთელმა ბუნებამ, არ იცის სავსებით და გამოუკლებლივ შეთანხმებული ურთიერთობა და იგი ბაბილონის გოდოლსავით არის შეკონკილებული ერთნაირ შინაგან წინააღმდეგობათაგან.

აი, სწორეთ ასეთი წინააღმდეგობებისაგან, როგორც იყვენ ბესარიონ მწერალი, ერმილე მამასახლისი, გაბრიელ შედუქნე, ივლიანე ყოყოჩაძე და დანარჩენი გლეხობა, შესდგებოდა იმ დროში სოფელი, სოფლებისაგან—საზოგადოებანი, საზოგადოებათაგან—სახელმწიფო, ხოლო სახელმწიფოებისაგან—მთელი ედგრედ წოდებული „ძველი ქვეყანა".

III

სოფელში ღამის 10—11 საათამდე დროს აღნიშნავენ „პირველ მიძინილის", ან კიდევ „მაღალი ვახშმობის" სახელწოდებით.

სწორეთ ამ „პირველი მიძინილის" ყივილს მოუხშირეს სოფლათ მამლებმა, როცა ხაჭაპურით და ღორის შაშხით კარგათ დანაყრებულმა, ხოლო ღვინით საკმაოდ გამოტკიცინებულმა ივლიანე ყოყოჩაძემ, თავზე ყაბალახის სწორებითა და ნაბდის თასმების სკვნით, უზომო მადლობა გადაუხადა თავის თანამეზეურეებს, გამოემშვიდობა მათ და მოუსვა შინისაკენ.

თითქმის ორიოდ ვერსით იყო ყოყოჩაძე დაშორებული სოფლის კანცელარიას, მაგრამ ეს ორი ვერსი მას ჩირადაც კი არ მიუჩნდა, ვინაიდგან ამ მანძილს ისე იყო შეჩვეული იმისი ფეხები, როგორც მატარებლის თვლები რკინის გზის რონებს.

გახუნებულ, რამოდენიმე ადგილს დაკერებულ, ოსურ ნაბდის ქვეშ, ყაბალახით თავ-ყბა შეხვეული, მუდამ განუყრელ ჩიბუხით პირში, ივლიანე ნამდვილ ორთქმავალსა ჰგავდა ამ მთვარის მკრთალი სინათლით გაშუქებულსა და თოვლის ბლარდნებით აქარგულს ღამეში. განსხვავება მხოლოდ იმაში იყო, რომ ორთქლმავალს მიაქროლებს შინაგანი ცეცხლი და ორთქლი, ხოლო ივლიანეს ერეკებოდა შინისაკენ რამდენიმეთ გარეგან შიშთან შეზავებული შინაგანი მხოლოთ სურვილი—თბილს ქვეშაგებში ტკბილად მოსვენებისა. ხოლო ამ სურვილს აძლიერებდა კიდევ ყოველის მხრით ნოწოლილი ზამთრის ღამის მკაცრი სიცივე.

ოჯახში მოუთმენლად მოელოდენ ივლიანეს.

ამიტომ ასტყდა თუ არა მეზობლების ეზოებიდან ძაღლების ყეფა, ივლიანეს ცოლმა—ედუკიმ მატყლით დატვირთული საჩეჩელი იქით გადასდგა და წამოიძახა: „მოძუგავს!..“

ამდენათ აგდებული ყავდა სოფელში ბებია-ქალობით პატივცემულსა და სახელგანთქმულს ედუკის თავისი ქმარი, რომლის ძალაუნებური პატივისცემა, უფრო კი—შიში, ძვალსა და რბილში ჰქონდა გამჯდარი სოფელში თითქმის ყოველს გლეხს. ასე, რომ ვერც ერთი მათგანი „უბატონოთ“ ივლიანეს ხსენებას პირში მაინც ვერ გაუბედავდა.

შემოვიდა თუ არა ივლიანე სახლში, ედუკი იმ წამსვე წამოდგა და, ქმარისაკენ ზურგის შექცევითა და სახლის კუთხეში მიკეთებული განჯინისაკენ პირის მიბრუნებით, შეეკითხა შემოსულს: „ვახშამი ხომ არ გინდაო“, თუმცა წინდაწინ იყო დარწმუნებული, რომ ქმრისთვის ვახშმის გამოტანა მას არ მოუხდებოდა, ვინაიდგან ივლიანე ვახშამ—უქმელი სახლში თითქმის არასოდეს არ ბრუნდებოდა.

გარეთ ისე ენაშეუსვენებელი ივლიანე სახლში მუდამ პირზე მდუმარების საცო-ნადები სფინქსივით იჯდა და ედუკისაგან „ბაიყუშის“ სახელიც სამართლიანათ ჰქონდა დამსახურებული.

შრომა ამ საოცარ ცოლ-ქმარს შორის თითქმის ბუნებრივად იყო განაწილებული: სოფელს ივლიანე თაობდა, ხოლო ოჯახს ედუკი, რომელიც დოვლათის შემოტანაში ქმარს არა თუ არ ჩამოუვარდებოდა, სჯარბობდა კიდეც.

მიუხედავათ ამისა, ცოლის ასეთი უპირატესობა ქმრის წინაშე გარეთ არასდროს არ მჟღავნდებოდა და ეს შინაგანი წინააღმდეგობისაგან გამომდინარე ყრუ უკმაყოფილება მუდმივ ყრუ საიდუმლობათვე რჩებოდა ცოლს და ქმარს შორის. ამ შემთხვევაში, რა თქმა უნდა, საქმეს შველიდა სოფლათ დამკვიდრებული ერთნაირი ტრადიციული შეხედულება ცოლ-ქმრობაზე, მაგრამ უფრო დიდ როლს თამაშობდა თვით ივლიანეს გამძლეობა, იმ ივლიანეს, რომელიც თავის გამანადგურებელი დუმილით სტეხდა და სპობდა ცოლის წინააღმდეგობას და ამ რიგად ხელს უწყობდა ოჯახში წონასწარმოების დაურღვევლობას.

ედუკი, როგორც უკვე ზევით აღვნიშნეთ, სოფელში ბებია ქალობდა, „დედამანიობდა“ და აქედგან ყოველივე ახლად დაბადების შემთხვევა, ნათლო-

ბა, ეგრეთწოდებული „ლოგინის აღება“, ანუ „ნერჩის დაკურთხება“, თუ სხვა ასეთი ნიშნავდა ედუკისთვის საკნაო ხელის დასამშვენებელს, ე. ი., ამ შემთხვევებში ბებია—ქალებისათვის წესათ დამკვიდრებულს საჩუქარ-გასამგზეთოებს.

აი, უშრეტი წყარო ივლიანე ყოყოჩაძის ოჯახის კეთილდღეობისა.

თვით ივლიანე კი ბედოვლათურად ყოყოჩობდა, ანუ ყოყოჩურად ბედოვლათობდა. ასე გასინჯეთ, ყანებსაც კი ედუკი ამუშავებდენებდა, ფავლეს შემოსავლისაგან.

აბა, სხვა ოჯახისათვის აუცილებელი საგნების შეძენა ხომ უფულოთ წარმოუდგენელია და, მაშასადამე, ყველა ესენი სოფელში ფულიანი ქალის სახელგანთქმული ედუკის საზრუნავს წარადგენდა.

ასეთი იყო სოფლის ჭია-ღუა ივლიანე ყოყოჩაძის ცხოვრების პირი და საარჩული.

იგი წარმოადგენდა შიგნიდგან გამაგრებულ ციხეს და ამიტომ ამ ციხის წინაშე სოფელში ბევრი იხრიდა ქედს.

ყოყოჩაძეები სარგებლობდენ გლეხებს შორის ზოგჯერ, თუ გნებავთ, უნებილიე გარდამეტებული პატივისცემითაც კი, ვინაიდან ასეთი იყო ლოღიკა ამ შინაგანი ფუქსავატური ცხოვრების ჯავშან-მოსილი გარეგნობისა სოფლად.

შკერის წკნელისა და როკის სარეებით ლამაზათ შემოღობილი ეზო, ყველა საჭირო და აუცილებელი სადგომებით და ნაშენებით შემკულ დამშვენებული სახლკარი, შინაური ცხოველებითა და ფრინველებით სავსე, მსუყე, დოვლათიანი და წელგამართული, ვეებერთელა ბანჯგვლიანი ქოფაკითა და ჭისკართან ღობის სარზე ჩამოგებული ცხენის გამხმარი თავის ძვლით გარე-მოცული, ყოყოჩაძის თითქმის აზნაურული ოჯახი ნამდვილს იმპერიალისტურ საბრძანებელს მოგაგონებდათ მის ირგვლივ წვრილ-წვრილ ქოხმახებითა და ფაცხა-კარვებით მოფენილს სოფელში.

აი, როდის და როგორ ცხოვრობდა „დილღვამი“ გლეხი, გადაკრული სოფლური სიტყვით—„მაძიებელი აზნაური“, მწერალ მამასახლისის მარჯვენა ხელი, ხოლო ღღევანდელი ენით რომ ვსთქვათ, სოფლის „კულაკი“, ივლიანე ყოყოჩაძე.

IV

— გაბრიელ, იცი, ვისგან იყო იგი საჭაპური?

შეეკითხა მწერალი გაბრიელ შედუქნეს, როცა ივლიანე ყოყოჩაძის კანცელ რიის აივნამდე გაცილების შემდეგ, იგი ისევ თავის ოთახში შებრუნდა და თან, გარეთ სიცივე-შენაგრძნობამ და კვლავ ოთახის სითბოს გავლენის ქვეშ დაბრუნებულმა, სიამოვნებისაგან მხრები შეიშმუშნა.

— ჰო, ვისგან?

— ვისაგან და დათიამ მომიტანა... აი, ზევით რომ სახლობს, ხომ იცი?

და თვალის ეშმაკური ჩაკვრით აღნიშნა მიმართულება, საიდანაც ხაჭაპური მიიღო.

— ჰოო?.. მოვიდა საქნიერზე? კარგათ წასულა შენი საქმე, ჩავარდნილხარ ქერში და ესაა.

— მარა მეტოქეც საშიში გყავს, ბიძია! უფრთხილდი, თორემ არ შეგარჩენს, ხომ იცი!

ისეთივე ქარაგმებით და გადაკვრებით მიუგო გაბრიელმ.

— „მეტოქე? არა უშავს: ქარს არც ჩვენ გავატანთ!

დაატანა მწერალმა და ბუხრის წინ სკამზე ჩამოჯდა.

ახლა, თუ ვერა, გაბრიელ მედუქნემ მწერლის ეს უკანასკნელი გადაკრული სიტყვა—„ქარს არ გავატანთო“?

ან ვის ეხებოდა იგი?

ყოველივე ეს ჩვენთვის საინტერესოს არაფერს წარმოადგენს, ვინაიდგან მათი საუბარი სხვა უფრო რეალ საგნებზე გადავიდა იმის შემდეგ, ხოლო ასეთ შემთხვევაში ისინი რწყიღზედაც უფრო ჩუმნი და გარეშე მაყურებლისთვის შეუცნობელნი ხდებოდენ.

მიუხედავათ იმისა, რომ ეს ორი გაიძვერა ერთმანეთის დიდი პირადი მეგობრები იყვნენ, თვითეულს მათგანს მაინც თავისი საკუთარი საიდუმლოებაც უხვათ გააჩნდა. ასეთებს ისინი ზოგჯერ ერთმანეთსაც კი არ ანდობდენ. ამ რიგათ მათი მეგობრობა განისაზღვრებოდა მხოლოდ იმ ჩარჩოებით, რომელშიაც ისინი ერთმანეთისათვის საჭირო და აუცილებელნი იყვნენ. მართალია, ორივე მიისწრაფებოდა თავთავიანთ საკუთარი მიზნებისკენ, მაგრამ, ნათქვამია: „ძმა ძმისთვისაო—შავ დღისთვისაო“, ერთმანეთის დაუხმარებლად ისინი სუსტები იყვნენ და, როცა ერთიმეორეს ეჭვობდა მხარს მისთვის სრულიად უცხო საქმეში, ამას იმიტომ სჩადიოდა, რომ შემდეგ, თავის მხრით, იმ მეორესაგან მიეღო დროზე თავისთვის საჭირო სამაგიერო დახმარება.

დროც ხელს უწყობდა მათ და სოფლის ცხოვრებაც ხომ ასეთ მოქმედებისათვის ფართო ასპარეზს წარმოადგენდა მაშინ.

1906 წლის რეაქცია ხასიათდებოდა ცეცხლით, ტყვიით, კატორღითა და გადასახლებით.

„ღმერთმა ერთი რად აცხონოს, თუ მეორე არ წასწყმინდოს“-ო, ამბობს დიდებული შოთა და აი, მუშათა საქმისათვის თავდადებულთა ამ წვასა, ხვრეტასა და განიავებაზე ხელს ითბობდენ, თავს ირთობდენ და ჯიბეს და კუჭს ივსებდენ ბესარიონ მწერალისა და გაბრიელ მედუქნიდან მოყოლებული ტოლმაჩოვ-ალიხანოვებამდე და კიდევ უფრო ზევით ყველა ჯურის მედროვე არამზადები.

განსხვავება მხოლოთ მათ მიერ ჩადენილ ბოროტებათა სიდიდე-რაოდენობაში იყო, თუმცა ამის შესახებ ხალხური სიბრძნეც სამართლიანად შენიშნავს: „ნემსის, თუ აქლემის ქურდები, პირველყოველისა, ორივე ქურდებია“-ო.

ამ რიგათ ის ხაჭაპური, რომელიც ისეთი გულმოდგინებით თბებოდა ბუხრის წინ და რომელსაც ისეთის ვერაგული ნდომით შეჰყურებდა სოფლის ეს სამი სვავი, როცა ჩვენ ზევით აღნიშნულ საღამოს პირველათ შევალეთ ქარი მწერლის ოთახში, დიდათ არაფრით განსხვავდებოდა იმ დიდი სახელმწიფო

ხაჭაპურისაგან, რომელსაც თავის გესლიანი კბილებით, თუმცა უფრო სხვა ფორმით და უფრო ურცხვათ ებღაუჭებოდენ იმ სამზე უფრო დიდი არამზადები, უფრო დიდის რაოდენობით და ფართო სარბიელით.

და, განა, ის საიდუმლო წყაროებით აქ გაჩენილი ხაჭაპური, ჩვენ რომ ვიხილეთ, როცა ის ბუხრის წინ ცეცხლზე ისე კოხტათ თბებოდა, ნუ თუ საკმაოდ უფრო თეთრათა და შედარებით უფრო სპეჩაკადაც არ გამოიყურებოდა ბუხრის წინ ჩაცუცქებულ სოფლის იმ სამს ჭილყვავზედა?

რა ღირსნი იყვნენ თუნდაც იმ ხაჭაპურისა ესენი?

ისევე არა, როგორც არ იყვნენ ღირსნი სახელმწიფოებრივ დიდი ხაჭაპურისა არისტოკრატიულ-პლუტოკრატიული ბობოლა ჩინოვნიკები, რომლებიც ხალხის უბედურებაზე აგებდენ თავიანთ პირად ბედნიერებასა და სიამ-ტკბილობით სავსე ნეტარებას.

მართალია, ბესარიონ მწერალმა გადაკრულებით ანიშნა გაბრიელ მედუქნეს ხაჭაპურის მოვლინების ამბავი, მაგრამ არც მწერალი იყო იმდენათ გულუბრყვილო, რომ მას სავსებით გამოემჟღავნებინა თავის საიდუმლო და არც გაბრიელ მედუქნეს ესაჭიროებოდა მაინცდამაინც სხვის გულში ხელის ფათური.

გაბრიელისათვის თვით ფაქტი ხაჭაპურის არსებობისა სავსებით დამაკმაყოფილებელი იყო. მისი შეჭმით მიღებულს სიამოვნებას ის არ გასცვლიდა ბესარიონ მწერლის მთელს საიდუმლოებაზე.

და განა, შეიძლებოდა ლაპარაკი რაიმე საიდუმლოთა გულწრფელ მხელასა და ინტიმიურზე იქ, სადაც გაბრიელ მედუქნე და ბესარიონ მწერალი იღებდა მონაწილეობას? მთელი მათი ცხოვრება ეს მხოლოდ უხეში და უდიერი დაცინვა იყო ყველა იმათზე, ვისთანაც კი მათ რაიმე საქმე ჰქონიათ ოდესმე.

ისინი მოურიდებლად უხსნიდენ ერთმანეთს თავიანთ ზრახვებს და დაბალი ინსტიქტით აღძრულ მიზნებს. ხშირად რჩევა-დარიგებებსაც კი ჰკითხავდენ ერთმანეთს, თუ როგორ უნდა მოქცეულიყო რომელიმე მათგანი განსაზღვრულს კონკრეტიულს შემთხვევაში.

და ბევრჯერ, როცა ასეთ შემთხვევაში ერთი მათგანი მიეშურებოდა თავისი საკუთარი მიზნის მისაღწევათ, ნებსით, თუ უნებლიეთ ასრულებდა მეორის გეგმას, როცა მეორე, შესაძლოა, პირველის გეგმის ასრულებაში ყოფილიყვეს გართული.

„სხვა სხვის ომში გმირიაო", ნათქვამია, და ეს ანდაზა შეადგენდა ბესარიონ მწერლის და გაბრიელ მედუქნის სტრატეგიის ქვაკუთხედს.

მაგრამ არის ზოგი რამ ისეთი, რომლის წინაშე ბესარიონ მწერლებიც კი ქედს იხრიან, ერთნაირს, მოკრძალებასა გრძნობენ და ერიდებიან კიდეც მის გამოაშკარავებას.

და სწორედ, ასეთ რამეს ეჭირა ამ გადაკრულ მუსაიფში ცენტრალური ადგილი!..

სოფელში ყველამ იცოდა ამ ორი ადამიანის საქციელი, ამიტომ ისინი ერიდებოდენ დღისით სოფლის შარა-გზაზე მარტო, ან წყვილათ გავლას, რათა

ვინმეს რაიმე მათთვის ხელის შემშლელი ეჭვი არ აელო. მათი მოძრაობა სწორედ მაშინ იწყებოდა, როცა სოფლათ საზოგადოთ თითქმის ყოველივე მოძრაობა სწყდება, ე. ი., ღამით.

ამ მხრივ მათთვის, როგორც ღამის ნადირთათვის, არსებობდა / განსაკუთრებული გასასვლელ-გასაძრომი გზებიც.

ეროვნული

და აი, მცირე ხნის ბუხრის წინ წამუსაიფვების შემდეგ [illegible] დაინახავს, თუ როგორ დაადგებიან ისინი თაეთავიანთ გზას.

სწორედ ამით აიხსნება ისიც, რომ, როცა ივლიანე ყოყოჩაძე დილითმწერალს ეწვევა, იგი მას თითქმის მუდამ ლოგინში მწოლარეს უსწრებს ხოლმე.

ივლიანემ იცის საერთოდ ამის მიზეზი და იგი მწერალს, ავანსად პატიების ნიშნად, ხშირად ხუმრობით ამ სიტყვებით მიმართავს: „ალბათ, წუხანდელი ნამონადირეეი იქნები“-ო.

დიახ, ბესარიონ მწერალი და გაბრიელ მედუქნე, მიუხედავათ თავიანთ განსაზღვრული პროფესიისა, თავიანთ თავებს მონადირეებათ, უკეთ—ნადირებათ უფრო სთვლიდენ. ხოლო მათი ნადირობის ასპარეზიც სოფელი გახლდათ, სადაც ისინი განუკითხავად თარეშობდენ.

„სოფელი ვნახე უძაღლო, შიგ ვიარები ულგოხოთო“, სწორედ ამაზე ითქმოდა.

ყოყოჩაძეც ამ შემთხვევაში ლოცვა-კურთხევით მათი დასტურის მიმცემი და თითქოს უსიტყვოთ მათი მოლაღადე იყო: „არაფერია შვილებო, ინადირეთ, ისაქმეთ, მხოლოდ ნანადირევი, როგორც ამ რამოდენიმე წუთის წინ მოხსენებული ხაჭაპური, შაშხი და ღვინო იყო,—თქვენს ერთგულს ივლიანეს არ მოაკლოთ-ო“!

VI

ჩვენ რომ იმ მიკიბ-მოკიბულ გზას გავყვეთ, რომელზედაც ბესარიონ მწერალმა მიუთითა გაბრიელ მედუქნეს, ხაჭაპურის შესახებ რომ სიტყვა გადაჭრა, გზა მიგვიყვანს გლეხი, დათია წვადაგაძისას.

დათია ღარიბი გლეხია, თუმცა მდიდარი და მთელ სოფელში ცნობილიც თავისი სამაგალითო პატიოსნებით, გარჯილობით, ოჯახისათვის თავდადებულობითა და ცოლ-შვილთან სიამ-ტკბილობით სავსე დამოკიდებულებით.

მაგრამ ყველაზე დიდი სიმდიდრე და სიამაყე დათია წვადაგაძისა არის მისი „ულელი შვილები“, როგორც თვითონ დათიას უყვარს ლაპარაკის დროს საფიცრად გამორევა ხოლმე: „ჩემი ერთი ულელი შვილები არ დამეხოცოსო“. ეს ფიცი კი ნიშნავს იმას, რომ დათიას მიერ ამის დაკავშირებით გამოთქმული აზრი უკვე გარდუვალია; რომ მასში ეჭვის შეტანა, ამ ფიცის შემდეგ, თვით სატანასაც კი აღარ შეუძლია.

დათიას ვაჟი მამასავით პატიოსანი, მუყაითი და კეთილი გულის პატრონი ახალგაზრდაა, რომლის ბადალიც სოფელში ბევრი არ მოიძებნება.

დათიას ქალი, მაწო, ბუნების იმ სადა, მაგრამ ფერებით მდიდარს ყვავილს ჰგავს, რომლის მსგავსის წარმოშობაც მხოლოდ სოფელს შეუძლია და ისიც ძალიან იშვიათად.

რა თქმა უნდა, დათიას ქალისაკენ ბევრს ღირსეულსა, თუ ულირსს ეჭირა თვალი, მაგრამ თვითონ მაშოს გული კი, აგერ ერთი წელიწადია, რაც მოხიბლა და მოინადირა სოფლის ერთმა ახალგაზრდამ, თედო ახალიშვილმა, რომელიც 1905 წ. მოძრაობაში თავისი სიგულწრფელით, შეგნებით და გატაცებით ყველაზე წინ იდგა არა მარტო სოფელ №-ში, არამედ მეზობელ ამ მხარეში.

თედოსაც იდეალურის სიგულწრფელითა და სულიერ [illegible] ულის სისუფთავით უყვარდა მაშო.

მათი ერთმანეთისათვის დაშორება სიკვდილის მეტს არაფერ ძალას არ შეეძლო, ხოლო მათი ანკარა სიყვარულის შებღალვა, ჯოჯოხეთსაც რომ მოენდომებია, აბაში ისიც კი გაწბილებული დარჩებოდა.

ჩვეულებრივ რომანებს არაფრით არა ჰგავდა ეს სიყვარული. იგი მაისის მზესაც კი სჭარბობდა სითბო-სილამაზით, ხოლო ზამთრის პირველ თოვლზედაც კი უფრო ფაფუკი და სუფთა იყო იმავე დროს.

არც ნესტან დარეჯანის და ტარიელის სახარისებურის გზნებით ანთებულს და არც თინათინისა და ავთანდილის სინაზე ჩაუშრეტ-ალმოდებულს ტრფიალს ჰგავდა ეს სოფლურის გულუბრყვილობითა და გნოლ-გვრიტის მოუსყიდველობით მოქარგული ურთიერთობა.

არც ერთმა არ იცოდა, თუ ის მეორეს უყვარდა, მაშინ, როცა ორივე თავისთავად დარწმუნებული იყო იმაში, რომ მათ უერთმანეთოდ ყოფნა არ შეეძლოთ. იქნება ეს ცოლქმრობა, და-ძმობა, ამხანაგობა, თუ სხვა რაიმე ურთიერთი დამოკიდებულება, ეგ სულერთია, ოღონდ კი უერთმანეთოდ გაძლება მათ არ შეუძლიათ და არა.

ასეთი შინაგანი ცეცხლით განმტკიცებული მათი დამოკიდებულება, გარეგნულად სრულიად ურიდო და შეუზღუდველი იყო.

ან კი რა უნდა ყოფილიყო აქ მოსარიდ-სათაკილო?

— „მაშო, გენაცვა, ერთი ჭიქა ცივი წყალი ჩემს თავს ნუ გირჩევნია".

ეტყოდა ხოლმე მაშოს, ზაფხულის სიცხისაგან, ან კიდევ გრძელი გზის გამოვლის გამო გულ-ანთებული თედო, თითქოს ამ უკანასკნელის გულის სიმხურვალის დაცხრობ-დანელება მაშოს მეტს სხვას არც შეეძლო და არ ეწერა.

— „დედავ, ღმერთო კი მომკალი, ამას რას მიჩივი, ბატონო, ერთ ჭიქა წყალში გასაცვლელად ვის ემეტები"-ო, საყვედურივით მიუგებდა მაშო და, ამ სიტყვებთან ერთად, ჯეირანივით ყელმოღერებული სწრაფათ გარბოდა წყლის მოსატანათ.

სადა, მაგრამ სუფთა ჭურჭლით აწოდებდა ცივს წყალს თავის სასურველს თედოს და უცხრობდა იმ გულს, რომელიც თავისდაუნებურად მანვე აღუგზნო ვაჟს.

სწორეთ იშვიათი და საოცარი იყო ეს ორი ტემპერამენტი, როცა ორივე ერთმანეთისაგან ასე ანთებულები, ჩუმად, უხმოდ, ერთი სიტყვის უთქმელად, თვით უბრალო გარეგანი საბუთის მიუცემლადაც კი ასე იდუმალის შინაგანი ნელი ცეცხლით იბუგებოდენ და ეს შინაგანი წვა არა თუ ცუდ გავლენას არ ახდენ-

და მათ გარეგნობაზე, არამედ, პირიქით, რაც დღე გადიოდა, იმდენათ უფრო წარმტაცი შესახედავები ხდებოდენ, ისეთი ზნეობრივი სისუფთავე-სილამაზის შარავანდედით იმოსებოდენ თანდათან, რომ ერთი უბრალო მათი სიტყვა სრულიად საკმაო იყო მთელი იმ სოფლის მათი ტოლ-სწორის ასანთებათ და/რაიმე განსაზღვრული მიზნისაკენ გასატაცებლად.

და აი, ასეთი არაჩვეულებრივი, რაღაც სამაგალითო, [illegible], იშვიათი სილამაზით უხვად დაჯილდოვებული მომავლის უეჭვო იმედ ახალგაზრდათა შესახებ ბედავდენ სიტყვების გადაკვრას ისეთი თვით აწმყოსაგანაც კი განწირული ტიპები, როგორნიც იყვნენ ბესარიონ მწერალი და გაბრიელ მედუქნე.

ვინ მისცა ამისი ნება, ან რაიმე საბაბი რომელიმე მათგანს?

მართალია, ხაჭაპური დათიამ მიუტანა მწერალს, მაგრამ ეს მოხდა არა მაშოს რაიმე მონაწილეობით, არამედ სრულიად გარეშე პირის დავალებით.

დათიამაც შეასრულა ეს დავალება, განუსაზღვრელად იმისა, იცოდა, თუ არ იცოდა მან, თუ რა დამოკიდებულება უნდა ყოფილიყო ამ პირსა და მწერალს შორის.

დათია ხომ ივლიანე ყოყოჩაძე არ იყო, რომ ამ შემთხვევის ირგვლივ რაიმე ჭორების კორიანტელი დაეყენებინა?

დაავალეს, გამოატანეს და იმანაც დანიშნულებისამებრ გადასცა.

მორჩა და გათავდა.

ცხოვრებაში, ხომ ყველაფერს და ყოველივეს თავისი მიზანი და დანიშნულება აქვს.

დათიას რაში ეკითხება ყოველივე ის, რაც მისი ინტერესების გარეშე სდგას?

VII

შუაღამეზე გადასული იყო, როცა გაბრიელ მედუქნე გამოემშვიდობა ბესარიონ მწერალს და დასაძინებლად გასწია თავისი ბინისაკენ.

ეს ბინა წარმოადგენდა ორმოსავით ჩავარდნილს ვიწროსა და ბნელს ოთახს, რომელიც გაბრიელის დუქანს უკანადგან მიკეთებული ჰქონდა ლოკოკინას ხოჭოსავით.

ოთახში შესულმა გაბრიელ მედუქნემ ასანთს გაუქნია, რომლის სინათლეზეც გამოჩნდა საკმაოდ სუფთად მილაგებული კოპწია ბინა. ოთახს შუა კედელში დატანებული ჰქონდა ახლად შეთეთრებული აგურის ბუხარი. ბუხრის ერთ მხარეზე იდგა რკინის კრაოტი სუფთა ქვეშაგებით, ხოლო კედელი მოფენილი იყო ფერად ხალზე ჩამწკრივებულ სხვადასხვა ფოტოგრაფიებითა, ნაქარგ-ნახატითა და იარაღით.

ბუხრის მეორე მხარეს იდგა მაღალი და განიერი განჯინა, რომელიც სავსე იყო გაბრიელის ტანისამოსითა და სხვა საჭირო ნივთებით.

პატარა მაგიდა, რამდენიმე სელის სკამით, ორი სამი ტაბურეტკით, მაგიდაზე ფეხებ-განრთხმული საკმაოდ დიდი სარკით, სტოლის საათით და სხვა უმნიშვნელო ნივთებით, ასრულებდენ ოთახის მორთულობას.

გაბრიელმა ჯერ აანთო ბუხრის თაროზე შემოდგმული ლამპა, შემდეგ ბუხრის ახლო კედელთან მიდგმულ ნავთის პურპელს ხელი წამოჰკრა, წინდაწინ ბუხარში გამზადებულს შეშებს ნავთი ძირში შეასხა და ასანთს გაუკრა.

პატარა ხანს უკან გაბრიელ მედუქნის ოთახში კოპწია ბუხარი გაჰქონდა საამური გუგუნი და შეშებს, ხან გამუდმებული, ხან [illegible] ტკაცანი.

ბიბლიოთეკა

გაბრიელმა თავის კავკავის ნაბადი მოიხსნა, შეახვია და კუთხეში მიაყუდა. შემდეგ ბუხრის წინ ჩაბოჯდა, ფეხები ფართოდ და ხალვათად გაშალა ცეცხლის წინ ბუხართან და რაღაც მძიმე ფიქრებს მიეცა.

ფიქრი დუქნის კარებზე დაკაკუნებამ გაჰფანტა. გაბრიელ ელვის სისწრაფით წამოვარდა და კარებს ეცა.

ოთახში შემოვიდა ორი იარაღიანი, ყაბალახებით თავებ-შეხვეული ახალგაზრდა.

— ლამპა არ გინდა! ჩააქრე!

დამარწმუნებელი ტონით მიუბრუნდა გაბრიელს ერთი შემოსულთაგანი.

გაბრიელმა სიტყვის შეუბრუნებლივ აასრულა მოსულის სურვილი და ლამპა ჩააქრო.

მოსულები ცეცხლის პირას ჩამოსხდნენ.

— რავაა, კოწიავ, საქმე?!.

შეეკითხა, მცირე სიჩუმის შემდეგ, გაბრიელი პირველ მოსულთაგანს.

— „ეჰ, რავა უნდა იყვეს?!.

ვიზარალეთ, გაბრიელ ჩემო, ვიზარალეთ!..

არ გაგვიმართლდა!..

მძიმე-მძიმედ ამბობდა მოუბარი.

— როგორ?

— როგორ და, რასაც ამბობდენ, იგი აღარ გამოდგა, ხოლო უმნიშვნელო რამეში, აბა, ხელს ხომ არ გავისვრიდი?!

აქ სხვა რამე უნდა იყვეს კიდევ, როგორც მე ვფიქრობ, ხოლო ჩვენი მოტყუება და გამოყენება უნდოდათ.

ეს მე გავუგე და საქმეც ჩაიშალა...

ახლა მეორე ადგილზე ვფიქრობთ წასვლას.

იქ კი საიმედოა, ეგ უკვე მე თვითონ ვიცი.

მხოლოთ ერთ კვირაზე ადრე კი ვერ წავალთ...

წასვლის წინ ხომ შენც შეგატყობინებთ.

ამ სიტყვებზე მოსაუბრემ წელის უკანიდან ამოიძრო და გაუწოდა მასპინძელს დიდი რევოლვერი, რომლის ტარების ნებართვაც გაბრიელს მინიჭებული ჰქონდა, დუქნის დაცვის მიზნით.

გაბრიელმა რევოლვერი ჩამოართვა და ფრთხილათ შეინახა ადრევე მისთვის მიჩენილს ადგილას.

— საჭმელი ხომ არაფერი გაქვს?

შეეკითხა ისევ პირველი მოსულთაგანი.

გაბრიელმა გამოაღო განჯინის კარი და გამოალაგა ქვემო უჯრიდან: შჭადი, პურის დიდი ნაჭერი, მოხარშული ღორის ლორი, ერთი ბოთლი ღვინო (ეს იმ დოქს გადმოაკლო, მწერალთან და ივლიანე ყოყოჩაძესთან რომ წაიღო) და მოსულებს ბუხრის წინ ტაბურეტკაზე გაუშალა სუფრა.

თითო წლის ნამშირებივით დაეძგერენ სუფრას მოსულები, და ეწყვეს მისი განიავება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაბრიელი თავს აღგა მათ და პატარა ღვინის ჭიქას ხან ერთს უსებდა, ხან მეორეს.

საკმაოდ დიდი ნატეხი შჭადი, ამდენივე პური, ხორცის ნაჭერი და ზორბა ბოთლი ღვინო თითქმის თვალის დახამხამებში გაანიავეს ახალგაზრდებმა.

ტუჩები მსუნაგ კატებსავით მიიწმინდ-მოიწმინდეს, მასპინძელს მშვიდობიანი ღამე და წყნარი ძილი უსურვეს და ისევე გაჰქრენ ღამის სიბნელეში, როგორც მოვიდენ.

გაბრიელმა კარები მაგრად ჩამოიკეტა, ცეცხლი შეახვია ბუხარში, საბანზე თავის ნაბადიც გადაიხურა, ტანისამოსი სწრაფად გაიხადა და ლოგინში შეიგულა.

მცირე ხნის უკან, სადღაც სოფლის ბოლოში მგლის ყმუილი, ძაღლების წკავწკავი, სტვენა, ყიჟინი და თოფის გრიალი გაისმა.

მაგრამ ხმა მალე ისევ მიწყნარდა და მხოლოთ გარეთ, სინესტით დამძიმებულ ჰაერში ზამთრის ქარის გულისა და სულის მჭვალავი ცივი სისინი-ღა გაისმოდა.

გაბრიელს დიდხანს ძილი არ ეკარებოდა.

ფიქრებმა წაიღეს.

მას გულს უწყალებდა მიღებულ და გასტუმრებულ ახალგაზრდების ასეთი უშედეგო „მოგზაურობა“, რომელიც, შესაფერისად რომ საქმე წასულიყო, გაბრიელს ნადავლის საკმაოთ მსუქან წილს უქადდა.

— ვინ იცის? იქნება კიდეც მომატყუეს ამ თავხე ხელ აღებულებმა!

ჰფიქრობდა გაბრიელი და თანაც ლოგინში მოუსვენრობდა.

ფიქრსა და საგონებელში წასულმა გაბრიელმა დიდ ხანს იბრუნა ერთი გვერდიდან მეორეზე და ბოლოს გაისმა ოთახში მძინარის მადიანი ხვრინვა, რომელსაც გარედან სისინით ეხმაურებოდა ზამთრის ცივი სინესტით ულმობლათ დატვირთული და სასტიკად მსჭვალავი ქარი.

VIII

დაცარიელდა თუ არა საშწერლო ოთახი, ბესარიონ მწერალმაც ცეცხლი ბუხარში შეახვია, თავი ყაბალახით შეიბურა, ლამპა ჩააქრო და ფეხაკრეფით-ოთახიდან გარეთ გამოვიდა.

საკმაოთ ნათელი ღამე იყო.

ქვეშ თოვლით ახლათ მოფარული მიწის პირი და ღრუბლებშიც მთვარის რამოდენიმეთ ბაცი ანარეკლი ხელს უწყობდენ ღამის ამ ზამთრისათვის ჩვეულს სინათლეს.

მიუხედავათ ამ საკმაო სინათლისა, სოფელ №-ის სანახევროთ კლდე-ღრეტყიან ადგილებში ღამით მოგზაურობა მაინც საშიშოსა და სახიფათო საქმეს წარმოადგენდა...

მართალია, ბესარიონ მწერალისათვის, „დღე და ღამე ერთია“-ო, სოფლათ რომ იტყვიან, სწორეთ ისეთი იყო ეგ მოგზაურობა, მაგ[illegible]ც ნელი და წინდახედული ნაბიჯით მიიწევდა წინ, უძრავ სივრცეს გაშახვილებულ თვალით ზვერავდა, შარა-გზებს გვედრს უვლიდა და ვიწრო ბილიკოვანებს მიჰყვებოდა, ან კიდევ სრულიად უგზო-უკვლო ადგილებს ავარებდა თავს.

პატარა ტყის, ანუ „რაყის“ პირად იდგა გლეხი იორდანე მათრახაძის დიდი ფიცრული, რომელსაც ირგვლივ შემოსაფრული ჰქონდა სოფლურ ოჯახისათვის აუცილებელი წვრილ-წვრილი შენობებიც: ნალია, ბეღელი, საბატე, საქათმე და საღორესთან სახურავ-გადაფხრეწილი ფეხის ადგილი. ხოლო ამ უკანასკნელის შორი-ახლო ღამის გუშაგივით დაყუდებულიყო ფრთებ-შეჩეჩილი ზვინი.

თითქოს ამ ფეხისადგილიდან ვილაც გამოხტა ამ უდროო დროს, თუ ზვინს მოსყდა რალაც მოდიდო საგანი, გამოჩნდა ჩრდილი ეზოში და ფიცრულისაკენ ჩქარის ნაბიჯით გასწია.

სახლის გვერდით მწოლარე წელკავიანმა ქოფაკმა ერთი-ორი ისე ამოიყმუვლა, თითქოს ჭლექით მძიმე ავადმყოფმა საღლაც მკერდის სილრმიდან ყრუდ ამოიხველაო, და მყისვე ხმა გაჰქმინდა. ალბად, მოსული ემცნაურა, ან კიდევ სიცივისაგან ისედაც წელმოწყვეტილს მეტი დავიდარების თავი ალარა ჰქონდა.

მისწყდა ძაღლის ხმა თუ არა, მცირე ხნის შემდეგ, გაისმა სახლის კარებზე ნელი კაკუნი. კარმა ოდნავ გაიჭრიალა და ჩრდილი შიგნით შეიმალა...

ხმა გავარდა თუ არა— „ალიხანოვის რაზმებმა ლიხის მთა გადმოლახეს“,

IX.

საერობო დარაჯი, იორდანე მათრახაძე, იმავ წამს დაუბრუნდა თავის სამსახურს და მაზრის სამმართველოსთან არსებულს დარაჯთა „პოსტის“ სადგომში 1906 წლის პირველსავე დღეებში, აქედან სამარცხვინო ისტორიულ გაქცევის შემდეგ. პირველად, ისეთის რიხით შეეიდა, თითქოს ჩვეულებრივ მივლინებისაგან დაბრუნებულაო.

ფეხებ-მორყეულ,გრძელ-სკამ-ლოგინზე განუყრელად მჯდომ ემელკა შიკრიკს, რომელსაც მეტი ჯდომისაგან უკანალზე კოჟრები გამოსვლოდა, არც კი მიესალმა, ისე პირდაპირ გაუბა მუსაიფი ბ. მაზრის უფროსსა, საერობო დარაჯთა ინსპექტორსა, მის მოსამსახურე, ვასკა **ხაჟსა**, და სხვათა შესახებ, თითქოს, ერთად-ერთი ღამის ცუდ სიზმრიანი ძილის შემდეგ, აქ ჩამოთვლილ ადამიანთა კეთილმყოფობის შესახებ, ცუდი სიზმრით შეშფოთებული იორდანე, რალაც არა სასიამოვნო წინათგრძნობას განიცდის და იმათ შესახებ ამბის გამოკითხვით გული უნდა დაიმშვიდოსო.

ფორმალურად, მათრახაძეს სამსახურისათვის არც კი დაუნებებია თავი, მხოლოდ გლეხების რევოლიუციონურმა გამოსვლამ, დარაჯებისათვის იარაღების აყრის მიზნით, „პოსტზე“ თავდასხმამ, და, ამის გამო, მათრახაძის და მის

ამხანაგების საბარცხვინო შიშმა მოჰგლიჯეს იორდანე თავის საიმედო ნაეთსადგურს.

მაშინ ყველაზე მეტად ხელიდგან წასულ იორდანეს, დღეს რომ შეეკითხოთ, იგი აშკარა სიუტიფრით გიპასუხებთ, რომ მას არასოდეს არ სწადდა ხალხის გამარჯვება და ეს დათმობა მიაჩნდა ხანმოკლე დროებით მოვლენად, რაც ეხლავე, იორდანეს სასახელოთა და საბედნიეროთ, უკვე ასეა აკრძალეთ დამტკიცდა.

მაშინ კი, როცა სტრაჯნიკებს, პოლიციელებს, ჟანდარმებს და სხვა ათას მუქთა ხორას ხალხი ისეთის გააფრთებით სდევნიდა, სჯიდა და ზოგს სიცოცხლესაც კი ასალმებდა, იორდანე „კვახში გახლდათ ჩამძვრალი“ და შიშით ენასაც კი ვერ სძრავდა.

მაშინ, რასაკვირველია, სხვებთან ერთად, იორდანეც მოხვდა ასეთ „უსიამოვნება“-ში და სიკვდილს ბეწვზე გადაურჩა.

ის დღე იორდანეს არასოდეს არ დააავიწყდება, როცა მან ფიცითა და მუცელზე ხოხვით აღუთქვა ხალხის შეიარაღებულს წარმომადგენლებს განმათავისუფლებელ მოძრაობისადმი თავისი სრული ერთგულება.

დღეს კი, პირიქით, გამძვინვარებულს რეაქციას იორდანე ხელებგადაკაპიწებული გვერდში უდგა და იმათ, ვინც მას მაშინ სიცოცხლე სამოწყალოთ აჩუქეს, ახლა, საცა კი მოასწრებდა, სულ მუსრს ავლებდა.

იგი რამდენადაც უზრდელი და ხეპრე, იმდენათ მსდალი და ძმიშარა პიროვნება იყო. მაგრამ ბნელ მთიულთა რაზმებითა და რეგულიარულ ჯარის კაცებით ზეგ-გამაგრებულმა ახლა მან შიში, რიდი, თუ შებრალება აღარ იცოდა.

მთავრობიდან რაღაც წარჩინებასაც კი ელირსა ამით იორდანე, მაგრამ „რაღაკას“ და, თავისი აზრით კი,—„ერთობ ბევრს“—იგი კიდევ მოელოდა.

იორდანე რომ ამ ხელმწიფისათვის სასიამოვნო და, მისი ფიქრით, რაღაც სასარგებლო დიდი მოღვაწეობით იყო გარეთ გართული, შინ იმისი ლამაზი ცოლი, ფეფიკო, ბესარიონ მწერალთან ღამ-ღამობით ალერსიანად „დროს ატარებდა“.

თუმცა დიდი საიდუმლოებით იყო მოცული ბესარიონ მწერლისა და იორდანეს ცოლის ეს დამოკიდებულება, როგორც სოფლად უწესო და უხნეო საქციელი, მაგრამ სოფელში თითო-ოროლა ვინმემ მაინც იცოდა რაიმე ამის შესახებ.

თვით ფაქტი მათი შეკავშირებისა უშუალოდ არ მომხდარა.

იორდანეს მეზობლად სცხოვრობდა ქვრივი, ალათია, რომელმაც, ნოზრდილი სასყიდელის გულისთვის, „გაუკეთა“ ბესარიონ მწერალს ეგ საქმე. და აი, ბესარიონ მწერალიც გართულია ახლა ასეთი ოლი გზით ხელში ჩაგდებულ ნანადირევის კორტნით.

ასეთი ნოყიერი ულუფით უზრუნველყოფილი ბესარიონ მწერალს ხარბი გული და თვალი მაინც ახალი მსხვერპლისაკენ ეჭირა.

ეს მსხვერპლი გახლდათ დათია წვადაგაძის ანგელოზი ქალი, მაშო.

აი, საით იშვერდა თავის საკმაოდ უსუფთაო ცხვირს ბესარიონ მწერალი, როცა ის გაბრიელ მედუქნეს ხაჭაპურზე გადაკრულ სიტყვებს ესტოდა და თანაც ისეთი რიდი და გაურკვევლობა ემჩნეოდა მსჯელობაში ამ ჯერ-ჯერობით მაინც კიდევ მიუღწეველი საგნის შესახებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

X

დათიას ქალი გაბრიელ მედუქნესაც მოსდიოდა თვალში, მაგრამ ორი მოსაზრება ხელ-ფეხს უბორკავდა ანგარიშიან ჩარჩს.

ერთი, რომ მაშო ღარიბი ოჯახის შვილი იყო და, მაშასადამე, მდიდარი და ხელსაყრელი მზითევის იმედი მის შერთვასთან არ იყო დაკავშირებული, ურომლისოდაც გაბრიელს ცოლის შერთვა ვერც კი წარმოედგინა.

ხოლო, მეორეს მხრით, მაშოსა და თედო ახალიშვილის დამოკიდებულება საკმაოთ ხელისშემშლელ პირობას წარმოადგენდა ფრთხილისა და შშიშარა მედუქნისათვის.

აი, ეს ორი მოსაზრება მუდამ წინაღუდგებოდა ხოლმე გაბრიელ მედუქნეს, როცა კი მაშოს თვალს სადმე შემთხვევით შეასწრებდა და პირზე საიმისოთ მომდგარ ქათინაურებს, ნერწყვთან ერთად, უმეტეს შემთხვევაში გამოუმჟღავნებლად პირს იქით აყლაპინებდა.

სულ სხვა ტიპი იყო ბესარიონ მწერალი.

იგი იმდენადვე თავხედი იყო, რამდენადაც მსუნაგი და ვნებიანი.

მაშოს ხელში ჩაგდების სურვილი მას ღრმად ჰქონდა გამჯდარი გულ ბოყვში და მთელი მისი აზრი და ზრახვა ტრიალებდა რაიმე ოსტატური გეგმის შედგენის გარშემო, რათა თედო ახალიშვილი გაეცა რაიმე მოხერხებულ მახეში და ამ გზით მისთვის წაეგლიჯნა ეს ძვირფასი საუნჯე.

სწორეთ ინსტიქტი მაშოსთან საერთო საზოგადოებაში ტრიალისა, სადაც მწერალს შემთხვევა ექნებოდა ქალის ხშირი ჭვრეტის, მასთან ასეთსა თუ ისეთს დამოკიდებულებაში ყოფნისა, ამოქმედებდა უმთავრესად ბესარიონ მწერალს, როცა ის 1905 წლის მოძრაობაშიც კი ეჩრებოდა კუდა-ხარივით.

ბევრს არ მოსწონდა ამ თავისთვის შეუფერებელს როლში ბესარიონ მწერალი.

არც მაშოს მოსწონდა ეს გარემოება, მით უფრო—არც თედოს, მაგრამ ამ უკანასკნელს პირველის წინააღმდეგ რაიმე გადამჭრელი ზომების მიღებისაგან პოლიტიკური მოსაზრება აჩერებდა.

თუმცა, როგორც ეხლა უკვე აშკარადა სჩანს, თედოსი და მისი თანამოაზრეების წინაგრძნობა უფრო სწორად სჭრიდა საკითხს, ვიდრე რაღაც სავალდებულო პოლიტიკური მოსაზრება.

1906-მა და შემდეგმა წლებმა საესებით გამოააშკარავეს, როგორც ეს, ისე ბესარიონ მწერლის ნამდვილი სახე და ბუნებაც.

თედო იმალებოდა.

იმას სდევნიდა მთავრობა.

ამ შემთხვევაში ბესარიონ მწერალი წარმოადგენდა მთავრობის მარჯვენა ხელს, ვინაიდგან, როგორც „გადავარდნილი“ ახალ თაობის კაცის ყოფილ ამხანაგს, მის მეზობელს და საზოგადოების ერთ მთავარს ხელმძღვანელს, როგორც სოფლის მწერალს, მას შეეძლო მთავრობისათვის ამ შემთხვევაში შეუდარებელი სამსახურის გაწევა.

ასე ორ ცეცხლს შუა იყო გამომწყვდეული არა მარტო ... ...

ჩერდებოდა და, თავისი ხასიათის გადამკიდე, ის, სტუმრების გაცილების შემდეგ, უეჭველად მონახავდა უფრო თბილსა და ტკბილს „ღამის გასათევს".

ნიკოია ისევ მწერლის ოთახს მიუბრუნდა.

ოთახში ცეცხლის ანარეკლი მოსჩანდა, მაგრამ კარები გარედან იყო დაკეტილი.

— იქნება სადმე ახლო-მახლო წავიდა და მალე დაბრუნდება? გაიფიქრა ნიკოიამ. მოტანილი ამანათები იქვე კანცელარიის დარბაზში მდგომ განჯინაში შეინახა და თვითონ გასწია საყარაულოსაკენ, რათა ცეცხლი გაეჩაღებინა და დასველებული ტანი გაეშრო.

ძილზე კი ფიქრიც მეტი იყო, რადგან მას უნდა ეცადა მწერლის დაბრუნებისათვის, ვინაიდან სასწრაფო და საინტერესო ცნობები ჰქონდა მოტანილი.

XII

ძლევამოსილი დღის სინათლე მორეული პროკურორის შუქივით ნელ-ნელ ეფინებოდა აღმოსავლეთით მიდამოს.

№-ის კანცელარიის საყარაულოში ცეცხლის პირას ჩაცუცქებული—ნიკოია იასაული დაღლილობისა და ძილისაგან, მგონი, მეათიათასჯერ ჰქინდრავდა დამძიმებულს თავს, სთვლემდა და მაინც შეჩვეულს სიფხიზლეს იცავდა, როცა კანცელარიის აივანზე ვილაცამ მძიმეთ ააბაკუნა თოვლით დაბამბული ფეხები.

ნიკოიას ხმაური არ გამოეპარა.

ფიცხლავ წამოხტა და საყარაულოს კარი გამოაჭრიალა.

— ნიკოია ხარ?

გაისმა მწერლის კითხვა.

— გახლავარ, ბატონო!

იყო ნიკოიას პასუხი და სწრაფი გაქანება მოსულისაკენ ხელში ანთებული მუგუზლებით.

მწერალმა ოთახის კარი შეაღო და ნიკოიაც აფუსფუსდა ბუხრის წინ, მაგრამ ინსტიქტიური ხელის წამოვლებით გამოძღვანიებული მუგუზლები საჭირო აღარ დარჩა, ვინაიდგან საკმაო იყო ნიკოიას ერთ-ერთი მუგუზალი მიესვ-მოესვა ბუხრის ბსკერისთვის, რომ დახვეული ცეცხლი მიწიდან ამოცვივნულ ოქროს კენჭებივით აბრჭყვიალებულიყო და უეცრად აშადრევნებულიყო იქით-აქეთ მიწყობილ მუგუზლებზე ალის ძლიერ ნაკადულად.

— ახალი რა არის, ბიჭო?

მიუბრუნდა მწერალი იასაულს, რომელსაც თითქო სიცივისაგან კრიჭა ისე აქვს შეკრული, რომ ენას ვერ სძრავსო.

— ხვალ ჯარი მოვა პირდაპირ მაზრიდან.

ასე ეძახდა ნიკოია სამაზრო ცენტრს.

— ჯარი?

გაოცებით იკითხა ბესარიონ მწერალმა, თითქოს უჩვეულო იყო ამ მხარეში ეს ამბავი.

— რა საქმეზეო, თუ იცი?

— არ ვიცი, ბატონო, აგერ მამასახლისის წერილიც არის თქვენ სახელზე და სიტყვიერად მე მხოლოთ ეს დამაბარა: „მოწერილობები დაგზავნეთ და დილიდანვე მოხელე პირებსა და ხევის კაცებს დაუძახეთო. მე დილით ადრევე მოვალ და ისინიც იმ დროსთვის იქ უნდა დამხვდენო“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— თვითონ?!.

— თვითონ სახლში გეახლათ.

ქედი კი ერთად გადმოვიარეთ.

მწერალმა აანთო მაგიდაზე თაგვების მოდარაჯე კატასავით დაყუნცული ლამპა, გამოაღო სწორეთ ის განჯინა, რომლის თავზეც ამას წინად გაბრიელ მედუქნის მიერ ვახშმის ფონდში მოტანილი დოქით ღვინო იდგა, გამოალაგა ქაღალდები, საწერ-კალამი და მაგიდაზე დააწყო.

მწერალი გაემზადა მოწერილობათა შესადგენათ, ხოლო, სანამ წერას დაიწყებდა, ერთხელ კიდევ გადახედა ერმილე მამასახლისის მიერ გამოგზავნილ წერილს.

ეტყობოდა, რომ საქმე მართლაც საშური იყო. განკარგულება იყო სიტყვიერი. მაგრამ მამასახლისი ღმერთივით ეეედრებოდა მწერალს საქმით დაჩქარებით შესრულებას.

და მწერალიც, თითქოს გულზე უჩქმიტესო, გამალებით შეუდგა წერას.

ბუხრის წინ ატუზულმა ნიკოიამ იგრძნო ფეხებით ამუშავების მოახლოვება და სანახევროდ ძირ-გამოვარდნილ ქალამნებზე მოშვებულ თასმებს ზანტად დაუწყო მომაგრება.

— აბა, ჩქარა!.

უბრძანა მწერალმა ბუხრის წინ ზღარბივით მოკუნტულ ნიკოიას და გაუწოდა ქაღალდის სამიოდე ნაგლეჯი.

მოწერილობები წყვილ-წყვილ „საპომოშჩნიკოებზე“ იყო შედგენილი და ისინი ნიკოიას უნდა გადაეცა უახლოეს პუნქტებზე, საიდანაც შემდეგ უკვე თავისით გაიკვლევდენ გზას დანიშნულებისამებრ.

XIII

უკვე დილის ექვსი საათიდანვე იწყო სოფელ №-ის კანცელარიამ გამოცოცხლება.

ჯერ უჩვეულო სიადრით მოაჯირითა თავისი ლურჯა ერმილე მამასახლისმა.

იმას მოჰყვა საშიკრიკოდან დაბრუნებული ნიკოია იასაული.

მწერალი ჯერ კიდევ ანთებულ ბუხრის წინ მიჩოჩებულ ტახტზე გაშლილ ლოგინში ტანსაცმელ-გაუხდელი იწვა, ზევიდან ნაბადი ეხურა და მკვდარივით ეძინა.

მალე დაბარებ ლმა ხალხმაც იწყო თავის მოყრა.

ვიღაცას ივლიანე ყოყოჩაძის ყურშიც ეკრა სადგისი და ისიც ახლობელ ჭირისუფალსავით გაფაფრული მოიჭრა კანცელარიაზე. თითქოს გულის დამწვე-

ლი სიკვდილი სმენია თავისი მკვიდრი ნათესავისა ,და დასატირებლად მოსულ-ლაო.

მოსვლისთანავე ივლიანე სასწრაფოთ და ზერელეთ მუსალმა ,ამცელარიის დარბაზში გაჩაღებულ ბუხრის წინ ჩამწკრივებულ ხალხს, თითქოს დამშეულ ძაღლებს ძუნწად თითო-ოროლა ლუკმა გადაუყარაო, და ,ჩქარებულმ' ნაბიჯით შეიჭრა პირდაპირ მწერლის ოთახში.

— დილა მშვიდობის., მამასახლისო.

გამარჯვება, ბესარიონ!

მიახალა ივლიანემ და ხედვა მწერალზე შეაჩერა, რომელიც ჯერ კიდევ თვალებ-დაჭყეტით ხის მორგვივით გამოტილი იდო ლოგინზედ, წინალამინდელ თავის „ნამონადირეობას" არც კი იმჩნევდა, და ისეთ წთაბეჭდილებას ახდენდა, თითქოს დღევანდელი დილის შეფორიაქებული აჩქარების პიონერი ის იყ-ვესო.

ჯარი, რომლის მოსვლის შესახებ ცნობა ერმილე მამასახლისს წინადღით ნიელო ბოქაულისაგან, მხოლოდ შუადღის ხანს ეწვია სოფელ №-ს.

მოსული გლეხებისაგან ბევრმა იცნო ჯარის წინამძღოლი.

ეს იყო პლასტუნთა ოფიცერი, რომელმაც ამ რამოდენიმე დღის წინათ გადა'წვა მახლობელი დაბა და ორი სამი სოფელი. ამას იგი სჩადიოდა ისეთი გულმოდგინებით, თითქოს ნას ულიდესი ბედნიერების მოტანა ხვდა წილად ამ კუთხისათვისო. კითაულობდა მზა-მზარეულად შედგენილს ქალალდებს, ამ-ახინჯებდა ქართულ გვარებსა და სახელებს. თავისი ხელით ასხამდა ნავთს ათე-ულ წლობით სხვისი ხელებით მოხაგარს დოვლათს და ერთი ღერი ქიაფის გა-ქნევით ანიავებდა ამ თითქმის ყოვლად უდანაშაულო ხალხის სიმდიდრეს.

საზარელ სურათს წარმოადგენდა ცეცხლსა და კვამლში გახვეული სოფ-ლები.

გაზაფხული მოახლოებული იყო.

ამ დროს გლეხები ჩვეულებრივად მართლაც სწვავენ ხოლმე მინდვრებსა, თუ ახოებში „გვანს" (ნაგავი, ნაკაფავი).

ამ შემთხვევაში კი მორიდან გაოცებას მხოლოთ ის-ღა იწვევდა, რომ ჯერ კიდევ რამოდენიმეთ ნაავდრევი იყო ასეთი „გვანის წვა".

ახლოდან კიდევ იმითი იყო ეს ამბავი გასაოცარი, და თან სამწუხარო და და სავალალოც, რომ ამ „წვა"-ს თან მოსდევდა ქალებისა და ბავშვების გულის გამხეთქი წივილ-კივილი (მამაკაცები ამ მოვლენას ხვდებოდენ დემონიურის სიგუ-ლგრილით, როგორც უმართლოდ დამსახურებულს „ღვთის რისხვას"), მაშინ, როცა ჩვეულებრივი „გვანის წვა" სოფლად სიცილ-კისკისითა და სიამოვნებით არის ხოლმე შეთანხმებული.

— „ტედო ახალიშვილი"!

შედარებით გასაშტერებელი სისწორით წარმოსთქვა ტედო ახალისშვილის სახელი და გვარი ამ ჟამად ოფიცერმა და მოითხოვა აღნიშნული პირის ბინა-საკენ გზის გასწავლება.

ამუშავდა სოფლად მოსული უცხო ხელები ყველა იმის დალმა საფარცხველად, რაც მკვიდრმა ხელმა დღემდის აღმა ხნა და დიდის წვალებითა და ვაი-ვაგლახით დოვლათად თავი მოუყარა.

ათი სხვა და სხვა პირის სახლი გადასწვა იმ დღეს ჯარმა და საღამის კაი ვახშამიც კი მოითხოვა სოფლის კანცელარიაზე დასასვენებლად შეჩერებულმა.

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

და მიიღო კიდეც ასეთი, როგორც მთელი დღის მძიმე შრომის გადამხდელმა.

დათია წვადაგაძის სახლი თუ გადარჩა გადაწვას, ერთი იმიტომ რომ, ამ ოჯახიდან არავინ იმალებოდა, ყველა სახლში აღმოჩნდა, ხოლო, მეორეც იმიტომ, რომ აქ დასაწვავიც აღარაფერი იყო.

ერთ პატარა მენახშირის სახესავით გამურულ ქოხში შეხიზნული იყო ხუთი ექვსი სულისაგან შემდგარი დათიას ოჯახი. დასაწვავ სახლთა სიაშიც დათიას ქოხი სხვათა შორის ეწერა. ალბად, ჯაშუშის გულმოწყალებიანი განზრახვით თუ მოხდა ეს, თორემ დათიას ქოხს ამ შემთხვევაში სხვებზე ნაკლები დანაშაულიც არ მიუძღოდა.

ახალთაობის კაცები, ეგრედ წოდებული „გადავარდნილები" ამ თავიანთი ნაამაგდარის განიავებას მაღლობებიდან დაჰყურებდენ თავს და ძალაუნებური თავშეკავებით გულებში გააფრთებით მჯიღებს იცემდენ.

XIV

მეტის მეტი ძნელი დრო დადგა „ახალთაობის კაცებისათვის", როგორც სოფლად ეძახლენ განმათავისუფლებელი ბრძოლის აქტიურ მონაწილეებს იმ ხანებში. ბევრი მათგანი ტყეებსა და მთებში მხეცებივით დაძრწოდენ, რადგან მთავრობა მათ სასტიკად სდევნიდა.

ესენი ის საუკეთესო ნაწილი გახლდათ გლეხთა საზოგადოებისა, რომლებიც 1905 წლის რევოლიუციონურ მოძრაობაში იჩენდენ ყველაზე მეტ აქტივობას.

„ვინაც მეტი ჰქნა, იმას ეკითხაო", ამბობს ხალხური ანდაზა და რეაქციის ყველაზე მეტი რისხვაც სწორეთ ამ აქტიურებს დაატყდათ თავს.

თედო ახალიშვილიც ერთი იმ „გადავარდნილთაგანი" იყო.

მათ საერთოდ პირველ ხანებში ერთი გამოუცდელობა დასჩემდათ: ერთმანეთს არ შორდებოდენ, ისე „ჯოგათ" დადიოდენ.

ამის გამო, არა ერთი მარცხი დაატყდათ თავს მტრისაგან, რომელიც, ამ მიზეზის წყალობით, „ადვილათ" უდგებოდა მათ კვალში და ამ „ჯოგი"-ს ან თავს კი შეასწრებდა სადმე, ან ბოლოს, „ყოყოჩაძეებისა," თუ სხვათა დახმარებით, ამ საზიზღარი „ფშიონების" წყალობით, როგორც მათ სოფლად ეძახდენ.

მწარე გამოცდილებით დარწმუნდენ დევნილები ისეთი მათი ტაქტიკის უკარგისობაში და იწყეს უფრო დაქსაქსულათ სიარული. ამით მტერსაც მოუსპეს მათზე ხშირი გამარჯვების საშვალება და „ფშიონერებსაც" გამოულიეს

საშუშაო. ამ უკანასკნელთა არსებობასაც მალე წყალი დაუშრა, აზრი დაეკარგა.

თვითონ „გადავარდნილებიც" უსაქმოდ არ ისხდენ და „ფშიონების" წინააღმდეგ მიმართავდენ „შესაფერ ზომებს".

ყველა ამ ზომამ, რასაკვირველია, გასჭრა და „გადავარდნილებისათვისაც" თანდათან ფეხი მოიკიდა უფრო უზრუნველყოფილმა მდგომარეობამ.

„ფშიონების" წინააღმდეგ „ზომების მიღებაში" თედო ყველაზე უფრო აქტიური იყო.

ამიტომ მთავრობისა და „ფშიონების" თვალში თედო ყველაზე უფრო საშიში პიროვნება შეიქნა და მისი თავიდან მოშორება წამოყენებულ იქნა პირველ ხარისხოვან საკითხად.

დატრიალდა ეს არამზადათა ხროვა.

მაგრამ თედოს დიდხანს ბედი სწყალობდა. არა ერთხელ გასხლტომია ის ხელიდგან თითქმის საწადელს უკვე მიხწეულ მტერს, და არა ერთისათვის მიუყენია „ესიამოვნება" ასეთი თავისი გაბედული და მოხდენილი ნაბიჯებით.

მიუხედავათ ამისა, თედო და მისი ამხანაგები მაინც ყოველ წუთს გრძნობდენ თავის კისერზე დამოკლეს ხმალს და, ეს ბადებდა მათში უზომო ნერვიულობას.

ასეთი პირობები ადამიანს ხშირად გულს ათხრობინებს, აფიქრებს თავის საკუთარს ხვედრზე, „აინტიმიურებს" მას და განსაკუთრებულის სიახლოვით უყენებს წინ პირად ბედნიერებასთან დამაკავშირებელს საგნებსა, შორეულ წარმოდგენებს, როგორც აკრძალულ ხილს.

მოძრავი, დაუღალავი, მუდამ აზრითა და საქმით დატვირთული თედო ახლა განიტვირთა თითქმის ყველა ამაებიდან და ის, უბრალო თავის დაცვის ინსტიკტთან ერთად, ძალაუნებურად შეიპყრო სხვა მის გულთან უფრო ახლობელმა აზრებმა. მასში უნებლიეთ აღიძრენ სხვა უფრო ინტიმიური ხასიათის ფიქრები და სურვილები.

ასეთი ერთგვარი სულიერი რეაქციის პირობებში მის ოცნებას საკვებით დაეუფლა მაშო და ეს უკანასკნელი გახდა თედოს მღელვარე გულის „ზღვის დედოფალი".

„შორით ბნედა, შორით კვდომა" შეიქნა გადავარდნილის ხვედრი, რადგან დათიას ქოხში მიმოსვლის გახშირებისა მას ეშინოდა, ერიდებოდა, ვინაიდან დარწმუნებული იყო, რომ ეს, ჯერ ერთი, რომ დათიას ზიანს მაყენებდა, ხოლო მეორეც, პირადათ მასაც შეამოხვევდა რაიმე ხიფათს.

მტრებს არ ეძინათ: თედოს გახშირებული მიმოსვლა მათ მხედველობიდან არ გამოეპარებოდათ.

ამ რიგად რამდენათაც გაუძნელდა და დაუძვირდა მას მაშოს ნახვა, მასთან ტკბილი საუბარი, იმდენად გაუადვილდა და თანაც გაუხშირდა ფიქრები მაშოზე.

გაიმართა ფიქრთა, აზრთა და გრძნობათა მსუბუქი გადამზიდავების მიმოსვლაც

წერილი მიშოს!...

წერილი მაშოდან.

აი, თედოს სანატრელ-საამური საზრუნავი...

— „თედო!"

ეროვნული ბიბლიოთეკა

სწერდა მას მაშო უკანასკნელად:

„თავს ძალიან გაუფრთხილდი, თორემ სასტიკი და მეტის-მეტად საფრთხილო მტერი გყავს სოფელში"...

ვინ არის ეს მტერი?

რატომ არ ასახელებს მას მაშო?

მაგრამ ეჰ, განა, სულერთი არ არის.

აზრით უკვე იცის თედომ ამ მტრის ვინაობა.

თედოსათვის მთავარი აქ ეს კი არ არის, არამედ ის მზრუნველობით აღსავსე კილო, რომელიც შორიდანვე უკვე ასე აშკარად მოისმის წერილის ავტორში.

და თედოს ცხოვრებაში ძირმწარე აღარა ჩანს. იგი სავსებით ჩაანელა და ჩააქრო თაფლმა, რომელიც გადმოსკდა მაშოს ტუჩებს, დაედინა მის ხელებს, ბოქნილს თითებს და აშკარად მოსჩანს ასე წარმტაცად დაღვრილი ნაშოსავით-ფაქიზ-თეთრ ქაღალდზე.

როგორც სურნელოვანი საჭმლით სავსე თეფში მშიერს, ისე მოუვიდა ეს „ქაღალდი" სადღაც ტყეში ნადირივით გაჭრილს თედო ახალიშვილს და ეს „ნადირი" ამ მოულოდნელმა ნობათმა დააცხო, დაამშვიდა, დაატკბო, დამა..

— ეი, თქვენ, ხეებო, ბუჩქებო, ტყის ბილიკებო, კლდეებო, ქვებო, მოჩუხჩუხე წყაროებო, მხეცებო და ფრინველებო!

იცნობდეთ თქვენ ამ ტყის სრულუფლებიან ბატონსა და მბრძანებელს და კიდევ იქ სოფელი №-ს ერთი პატარა უბნის პატარა და უბირ ქოხმახში მობინადრე ანგელოზ-ქალის პატარა გულში გამეფებულს თედო ახალისშვილს!..

იცნობდეთ და მზრუნველი თვალით სწყალობდეთ მას!..

და ტყეც, ხეები, ბუჩქები, ტყის ბილიკები, კლდეები, ქვები, წყაროები, ხეცები და ფრინველებიც მართლაც ცნობილობდენ და სწყალობდენ თედო ახალისშვილს, თვალის ჩინივით უფრთხილდებოდენ და თავს ევლებოდენ მას.

ორივე თვალი მტრისკენ ეჭირათ, ცალი კი მისკენ და ასე იფარავდენ მას მტრისაგან.

თითქოს მზრუნველობით უელიდენ და ინახავდენ მას მაშოსათვის.

XV

დიდხანს ინახავდა თედო მაშოსათვის განმზადებულ საპასუხო წერილს.. სანამ დასწერდა, ხან ქაღალდი აკლდა, ხან კონვერტი, ხან საწერ-კალამი. როგორც იყო მოაგვარა წერილის დაწერა და გაამზადა იგი გასაგზავნათ.

მაგრამ ეხლა წერილის დანიშნულებისამებრ გადამცემი საიმედო ხელი იყო საჭირო.

ვის უნდა ანდოს წერილი?

სოფლად ახალგაზრდა ქალის მიერ ვაჟისაგან წერილების მიღება თუ მისთვის ასეთების გზავნა მაინც და მაინც დიდათ მოსაწონი ხელობა არ არის.

თედო ზედმიწევნით აფასებდა მაშოს კეთილ-შშვიდობიანობას და თავისი ქცევით არ უნდოდა რაიმე ჩრდილის მაგვარი მიეყენებია ახლგაზრდა ქალის სახელისათვის.

მართალია, ერთი ორი წერილის გაგზავნა კი მოახერხა, მაგრამ, როგორც იმ თავითვე ეტყობოდა, ეს მიმოწერა უნდა გაგრძელებულიყო. ამასთან თედოს მოთმინება ეკარგებოდა, როცა პასუხი იგვიანებდა.

მაშასადამე, საჭირო იყო საიმედო მოსაშვალის პოვნა, რომელიც ამა ერთი-ერთობის გახშირებას ხელს შეუწყობდა, თანაც ასეთ შემთხვევაში სასურველს საიდუმლოებას არ დაარღვევდა: არც თედოს და განსაკუთრებით არც მაშოს არ გასცემდა, არ გაამჟღავნებდა და სოფლის თვალში არ გააბახებდა

დიდი ფიქრისა და რჩევის შემდეგ, თედომ მიაგნო ასეთ პიროვნებას.

არჩევანი, ბევრი სინჯვა-აწონ-დაწონვის შემდეგ, შეჩერდა ქვრივ აღათიაზე.

მართალია, აღათიას სოფლად შუამავალ-დალალი ქალის სახელი ჰქონდა გავარდნილი, მაგრამ შემთხვევით შუამავალს მაინც ისევ ეს დახელოვნებული „სპეციი" სჯობდა, თედოს აზრით.

აღათიას ცუდი სახელი, მართალია, ყველასათვის უეჭვო და ცნობილი იყო, მაგრამ ამასთანავე საიდუმლოების დაცვაშიც აღათიას ტოლი არა ჰყავდა.

ასეთი თვისება რამდენიმეთ ქვრივის ინტერესიდანაც გამომდინარეობდა, ვინაიდან, ესეც რომ ასე არა ყოფილიყო, მაშინ მას საჭიროების დროს უკვე აღარავინ აღარ მიმართავდა და ამნაირად არსებობობის ეს ერთად ერთი სახსარიც გაუწყდებოდა უმწეო ქვრივ დედაკაცს.

და აი, ერთ მშვენიერ საღამოს, როცა სოფლად ყოველივე მოძრაობა მიწყდა, ტყისა და გზის პირად კეთროვანის ბინასავით სოფლიდან თითქმის განმარტოვებულს აღათიას ქოხის კარებს ვილამაც სამჯერ დაუკაკუნა.

ამ დროს აღათია უკვე იწვა თავის ქოხში ერთი სოფლელი 8—9 წლის ქალის ამარა, რომელიც აღათიაზე კიდევ უფრო უპატრონო არსებას წარმოადგენდა. პატარა ქალს, როგორც მოზარდ არსებას, რა თქმა უნდა, უკვე ეძინა, ხოლო აღათიას ცხოვრების საზრუნავებით აფორიაქებულს გონებას კი ძილი არ ეკარებოდა.

კარის კაკუნზე აღათია შეკრთა, ასე, რომ ერთხანს ხმაც კი ვერ დასძრა. როცა კაკუნი მესამედ გაისმა, აღათიამ ძლივს მოახერხა წამოყვირება: „ვინა ხარ მანდ ამ უხერხულ დროსო", და მზად იყო მუჯლუგუნი წაეკრა მძინარ თანამესაწოლისათვის, რომ დაყვავების კილოთი შემოესმა კარის იქიდან:

„აღათი, ეს მე ვარ, ნუ გეშინია, კარი გამიღეო".

კარგად ვერც კი გაერჩია აღათიას, თუ ვინ ელაპარაკებოდა მას და ვინ უნდა ყოფილიყო ამ დროს მისი სახლის კარებთან, მაგრამ აღათიაზე იმოქმედა ტონმა, თხოვნითა და ხვეწნა-მუდარით აღსავსე კილომ.

ამის შემდეგ, მისთვის სულ ერთი იყო, ვინც უნდა ყოფილიყო ამ უდროო დროს მასთან სტუმრად მოსული.

ის ფიცხლავ ზე წამოდგა, სასტუმალთან მომარაგებულს ასანთს გაკრა და იქვე მიდგმული ჭრაქი აანთო.

ქოხის კარმა საკოდაეთ გაიჭრიალა და ღია ადგილს გაჩნდა ჭრაქით ხელში თმა გაწეწილი აღათიას ლანდი.

მოსული სიბნელეს მიეფარა, თუმცა აღათიამ, იარაღიანს თვალი მოჰკრა თუ არა, მაშინვე იცნო მოსულში თედო ახალიშვილი, და ცოტა არ იყვეს, ტანში შიშის ქარმა დაუარა.

ძნელი გასათვალისწინებელი იყო წოლისაგან გაბურვანებული და შემკრთალი „ქვრივისათვის, თუ რათ უნდა ყოფილიყო მისული მასთან ეს“ „გადავარდნილი“ კაცი ასეთ უდროო დროს

— „ვაი“, ძლივს წამოიძახა აღათიამ და ხმა ჩაუწყდა, მაგრამ ისევ თედო წამოეშველა და ელდა-ნაკრავ აღათიას მალე დაუცხრა მოულოდნელად ატეხილი გულის დაგა-დუგი.

— „აღათი“.

მიმართა თედომ დაყვავებით:

„აი, ეს ერთი დიდი სათხოვარი მაქვს შენთან და შესრულების ნაცვალი პატივისცემაც ჩემგან მიიღე.

მაშოს, ნახავ ამ დღეებში და ამ წერილს საიდუმლოთ გადასცემ.

არავინ კი არ შეგნიშნოს, ჩემო აღათი!..

პასუხის შესახებ შეეკითხები და, როცა მზად იქნება, მიაკითხავ და გამოართმევ.

ეცადე, ჩემო აღათი, ეჭვიც კი არავინ აგართვას და საიდუმლოც შემთხვევით არავისთან წამოგცდეს, თორემ, ხომ იცი, ქვეყანას ძალლის ენა აბია!“..

ამ სიტყვებზე კონვერტში კოსტად შეკრული წერილი და ერთი ვერცხლის მანათიანი გამოუწოდა ქვრივს თედომ თავის ბნელს საფარიდგან და კარსაც თითქმის ტყვიასავით მოსწყდა...

აღათიამ ალღოს ართმევაც კი ვერ მოასწრო, თუ დეენილი რა მიმართულებით მიიმალა. მხოლოდ ეს-ღა მიაძახა: „კაი, ნენავ, შვილო“-ო, და სწრაფად გატრიალებულ თედოს უკან კარები მაგრათ შემოიხურა.

— „რამ მოაგდო აგი ნადირი ამ შუალამეზე?“..

ჩაიდუდუნა თავისთვის გაბოროტებულმა აღათიამ, როცა მიმავალის ფეხის ხმაზე კარგად დარწმუნდა, რომ თედო ამ სიტყვებს ველარ გაიგონებდა.

— „ოჰ, ამოვარდა შენი ფესვი!“..

დაატანა ამ უდროო დროს გაღვიძებით გულმოსულმა ქვრივმა, ჭრაქი და ასანთი თავ-თავის ადგილას მოათავსა და ლოგინში სწრაფად შეიმალა.

* * *

ქობში, ტყეში, სოფლად, შარაგზაზე, ყველგან ღამის უსაზღვრო დუმილითა და საიდუმლოებით სავსე სიბნელე იდგა. არაფერი არ აღელვებდა ამ ხამარისეგულს ყოფას, გარდა ძაღლების გამუდმებული ყეფისა და მამლების კანტიკუნტი ყივილისა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მხოლოდ ალათის არ ეძინა.

ძილ-გამფრთხალი ის უსიამოვნოდ ტრიალებდა თავის ტლანქ სარეცელზე და ჯანლივით მოწოლილს უსიამოვნო ფიქრებს თავიდან შემოდგომის დაგვიანებული ბუზებივით იდევნიდა.

— რა იქნება?..

— რა უნდა იქნას?!.

— არაფერიც არ იქნება!...

— ვინ უნდა გაიგოს?!..

— ამას ყველაფერს ისე საიდუმლოდ მოვრთავ, რომ ზედ ეშმაკმაც კი ვერ მიიტანოს ეჭვი.

— ერთ მანათიანს ხომ ისიც უეჭველად ჩამიდებს მჯიღში...

— ვიცი, მას ეინტერესება ეგ საქმე...

და ალათიას გულსა და გონებაში, დაგვიანებისა გამო აჩქარებული ქარავანივით მისდევდა ფიქრი-ფიქრს.

მან გადასწყვიტა წერილის წინასწარ ბესარიონ მწერლისათვის ჩვენება.

ბესარიონ მწერალს თავისთვის ყველაზე უფრო საჭირო და მწყალობელ კაცად სთვლიდა იგი.

მართლაც ალათიას სული თითქმის ბესარიონ მწერლით ედგა. პირდაპირ საჩუქრებს გარდა, რომლითაც ის ზოგჯერ უმასპინძლდებოდა თავისთვისაც არა ნაკლებ საჭირო და სასარგებლო ქვრივს, ათას სხვა საქმესაც უკეთებდა პირადათ მას, თუ მისგან საპროტექციოთ მიყვანილ კლიენტებს, რომელთაგანაც შემდეგ ალათიას არ აკლდებოდა უხვი პატივისცემა.

„ბებიავ, წირპლიან თვალში იმიტომ გკოცნი, რომ კვერი უნდა მიტეხოო", ნათქვამია.

მწერლისა და ალათიას მეგობრობაც სხვა რა უნდა ყოფილიყო, თუ არა ეს ერთი-მეორისათვის წირპლიან თვალში კოცნა?!

დიდი ამაგი მიუძღვის ბესარიონ მწერალს ქვრივ ალათიაზე.

სამაგიეროთ, ქვრივს არა ერთი სამსახური გაუწევია მწერლისათვის და არა ერთი მისი გულის ტკივილი მოუშუშებია სანატრელი სასიამოვნო სალბუნით.

გაიხსენეთ, თუ გნებავთ, იორდანე მათრახაძის ცოლის გარიგების ამბავი.

და განა, მარტო ეს ერთი?

ყველას ენაც კი ვერ მოსთვლის...

მაშ, რა სათქმელია ასეთ შემთხვევაში ის ნამცეცები, რომლებსაც ხან-და-ხან წამოუგდებს ბესარიონ მწერალი თავის თითქმის ყველა გულის ზრახვათა ამსრულებელს ქვრივს?

აღათია მისთვის ისეთივე საჭირო და აუცილებელია, როგორც იგლიანე ყოყოჩაძე, ან კიდევ გაბრიელ მედუქნე.

ამას წინაზე, მაგალითად, აღათიამ მწერალს შეუსრულა [illegible] ერთი დავალება: დათიას მაშოსთან შუამავლად გაეგზავნა და წერილიც გადასცა. მართალია, ქალმა წერილი არ მიიღო, მაგრამ აღათიამ ხომ პირნათლად შეასრულა თავისი როლი.

ფონი გატეხილია...

აღათია არა ერთი დავალებით წარსდგება კიდევ გაჭირვეულებული ყმაწვილი ქალის წინაშე...

ბესარიონ მწერალი პირველი უარით სხვაგან სად დაკმაყოფილებულა, რომ აქ დაკმაყოფილდეს!..

და მაშინ ვნახავ, თუ ვინ ვის აჯობებს?!

გახშირებულსა და გაძლიერებულს იერიშებს თითქმის უმწეო ახალგაზრდა სოფლის გამოუცდელი ქალი ბოლოს და ბოლოს ველარ გაუძლებს და მოტყდება!

ამ რიგად საბოლოოდ ისევ ბესარიონ მწერალს დარჩება ბურთი და მოედანიც.

აღათიამ იცის მწერლის ჯინ-მოუხრელი ბუნების ამბავი. ამიტომაც იგი არავითარ შემთხვევას არ უშვებს ხელიდგან, რათა თავის მწყალობელს ძალლური ერთგულება დაუმტკიცოს.

ახლაც სწორედ ამ სამსახურის გაწევაზე ოცნებობს აღათია.

— წერილში, ალბად, ბევრი რამაა ისეთი, რაც ბესარიონს აამებს...

და მანაც გადასწყვიტა, სანამ წერილს მაშოს მიუტანდეს, იგი ბესარიონ მწერალს უჩვენოს, რათა ამით ერთხელ კიდევ ზედმეტად დაუმტკიცოს თავისი უზომო ერთგულება მფარველსა და მწყალობელს და, მისი აზრით, ყოველის შემძლე სოფლის მწერალს.

XVI

უბრალო მოკითხვის ბარათები კი არა, დიდრონი, ლუქ-დასმული საქმის ქაღალდებით დატენილი კონვერტების გახსნასა და ისევ დაბეჭდვას ახერხებდა ბესარიონ მწერალი და ამ საქმეში იგი იმდენად დახელვანებული იყო, რომ არა ერთ მის ნაცნობ-მეგობარსაც კი მიუმართავს მისთვის საჭიროების დროს ამ „ხელობით“ სამსახურის გაწევისათვის.

თავის ცხოვრებაში ბესარიონ ყოველი წვრილმანით სარგებლობდა. წერაში ზედმიწევნით მოქნილსა და გავარჯიშებულ ხელს ათასნაირად უქცევდა და ასხვაფერებდა სხვადასხვა საჭიროების დროს. რომელი ხელისწერა იქნებოდა ისეთი, რომლისთვისაც მას ზედმიწევნითი მიბაძვით ხელი არ მიემსგავსებიოს?!.

ერთი სიტყვით, ეს ხელით ჯიბგირობა ბესარიონ მწერლის თავისებური სპეციალობა იყო. ამასთანავე სიფრთხილეც იმდენივე სჭირდა მას, რამდენად გამოცდილებაც ხელს უწყობდა.

აღათიასგან მიტანილი თედო ახალიშვილის წერილი მაშოსადმი ბესარიონმა მოხერხებულად გახსნა დანაწებავზე, შემდეგ ისევ მოხერხებულადვე დაბეჭდა და ამ საქმეს აღათიაში გაოცების გამომწვეევი რაღაც სიფხეც მიაშველა.

ამის შემდეგ, წერილი ისევ უკან გადასცა და ლიმილით დასძინა:

„წადი და მიუტანე“-ო.

ბესარიონიდან გაბრუნებულმა აღათიამ წერილი იმავე დღეს მაშოს მიუტანა, თანაც ისეთი სიტყვებით მოუყვა ახალგაზრდა ქალს წერილის მოტანის ისტორიას, უეჭველად გეგონებოდათ, თითქო მთელი მისი თანაგრძნობა თედოსა და მაშოს მხარეზე არისო. და თუ ბესარიონ მწერლიდანაც მიუტანია ამასწინეთ სიტყვა, ეს არაფერი, აღათი ამ შემთხვევაში უსიტყვო, ბრმა იარაღია და იგი ერთნაირის სიერთგულით ასრულებს ყველას მსგავს დავალებებს.

გულუბრყვილო მაშოს უნებლიე სიყვარული და ნდობაც კი აღეძრა აღათიასადმი, თუმცა უკანასკნელ ხანამდე არაფერი საქმე არა ჰქონია აღათიასთან და მას იგი კიდეც ერიდებოდა, როგორც სოფლად ცუდ სახელ დავარდნილ დედაკაცს.

მაგრამ დღეიდან კი აღათია შეიქნა მაშოს გულის მესაიდუმლე და ამ თავისი მდგომარეობით ის დიდათაც სარგებლობდა, რა თქმა უნდა, ბოროტად.

ყოველგვარი წვრილმანი ცნობა მას და თედოს შორის დამოკიდებულების შესახებ უტყუვრად და დაუყონებლივ მისდიოდა ბესარიონს აღათიას საშვალებით.

ამრიგად ახალგაზრდა ქალი, თავის და შეუმჩნევლად, ეხვეოდა ამ ორ მოხერხებული ობობას ქსელში.

იგი არა მარტო თვითონ ეხვეოდა ამ ბადეში, თავის და შეუმჩნევლად და უნებლიედ, ახვევდა სახიფათო ქსელში თავის საყვარელ თედოსაც.

„გულუბრყვილობა, ყველა—სისულელეაო“, იტყვიან, მაგრამ სოფელი და ისიც შეყვარებული ყმაწვილი ქალის გულუბრყვილობა მართლაც ზოგჯერ ყველა სისულელეზე უარესია, თორემ, როგორ შეიძლებოდა იმ აღათიას ნდობა, რომელსაც თედოს აღრფთოვანებული წერილები და ბესარიონ მწერლის ცინიკური წინადადებები ერთისა და იმავე სიერთგულით მოჰქონდა მასთან?!.

უანგარო სიყვარულმა ყოველივე ანგარიში გააშვებინა მხედველობიდან საბრალო ქალს და ბოლოს მაშოსთვის თედოს მიერ დანიშნული პაემანი გახდა სწორედ მიზეზი იმ უკანასკნელის ბესარიონ მწერლის მიერ სახელდახელოთ დაგებულ ხაფანგში მოყოლისა.

თედო შეიპყრეს.

ამბავი მისი და მაშოს პაემანის შესახებ გახმაურდა. შეიქნა სოფელში ერთი მითქმა მოთქმა. ვინ რას ამბობდა და ვინ რას?!.

— „უი, იმ თვალ დასაფსებელმა ციცამ ხომ დაღუპა იგი ლომივით ვაჟკაცი, ბეჩა!..“

ეუბნებოდა ივლიანე ყოყოჩაძის ცოლი, ედუკი, თავის მეზობელ ქალს, თედოს შეპყრობის მეორე დღესვე:

— „ქალი მწერალს ჰყვარობდა თურმე და ახალისშვილსაც კუდს უქნევდა...

ახლა, როგორც ხედავ, ქე გაიბა მახეში იმ დასაბნელებელმა ციცამ ეი საცოდავი დღის შვილი“.

გადავარდნილისადმი გულმტკივნეულობის აშკარად გამოჩენით ამბავებდა საზოგადოთ ყველასათვის ერთნაირად გულშემატკივარი ედუკი, რომლის თანაგრძნობასაც საერთოდ გახვრეტილი გროშის ფასიც კი არ ედო.

ედუკი ერთნაირად სჩოდა მტერისა, თუ მოყვარის გასაჭირზედ. იგი ყველა უბედურს მოვლენას „ცენტერაძის მონაზონივით„ დასტიროდა თავს, რა არის, სოფლად გულ-ჩვილი და სათნო „სოფლის დედა ქალის“ სახელზედ არაფერი მომაკლდესო.

და მართლაც ასეთი სახელი ჰქონდა განთქმული სოფლად ედუკის. იმ ედუკის, რომელსაც სახლში მისულს, თავის ივლიანესთან ერთად, ცაზე ხელი უწვდებოდა, ახალიშკილის შეპყრობის გამო...

ამ სასიხარულო ამბავმა ივლიანესაც კი ამოადგმნვინა სახლში ენა, რომელიც გარეთ, „გარდა თავის ინტიმიური წრისა, არაჩვეულებრივად დაუმოკლდა, თითქოს მაზედაც ცუდი გავლენა მოახდინა ახალშვილის შეპყრობამო.

დაკვირვებული და ოსტატი ივლიანე სიზოგადოებრივ ფერხულს ისე მოხერხებით იყო აყოლილი, რომ თუ ვინმე, ვინიცობაა, კიდეც ამჩნევდა მის ასეთ თაღლითობას, საჯაროთ ამისი გამოთქმის საბუთი მას მაინც წართმეული ჰქონდა.

სოფლის ნაწილი ივლიანეს ემადლიერებოდა, ნაწილი—ედუკის და ეს ორნი ერთმანეთს ამაგრებდენ ამ მღელვარებით 'ავსე დროში.

სოფლის სიმპატია რომ გადავარდნილთა მხარეზე იყო, ამას მშვენივრად ამჩნევდენ ივლიანეცა და ედუკიც. ამიტომ თვითეული მათგანი ყოველს ადგილას და შემთხვევაში იქცეოდა ისე, როგორც ამ ადგილსა და გარემოებას შეეფერებოდა.

ორივეს კი ერთად სძულდათ როგორც გადავარდნილები, ისე სოფელი, ხალხი და მთელი სახალხო განმთავისუფლებელი მოძრაობაც.

იმათვის რომ გეკითხათ, იმ წესწყობილებას, რომლის პირობებშიც ივლიანეს „საძუგავი“ ხოლო ედუკის „საქუჩავი“ არ აკლდა, ქვეყნად სხვა რომელი უნდა შედარებოდა?!..

— რას ამობ? უხელმწიფოთ და უუმფროსოდ ცხოვრება როგორ შეიძლებაო?...

ავტორიტეტულის უეჭველობით მოუპრიდა ხოლმე ივლიანე ხან და ხან სახალხო მოძრაობის გაშარჯვების შესაძლებლობით გატაცებულს ედუკის.

XVII

— „ორშაბათს, როცა დალამდება, ბასილას საციეთან რომ დიდი წიფელაა, იმის ძირში დამხვდიო“, სწერდა თედო მაშოს უკანასკნელ წერილში, რომე-

ლიც იმავე ალათიამ მიუტანა ახალგაზრდა ქალს, ბესარიონ მწერლის ხელში ჩვეულებრივ გატარების შემდეგ.

ბესარიონ მწერალი იმავ წამში, როცა ალათია გაისტუმრა, მეჯდა გაბრიელ მედუქნის ლურჯაზე და გაჰქუსლა, სადაც ჯერ იყო.

იორდანე მათრახაძის, როგორც ადგილობრივი პიროვნების, მეთაურობით იმ თავიდანვე განზრახული იქნა დანიშნულ დროსა და ადგილს ჩაფართა გაძლიერებული რაზმის გაგზავნა. დანარჩენს კი იორდანე აკეთებდა.

ბესარიონ მწერლის ამ საქმეში საიდუმლო ხელის შესახებ ამ შემთხვევაში, როგორც ყოველთვის, თვით იორდანემაც კი არაფერი იცოდა.

პირიქით, იორდანეს ამ საქმის ხელმძღვანელად დანიშვნა სწორედ ბესარიონ მწერლის წინადადებით მოხდა.

როგორც ახალიშვილი, ისე მათრახაძეც ხომ ბესარიონ მწერლის მეტოქეები იყვნენ.

მაშასადამე, რას დაჰკარგავდა ის, თუ ამათგან ერთი რომელიმე მოასწრებდა და მეორეზე გაიმარჯვებდა?

თუნდაც საქმე ურთ-ერთის განადგურებითაც დასრულებულიყო, არ ინანებდა იგი; ოღონდ საჭირო იყო მაშოს აცდენა ამ შეხვედრის ასპარეზიდან!

ამ საქმის მოგვარებაც ისევ მისივე მოხერხებული მოსაზრებით უკვე წინასწარ არის გათვალისწინებული: მაშოს შეიპყრობენ სწორედ იმ საღამოს, რა საღამოსაც უნდა მომხდარიყო მისი და ახალიშვილის პაემანი. ხოლო თვალის ასახვევად, მასთან ერთად შეიპყრობდენ მის ძმასაც, ვითომ, როგორც მონაწილეებს განმათავისუფლებელ მოძრაობაში; დაჰკითხავენ, და „ბასილას საცივთან" ოპერაციის დასრულების შემდეგ, ისევე გაანთავისუფლებენ.

მორჩა და გათავდა.

არც მწვადი დაიწვის, არც შამფური, ხოლო მეტოქესა და დუშმანს კი ჯანიც გავარდნია!

ასე ოსტატურად ჰქონდა ბესარიონ მწერალს გამოსკვნილი იმ თოკის კუდი, რომლის ყულფებიც მას ხელში ჰქონდა მომარჯვებული მსხვერპლის და, შესაძლოა, მსხვერპლების თავზე გადასაცმელად.

ამ თადარიგის შემდეგ, ობობა არხეინად იჯდა თავის ბადის საცნაურებით ხელში და მხოლოდ დანიშნულ ბედნიერ დღეს ელოდა.

ბედნიერმა დღემაც არ დაიგვიანა მოსვლა.

XVIII

— დედა! დედიკო! მე ერთს ბასილაის საცივზე ჩავალ, სასმელ ცივ წყალს მოვარბენიებ, თორემ ამ საღამოზე, მამაი და გიორგი რომ სამუშაოდან დაბუნდებიან...

ვაი!.. აგერ, ისინიც!..

მიაძახა ბოსტანში სასწრაფოდ გადასულს დედას მაშომ და დოქით ხელში გაეშურა ეზოს უკანა გასასვლელისკენ, რომ იქიდან მომავალმა იასაულმა გზა გადაუღობა მას.

წინა ჭიშკართანაც სოფლის მამასახლისის ნაცვალმა ჩამოახველა, ორი ჩაფარის თანხლებით.

„კანცელარიაზე გიბარებენ“...

დაუყოვნებლივ მიახალა პირში იასაულმა ამ შემთხვევით გაოცებულს მაშოს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— მე?!. კანცელარიაზე?!..

თითქმის შეჰკივლა ამ ცნობით გაწწარებულმა მაშომ.

— დიახ, შენა და გიოროგისაც! ორივეს!..

მოკლედ და კატეგორიულად მოუჭრა სიტყვა იასაულმა.

აქ რომ ეს სცენა იყო გამართული, გზირი ჩაფრებით უკვე შემორტყმოდენ ყანიდან, მამასთან ერთად, ახლად დაბრუნებულს მაშოს ძმას, გიორგის, და ჭიშკრისაკენ ეპატიჟებოდენ. თანაც მაშოსა და იასაულს გამოჰყურებდენ და ეტყობოდათ, რომ ამათლა ელოდენ.

— რაშია საქმე, ანტონ?!.

ჩვეულებრივი თაფლიანი ენით შეეკითხა დათია გზირს, რომ ბოსტნიდან მოისმა დათიას ცოლის წივილი და ახლად წიწილა-წართმეულ კრუხივით გაფაფრული გადმოეშვა ეზოში, მივარდა პირდაპირ გზირს და დაუწყო მას— წყევლა-კრულვა, თითქო გზირის მოგონილი ყოფილიყვეს ქვეყნად ყოველი უბედურება.

გზირსა, იასაულსა და ჩაფრებს შორის მოქცეული მაშო და გოგი გაუყენეს კანცელარიასაკენ გზას.

უკან ამ ექვს სულს აჩქარებულის ჩიქჩიქით მისდევდენ წვერებ და თმებ გაბურდნული დათია და აჩხრიალებულ კრუხივით გაფაფრული მარიამა, რომელიც შინიდან კანცელარიამდის საგრძნობლად გრძელ გზას ერთავად იკლებდა თავისი შეუწყვეტელი და ხმა მაღალი წყევლა-კრულვით.

ვის სწყევლიდა მარიამა, ძნელი გამოსაცნობი იყო. ან რისთვის სდუმდა დათია?

ნუ თუ მას გულს არ სწვავდა თავისი ნამაგდარი შვილების ასეთი ხვედრი?!.

XIX

„თქვენს შესახებ მოწერილობაა აგერ!“

ცივი და მტკიცე საქმიანი კილოთი მიმართა კანცელარიაში მიყვანილ მაშოსა და გოგის ბესარიონ მწერალმა და შეუდგა ვითომ და ოქმის წერას.

დიდხანს იჭვრიტებოდა იმ ქაღალდში, რომელიც ვითომც მაშოსა და გოგის უნდა ხებოდა და რაღაცა საქმიანობის აღმძვრელ ეჭვს იწვევდა ამ თავის ქცევით.

მარიამას ჩხრიალს ერთხანს ყურს არ უგდებდენ, მაგრამ ბოლოს, როცა აუტანელი გახდა მისი ერთხმოვანი ჭყეიტინის სმენა, მწერალმა რაღაც გადაულაპარაკა მამასახლისს, ხოლო ამ უკანასკნელმა გასცა „ფიცხელი განკარგულება“ მომაბეზრებელი დედაკაცის კანცელარიიდან გაყვანის შესახებ.

ამის შემდეგ, დინჯმა და აუჩქარებელმა მწერალმა, რომელსაც საქმით დატვირთულის ისეთი აშკარა ბეჭედი ესვა, რომ ეშმაკიც კი ვერ ეფიქრებდა, ეს კაცი ამ საქმეში განგებ ითრევს ფეხსო, შეუდგა დატყვევებულების დაკითხვას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ვინა ხარ?

— რა გქვია?

— მამის სახელი?

— გვარი?..

თითქოს ეს ბესარიონ მწერალი კი არა, პარიზიდან ახლად მოსული უცხო პირია, რომელიც პირველად ჰხედავს მის წინაშე მდგომ თითქმის თავისი საკუთარი ოჯახის წევრებივით თანშეზრდილს გოგის და მაშოსო.

ესენი რომ ამ ყოფაში იყვნენ, უცბად იჭექა წკაპად რამდენიმე თოფმა...

ერთხელ...

ორხელ...

სამხელ...

და ჩაჩუმდა, თითქოს ხელის უბრალო დაქნევით ანიშნებდა ვილაც თოფების ამ სროლის დაწყებასა და მის შეწყვეტასო.

— რა ამბავია, ვთქვათ?!.

ეკითხებოდენ ერთმანეთს შემთხვევით აქ შემსწრე გლეხები.

— აბა, ნიკოია, გაიგე, სად არის ეს თოფის ცემა?!.

უბძანა მამასახლისმა იასაულს, რომელიც მამასახლისის პირველი სიტყვიდანვე უკვე კანცელარიის აივანს გადაშორებულიყო.

მწერალი კი თითქოს შეკრთა...

მაშოს მიტკლის ფერი გადაედო, გული შეუღონდა და გოგიას მხარზე ჩამოეკიდა...

ვილაცამ წყალს მიაშურა.

ასხურეს... ქალის საერთო სისუსტედ ჩასთვალეს...

ამის გამო, მარიამას წრიალი ისევ გაისმა კანცელარიის დარბაზში.

დათიამ დაუწყო დაშოშმინება ცოლს, მაგრამ ამაოდ.

საერთო არეულობამ და მღელვარებამ კარგა ხანს გასტანა...

ჩუ! რალაც ჩოჩქოლი და ცხენების ფეხების თქარა-თქური მოისმა.

ხმა თანდათან უახლოვდებოდა კანცელარიას.

აივანი მოყურადე ხალხით გაიჭედა.

საქორწილო სტუმრებით სავსე სახლს დაემსგავსა №-ის კანცელარია.

ცხენიანები მოახლოვდენ.

აივანზე გამოჩნდა იორდანე მათრახაძე, რომელიც გამარჯვებული ყვინჩილას სიამაყით მოაბიჯებდა შიგნით დარბაზისაკენ.

— მამასახლისი სადაა?

მწერალი?!.

— იორდანეს ვახლავართ!..

— რა საქმეში ხართ?

რას აკეთებთ?

ვინ არიან ესენი?

— ესენი აგერ მოწერილობის თანახმად გამოძახებულებია „გადავარდნილებისᲐ შესახებ... დაიწყო საქმიანათ და ვრცლად მწერალმა.

— რას ამბობ, კაცო?

გადავარდნილები ცხვირის წინ გყავთ, იმას ვერაფერს ეუბნებიან ამ ბალნებიდან, აბა, რას უნდა გამოველოდეთ?

გაუშვით თავ-თავის სახლში და აგერ უფრო სამძიმო საქმეს შევუდგეთ! აგერ, ძღვენიც მოგართვით!..

და ამ სიტყვებზე იორდანემ გადასძახა კანცელარიის წინ შეკუჭებულ ჩაფრებს:

— ამოიყვანეთ ტყვე!

დარბაზში შემოიყვანეს გაბაწრული თედო ახალიშვილი...

უკან მოჰქონდათ იმისი იარაღი.

ხალხში ჩოჩქოლი ატყდა.

მარიამამ შეჰკივლა.

მაშოს გული ისევ წაუვიდა...

დიდხანს ასულიერეს...

გონს მოიყვანეს...

ისა და გოგი გაანთავისუფლეს.

კანცელარიამ დაცალიერება იწყო.

მაშო მოჰყავდათ სახლში, დათიას და გოგის მხრებზე დაყრდნობილი.

უკან მარიამა მისდევდა ამ პროცესიას და გზა-და-გზა ისევ ისე მოიწყევლებოდა. მისი ჩხრიალი მიდამოს აყრუებდა.

(შემდეგი იქნება).

დ. თუარდოსპირელი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მოგონებანი კოშკში

* * *

საცხოვრების გატარება გადავსწყვიტე ისეთ ადგილას სადაც ხმაურობა სწყდება.

აგარაკი იგივე ქალაქია.

მოსვენებას არ იძლევიან მოლაყბენი.

ნუროვინ იფიქრებს მოძულე ვიყო მგრგვინავი ქალაქებისა.

ყან-ყაკ რუსოსავით არ მივტირი პირველ ყოფილობას.

მაგრამ ჩემში ხანლიხან იბადება სურვილი გავცილდე აყირავებულ ცხოვრებას და დავრჩე ჩემს თავთან... დავისვენო.

ამისათვის ძველის ძველი სასახლე—კოშკი ამოვირჩიე.

არაჩვეულებრივ სანაცვლობას წარმოადგენს აქაურობა.

ყველაფერს ნაცრისფერი სევდი შემოჰფრქვევია და სიზმრეთის შთაბეჭდილებას სტოვებს.

შემოდგომასავით ნელანქოლიურია აქ დალამება.

ნეგონა მარტოობის სიტკბოების განცდა აქ შეიძლებოდა, ძველს კოშკში...

მაგრამ ვერც აქ განვმარტოვდი...

მოგონებათა შორის ამოვჩნდი.

აქ არიან უწინდელნი მცხოვრებნი—დღეს

აჩრდილებად გადაქცეულნი...

და გამიძენძა სევდამ გული...

კოშკს დასავლეთისკენ აქვს სარკმლები...

შებინდდება თუ არა, ძველი ლანდები გადმოიშლებიან...

ხავს მოდებული კედლები დავიწყებულ ზღაპრებს იგონებენ...

დღისით დაბურული ჩემი გული იხსნება მოჩვენებათათვის...

სადაც უნდა ცხოვრობდეს ადამიანი... რა გრძნობითაც არ უნდა იყოს მღელვარე, სიყვარულით, თუ სიძულვილით...

თუ ჰეინეს იცნობს,—უეჭველად იგი მოაგონდება...

ჰეინეზე ღრმად არავის ჩაუხედნია ადამიანის სულის კუნჭულებში...

მხოლოდ ჰეინეს შეეძლო ეთქვა:

—თვითეული ადამიანი—მსოფლიოაო...

თვითეულ სამარეში დამარხულია ქვეყნის ისტორიაო...

ეს სიტყვები კოშკში უფრო მაგონდებიან...

თუ კი თვითეული ადამიანის სამარე მსოფლიოა, მითუფრო-დიდი სამარე იქნება ეს კოშკი, სადაც თაობა თაობასა სცვლიდა... საუკუნეს საუკუნეს...

და ყველა ისინი იმარხებოდნენ აქა...

დავალ ამ საფლავთა შორის...

დავალ, როგორც როდენბახი მკვდარ ბრიუგეში...

აქ გაიყინნენ ოცნებანი მრავალ ჭაბუკთა...

აქ იფრქვევოდნენ სეფე-ქალთა სიყვარულის ცრემლები...

რამდენ ღრეობის მოწმეა ეს სახლი...

რამდენჯერ შემოტრიალებულა იქ აზარფეშა...

რამდენჯერ ახმატკბილებულა ეს დარბაზი ბესიკის შიქასტებით...

უეჭველია აქაც ხანდაზმით მაინც შემოიჭრებოდა ბობოქარი ხმები ალ. ბატონიშვილისა... მისი სევდა შოპენს რომ მოესმინა, უფრო ააქვითინებდა თვის სამგლოვიარო მარშს...

მაგრამ...

არ ესმოდათ... არ ესმოდათ მისი დაჩწვარი გულის ძახილი...

ეს კედლები უფრო ბევრს მეუბნებიან ფუფუნებასა და გახრწნილებაზე... ვინ მოსთვლის, აქ რამდენ ყრმა ქალისთვის აუხდიათ ნამუსი... ან რამდენი კეკლუცი გაუგზავნიათ ჰარამხანებისთვის მისაყიდად...

ამ გალავანში ორი ძველი საყდარია...

მდიდრებისთვის და ღარიბებისთვის...

ლოცვაც ხომ ორნაირი იცოდნენ:

რთული და მარტივი...

აქვეა დაკიდებული ძელი...

ძველად ზარის მაგივრად ძელსა ჰხმარობდენ...

ურიოს არტყავდნენ გამხმარ ძელს და მისი ზრიალით მოუწოდებდნენ...

„რეკა მწუხრის ძელისა,

მწუხრის ძელისა,

რამდენს აღგვიძრავს მოგონებასა“...

მაგონდება დიდი ჰიმნოგრაფის გიორგი მთაწმინდელის ლირიული ატირება.

მივდივარ და ურიოს ვარტყამ ძელსა.

არავინ მეხმაურება.

ან ვილა მოვა

საყდრის კარს დაჟანგებული კლიტე ადევს, მაგრამ ფანჯარა სრულიად ამომპალა და

იქიდან ვიყურები ტაძარში...

აღარაფერია.

ორი ხატი ღა დარჩენილა... ისიც სუზდალის ხელოვნებისა.

ერთია „პრეპოდობნი ნიკოლაი“ და
მეორე: „ჩუდოტვორეც ინნოკენტი“.
ეს სურათები ძველი ქართული გენიალურ მხატვრებისა რომ ყოფილიყო—
არ გადარჩებოდნენ.
ვინმე თვალებს დასთხრიდა, დასცხრილავდა...
მაგრამ იგი უნიჭობის შედეგია და არავინ
ერჩის... ასეა მუდამ... ადვილად იღუპება
მშვენიერება... ხოლო უბადრუკობა და
უნიჭობა დღეგრძელია, როგორც სისულელე და მატრაბაზობა...
ამ საყდრით მსასოებელნი წვანან მიწაში.
აი მათი სასაფლაოც...
სასაფლაოს ძველად უკეთესი სახელი ერქვა:
საგოდებელი.
ესაა ადგილი, რომელსაც ბევრის ქვითინი
მოუსმენია, მაგრამ ბევრის გულის გაგრილებასაც ნოსწრებია...
აქ მიცვალებულნი ფენებად ალაგიან ზედი-ზედ.
ერთ თაობაზე მეორე იმარხება... მეორეზე მესამე...
და ასე გაუთავებლივ.
ყველა აქ მოდის და მაინც ეტევიან ..
უადგილოდ არავინ რჩება...
რიგში არავის უხდება ცდა...
საფლავის ქვებს ძლივსლა აწერია...
„საუკუნოდ იყოს“...
დანარჩენი—კი აღარ ეტყობა...
წაუშლია დროის ულმობელს ხელსა...
მიცვალებულნი კი... მაინც ელიან... ელიან მკვდრეთით აღდგომასა...

. . .

ლატაკთა საყდარშიაც შევდივარ...
აქ ბევრი ცრემლი დაფრქვეულა...
გამწარებული, ენო, მუნჯი გლეხი ამ სადა ხატების წინ ამოიდგამდა ენასა
და შესჩიოდა თავისს გულის ტკივილს...
ის კი... ზენაარი ყრუდ რჩებოდა...

. . .

კოშკის ალაყაფის კართან გდია ვეება ლოდი...
„ქალქვას“ უწოდებენ მას დღესაც გლეხები.
ერთი ქალისთვის ვილაცა ვერაგს თავი მოუჭრია...
ეგება თქმულებას წინედ კიდევაც ახსოვდა ამ უბედურების გამომწვევი მიზეზი.
მაგრამ ეხლა დაუვიწყნია ხალხის მეხსიერებას...
თავ-მოჭრილი ქალი გაქვავებულა...
ვინც უნდა გაუაროს და რამდენიც არ ეჯაჯგუროს, ძვრას ვერ უზამს..
მაგრამ,—გადმოგვცემს თქმულება,—თუ მისიანი მივიდა...
თუნდა ოდნავაც დაეგვიდოს...

ოღონდ უთხრას ლოდსა:
— ადე, შენი გვარისა ვარო,—ქვა შეინძრევა თურმე...

. . .

ბევრი ამისთანა ლეგენდა ხავსივით ბიბინებს ამ კოშკის არე-ძარეში.
აი ეს ქედიც, რომელსაც „სამთა მთას“ ეძახიან.
ამ სახელშიც ჩაქსოვილია უწინდელი დრამის ნაწყვეტი...
ოდესლაც ერთი ქალი ორ მწყემსს ჰყვარებია...
ორი მწყემსი ღვიძლი მეგობარი ყოფილა...
თავის დღეში ერთმანეთისთვის არაფერი უწყენინებიათ...
ახლაც რომ შუღლი არ ჩამოვარდნილიყო გადასწყვიტეს:
გამოსდგომოდენ ქალს... რომელიც დაეწეოდა, მისი უნდა ყოფილიყო ქალი...

ასეც მოიქცენ...
მაგრამ...
მოეწია ისა, რომელიც ქალს არ მოსწონდა...
ქალმა დაიწია მეორისკენ და სამივე გაქვავდა...

. . .

ეს კოშკი ძველად მეწინავე დროშად ითვლებოდა...
მტერი ხშირად მოსდგომია, მაგრამ კოშკი უდრეკელად დაჰხვედრია...
ამიტომ „უშიშარი“ დაურქვევიათ თანამედროვეებს...
ყველა ციხე რომ აეღოთ, ეს არ �ebdebodda...
როცა მტერი გამოჩნდებოდა, „უშიშარი“ განგაშს ასტეხდა...
თუ ღამე იყო—აქ ცეცხლს გააჩაღებდნენ...
ყველა ციხე უმალვე შეამჩნევდა ცეცხლსა...
მყის გაიგებდა მტრის მოახლოებას და მოემზადებოდა დასახვედრად...
ეს იყო ცეცხლის ტელეგრაფი, ცეცხლის სიტყვერილი...

. . .

ერთხელ კი საგრძნობლად დაზარალდა „უშიშარი“..
ეს მოხდა შაჰ-აბაზის დროს...
მან მოაოხრა მთელი ქართლ-კახეთი...
„უშიშარსაც“ ეკვეთა მრისხანედ...
მაშინ შეიკრა უშიშარმა შუბლი...
ის დღეა და ისა...
ალარ გახსნია კოპები...
რაც გადაურჩა მტრის ამტუტებას, ინის აჩანაგებ, დრო—ჟამის ულმობელი ეშვები..

ეს ეშვებია: ქარიშხალი... წვიმა... თქეშა...
და იფქვება კოშკი ამ კბილებისაგან... იფქვება.
ყველაფერზე ეტყობა, რომ მოჰკვდება „უშიშარი“, გაცამტვერდება...
და ეშინია უშიშარს ასეთი სიკვდილისა...
ებრძვის გარდაუვალობას...

ამათდ...
მისი ბებერი იატაკი ბრიჭინებს...
მთელს შენობას ლრმა მოხუცსავით მუხლები უკანკალებს...
იგი თაგვივით ჩუმრათ ეპარება და ჰფქვავს...
მალე სრულიად აღარაფერი დარჩება მისს მოსაგონრად.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

. . .

ხალხიც შემოსწყრომია ამ კოშკს...
აღარ ეკარება...
მათი წარმოდგენით ეს კოშკი ავსულების სახიზრად არის გადაქცეული...
როცა ამ კოშკს გვერდით გაუვლიან გლეხები—გადააფუთხებენ...
თანაც აკანკალებული ხმით იტყვიან:
— აგერ იქ ალები სცხოვრობენო...
ერუანტელის მომგვრელია აქაური ოთახები...
უეჭველია აქედან პოეტს ოცნება ბევრს მოჩვენებებს ესაუბრებოდა...
მგზნებარე ფანტაზიით გააცოცხლებდა ჩაფხუტიან რაინდებს და ხელ-
ახლა
დააწყებინებდა ბნელ საუკუნეების ერუანტლის მომგვრელ ამბებს.
ამ კოშკის მკვიდრ მემამულეთა გადაშენება და ამოვარდნა უფრო
მეტად ბაყაყებს ახარებს...
ბაყაყები ახლა დიდს ყოფაში არიან...
შეუწყვეტლივ გააქვთ კრუალი...
წინეთ კი ვერ გაბედავდნენ ამ სერენადების მთვარესთან გაბმას...
ვერ იყიყინებდნენ ასე თავისუფლად...
მაშინ ხომ დაუფრთხობდნენ ძილს იმათ, რომელთა ძარღვებშიაც დიოდა
მტრედის—
ფერი სისხლი ლიპარიტთა და სხვა ქედ ფიცხელ ფეოდალთა...
მათთვის სათუთი ძილის მოსაგვრელად—მხოლოდ ბულბულთ შეეძლოთ
გალობა.
ბაყაყთა ჩასაჩუმებლად კი ტბის კიდეებზე ცისმარე ღამე გამწკრივებული
იყვნენ საგანგებო გუშაგები, რომელთა მოვალეობას მხოლოდ ბაყაყების დაჩუ-
მება შეადგენდა...

. . .

ეს ციხე-კოშკნი მონათა ოფლითაა ნაშენი...
თვით მონები კი მიწურებში ბუნაგობდენ პირუტყვებზე უარეს პირობებში.
მეჯავრება ეს ბუდე ფეოდალთა...
ამას შემშრალი აქვს მონათა ოფლი... სისხლი...
აქა ჰყიდდენ საქართველოს ბითუმად და ნაჭრობლივ...
მაგრამ „მიყვარს" კიდეც საშუალო საუკუნეები. ძველადაც არსებობდა
„კულტურა"...
ძველმა საქართველომ მოგვცა: „ვეფხვის ტყაოსანი" ზარზმის გენიალური
ძეგლი... ჯვრის კოლოსალური მონუმენტი...

ხუროთმოძღვრების ფასდაუდებელი მორთულებანი...
აი თუნდა ეს ჩუქურთმა—ყვავილი ძველთა ესთეტიური გზნებისა.
რაოდენს რასმეს გვეუბნება...
— შორეულო, უცნობო ხელოვანო!
დალპნენ შენი ხელები, რომლითაც ამ შენობას ალამაზებდი... ჩაქრენ ის თვალები, რომლებიც ამას ჰგეგმავდნენ...
ვიცი, დანახვა რომ შეგძლებოდა—მწარეთ დაიკვნესებდი,
რადგან აღარაფერი შეჰრჩენია რა ამ შენობას ძველი მშვენებისა.
ქედლები ყავარ—ყავარ დახეთქილია.
ზოგგან ველური მცენარეებიც ყი ამოსულან.
სულსა ჰბნედავს სიძველეთა ნოტიოიანი ჰაერი.
ყველაფერს ლპობა შეჰპარვია...
დიდი ხნის გვამსავით იშლება, იხრწნება ეს შენობა.
მას შტეინახის ოპერაციაც ველარ უშველის.
მე ფრთხილად, ნაბ-ნაბით დავალ, რომ არ მოიმზვლეს.
ჭრიალებს საცოდავად იატაკი...
მოსთქვამს, რომ შეეალონე მისი დაბერებული სახსრები...
აქ შუაზამთრის თოვლსავით ჩამოვარდნილია სიკვდილის მარადიული ძილი.
ამ სიკვდილის ბურანში მე ვიწყოფები
ერთად—ერთ ცოცხალ სიზმრად.
წარსულის გვამზე მდგარი ვოცნებობ
ახალ მწვერვალებზე.

სოციალისტი, რევოლიუციონერი მოველი ამ ფეოდალთა წიაღში...
მაინც გაუხარდა მარტოობით დალლილ კოშკს ჩემი წვევა.
იგი ხომ ძველი თავადების ბუდე იყო.
სხვა სიკეთე ვიკითხოთ, თორემ ზრდილობას
ვერ დაუწუნებდით... ქვაწვიობას ვერ შევწამებდით...
ჯიშიანი მოკრძალებით იცოდენ სტუმართ დახვედრა.
არც ახლა გადადიან საზღვარს.
თავაზიანად მღებულობენ, თუმცა
სილარიბის ლექიდანა ვარ გამომძერალი.
ამ დარბაზში დიდი ხანია ჩამქრალა ბუხარი.
არსადა სჩანს მეზლაპრე, რომ ფანტასტიური
თქმულებით გაგვაფითროს.
მაგრამ ამბის მთხრობლად დარჩენილან სურათები...
ბუზებისაგან არიან დალაქავებულნი...
აბლაბუდის ქსელი ჰფარავთ.
მტვერი ზრქალად გადაჰბნევიათ.

მე ვაცლი მტვერს... ვსინჯავ...
ამ სურათში ვიღაც თვალად თავადიშვილს ყელი მოუღერებია, როგორც მეფე ირაკლის კულას...
მე ვესაუბრები...
ვცდილობ, როგორც სტუმარს შეჰშვენის,
მეც თავაზიანი ვიყო.
არ ვეჩხუბო...
ძნელი კი არის ამ იშვიათი სათნოების დაცვა ამ ვაებატონებთან...
რას ვემართლები?
იმას, რომ ისტორიის ბორბლებს წაღმა ატრიალებენ...
ჩამგონებელი იყვენ ბატონყმური წესწყობილებისა...
მე ნიშანი მინდა მიუგო და ვეუბნები...
—„შეიცვალა თქვენი საუკუნე“.
ახლა ხალხია თავის ბედის მჭედელი...
იგი კი „ყველაფერი ბატონისაა გარდა
სულისაო“—მეუბნება ძველს კანონს
და ჰგონია ველარა გასტეხს-რა მისს სიმტკიცეს.
აი კუთხე მე-19 საუკუნის ბრწყინვალე ინტელიგენციისა... მაიორ გენერალი, „ისპრავნიკი“, „შტატნი სეკრეტარი“, „ბლაღოჩინი“ თავისი ფოფოდიათი..
მათი სურათები ისე გამოიყურებიან,
როგორც გაციებული, გამტვერიანებული მთვარეები...
ამ სურათზე მაიორის პატივცემული გვამი ისე იბლინძება, თითქოს ფარაონი იყოს, რომელიც განისვენებს მდიდარს პირამიდაში... მისი სურათი კი გამოუსადეგარია, როგორც კერენსკის ქაღალდის ფულები...
თუ მე-19 საუკუნემდის ეს კოშკი ცოტად თუ ბევრად მაინც ასრულებდა ქვეყნის გუშაგის როლს—მის შემდეგ სრულიად დაჰკარგა ყოველგვარი ღირსება... იგი გადაიქცა ცოდვის სავანედ... მოწმე გახდა ახალი ჯურის ბობოლების ლაგამწამოყრილი გახრწნილი სცენებისა...
ბიბლიის შვიდი ცოდვა ამასთან გულუბრყვილო ცელქობად მოსჩანს...
საწყალი მგოსანი თეოფილ გოთიე!
იგი სევდით შეჰნიშნავდა, რომ ადამიანები მერვე ცოდვის გამოგონებამდისაც ვერ მივიდნენო:
ჩამოევლო „ახალი ცივილიზაციის“ მოტრფიალეთა შორის, რომ დაშტკბარიყო შვიდჯერ შვიდი გათახსირებით.
ბიუროკრატიამ რამდენიმე ფუთი ჯვარ-მენდლები დაიბარა რუსეთიდან მათს გადასაბირებლად და გადასაგვარებლად.
მიაღწია კიდეც შავს ოცნებას.
ეს გენერლები ჰყიდნენ საქართველოს ყოველ წუთს, ყოველს წამს...
აი ბიუროკრატი გიორგი მუხრან-ბატონი...
იგი მქადაგებელი იყო საქართველოს გადაშენებისა.
—სრულიად საჭირო არაა მშობლიური ენა.

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ
ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

უცხოეთით იოლს წავალთო,—
არახუნებდა იგი მოუკოდავ წისქვილივითა.
და რამდენ რეგვენის გულში
ჰპოვა გამოხმაური მისმა ამონაროშმა.
რა ბოროტი ღიმი დაჰკრთის,
იუდაა, პირწავარდნილი იუდა.
ეგრე როგორ დაემსგავსენ ერთმანეთსა.
ამ წუნკალის ისტორიას კარგა ვიცნობ.
ეს ნაბოლარია ძველი ფეოდალებისა
და უარესად გადაგვარებულია.
იგი რუსთა მეფის სამსახურში ლუმორჩილესი
მონა იყო და ყველას უორჩევდა მისთვის მიებაძნათ...
მისთვის არ არსებობდა თავ-მოყვარეობა.
იგი რკალსავით წელში იკაკვებოდა
უფროსების წინაშე და მათს ფერხს ემთხვეოდა.
იმას ისიც კი უკვირდა, თუ მონობაში მას რატომ სასახლის სვეტებიც არა ჰბაძავდნენ... რად იყვენ იგინი წელში გასწორებულნი, როცა ამ სასახლის მზე მათ წინაშე გაიელვიდა...
რატომ სვეტებიც ამასავით ძედს არ ჰხრიდენ და არ ცახცახებდნენ მი-შისაგან?
იგი გამცემიც იყო... კახელ მონადირესავით
მახვილი თვალი ჰქონდა და ყველას აბეზღებდა.
კიდევ მრავალი ამრდილები—წარსულის
უფსკრულიდან, ბნელი საუკუნეებიდან
ამოდიან და ნანობენ რომ მოკლეა, წუთიერია ადამიანის სიცოცხლე,
ალარ შეუძლიანთ განაგრძონ „სასიქადულო“ ვაჭრობა ადამიანით.
თითქოს არა კმაროდეს ის მუხანათობანი, რაც მათ ჩაუდენიათ...
მსოფლიოში მრავალი ადგილებია, საცა მათ მიერ გაყიდული ქართველები
დღესაც სცოცხლობენ და ოცნებობენ ძალით წართმეულ სამშობლოზე...
მე ბრასოდეს დამავიწყდება ერთი ამბავი—ტრაგედია, რომლის მოწმე მე შევიქენი და რომელსაც ალარაფერი არ დამავიწყებს:
ეს მოგონება მსოფლიო ომის დროინდელია...
მე ვმსახურებდი დასავლეთის ფრონტზე მოძრავ ლაზარეთში.
მტრის თხრილებიდან ჩვენამდის მხოლოდ სამი ვერსი იყო და ყური გაყრუებული გვქონდა ზარბაზნის ყუმბარათა ვახვახით...
გამოულევლად მოჰყავდათ დაჭრილ-დასახიჩრებულნი.
დადგა ზამთრის გრძელი ღამე...
როგორც იცით, ავადმყოფისათვის გულის შემაღონებელი უფრო ღამეა.
პალატაში აირია კოშმარული ბოდვა... ქვნესა...
მე მორიგე ვიყავი...
სანთელი ოდნავ ბჟუტავდა.

ძალიან არ ვაჩალებდით იქაურობას, რადგანაც გვეშინოდა გერმანელებს არ შევენიშნეთ.

შუა ღამემ მოატანა.

დაღლილი მივდიოდი სამორიგეო ოთახში, რომ პალატის ერთ კუთხიდან მომესმა ამოოხვრა:

ეროვნული
ბიბლიოთეკა

— ვაიმე დედავ!..

ეს კვნესა ქართულად იყო წარმოთქმული.

გავოცდი.

წელან მათი მილებისას არავინ შემხვედრია ქართველი, მაშ ეს ვისი ხმა იყო.

მეგონა მომეჩვენა.

კვლავ გამეორდა.

წავედი იმ კუთხისაკენ...

უფრო გავოგნდი...

ქართველი იქ არ დამხვედრია...

იწვა არაბი...

დაჭრილ გერმანელთა შორის არაბიც ერია...

გაოგნებული ვიდექი, რომ იმავე არაბისაგან კვლავ მომესმა:

— ვაიმე დედავ!

შევეკითხე ქართულად.

მომიგო.

გაუხარდა.

მაგრამ ძნელია თქმა: ვისი სიხარული უფრო ძლიერი იყო, ჩემი თუ მისი.

ორივე ავლელვდით...

ვკითხე ვინაობა.

გურჯი ვარ გურჯი. როგორ არა მცნობ, ძმაო, ქართველსა.

მე სმენად გადავიქეცი.

უმძიმდა ლაპარაკი.

ვთხოვე ცვალისათვის გადაედო... ხვალ ეამბნა... ჯერ კი მოესვენა.

ალბად რაღაცა საშინელი წინათგრძნობა ძალას ატანდა... არ დამთანხმდა.

მძიმე—მძიმედ დაიწყო:

— ჩვენ ძველის ძველ დროის ქართველები ვართ...

არაბეთში ათი კომლი დავრჩით...

წინდათ ეიცით არაბული, მაგრამ არც ქართულს ვივიწყებთ.

ჩვენში გადმოცემაა, რომ უცხოელ მბრძანებლისთვის მიუყიდნივართ რომელღაც ქართველ ერისთავს... წაუყვანივართ არაბეთში... ბევრს გზაშივე ამოჰხდენია სული... ბევრი დაუხოცნიათ... ჩვენ მონებად დაუყენებივართ...

იმ უხსოვარ ხნიდან მოვდივართ და მოვტირით ბედსა.

ბევრი რამ დავივიწყეთ...

სარწმუნოება, ჩამოშავლობა.

ძალიან ბევრს რასმეს თურმე გვიამბობდნენ ძველს ჩვენს ქვეყანაზე...
აღარც ეგ გვახსოვს...
მხოლოდ ერთი რამ ყველამ ვიცით:
ისა, რომ ჩვენი დაკარგული ქვეყანა ლამაზია...
მაგრამ უჭირს...
იგიც განიცდის რუსთა ხელმწიფის მონობას...
ერთი კი აშკარაა.
მასა სწყურიან ბედნიერება, თავისუფლება...
გულიც ერჩის...

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩვენს მოხუცებს, როცა სიკვდილის წუთი მოუახლოვდებათ... დაგვიბარებენ და გვეტყვიან:

— იცოდეთ, შვილებო, რომ თქვენა გაქვთ სამშობლო.

როცა იქ თქვენი ნათესავი გლეხები განთავისუფლდებიან ჩაგვრისაგან, მაშინ თქვენც მოგიკითხავენ.

დაგიბარებენ და თქვენც უნდა გაეხმაუროთ, დაუბრუნდეთო.

დაჭრილ გურჯს კიდევ უნდოდა საუბარი განეგრძო, მაგრამ დამიძახეს ახალი ავადმყოფის მისაღებად...

მეც გავეშურე.

ბევრი სამუშაო იყო, სახელდახელო ოპერაციები ჰქონდა დოსტაქარს ჩასატარებელი და იმასა ვშველოდი.

ამასობაში კარგა დრომ განვლო.

მოვრჩი თუ არა — მყისვე გურჯს მივაშურე...

ისიც მძიმედ იყო დაჭრილი, მინდოდა რაიმე წამალი ზემეშველებინა, მაგრამ უკვე გარდაცვლილიყო.

სანიტარებს პალატიდან კიდევაც გაესვენებინათ.

ის არაბი დავასაფლავე ერთს ბექობზე.

პირი სამხრეთისაკენ უყავი და მის სამარეზე აღმართულ დიდ სვეტს წავაწერე:

„აქ განისვენებს ქართველი არაბი, რომელიც ელოდა ენახა საქართველო და ვერ ეღირსა“.

. . .

აი როგორია მატიანე ძველი ყმებისა.

და განა მარტო ესა?

ბევრს უფრო გულის გამწყალებელ ღალატის ამბებს მოგვითხრობენ ამ კედელზე ჩამწკრივებული გენერლები.

სიბრაზე ყელში მებჯინება.

მავიწყდება თავაზიანობის კოდექსი.

ვნატრობ ესენი გაცოცხლდენ... მე კიდევ

გადავიქცე იმ ზღაპრულ კომბალად, რომელიც ელვის სისწრაფით დატრიალდება და მიჰბეგვავს ყველას, ვინც მოეპრიანება...

მინდა შეუტიო ამათა და შური ვიძიო.

სამაგიეროდ გადაუხადო.

ვიგემო შურისძიების დათაფლული სიტკბოება.

ბევრს მოჩვენებებს გააქვთ აქ ხიმხიმი.

ვგონებ ამ აჩრდილებს საუბარიც უნდა ჰქონდეთ ერთმანეთში გამართული.

უმეტეს შემთხვევაში ჩვენი ახალი დროის დაცინვაში

— ხა, ხა, ხა, ხა... რას სჩადის ეს გადარეული ხალხი...

გააუქმეს წოდებრიობა, კეთილშობილება...

გაათანასწორეს გლეხუჭები და ბრწყინვალე ახნაურები...

მოსპეს პოეზია... სილამაზე...

ბალნარები ბაზუთით გათხუპნეს...

რალაც სოციალიზმზე ჰბოდავენ...

აფსუს ძველო დროვ, აფსუს!.. — ბუზღუნობენ იგინი და მე ვერ ვიკავებ თავსა... მეც ნიშნს მიუგებ...

— გათავდა მოწყალეო ხელმწიფენო, თქვენი ამბავი...

გათავდა, ვითა სიზმარი ღამისა...

დაგიდგათ ქამის სიმუხთლე... ნიათი გამოგეცალათ...

თქვენი ადგილი დაიჭირა ხერხემალ საღმა წოდებამ, რომლის წინაპრებს თქვენ კალოში აბამდით.

ჩემზე ყველაზე მეტად იმ ბრწყინვალე გვამს ნოსდის ჯავრი,

რომელსაც წითელი არშია აქვს მკერდზე გადაკრული.

— რაო, ხალხს ემსახურებიო?!. — მეკითხება იგი გაკვირვებით და არ უნდა მისი დაჯერება.

— რომელ ხალხს. აი იმ წილიანებს?

კარგი ვინმე კი ავირჩევია სათაყვანებლად.

ეეკო, რა ჭიანი ტყემალი მოგართვეს, რომ მათთვის ისე თავი გამოგიდვია.

გონს მოდი... დაფიქრდი...

და რომ ვერ მოქმედობს ჩემზე — ბოლმა ყელში აწვება... ქლოშინსაც იწყებს და შორის დებულთა თქმის მეტს ვერ ახერხებს...

მას კვერს უკრავენ ის კნეინები, რომელნიც ისე გაფუქსავატებულიყვნენ,

რომ დიდ რომანტიკოსს ნიკო ბარათაშვილსაც კი სახლში არ უშვებდენ.

ოო, მძაგან ესენი განუზომელი სიძულვილით...

ტურფანი იყვნენ ესენი გარეგნულად...

სიასამურსავით თეთრი ხორცით ჰფუოდენ...

ჯიშიანი სისხლი უმღელვარებდათ გულს...

ბაგრამ სულიერად მანკიერნი იყვნენ და კეთროვანნი.

მათ გადაგვარების ბინძური ფიქრები ისე ჩაჰკვდომოდათ, როგორც ფიქვის ხეს ფისი ნაფხულის მზიან დღეში.

ტყუილად, ტყუილად ილრინებით მალალ ბრწყინვალების აჩრდილნო!..

ნუ ემდურით ყისმათს...

თქვენ მაინც ბედნიერნი ხართ...

სცხოვრობდით იმ დროს, როცა ცხოვრება თქვენთვის მზეობდა, სოლო ლატაკთათვის მოვალალე იყო...

არ მოსწრებიხართ თქვენი ბედნიერების გახუნებას.

მაშ რაღას იტყოდით—თქვენ რომ ჩვენს დროში ჰყოფილიყავით...

ივლიდით ქუჩებში გრძნობა-გონება დაფუყებულნი და მზე-უჰვრიტეს სყიდვაში გამოგილამდებოდათ აყეფებული სიცოცხლე...

ამნაირად ვესაუბრები გარდასულთა აჩრდილებს...

კედელში მხტუნავი ჭიჭინობელი კი ჭრიჭინებს და ჭრიჭინებს...

არ ვიცი რაზე ჰფიქრობს იგი ახლა და რისთვის აღლვევს იგი ჩვენს უხმო საუბარს?...

. . .

ნაგიდის უჯრაში ვპოულობ დაჟანგებულ ჯვარ-მენდლებსა...

ამ ორდენების სიყვარულით ჰლუპავდნენ ჩვენს ქვეყანას.

ვიღებ... ვათვალიერებ...

რამდენი სიხარული გამოუწვევიათ ნათ ფუქსავატ საზოგადოებაში...

რა პატივი ჰქონიათ.

ვინ არ შეუშინებიათ, დაუჩაგრავთ.

ოდესღაც ამ ორდენების ყურებით ბევრი თვალები აციმციმებულან.

ბევრს მათი ეშხით სიყვარულის ლოცვები წარმოუთქვამს...

და დალპნენ ყველანი, მაინც დალპნენ.

. . .

იატაკზედაც ჰყრია უჩარჩო, გამტვერიანებული, გახუნებული ძველი სურათები...

წინეთ ესენიც მინანქრებით მოოქვილ ჩარჩოებში ისხდნენ.

ახლა კი ვიღაცას ჩარჩოებიდან ამოუგლეჯნია... ჩარჩო თავისი საჭიროებისათვის შინ წაუღია... ეს სურათები კი უვარგის მჩვრებსავით ძირს გადმოუსროლია...

იყო დრო, როცა ამ სურათების ორიგინალებსაც აღელვებდათ გაზაფხული...

ეს თვალები თავის რაყიფს ეშხით შესციმციმებდენ...

და დღეს იგინი ჩამქრალან, გაციებულან.. ამ სურათებს დღეს აღარავისთვის აქვთ მნიშვნელობა.

ერთ კედელზე ვამჩნევ წარწერას. იგი მეტად აჩქარებული და აკანკალებული ხელითაა ნაწერი:

„მშვიდობით, სახლკარო! არა, მშვიდობით ვერ გეტყვი—ნახვამდის... კვლავ გადმოჰხრის ფემიდა ჩვენისკენ სასწორს და დავბრუნდებით... მაშინ ვაი ჩვენს ამწიოკებელ გლეხობას“...

ამ გამოსალმებას მოწეოილი აქვს სახელი და გვარი ამ სასახლის უკანასკნელი მდგმურისა. მე ვიცნობ მას... იგი ოდესღაც არაჩვეულებრივი ამპარტავნების მქონე ადამიანი იყო და ღღეს იგი გადაქცეულია თბილისის უაღრესად ჩვეულებრივ მაწანწალად... დაეხეტება იგი დღეს ტფილისში ოუსთველის ხეივნებში და ოცნებობს ნუგზარ ერისთვის დროის სასახლეზე...

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

. . .

გალავნის ეზოში სდგას ბებერი მუხა...

ყველა ირწმუნება, რომ იგი თითქმის ათასი წლისა იქნება... ათასი წელი...

ლამის არც კი დავიჯერო, ისე ფანტასტიკურია ეს ხნოვანება...

ვინ იცის, ეგება დიდი შოთა ამას ეხვეოდა თამარის სიყვარულისგან.

ტარიელიც ხელად გაჭრილი...

ამ მუხას ესსომება ფეოდალურ საქართველოს საშინელებანი... თემურ ლენგის და შაჰაბაზის მტაროვალობანი...

მთლად გადამხმარა...

სცოცხლობს მხოლოდ ერთი პატარა ტოტი...

იგიც ფოთოლთა შრიალით შორეულს წარსულზე მოსთქვამს...

ის რალას მისტირის თვალებგამოღამებული..

საუკუნეებს...

მუხაც წარსული მოგონებითაა მონისლული

და მისთვის გაიყურება წარსულისაკენ.

ასეა მუდამ...

ყველას თავის დრო უყვარს...

უყვარს თუნდა ჩაწყვდიადებული იყოს იგი...

მესმის, მესმის, ბებერო მუხავ, შენი დარდი... მესმის!..

. . .

მწუხრდება... მარად ნოჩჩი ცა, ელვგიურ ელფერს ჰლებულობს...

გავყურებ მინდვრის ყანებს..

იგინი ქარვის მოვარდნილ მდინარეებსავით ჰლელავენ.

შორს, მინდვრებიდან მოისმის ომახიანი, ტკბილი სიმღერა...

ყანის მკიდან ბრუნდებიან მკერდ-გაღებული, მუხლ-მაგარი გლეხკაცები..

ამაყად მოაბიჯებენ.

წავა, წავა, კარგად წავა...

და კარგადაც გათავდება...

რაოდენი რწმენაა მათს სიმღერაში.

აელვარებულ ხმლებად იფრქვევიან ის ჰანგები...

თავისუფალი და უნაღვლოა მათი მოძახილი...

მათ ჩამორჩენია ერთი გლეხი...

მართალია, იგი მოჰარმაგებულია, მაგრამ განუსაზღვრელ სიამეს მაინც იტევს.

ᲭᲐᲑᲣᲙᲘᲡᲐᲒᲘᲗ ᲣᲤᲐᲠᲗᲭᲐᲚᲔᲑᲡ ᲒᲣᲚᲘ.
ᲗᲐᲤᲮᲣᲚᲡ ᲛᲘᲡ ᲐᲠᲡᲔᲑᲐᲨᲘ ᲐᲣᲬᲧᲐᲕᲘ ᲡᲘᲪᲮᲝᲔᲑᲐ ᲩᲐᲣᲤᲠᲥᲕᲔᲕᲘᲐ ᲓᲐ ᲐᲪᲔᲙᲕᲔᲑᲡ, ᲐᲨᲣᲨᲞᲐᲠᲔᲑᲡ...
ᲗᲘᲗᲥᲝᲡ ᲣᲜᲓᲐ ᲓᲐᲔᲥᲐᲜᲪᲜᲐ ᲒᲐᲒᲐᲜᲔᲑᲐ ᲡᲘᲪᲮᲔᲨᲘ ᲧᲐᲜᲘᲡ ᲛᲙᲐᲡ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲛᲐᲡ ᲐᲠᲐᲤᲔᲠᲘ ᲔᲪᲧᲝᲑᲐ. ᲛᲐᲡ ᲛᲝᲣᲛᲐᲠᲯᲕᲜᲘᲐ ᲜᲐᲛᲒᲐᲚᲘ ᲓᲐ ᲪᲔᲙᲕᲐᲕᲡ.

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

ᲧᲣᲠᲘ ᲓᲐᲣᲯᲓᲔᲗ, ᲓᲐᲣᲯᲓᲔᲗ ᲧᲣᲠᲘ ᲛᲘᲡᲡ ᲡᲘᲛᲦᲔᲠᲐᲡ...
ᲚᲐᲐᲚᲔ, ᲚᲐᲐᲚᲔ...
ᲓᲘᲕᲚᲘᲕᲐᲚᲐᲚᲐᲚᲔ!.
ᲩᲕᲔᲜᲝ ᲐᲮᲐᲚᲝ ᲓᲠᲝᲔᲑᲐᲕ,
ᲨᲔᲜ ᲙᲘ ᲒᲔᲜᲐᲪᲕᲐᲚᲔᲗ!.
ᲛᲔ ᲔᲡ ᲡᲣᲠᲐᲗᲘ ᲘᲡᲔ ᲛᲮᲘᲑᲚᲐᲕᲡ, ᲠᲝᲛ ᲚᲔᲥᲡᲘᲡ ᲬᲔᲠᲘᲡ ᲔᲛᲮᲜᲔ ᲛᲝᲕᲓᲘᲕᲐᲠ.
ᲐᲘᲦᲔᲑ ᲤᲐᲜᲥᲐᲠᲡ ᲓᲐ ᲕᲬᲔᲠ ᲜᲐᲙᲕᲔᲡᲡ:

ᲝᲥᲠᲝᲡ ᲤᲔᲠ ᲕᲔᲚᲔᲑᲡ ᲒᲐᲕᲮᲔᲓᲔ
ᲛᲝᲮᲣᲪᲘ ᲒᲚᲔᲮᲘ ᲪᲔᲙᲕᲐᲕᲓᲐ,
ᲕᲘᲗᲐᲠᲪ ᲖᲚᲕᲐ ᲐᲮᲕᲘᲠᲗᲔᲑᲣᲚᲘ
ᲛᲘᲡ ᲒᲣᲚᲘᲪ ᲘᲡᲔ ᲭᲚᲔᲚᲐᲕᲓᲐ.

ᲒᲐᲕᲪᲕᲘᲤᲠᲓᲐ, ᲜᲔᲢᲐᲕ ᲘᲡᲔᲗᲘ,
ᲛᲝᲮᲣᲪᲡ ᲠᲐ ᲑᲔᲓᲘ ᲡᲬᲕᲔᲕᲘᲐ,
ᲠᲝᲛ ᲒᲐᲜᲣᲖᲝᲛᲘ ᲡᲘᲐᲛᲔ
ᲛᲐᲡ ᲕᲔᲚᲐᲠ ᲓᲐᲣᲢᲔᲕᲘᲐ.

ᲛᲘᲔᲮᲕᲓᲘ ᲮᲕᲐᲕᲘᲐᲜ ᲛᲝᲡᲐᲕᲐᲚᲡ
ᲐᲔᲕᲡᲝ ᲠᲬᲛᲔᲜᲘᲡ ᲖᲔᲘᲜᲘᲗᲐ,
ᲓᲐ ᲛᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲘᲒᲘ ᲰᲚᲐᲚᲝᲑᲓᲐ
ᲕᲘᲗᲐᲠᲪᲐ ᲛᲗᲕᲠᲐᲚᲘ ᲚᲕᲘᲜᲘᲗᲐ

ᲐᲡᲔ ᲐᲮᲐᲠᲔᲑᲡ ᲧᲕᲔᲚᲐᲡ ᲑᲣᲜᲔᲑᲐ, ᲐᲮᲐᲠᲔᲑᲡ ᲭᲘᲠᲜᲐᲮᲣᲚᲘ... ᲐᲜᲔᲢᲐᲠᲔᲑᲡ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲓᲠᲝ... ᲐᲘ ᲙᲘᲓᲔᲕ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲡᲣᲠᲐᲗᲘ:
ᲤᲔᲠᲓᲝᲑᲘᲓᲐᲜ ᲛᲝᲤᲣᲜᲓᲠᲣᲙᲝᲑᲔᲜ ᲫᲠᲝᲮᲐ-ᲮᲑᲝᲠᲔᲑᲘ...
ᲛᲐᲗ ᲛᲝᲡᲓᲔᲕᲡ ᲛᲬᲧᲔᲛᲡᲘ.
ᲘᲒᲘ ᲩᲐᲜᲒᲣᲠᲡ ᲐᲪᲠᲐᲢᲣᲜᲔᲑᲡ ᲓᲐ ᲖᲔᲓ ᲓᲐᲰᲚᲘᲚᲘᲜᲔᲑᲡ:

ᲐᲠᲐᲚᲐᲚᲘ, ᲗᲐᲠᲐᲚᲐᲚᲘ,
ᲑᲐᲢᲝᲜᲧᲛᲝᲑᲐ ᲐᲚᲐᲠ ᲐᲠᲘ,
ᲡᲐᲛᲝᲕᲐᲠᲘ ᲬᲐᲛᲝᲣᲓᲒᲐᲕᲗ,
ᲩᲐᲛᲑᲔᲠᲐᲕᲘ ᲐᲠᲡᲐᲓ ᲐᲠᲘ.

ᲛᲚᲔᲠᲘᲐᲜ ᲒᲚᲔᲮᲔᲑᲘ...
ᲔᲡ ᲡᲘᲛᲦᲔᲠᲐ ᲠᲝᲓᲘ ᲦᲐ ᲰᲒᲐᲕᲡ ᲬᲘᲜᲐᲞᲠᲔᲑᲘᲡ
ᲧᲛᲔᲑᲘᲡ ᲦᲘᲦᲘᲜᲡ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲛᲬᲣᲮᲐᲠᲔ ᲘᲧᲝ, ᲕᲘᲗ ᲒᲚᲝᲕᲘᲡ ᲖᲐᲠᲘ...
ᲐᲮᲚᲐ ᲙᲘ...
ᲔᲡ ᲙᲘᲡᲙᲐᲡᲐ ᲡᲘᲛᲦᲔᲠᲐ ᲒᲣᲚᲡ ᲛᲘᲗᲐᲕᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲡ ᲬᲐᲠᲡᲣᲚᲖᲔ ᲤᲘᲥᲠᲘᲗ ᲒᲐᲛᲝᲬᲕᲔᲣᲚ ᲯᲐᲕᲠᲘᲡᲐᲒᲐᲜ...

გრძნობებს სცილდებიან კაეშნის ეკლები.

ამ სიმღერის მოსმენამდის მეგონა წისქვილის ქვებს ვატარებდი და ახლა დავკარგე...

მათ ნაცვლად მიჭირავს ყვავილების თაიგული და მომავლისკენ მივმართავ...

ეროვნული ბიბლიოთეკა

თვალთა...

ოცნება ეალერსება ახალს საქართველოს...

ახალს მშენებლობას...

წარსულთა აჩრდილები კი ბუსლუნით ჰქრებიან... იფანტებიან...

სამუდამოდ, აღუდგენელად მოჰკვდა ძველი ქვეყანა და მე არ ვსტირი... არ მენანება...

ეს ერთად ერთი შემთხვევაა, რომ სიკვდილი არ მანაღვლიანებს...

სადაა ეხლა ძველი ყაიდის შემატიანე, რომელიც ბატის ფრთას ჩააწობს მელანში და ეპიურის სიდინჯით ჩასწერს:

„ჩუ... საუკუნესა ჰკვდება ძველი და იბადება რაღაც ახალი, მშვენიერი.. იწყება ღრეობა შრომისა, აპოთეოზი შემოქმედებისა, აღმშენებლობისა...

ძველი და ახალი ისე განირჩევიან ერთმანეთისაგან, რომ გაგებაც კი უძნელდებათ“...

. . .

ნეტავი შეიძლებოდეს მომავლის განუჭვრეტელ ფარდაგის ახდა და მისიც ისე დავლა, როგორც გავიცანი წარსულის ხეივნები..

ვესაუბრო მომავლის თაობას, რომელიც ჩვენს შემდეგ იცხოვრებს...

ნუთუ მეც ისე დავცინებ ახალს თაობას, როგორც დამცინოდნენ ეს გენერლები?.

ნუთუ მეც მათსავით დავიწყებ კვეხნას:

ჩვენი დრო სულ სხვა იყო,

ჩვენი დრო სჯობდა თქვენსას!.

მე და ახალი, ჯიშიანი იდეების დაცინვა?.

არა მჯერა... არა მჯერა!.

თუ, მეგობრებო, როდისმე მოვახერხე და შევძელი მომავლის ჯერ ისევ დაუბადებელი საუკუნეების ქვეყანაში გადანავარდება—თქვენც გაგიზიარებთ შთაბეჭდილებებს...

ჯერ კი მშვიდობით...

ბიქტორ შარაშენიძე

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ცოცხალი

ელისაბედს უყვარს თავისი ცელქი, მოუსვენარი მეგობრები, — მეტადრე მაშინ, როდესაც კარგად უპასუხებენ. იღლება კი ძალიან.

კვირა უქმეებს სიამოვნებით ატარებს თავის, სხვა ყველის მეგობრებთან.

დღეს კვირაა. დილა ადრიან განოეწყო მეგობრებთან, ერთ ხელში წიგნით და მეორეში მჭადის ნატეხით.

დაჯდა ჩვეულებრივად მტირალ ძეწნის ძირას და მეგობრებს მოუხმო.

— წიპ! წიპ! წიპ!

მახლობელ მთიდან მომჩქეფარე ანკარა ნაკადი უშუალოდ ერთვოდა დიდ მდინარეს. პატარა და სუსტი იყო ნაკადი. მას არ შესწევდა ლონე ვისთვისმე რაიმე ვნება მიეყენებია: ორლობე მოეგლიჯნა, ნაპირები ჩამოეთხარნა ან და პაემანზე მიმავალი მიჯნური აღრეულ მკერდში ჩაეკრა. სუსტი იყო და იმიტომაც უცოდველი. აქ კი ფშახად შეგუბებულიყო. დიდი მდინარის ცოდვებით გამურული ტალღები გზას უკედლავდა.

შეიძლება გულუბრიყვილოს დარიგებასაც აძლევდა მომავალ საერთო ავაზაკობაში...

თითო-ოროლა გამოსცურდნენ ნახი ნარნარით ელისაბედის მეგობრები. ერთი-მეორეს უსწრობდნენ. ნაცნობ ძახილზე მიეშურებიან.

— წიპ! წიპ! წიპ! — იმეორებს ელისაბედი და თან მჭადის ნამცეცებს ისვრის წყალში.

ერთი წლის მოხარდი მურწები შეეჩვევნენ ელისაბედის ხმას. სახეზედაც იცნობენ. ხშირად როცა ელისაბედს სხვა ვინმეც მოჰყვებოდა, მურწები ფიცხლავ მიიმალებოდნენ ძეწნის გრძელ და ჭრელ ძირებში, სანამ უცნობი არ წავიდოდა, არც ძახილზე და არც მჭადის ნამცეცებზე თავს არ გამოჰყოფდნენ საიმედო საფარიდან.

ელისაბედს იქვე ზოლტიც მზათ ჰქონდა. ერთი მურწა ძალიან ონავარი იყო. განზე გადგებოდა, თითქო სრულებით არ ეტანებოდა მჭადის ნამცეცებს. ჩუმ-ჩუმად კი თვალს ადევნებდა ელისაბედის მოქმედებას. გადისვრიდა თუ არა ელისაბედი ნამცეცს, ანცი მურწა, კუდს მოიგრეხავდა, გადაბრუნდებოდა და ჰაერ-

ში ახტებოდა. მისი ნახტომი გაზომილი იყო. ტყლაშანით დაეცემოდა სწორედ იმ ადგილზე, სადაც მჭადის ნამცეცი ჩავარდებოდა. სანამ სხვა შეშინებული ბუ-ურწები გონზე მოვიდოდნენ, ანცი მურწა უკვე გაზე იყო და, ნასიამოვნები, პირში წყალს ივლებდა.

შოლტი ელისაბედს ამ მურწასათვის ჰქონდა მზად.

— აბა გაბედე შენი ცულლუტობა! სინჯე ერთი! სინჯე! — [illegible] ქნევით ემუქრებოდა ელისაბედი ონავარ მურწას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დღეს კი სხვა, რაღაც არა ჩვეულებრივი ხდებოდა ფშანში. აბასოდეს უნახავს ელისაბედს ამოდენა სხვა და სხვა ჯიშის თევზები, ზოგიერთები იმოდენანი იყვნენ, რომ ცურვაც კი უჭირდათ პატარა ფშანში. წინ მუცელ-გაბერილი თევზი მოსცურავდა. მას გარშემო შემოხვეოდნენ სხვებიც ვიწრო ტანის და უფრო მარდები.

მუცელ გაბერილი დაეშვებოდა ბსკერზე, ქვას აეკვროდა და ნწყობრად მოაგვირისტებდა ზედ ნაცრის ფერ ქვირითს. ახოვანი თევზები მისცვივდებოდნენ და ამ გვირისტს ლორწოს მოავლებდნენ.

ელისაბედი განცვიფრებული ადევნებდა თვალს ამ უცნაურ ამბავს. იმის უმანკო გონებას სირცხვილი სწვავს. ლოყები უწითლდება. მან პირველად იხილა თევზების ქორწინება. თავისი თვალით დაინახა, როგორ ეალერსებოდნენ მარდი და ტანადი თევზები გვაბრედ თევზებს გარს დასტრიალებდნენ. ტუჩთან ტუჩს ჩაუტანდნენ. შეიძლება კიდეეაც ჰკოცნიდნენ!

ისეთი გულმოდგინებით დასცქეროდა წყალს ელისაბედი, რომ თვალი აუჭრელდა, თავბრუ დაეხვია და იქვე გულაღმა გადაწვა. თვალები დახუჭა და ფიქრს მიეცა. მოაგონდა:

ოთხი წლის არის. უზის მამას მუხლებზე და ყინვარ-შაქარს სწუწნის. მამა ბუხრებს აშენებდა, დასვრილ-დატალახებული, კირ-წყალში გავლებული მოვიდოდა სახლში. პირს დაიბანდა. თმას და წვერ-ულვაშს დაივარცხნიდა, ტანთ გამოიცვლიდა. ეზოში მაღალი, ურმის გორგალივით მრგვალი მაგიდა იყო ერთ კუნძზე დაჭედილი მსხლის ძირად. იქ ჩამოჯდებოდა.

— მოდი, შვილო! ვარდი მომიწყვიტე და მე შენ რაღაცას მოგცემ.

ელისაბედიც იქვე ახლო მოუთმენლად ელოდა მამის ასეთ დაკვეთას, ვარდიც იქვე იყო. მამა ყინვარ-შაქარს ამოიღებდა ახალუხის ჯიბიდან. და კმაყოფილი ელისაბედი მამის მუხლზე პირს იტკბანურებდა, მამა კი ვარდს ხელში ატრიალებდა. დედა ვახშამს გამოიტანდა და მაგიდაზე დალაგებდა...

— გამიგონე!

— მეყურება.

სხვა მიმართვა ელისაბედს არ ახსოვდა მამისა დედისადმი. მამა რომ მიმართავდა „გამიგონე"-ო, დედა უპასუხებდა: „მეყურება". და გაიმართებოდა მუსაიფი:

— ჩვენს შვილებს უსათუოდ უნდა ვასწავლოთ. თავს გადავაგებ და ჩემსავით ტალახში საგანგლავად არ დავტოვებო,—უმტკიცებდა მამა დედას.

— ვასწავლოთ უნდა, თორემ ჩემსავით ცეცხლში თუ ამოიწვა, კარგიც იქნება!—ეთანხმებოდა „გამიგონე“ ქმარს.

პატარა ბიჭიკოს ტირილი თუ შესწყვეტდა ასეთ ოჯახურ მსჯელობას.

ბიჭიკოს ბევრი არ დასცლია. ავად გახდა და მოკვდა. ერთი წელიწადი მამას წვერი არ შეუკრეჭია; დედაც შავებში დადიოდა.

ყინვარ-შაქარს უსათუოდ მოუტანდა მამა ელისაბედს, [illegible] დაისვამდა, მაგრამ მიმის ჩვეულებრივი მუსაიფი კი არ ესმოდა.

წარმოუდგა ელისაბედს პირველი მისვლა მასწავლებელთან იმავე სკოლაში, სადაც ეხლა თვითონ მასწავლებლობს. მოაგონდა პირველი მისვლაც ბათომის გიმნაზიაში, ამხანაგებთან დამეგობრება. ზღვის პირზე სეირნობა. ზღვის ფერადი კენჭების დაგროვება. ნათლად ახსოვს როგორი სიხარულით ინახავდა ამ კენჭებს პირველად. რა სიხარულით მიუმატებდა ხოლმე ახლად ნაპოვნ აფერადებულ კენჭებს უკვე დაგროვილს.

მოაგონდა როგორ შეხვდებოდა ხოლმე მამა სადგურში, როგორ გადაადგებოდა ვაჟურად ცხენს, უკან შემოიკრავდა ზღვის კენჭებით და სხვა ნივთებით სავსე ხუდჯინს. მიეჩქარებოდა სახლში ელისაბედს. ცხენსაც იმიტომ მიაჩქარებდა. მამა ფეხით მისდევდა. მოაგონდა მამასთან გზაში ლაპარაკიც:

— ნასწავლი რომ გამოხვალ, ნასწავლი ქმარიც გეყოლება. აქციზი რომ იქნებოდეს შენი ქმარი, მაგას არაფერი ემჯობინება. გეიხარებს მთელი სოფელი! ვილაც გადამთიელი დაძრწის სოფელ-სოფელ დღე და ღამე და ტყემლის მოსადუღებელ ქვაბებსაც არ სტოვებს დაუბეჭდავს. შენი ქმარი რომ აქციზი იქნება, ეგებ გავიხაროთ. სიძე იქნება და დავენანებით. ან და სადგურის უფროსი რომ იქნებოდეს, ეგება რკინის გზით გაგვასეირნოს ბებრები.

ელისაბედი მიაჩქარებდა ცხენს და კანტი-კუნტათ თუ მოჰკრავდა ყურს მამის ამნაირ ოცნებებს.

კარგად შორს მოეგებებოდა დედა. ელისაბედი ცხენიდან გადმოხტებოდა ცხენს მამას გადასცემდა და დედას გადაეხვეოდა.

— მაჩვენე, შვილო, ნიშნები!—პირველი სიტყვა დედისა ეს იყო.

აათვალიერებდა დედა მოცინარი სახით სწავლის ნიშნების ნუსხას და წაიბუტბუტებდა;

ჩემი ნასწავლი ქალი! სამღვდელო იქნება! მაგის ქმარი დეკანოზობას მიიღებს!

— მღვდელი კი არა ეპისკოპოსი მომიკითხე!—უკმაყოფილოდ ჩაილაპარაკებდა მამა.

წლიდან წლამდე მიდიოდა დრო ასე მხიარულად...

მეშვიდე კლასში გადავიდა ელისაბედი. ხუთიანი და ოთხიანი ნიშნებით მოწმობა ჯიბეში ჩაიდო. ჩემოდანი სხვადასხვა წიგნებით გაავსო.

ეხლა ელისაბედი აღარ აგროვებდა ზღვის ლამაზ კენჭებს. ამხანაგებს დაუარა. ზოგს, კოცნით და ხვევნით, მშვიდობით მგზავრობა უსურვა, ზოგს მშვიდობით ბათომში დარჩენა. ზოგიც მასთან ერთად თანამგზავრობდნენ იმავე მატარებლით. მის სოფლის მახლობლად რომ გაჩერდა მატარებელი, ამხანაგები

კიდევ გადაჭოცნა მაურვალედ და ბაქანზე ჩამოვიდა. ელისაბედი ხალხში თვალებით ეძებდა მამას. მამა ვერ დაინახა. იქვე სვეტთან შეამჩნია ბიძია ნიკიფორე. ხშირად უნახავს ელისაბედს როგორ მოადგებოდა ღობეს ერთი მხრიდან მამა, მეორე მხრიდან ნიკიფორე და რაც ძალი და ღონე ჰქონდათ, ყბირილით ლანძღავდნენ ერთი მეორეს. გარკვეით კი არასოდეს არ გაუგია ელისაბედს, რა იყო მიზეზი უთანხმოების. ერთხელ კიდევაც იკითხა:

— დედა, რადა ჰყვირიან მამა და ბიძია?

— რას ერევი, შვილო, სოფლის სიბინძურეში? შენ ნასწავლი ქმარი გეყოლება და სოფლის მიწა რაში გენდომება! ჩვენც შენთან წამოვალთ ქალაქში და აქაურობა იხალოს თავში შენმა ყიამყრალა ბიძამ.—ბოკლად მოუჭრა დედამ.

სასწავლებელში კარგად სწავლობდა ელისაბედი. სხვა მიმდინარე ცხოვრებისა კი არაფერი გაეგებოდა. თუმცა მიზეზი ჩხუბისა მან არ იცოდა, მაგრამ მამა უყვარდა და ამიტომ მანა იყო მართალი.

ნიკიფორე უწინ ლიმილით შეხვდებოდა ხოლმე ელისაბედს.

— გამარჯობა, ბიძიკო! შენ იცი უნივერსიტეტს თუ გაათავებ და გვისახელებ გვარს. ნუ გეშინია, მე არ მაღირსა ღმერთმა ხეირიანი შვილები. თხონ დობიროში ყანა და იარონ ფეხშიშველი.—შესჩივლებდა ნიკიფორე ელისაბედს.

ერთხელ ნიკიფორე ბათუმში შეხვდა ელისაბედს. საქონლის სასყიდლად ჩასულიყო. ნიკიფორეს სოფელში საწვრილმანო დუქანი ჰქონდა. მიესალმა. ჩვეულებრივად უნივერსიტეტის დამთავრება უსურვა: თავის შვილებზე საყვედური უთხრა და ელისაბედს ხუთი სამკაპეიკიანი რვეულიც უყიდა. ელისაბედმა ისეთი სათნო თვალებით გადაუხადა მადლობა, რომ ნიკიფორეს კრიჟანგმა გულმაც ვერ აიტანა და აბაზიანი მოვპანსიე უყიდა თუნუქის კოლოფით.

ეხლა კი უძრავად იდგა ნიკიფორე. თვალს არ აშორებდა თავის ძმის წულს. ახლო კი არ მიდიოდა. რაღაც დარცხვენილი იყო. ტანზედაც უჩვეულო ეცვა.

— ცოლი თუ გადაეცვალა,—გაიფიქრა ელისაბედმა.

ნიკიფორეს ცოლი მუდმივ ავადმყოფი იყო. არც ერთი საღსარი არ ჰქონდა ჯანმრთელი. ტანზე ხორცი არ ესხა. ძვლებზე თხელი მკრთალი და სათუთი კანი ჰქონდა გადაკრული. თითების მაგივრად თითქოს თეთრი სანთლები ეკიდა. მზეხა, როგორც ელისაბედს სმენია, არც ქალწულობაში ყოფილა ჯანმრთელი.

ნიკიფორე კი ჯანლონით სავსე. დუქანი კარგს შემოსავალს აძლევდა; თუმცა რკინის გზის იჯარებმაც იმდენი მოგება მისცეს, რომ მისი მომჭირნეობით ას წელიწადს აცხოვრებდა.

მოლაპარაკების დროს ახნაურ ყარამანს სიტყვა „ყალიბი" არ ეხსენებია,

— ორასი მანეთი მასესაოს გლეხმა და წაიყვანოს ქალი.

ორასი მანეთი ასესხა ნიკიფორემ ახნაურ სიმამრს, ერთი მალალყელიანი ჩექმებიც მიუტანა და ახნაურის ქალის ქმარი გახდა.

მატარებელი წავიდა. ბაჭანი დასცალა ხალხმა, ბიძა-ძმისწული შესცქეროდნენ ერთმანეთს.

— მამა, რატომ არ შემხვდა, ბიძია?— ადგილიდან გაუნძრევლად დაეკითხა ელისაბედი.

ნიკიფორე ჩქარი ნაბიჯით მივიდა ელისაბედთან, გადაეხვია და აკოცა.

— ის დარჩა სოფელში. ... მე წამოვედი შესახვედრად, წავიდეთ, ცხენები მზად არის,— შეკითხვას აღარ დაელოდა, ჩემოდანს ხელი მოჰკიდა და სადგურს უკან გაიჩქარა ნიკიფორემ.

არ მიაჩქარებდა ჩვეულებრივად ელისაბედი ცხენს...

— ჩვენსას ჩავიდეთ, ბიძია! მერე გადახვალ სახლში.

ნიკიფორე ცხენიდან ჩამოხტა, ბჭის კარი გააღო. ელისაბედის ცხენს ხელი წააცლო და ეზოში შეიყვანა. ოდის აივანზე ავიდნენ; ნიკიფორე ოთახში შევიდა. ელისაბედი აივანის სვეტთან სკამზე ჩამოჯდა. სვეტზე ვაზს ხარბად გაეხარა, ლაღად გადმოეკიდნა ნორჩი დამტევნული ტოტები. ელისაბედს ეს ტოტები გვირგვინივით უმკობდენ თავს.

— შემეცოდა ბავში და ვერ გავუმხილე.

ელისაბედი შეკრთა ამ უცნაურ სიტყვებზე.

— რა ვერ გამიმხილეს ნეტავი?

— ჩემი ჯანი მაგას ვერ აიტანს. შენ თვითონ შეუმცხადე.—ესმის ელისაბედს.

— რა უნდა შემიმცხადონ—მზეხა ცოცხალია. ეს მისი ხმა ისმის. სხვა რა უნდა მომხდარიყო?!

— მე ჩემი მწუხარება მეყოფა. ძმაი და რძალი ერთ ღამეს დაეკარგე..

სხვა რა ილაპარაკეს ცოლქმარმა, ელისაბედს აღარ ახსოვს.

რაღაცა რბილზე წევს ელისაბედი, ლოგინი უნდა იყოს. თვალს ვერ ახელს. ვიღაცის ცივ ხელებს გრძნობს შუბლზე.

— ვაიმე, ძძაო და რძალო!.

ნიკიფორე დადის ოთახში. ეს მისი ხმაა. ელისაბედი წამოიჭრა და თავის ეზოსკენ გაექანა. სახლის დერეფანს შავი ძაძი აქვს შემოხვეული. მერცხალამ ვერ იცნო ელისაბედი, გააფთრებულმა შემოუტია. შეშინებული რვა ლეკვი წკმუტუნით გაიქცენ, საწნახელ ქვეშ თავს უშველეს. ელისაბედი მივარდა დაკეტილ სახლის კარებს. ეხლა კი იცნო მერცხალამ ის და საცოდავი წკმუტუნით უვლიდა გარს. ყურადღებას რომ ვერ ელირსა, საყვედურის ნიშნად დაიყმუილა. მზეხაც დაეწია, მკლავში ხელი მოჰკიდა.

— არ შეიძლება, შვილო, შიგ შესვლა! ფერშალი გვყავდა:

— „არც შეხვიდეთ და არც ნივთებს ახლოთ ხელი. სახადით იყვნენ ავად"-ო,—ასე დაგვიბარა მზეხამ.

— ამდენი ლეკვები რომ ახრჩობს ძალლს, ვერ გადაუყარეთ თავის დროზე!?!—ბურდღუნებდა ნიკიფორე ეზოში...

ელისაბედი უკვე ორი წელიწადია მასწავლებლობს თავის სოფელში.

— სხვას ასწავლი ჭკუას და ეს არ იცი, რომ ცივ მიწაზე ძილი არ ვარგა?

თავშალ წამოხურული მზეხა მოჩვენებასავით დასდგომოდა თავს ელისაბედს. ელისაბედი ხანტად წამოდგა. ცალი თვალით წყალში გადაიხედა. ქვირითით გვაბრედი თევზები მოეშურებოდენ უწყინარ ფშანში, რომ უშიშარ ადგილს მიაბარონ თავისი მომავალი ახალი თაობა. ტანადი თევზები მათ ალერსს არ აკლებენ და ვნება აღძრული ეშურებიან ქვებზე, და ხის ძირებზე ჩაწკვრიტებულ ქვირითის განაყოფიერებას.

— აქ რომ თავს იკიებ სველ მიწაზე, არა სჯობდა ის წიგნი დაგეთავებინა?—უსაყვედურა მზეხამ.

ელისაბედი და მზეხა შეგობრები იყვნენ. არც მზეხას ჰყავდა ტოლ-ამხანაგი. ნიკიფორეს ანგარიშების დავთრები მას ეჯავრებოდა. მისი შვილები გარე-გარე იწევდნენ მეზობლების გოგო-ბიჭებში. მათ ტოლ-ამხანაგებში უფრო მიერჩოდათ გული ვიდრე დედის გახარება.

მზეხას ოჯახში დიასახლისობა და გაკვლევა მოსამსახურე გოგოზე ჰქონდა მინდობილი, ხოლო თვითონ წიგნების კითხვა უფრო ეხერხებოდა. ხშირად შუაღამე გადასული იყო, ის კი ელისაბედს ემუდარებოდა.

— კიდევ წავიკითხოთ, შენ გენაცვალოს ჩემი თავი! კიდევ! ცოტა კიდევ!

ელისაბედიც ხათრს არ უტეხდა, არც ნიკიფორე უშლიდა ხელს. ათში ერთხელ თუ მოვიდოდა სახლში ღამის გასათევად. ხნები დადიოდა, ვიღაცა ქვრივთან ერჩივნა ძილი. ბათომშიც ხშირად დადიოდა სავაჭროდ.

— საჭმელს არ ვაკლებ ოჯახს, მტერ-მოყვარეს ვუსწორდები. სხვა რა უნდათ?? თავს ხომ არ ჩავიკლავ! — თავისთვის ხშირად იტყოდა ხოლმე ამას ნიკიფორე, როდესაც წვერ-ულვაშს იკარცხნიდა.

ერთხელ კი ელისაბედს გამოუცხადა:

— ჩემი შვილებიდან სიკეთეს არ მოველი. ჩემს სახლშიაც ბედნიერად იცხოვრებ. რად გინდა ის ქოხირა სახლი? კარგი მუშტარი ვიშოვნე. ფულსაც საქმეში დავატრიალებ. თავის დროზე გამოგადგება.

ელისაბედმა არც კი უპასუხა, მეორე ოთახში გავიდა და მწარე ტირილით გული მოიოხა. ნიკიფორეს შვილების გამოუსადეგრობაში ეჭვიც არ შესდიოდა, არც ფულის დატრიალების საქმეში გაეგებოდა რაში: მისთვის სულ ერთი იყო რას ფიქრობდა ნიკიფორე. მხოლოდ ეს კი იგრძნო, რომ დედ-მამა არა ჰყავდა და საკუთარი ოჯახი არა ჰქონდა.

* * *

— მომღერლები ამ გვერდით დავსვათ, რევანი სუფრის თავში! იქით კარგი გადასახედია! სად დაიკარგა სკოლის გაბგე? იმ დალოცვილს გავეფრთხილებინე მაინც, და სხვას მოვიწვევდი სათამადოთ.

— მზეხა, გაგზავნე კაცი! იჩქაროს. დაგვიანდა სადილი-თქო, —იძლეოდა განკარგულებას და თანაც ხაროობდა ნიკიფორე.

— გამგე საცაა მოვა. გამაფრთხილა ცოტა დამაგვიანდებაო. ცოლს ისტუმრებს წყალტუბოს. მე კი თავი მტკივა, ბიძია, და ვერ გამოვალ სტუმრებთან.

— თავს მომაკვლევინებ სწორედ! რას ამბობ ბიძია? მე რომ გიყვარდა ისე მოიქეცი! ვინა გყავს ჩემს მეტი? ვინ უნდა იზრუნოს შენზე?! ლაპარაკი არ დამიწყო! რევაზთან დაჯექი და თავი შეაქცევინე. ნასწავლი კაცია, ჩვენი გლეხების „ია-უა“ თავს მოაბეზრებს, შენ თუ არა შევრცხვებით, ეკლესიაში გაბრიელმა მითხრა: „მაგან თუ არ გასცა ბრძანება ერთი ორთქმაგალა ვერ დატოვრის თბილისიდანო. ინჟინერს თურმე მარჯვენა ხელად ჰყავს! დიდი მილებული ყოფილა რკინის გზაში! ბილეთი პირველი კლასის ეძლევაო„.

ელისაბედს მართლაც სტკიოდა თავი. უკვე სამი წელია თვეში ერთხელ თავის და წელის ცკივილი დასჩემდა.

— თუ შეიძელი, ვიქნები თქვენთან, ბიძია!... აი გამგეც მოდის.

ნიკიფორე მიეგება გამგეს და ეზოში ათიოდე ბანქოს და ნარდის მოთამაშეებთან მიიყვანა.

— წამოდი, ქალო! პუდრი მაინც შეიცხე,— ეუდრებოდა მზეხა ელისაბედს.

წინედ ელისაბედს გაოხოვება აზრათაც არ მოსვლია; მხოლოდ გუშინ ჩამოუგდო იმაზე ლაპარაკი ნიკიფორემ.

— რომ იტყიან ბედი კარზე მოადგაო, სწორედ ეს არის,— დააბოლოვა ნიკიფორემ ლაპარაკი და თვითონ გადასწყვიტა დღეისთვის რევაზის სადილად მოწვევა.

— მობრძანდით ბატონებო! მობრძანდით!—ნიკიფორე შემოუძღვა სტუმრებს ოდის დერეფანში და სათითაოდ მის მიერ მიჩენილ ადგილზე დასვა.

— მეფე, თავში, დედოფალიც გვერდში მოუსვათ!—გაიხუმრა ნიკიფორემ. სხვებმაც სიცილით ბანი მისცეს.

სკოლის გამგე გაწაფული თამადა იყო. ღვინოს ბლომადა სვამდა და სუფრის გამხიარულებაც ეხერხებოდა,

— თქვენ თავი უნდა გტკივოდეთ, ქალ-ბატონო?—მოკრძალები შენიშნა რევაზმა ელისაბედს.

ელისაბედს ნამცეცი საჭმელი არ აუღია. გამუდმებით თავზე ჰქონდა ხელ მოჭერილი. ნიკიფორეს ხათრი, თორემ ძლიერ უჭირდა ჯდომა. რევაზმა ეს ბუნებრივი ელისაბედის მდგომარეობა სხვაფრად გაიგო.

— გავისეირნოთ, ქალბატონო, ეზოში.—წამოდგა და ელისაბედს მკლავში ხელი მოჰკიდა.

ელისაბედს არ ესიამოვნა, უფრო ეხამუშა, პირველად იყო რომ ვაჟმა ხელი მოჰკიდა. სახეზე ალმურმა აჰკრა. უნდოდა უარი ეთქვა, მაგრამ თავი შეიკავა; ხელი გაინთავისუფლა, წამოდგა და გაჰყვა რევაზს ეზოში.

— ქართულ ენასაც ასწავლით?—დაარღვია სიჩუმე რევაზმა. თუმცა ჩემს რწმენას არ შეესაბამება ნაციონალურ გრძნობაზე ლაპარაკი და ფიქრი, მაგრამ მაინც სასიხარულოა, როდესაც ჩვენმა ქალებმა, მეტადრე ახალგაზრდებმა. ქართული კარგად იციან.

— დიახ, ქართულსაც ვასწავლი,—ძალდატანებით უპასუხა ელისაბედმა.

— შესაძლებელია და აუცილებელიც, რომ მომავალი სოციალისტური წყობილება მრავალ ენებს მოსპობს და შეჰქმნის ერთს, ყველასათვის გასაგებ ენას. ჯერჯერობით კი ჩემის აზრით, მშობლიური ენა ყველამ უნდა იცოდეს!

ელისაბედს თავის ტკივილი ისე უჭირვებდა საქმეს, რომ ეს ჭკვიანი ლაპარაკი რახირუხად ესმოდა.

— თქვენ რა მიმართულებისა ბრძანდებით?

—ვასწავლი მოზარდ თაობას წერა-კითხვას.

— მე მომწონს თქვენი გულუბრყვილო პასუხი. ხომ კითხულობთ „ცოცხალ"-ს.

— როგორ არა.

— მაშ მიმართულება გქონიათ?

— მე სხვა ჟურნალ-გაზეთებსაც ვკითხულობ. მიმართულებაში კი ჯერ ვერ გავრკვეულვარ..

— დიდი დანაშაული მიუძღვის თქვენს გამგეს. როგორ მოუვიდა ასეთ დიდ მოვლაწეს, რომ არ მოგაქციათ ყურადღება?! როგორც კი ჩავალ თბილისში, დაუყონებლივ გამოგიგზავნით წიგნაკებს.

ღობეს მიადგნენ. დაბლა სათიბში მოსჩანდნენ ლორები, ბატები, ძროხები და სხვა ცხოველები. ერთი დეკეული შეშლილივით დარბოდა, კუდი ბაირაღივით აეშვირა. ბუჩქებში შევარდა, გადახტა ნაკადზე. ხარაბუზამ თბილი სისხლი მოიწყურვა და დეკეული აიჩემა. ერთი ძროხა ტყემლის ძირას დაწოლილა. გვერდზე კურო მისდგომია და ნაზად ზურგს ულოკავს. ცვედანი ხარები და პატარა მოზვრები გარშემო უვლიან. ახლო ვერ ბედავენ მიკარებას. ორი ხარი ერთი მეორეს დასტაკებია და რქებს იმტვრევენ. რამოდენიმე ძროხა სიცხემ შეაწუხა, ჩრდილში მოვიდნენ. კურომ მათ ყურადღება არ მიაქცია. პატარძალი წამოვარდა და მეტოქეებს შეუტია. ძროხები უკუიქცნენ. ერთმა იუკადრისა და დედოფალ ძროხას რქები შეაგება. კურომ დაჯინებულ კისერზე უცნაურად მობმული თავი დაბლა დახარა და დაიზმუილა. ალბად თავის ენაზე რაღაც წარმოსთქვა: ზრდილობა თუ დაუწუნა დაუპატიჟებელ სტუმარს.

— რა მშვენიერი სანახაობაა აქედან. გორის მთაც მოსჩანს და საყორნიაც. ბახმარო კი მოფარებულია იმ მთებისაკენ.

რევაზმა ხელი მთებისკენ გაიშვირა.

მთვრალი სტუმრები რაც ძალი და ღონე ჰქონდათ, გაჰყვიროდნენ სიმღერას.

— დღეს მე მივემგზავრები, ქალბატონო ელისაბედ, ნება მომეცით წიგნაკები გამოგიგზავნოთ და...—რევაზი შეჩერდა.

— რა გნებავთ, სთქვით, ბ. რევაზ?—ზრდილობიანად დაეკითხა ელისაბედი.

— თუმც ჩვენი ნაცნობობა ხანმოკლეა, მაგრამ რომ იტყვიან „გული გულს იცნობს და სული სულსო", მართალი ყოფილა. მომეცით ნება წერილი მოგწეროთ!

— თქვენი ნებაა! მაგას რა კითხვა უნდა?—გულუბრყვილოდ გაიკვირვა ელისაბედმა.

— თქვენ ხომ მიპასუხებთ?

— თუ კი რამეს დამეკითხებით, რატომ არა?

* * *

რევაზმა აასრულა თავისი დაპირება. ერთ კვირაზე უფრო ადრე ელისაბედმა მიიღო რუსული და ქართული (უფრო მეტი რუსული) წიგნაკები. წერილიც:

„ღრმად პატივცემულო, უმწიკვლო პროვინციის შვილო, ქალბატონო ელისაბედ! წარუხოცველი და დაუვიწყარი იქნება თქვენი სახე და ის დღე, როცა თქვენ შემხვდით. ვიხილე, ვისაც ვეძებდი. მოუთმენლად მოველი თქვენგან პასუხს. წიგნაკებს კიდევ გადმოგიგზავნით. იკითხეთ და განვითარდით. მაღლე გესტუმრებით.

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ
ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

ღრმა პატივისცემით ალექსანდრე.

ელისაბედი ფიქრს მიეცა: რევაზი ჭკვიანი უნდა იყოს. სახე ლამაზი და მეტყველი აქვს. ტანადი. წყლიანური ჩოხა ვარაყიანი მასრებით და ხმალ-ხანჯლით მის წაბლის ფერ წვერ-ულვაშს ძალზე ჰშვენის. სიტყვა-პასუხიც მოქარგული აქვს... საკუთარი ბინა, თავისი ოჯახი... სხვის კარზე აღარ იქნება.

— კარგია რევაზი,— ფიქრით დაასკვნა ელისაბედმა.

დერეფანში გამოვიდა. შეჩერდა და ეზოში ჩავიდა. სკასთან მივიდა წიფლის ძირში და იქვე ბალახში ჩაჯდა.

წერილი ხელთ ეპყრა. ფიქრებში წავიდა. ვერ ამჩნევდა რა ხდებოდა მის გარშემო.

დილა იყო. ღამის ნამი ორთქლს უშვებდა. ფუტკრები, დატვირთულნი ყვავილთ ნექტარით უკან ბრუნდებოდნენ. აი, გამობრძანდა ყველაზე დიდი და გრძელი ფუტკარიც. უკანა ტანი ამძიმებს, თითქოს უჭირს მისი დანძრევა, ფრთებს ძირს სცემს. აფრინდა და იქვე სკის სახურავზე დასკუპდა. მუსიკოსი მაბალი ფუტკრები გარს ეხვევიან, ეალერსებიან. ნეზობელ სკიდანაც ესტუმრენ ბლომად მუსიკოსები. დედა ფუტკარი აღგილიდან ადგილზე გადაფრინდა, ხის ტოტზედაც აფრინდა, მაბალი ფუტკრების გროვა თან დაჰფრენს, გარს ეხვევიან, ფრთების მალი ენევით ჰაერს მუსიკალურად აბგერებენ,— დედა ფუტკარს ალერსით გულს ულალებენ. დახტის, დაფრინავს, ნავარდობს ჰაერში დედა ფუტკარი: დღეს უნდა ეპკუროს ახალი ცხოვრების თესლი. სამუდამოდ განაყოფიერდება.

ავარდა მსწრაფლ ჰაერში, აიტაცა მიჯნურნი. გაიმართა შეჯიბრება, ჭიდილი. უმალესი, უძლიერესი, იგემებს სარეცელის ნეტარებას! იგემებს და დაილუპება! დაილუპება მომავალი თაობის საკეთილდღეოდ...

მიჰქრის ელისაბედის ფიქრებიც: ველარ იხილავს შობლების საფლავს, მათ საფლავზე მაისის ვარდს წყალს ველარ დაუსხამს... წავა თბილისში თავის რევაზთან. იქ იცხოვრებს დიდ ქალაქში... იქ აღარ ეყოლება საყვარელი მურწები, ფუტკრები, მეოცხალა. ვერ მოისმენს დილა საღამოს ჩიტუნების ჟრიამულს, შეშინებული ლორების რიხ-რიხს... ველარ გაიგონებს თვალებ-მიბნედილ საიქიოს მოჩვენებას, მზეხას ოხვრას და განუწყვეტელ წუწუნს, ბედის გმობას, უპატრონოდ ᲲᲐ უყურადღებოდ მიგდებულ შვილების ძაგებას. რევაზი... მოსიყვარულე, ტკბილი მოსაუბრე ქმარი იქნება. ის არ ემზგავსება ბიძია ნიკიფორეს... უნებურად, შეუმჩნევლად წერილი ტუჩებს შეახო. ელისაბედი შეკრთა, თვალთ სინათლე დაუბრუნდა, წერილს დააცქერდა. რატომ აკოცა წერილს?.. წამოდგა. ხელები ჰაერში მაღლა ასწვართა. უკან გადაიზნიქა. თვითონაც იდნავ უკან

გადაიხარა. სახის და ბეჭების კუნთები დაემძაფრა. გასწორდა, მოეშვა და გულს გადაეყარა. ოდაში ავიდა. კალამი აიღო და წერილის წერას შეუდგა.

წიგნებისათვის გმადლობთ, ვკითხულობ. ვეცდები შევისმინო. თუ ჩამობრძანდებით, სასიამოვნო იქნება, მზეხა და ნიკიფორე ნასიამოვნები იქნებიან. ძლიერ გთხოვთ მათ უფროსს ვაჟს, გერასიმეს, რაიმე ადგილი [illegible] მანდ. [illegible] ცელქია, მაგრამ ჭკვიანი და მარდი ყმაწვილია. [illegible]

პატივისცემით ელისაბედი".

სათაურში ვერ შეუთანხმდა თავის თავს: „კეთილო რევაზ" არ მოსწონდა; „პატიოსანო რევაზ" ეხამუშება. სხვაც ბევრი მიმართვა მოეფიქრა, არც ერთი არ დასწერა, ისე გაგზავნა წერილი.

* * *

ნიკიფორეს ოჯახში მზადებაა. რევაზი ეზოში ხის თავის ამხანაგებთან მაყრები თბილისიდან ჩამოჰყვნენ. დღეს საღამოს ჯვარს იწერს.

რევაზის თავადიანმა და ნაზმა წერილმა ელისაბედის გული გაათბო, მომავლის სიხარული ჩაუნერგა. კოხტად გამოწყობილი რევაზი მის გულს ახარებდა.

შებინდდა. ეკლესიაში წავიდნენ.

დაბრუდნენ. სტუმრები მხიარულად არიან. კისკისობენ ხუთიოდე ქალიშვილიც. ესენი ელისაბედის საყვარელი მოწაფეებია... ვახშმად დასხდნენ.

— ეს ყანწი განა ჩაიტევს იმ სიხარულს, რაც დღეს ჩვენ გვმართებს?!— თითქმის გაჰყვიროდა თამადა,—ჩემში ორი გრძნობა იბრძვის, ერთი, რომ ვკარგავ საუკეთესო მუყაით თანამშრომელს, ეს მაღონებს და მაწუხებს. მეორე, ჩემი უგულითადესი მეგობარი თხოვდება და მიჰყვება ჩემი გონების რწმენის, დ მომავლისათვის მებრძოლ ამხანაგს,—ეს კი მახარებს,—ყანწს მეორე ხელი მიაშველა და განაგრძო,—იყავით ბედნიერნი, ჩემო მეგობრებო! იცოცხლეთ და გამრავლდით! ბედნიერნი იქნებიან თქვენი შვილები! ბრძოლის სუსხს ჩვენი კისერი გადაიტანს, ისინი კი უბრძოლველად იგებენ ახალი თავისუფალ ცხოვრების მშვენიერებას! ბედნიერი ყოფილიყვეს დღევანდელი დღე ჩემ მეგობრებ ელისაბედ და რევაზისათვის!!.

სტუმრები დიდის აღტაცებით შეხვდნენ თამადის მჭერმეტყველურ სიტყვას. ფეხზე ადგომით იმღერეს სხვა და სხვა „მრავალ ჟამიერ".

თამადამ მამობრივად გადაჰკოცნა მეფე-დედოფალი, ყანწი დასცალა და გაბრიელს გადაულოცა...

გათენდა. სტუმრები აიშალნენ. ეზოში გავიდნენ. ნალიას ქვეშ ურემზე სუფრა გაშალეს. მხიარულობას განაგრძობნენ.

— წამო, გენაცვალე, მოისვენე!—მზეხამ ხელი მოჰკიდა ელისაბედს, ოთახში წაიყვანა. ტანთ გახადა და დააწვინა.

ელისაბედს ელულებოდა. ფიქრებიც მოუჩლეავდა. მოაგონდა თევზების ალეოსი. ამხანაგები. ზღვა, ჭრელი კენჭები, სადგურზე მომლოდინე მამა. მოიჩქარება სახლში. ესმის მამის ოცნებები; აქციზის მოხელე, სადგურის უფროსი...

ჩასთვლიმა. რევაზმა დრო იხელთა, სტუმრებს გამოეპარა. ელისაბედმა გაახილა ოდნავ თვალები, რევაზი ხელს ჰკიდებს ტანზე. საწოლში შეუწვა. რევაზს ხმალ-ხანჯალი ხელს უშლის. ბუტბუტებს. თვალები ჩასწითლებია. ხელები უკანკალებს. ჩქაროობს...

ელისაბედმა გულშემზარავად დაიწივლა. სახე დაეპრანჭა მწუხარებით და სირცხვილით...

— უზრდელობა მომივიდა, სტუმრები მივატოვე,—რევაზი ფიცხლავ წამოდგა, ხმალ-ხანჯალი გაისწორა, სახეზე ოფლი მოიწმინდა და სტუმრებთან გაეშურა. რევაზი ღვინოს ერიდებოდა, მაგრამ მაინც ბევრი არგუნეს.

პირი გაუშრა ელისაბედს. სწყურია. უნდა დაიძრას, სხეული არ ემორჩილება, უნდა დაიძახოს: წყალი!—ენა არ ეძვრის. მთელი ტანი სტკივა. თითქოს დაუნდობლივ შოლტებით ჩცემსო, თავს რეტი დაესხა. ქანაობს ლოგინი, ოთახი, სახლი მიდის, მიდის სადღაცა დაბლა, ქვევით...

— გაიღვიძე, გენაცვალე! სადილი მზად არის.

ელისაბედი წამოიჭრა.

— რა იყო, გენაცვალე? შეგაშინე.

— შენა ხარ ბიცოლა?

სადილი. კვლავ სკოლის გამგე თამადად, მხიარულება. ქეიფი.

— დღეს ჩვენ უნდა წავიდეთ, ჩემო ნიკიფორე! ხვალ უნდა გამოვცხადდეთ სამსახურში.

— რას მიიჩქარი, რევაზ? ნუ თუ ორი დღე მოცლა არ გაქვს?—ალერსით ეუბნება მზეხა.

— რომ შეიძლებოდეს, დიდი სიამოვნებით. ბინა უნდა გამოვიცვალო ორი ოთახი ხომ გვეყოფა, ელისაბედ, ჯერჯეროობით?

ელისაბედი სდუმდა.

— მე მგონია გვეყოფა,—თვითონ გადასწყვიტა რევაზმა.

— მაშ არ იცდი, რევაზ?—წყენით შეეკითხა მზეხა.

— ქალებს რაში გეკითხებათ კაცების საქმეში ჩარევა!! — გაჯავრდა ნიკიფორე.

— ალბად არ შეიძლება, რომ ანგელოზსავით ქალსა სტოვებს კაცი. შენ იცი, ჩემო რევაზ, როგორ მოუვლი და პატივსა სცემ ჩემს ძმისწულს. ბიჭის ადგილი არ დაგავიწყდეს. შენი მონა-მოსამსახურე ვიქნები, მაგ თავზე ხელაღებულს თუ მომაშორებ.

— უსათუოდ ამ მოკლე ხანში მოგწერ დ გამოგზავნე ყმაწვილი. შენ, ელისაბედ, რკინის გზის ბილეთს გამოგიგზავნი, მე სადგურში დაგხვდები თბილისში.

რევაზი მიდის, მთვრალი ამხანაგები სიმღერით მიაცილებენ. თამადას დოქით ხელში გვერდით მიჰყვება მერიქიფე. კიდევ დაკიდევუსურვეს მეფე დედოფალს ბედნიერი ცხოვრება.

ელისაბედმაც გააცილა. რომ გამობრუნდა, ფშანში გადაიხედა. თევზების ლიფსიტები ჯგუფ-ჯგუფად დანავარდობდნენ. გადახრილ მზის შუქს ეთამაშებოდნენ.

* * *

დადის ელისაბედი სკოლაში. აღარ ახარებს ბავშვების სხარტი პასუხები. გაკვეთილების ცოდნა. აღარც იცინის მათთან ერთად.

ბავშვები უფრო მოწიწებით ეპყრობიან. არ უძახიან „ბასწავლებელო"-ს, ქალ-ბატონო ელისაბედ-ს უწოდებენ. გამგეც მეტი ზრდილობით და მოწიწებით ეპყრობა.

თავის მურწებთან წავიდა მჭადით ხელში.

— წიპ! წიპ! წიპ!

დიდხანს უხმობდა ელისაბედი, მურწები არ სჩანან. დაიზარდნენ და დიდ მდინარეს ესტუმრნენ. ზამთრობით იქ უფრო თბილა და საზრდოც მეტია.

— ჩემმა მურწებმა მიმატოვეს,—ასე ახსნა ელისაბედმა, ნამდვილი მიზეზი რომ ვერ გაიგო.

გამობრუნდა სახლში მწუხარე ფიქრებით.

— გამრიყეს ძველმა მეგობრებმა! ზრდილობიანად მერიდებიან, ნუ თუ უმეგობროდ უნდა დავრჩე? ვინ იქნება ჩემი ახალი მეგობარი? რევაზი?!...

უცბად ბალახზე ჩაიკეცა, ცრემლები გადმოსცვივდა, მიწაზე ჩაეხსო და აქვითინდა...

— რას აკეთებ მანდ, ბიცოლა? ხომ არ ლოკულობ? მოდი აქ მალე! რა გახარო რომ იცოდე! სამახაროობლოს რას მოგცემ?—გადმოსძახა აივნიდან მზეხამ.

ელისაბედს არაფერი ესმოდა. მზეხამ კიდევ დაუძახა. პასუხი რომ არ მიიღო, გაჩქარებით წამოვიდა ელისაბედთან, ხელი მოჰკიდა და წამოაყენა.

— რა იყო, ბიცოლა? გულმა ხომ არ გიგრძნო? სიხარულით გული ხომ არ შეგიღონდა? რაა ეს ცრემლები? ღმერთო, ნუ მომკლავ! ბავშვი ხომ არ გგონია შენი თავი?!

ელისაბედი ხმა ამოუღებლივ მიჰყვებოდა მზეხას ოდისაკენ. თვალები მოიწმინდა, თმები გაისწორა, ტანისამოსი ჩაიბერტყა.

მერცხალა ალუჩის ძირას იწვა. ელისაბედი რომ დაინახა, მიაშურა კუდის ქნევით, გარს დაუწყო ტრიალი ელისაბედმა გაიღიმა, მერცხალას თავზე ხელი მოუსვა.

— შენ მიცანი, მერცხალა? მიცანი?

მერცხალა სიამოვნებით აგორდა. რაღაცას წკმუტუნებდა.

ელისაბედმა თავზე ხელი მოჰკიდა და საკოცნელად დაიხარა.

მზეხამ ხელი სტაცა და ააყენა.

— რას შვრები, ქალო? ვის უნდა აკოცო მერე მაგ ტუჩებით? ვისი ცოლი ხარ, თუ იცი?

ელისაბედს შერცხვა.

— ხომ არ ვაკოცებდი, ისე დავიხარე.

გულში კი გაიფიქრა: „რატომ არ უნდა ვაკოცო? ვისგან მახსოვს მეტი ალერსი?"

— მეც ვიცი რომ არ აკოცებდი,—მოხადა ბოდიში მზეხამ,—ძაღლს ხელიც არ უნდა ახლო.

ოდაში შევიდნენ. ნიკიფორე ახალუხ გაღეღილი იჯდა ნაგიდასთან და საანგარიშო ჩოთქზე დანერწყვილ თითს აქნევდა.

— არ გეწყინოს, ჩემო ბიძიკო! არ წამიკითხავს, რომ გადასაცემათ ეწერა და გავხსენი. ბილეთიც გამოუგზავნია.

ბილეთი მეორე კლასისაა. პირველი კლასის რატომ ითხოვ? ალბად უკეთესია და იმიტომ უქნია. მან უკეთ არ იცის რკინის გზის ამბავი. იმას კი ვერ ვუწონებ, რომ იმ შეჩვენებულ გერასიმეზე არაფერს იწერება.

ელისაბედმა გამოართვა წერილი და მეორე ოთახში გავიდა. მზეხამ და ნიკიფორემ ეშმაკური ღიმილით გააცილეს.

— რამდენს აკოცებს წერილს?—დანატვრით ამოიოხრა მზეხამ.

— „ელისაბედ! შენ იცი, როგორც კარგად იმგზავრებ. თუ რამე გაქვს, არაფერი არ დაგავიწყდეს, არ გაგიფუჭდეს გზაში, ხომ იცი ოჯახი ახლად მოსაწყობი გვაქვს და ყველაფერი გამოგვადგება. ბიძაშენს ფული გამოართვი". მეტი აღარ წაუკითხავს ელისაბედს. უკანა კარებიდან ეზოში ჩავიდა. საშზარეულოს ბოკონის თავზე ჩამოჯდა. წერილი ხელში ეჭირა.

— რაზედ ჩაფიქრებულხარ ელისაბედ?— მიმინოთი დაადგა თავთ გერასიმე,—ვინ გაბედა ჩემი დაიკოს წყენა? მითხარი ერთი, რომ თავი ათად ვუქციო!

მიბრუნდა, მიმინო თურეზე დააბა და ელისაბედს მოუჯდა გვერდზე. მხარზე ხელი დაადო.

— მითხარი, ქალო, რას ჩაფიქრებულხარ? კაპუეტი მიმინო ხომ არ გაგაქცევია?!

ელისაბედმა გერასიმეს ხელი მხრიდან ჩამოიშორა, თვითონ მოჰხვია კისერზე ხელები. თვალებში ჩააცქერდა.

— შენც ობოლი ხარ, ჩემო გერასიმე! არც შენა გყავს დედ-მამა. შენც უცხო ხარ ამ ოჯახში!

— წამიყვანე თბილისში!

— უსათუოდ წაგიყვან... ერთი პირობა უნდა მომცე

— ათასზე მოგიწერ ხელს. არ შეგარცხვენ, იცოდე.

— მაშ მაძლევ პირობას, რომ არ მომწორდები? სულ ჩემთან იქნები?

— შენი არ მიკვირს, ელისაბედ! ნაგას რა პირობა უნდა! ვინ მეყოლება თბილისში შენს მეტი? ოღონდ მარჩინე და გვერდიდან არ მოგშორდები.

— რასა იქმთ მანდ?—დაუძახა მზეხამ,—მე მეგონა წერილის კოცნაში იყავი და მაგ გარეგანს ელაპარაკები? მოდი აქ, ბიცოლა! ნიკიფორე გიცდის.

— შენ იცი, ჩემო ბიძიკო! სირცხვილს თუ არ მაჭმევ უცხო ხალხში. ჩემი გამოზრდილი ხარ, ყველამ იცის, ოჯახი გაბელანძლება,—ჭკუა არ ასწავლა ძმისწულსაო. შენი ფულისა ნუ გეშინიან. შარშან წავაგე თხილში, ნაგრან დარდი ნუ გაქვს. შარშან თხილში არავის არ მოუგია. ერთი ორად გაგიხდი. როცა დაგჭირდება, შემომითვალე და გამოგიგზავნი. ან და, უკეთესია, მე თვითონ ამოგიტან. ოღონდ წელს კი არა. რასა გწერს რევაზი? როდის იმგზავრეო?

ელისაბედმა წერილს დახედა...

— ხუთშაბათს თბილისის სადგურზე დაგხვდებიო.

— ძლიერ სასიამოვნოა! მაშ ოთხშაბათს აქედან უნდა გახვიდე. სადგურში გაგაცილებთ. გზის სახარჯო ფულს არ მოვაკლებ შენ ფულს. მაშ როგორი ბიძა ვარ, ძმისწულს თუ ანგარიში დავუწყე!

* * *

ორმოციოდე მოწაფე ვარდებით და სხვა ყვავილებით, ელისაბედის გზის სადგურში ელისაბედს გარს ეხვევიან. გოგოები კალთებზე ეკვრიან. თვალცრემლიანი შესცქერიან საყვარელ მასწავლებელს. გამგეც აქ არის, მზეხაც, ნიკიფორეც და გერასიმეც. გერასიმე რამდენჯერმე გამოეთხოვა და ყურში ჩასჩურჩულა:

— დაპირება არ დაგავიწყდეს.

ნატარებელი მოვიდა. მოწაფეებმა ტირილი მორთეს. ელისაბედის გამოთხოვებამ მგზავრების ყურადღება მიიპყრო. ელისაბედს ყვავილები ორივე ხელებით მკერდზე ჰქონდა მიკრული. მეორე კლასის რონოდა კუპეებად არ იყო დაყოფილი. ერთი მგზავრი დიდ დახმარებას უწევდა ელისაბედს.

— აქ დაბრძანდით, ქალბატონო! მეც მასწავლებელი გახლავარ. დიდათ მოხარული ვარ საუკეთესო მასწავლებლის ხილვით. ასეთი მხურვალე გამოთხოვება დიდი ჯილდოა მასწავლებლისათვის. აქ დაბრძანდით, ქალბატონო!—მიუთითა ადგილზე,— დიდი სიამოვნებით დაგითმობდით ზედა ადგილს, მაგრამ, სამწუხაროდ, საჩქარო საქმეზე მივდივარ თბილისში და ხვალვე უნდა გამოვბრუნდე. უნდა დავისვენო.

— ნუ სწუხართ, ბატონო, გმადლობთ!

— ეს დალოცვილი თავის ადგილს არ უთმობს და სხვისა ადგილზე ეპატიჟება,—ჩაილაპარაკა ერთმა მგზავრმა,—დაბრძანდით აქეთ, ფანჯარასთან, ქალბატონო!—ხმა მაღლა შესთავაზა ელისაბედს და ფანჯარასთან დაუთმო ადგილი.

ყველანი სცდილობდნენ პატივი ეცათ ელისაბედისთვის

— საერთოდ დედაკაცის ნების ყოფა არა მრწამს. დედაკაცი მაიმუნივით მიმბაძველია. მაგრამ არიან გამონაკლისებიც. იშვიათად, მაგრამ არიან. ეს გამონაკლისის ხვედრი თქვენზე მოვლენილა, ქალბატონო! უკაცრავად, თქვენი სახელი—დაეკითხა მასწავლებელი.

— რად გესაჭიროებათ, ბატონო?

— ოჰო! ქალისათვის უჩვეულო ამაყობაც დაგყოლიათ? არაფრად არ მესაჭიროება, ისეთ ადამიანთან არა გაქვთ საქმე, უკაცრავად! მგზავრობა მოსაბეზრებელი რამ არის, მეტადრე ამ დროში, ბაასში უნდა გავერთოთ. მე, სხვათა შორის, ფილოსოფიის მოყვარული გახლავართ. საზოგადო მოღვაწეც. ამიტომ ყოველივე შემთხვევით ვსარგებლობ და დროს ცუდათ არ ვაცდენ. ქალის საკითხით დიდათ ვარ დაინტერესებული. ეს კაცობრიობის ნაწილი დიდ დაბრკოლებად ეღობება წინმსვლელობას. რასაკვირველია, ეს აზრი თქვენ არ შეგეხებათ...

— თქვენი ბილეთი?—გააწყვეტინა კონტროლმა. ყველამ ბილეთები მოამზადეს.

— თქვენ, ქალბატონო, აქ შეწუხდებით. მოსასვენებელი ადგილი არა გაქვთ. ჩვენი მოხელის მეუღლე ბრძანებულხართ და პატივი უნდა გცეთ. ასეთია ჩვენი წესი. წაიყვანეთ ჩემს კუპეში!—უბრძანა კონდუქტორს...

— წამობრძანდით, ქალბატონო! ბარგს მე გადმოგიტანთ.

ელისაბედი წამოდგა და გაჰყვა კონდუქტორს.

— ეს ძაღლი ვისია? აქ ძაღლი არ შეიძლება,—გაუკვირდა კონდუქტორი.

ელისაბედი გაოცდა. როგორ შემოძვრა რონოდაში [illegible] ეარავის არ შეუმჩნევია. შეძვრა სკამს ქვეშ და იწვა განაბული. ეხლაც უნდოდა შეუმჩნეველად გაჭყოლოდა ელისაბედს.

— ძაღლი ჩემია, ბატონო! თუ საჭიროა ბილეთს ვიყიდი.

— თქვენია ძაღლი?—ბოდიშის კილოთი დაეკითხა კონდუქტორი,—არაფერია, წამოვიდეს თქვენთან, კონტროლის კუპეში შეიძლება.

ელისაბედს ისე გაუხარდა ასეთი ლმობიერება, რომ უნდოდა მხურვალე მადლობა ეთქვა კეთილი კაცისათვის.

— გმადლობთ! მხოლოდ ეს უთხრა.

ელისაბედი მშვენიერად მოთავსდა ცალკე საწოლზე და წამოწვა. მეცხალა საწოლ ქვეშ შეძვრა. სხვა არავინ იყო კუპეში...

შემოვიდა შეჭალარავებული კონტროლი, ელისაბედი წამოჯდა საწოლზე.

— ბრძანდებოდეთ, ქალბატონო! ბრძანდებოდეთ! რა საჭიროა მორიდება? მატარებელში ზოგიერთი ზრდილობები უნდა დავივიწყოთ. აქ სხვანაირად არ შეიძლება. აი მეც ვწვები მოურიდებლად. ბოდიშსაც არ ვითხოვ.

— წმინდა სკოლა, მომავალი თაობის გონების ეკლესიაც შელახეს თავისი ბინძური ფეხებით დედაკაცებმა,—ცხარობდა მასწავლებელი,—წარმოიდგინეთ! სახეზედაც არ შეუხედავს ვინ არის, როგორია; პირველსავე თქმაზე წამოიჭრა და საროსკიპოდ ეახლა. ოჰ!—ოხრავდა, იტანჯებოდა მასწავლებელი.—ღმერთო მაღალო! რა დაგიშავეთ, რომ ასეთი სატანჯველი გაგვიჩინე?! წარმოიდგინეთ, ბატონებო, მაქს შტინერსაც, ფილოსოფიის მამამთავარს, ვერ მიუხვდა დიაცი და თავი მიანება... ქალებო! ქალებო! ნუ თუ არა გრძნობთ, როგორ შეგვიხუთეთ სული! რას ვამბობ? რა უნდა იგრძნონ მათმა, ვნებათა ღელვით გამოტენილმა თავებმა.

— ჩვენი ბრალიც არის! არ უნდა ავყვეთ ქალის ჭკუას,—ჩაურია ძაძის ჩოხიანმა მგზავრმა. ჩოხა-ღილების მაგივრად წავი ჩორტებით ჰქონდა შეკრული, ქამარიც და მასრებიც ძაძით ჰქონდა გადაკრული.—სოფელში მინდოდა გამეგზავნა ჩემი ცოლი. ამიხირდა, ექიმმა მირჩია, სოხუმში უნდა წავიდეო! ვერაფერი ვერ შევასმინე! იმდენი ფული დამეხარჯა და აი,—სამგლოვიარო ჩოხის კალთებზე უჩვენა,—ოთხი თავმომწევნო ბავშვიც თავის სამტვრევად გამიხადა.

— სადგური სამტრედია! ფოთში გადასაჯდომი!—დაიძახა კონდუქტორმა. სამი მგზავრი გავიდა განყოფილებიდან. მასწავლებელი ფანჯარასთან ოხრავდა.

— თქვენ არ შეგცივდეთ, ქალბატონო!—ეზრუნველობით სთქვა კონტროლმა.

— სრულებით არა ვგრძნობ სიცივეს. მცხელა კიდეეაც.

— გცხელათ?

კონტროლი სწრაფად წამოდგა. ფანჯარა ჩამოუშვა.

— მობრძანდით ფანჯარასთან, გაგრილდებით!

— ნუ სწუხართ, ბატონო! არც ისე მცხელა. გმადლობთ, შვენიერადა ვარ.

— რა შშვენიერი ბუნებაა! რა ლამაზია ეს პატარა საქართველო!

— გეოგრაფიულად და ბუნებით ძლიერ ლამაზია,—[illegible] ელისაბედი.

— კინალამ არ დავიღუპეთ!—დაიყვირა კონტროლმა[illegible]

— რა მოხდა?!.. წამოიჭრა ელისაბედი და ფანჯარას მიადგა.

— ხედავთ იმ ხარს? რა დაუდევრები არიან ჩვენი გლეხები! ბეწვი ღა დააკლდა. კიდევაც დაგვლუპავდა, მატარებელს გადასჩეხავდა და მარჩენელ ხარსაც დაჰკარგამდა. მერე იცით, რომ პატრონი ვერც კი გამოჩნდებოდა, ხოციოთაც ვერ ისარგებლებდა.

— რატომ?—გაიკვირვა ელისაბედმა.

— თქვენ შეგცივდათ. ქარი ჰქრის,—კონტროლმა პალტო ჩამოიღო, თვითონაც მოისხა, ელისაბედსაც მოასხა.

— გმადლობთ. არა მცივა,—ელისაბედმა პალტო კონტროლს შეატოვა და საწოლზე ჩამოჯდა.

— თქვენ დაწექით და პალტოც დაიხურეთ. გამოუცდელი ბრძანდებით მგზავრობაში. მატარებელში ადვილად შეიძლება გაცივება... დაწექით, დაწექით!—ელისაბედს ხელი მოსჭიდა და თითქმის ძალად დააწვინა, პალტოც დაახურა,—აი ასე. მე დამიჯერეთ!—ელისაბედს გვერდით მოუჯდა.

კონტროლი ცუდათ გრძნობს თავს. ხმაც შეეცვალა. ხელებს ატოკებს, შუბლს ისრესავს, პალტოს უსწორებს. ელისაბედი ვერ გამორკვეულა, რატომ ჩენს ეს უცხო კაცი ამოდენა მზრუნველობას.

— ამ მხრიდან ქარი ჰქრის, ცოტა მიიწიეთ. მე აგეფარებით,—წამოწვა ელისაბედის გვერდით.

ელისაბედი შეშინდა. ეხლა კი მიუხვდა კონტროლის კეთილ განზრახვებს.

— გამიშვით! გთხოვთ თქვენს ადგილზე მიბრძანდეთ!

— არა უშავს რა, არა უშავს რა! მოვთავსდებით. ვინ გაიგებს? აქ არავინ შემოვა,—სხაპა-სხაპით ამბობდა კონტროლი და თან სცდილობდა ელისაბედი დაეწვინა.

— გთხოვთ, გამიშვით!

— აქ არავინ შემოვა... ეს კუპე ჩემი საკუთრებაა,—ლულლულებდა კონტროლი.

ელისაბედმა ღონე მოიკრიფა, ხელი ჰკრა და იატაკზე გადმოაგდო. თვითონაც სწრაფად ფეხზე დადგა. კონტროლმა გონება დაჰკარგა, ელისაბედს ხელი მოჰხვია, სცდილობდა საწოლზე წაექცია. ელისაბედს ღონე გამოელია...

— ვაიმე!—დაიღრიალა კონტროლმა,—დამჭამა ძაღლმა!

მერცხალა მაგრა დასჭიდებოდა მარჯვენა ფეხის კუნთში.

ელისაბედმა დრო იშოვნა და გამოვარდა კუპედან. მერცხალა თან გამოჰყვა.

— უეჭველად უნდა გავიგო მაგ ქალბატონის მისამართი. ვინ იცის რა პატიოსან კაცს უხვევს თვალებს, ბაგისთანა საძაგლობა არ უნდა დაიფაროს... არ შეიძლება...

მასწავლებელს სიტყვა პირში შერჩა.

ელისაბედი შეშლილივით მიიჭრა და სასოწარკვეთილი დაეცა სკამზე. მასწავლებლის აღშფოთებას საზღვარი არა ჰქონდა.

— წაბილწა ოჯახი, მოიკლა ქინი და მართალსავით უკანვე დაბრუნდა.— გაიფიქრა მასწავლებელმა ხიხლით.

ელისაბედს სული ეხუთებოდა. ჰაერი არა ჰყოფნიდა. ვერ მოითმინა:

— უკაცრავად, მომეცით ნება ფანჯარასთან მივიდე.

ფანჯარასთან მივიდა და ოდნავი ხელის შეხებით ანიშნა მასწავლებელს, რომ ადგილი დაეთმო. მოინდომა ფანჯრის გაღება, მაგრამ ვერ გააღო.

— როსკიპი!—ფიქრობდა მასწავლებელი,—უნამუსო დედაკაცი!

— გთხოვთ, გააღოთ ფანჯარა!

— აქ ფანჯრის გაღება შეუძლებელია!—გადმოსძახა ვიღაცამ.

— მაშ რა ვქნა, ვერა ვსუნთქავ, ჰაერი არა მყოფნის!

მასწავლებელს შეებრალა ქალი: კაცის გული ხომ ქვა არ არის!

— წამობრძანდით დერეფანში იქ გაგიღებთ ფანჯარას.

ელისაბედი გაჰყვა, მასწავლებელმა ფანჯარა გააღო და წამოსვლა დააპირა.

— გთხოვთ, მარტო ნუ დამტოვებთ! იყავით ჩემთან!—შეევედრა ელისაბედი.

— გაუმაძღარი დიაცი!—წყრომით გაიფიქრა მასწავლებელმა.

ელისაბედის გაფითრებულ სახეს კაშკაშა მთვარე ვერცხლის ფერსა ჰფენდა. ტუჩები ნერვიულად უთამაშებდა.

— მაცდურებო! რატომა ხართ ასე ლამაზები?—გაიფიქრა მასწავლებელმა, ელისაბედს მიუახლოვდა და ხელზე მოჰკიდა ხელი ელისაბედმა მეორე ხელი მოუჭირა მასწავლებელს.

— რა კარგია! რა კეთილი ყოფილხართ! გმადლობთ! ხომ არ მომშორდებით მთელ ღამეს?

რონოდიდან რონოდაში გასასვლელი კარი გაიღო. ელისაბედი შეკრთა. მასწავლებელს მაგრა მიეკრა.

— რა მშვენიერი სახე გქონიათ, ქალბატონო! რბილი თმები!—მასწავლებელმა თმები გაუსწორა ელისაბედს,—როგორ გიკრთით მთელი ტანი! რა მშვენიერია სიცოცხლის ძლავრი ძახილი!—უსწორებდა, მთრთოლვარე ხელებით თმებს და ტანსაც შეეხო.

— დიდათ გმადლობთ მეგობრულ დახმარებისათვის. მეტი არ მინდა, წავიდეთ რონოდაში.

მასწავლებელი დაიბნა.

— ვიყოთ, აქ მშვენიერი ბუნებაა!—და ელისაბედი მკერდზე მიიზიდა,—აქ არავინ არ გამოიცლის, ყველას სძინავს.

— წავიდეთ, წაკიდეთ! აქ ცივა! გმადლობთ! მეტი არ მინდა აქ ყოფნა!— ელისაბედი შემოუტრიალდა ხელში და გაუსხლტა. რონოდაში შებარბაცდა სასოწარკვეთილი. დაეშვა სკამზე...

მასწავლებელი ნახევარი ტანით ფანჯარაში გადიზნიქა. ნიავმა შეგება მის ცა, შუბლი გაუგრილა.

ეარეენული

ეხლა, ტლანქ ხორცს ეძებენ. განათლებულ კაცის ... გაურ-ბიან.—ოჰ, დიაცნო! რა ცბიერებით ეწევით კაცობრიობას პირუტყვობისაკენ,— წაიბუტბუტა და დასასვენებლად წავიდა: ხვალ საღამოს უკანვე უნდა დაბ-რუნდეს.

* * *

— ქალბატონო, წამობრძანდით სადგურში!

ელისაბედმა თვალი გაახილა. გათენებულიყო. თავთ ქანდარმი ედგა.

— წამობრძანდით სადგურში! ოქმი უნდა შეკაყენოთ—გაუმეორა ქან-დარმმა.

— მე არსად არ წამოვალ. რაც გინდათ ის შეადგინეთ,—გაჯიუტდა ელი-საბედი.

— თქვენ პასუხს აგებთ, ქალბატონო, კანონიერებისათვის. გაფრთხილებთ!

— რა ამბავია რომ ძილს არ გვანებებთ?—წამოიძახა ზევიდან მასწავლე-ბელმა,— საკვირველია, ღმერთმანი! პატიოსან კაცს მგზავრობა არ შეუძლიან!— და თავზე კოკარდიანი ქუდი დაიხურა.

— უკაცრავად, ბატონო! სამსახურის მოვალეობა მაიძულებს. თქვენი პი-რადობის საბუთი, ქალბატონო?

ელისაბედმა რკინის გზის მოსამსახურის უფასო ბილეთი გადასცა.

მასწავლებელს სამხედრო სალამი მისცა ქანდარმმა, ელისაბედს ბილეთი გამოართვა და გავიდა.

თბილისის სადგურზე ელისაბედს შეხვდა რევაზი, სამუშაო ტანისამოსში გამოწყობილი.

რევაზს ყველა იცნობდა რკინის გზაში, თვალში რომ ჩაეარდნოდა ამხა-ნაგებს, ხელს არ მოისვამდნენ. პარტიის სული და გული—რევაზი ორგანიზა-ტორიც, პროპაგანდისტიც და აგიტატორიც იყო.

— გამარჯვება, დათიკო!—მიესალმა კონდუქტორს რევაზი,— შენც აქა ხარ სანდრო? შვებულებიდან ბრუნდები?—დაეკითხა მეისრე ივანეს და სხვა ნაცნობებსაც მიესალმა.

ელისაბედის დანახვაზე რაღაც უხერხული სიამოვნება იგრძნო. კინაღამ თავმოყვარეობა არ დაავიწყდა და ელისაბედს არ აკოცა! თავი შეიკავა, გრძნო-ბას სძლია. ელისაბედს მისალმების ნიშნად მკლავზე ხელი მოჰკიდა.

— სად არის ნივთები?—ჩქარობდა რევაზი,—არაფერი დაგრჩეს. ხომ არ დაჰკარგე რამე?

— მგონია ყველაფერი იქ უნდა იყოს,—ამოოხვრით სთქვა ელისაბედმა.

ელისაბედი მორცხვად ათვალიერებდა რევაზს: როგორ შეენოდა რევაზის წვერ-ულვაშს-ფერით შეხამებული ვარაყიანი ხმალ-ხანჯალი; წელში გადაჭერი-

ლი ისეთივე ბაბარი ატანადებდა რევაზს. ფეხებზე კოხტად მოყვანილი მესტები... ეხლა კი! ფბრალო ჩექმები, სელის შალვარი და უქამრო ხალათი!

— წამობრძანდით სამმართველოში, ქალბატონო! ოქმი უფროსს წარვუდგინე. თქვენი მისამართია საჭირო. ოქმსაც ხელი უნდა მოაწეროთ.

— რაშია საქმე?—გაოცებული დაეკითხა რევაზი ქანდარმს.

— ამ პიროვნებას ძალლი შეუყვანია რონოდაში [illegible] და უბილეთოდ. კონტროლისათვის, წარმოიდგინეთ, თვით კონტროლისათვის ფეხის კუნთი მოუგლეჯია!

— რა ძალლია, ბოშო?!—განცვიფრებული და გულმოსული დაეკითხა რევაზი ელისაბედს და გარშემო მიმოიხედა.

მერცხალა რონოდის ქვეშ შემძვრალიყო და შეშინებული გამოიცქირებოდა.

— გონება ხომ არ დაკარგე, ქალო?! რაზე წამოგაირევიხა ეს ძუნკალი?—ისარგებლა რევაზმა ქანდარმის მიერ ქართულის არ ცოდნით: —ეს პიროვნება ჩემი მეულლე გახლავთ. პირველად ვხედავ მაგ ძალლს. არც კი ვიცი ვისია,—მხრების აწევით გაიკვირვა რევაზმა,—ჩემი მისამართი თუ გნებავთ, მოგართმევთ.

ჯიბიდან ქაღალდი ამოიღო და მისამართი დასწერა.

— ინებეთ, ბ. ქანდარმო!

მერცხალა კარგა მოშორებით მისდევდა ეტლს. გზა აერია და ელისაბედი თვალიდან დაეკარგა.

— ბიძაშენს გამოართვი ფული?—დაეკითხა რევაზი, როცა ოთახში შევიდნენ. თავჩაღუნული ელისაბედი სიკვდილ მისჯილივით შეჰყვა რევაზს. მისი ფიქრი მერცხალასთან იყო:

„უპატრონოდ დავტოვე! უკანასკნელი მეგობარი დავკარგე“!

მეორე სართული. საშუალო სიდიდის ოთახი. ერთი ხის ტახტი და ზედ დაბალი ლირსების ლოგინი. ცალიერი კედლები, ორი ფანჯარა, სამი გრეხილი სკამი და უბრალო მაგიდა.

ელისაბედი ერთ ადგილზე იდგა გარინდებული. ფიქრებმა წაიღეს: ვინ არის რევაზი? ასე მკაცრად რად ელაპარაკება? შემდეგშიაც ასეთი იქნება? არც რევაზი გრძნობს კარგად თავს. უხერხულად ფუსფუსებს ოთახში. ხან სკამს გადასდგამს ერთი ადგილიდან მეორეზე, ხან ფანჯარას გააღებს და ისევ დახურავს.

უცებ მოტრიალდა და ცოლთან მივიდა.

— რატომ არ დაჯდები?

უხეშად ქუდი მოიხადა. კარგა ხანს ატრიალა ხელში, თითქოს დასადები ადგილი ვერ იპოვნა.

— როგორ იმგზავრე? ბიძა შენს რატომ არ გამოართვი ფული?—სხაპასხუპით წამოიძახა რევაზმა, თან აღელვებული ხელებს იფშვნეტდა და ოთახში გამალებით დადიოდა. რამდენჯერმე მიუახლოვდა ცოლს, ხელები გასწია, უნ-

დოდა ელისაბედისათვის შეეხო,—ვერ მოახერხა. პირველად იყო მის ოთახში ქალი.

— რა ჭკუაში მოგივიდა ძუნკალი ძაღლის წამოყვანა?—მის დაუნებლიედ კიდეე წამოიძახა რევაზმა და სასოწარკვეთილი დაეცა სკამზე. ელისაბედი შეკრთა ხმაურობაზე და რევაზს მიხედა, კანკალმა აიტანა. ცრემლები ლაპარუპით სცვიოდა იატაკზე. რევაზი წამოდგა, მიუახლოვდა ელისაბედს, მკლავში ხელი მოჰკიდა—ისევ გაუშვა. კვლავ რამდენჯერმე მიბრუნდა. უცებ მოხვია ხელი და საწოლისაკენ წარიტაცა, თან ლუღლუღებდა:

— შენ გცივა, დაღლილი ხარ! დაწოლა გჭირია და დასვენება. აი როგორა კანკალებ!

საბანი გადახურა და თვითონაც გვერდით მიუწვა. მძლავრად მკლავებში ჩაიბლუჯა:

ისევ მწუხარების კვნესა, შეურაცყოფის გრძნობა. ცრემლები...

— დაღლილი ხარ, ეხლა დაიძინე! მეც დავიძინებ. დღეს საღამოს სამსახურში ვარ გასასვლელი,—მხრუნველობით ჩაილაპარაკა რევაზმა. ხელები გაშოლტა მორჩილებით და თვალები დახუჭა. დაღლილი იყო რევაზი მთელი ღამის უძინარი და ამიტომ მალე ჩაეძინა.

ელისაბედი ლოგინზე წამოჯდა და კედელს მიეყრდნო. ცალი მუშტი ლოყაზე მიიბჯინა და რევაზს დააცქერდა.

სძინავს რევაზს. ცვივრით ჩასუნთქულ ჰაერს ტუჩების მარცხენა კუნჭულიდან სტვენით უშვებს.

— იჩქარე, სანდრო! ის ძაღლები მოგვისწრობენ!—წამოაბოდა. წინა ღამის ამბებს ხედავდა სიზმარში:

საღამოს რვა საათია. ოთახში ქოშინით შემოიჭრა სანდრო.

— ვუშველოთ, რევაზ, წიგნთსაცავს! ჟანდარმებს მიუგვნიათ და ამაღამ პირველ საათზე აპირებენ დაცემას,—ძლივს წამოიძახა სანდრომ და სკამზე დაეშვა ულოსოდ.

— რევაზს თავხარი დაეცა. როგორი ვაივაგლახით მოაწყვეს მთავარი წიგნთსაცავი მთაწმინდის წყლის სადენის აუზში. აუზის ზედამხედველად თავისი კაცის დანიშვნა მოახერხეს. აუზში ხუთი ვარცლი ჩაუშვეს ნავებივით. შიგ წიგნები ჩაალაგეს. მთელი წელიწადი საქმე მშვენივრად მიდიოდა. წიგნთსაცავი წითელ ნაპერწკლებს აფრქვევდა. ორი თვის წინ პატარა სტამბაც მოაწყვეს აუზის წინა ოთახში, სადაც წყლის მისაღებ-გასაშვები სარქველები იყო. კედელი გამოანგრიეს, კლდე გამოტეხეს. სიმწრის ოფლში იწურება მძინარე რევაზი, რომ აგონდება რა გაჭირვებით სტეხავდნენ კლდეს პატარა ნამცეცებად სატეხით და წერაქვით ის და მისი ამხანაგები. როგორც იყო დაამთავრეს. სტამბა მოაწყვეს. კედელი ამოაშენეს და შუა ოთახიდან კედლის ქვეშ გასაძრომი ხვრელი გააკეთეს.

რევაზს ელდა ეცა. ნუ თუ ეს ორი სანუკვარი დაწესებულება და ისიც ასეთ საიმედო ადგილზე უნდა დაიღუპოს?

რევაზს წარმოუდგა მთელი ხროვა ჯაშუშებისა. მძინარემ ორივე მუშტი გაიშვირა მათკენ.

ელისაბედმა სახე მოარიდა.

მიეშურება მთაწმინდისაკენ. „ნუ თუ ვერ დავასწრებთ იმ ძალლებს“?— ბუტბუტებს სულშეხუთული.

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

თავდავიწყებით გადაეშვა რევაზი აუზში. მისი ბედნიერებისა ცოტა იყო. წელამდის წვდებოდა. ხუთივე ვარცლი დასცალეს. დროებით იქვე ახლო სასაფლაოზე დაალაგეს. მკვდრებს გაანდვეს ნამუსი.

ის იყო უკანასკნელი მგზავრობა გააკეთეს, ჟანდარმები თავისი განთქმული როტმისტრი დაფნიშვილის ხელმძღვანელობით შეცვივდნენ აუზში.

ჩვენსაკით ოლად ვერ გამოვლენ!—ნიშნისგებით ჩაილაპარაკა რევაზმა.

— შენ კარგი აზრი მოგივიდა რევაზ, წყლის ჩასაშვები სარქველი რომ გახსენი! ეხლა აუზი სავსე იქნება წყლით. ჩვენს მეგობარს დაფნიშვილს ცივ წყალში ბანაობა მოუხდება,—ღიმილით გაეხუმრა სანდრო.

გათენებისას ჟანდარმებმა მხოლოდ ცარიელი ვარცლები წაიღეს ეტლებით.

წიგნები საიმედო ადგილზე შეინახეს.

რევაზმა სახლში შეირბინა, პირის დაბანა მოასწრო და სადგურზე გაეშურა ელისაბედის შესახვედრად.

ელისაბედმაც ვერ აიტანა უძილობა. თვალებზე ლული გადაეკრა, ნელ-ნელა გადიხარა და მძინარე დაეშვა ბალიშის მიღმა...

— კარებს მაინც ჩაიკეტავდით, თქვე ოჯახ ქორებო!

რევაზი წამოიჭრა ლოგინიდან.

— შენა ხარ სანდრო?—მძლავრად გაიზმორა,—რა დროა, ნეტა?

— რა დროა და ოთხი,—საყვედურის კილოთი სთქვა სანდრომ.

— კარგი, რომ გაგვალვიძე. ელისაბედ ადექი! ჩემს უგულითადეს ამხანაგს გაგაცნობ, ჯერ კი მეორე ოთახში გავიდეთ, სანდრო!

— რას აწუხებ, კაცო! დაღლილი იქნება ნამგზავრი. ნუ სწუხდებით, ქალბატონო! ბრძანდებოდეთ, ბრძანდებოდეთ!

სანდრო მივიდა ელისაბედთან და ხელი ჩამოართვა.

— რევაზის ყოველივე ჭირვარამის მოზიარე ამხანაგი გახლავარ! ცოლი რომ შეირთო ვერ ვუწონებ, მაგრამ ეხლა გვიანღაა. რაც მოხდა, მოხდა! როგორც რევაზმა მითხრა, თქვენ შეგნებული ქალი ყოფილხართ და, უეჭველია, ჩვენს საერთო საქმეში ჩაებმებით. არა გვყავს შეგნებული ქალები!—ამოოხერით დაუმატა სანდრომ,—მაშ ეხლა გემშვიდობებით. მეჩქარება. შენ იცი, რევაზი რა ცოტა დროს მოანდომებ პირად, ცოლ-ქმრულ ბედნიერებას და საქვეყნო ბედნიერების სამსახურს არ მოადუნებ.

* * *

შეიძინეს კიდევ ხუთიოდე გრეხილი სკამი, სასადილო მაგიდა, სამზარეულოს მოწყობილება, ფარდები და სხვა წვრილმანი.

კითხულობს ელისაბედი რომანებს, ამზადებს სადილ-ვახშამს.

რევაზი მოუცლელია: დადის სამსახურში, მუშაობს პარტიაში.

რევაზთან მოდიან ამხანაგები, მსჯელობენ, ცხარობენ.

ნიკიფორემ, მიუხედავად წვრილებისა და მოციქულებისა, ფული არ გამეგზავნა.

ეროვნული

გერასიმე თფილისშია. ასრულებს რევაზის სხვადასხვა [illegible] პარტიაში. პარტიული მუშაობის მას არაფერი გაეგება. რევაზი ელისაბედის ქმარია, ელისაბედი კი მისი საყვარელი დაა; გარდა ამისა გერასიმე რევაზის ოჯახში სცხოვრობს, მის პურ-მარილზეა. და განა შეუძლია რევაზის ხათრი არა ჰქონდეს, მის დავალებებს პირნათლად არ ასრულებდეს?!.

ძნელად ერთხელ დარჩა გერასიმე უკბაყოფილო რევაზით. პოლიტიკურებს ასახლებდნენ რუსეთში. გასაცილებლად ბევრნი მივიდნენ სადგურზე. გერასიმეც წაიყვანა რევაზმა.

მესამე ზარი ჩამოჰკრეს. რევაზმა გასცა ბრძანება, რომ ყველანი ლიანდაგზე გასულიყვნენ და ორთქლმავალისათვის გზა გადაეღობათ.

ზოგი ლიანდაგზე ჩამოჯდა, ზოგი გაწვა, ზოგი ფეხზე იდგა. გერასიმეს ორთქლმავალთან მოუწია დგომა.

მოცვივდნენ ჟანდარმები, უბრძანეს ხალხს დაეცალათ ლიანდაგი. ადგილიდან არავინ იძროდა.

ქარქაშები და შიშველი ხმლების ყუებიც იხმარეს. რამდენიმეს დაჭერაც მოინდომეს; ხალხმა არ დაანება.

გერასიმე განზე მდგომ რევაზს უცქეროდა და ვერ მიმხვდარიყო, რატომ ისიც არ გამოდიოდა ლიანდაგზე.

— არ დაიძრათ ლიანდაგიდან!—ბრძანა რევაზმა.

მოიქანცნენ ჟანდარმები. .როტმისტრი ავარდა მემანქანესთან, უბრძანა ცხელი ორთქლის გაშვება. მემანქანემ რაღაცა მოიმიზეზა.., მეორე მემანქანე მოიყვანეს.

მდუღარე ორთქლმა გზა გაიკაფა. ხალხი გაიფანტა. მატარებელი დაიძრა.

— რატომ შენ არ გამოხვედი ლიანდაგზე?—დაეკითხა მკაცრად გერასიმე რევაზს.

— ჯარის კაცები ბევრია, სარდლები კი ცოტაა—მოკლედ მოუჭრა რევაზმა.

ელისაბედი და გერასიმე დამეგობრდნენ. წიგნების კითხვას აძალებდა ელისაბედი.

— დადგეს გერასიმე რაიმე ადგილზე, ყოველთვის ხომ ცუდათ არ იყლის,—ჩამოუგდო ლაპარაკი ელისაბედმა რევაზს.

— რად უნდა სამსახური? განა აკლია რამე ჩვენთან?—საყვედურით უპასუხა რევაზმა,—ხვალ სოფელში წავიდეს. ფული გამოგვიგზავნოს მამა მისმა: შენ წერილი მისწერე; ამასთანავე მოსამსახურე გოგო ჩამოგვიყვანოს: ასე თორმეტი—ცამეტი წლის... გამოთვლილი ხომ არა გაქვს, როდის უნდა დალოგინდე?

ელისაბედი გაწითლდა, თავი ჩაღუნა; ეხამუშა შეკითხვა.

— შენ თუ არ იცი, მაშ მე ხომ არ მეცოდინება!—გაჯავრდა რევაზი. შეიძლება სახლშიაც არ ვიყო იმ დროს; რომ რამე დაგემართოს, ჩემი ბრალი არ იქნება, იცოდე!— ქუდი დაიხურა და საქმეზე წავიდა.

ელისაბედი გერასიმეს ემუდარებოდა:

— შენ გენაცვალე, მარტო ნუ დამტოვებ! ვგრძნობ, ცუდი ამ გადავრჩები.

* * *

თეთრი კედლები, თეთრი საბანი, თეთრი მაგიდები.

ელისაბედის საწოლთან თეთრ-წვერ-ულვაშიანი ექიმი დგას თეთრი ხალათით, ასეთივე ფაფანაკით და ძუძუს უსინჯავს.

— გტკივათ, ქალბატონო?

— არა... ოხ!

— საკვირველია, თუ არა გტკივათ შაშ რად შეკრთით?

— არ ვიცი!— მიბნედილი ხმით უპასუხებს ელისაბედი.

— მოიყვანეთ ბავშვი! ვსინჯოთ. გასცა ბრძანება ექიმმა.

ბავშვი ელისაბედს მკლავზე დაუწვინა და თავისი ხელით ჩაუდო პირში ძუძუს დოვილი.

ელისაბედი ირთის, ბორგავს, იკლაკნება, თითქო მთელ ტანში ლურსმებს უყრიან. მუცლის კანი დაეჭიმა.

— მოითმინეთ, მოითმინეთ! შეეჩვევით!—აჯერებდა ექიმი და ბავშვის თავს იჭერდა,—ეხლა?

შეუსმენელი იყო ელისაბედისათვის ეს გრძნობა. არ იცოდა რა იპასუხნა. ტანის კანი დაუსკდა, სისხლიდან იცლება. ცივი ოფლი ტანს უყინავს, ენა გაუშრა, ბაგეები ერთი მეორეს დაეფისა.

ძალა მოიკრიბა, დაიკლაკნა და ბავშვი ძუძუდან მოიგლიჯა. ტირილი აუტყდა, ცრემლები შეაშრა,—იკინის.

— ბრომი!— ბრძანა ექიმმა. საკვირველი მოვლენაა,—მხრების აწევით სთქვა ექიმმა და თეთრ ხალათიანებს თვალი შემოაკლო.

ცოვმა სასმელმა პირი მოულბო ელისაბედს, ოფლი შეაშრა. ჩაეძინა.

— ასეთი იშვიათი მოვლენა უნდა გავაშუქოთ ლიტერატურაში,—დინჯად დაასკვნა ექიმმა,—მეხუთეში ჯერ არ გადაცვლილა?—დაეკითხა მორიგ ექიმს და გავიდნენ.

მეზობლის ბავშვმა დაიჭყივლა. ტიტველი ხელი გადმოეგდო. გაშლილი ხელის გული გამოეშვირა. მეორე ბავშვმაც **დაიღრიალა**. ორივე მუშტებით ვილაცას ემუქრებოდა.

გარედ ქარი ჰქრის; გზაში გადაელობა გაღებული ფანჯარა, მაგრად მოახეთქა ჩარჩოს და თავისი სვლა განაგრძო.

ელისაბედს ძილი დაუფრთხა. თვალი გაახილა და პირმშოს გადახედა— მომეცით ბავშვი!—ოდნავ ჩაიჩურჩულა.

მოსამსახურე ქალმა ბავში მიაწოდა.

ელისაბედმა ბავში მკერდში ჩაიკრა. სახეზე ხელს უცაცუნებს.

— ჩემი შვილი! ჩემი ბიჭიკო! ჩემი იმედი! ჩემი მშვენიერი!

— სინჯეთ! ეგება ეხლა მოაწოლოთ, — ურჩია მოსამსახურე ქალმა.

ელისაბედმა ძუძუს დრეილი პირში ჩაუდო აკანკალებული ხელით. ელეტრონის ტალღამ ტანი შეუკუმშა, წელი შეუზნიქა, ბავშვი ძუძუდან მოეგლიჯა.

— არ შემიძლიან! — დაიყვირა.

მეორე დილით ჭალარა ექიმი და სხვანი კვლავ გახდნენ მოწმედ ელისაბედის კლაკვნის, ბორგვის და ისტერიული სიცილ-ტირილის.

— ბრომი! — მოითხოვა ექიმმა.

ელისაბედს ჩაეძინა.

რევაზს უფროსმა ექიმმა დარიგება მისცა:

— თქვენ მეუღლეს ნერვები აქვს მოშლილი. საჭიროა ბავში ძიძას გადასცეთ. დარწმუნებული ვარ, მეორე შვილოსნობაზე ეს მოვლენები არ განმეორდება.

* * *

გერასიმემ მოჯობინებული ელისაბედი ბინაზე გადმოიყვანა.

რევაზი გზაში იყო. სამი დღე დააგვიანდა.

— ეხლა ხომ კარგად გრძნობ თავს? — მზრუნველობით დაეკითხა რევაზი.

— არა მიშავს რა, — უპასუხა წამომჯდარმა ელისაბედმა მიმქრალი ხმით.

— სანდროს ხარჯი მოუვა. ნეტავი, ხომ არა ფიქრობს, ვერცხლის ჯვრით იოლად წავიდეს? — სიცილით სთქვა რევაზმა, — შენ ხომ წინააღმდეგი არა ხარ სანდროს ნათლიობაზე?

— როგორც შენ გინდა, — ჩუმის ხმით დაეთანხმა ელისაბედი.

— უმაღლესი სასწავლებელი უნდა დავამთავრებინოთ ჩვენს შვილს, გზის ინჟენრობა ყველა ხელობას სჯობია, — იცნობობდა რევაზი.

— სახელად რა დავარქვათ?

— მამა ჩენს კოხტა ერქვა.

— მამა შენის სახელი? — ეწყინა ქმარს, მამა ჩემის სახელი მშვენიერია!

— იაგორ რევაზის-ძე! განა ცუდია? კოხტას არა სჯობია?

— სჯობია. დავარქვათ იაგორი.

რევაზმა ივახშმა.

— შენ დალიე რძე?

— ორი ჭიქა.

— გეყოფა?

— მეყოფა! მეტი არ მინდა.

რევაზმა ტანთ გაიხადა. ცოტა ხანს წყნარად იწვა, ვერ გასძლო და ელისაბედს ტანზე ხელი მოავლო.

— რას შვრები? არ შეიძლება!

რევაზი მეორე გვერდზე გადაბრუნდა, თვალები დახუჭა. ძილს უხმობდა. ჯანმრთელ მამაკაცს ტანი არ ნებდებოდა. ადგა ჯანჯარა დახურა.

— რატომ დახურე. ფანჯარა? ცხელა.

ქმარმა ფანჯარა ისევ გააღო. დაწვა...

— არ შეიძლება!

რევაზი გულაღმა დაწვა, ორივე ხელები თავქვეშ შემოიდო, ვერ მიძხვდარიყო, რა ნოუვიდა, რატომ ვერ სძლებს ერთ ადგილზე. ღრმად ამოიხვნეშა, გვერდზე გადაწვა, ცალი ხელი ცოლს გადასდო მკერდზე. ისე [illegible] ფოხვია მკლავი, რომ ელისაბედის წინააღმდეგობამ ვერ გასჭრა. მამაკაცის ტანში მძაფრად იფეთქეს ხანგრძლივად შეკავებულმა გრძნობებმა...

ელისაბედი არ იშორებდა ქმარს. პირველად იგრძნო რაღაც სურვილი. მძლავრად ჩაეყინა ქმარს კისერში.

— დავიძინოთ ესლა! და გონება დაბრუნებულმა რევაზმა ძალით გაინთავისუფლა კისერი.

მორჩილმა წყნარმა ელისაბედმა ვერ გაუბედა წინააღმდეგობა ქმარს— მკლავები გახსნა.

თითები დაეკრუნჩხა, ფეხის კუნთები გადაენასკვა, სახე მოელრიცა, მკლავზე იკბინა. უნდოდა ტკივილით თავის შეკავება, ვერ შესძლო: კანკალი აუტყდა, პირქვე ჩაემხო, ბალიშს მკლავები მოხვია... სუნთქვა შეუგუბდა. გამწარებულმა იკივლა.

შეშინდა რევაზი. ლოგინიდან წამოიჭრა, მეორე ოთახში გავარდა და გერასიმე გააღვიძა.

— მალე ექიმი!.. გერასიმე, იჩქარე!

ნეზობლები დიდ პატივსა სცემდნენ ელისაბედს უწყინარი ხასიათისათვის; ერთი მაღალი სიტყვა მისგან არავის სმენია, ყველას მასიამოვნებელი იყო. დაუკითხავად შემოიჭრნენ ოთახში, სცდილობდნენ რაიმე დახმარება გაეწიათ. წყალს ასხურებდნენ, საბანს უსწორებდნენ, ოთახს ალაგებდნენ. ყველანი მოძრაობდნენ.

— ტანთ ჩაიცვი!—ყურში ჩასჩურჩულა ერთმა კეთილმა მეზობელმა რევაზს. ელისაბედს კუნთები მოეშვა. სლოკინი აუტყდა. მოდუნდა. თვალები მინაბა. ოდნავ სუნთქვას.

— მომთვარულია!—ჩაილაპარაკა მეზობელმა ქალმა.

— სასტიკი აშლილობა აქვს ნერვებისა! ეს წამალი სამჯერ გაუმეორეთ. შემდეგ შემატყობინეთ ავადმყოფის მდგომარეობა,—ექიმმა გადასცა რეცეპტი გაშტერებულ რევაზს და წავიდა.

კეთილი ნეზობლებიც, მოვალეობა მოხდილნი, დაიშალნენ მოსასვენებლად. რევაზმა თეთრად გაათენა.

— რა მოგივიდა, გენაცვალე?—დაბალის ხმით ეკითხება ქმარი.

— არ ვიცი,—ოდნავ გასაგონად უპასუხებს ქალი.

გერასიმე მეორე ოთახში ბოლთას სცემდა. მისი ოხვრა ქუჩაში ისმოდა. სწუხდა უსიტყვოდ.

დარიგებით გაავსო რევაზმა მეორე დილით ელისაბედი და სამსახურში გაეშურა. მესამე საღამოს დაბრუნდა.

იმავე საღამოს ქუთაისში წავიდა პარტიულ ყრილობაზე. ათი დღე დაჰყო. იქ მეტად საჭირო-ბოროტო კითხვები იყო გადასაჭრელი.

დაბრუნებისას ხუთიოდე ამხანაგს დაუძახა, სამიოდე მეზობელი მოიპატიჟა და სანდროს ბაღში მოანათვლინა.

გრძელი სიტყვები წარმოსთქვეს ხმა დაწევით და ფანჯრების მეხურვით. გაათენეს ქეიფში. ღვინო სვეს, მაგრამ საშუალოდ.

რევაზმა მეგობრები ქუჩამდის მიაცილა. ჩურჩულით ადრე გამოთხოვების მეურვალე სურვილები გასცა და მიიღო.

დაღლილი ელისაბედი ლოგინში ჩაწვა. სუფრა აულაგებელი დასტოვა.

გერასიმე არ დასწრებია ნათლობას; ბაქოში ლიტერატურა წაელო.

რევაზი შემობრუნდა და გაუხდელი ჩაწვა ლოგინში.

განმეორდა ელისაბედის ტანჯვა. მეზობლების ოხვრა. წყლის პკურება.

— მომთვარა კიდეე! ჩაილაპარაკეს მეზობლებმა.

ქეიმი. ბრომი.

* * *

გერასიმე სტამბაში დაექირავა ასოდ ამწყობად. ხელობა მალე შეისწავლა. საუკეთესო ამხანაგი შეიქმნა ასოთამწყობებში. როდესაც სტამბის უფროსი ხვედრ ფულს დაუგვიანებდა მუშებს, მხრებამდე დამკლავებული გერასიმე ცხვირ წინ მუშტებს ურტყამდი საწერ მაგიდაზე და ფულებს მოითხოვდა.

ერთხელ ძალად ფეხზედაც კი გაჰხადა მესტამბეს, სანამ მუშების ხელფასი არ დაათვლევინა, შეშინებული მესტამბე ფეხშიშველი იჯდა და გუნებაში ფიქრობდა, როგორ მოეშორებინა ეს აბეზარი ადამიანი.

მას კარგად ესმოდა ხვედრი ფულის მიუცემლობა. პროცენტები გამოთელილი ჰქონდა. ისიც ესმოდა, რომ გერასიმესთან პიოდაპირ ბრძოლა არ გამოდგებოდა. საჭირო იყო სხვა მოხერხებული, გერასიმესთვის შეუმჩნეველი ოინი.

სრულებით გამოიცვალა გერასიმე. სოფლის საცეკვე და ბედოვლათობა დაივიწყა, დადინჯდა, დავაჟკაცდა. თავისუფალ დროს წიგნების კითხვას ანდომებდა. პარტიული მუშაობის შინაარსიც შეისმინა. ხშირად საიდუმლო კრებებზე ახრიანი შეკითხვებით თავმჯდომარე განცვიფრებაში მოჰყავდა.

საშაისო დღესასწაულზე შეგაირალად დაასახელეს ამხანაგებმა.

მუშების სასიხარულოდ და მთავრობის გულის სახეთქად შვიდი წუთით წითელი ბაირალი მზის სინათლეს ეთამაშებოდა. მოხერხებულად გაუსხლტა ჯაშუშებს. ყაზახების მათრახები აიცდინა და ბაირალი სამშვიდობოს მიიტანა. ხშირად კრებებზე რევაზსაც ეკამათებოდა. მას არ მოსწონდა გერასიმეს კადნიერება და მის შეკითხვებს უპასუხოდ სტოვებდა.

გერასიმე არც ელისაბედს აკლებდა ყურადღებას. გვერდით მოუჯდებოდა, წაკითხული წიგნაკების შინაარსს უამბობდა და თავის ახრსაც უხიარებდა. თავის ხელფასსაც ელისაბედის საჩუქრებს ანდომებდა.

ელისაბედიც უამბობდა მოთხრობების შინაარსს. საცვლებიც შეუკერა; ხალათიც აუქარგა.

ქმარის სახლში მოსვლა და მასთან საერთო სარეცელი შიშის ნარსა ჰგვრიდა ცოლს: კლაკვნა, კივილი. სიცილ-ტირილი... კეთილი მეზობლები.

— ექიმთან წაიყვანე, ადამიანო! ნერვების საუკეთესო ექიმი ვინ ეგონა, ურჩია ერთმა კეთილმა მეზობელმა.

რევაზი ყველაფერზე თანახმა იყო, ოღონდ ელისაბედს [illegible] ეწველებოდა რამე. გერასიმეს დაავალა ექიმთან ცოლის წაყვანა, რადგან [illegible] ბოცლა არა ჰქონდა.

* * *

— როგორა გრძნობთ თავს?

— ჩვეულებრივად, ბატონო ექიმო!

ელისაბედი თვეზე მეტია დადის ექიმთან და ელექტრონით სწამლობს. უმჯობესობა არ ეტყობა. საზარელი ღამეები გრძელდება.

— ერთი კვირა განვაგრძოთ ასე, მერე წამლობას შეგიცვლით. ენახოთ რა შედეგი ექნება,—ასეთი ნუგეშით გამოვიდა ელისაბედი ექიმის კაბინეტიდან.

დალვრემილი ტრამვაის ელოდა. მწვავე ფიქრებმა შებურეს მისი გონება.

— ინებეთ, ქალბატონო, დაბრძანდით! მე არ მეჩქარება!—დაუთმო ადგილი ელისაბედს ვილაც ვაჟმა და თვითონ ტრამვაიდან ჩამოვიდა.

— გმადლობთ!—შეუპატიჟებლად მიიღო ელისაბედმა უცნობი ახალგაზრდის თავაზი.

ელისაბედმა იცნო ვაჟი. ისიც დიდიხანია დადის ექიმთან. ერთხელ მან ექიმთან შესვლის ჯერიც დაუთმო.

მეორე დღეს, როდესაც ელისაბედი ექიმთან მივიდა, უცნობმა ბოდიშებით დაუკრა თავი. ელისაბედმაც უპასუხა და მადლობის ნიშნად გაუღიმა.

— ბოდიშს ვიხდი, ბატონებო! დღეს ავადმყოფების მიღება არ შემიძლია. ცოლი მყავს შეუძლოდ,—გამოაცხადა ექიმმა.

— რას გვალოდინებდა ეს დალოცვილი ამდენ ხანს,—ჩაილაპარაკა ვილამაც. ელისაბედი და უცნობი ტრამვაიში შემთხვევით ერთად შეხვდენ.

— თქვენ აქეთ მხარეზე სცხოვრობთ?—დაეკითხა ელისაბედი უცნობს.

— არა. მაგრამ მე მიყვარს ტრამვაით სეირნობა. გულს ვაყოლებ მარტოხელა კაცი ვარ; სახლში არ მეჩქარება...

ელისაბედი ჩამოხტა ნაზი თავის დახრით დაეშვიდობა უცნობს.

მეორე დღეს ელისაბედს მიეგება უცნობი და ხელი ჩამოართვა.

— როგორა ბრძანდებით, ქალბატონო!

— გმადლობთ არა მიშავს რა.

ელოდებოდა ელისაბედი ექიმთან შესვლას და თან უცნობს გადახედავდა: უკან გადაყრილი გრძელი ქერა თმა ჰქონდა. მაღალი შუბლი, ცისფერი პატარა თვალები. შეკრეჭილი ულვაშები და გაპარსული სახე; მარჯვენა ხელი გამუდმებით ჟილეტის საკინძე ჰქონდა მიტანილი. მარცხენა მხარა ნერვიულად ანძრევდა. ტუჩებს აცმაცუნებდა და ხან გამოშვებით ოდნავ იკვნეტდა ბაგის მარცხენა მხარეს.

როდესაც ელისაბედი გამოვიდა ექიმის სახლიდან, უცნობი მიუახლოვდა და კონვერტი გადასცა. ელისაბედი დიიბნა არ იცოდა რა ეთქვა ან რა ექნა. კონვერტი ხელში ეჭირა და ერთ ადგილზე იდგა.

— შეგიძლიათ არ მიპასუხოთ.—სთქვა უცნობმა და ჩქარებით გაწოდა ელისაბედს ისე დაუმძიმდა კონვერტი ხელში, რომ მეორე ხელიც მიაშველა. ნიდის ელისაბედი ნელი სვლით და თან ფიქრობს..

— რა სწერია?.. რა უნდა მოეწერა?.: წავიკითხო თუ არა?

ასეთი ფიქრებით სახლს მიადგა. კარები შეაღო.

რევაზი ლოგინზე იყო წამოწოლილი და ბორგავდა—

წერილი ხელიდან გაუვარდა. შეკრთა, კარებთან გაჩერდა და დამნაშავესავით განაჩენს ელოდა.

რევაზი ყურადღებას არ აქცევდა, ისე კვნესოდა თითქოს აუტანელი ტანჯვის ტკივილი ჰქონდა. არც კი გაუგია თუ ვინმე შემოვიდა ოთახში.

ელისაბედი გამოერკვა, კონვერტი აიღო და დერეფანში გავიდა, სამზარეულოში შევიდა და კონვერტი თაროზე დამხობილ თუშფალანგის ქვეშ ამოსდო. ოთახში შებრუნდა. მაგიდას ცალი ხელით დაეყრდნო და იდგა გარინდებული,

რევაზმა ღონივრათ ამოიოხრა. ელისაბედი შეკრთა

— შენა ხარ, ელისაბედ?

რევაზი წამოიჭრა და ელისაბედს მოვარდა. მუშტებს უტრიალებდა ცხვირწინ.

— რა საძაგლობაა ქვეყანაზე!.. რა ხალხთან გვაქვს საქმე! რამდენი კაცი ატარებს ადამიანის სახეს და მთელი თავისი არსებით, მხეცია!.. მაცდური! მოძმის გამყიდველი! ოჰ, რატომ არ შემიძლია ჩემი ხელით მოვახრჩო ის გამყიდველი და მისი ხორცი ასე დავჭამო,—რევაზმა მარჯვენა მუშტზე ისეთი სიმკაცრით იკბინა, რომ ტკივილით სახე მოეღრიცა.

ელისაბედი შეშინებული შესცქეროდა აღშფოთებულ ქმარს და ვერ მიხვდარიყო, ვინ იყო მხეცი, ცბიერი, მოღალატე და მაცდური.

რევაზმა რამდენჯერმე ვაიარ-გამოიარა. თმებში ხელ ჩაკიდებული ღრიალებდა:

— ჩემი ხელით მოვახრჩობ, ვაწამებ და ისე მოვახრჩობ. ოღონდ გაეგო ვინ არის მოღალატე! რა გვიყო?! როგორ გამოგვჭრა ყელი?!

ელისაბედი მიხვდა, რომ ის არ იყო რევაზის აღშფოთების მიზეზი.

— რა მოგვიდა რევაზ?—მზრუნველობით დაეკითხა ელისაბედი:

— განა შეიძლება ასეთ პირობებში მუშაობა?!—სასოწარკვეთილი დაეცა სკამზე,— შენ წარმოიდგინე! რვანი იყვნენ. მე მეცხრე ვიყავი... დღეს ხელმწიფის სახელწოდების დღეა. ვიცოდით: სასახლის წინ გამოჰფენდნენ სახელმწიფო რეგალიებს... გვინდოდა თვითმპყრობელობისათვის ზეიმი ჩაგვეშხამებინა!..— რევაზი წამოდგა და ოთახში დაიწყო რბენა,—ყველაფერი მზად იყო. საუკეთესო ყმაწვილები პუშკინის ბაღში იყვნენ ჩასაფრებულნი, ბენზინიც ბლომად მოეგროვებინა. როდესაც მოსეირნე ხალხი მოიყრიდა თავს, რეგალიებს ბენზინს ნე-

ვასხამდით და ცეცხლის ალში გავხვევდით. გერასიმეს ასანთი მზად ჰქონდა, მაგრამ...

სიტყვები ყელში გაეჩხირა. სუნთქვა გაუჭირდა.

— რა მოხდა მერე? მშვიდათ დაეკითხა ელისაბედი.

— რა მოხდა?! ჩვენს წრეში ცხრა კაცში მოლალატე აღმოჩნდა!! ხმალ შიშველი კაზაკები დაუყენეს რეგალიებს. ოფიცრები და ბელადები ულვაშ-ულვაშ-ებით ხელში დაწრწოდენ და ხალხს არ აკარებდნენ... როგორ მიხდოდა ის ხელშეუხლებელი მეფური ებლემები ლამპრად მექცია!! გაგვცეს ადამიანო; ვილაცამ ჩვენი განზრახვა ყანდარმებს აცნობა.—რევაზი მუშტებით ვილაცას დაემუქრა.—ერთხე გვაქვს ეჭვი. გერასიმე გავაყოლეთ ეგებ რამე გაიგოს.

რევაზი, მართლაც თავდადებული მუშა იყო პარტიაში.

ხუთეტი წლისა ჩამოიყვანა ნათლიამ თბილისში. დედ-მამა არ ახსოვს. სახელოსნო სასწავლებელში მისცა; ბინად ერთ ქვრივ დედაკაცთან დააყენა, სადაც ოთხი სხვა მოწაფეც იდგა.

— გაიზრდება ობოლი და საიქიოს ცხონებას შემომითვლის,—ამბობდა თავმდაბლობით თავის მეგობრებში რევაზის ნათლია, რკინის გზის კონდუქტორი.

მათთან დადიოდა დიასახლისის ერთი ნაცნობი.

მიუსხდებოდნენ ამხანაგები და მის მსჯელობას გულმოდგინეთ ყურს უგდებდნენ.

პირველად რევაზიც გულდასმით უსმენდა, მერე კი, როდესაც ქვრივის ნაცნობმა ღმერთი უდიერად მოიხსენია და წმინდა ზიარებას კომედია უწოდა, შეურაცყოფილი რევაზი გადგა განზე და მეტი არ მიჰკარებია. გაკვეთილებს მუყაითად სწავლობდა. ყველა საგნებში ხუთიანი და ოთხიანები ჰქონდა.

ერთ დღეს დიდი გარდატეხა მოხდა რევაზის სულში. ხუთი დღე ღამე, მხურვალე ლოცვებს სწირავდა გამჩენს. საათი არა ჰქონდა, ძლიერ კი უნდოდა; ნუ თუ ყოვლის შემძლებელი მის ლოცვებს არ შეიეედრებდა და დილაზე პატარა სკივრში საათს არ დაახვედრებდა?!.

ხუთი დღე ყოველ ალიონზე სკივრში იხედებოდა. საათი არ იყო.

ლოცვებს უმატა, მეტანიები გაამრავლა.

საათი მაინც არ იყო სკივრში.

ლოცულობს რევაზი. მიივიწყა გაკვეთილები.

— რა მოუვიდა ამ ყმაწვილს?!—უკვირდა მასწავლებელს,—რა დაგემართა ვერაფერზე რომ ვერ მიპასუხე?

დალონებული დაბრუნდა სახლში. იჯდა კუთხეში წიგნით ხელში.

— პირველ ყოფილ ადამიანს არ ყავდა ღმერთი და არჯ რელიგია ჰქონდა,—ესმის დიასახლისის ნაცნობის საუბარი. სცდილობს არ გაიგოს არაფერი რამდენიმეჯერ „მამაო ჩვენო“ გაიმეორა და საათზე ოცნებობდა. კიდევ ჩაესმა ყურში მოქანცულს:

— შექმნა, ზეციური ღმერთის, რომელიც ყოველის მფლობელია და ყოველის შემძლებელი,—ეს უკვე გონება დასრულებულ პოლიტიკურ მოღვაწეების

შემოქმედებაა. მათ ეს გამოიყენეს თავისი მიზნების მისაღწევად და გავლენის გასაფართოებლად.

— ღმერთს ჩვენ არ გაუჩენიხართ?! — დაიყვირა ბრაზმორეულმა რევაზმა და ზეზე წამოიჭრა, ღმერთი ყოველის შემძლებელი არ არის?! — ცალკა პარჯანა ფეხი იატაკს.

კიდევ ლაიყვირებდა რაღაცაებს, მაგრამ ცრემლები უმეტესად გადმოსცვივდა თვალებიდან და ნერწყვიც ველარ ჩაყლაპა.

— როგორ არა! ხვალ დილით საათს ჩაგიგდებს სკივრში! — სიცილით და მუხლებზე ხელების დაკვრით სთქვა ერთმა ამხანაგმა.

სხვა ამხანაგებიც გააშხიარულა რევაზის ცრემლებმა.

— არ შეიძლება დაცინვა! — გაუმტყუნა ქვრივის ნაცნობმა, — ვინც ძველ პოზიციებს უბრძოლველად სტოვებს, ის ახალსაც ისევე დასტოვებს, — დაუმატა და რევაზს მიუბრუნდა.

რევაზი კამათში ჩაჰყვა. მალე ეჭვი შეეპარა ღვთის ყოვლად შემძლებლობაში.

რამდენიმე ასეთი საუბარი და რევაზის ნორჩმა გონებამ ღმერთი და ხელშწიფე ცხოვრების დუხჭირობის მიზეზად აღიარა.

თვრამეტი წლის რევაზი დიასახლისის ნაცნობის დახმარებით პარტიაში მიიღეს.

ებლა ოცდა რვა წლის ვაჟკაცია. საუკეთესო მემანქანე ორთქლმავალზე და მოწინავე მუშა პარტიაში. ამხანაგებს უყვარს და ანგარიშს უწევენ მის მომზადებას. ჟანდარმებსაც მასზე ჯერ-ჯეროობით ალღო არ აუღიათ. თავისი თავი საჭირო კაცად მიაჩნია და სახიფათო საქმეზე არ მიდის. სიამოვნებით იგონებს თავის პირველ მოღვაწეობას გოზალოვის ფაბრიკაში და ღიმილით მოუთხრობს ამხანაგებს თავის შეცდომებზე.

— თუ გავუგეთ, ხომ არ შერჩება ჯაშუშს გამარჯვება, — ამოიოხრა ბოლმით, — გერასიმე სად დაიკარგა, რომ არა სჩანს?

— ვივახშმოთ. ალბად ამხანაგებთან არის და საცაა მოგვისწრობს, — ელისაბედმა მაგიდაზე საჭმელები დაალაგა.

მაგიდას მიუჯდნენ. რევაზი ლუკმებს გაშმაგებით ღეჭავდა, თითქოს მოწინააღმდეგეს ყელს ულრღნიდა.

— რას შვრები? რატომ არა სჭამ?

— რა სთქვი? — დაეკითხა შემკრთალი.

— რატომ არა სჭამ?

— ვსჭამ, როგორ არა, ვსჭამ, — ელისაბედმა პური პირში ჩაიდო.

გერასიმე გიჟივით შემოვარდა ოთახში. ცალი ხელი მაგიდას ჩამოაყრდნო, მეორეთი მკერდის გამძლეობას ეხმარებოდა.

— ჯაშუში მიმინოძეა!! — უცებ წამოისროლა და ღრმად ამოიოხრა.

რევაზი ოთახში დარბის, ხელები თმებში აქვს ჩაბლუჯული. გერასიმესთან მივიდა, თვალებში შეაშტერდა.

— ნუ თუ?!

— დარწმუნებული ვარ! თვალები ვერ გამისწორა... შემთხვევით შეგვნიშნეს და იმიტომ მიიღეს თავდარიგი... ან რა საოგებლობას მოგვიტანდა რე-

ვალიებეს დაწვეთ. უბნიშვნელო საქმისათვის, ვინ იცის რა შეგვემთხვეოდათ. ბევალ სოფელში მიდის, ჯვარს იწერს.

— ლაჩარი! გამყიდველი!—სასოწარკვეთილი ხრინწით დაიკვნესა ოვანმა, წაბარბაცდა. ლოგინზე წაიქცა.

* * *

ეროვნული ბიბლიოთეკა

რევაზი და გერასიმე სამსახურში გაეშურნენ. ელისაბედი სამსაოფულოში შევიდა. თაროზე აიხედა. თუშეფლანგს თვალი მოავლო. ხელი ასწია... კალათი ჩამოიღო და სანოვაგის მოსატანად წავიდა. დაბრუნებისას სადილის სამზადისს და ოთახის დალაგებას შეუდგა.

ფიქრში იმეორებდა „არ წავიკითხავ"; „რატომ უნდა წავიკითხო"?. ბოლოს დართო: „შეიძლება უბრალო რამეზე მწერს."

სკდილობდა არ აეხედნა თაროზე. არც ეცალა, თითქო. საღამოთი ექიმთან წავიდა.

უცნობმა ელისაბედს თავი დაუკრა და დააცქერდა. ელისაბედმა ზრდილობიანი თავის მოხრით უპასუხა.

ელოდნენ ექიმს.

უცნობი კმაყოფილი და მოლიმარი გადმოხედავდა ხოლმე. შემდეგ სახლამდის მიაცილა. ელისაბედი სდუმდა. არც უცნობს შეუწუხებია ლაბარაკით. ფრიად გამოცდილი იყო ქალების ზოპყრობაში.

მუსაიფს ასეთ შემთხვევაში ზედმეტად სთვლიდა. ხელზე აკოცა და კმაყოფილი გაუდგა გზას.

რევაზი ბაქოს მიმართულებით წავიდა. სამ დღეზე ადრე ვერ დაბრუნდება. ელისაბედმა წერილი ჩამოიღო და ბალიშის ქვეშ ამოსდო.

— დღეს რევაზი დაბრუნდება. შეიძლება ნახოს, ეწყინება, ვინ იცის რა სწერია? უნდა დავხიო... რა საჭიროა წაკითხვა.

კონვერტს თავი გადახია, წერილი ამოიღო. კონვერტი ნაკუწ-ნაკუწად აქცია და ჭეჩაში გადაყარა.

წერილი ფანჯარაზე დასდო.

იქვე სკამზე ჩაბოჯდა. ალმაცერად უცქერის წერილს. რაღაცას უჩვეულოსა გრძნობს. ექიმის კაბინეტში არ არის, ელექტროს კი უტარებენ. ფეხები იატაკს დაეკარა, მუხლები განზე უსტის.

არა სმენია ასეთი სიტყვები. არ შეეხებია მის სმენას არაეინ ასე ნახად და სათუთად.

— „უსიხარულო სიცოცხლემ ძალა გამომილია. დღენი მეწურებოდნენ და სამარის კარზე ვიყავ წამდგარი.

„სასწაული მოხდა!

„შენმა მკრთალმა დალვრემილმა საიდუმლო ჭმუნვით მოსილმა სახემ, მიბნედილმა, მორცხვად გამომზირე თვალებმა იმედი ალმიძრეს. სიცოცხლისაკენ, ბედნიერებისაკენ მიმიხმეს!!

„არ მინდა სამარე! არ მინდა მოეფაროს ჩემს მხედველობას ის არსება, რომელმაც ჩემზე სასწაული მოახდინა! მკვდარი ალმადგინა!

„მაოლოდ გიცქიროთ ვიკმარებ! მეტს არ ვინდომებ. უცნობი“

ოთახში გერასიმე შემოვიდა. გამტანმა ნიავმა წერილი ქუჩაში გადიტაცა. შეკრთა ელისაბედი.

— რატომ შეშინდი, ელისაბედ? რას კითხულობდი? რა უყვარს ჩემს საყვარელს მამას ხომ არ მოუწერია მისებური რამე: „ყანა ძროხებმა გადამიჭამეს“... აბრაშუმის პარკში წავაგე.—ფასი დაეცა მარსელში?. „ცოლს ... გადაყევი. ყოველ წელიწადს ბახმარო და საჩინოს აბანო,“—გერასიმე ჰბაძავდა ხმით მამას, დადიოდა ოთახში. ახალუხის სახელოებს ისწორებდა, ულვაშებს იგრეხავდა ნერწყვით დასველებული თითებით, როგორც ნიკიფორემ იცოდა. იმდენი ჰბაძა მამას, რომ ელისაბედსაც გაეცინა.

არ უყვარდა გერასიმეს მამა. არ ახსოვს მისი ალერსი. ტანთსაცმელს აყენებდა; წულას რომ გასცვეთამდა—სცემდა, ჭამა-სმაზე არ უნახავს ნიკიფორეს შვილი, თორემ იმასაც დააყენებდა.

* * *

— ბორნით გადავიდეთ, თქვენ ბინაზე უფრო ადრე მიხვალთ,—ურჩია უცნობმა, როცა ექიმის ბინიდან გამოვიდნენ.

— შეიძლება,—დაეთანხმა ელისაბედი.

ალმართში უცნობმა ხელი მკლავში მოჰკიდა. თავის შეკავებას ველოდა. ხიდზე რომ გავიდნენ, ბალის პატარა ბეიშკარში ჩავიდნენ. კლდიან ალმართზე უცნობმა წელზე ხელი მოხვია და ეხმარებოდა.

მაღლა ავიდნენ. მტკვარს და ელექტროთი განათებულ ქალაქს გადახედეს.

— რა მშვენიერი სანახავია ტფილისი საღამოობით. მთა-წმინდიდან მეტი სიმშვენიერით ციმციმებენ ელექტროს ვარსკვლავები. ჩამოვჯდეთ! ბუნებაზე უმშვენიერესი რა არის! ჩვენ ქალაქს შერჩენია კიდევ ბუნებრივობა, ევროპის ქალაქებში კი... მოლზე დავჯდეთ, უფრო მეტ სიმშვენიერეს ვიგრძნობთ, ბუნება სიამოვნების დაუშრეტელი წყაროა... მოითმინეთ, პალტოს დავაგებ... ასე. ეხლა დაბრძანდით! როგორ განგებ გაუყვია ლამაზ ჩირგვებს მტკვარი... თქვენა გცივათ, მგონია: პალტო წამოიხსით.

— ნუ სწუხდებით!

არა. რაშეწუხებაა? შეიძლება პალტოზე დაჯდეთ და კიდევაც წამოიხსათ? რა კოიანგია ცხოვრება! თუ შეჰკრა კოიჭა და გაგწირა, წუთის სიამეს არ გაღირსებს. მაგრამ არის გამონაკლისიც, თავის ჩვეულებას დროგამოშვებით ულალატებს და ადამიანის სულს შვებას მისცემს. აი ასეთ ბედნიერებასაც აძლევს!—უცნობმა ელისაბედს მხარზე ხელი დააკარ,—რატომ კანკალებთ?... გცივათ?.. ხომ არა გტკივათ რამე?—უსწორებს პალტოს.

— არაფერი,—სთქვა ელისაბედმა და სწრაფად მოკუმა პირი.

— ახლო დაჯექით! მომეყრდნეთ!... ნუ გეშინიათ! მე არა ვარ იმ ჯურის, რომლებიც ვაგლახად სარგებლობენ ქალის ნდობით... კიდევა გცივათ?... მე დაგიჭერთ პალტოს საკინძს... აი ასე... ეხლა ხომ კარგადა გრძნობთ თავს? პირველ ქალსა ვხვდები, რომელმაც ასეთი სიძლიერით მიიპყრო ჩემი ყურადღება.

თქვენ სხვას არა ჰგეხართ. თქვენებრი თვალები და... ასეთი თმები არა ვის აქვს... რატომ ჭკრთით?... მომეცით ხელი, მე გაგითბობთ... რა ცივი ხელები გაქვთ?! მომეკარით მე... უფრო ახლო... უფრო ახლო. აი ასე.

დაათრო ტკბილმა სიტყვებმა ელისაბედი. სახსრები ალაო ემოჩილება. უნდა წამოდგეს,—ვერ იძვრის.

— წავიდეთ, დროა,—უნდა სთქვას, მაგრამ ენა წაეკრობა, სახსრები ემტვრევა. ქუთუთოები უმძიმდება, ეხუჭება, თვალები სტკივა, ხელი გაუშეშდა, ყურებში თოფს ისვრიან, თავზე სალტა შემოუკრეს...

დაჭკარგა წონასწორობა. გადაიხარა.

უცნობი დაეხმარა, ფრთხილად დააწვინა.

მხურვალე კოცნით გაყინულ ტუჩებს უთბობს. ტანზე ხელები მოჰხვია.

მძლავრი, საამური ტკივილები იგრძნო ელისაბედმა. კუნთები გაურკინდა...

მოდუნდა. სახსრები დაეღლვა. ნეტარების ბურუსში გაეხვია. განწირდა მიწიერს.

მთვარე ასცდა მთის მწვერვალს. ხეების გრძელი ლანდებით დაისერა მიდამო, კვიპაროსის წვერი მკრთალ ლანდს სდებდა მიჯნურთ სარეცელს...

— უმაღლესი სიმშვენიერე მხედა წილად! ოდნავ გასაგონად ჩასჩურჩულა უცნობმა,—რომ დავკარგო, სიცოცხლეს გამოვესალმები.

* * *

— რა უთხრას რევაზს? როგორ შეხედოს თვალებში? უთხრას თუ არა?... როგორ მოხდა ეს?.. როგორ სჯობია? ეტყვის. რაც უნდა მოხდეს, ეტყვის!..

ასეთი ფიქრებით და გადაწყვეტილებით შეაღო ელისაბედმა კარები.

— ბედნიერები ვართ, ელისაბედ! ბედნიერები! ვიმხიარულოთ! მეგობრებს დავუძახოთ! ვიქეიფოთ! ღვინო დავლიოთ?—რევაზი მოეხვია ცოლს და რამდენჯერმე აკოცა,—გავიმარჯვეთ! სასტიკად დავამარცხეთ მყვლეფავები!.. რამდენიმე ასეთი გამარჯვება და .. გაიხადე პალტო! შეუდექით საშზადისს... გერასიმე სანდროსთან გავგზავნე. სხვა ამხანაგებიც მოვლენ. სუ!.. მოდიან კიდევაც!.. მობრძანდით, მობრძანდით, მეგობრებო!

— რა ამბავია, კაცო? რამ გაგახარა? დაეკითხნენ ამხანაგები.

— გავიმარჯვეთ, ბიჭებო! გავიმარჯვეთ!—რევაზი ხან ერთს ეხვეოდა ხან მეორეს, —მაშ, იცოდეთ რომ რევაზის აზრი ყოველთვის მართლდება! ჭიათურის ამხანაგებიც წინააღმდეგნი იყვნენ მოთხოვნილების ზოგიერთ მუხლებისა. სავსებით დაკმაყოფილებულია, ამხანაგებო, ყველა მუხლები. ამიერიდან ჭიათურის პროლეტარიატს ეძლევა საშუალება შემდეგი ნაბიჯები გადადგან სრულ გამარჯვებისაკენ.

ელისაბედი შეუდგა ვახშმის საშზადისს. უხაროდა ქმრის მხიარულება. თვითონაც კარგად გრძნობდა თავს. ამჩატდა, თავისუფლად სუნთქავს: ჩვეულებრივი ამოგნეშვა არა აქვს.

შუა ღამეს გადაცილეს მხიარული ვახშმით. დაბალი ხმით მარსელიოზა და ინტერნაციონალი იმღერეს. კმაყოფილნი დაიშალნენ.

ბედნიერი იყო ელისაბედი. არაჩვეულებრივი ღამე დაუღამდა. რევაზის ალერსი კანკალს არა ჰგვრიდა; ისტერიული სიცილ-ტირილი არ მოსვლია: არც ექიმი და არც ბრომი დასჭირვებია.

ქმარი სიხარულმა გამოაფხიზლა. წამოიჭრა ლოგინიდან. დადის ოთახში. მღერის.

— ელექტროს საექიმო დარგშიაც დიდი მომავალი აქვს! როგორა ვცეთ პატივი შენს ექიმს?.. იცი რა გითხრა? ბაქოსკენ რომ წავალ ბოხბენს ვუყიდი. წაულე ექიმს საჩუქრად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

* * *

ელისაბედმა ვერ გაუსწორა თვალები უცნობს. მორცხვად ჩამოჯდა იქვე სკამზე და თავაუღებლივ ელოდა თავის ჯერს ექიმთან შესასვლელად.

გამოვიდა ექიმის ბინიდან. უცნობი კარებში დახვდა.

— მიჯავრდებით?!

ქალმა არ უპასუხა. უცნობი გვერდით გაჰყვა. მიდიოდნენ ნელა.

უცნობმა ხელზე ხელი სტაცა, მაგრად მოუჭირა.

— გეწყინათ?.. მიჯავრდებით?.. სთქვით!.. მიბრძანეთ!.. თვალთ არ დაგენახვებით... სიკვდილის ბრჭყალებიდან გამომიხსენით... ოღონდ ისურვეთ, ხმა ამოუღებლივ ჩემს ბედს ვეახლები.

ელისაბედმა არაფერი არც ისურვა და არც ბრძანა...

ერთი კვირა გრძელდებოდა უძრაობა.

გაიგო მხოლოდ, რომ უცნობს შალვა ერქვა: თავისი სახელიც უთხრა.

მერვე საღამოს შალვას სასოწარკვეთილებამ ქალის გული მოალბო და შემდეგი ნაბიჯი გადაადგმევინა.

მთვარე არ ანათებდა. უკუმეთ სიბნელეში ხელები, ტუჩები და მკერდი მხედველობდნენ.

— განგებას ჩვენ ერთი მეორის სასიხარულოდ გავუჩენივართ... შენ რომ რამე შეგემთხვას, ერთ დღესაც რომ ვერ გიხილო, სიცოცხლეს გამოვესალმები!.. მე შენი ვარ სამუდამოდ! შენც ხომ ჩემი ხარ?

— არ ვიცი... წავიდეთ!

— ცოტა კიდევ, ჩემო ელისაბედ! ცოტა კიდევ დავრჩეთ! ნუ თუ არ გენანება ასეთი ბედნიერების წეწყვეტა?!..

— ელისაბედმა—მოიშორა შალვას ხელები და უცებ წამოდგა.

საგრძნობლად მოკეთდა ელისაბედი. ექიმიც კარგ იმედს იძლეოდა. რევაზმა ექვსი ხოხობი გაუგზავნა ექიმს.

ელისაბედი სავსებით განიკურნა. ექიმთან სიარული შესწყვიტა. მეზობლები ულოცავდენ გაჯანსაღებას და შეჰხაროდენ ბედნიერ ცოლქმარს.

ცოლის მზრუნველობა ქმარზე უსაზღვრო იყო. მხოლოდ თვალს ვერ უსწორებდა. ბავშიც სახლში მოიყვანა. ხშირად ხუმრობით ძუძუს დვრილს პირში ჩაუდებდა. ბავში, რძეს რომ ვერ პოულობდა, კბენდა გაჯავრებული. მხოლოდ სიამოვნებას გრძნობდა ელისაბედი. არ იკლაკნებოდა. ელექტროს ნაკადი არ ურბენდა ტანში.

მიდიოდა ასე დრო.

ფეხმძიმედ შეიქნა.

* * *

შემთხვევით სანდრომ შორიდან თვალი შეასწრო, როდესაც ელისაბედი ვილაცა ვაჟმა მოაცილა ბინაზე! გამოიჩქარა, მაგრამ ვერ გაიგო ვინ იყო. სანდრო გულითადი მეგობარია რევაზის, პარტიაშიაც რევაზის დახმარებით დაწინაურდა,—მთელი რაიონის წარმომადგენელია. ისედაც სანდრო ქეთილსინდისიერი ამხანაგის სახელს ატარებდა. აღშფოთებულმა გადასწყვიტა: გაეგო უცნობის ვინაობა და საჩქაროდ ეცნობებინა მეგობრისათვის.

ათი დღე სამსახურს დასცდა,—რევაზის სახლს უთვალთვალებდა. რე აზს არ გაუმხილა. არ უნდოდა მეგობრის შეწუხება, სანამ უტყუარი საბუთი ხელთ არ ქონებოდა.

ერთ საღამოს, როდესაც ელისაბედს შეუმჩნეველად აედევნა, დაინახა, როგორ შეხვდა ვილაცა უცნობი.

— საზიზღარი ქალი!—ხელების მტვრევით ბუზღუნებდა აღშფოთებული სანდრო

შალვა და ელისაბედი ვერის ბაღში ჩავიდნენ. ჩიორგვებს მოეფარნენ. ეკლიან მავთულის ღობეს მოუარეს და მტკვრის პირს შეჰყვნენ.

სანდრომ ვერ დაინახა, საით მიიმალნენ ცოლქმრული ფიცის გამტეხნი. ლეკვებ გადაყრილი ძუ ძაღლივით დარბოდა სანდრო. ორ-სამ წყვილ ქალ-ვაჟს უსირცხვილოდ ჩააშტერდა და დამსახურებული ლანძღვა მიიღო...

— შენ მანდ ჩასაფრდი, უსათუოდ გამოივლის მანდ!—იცნო სანდრომ უბნის ზედამხედველის ხმა.

ცხადია მას დაეძებენ მიწაზე გაწვა და ფოფხვით მტკვარში ჩავიდა, წელამდი წყალში ქვევით მიიპარება, ესმის უბნის ზედამხედველის განკარგულება:

— ფრთხილად ესროლეთ. სხვას არავის მოხვდეს.

სანდრომ დაიჩოქა, ისე მიდის, წყალ ზევით მხოლოდ თავი უჩანს.

— როგორ გამისხლტნენ ხელიდან უსინდისოები—ბუტბუტებს ერთგული ამხანაგი.

შალვას და ელისაბედს არ გაუგიათ, რა ხდებოდა ბაღში.

მეათეჯერ მიიღო უბნის ბოქაულმა განცხადება და საჩივარი მოხეტიალე ძაღლზე: „ვერის ბაღში ვინც გაიარა, ყველა დაჰკბინა"-ო ამიტომ გასცა სასტიკი ბრძანება საიმედო უბნის ზედამხედველზე, ყოველი ღონე ეღონა და ძაღლი ან მკვდარი ან ცოცხალი უბნის სამმართველოში წარედგინა.

— ძაღლი ქალაქშია გასული, სოროში არ შეგვეპაროს,—რიხიანად იძლეოდა ბრძანებას უბნის ზედამხედველი და ჩასაფრებული ათვალიერებდა.

ელისაბედი ქვაზე იჯდა. შალვა უფრო მტკვრის პირთან მიწაზე მოთავსდა ხის ტოტს წყალში უმიზნოდ ატყლაშუნებდა.

— ქალები უდიერად ეპყრობით თქვენს სიმშვენიერეს,—გასტეხა ხანგრძლივი სიჩუმე შალვამ,—მიუტევებელი ბოროტებაა შენი ლამაზი ტანი ასე დაიუშნოვო. ნუ თუ არ შეგეძლო რაიმე ზომა მიგეღო? რატომ არ მითხარი დროზე

— თავი მოიბრუნა და საყვედურის გამომეტყველებით ჩაუტარა სახესთან თვა-

ლის ისარი; ისევ წყლისკენ იბრუნა, პირი და განაგრძო, ერთ ქალს ვიცნობ. მშვენივრად იცის ეს საქმე. მაშინვე უნდა მიგველო ზომა.

— რად უნდა მიმელო ზომები? მე ეხლა მშვენივრად შემიძლიან თვითონ გავზარდო ბავში — ვერ მიუხვდა ელისაბედი შალვას ესთეტიურ-მაღალ გრძნობებს.

ვერც შალვა მიუხვდა დედობრივ გრძნობას.

— წავიდეთ, გვიანაა, — ჩაილაპარაკა ძლივ გასაგონად ელისაბედმა.

— წავიდეთ — შალვა სწრაფად წამოდგა და ტანსაცმელი გაიბერტყა.

ელისაბედიც წამოდგა.

ნელი ნაბიჯით მიდიან ბაღისკენ ხმა ამოუღებლივ.

— არ გაუშვათ, დახვდით მანდ! უფრთხილდით არ გიკბინოთ! სოროში არ შეძვრეს!

შალვა და ელისაბედი შეჩერდენ ხვაროობაზე.

ბაღიდან ძაღლი გადმოხტა. პირდაპირ მათხე ბორბის, შალვა გორაკზე აცოცდა. ელისაბედი თავდაცვის გრძნობას მოკლებული იყო, — სხვა აზრებს დაეტყვევებინა მისი გონება. ძაღლს რომც ეკბინა, ტკივილს ვერ იგრძნობდა. ძაღლმა ადამიანი რომ დაინახა, ბილიკიდან გადაუხვია და მტკვარში ჩავიდა, ელისაბედს რომ ჩასცილდა, უცებ უკან მოიხედა, ჰაერი ხარბად ჩაჰყნოსა, წყლიდან ამოხტა და ელისაბედს ფეხი გაუგორდა. ელისაბედი ელოდა კბენას, მაგრამ... ძაღლი მიწაზე გაწოლილი საცოდავად წკმუტუნებდა.

დასცქერის ელისაბედი. ცოცხლით თვალები აევსო, მუხლებზე დაეშვა და ძაღლს თავზე მოჰხვია ხელები.

ბორბის ჯბნის ზედამხედველი რევოლვერით ხელში. ელისაბედს ჩაურბინა და დარიგებით წაიბუზღუნა;

— ქალბატონო მოარიდეთ თქვენი ძაღლი აქაურობას, გაველურებული ძაღლი დაგიჭამთ.

ვერ მიხვდა ელისაბედი, რას ურჩევენ, ან სად მირბოდა ჯბნის ზედამხედველი. გორაკზე აიხედა, შალვა არა სჩანდა.

— მიმატოვა.

უფრო დაიხარა და ძაღლს თავზე ორიე ველი ნოსტალგია.

— რა კარგ დროზე მოხვედლინე, ჩემო მერცხალა! სად იყავი ამდენ ხანს? ხომ არ ნემდური, რომ მიგატოვე? წავიდეთ ჩემო მეგობარო, აწი არ მოგიშორებ. ერთად ვიყოთ.

წამოდგა ელისაბედი და ნიდის ბაღისკენ. მერცხალაც გადასდგამს რამდენიმე ნაბიჯს და გაწვება ჩამხობით მიწაზე. ელისაბედი მიუბრუნდება და მიიხმობს. ასე რამდენჯერმე. თითქოს არა სჯერავს მერცხალას, რომ ელისაბედი წაიყვანს სახლში. ვერის ბაღში რომ ჩავიდნენ მერცხალა გაჩერდა ერთ ადგილზე და არ იძროდა. რამდენსაც წაიწევდა ელისაბედი მისკენ, იმდენს განზე იწევდა. უცებ შეძვრა სოროში და დაიკარგა. იდგა დაღონებული ელისაბედი სოროსთან. არ იცოდა რა ექნა.

დაიხარა, ჩასძახა სოროში: „მერცხალა“!

გაკვირვებულმა ელისაბედმა უკან დაიხია,— მერცხალა გამოძვრა და პირით ჭრელი რაღაცა გამოიტანა. ელისაბედი გაკვირდა.

— შვილიც ყოლია ჩემო მერცხალა! წავიყვანოთ სახლში. წავიდეთ, მალე წავიდეთ... გაუშვი პირი! ნუ გეშინიან არას ვატკენ, წამოვიყვან! — ჩქარი ნაბიჯით გბსწია ელისაბედმა სახლისაკენ ლეკვით ხელში. მერცხალაც მისდევდა წკრუტუნით და წამდაუწუმ უკან იხედებოდა.

ელისაბედმა დერეფანში ძველები დაჰყარა და ძალლს საწოლი გაუკეთა; საჭმელიც გამოუტანა. მერცხალამ საჭმელს პირი არ დააკარა,—წკმუტუნებდა თითქოს აუტანელ ტკივილებს გრძნობდა.

მოქანცული ელისაბედი შეეიდა ოთახში. ხმა-ამოუღებლივ გაიხადა და ლოგინში ჩაწვა.

ცოტა ხანს მიუწვა მერცხალა ლეკვს. ჩააძინა და ფრთხილად ეზოდან გაიპარა. მტკვართან მაირბინა და გაღმა გაიხედა, მარდათ ჩაცურდა წყალში და მეორე ნაპირზე გავიდა.

მზე კარგა მაღლა იყო წამომდგარი, მერცხალამ რომ უკანასკნელი მეცხრე ლეკვი დერეფანში დააბინავა.

— ცოცხალი, ცოცხალი!!

— ვარდები, კარგი ვარდები!!

— ნახშირი, კარგი ნახშირი!!

გაისმოდა ქუჩაში აქა იქ.

არც სანდროს მოუსვენია მთელი ღამე. სულ ნატრულობდა „ნეტავი აქ იყოს ეხლა რევაზი“-ო.

* * *

მესამე დღეს საღამოს ჟამს ელისაბედი თავზე ხელებშემოდებული იჯდა ფანჯარასთან და ჩამავალი მზის შუქით განათებულ წერილს დასცქეროდა.

— რა იყო ჩემთვის შალვა?... რად უნდა მეწყინოს მისი დაკარგვა?.. მე ჩემი რევაზი მიყვარს! ან რატომ არ უნდა მიყვარდეს? რითაა შალვაზე ნაკლები? უკეთესია! რევაზი ისე განუკითხავად არასოდეს არ მიმატოვებს... რადა მწერს ასეთ წერილს?.. რა მოხდა?.. რა დავუშავე?.. უნდა ვნახო შალვა... უნდა მოველაპარაკო... რაღაცა ვაწყენინე... რატომ არგამიმეილა?... მაშ რა არ ის ასეთი წერილი!?... შეიძლება ვერ მიუხვდი, რასა მწერს?

ორივე ხელი სტაცა წერილს, სინათლეს უჩვენა.

„ელისაბედ“... რატომ ჩემო ელისაბედო-ს არა მწერს? ნუ თუ მისი აღარა ვარ?...

„ბედნიერება ადამიანის ცხოვრებაში გორაკებად გამოჩნდება. გამოჩნდება და გაივლის. არის გორაკები უმნიშვნელო, არის დიდი, უფრო დიდი, ვეებერთელა, უზარ-მაზარიც.

„ადის ამ ბედნიერების გორაკზე ადამიანი, მწვერვალს, რომ მიაღწევს, ფერდობზე დაეშვება. მწვერვალზე დავაკება არ არის. იქ შეჩერება არ შეიძლება. თუ მოინდომა ვინმემ შეჩერება პირუკუღმა გადავარდება და დაიმსხვრევა. სჯობს წინ წავიდეს, დალმართს დაჰყვეს.

„ასე. კიდევ და კიდევ გორაკებზე ნელი ასელა და მის დალმართზე სწრაფი ჩამორბენა.

„ეხლა შენ დაასკვენი გორაკის რა ადგილზე ვიმყოფებით ჩვენ.

„ბედის და შენი მადლიერი შალვა".

რა დასკვნა უნდა გავაკეთო?... რა უნდა სთქვას ამ წერილმა?... რატომ არა მწერს, სადა ვნახო? რად მისაყვედურა გუშინ ფეხმძიმობა?..

ელისაბედს სახე აენთო.

— რატომ არ უნდა ვშობო ბავშვი... ჯვადო! [1]) — გულის წყლიმით წამოიძახა და წერილს მუშტი დაჭყრა.

ამ შედარებით ელისაბედმა ულრმესი ზიზღი გამოხატა. განა ბავშობისას ცოტა ცრემლები დაუფრქვევია, როცა დედამისი დილით ლოგინშიეე, ახლად გალვიძებულს შეატყობინებდა:

— შვილო, წუხელ იმ შეჩვენებულ ჯვადოს ქე დაუხჩვია კნუტები.

— რას ამბობ, დედა?! რატომ დაანება ნაცარამ?!—გულშემზარავი ქვითინით იტყოდა ხოლმე ელისაბედი.

— ნაცარა, შვილო, ეზოში სანადიროდ თუ გავიდოდა. შვილებისათვის დასამატ საკვებს ეძებდა.

დიდი რამ სამხიარულო დაპირებეა იყო საჭირო, რომ პატარა ელისაბედს ცრემლები შეშრობოდა.

ელისაბედი წამოდგა. წერილი ხელში მოკმუკნა, ფანჯარა გააღო და შუა ქუჩაში გადაისროლა.

ჯარის კაცს ფურგონით ნაგავი მიჰქონდა. დაჭმუჭნილი წერილი ჯარისკაცს მოხვდა თავში და ნაგავზე დაეცა.

ელისაბედმა ფანჯარა მიხურა და ხმამაღლა დაიძახა:

— ჯვადო! საძაგელი ჯვადო!!

ჯარის კაცმა მრისხანედ აიხედა ზევით. ეძებდა შეურაცმყოფელს. ვერავინ დაინახა. ბრაზმორეულმა იდაყვი ჩაჰკრა დაჭმუჭნილ ქაღალდს... მობრუნდა და ორივე ცხენს დაუმსახურებლად ზურგები აუწვა.

ელისაბედი სამზარეულოში გავიდა და რევაზის შესახვედრად სამზადისს შეუდგა. ვახშამი დაამზადა, სამოვარი დადგა. დიდი ქვაბით წყალი გაათბო,— ქმარი მაზუთით დასვრილი მოვა, ორ-სამჯერ შერცხალას მოუალერსა, თან იმეორებდა:

— მალე მოვა, ჩემი რევაზი! ჩვენი პატრონი.

სანდრო მეგობარს სადგურში შეხვდა. რევაზმა ძლივს იცნო სანდრო. სამი დღე-ღამის განშაელობაში მხედველობის და სმენის გრძნობები მოექანცა ორთქლმავლის რახუნ-სტვენაში. სიტყვებიც კარგად არ ესმის რევაზს.

— საიდუმლო საქმე მაქვს, რევაზ, შენთან!—მღელვარებით უთხრა სანდრომ.

— რა მოხდა? სტამბა ხომ არ ჩავარდა?—შეშინებული დაეკითხა:

— წამოდი, გეტყვი.

[1]) ჯვადო—ხვადი კატა, რომელიც კნუტებს უბრიობს ან კატას.

სამგზავრო ბაქანს ჩასცილდნენ, საწყობს გაუსწორდნენ და ერთ ყრუ ადგილზე შეჩერდნენ.

გაფრთხილებ, ძმაო! ვაქციურად უნდა მოიქცე: ისე, როგორც შეჭვერის შეგნებულ კაცს.

— რა მოხდა ადამიანო? სთქვი!—ღონივრად სტაცა ხელი და ძლიერად შეანჯღრია.

— მაშ გამიგონე:

სანდრომ უამბო რევაზს, რაც ნახა და ისიც, რაც შემთხვევით ვერ დაინახა.

— სიკვდილით არ მოჰკლა! ხელი არ გაისვარო!.. შენი სიცოცხლე და თავისუფლება ხალხისთვის არის საჭირო. გააგდე სახლიდან შიშველი ის უნამუსო! უკეთესს შეირთავ.—დარიგებით დააბოლოვა სანდრომ.

რევაზს ეს უებარი დარიგება არც კი გაუგონია. ცა გაიღვა. კოკისპირულმა წვიმამ ნატამალი სიმშრალე არ შეანარჩუნა ტანზე. მიწა გაიპო.

მიდის სადღაც... მიდის უფსკრულში... ხელიდან სამგზავრო სანათი გაუვარდა ქვაფენილზე. მინები დაიმსხვრა. ნავთი დაიღვარა. თუ არ სანდრო, ვერც იგრძნობდა ცეცხლის ალს.

— მოშორდი ადამიანო! ცეცხლი მოგეკიდება!—ხელი მოჰკიდა და განზე გაიყვანა,—რა დაგემართა? გონება ხომ არ დაჰკარგე?

რევაზმა მკერდში ხელი ჰკრა და დაიღრიალა:

— მოშორდი!!

მთვრალივით მიდიოდა რევაზი,—ხან წინ წასდგამდა ნაბიჯს ხან განზე, ხან სახლის კედელს მიეყრდნობოდა...

გასწორდა. ნაბიჯს უჩქარა. თითქმის გარბის. ფეხებს მიწაზე არ ადგამს. ჰაერში აიტაცა რაღაცამ. მგზავრებს ეხეთქება.

გზას უცლიან, გაკვირვებულნი უცქერიან.

აკანკალებს, სცივა. კბილს კბილს ვერ ადგამს...

მიიხედ-მოიხედა, ეს სად მოსულა? როგორ ექცა მხარი? რა უნდა მტკვრის ნაპირად? როგორ ასცდა თავის ბინას?...

რევაზი დასწვდა და პეშვით მტკვრის წყალი იპკურა შუბლზე.

გამობრუნდა. მიდის სახლისკენ.

მოიქანცა. ვერ აზროვნებს. სახეებს ვერ არჩევს. ქუჩაში ეტლები უხმოდ, ჩუმად მისრიალობენ. ყურთა სმენა დაეკარგა.

შევიდა დერეფანში. თავბრუ ესხმის. კარებთან კედელს მიეყუდა. ელისაბედი მოცინარი სახით მივიდა ქმართან.

რევაზს ყელი გაუსივდა. სულთქმა უჭირს. დაიბნა. ენა არ ეძვრის პირში. სასა გაუშრა. უნდა დაიყვიროს.—ხმა არ ამოდის. ყელზე ხელები იტაცა, ახრჩობს რაღაცა. აქვითინდა.

მერცხალამ დაჰყეფა,

— რა მოგივიდა, გენაცვალე! ავად ხომ არა ხარ?.. მოდი აქ! ჩამოჯექ! აი ასე!... ტანზე გაიხადე! სველი ტილოთი მოგბან სახეს... დამაცა! ეხლავე...

რადა სტირი, დაგენაცვალოს შენი ელისაბედი? რათა ჰკანკალებ? გცივა?.. მე გაგათბობ... ეხლაცა გცივა? უფრო მომეკარ!.. როგორ გაგცივებია ტუჩები?

ელისაბედმა პირველად იგრძნო ქმრის ტუჩები. პირველად ეხება ის, რევაზის მკერდს. პირველად ჰხვევს მას მკლავებს... როგორ დაეჭიმა თვითოეულ კუნთის ნაკვეთი!

სანეტარო ბგერებს აბნევს ელისაბედის სხეულში რევაზის ტუჩების შეხება!

რევაზს უნდა რაღაცა სთქვას.

ელისაბედი კოცნით ტუჩებს უფარავს.

— სსუ! სსუ! არაფერი სთქვა! არ შეიძლება ხმის ამოღება!—თვალებმიბნედილი ჩურჩულებს ელისაბედი.

რევაზი წამოიჭრა ლოგინზე, მუხლებზე დადგა.

— მაშ მართალი არ არის?!

— რა არ არის მართალი?—უაზროდ ეკითხება თვალებმიბნედილი ელისაბედი.

— მაშ არ არის მართალი?!—დაიხარა და გესლიანად ყურში ჩასჩურჩულა.

— რა არის მართალი? რას ლაპარაკობ? მოდი, რევაზ, ჩემთან!—მკლავები გაშალა და უხმობდა ქმარს.

რევაზი კედელს მიეყრდნო. დაიბნა. არ იცის რა სთქვას, რა ჰკითხოს კიდევ.

ცოლმა წამოიწია, მოჰხვია ხელები და სარეცელზე წარიტაცა...

ნავთი ამოიწვა სანათში: ოთახში დამწვარი ბამბის სუნი დადგა.

რევაზს ღრმად ეძინა ელისაბედის მკლავებში.

ინათა. მზემ უხვად მოჰფინა ოთახს სიცოცხლის და სიხარულის სხივები.

ელისაბედმა ფრთხილად გაინთავისუფლა ხელები და წამოდგა.

ოთახი დაალაგა. თერმონია მოამზადა. ტკბილეულობა გადმოიღო. კოვზი ყოლის მურაბაში ჩასდო.

ოცნებობს, როგორ ჩაუტკბილებს ქმარს ტკბილეულობით პირს, როცა თვალს გააელს. თან ტკბილად სიცოცხლეს და ტკბილად დაბერებას უსურვებს.

თეთრი კაბა ჩაიცვა. ხაროობს თითქოს საქორწილოდ ემზადება.

კარი გაიღო. სანდრო გაოცებით შეაჩერდა ელისაბედს.

— თქვენ აქ რა გინდათ?—განზე პირ მობრუნებით დაეკითხა სანდრო.

— სსუ! სძინავს! არ გაეღვიძოს!

სანდროს მკლავზე ხელი მოჰკიდა და ლამობს გარედ გაყვანას.

— არ მახლო ბინძური ხელი!!

— რას ამბობ, სანდრო? რა მოგივიდა?

სანდროს სახე გაფითრებული აქვს. ტუჩებს ფშვნეტავს. თვალებს უმიზნოდ აქეთ-იქით აცეცებს. ორივე მუშტს თავის მუცლის გასწვრივ აქნევს.

— შე ქმრის მოღალატე, შენა! რატომ აგდიხარ აქ?!—უკანასკნელი სიტყვები დაკრეჭილ კბილებში გამოასისინა.

ელისაბედი მოსკდა. ისეთი სიმძლავრით დაარტყა თავი იატაკზე, რომ შეშინებული რევაზი ლოგინიდან წამოიჭრა.

სანდრო თავს ადგა გულშეწუხებულ ქალს და მხეცივით ეშიზნებოდა.

— რა მოხდა? რა უყავი?

რევაზი მივარდა ცოლს, აიყვანა ხელში და ლოგინზე გადაიტანა.

— სანდრო! მალე ექიმი!—დაიყვირა რევაზმა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

— ექიმი? ვისთვის გინდა ექიმი?

— მალე ექიმი, სანდრო!

— მოკვდეს ეგ ბინძური! მოშორდი ხელებს ნუ ისვრი!—ზიზღით სთქვა და მიბრუნდა სანდრო.

რევაზი წელში გაიმართა, სანდროს დააცქერდა. ნახტომი გააკეთა და მთელი თავისი ძალ-ღონით სანდროს მხრებზე მუშტები დაჰკრა.

— ვაი მე, მომკლა!—დაიღრიალა სანდრომ და მუხლებში ჩაიკეცა.

— გაეთრიე აქედან!!

ისეთი სიმკაცრით გაიშვირა თითი რევაზმა კარებისკენ, რომ დამფრთხალი სანდრო მუხლებით გავიდა გარედ.

საიდუმლო სტამბაში გერასიმე მთელ ღამეს ფურცლებს აწყობდა. ძლივს გაათავა და გამოეშურა სახლში.

ის იყო კარები უნდა შეეღო, რომ სანდრო მუხლებზე მოსიარულე შეეფეთა.

— რა დაგემართა, სანდრო?!

— რევაზმა ჭკუა დაჰკარგა! მალე ექიმი!

ხმაურობაზე მერცხალი დაფრთხა, დასჭყიტა და პირიდან ბარტყის პატივი გაუვარდა...

რევაზი მსწრაფლ მიუბრუნდა ცოლს. მუხლზე დაიჩოქა და თავზე ხელები მოჰკიდა. ელისაბედმა თვალები გაახილა, გაულიმა და რევაზის თავი მკერდში ჩაიკრა.

მერცხალამ მუხლის თავებზე მფოფხავ სანდროს დაულრინა და თავდასაცავად გაემზადა.

გერასიმემ ძლივს მოჰკრა თვალი, ისე მარდათ წამოავლო სანდრომ ხელი შვშის ნაჭერს და მერცხალას სთხლიშა თავში.

— რა ჰქენ, კაცო? რად მოჰკალი ძაღლი?!

მერცხალა იატაკზე გაგორდა და უცნაურად გადაატრიალა თვალები, თითქოს ვილაცას ეძებდა გამოსათხოვებლადო.

— ცოცხალი! ცოცხალი!!

— ყვავილები! ვარდები!!

— ნახშირი, კარგი ნახშირი!!...

გაჰყვირიან ჭუჩაში აქა-იქ, რაც ძალი და ღონე აქვთ.

პეტრე შირიაევი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ციკუტა

I

სანამ დარეკავდა, ერთხელ კიდევ გადიკითხა ქერა ყმაწვილმა ბრჭყვიალა სპილენძის დაფაზე:

ნაფიცი ვექილი ბენიამინ აპოლონის-ძე გუდიმი.

კიბე ნოხებით იყო მოფენილი. ოთახების ბნელი კარებები სპილენძის პატარა დაფებით ღირსეულათ ჩამწკრივებულან ერცელ დერეფანში. ქვევით მოსჩანს სალოცავის მსგავსათ ლიფტის გუმბათი.

ყმაწვილმა ყური მიადო გასაღების ჭუჭრუტანას, მიაყურა და გაბედულათ ჩაახველა; დასარეკ ზარის ფოლაქს თითი მიადო... შემდეგ კი ყველაფერი საშინელი სიჩქარით დატრიალდა.

დიდმა სასადილომ ძვირფასი მორთულობით და ყრუ დუმილით, რომელშიც ასეთი დიდი რიხით ქანაობდა კედლის საათის კანდელი, ჩაიხუტა ახლათ მოსული.

– როგორ მოვახსენოთ ბენიამინ აპოლიონის ძეს?

– უთხარით. რომ...—მე—საქმისთვის ვარ... მე თვითონ ვეტყვი; ეს არის ეხლა ჩამოვედი, უთხარით...

ქერა თმიანმა თავისუფლათ ამოისუნთქა, როდესაც მოსამსახურე ქალის თეთრი წინსაფარი გაქრა და დარჩა მხოლოდ ჰელიოსტროპის მათრობელა სუნი. სადღაც მიხურულ კარებში დაიკარგენ კოხტა ფეხსაცმელები და სასადილოს სიჩუმეში თვალების წინ აღიმართა დიდმუცლიანი ბუფეტი, მრავალი პატარა კარებით ლამაზი პატარა სვეტებით და მოქარგულობით. ბუფეტი ძალიან ჰგავდა საწუალო საუკუნოების კოშკს.

ეჭვით მიიხედ-მოიხედა ყმაწვილმა; გადაიხედა ერთ ფანჯარაში, მეორეში, და პიჯაკის ჯიბეში რაღაცას ხელი მოუსვა.

—:—

კაბინეტში ვილაცის ყრუ ხმამ დასაჯდომათ მიიპატიჟა. საწერ მაგიდიდან წამოდგა ორი ნელი, ტყვიასავით დამძიმებული თვალი, რომლებიც ასე დიდათ მოჩანდენ ძვლებიან ჩამომხმარ სახეზე—და შეხვდენ ყმაწვილს.

კარებისკენ მოიხედა ერთხელ, შემდეგ გაბედული ნაბიჯით მაგიდისკენ წაიწია და აჩქარებით წაილაპარაკა:

— მე მიხაილისაგან ვარ! ნიკოლაი პეტრეს ძეს ვაკი შეეძინა.

— ნათლია?— ჰკითხეს საწერ მაგიდიდან...

— ვიაჩესლავი.

— ბენიამინ აპოლონის ძე გუდიმი წამოდგა და ყმაწვილს ხელი გაუწოდა. თითქოს გაიწმინდა მისი ყრუ ხმა და მკაცრი სახეც მოლბა.

— გამარჯვება ამხანაგო, გამარჯვებათ! დაბრძანდით. ვისთან გაქვთ, ჩემთან მისამართი?

ყმაწვილმა მხურვალეთ ჩამოართვა გამოწვდილი ხელი და საშინლათ აჩქარებულმა დაიწყო ლაპარაკი.

— თქვენ ამხანაგი მაკსი ხართ, არა? მე—ნიჟნიდან ვარ, ნიკოლაი. მე ჩამოველი .. მე... თქვენ ალბათ იცით, რომ მიხაილ სემიონის ძე დაჭერილია, აგრეთვე ფანია, ლეონიდი, ვასილ ვასილიჩი, მთელი ჩვენი ორგანიზაცია ჩავარდა...

ბენიამინ აპოლონის-ძემ აკანკალებული ხელი გაიწოდა მისკენ, თითქოს ლამობდა—შეეწყვეტა ეს აჩქარებული ლაპარაკი, და ასე გაშვერილი ხელით ხელახლა ჩაიკეცა სავარძელში.

— დიახ! დიახ! ფანიაც, ლეონიდეც; მთელი ორგანიზაციიდან მხოლოთ მე გადავრჩი. სრული განადგურებაა, სრული!!—აღელვებული განაგრძნობდა ყმაწვილი და იმეორებდა ნათქვამს...—ეს დაიწყო შაბათს; პირველათ დაიჭირეს მიხაილ სემიონიჩი... მხოლოთ შრიფტი გადარჩა მთელი ორგანიზაციიდან; იგი ეხლა ჩემს დასთან ინახება.. მხოლოთ შრიფტი და მე!

წელში მოხრილი, ღრმად ჩამჯდარი მაღალ ზურგიან სავარძელში—ბენიამინ აპოლონისძე სდუმდა. არც ერთი სიტყვით არ შეუწყვეტია მას ნიკოლაის ამბავი და, როდესაც მან დაამთავრა, ბენიამინ აპოლონისძე თითქოს კიდევ უსმენდაო დაჭიმულ ნერვებით უკვე დამთავრებულ ამბავს.

— თქვენ კი როგორ გადარჩით?—იკითხა ბოლოს და დაარღვია სიჩუმე.

მისი მძიმე თვალები მაღლა წავიდნენ, ნიკოლაისკენ და შეხვდენ სახეს—ყვავილით დაჭმულს და გომბეშოს პირიანს.

— მე... შემთხვევით არ ვიყავი იმ ღამით სახლში. ჩემმა დამ გამაფრთხილა წინასწარ. ის რომ არ ყოფილიყო... შრიფტიც სწორეთ იმას აქვს.

ნიკოლაიმ ეს დარცხვენით წაილაპარაკა, თითქოს დამნაშავეთ გრძნობს თავს, რომ მხოლოთ ის გადარჩა და არა სხვებიო.

ბენიამინ აპოლონისძეს ტუჩის ქვეშით ჰქონდა პატარა ბუჩქი ნათელი თმებისა. მძიმეს მსგავსად ჩამოიგრიხა, ზეზე წამოდგა და დაიწყო სიარული. ნოხები ულაპაედენ ფეხის ხმაურობას. ნიკოლაი იჯდა მაგიდასთან. როდესაც ბენიამინ ზურგით მობრუნდებოდა მისკენ, ის უცებ მიაცქერდებოდა მას და მთელი კაბინეტის გასწვრივ ასე გაცქეროდა მისახვევამდის, და ასევე უცებ დახრიდა ძირს თვალებს, როგორც კი ბენიამინ მისკენ იბრუნებდა პირს. ბენიამინ

დიდხანს და ჩუმათ დადიოდა კაბინეტში. თავი ჩაქინდრული ჰქონდა და ძვლებიანი ბეჭები მაღლა აწეული.

ნიკოლაიმ ჩუმათ ჩაილაპარაკა:

— მუშაობა მინდა დავიწყო... რაც შეიძლება მალე...—ბენიამინმა ჩაახველა და განაგრძობდა სიარულს... დაიწყო ლაპარაკი თავაუღებლივ.

— ნიჭნში თქვენი წასვლა, რასაკვირველია, შეუძლებელია, უსათუოთ დაგიჭერენ. შრიფტის ჩამოსატანათ ალბათ სხვა ვიანმესი გაგზავნა მოგვიხდება. შრიფტი კი გვჭირია... ვინმეს სხვას გავგზავნით... დიახ .. დიახ, თუმცა მომუშავენი ძალიან ცოტანი გვყავს, ძალიან... თქვენ სამსახურს მოგცემთ, დიახ!.. სამუშაო ბევრია, ბევრი... ნუ თუ მიხაილი დაიჭირეს, ჰა!?—უცებ შესდგა ნიკოლაის წინ.

— ეს ხომ, ეს ხომ... შეუძლებელია! ფანიაც? ლეონიდიც?..

თქვენ დიდი ხანი ხართ ორგანიზაციაში? ცხრაას ხუთიდან?..—და ბენიამინმა უცებ სწრაფათ მოიწია ნიკოლაისკენ.

— ეს ხომ არ ვარგა, ჰა?—ჩაიჩურჩულა მან ნიკოლაის სახესთან... და წვეტიანი, მკბენავი იყო ეს ჩურჩული.

რა?!.

— არ ვარგა,—კიდევ უფრო ჩუმად, უფრო მტკივნეულად გაიმეორა ბენიამინ აპოლონისძემ. ძვლებიანი სახე ორი დიდრონი ნაცრისფერი თვალებით ისე ახლოს მოვიდა, რომ ნიკოლაი რატომღაც მოიკუმშა და იგრძნო,—თითქოს გაქანებულმა ნაცრის-ფერმა ავტომ მის სიცოცხლეს ჩამოჭიდა ორი თავისი ფანარი... ქვევიდან შეჰყურებდა ამ თვალებს და შეშინებულად ჩაიხრიწინა:

— რა არ ვარგა?

ბენიამინმა მოიქნია ხელი, თითქოს ჰაერი უნდა დაიჭიროსო, გაშალა თითები, დააცქერდა ხელის გულს, გასწორდა და დაიწყო ბოროტად:

— კონსპირაცია, აი რა გაკლიათ, ახალგაზრდებს! კონსპირაცია კი ძალიან უბრალო, სულ უბრალო რამ არის!.. საჭიროა მხოლოდ დავივიწყოთ, რომ თქვენ ხართ—ნიკოლაი. ყოველ წუთს უნდა გახსოვდეთ. მე, როგორც მე, აღარ ვარ, არ ვარსებობ! ნიკოლაი არ არის, არის ორგანიზაცია. გაიგეთ? თქვენ ყველა თქვენი ნაბიჯით გადაჯაჭვული ხართ რთულ და ძვირფას მექანიზმთან, რომელიც ფუჭდება ყოველგვარ უსწორო მოძრაობისაგან. თქვენ ნაწილი ხართ მთელის. თქვენ ორგანიზაცია ხართ; და, აი, თუ ეს გესმით, მაშინ თქვენთვისაც კონსპირაცია ხდება ისეთივე უბრალო და ბუნებრივი რამ, როგორც მაგალითად ჭამა-სმა, როდესაც თქვენ კოვზი მიგაქვთ პირისაკენ, და არა ცხვირისა ან თვალებისაკენ. მე ორჯერ უფრო ხნიერი ვიქნები თქვენზე.

მე ძველი მომუშავე ვარ, მაგრამ მე არ ვარსებობ, როგორც პიროვნება—მე არა ვარ. არის ორგანიზაცია, პარტია, საქმე. ჩვენ პასუხისმგებლები ვართ ხალხის წინაშე.

ბენიამინ აპოლონისძე მაგიდასთან მივიდა და მადიანათ მოსწია პაპიროსი.

შემდეგ პორტსიგარი ნიკოლაის მიაწოდა.

— გმადლობთ, არ ვეწევი.

— ნიკოლაიმ გაიგო მისამართი მისთვის უცნობ „ამხანაგ ნატაშასი“, სადაც მან უნდა მიიღოს დანიშნულება და სამუშაო. წასვლისას ბენიამინ აპოლონისძემ შეაჩერა კარებთან.

— დაივიწყეთ, რომ არსებობს ბენიამინ აპოლონისძე ... — წაილაპარაკა მან და თითეული სიტყვა მნიშვნელოვანათ გააგრძელა. — ორივენ ყოფილ ასეთი და თქვენც არ იცნობთ მას. არის მხოლოთ ამხანაგი მაკსი. არას დროს თქვენ ჩემს ბინაზე არ ყოფილხართ. გაიგეთ? ეხლა წადით. უთხარით ამხანაგ ნატაშას, რომ დღეს შვიდ საათზე ვუცდი.

II

ყვავილების ფერადი თაიგული აცისკროვნებდა ახალი ფერებით დიდ ოთახს; თითქოს მეტ სინათლეს და ჰაერს აძლევდა მას ეს თაიგული. უნებლიეთ იგონებდით დიდ მინდორს, სადაც მეტათ დიდია და ბევრია ცა. და შეიძლება ამიტომაც უფრო ძვირად და შესამჩნევად გამოსჭვივოდა ნატაშას ლამაზ სახეზე ნაღველი და მწუხარება. ფანჯარასთან იჯდა. შიშველი ხელები, მზის სხივებისგან გარუჯული, მუხლებზე ჰქონდა გადაჯაჭვული.

ეს არის ნიკოლაიმ ეხლა დაამთავრა ესიამოვნო ამბავი ნიჟნის ორგანიზაციის დარბევის შესახებ. მას პირველად ენახა ნატაშა. ნატაშაც პირველათ ხედავდა მას.

— როდის ჩამოხვედით?—სათუთად, თითქოს გვერდზე გაიშრიალეს სიტყვებმაო, იკითხა ნატაშამ.

— დღეს დილით. სადგურიდან პირდაპირ ამხანაგ მაკსთან წავედით.

— მან რასაკვირველია, ბევრი დარიგება წაგიკითხათ, ჩაი კი არ დაგალევინათ.—ღიმილით ადგა ნატაშა.—რას იზამთ ასეთი ხასიათი აქვს... მართლა, როგორ მოგეწონათ?

ისეთივე ჩუმი და სათუთი იყო მოძრაობაში, როგორიც სიტყვებში. აუჩქარებლივ გააწყო სუფრა. მოიტანა სამოვარი, ძეხვი, ყველი და თვითონაც ჩამოჯდა ნიკოლაის პირდაპირ. თვალყურს ადევნებდა, რომ მშიერი არ დარჩენილიყო.

— მიირთვით, მიირთვით: მიყვარს, როცა მადიანად ჭამენ. მართლა, უკაცრავად, მე ვერ გავიგონე, რა სთქვით მაკსის შესახებ?

— ჰო, დიდი, ვეებერთელა თვალები აქვს... ისეთი... გეგონებათ მხოლოდ თვალები აქვს, მეტი კი არაფერიო...

ნატაშამ სერიოზულად სთქვა:

— მას დიდი გული აქვს, დიდი... აი იმუშავებთ ჩვენთან —დარწმუნდებით ამაში. დიახ... რამდენი წლისა ხართ?

— ოცდაორის... ე. ი. თითქმის ოცდაერთის—ცოტა ღარცხვენილათ გაისწორა ნიკოლაიმ, და ცოტა სიჩუმის შემდეგ მოულოდნელად დაუმატა,—ნოემბერში შემისრულდება ოცი.

— თქვენ ნიჟნში თუ გყავთ ნათესავები?

— დიახ ჩემი და, ლიზა.

— შრიფტი რომ აქვს შენახული, არა? უპარტიოა, ხომ?

— ნატაშა ჩაფიქრდა. ნიკოლაი შუბლქვეშიდან თვალს არ აშორებდა მას. მარჯვენა ხელის ერთ-ერთ თითზე ბეჭედი ჰქონდა. ნიკოლაიმ ერთხელ, ორხელ გადახედა ამ ბეჭედს და ბოლოს ჰკითხა:

— თქვენ ის ნატაშა ხართ, არა? თქვენი ქმარი მგონი კომუნისტური ორგანიზაციის საქმისთვის გაასამართლეს?

ნატაშამ ჩუმათ დაუქნია თავი.

— მერე, თქვენ საიდან იცით ეს? მაკსს ხომ არ უთქვამს?

— არა, მიხაილ სიმონისძეს მიამბო.

ნატაშამ არ ჰკითხა, როდის და რა უამბო ნიკოლაის; თითი მოავლო სუფრის კუთხეს, ოხვრა ჩაიკლა და, წელში გასწორდა.

— ჯერ-ჯერობით, ამხანაგო, მე გაგგზავნით კუსკოვსში, აგარაკზე—სადეზინფექციოთ. ცოტა ხანს იქ იცხოვრებთ, მიიხედ-მოიხედავთ კიდევაც. შემდეგ კი—სამუშაოზე. პასპორტი გააქვთ?

— კი.

— საიმედოა?

— ნამდვილი.

— ფულები?

— ჯერჯერობით მეყოფა.

— მაინც რამდენი?

— აბა მაჩვენეთ თქვენი კასა? მანეთი და ათი კაპიკი? სულ ეს არის?—გაიცინა ნატაშამ ნამდვილი კომიკი ყოფილხართ, ნამდვილი...

მაგიდის უჯრიდან ამოიღო თოთხმეტი მანეთი და ჩააწყო ნიკოლაის ქისაში.

— კმარა, ეხლა თქვენ არალეგალური ხართ.. მართლა, წაიღეთ ეს ყვავილები და გადაეცით ჩემგან ოლიას. აგარაკი ოლიას, ოლგა ალექსანდროვნას ეკუთვნის, არ დაგავიწყდეთ. იქ ძალიან კარგია, დაისვენებთ და დაიწყნარებთ ნერვებს, სამუშაო კი ბევრი გვაქვს...

ნატაშამ გააცილა ნიკოლაი, მივიდა ღია ფანჯარასთან და დიდხანს გასცქეროდა გარეთ, სანამ ნიკოლაი არ მიიმალა.

როგორც კი გამოვიდა სახლიდან, ნიკოლაი დააკვირდა სახლის ნომერს, სადაც ნატაშა ცხოვრობდა, და თითქოს რაღაც უნდა დაიმახსოვროსო, მიიხედ-მოიხედა გარშემო. შემდეგ აჩქარებით გაუდგა გზას, ორჯერ კიდევ მიიხედა უკან და მიიმალა კუთხეში. ეტლი, რომელიც ქუჩის მეორე მხარეს იდგა, ნაბიჯით გაჰყვა მას იმავე მიმართულებით.

III

ნატაშა და მთელი კომიტეტი დარწმუნებულნი იყვნენ, რომ შრიფტს დაუბრკოლებლათ ჩამოიტანდენ. ეს საქმე მიანდვეს სერგეის, ის ძველი გამოცდილი მველია ასეთ საქმეებში. გარეგნული შეხედულებით სერგეი უფრო მოგვაგონებდათ

ქუჩის გმირს „ოხოტნი რიადიდან“, ვიდრე ᲭᲔᲠᲥᲕᲔᲨᲐ რევოლიუციონერს... გრძელი პიჯაკი და ბოთლივით ჩექმები კიდევ უფრო ამაგრებდენ ამ მსგავსებას. თვითონ სერგეის ეს საქმე არაფრათ მიაჩნდა და, როდესაც ბენიამინ აპოლონისძემ დარიგება დაუწყო კონსპირაციის შესახებ, მან ასეთი მასხარობით დაუქნია თავისი კოხტად მოპარსული თავი და „ოხოტნი რიადში“ ნაყიდი მაუდის გახანგული ქუდი ისეთის მოწიწებით მოიხსნა რომ, ყველამ [illegible] მუდამ ნერვიულმა და ფიცხმა ადოლფმაც კი.

— იჭვი ნუ გაქვთ, ბატონო, თვეზი პირველი ხარისხისაა. დიდათ გმადლობთ, სხვა დროისთვის დიდის მორჩილებით, სხვა დროისთვის!..

მატარებელში ნიჟნისაკენ სერგეი დიდის ერთგულებით სვამდა ჩაის—საჩაიე თან ჰქონდა წამოღებული, მიირთმევდა ძეხვს, რომელიც კარგა მოზრდილ-მოზრდილათ იყო დათლილი, ხშირი ბოყინით და პირჯვრის წერით, როგორც მეწვრილმანე ვაჭარი თავს ევლება მუშტარს, ისე სერგეი თავს ევლება მეზობლებს, ხაბაკ-ხუბაკებს ულაგებდა და წამდაუწუმ ბოდიშს იხდიდა.

— უკაცრავათ, რას ბრძანებთ?? გმადლობთ. არა, არა!

ნიჟნში სადგურზე დიდიხანს და თავის მომაბეზრებლათ ეკითხებოდა „ჟანდარმს, თუ როგორ გავიდეს „ბოლნიჩნი“ ქუჩაზე, შემდეგ აქეთ-იქით ეხეთქებოდა. სადგურში მესამე კლასის დარბაზის ბუფეტში სვამდა ჩაის „პრიკუსკით“, და სადგურიდან მხოლოთ მაშინ გამოვიდა, როდესაც საბოლოოთ დარწმუნდა, რომ მას არავინ უთვალთვალებდა.

ნიკოლაის და ქალაქის განაპირას ცხოვრობდა.

სერგეის შეხვდა სიმპატიური სახის ახალგაზრდა ქალი.

— ელიზავეტა სიმონის ასული ნოვოკილოვა აქ ცხოვრობს?

— დიახ, აქ. თქვენ?!

— მისი ნახვა გვინდოდა...

ახალგაზრდა ქალმა გადახედა სერგეის მოყვითალო ჩემოდანს და ცოტა გაკვირვებით თქვა:

— ელიზავეტა სემიონოვნა მე ვარ.

სერგეიმ გაიღიმა და კარებში გაბედულათ შეაბიჯა.

— გამარჯობა! მე კოლიასაგანა ვარ. მოკითხვას გითვლით, და აგრეთვე მთხოვა გადმოგცეთ, რომ კარგათაა და ყოჩაღათ.

— ღმერთო ჩემო! მაშ თქვენ კოლიასგან!—გახარებული შესძახა ელიზავეტა სემიონოვნამ და წინ შეუშვა...

— მობრძანდით, მობრძანდით... მე ისე მეშინოდა მისი მდგომარეობის, ისე!.. ვერ წარმოიდგენთ... მაშ კარგათ არის, არა?

პატარა ოთახებში, სადაც მეფობდა წესრიგი და სისუფთავე, ეაშლის სუნი იდგა. კედელზე ტოლსტოის დიდი სურათი ეკიდა.

— მე და ჩემი ქმარი ძალიან ვწუხდით, როდესაც გავაცილეთ. გვეშინოდა, გზაზე არ დაიჭირონთქვა. მაგრამ, მადლობა ღმერთს, ყველაფერი კარგათ მოწყობილა.

ნეტავი როგორ ცხოვრობს, როგორ მოეწყო?

— მშვენივრათ, მშვენივრათ.

სერგეიმ სრულებითაც არ იცოდა, სად ან როგორ ცხოვრობდა ნიკოლაი. მხოლოთ ერთხელ ნახა იგი, წამოსვლისას, როდესაც მისგან მიიღო საგზავროთ საჭირო ცნობები.

— მე თქვენთან ბარგისათვის ჩამოვედი — მრავალ მნიშვნელოვანი გადა-ხედა მან ელიზავეტა სემიონოვნას. თქვენთან არის, არა?

ბიბლიოთეკა

—შრიფტი?

დიახ.

— ჩემთანაა, ჩემთან. მაგრამ რამდენი დავიდარაბა დაგვატყდა მის გამო! ვმალეთ, ვმარხეთ. რამდენი გადავმალეთ კიდევ? ჩვენს ქალაქში გაუთავებელი ჩხრეკა იყო.

სერგეი საღამომდის დარჩა ამ პატარა სუფთა ოთახებში, სადაც ასე ტკბილათ იდგა ვაშლების და თაფლის სუნი. ჩაის სმის დროს გაუთავებელ კამათში ჩაება ელისაბედ სემიონოვნასთან და მის ქმართან; უმტკიცებდა მათ, თუ როგორ უსაფუძლოა ტოლსტოის ოცნება—„ნუ ეწინააღმდეგები ბოროტებასო". ელისაბედის ქმარი ჩაფიქრებული იყო და მოციქულებრივი სახით რბილათ ეწინააღმ-დეგებოდა. მაგრამ ამ სირბილეში იგრძნობოდა ფოლადი, რომელსაც ვერ გასტეხ.

„რა კარგი, რა საყვარელი ხალხია"!—ფიქრობდა სერგეი, როდესაც ეტლით უკან სადგურისაკენ ბრუნდებოდა. დიდი კალათი ფეხების ქვეშ ჰქონდა.

კალათის სახელოზე მობმული იყო წვრილი ბაწრით თეთრი თუნუქის საჩაიე.

ჭერქვეშა რევოლიუციონერის ცხოვრება სერგეის მუდამ აგონებდა ფუტ-კრის ცხოვრებას, რომელიც აგროვებს მინდორსა და ბაღებში ძვირფასი თაფ-ლის წვენს.

უცნობი ქალაქები, სხვისი სახლები და ოჯახები, ადამიანები, რომელთაც ხვდები მხოლოთ პირველათ და იქნებ უკანასკნელადაც, იყვნენ ის ყვავილები, რომელთა სილრმეში ყოველთვის ანთია თანაგრძნობის ცეცხლი, ლამპარი ერთი და იმავე უდიდეს სიყვარულისა თავისუფალ და მშვენიერ მომავლისადმი. და ასეთ შემთხვევით შეხვედრილ დღემდის უცნობ ადამიანთან გაიბმოდა ლაპარა-კი, არა ცხოვრების ყოველ დღიურობაზე, არამედ ხალხის, იდეალების და საერ-თოთ საკაცობრიო ბედნიერების შესახებ. და შეიძლება ამიტომაც, ასეთ შეხვე-დრას შემდეგ რჩებოდა გულში რაღაც ნათელი და მხიაული. უფრო მეტად მჯე-როდა, ადამიანები კი, რომლებსაც ეს არის ეხლა დაშორდი,—სჩანდენ კეთილ მშვენიერ არსებად. და სრულებითაც არ გაშინებდა ცხოვრების დაბრკოლებანი და ხიფათნი. კალათი შრიფტით წარმოადგენდა იმ სასწაულმოქმედ საშვალე-ბას, რომელიც ბოლოს გადაარჩენს და გააბედნიერებს კაცობრიობას.

— კარგი ქალაქია ნიჟნი!—უთხრა მეეტლეს სერგეიმ, რადგან გრძნობდა რომ უნდა ეთქვა რაღაცა.

— დიახ, პირველი ქალაქია.—თავმომწონეთ უპასუხა მეეტლემ,—ასეთ იარ-მუკას ვერსად ნახავთ. მოსკოვიდან ბრძანდებით?

— ჰო, მოსკოვიდან. დასთან ვიყავი. და მყავს აქ გამოთხოვილი—დაიწყო ტყუილები სერგეიმ. თან გასცქეროდა მეეტლის ზურგს და ფიქრობდა, მეეტლეები ხშირათ ჯაშუშები არიანო.

— თივა როგორ ფასობს თქვენში?

— თივა წელს ძალიან ძვირია.

„მეეტლებისათვის თივა და ქერი ყოველთვის ძვირია“, გასჩურჩულა სერგეიმ, და რატომლაც დარწმუნდა, რომ ეს მეეტლე „შპიკი“ არ უნდა იყოსო. დაწყნარდა და დაიწყო ლაპარაკი იარმუკაზე.

ვაგონში სერგეი ჩვეულებრივ მიირთმევდა ჩაის, ჭამდა ძეხვებს, ბაასი ჰქონდა გაბმული მის წინ მჯდომ ერთ „პატივცემულ მოქალაქესთან“. ათვალთხებდა იატაკზე და შემდეგ ჩექმებით სრესდა ნაფურთხს. როდესაც მოსკოვს მიუახლოვდენ, ორჯერ გაიარა წინ და უკან ვაგონი. საეჭვო არაფერი იყო: მგზავრები—როგორც მგზავრები.

„მგონი, ყველაფერი თავის რიგზეა!—გაიფიქრა მან.—კურსკის სადგურზე გადმოვალ ამ „პატივცემულ მოქალაქესთან“ ერთათ, დაუწყებ ლაპარაკს, ასე აჯობებს!...

— ნეტავი ამათ, სად მიეჩქარებათ?!—გადულაპარაკა „პატივცემულ მოქალაქეს“, როდესაც მატარებელი გაჩერდა და მგზავრები ეცენ გამოსავალს,—ყველანი გავალთ, ყველანი. მოვასწრებთ...

— ეჰ, უკულტურობა ხალხი, უკულტურო.

— დიახ... ჰო...—რაღაც გაურკვევლათ დაეთანხმა „პატივცემული მოქალაქე“ და შეიჭრა ხროვაში, რომელიც მოედანზე უკვე გაჩნდა.

მძიმე კალათი ძალიან ეჭაჩებოდა ძირს ცალ ბეჭს, მაგრამ სერგეის თავი ეჭირა თავისუფლათ, ყველას აჩვენებდა—კალათი სულ მჩატეა, მსუბუქიო.

— ერთხელ, შარშან წინ, მაგალითად, გამაგზავნა ბატონმა ცარიცინოში—ხმა-მაღლა გაჰყვიროდა ტყუილებს და „პატივცემულ მოქალაქესთან“ ერთად გვერდით მიიწევდა გასავლისაკენ,—ჰო და წარმოიდგინეთ, წავედი, ჩავედი...

ვიღაცის განიერმა ხელმა მაგრად ჩასჭიდა სერგეის ნიდაყვთან. მან ვერ მოასწრო აზრის დამთავრება, მოზრდილი ჟანდარმი გაჩნდა სულ ახლოს... მარცხნივ ვიღაც მეორე, სამოქალაქო ტანისამოსში ხელს იწევდა კალათისაკენ.

აზრი დაიშალა წვეტიან ნატეხებათ.

„სადგური... ხალხი ბევრია... დავიმალები!!“.

მეჯლუგუნისგან ჟანდარმს ქუდი ძირს ჩამოუვარდა; მაგრამ ძლიერმა ხელებმა უკან დაახევიეს სერგეის, და მან იგრძნო, თითქოს მთელი ეს სადგური მოფუსფუსე ადამიანთა ხროვა, მთელი თვისი მრავალფუთიანი სიმძიმით მას ჩამოეკიდა ბეჭებზე. ათეული თვალები ყოველ მხრიდან მისცქეროდენ სერგეის. შიში, გაურკვევლობა, ცნობისმოყვარეობა მოსჩანდა მათში, მაგრამ ყველანი უცხონი იყენენ, სხვები... და მწარე შეგნება მარტოობისა. მწუხარე და ამავე დროს დამაწყნარებელი; როგორც ფოლადი გულში, ისე მოედვა სერგეის.

ჟანდარმის სამორიგეო ოთახში სერგეიმ მოიხადა ქუდი და გაიწმინდა ოფლიანი შუბლი. კალათას დააკვირდა და დაინახა, რომ მას უკვე ხსნიდა ვიღაც კაცი, სამოქალაქო ტანისამოსიანი. გულწრფელი მწუხარებით წარმოსთქვა:

— ნაშ, რა ჯანდაბისათვის მოვათრევდი ამას?!

— ალბათ ჩვენთვის, რომ ნაკლები დავიდარაბა დაგვჭირებოდა, — ბესლიანათ უპასუხა საბოქალაქო ტანისამოსიანმა და კალათიდან ამოხედა სერგეის.

სერგეიმ ზიზღით და სიძულვილით მიაფურთხა მას — ამიერიდან მბრალის დაუვიწყარ ცხვირდიდა ბუზანკალას შიგ ულვაშებიან სახეში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

IV

სერგეის დატუსაღების შესახებ პირველად გაიგო ადოლფმა. სერგეიმ მოახერხა გადაეგზავნა მისთვის პატარა წერილი: „დამატუსაღეს კურსკის სადგურზე ჩამოსვლისას. უეჭვოა პროვოკაცია. სერგეი“.

წაიკითხა წერილი და სარკესთან მივიდა; სარკიდან იცქირებოდა მოსულელო სახე, ცხვირს თითი წაჭერა და თავი დაუკრა:

— გამარჯობა, კეთილი იყოს თქვენი მობრძანება!

შემდეგ კიდევ ერთხელ გადიკითხა წერილი. საშინელი იყო უკანასკნელი ორი სიტყვა: „უეჭვოა პროვოკაციაა“. აჩქარებით ჩაიკუჭა ყველა ჯიბეებში ათიოდე გაზეთი — უგაზეთოთ ადოლფს თავისი თავი ადოლფათ არ მიაჩნდა.

და გაიქცა ნატაშასკენ. როცა ქუჩაზე მიდიოდა, ეგონა, თითქოს ის ვაგონშია და მატარებლის ბორბლებში თავის მომაბეზრებლათ მოსთქვამდენ ერთ და იმავე სიტყვას: „პროვოკაცია, პროვოკაცია, პროვოკაცია“... თავში და ენაზე ეს სიტყვები ჰქონდა, როცა სასოწარკვეთილებით ჩამოჰკრა ზარი ნატაშას ბინაზე. კარები თვითონ ნატაშამ გაუღო.

და როგორც კი შეხედა ადოლფს, ორივე ხელები დაუქნია — მას შეწუხებული, დაღლილი სახე ჰქონდა.

— ჩქარა წადით! ჩქარა! ეს არის ჩემთან ჩხრეკა იყო.

ყველაფერი დაავიწყდა ადოლფს — მისვლის მიზეზიც, და ბურთივით ჩაბოგორდა ქვევით.

კიბეს ორი მოსახვევი ისე ჩაირბინა, რომ სიზმარში ეგონა თავისი თავი.

— ადოლფ, ადოლფ, ერთი წუთით, — ზევიდან ეძახდა ნატაშა.

მხოლოთ მესამე მოსახვევთან მოვიდა გონს ადოლფი.

— სერგეი დაჭერილია. პროვოკაციაა. — დაუყვირა ქვევიდას ნატაშას და, არც ისმენდა მის ძახილს, ისე ჩამოიფხატა ცხვირზე კეპკა და გამოვარდა ქუჩაში. ყველა ჯიბეებიდან თავ-გამოყოფილი გაზეთები ქნიდნენ მის ბურთივით მრგვალ ფიგურას საკვირვლად სასაცილოს; ადოლფი ძალიან ჰგავდა ნახევრათ გაპუტულს, ფრთებმოტეხილ უცნაურ ფრინველს. რამოდენიმე საჟენი გაირბინა ქვაფენილზე, მსხლით მოვაჭრეს კალათი წაუქცია და, უცებ შეჩერდა, დაფიქრდა და ასევე გაშმაგებით გამოექანა უკან. ნატაშამ, რომელმაც ამ დროს გაალო კარები, სტაცა პიჯაკის კალთაში ხელები და თითქმის ძალათ შემოათრია დერეფანში.

— საით გარბიხართ? მიამბეთ საჩქაროთ, რაშია საქმე? მაქსი უნდა გავაფრთხილოთ! საჩქაროთ, დაუყოვნებლივ შეეიკრიბოთ და რაიმე მოვიფიქროთ...

თქვით ჩქარა, რაშია საქმე? ჩემთან მთელი ღამე იყვნენ, დილამდის. ვერაფერი ნახეს, მისამართების მოსპობა მოვახერხე.

შეშინებული ადოლფი აქეთ იქით თვალყურს ადევნებდა: ჩუმად გადასცა სერგეის წერილი, რომელსაც მოკუმშულ ბურთულის ფორმა მიეცა. მთელი იმ ხნის განმავლობაში, სანამ ის ქუჩებში დაიარებოდა, ადოლფის წერილი ასე ეკავა ხელში და მზათ იყო ყოველ წამს გადაეყლაპა იგი.

ბენიამინ აპოლონის-ძე სახლში არ იყო. ადოლფმა წერილი დაუტოვა მას:

„სერიოჟა მძიმეთ არის ავათ შემოიარეთ და ნახეთ. ბიცოლა ნატალია ანდრეევნაც ძალიან შეწუხებულია, ისიც უქეიფოდ არის". „ბიცოლა" ნიშნავდა კონსპირატიულ ბინას იაკიმკაზე, სადაც ჩვეულებრივათ ხდებოდა კომიტეტის კრებები.

ამ დღეს ქუჩებიც, სახლებიც და ადამიანებიც რაღაც უცნაურად გადასხვაფერდენ. ქალაქის ხმაური—ეტლებით, ტრამვაით, კონკით, მაღაზიებით და ლუდის სავაჭროებით, მრავალ ფეხების მომთმენ ტროტუარებით, სადაც ათასი უცნობი ადამიანები ხვდებიან, გვერდს უვლიან, ერთმანეთს უსწრებენ, თვითეული მიიჩქარის საკუთარ საქმეზე, საკუთარ პატარა თუ დიდი აზრებით და ფიქრებით, სიხარულით და მწუხარებით,—მთელი ეს ფუსფუსი უქმი და საქმიანი, ურომლისოდაც ჭერქვეშა რევოლიუციონერს როგორც თევზს უწყლოთ, არ შეეძლო სიცოცხლე და სუნთქვა,—ყოველივე ეს წააგავდა უზარმაზარ ზღარბს, რომელსაც თავისი წვეტიანა ნემსები გამოუშვერია თვითეულ მოსახვევში, ყოველ ნაბიჯზე: ტრამვაის ვაგონში, მეეტლეებთან, ადოლფისთვის უცნობ ქვიტკირის უზარმაზარ შენობების შესავლებიდან. თვითეული გამვლელი გამცემი იყო; ღალატის სუნი იდგა ყოველ ქუჩაზე. ღალატით სუნთქავდა ყოველი ქვა. და იყო ისეთი შეგრძნობა, თითქოს შენს თავზე ირხევა საშინელი ჭერი, რომელიც აი საცაა დაგემსხვრევა თავზე. ხანდისხან კი გეჩვენება, თითქოს აი, მთელი ამ ხმაურობიდან და ქუჩის გრიალიდან წამოიწევა უცნობი ხელი და... გტაცებს, დაგიჭერს. უნებლიეთ მალავდა ადოლფი ბეჭებში თავს და ნაბიჯს უჩქარებდა

სოლოდოვნიკოვის თეატრთან, უზარმაზარ ვარდისფერ აფიშაზე ის ხუთი წუთი კითხულობდა მსხვილი ასოებით დაწერილ სიტყვას „გამცემი" „კარმენი"-ს მაგივრათ. ტვერის ქუჩას გვერდი აუარა, იქ იყო შესახვევი საშიში ჩიხით, რომელსაც კარგათ იცნობდა თითეული რევოლიუციონერი. და თვით სახელწოდება ამ ჩიხისა „გნეზდნიკოვსკი" დღეს ისმოდა რაღაც გველური დაფარული სისინით გამცემლობისა და შხამისა.

ნიკიტინის ბულვარში ადოლფი დაჯდა ცოტა ხნით სკამზე და სახე გაზეთ „რუსკიე ვედომოსტი"-თ დაიფარა. მისი აზრი უიმედოთ დატრიალებდა მოჯადოებულ წრეში.

„... სერგეის დატუსაღება, ჩხრეკა ნატაშას ბინაზე. ღალატია, მაგრამ ვინ?"

პასუხი არ იყო და მეფობდა შიში.

ვილაცა კოტელოკიანი და ოქროს სათვალეებიანი ზედმეტი ყურადღებით ჩააცქერდა ადოლფს სწორეთ მაშინ, როდესაც ამ უკანასკნელმა თავი ამოყო გაზეთიდან. ადოლფმა შეატყო მას და ლორნეტელმა დაურბინა მთელ ტანში— კისრიდან ჩაირბინა ხერხემლით. ეშმაკი თვალები ოქროს სათვალეებიდან ჩაძვრენ ისე ღრმად, რომ იგრძნობდი, თითქმის მონახეს სწორეთ ის, ვინც ყველაზე უფრო ბეჯითათ იყო შენახული. ცდილობდა მოეჩვენებინა, ვითომ ის არაფერზე ფიქრობდა, მაგრამ მაინც გრძნობდა, რომ ფეხები თავისთავად თხოულობდენ გაქცევას. ადოლფი ადგა. გული უძაგძაგებდა როგორც დაჭერილ ბელურას. ნელის, აუჩქარებელი ნაბიჯით გაემართა სწორეთ იმ მიმართულებით, საითაც მიდიოდა ოქროს სათვალეებიანი.

„ეხლავ" აუცილებლივ გამომყვება, „შპიკია".—ხტუნავდა აზრი და ადოლფი ძლივს იჭერდა თავს, რომ უკან არ მოეხედა...

უცებ კუჭმა იგრძნო ნატაშასთან გადაყლაპული სერგეის წერილი. და ისე იგრძნო, თითქოს ეს მიკროსკოპიული ქაღალდი კი არ ყოფილიყო, არამედ ქუჩის დიდი ქვა. ფეხები არ ემორჩილებოდენ ძველს, ჭერქვეშა მომუშავეს, და ლამობდენ გაქცევას, ტანს და კონსპირატორის თმახუჭუჭა თავს, რომელიც ასე აჩერებდა მათ, ბედის ანაბარათ მიტოვებას უპირობდენ.

ასეთ პირობებში ყოველთვის გაიხსნება ხოლმე ფეხსაცმელის შესაკრავი. ადოლფი შეჩერდა, დაიკუზა დი განზე გააყოლა წინ-წამოწეული თვალები. ოქროს სათვალეებიანი აღარსად იყო. მაგრამ სწორეთ მის პირდაპირ გამოიცქირებოდა ორი საძაგელი, ქერა თვალი ვილაც სუბიექტისა, ყავის ფერ კოსტიუმიანისა.

აქ უკვე შეცდომა არ შეიძლებოდა. ადოლფმა სირბილით ჩაიარა ბულვარი და შეახტა მიმავალ ტრამვაის. ყავისფერ კოსტიუმიანმა ღიმილით ხელი დაუქნია, როდესაც მან ვაგონიდან გამოიხედა.

თავის ბინაზე ადოლფი მოვიდა მხოლოთ გვიან საღამოს. ბინის პატრონმა გადასცა პატარა წერილი, რომელიც დატოვა მეტათ სერიოზულმა ვინმემ, რომელსაც შესაბჭნევი ხელი ჰქონდა.

მაქსი სწერდა:

„დღეს მე როგორღაც უქეიფოთ ვარ. შეიხედეთ ნატაშას ბინაზე". სიტყვა „უქეიფოთ" ხაზგასმული იყო. მაგრამ უამისოდაც ნათლათ სჩანდა, რომ მაქსი გაჩხრიკეს.

მაქსის ბინა კი ყველაზე უფრო საიმედოთ ითვლებოდა. მაქსს და მის ბინასაც მეტათ ფრთხილათ უვლიდენ. ადოლფმა მწარედ იგრძნო, რომ მის თავზეც ეშვება გამოუცნობი ულმობელი ხელი. ჩამოჯდა ლოგინზე ისე, როგორც იყო—კეპკით, გაზეთებით ყველა ჯიბეებში, და სახე ხელებში ჩამალა.

ვინ?!.

V

პატარა მრგვალი კეპკის მსგავსი, რომელსაც ფოლაქი კინკიხზე აქვს, დაგორავდა ადოლფის ოთახში და ისროდა ჩქარ, ნერვიულ ფრაზებს. მას ასეთი

ჩვეულება ჰქონდა; უბრალო საკითხებზე მსჯელობის დროსაც კი ნერვიულობდა და ზედმეტათ ღელავდა.

— ყოვლად შეუძლებელია, რომ ასე გაგრძელდეს, შეუძლებელია ვიცადოთ სანამ ყველას არ დაგვიჭერენ! ეს გინდათ თქვენ? თქვენც? არა! არც მე ვინდა! იცით თქვენ, რომ მე აქაც ისეთი გრძნობით მოვდიოდი, როგორც [illegible] ხაფანგში? მე სამი ეტლი გამოვცვალე, ექვსი ტრამვაი. ხუთი [illegible] გავაკეთე, სანამდის მოვიდოდი. სად არის გარანტია, რომ მე, თქვენ, ჩვენ, არ გვითვალთვალებენ? ასე შეუძლებელია!!"

ბენიამინ აპოლონის-ძეს არავითარი აღელვება არ ეტყობოდა: იგი ვითომც აქ არაფერიაო-იგრეხავდა ტუჩის ქვეშ აბუზულ წითელი ბალნების ბუჩქს. სდუმდა ნატაშაც. ადოლფი ყოველ წუთს შეჩერდებოდა მათ წინ და წამოისროდა წინ ხელს, თითქოს გულში ჰქონდეს დაჭერილი ეს აღელვებული მხტუნავი სიტყვებიო.

— ამხანაგებო, მე თქვენ გეკითხებით, რით უნდა ავხსნათ ყოველივე ეს? რით? ორი კვირის განმავლობაში ექვსჯერ ჩავვარდით!! სერგეის დაჭერა, ჩხრეკა ჩვენთან, ნატაშასთან, აგარაკზე კუსკოვოში? რა არის ეს, ამხანაგებო?! ეს — პროვოკაციაა? ეს კი იმას ნიშნავს, რომ ორგანიზაციაში გამცემი გვყავს.

— დასკვნები? — ყრუთ შეეკითხა ბენიამინ აპოლონისძე.

დასკვნები? დასკვნები? — წამოიძახა ადოლფმა და ოთახში ნახევარი წრე შემოიარა. — დასკვნები? ინებეთ! მე მოვითხოვ, რომ ორგანიზაცია დროებით დაშლილ იქნას. — ბენიამინ აპოლონისძემ წარბები შეიჭმუხნა, ადოლფმა შეამჩნია და კიდევ უფრო აიშალა.

რაო, რა გინდათ ამით სთქვათ? — დაეტაკა მას, — თქვენ არა ხართ თანახმა, არა? მაშინ... მაშინ... — სული მოითქვა და ნატაშას გადახედა: მაშინ მე ვაცხადებ, რომ კომიტეტიდან გავდივარ!! მე არ შემიძლია ვიმუშაო ასეთ ატმოსფერაში. მე სრულებითაც არ მინდა ნამდვილ იდიოტის როლი ვითამაშო.

„ИДИОТ"-ს ადოლფი ამბობდა როგორც „ИДИОТ". ოფლის პატარა წვეთები დაასხდა მრგვალ სახეზე. საშინელი დაღლილობით დაეშვა სავარძელში და თვალები ჭერს მიაპყრა. მთელი თავის შეხედულებით ამბობდა, აქ სალაპარაკო აღარაფერია და ჩემთვის ყველაფერი გათავებულიაო.

მარცხენა ფეხი პარკეტზე თამაშობდა და მასთან ერთათ შეწყობილათ თამაშობდენ ორივე ხელის ცერები.

ბენიამინ აპოლონისძემ ჩაახველა.

— მე თქვენი განცხადება, ამხანაგო ადოლფ, მიმაჩნია ულირსათ კომიტეტის წევრისა და ძველ პარტიულ მუშაკისათვის.

ადოლფი წამოხტა სავარძლიდან, როგორც გასროლილი მაშხალა.

— მე კი ბოროტმოქმედებათ მიმაჩნია მუშაობის გაგრძელება, როდესაც ორგანიზაციაში ჯერ კიდევ აღმოუჩენელი გამცემლობაა!! — წამოიძახა მან.

ადგა ნატაშა და ადოლფს ხელი მოკიდა... ადოლფი კი გაშმაგებით შებრუნდა მისკენ, მ'ხათ იყო საწინააღმდეგოთ.

— მაგრამ მე? მაქსი?—ჩუმად სთქვა ნატაშამ და თვალებში ჩააცქერდა მას.—თქვენ ხომ მარტო არა ხართ, კომიტეტში... ჩემო ადოლფ, ასე არ შეიძლება.

როგორც ველური, რომელიც ეხლა ხანს დაამშვიდეს, ადოლფი მოიკუმშა და ჩაჩუმდა; აიბურძგნა ხუჭუჭა თმები და დაღუშული ჩაუდგა სავარძელში. ხან მხრებს ათამაშებდა, ხან ფეხს და ხმამაღლა სუნთქავდა [illegible] ყოველთვის ნიშნავდა ზედმეტ მღელვარებას.

— მე გუშინ წერილი მივიღე ორლოვის ცენტრალიდან.—ნატაშამ ამოიღო წვრილი ასოებით დაწერილი ქაღალდის ფურცლები და გაუწოდა ადოლფს.—წაიკითხეთ. იქ ამხანაგები ვერ უძლებენ წამებას, დაცინვას და თავს იკლავენ, ჩვენ კი გვინდა მუშაობას გავეჭცეთ... როგორ, ორგანიზაცია დავშალოთ? მაგრამ გულს კი როგორ უბრძანებ, ნუ სცემთქო!!

ნატაშა გაჩერდა სავარძელთან, ადოლფის წინ, რომელიც სისწრაფით ათვალიერებდა დაწერილ ფურცლებს.

— დიახ! ასე არ შეიძლება, ადოლფ. არა!

— მაშ რა ვქნათ, რა?—გრძნობით წამოიძახა... ადოლფმა, წერილი ხელში დაკუჭა და მიუბრუნდა ბენიამინ აპოლონისძეს, რომელიც მაგიდასთან იჯდა. იქითკენვე მიბრუნდა ნატაშაც.

წელში მოხრილი და ზედმეტად მოხუცებული იჯდა ბენიამინ აპოლონისძე, ფანჯრით ხელში, და უშნოთ უცანცალებდა მარჯვენა ულვაში.

ის სდუმდა ღრმათ და ჯიუტათ გართული იყო რაღაც აზრებში.

— მაგალითად, რით უნდა აიხსნას სერგეის ჩავარდნა; ეხლა უკვე დამშვიდებით დაიწყო ადოლფმა,—ყველაფერი იმას მოწმობს, რომ აქ აუცილებლივ იყო გამცემლობა. პოლიციამ იცოდა სერგეის წასვლა, უცდიდა მას. სერგეი ასეთ საქმეში საკმაოდ გამოცდილია, ის ამტკიცებს რომ ის გასცეს!! ჩვენს მეტმა ხომ არავინ იცოდა მისი წასვლა?

ბენიამინ აპოლონისძემ ადოლფისაკენ გადაიტანა თავისი მძიმე, დაკვირვებული თვალები.

— რას მიცქერით?—ჰკითხა ადოლფმა.

— განაგრძეთ, განაგრძეთ,—ჩუმათ სთქვა ბენიამინ აპოლონისძემ, თვალები კი ნატაშაზე გადაიტანა, თითქოს ეხლა იმას ეუბნება: ყურადღებით მოისმინე, რასაც ლაპარაკობენო!

— ვიფიქროთ თუნდაც ერთი წუთით, რომ მის კვალს მიაგნეს წიგნში. მაშ საკითხავია, რატომ არ დაიჭირეს იქვე? გარდა ამისა, მე ვერ წარმოვიდგენია, სერგეი ვერ მიხვედრილიყო, რომ მის კვალს მიაგნეს! შემდეგ, ეს აგარაკი კუსკოვოში? აქაც ყველაფერი იმას ამბობს, რომ „ოხრანკას“ ცნობები ჰქონდა მცოდნე კაცისაგან. რაღა მაინც და მაინც პირველათვე იმ საწყობს ეცენ სადაც ინახებოდა იარაღი, საბეჭდი მანქანა? კიდევ, ბინა დოლგოროუკოვის ქუჩაზე? დაბოლოს ეს ჩხრეკა ჩვენთან. თქვენი ბინა ხომ არავინ იცოდა გარდა ჩემისა და ნატაშასი.

ნატაშა, რომელიც ფეხაკრეფით დაიარებოდა ოთახში წინ და უკან, უცებ

შეჩერდა: უცხაურათ გადახედა ბენიამინ აპოლონისძეს და, თითქოს მოიშორა რალაცაო, თავი გაიქნია.

— სერგეის წასვლა იცოდა კიდევ ერთმა კაცმა,— ჯოლდ ჩაილაპარაკა ბენიამინ აპოლონისძემ, და გადახედა რიგ-რიგობით ჯერ ადოლფს, შემდეგ ნატაშას.

ამ სიტყვების შემდეგ სიჩუმე დავიდა უკანასკნელ საზღვრამდის, როდესაც იგი ემსგავსება ბასრ სამართებელს, როდესაც იგი პირით ადგია ღია კისერს. ფანქრის ნატეხმა გაიფხაჭუნა მის ხელში ქაღალდზე; წიგნის ფურცელი გაიხა და ფანქარიც შიგ ჩაიმალა. ადოლფი მთელი ყურადღებით მიუახლოვადა მაგიდას, გატეხილ ფანქარს, ბენიამინის პატარა ტუჩებს, რომლებიც მზათ იყვნენ ასამოძრავებლათ, მაგრამ ნატაშამ დაასწრო:

— ნიკოლაი!

ბენიამინ აპოლონისძემ მწარეთ ჩაქინდრა თავი. რამდენიმე ხანს სამივენი სდუმდენ. სიჩუმე დაარღვია ბენიამინ აპოლონისძემ.

ის დაწვრილებით მოუყვა თავისი შეხვედრის შესახებ ნიკოლაისთან: დეტალებათ განიხილა ყველა წვრილმანი ჩხრეკის და დაჭერების, რომელთაც ქონდათ ადგილი ნიკოლაის ჩამოსვლას შემდეგ და ურყევი შეიქნა უბრალო და თავის უბრალოებში საშინელი ფიქრები; გაჩხრიკეს მაოლოთ ის ბინები, რომლებიც იცოდა ნიკოლაიმ.

— მძიმე და საშინელია ასეთი იჭვის გამოთქმა, —დაამთავრა ბენიამინ აპოლონისძემ— მაგრამ ჩვენს წინაშე არის საკითხი ორგანიზაციის ყოფნა-არყოფნის. აი რატომ ვლებულობ მე ჩემს თავზე პასუხის-მგებლობას.

ადოლფი გაღებულ ფანჯარაში იცქირებოდა, მაგრამ მისი ხუჭუჭა ჯიუტი თავი გულმოდგინეთ ისმენდა ყოველ სიტყვას, რომელიც კი მოისმოდა მის ზურგის უკან. ნაღვლიანი ნატაშა მაგიდასთან იჯდა. მან ყველაფერი იცოდა, რასაც ბენიამინ აპოლონისძე ამბობდა.

მაგრამ იცოდა მან ისეთი რამეც, რაიც ვერ თავსდებოდა ვერავითათ ფაქტების და ლოლიკის საზღვრებში.

— მე კი არ მჯერა—სთქვა მან, როდესაც დაამთავრა ბენიამინმა—არ შემიძლია დავიჯერო... როგორც გენებოსთ, მაგრამ... მე არა მჯერა, როგორც კი გავიხსენებ მას... არა, არა მჯერა.

— მე ხომ არაფერს ვამტკიცებ,—შენიშნა ბენიამინმა,—იჭვიდან მტკიცებამდის დიდი მანძილია.

— მაქს! თქვენ კი გჯერათ?—შეაჩერდა მას ნატაშა—გულით გჯერათ?

ბენიამინმა თავზე მოიკიდა ხელი.

— ეჰ! ნატაშა,ნატაშა!! არა, რასაკვირველია არა, არა მჯერა. გული მეწინააღმდეგება, მაგრამ ფაქტები? რით უარვყოთ ეს ფაქტები, რით? მოიგონეთ კლავდია პელიაკოვა!! განა რომელიმე ჩვენთაგანი, თუნდაც ერთი წუთით იფიქრებდა, რომ ჩვენი კარგი, უწყინარი კლავდია—და მაძებარ პოლიციის თანამშრომელი? არავინ, განა თქვენ ამას თავში გაიელვებდით?

— არა.

— აი, ხომ ხედავთ! არაეის ეგონა. ნამდვილათ კი ის კეთილი და მშვენიერი კლარა გამოდგა ბოროტი, ანგარებიანი, გამყიდველი. რამდენი ხალხი დაიღუპა მის გამო—ფიქრისაც მეშინია! არა, ათასჯერ არა! — და ხელს გული დაარტყა მაგიდას—ნაკლებათ დაუჯერეთ გულს ასეთ საქმეებში. ერჩყევით მხოლოდ ზედმეტათ ცივს, მკვეთრ გონებას და ლოლიკას!! [illegible] ბიბლიოთეკა
ნატაშა!

ადოლფი უცებ შემოტრიალდა.

— ამხანაგებო, ჩემის აზრით საჭიროა ამის გამოკვლევა! ასეთ საქმეებში შეცდომა დაუშვებელია. უნდა გამოვარკვიოთ.

უდიდესი მადლობით იყო აღვსილი ნატაშა, როდესაც მან ადოლფს გადახედა.

ბენიამინმა მოკლეთ შეაწყვეტინა ადოლფს:

როგორ?!

— მე მყავს ერთი ნაცნობი ოჯახი სოკოლნიკებში. არავითარი დამოკიდებულება რევოლიუციონურ ორგანიზაციებთან ამ ოჯახს არა აქვს; ძალიან წმინდა ოჯახია ყოველ მხრით. იქ გავგზავნოთ ის კაცი. უთხრათ ვითომ იქ იყოს იარაღის საწყობი. ისიც მივახვედროთ, რომ იარაღი საკუჭნაოში ინახება; იქ საკუჭნაოც აქვთ... ხომ გაიგე? თუ პროვოკატორია — გასცემს აუცილებლათ. შეიძლება აგრეთვე ისიც დაუმატოთ, რომ იარაღი იქედან მალე იქნება გადატანილი სხვა ბინაზე, მაშინ აუცილებლათ აჩქარდება და შეატყობინებს, სადაც ჯერ არს...

— საეჭვოა რომ ასეთ ანკესზე წამოეგოს—თავის გაქნევით სთქვა ბენიამინმა, თუმცა... ჰო, ვიცადოთ მაინც... თქვენ რას იტყვით, ნატაშა?

— მე თანახმა ვარ. ასე თუ ისე, რაღაც უნდა მოვიმოქმედოთ.

— მე აქედან ეხლავ წავალ სოკოლნიკებში—სთქვა ადოლფმა,—თუ კი ამან არავითარი შედეგები არ მოგვცა, მაშინ ვეცდები თვალყური ვადევნოთ მას...

— დათანხმდებიან კი თქვენი ნაცნობები ასეთ ექსპერიმენტს?—იკითხა ბენიამინ აპოლონისძემ,—ჩხრეკა არც ისე სასიხარულო რამ არის. მართლა, ვინ არიან ისინი?

— სრულიათ უწყინარი, ობივატელები, მშვენიერი ხალხი, მეტი არავინ!! დარწმუნებული ვარ, დამეთანხმებიან. მართლა, ცოტათი თქვენც უნდა იცნობდეთ მათ, მაქს! გახსოვთ, როგორლაც ჩვენ ერთათ მოვხვდით ერთ სახლში ტიხონოვის ქუჩაზე? შარშან ზაფხულს.

— არა, არ მახსოვს!—ეცადა მოეგონა. მაგრამ ვერ მოიგონა ბენიამინმა, ადგა და საათს დახედა. დროა დავიშალნეთ! ვინ წავა პირველათ? თქვენ ადოლფ? მაშ ასე, გისურვებთ წარმატებას თქვენი გეგმის განხორციელებაში... თავს მოუარეთ, მეგობრებო, ჩვენს კისერზე, ბევრი, ბევრი რამ არის. თქვენ კი ნატაშა,—და შეაჩერა თავის ხელში ნატაშას ხელი,—არ დაგავიწყდეთ კლავდია პოლიკოვას მაგალითი. გული ყოველთვის არ ამბობს მართალს. მე ვიცი, მე მესმის კარგა, რა მძიმეა თქვენთვის, მაგრამ მეც ხომ მიჭირს, ჩემო

კარგო ნატაშა მეც!... — ხმა აუთრთოლდა ბენიამინს, ზურგით მიაბრუნა კარებისაკენ ნატაშა და უთხრა:

— წადით, წადით!

VI

ადოლფი კომიტეტის სხდომიდან პირდაპირ სოკოლნიკებში გავიქეცი. ორი საათის შემდეგ კი ისევ ნატაშას კარებთან იყო.

— ყველაფერი გაკეთებულია. ისინი თანახმანი არიან. ხვალ, ან და თუ გინდ დღესაც გაგზავნეთ იქ რაიმე დავალებით. არ დაგავიწყდეთ—გააგებინეთ სად ინახება იარაღი. მე ვთხოვე მათ თუ ჩხრეკა მოხდა, თქვენ შეგატყობინონ... ეხლა ნახვამდის, დროა წავიდე სახლში. მგონი დღეს უნდა მოვიდეს ის ჩემთან—მე მინდა სხვა ბინაზე გადავიდე.

ნატაშამ ცოტა ხნით შეაჩერა ადოლფი.

— ჩემო ადოლფ მითხარით მართალი, თქვენ გჯერათ, რომ ნიკოლაი გამცემია?

— არ ვიცი, აი, ვნახავთ!—არ გასცა პირდაპირი პასუხი ადოლფმა და, ცოტა მოლუშულმა, კარებისაკენ წაიწია.

— ერთი წუთით მოიცადეთ... ვთქვათ, ასეთივე ფაქტები ჩვენს წინააღმდეგაც დაგროვდა. თქვენ დაიჯერებდით, რომ მე..? ნატაშამ არ დაამთავრა, სურიოზულათ შეჰყურებდა ადოლფს თვალებში.

— ადოლფმა ბეჭები შეიშმუშნა და ხმაურით ამოისუნთქა.

— დაიჯერებდით?

— ეს ხომ... შეუძლებელია!— ჩაილულლუღა ადოლფმა.

— რატომ?

— შეუძლებელია!

— მაგრამ რატომ?

ადოლფმა ისეთი სახით გადახედა ნატაშას, თითქოს ერთი წუთით მართლა დაიჯერა, ვითომ რომ მის წინაშე მოღალატე მდგარიყო, და გააქნია ჯიუტი ხუჭუჭა თავი.

— მაშინ მეც, დიახ მეც... პროვოკატორი ვარ! —უცებ დაასკვნა და სწრაფადვე დაუმატა,—საერთოთ, პრინციპიალურათ წინააღმდეგი ვარ ასეთ კითხვებზე პასუხის მიცემისა. სისულელეა! ნახვამდის!...

—:—

ადოლფი ცხოვრობდა ერთ ერთ შესახვევში, მაცხოვრის ეკლესიის ახლოს. ოთახი ჰქონდა ნაქირაები ერთ მოხუც მოხელის ცოლისგან, რომელიც მსახურობდა ღვინის საავჭროში. ბინა მოთავსებული იყო მეორე სართულზე საავჭროს ზევით. მარტოხელა და უშვილო პელაგია ივანოვნა დედასავით შეეთვისა თავის მდგმურს.

პასპორტის მიხედვით ადოლფი ითვლებოდა კალუგის გუბერნიის გლეხათ—პეტრე პეტრესძე ლაპატინი.

ხშირათ, ჩაის სმის დროს, პელაგია ივანოვნა ნახევრათ ბრმა თვალებით გადახედავდა ხოლმე თავის მდგმურის ხუჭუჭა და კუპრივით შავ თავს და იტყოდა: —პეტრ პეტროვიჩ. თქვენს ხასიათში კოლუგისა მხოლოთ თქვენ სიწყნარეა, მეტი არაფერია.

დაძინების წინ პელაგია ივანოვნა სულ ლოცულობდა [illegible] ცოდვებს აღიარებდა. არ შალავდა, რომ უყვარდა და გრძნობ[illegible] ეწვეოდა რევოლიუციონერები. და როდესაც ერთხელ (დიდიხანია მას შემდეგ), შეატყო რომ მდგმური დაფეთებული გარბოდა კარებისაკენ ყოველი ზარის ხმის დროს, პელაგია ივანოვნამ შეჰყო თავი მისი ოთახის ნახევრად გაღებულ კარებში და მნიშვნელოვნათ ჩაახველა.

— პეტრ პეტროვიჩ, სჯობია მე შეგინახო აი ის ფუთა. —ჩუმათ წაილაპარაკა მან.

— რომელი ფუთა? აწრთლდა ადოლფი.

— აი ის, გუშინწინ რომ მოიტანეთ... იგი თქვენს ლოგინის ქვეშ უნდა იყოს. მომეცით, მომეცით, ქვევით საწყობში დავმალავ. ვის მოუვა თავში მისი იქ ძებნა?!.

და მის შემდეგ ძალიან ხშირათ, სანდო დღეებში პელაგია ივანოვნას მიჰქონდა ადოლფის „ფუთები“ და მალავდა საწყობში, სადაც ბლომათ იყვნენ უჯრები არყის ბოთლებით და ცარიელი ჭურჭლები.

—:—

ადოლფი რომ დაბრუნდა ბინაზე, თავდაპირველად გააჯავრა პელაგეა, რომ იგი ახალ ბინაზე გადადის. პელაგეა ძლიერ შეწუხდა, ნაწყენიც იყო.

— ეჰ, რამდენი ხანია ერთად ვცხოვრობდით, კეთილად... ალბათ არ მოგეწონათ აქაურობა და ვეც მოგბეზრდით...

ადოლფი ყოველნაირად ცდილობდა დაემტკიცებინა მოხუცისათვის, რომ იგი ცდებოდა, მაგრამ პელაგია პასუხათ მხოლოდ თავს აქნევდა და თვალებზე ცრემლები არ უშრებოდა.

— რა უყოთ! ალბათ მოგწყინდათ აქ. ღმერთი გაპატიებთ, მე კი თქვენს წინააღმდეგ არაფერი მჭონდა, მეცოდებოდით კი... მერე, როდის გინდათ მიმატოვოთ?

როგორც კი გაიგო ადოლფმა ნატაშასაგან, რომ ნიკოლაიმ იცის მისი მისამართი, მაშინვე გადასწყვიტა ბინა გამოეცვალა დაუყოვნებლივ. მაქსს უკვე უთხრა თავისი ახალი მისამართი—ფიქრობდა დროებით დაბინავებას ერთ ნაცნობ ექიმთან. მაგრამ ეხლა, როცა თვალწინ შეწუხებული ⁄ დანაღვლიანებული პელაგია ივანოვნა დაუდგა, ცოტა შეირყა და მის კითხვაზე პასუხი არ გასცა.

— ოდესმე ყველაფერს გაიგებთ, პელაგია ივანოვნა! —ამბობდა ადოლფი და თავის ოთახისაკენ მიიწევდა; მეც შეგეჩვიეთ. განა ფიქრობთ, ვითომ მე კი მინდოდეს თქვენი მოცილება? მე თქვენ ძალიან მიყვარხართ, პელაგია ივანოვნა!!.

— ეჰ, სადაური სიყვარულია!?—უპასუხა პელაგია ივანოვნამ, თან ოთახში მისდევდა.

— თქვენ, ახალგაზრდებს, აბა სად გცალიათ ჩვენთვის, მოხუცებულთათვის,—ეჰ, სადაური სიყვარულია!? გული კი გრძნობს—კეთილს არ მოასწავებს ყოველივე ეს... ჰო, სულ არ დამავიწყდა, ჰკუიდან შევიშალე! თქვენთან ვილაც ახალგაზრდა იყო.

ადოლფი შეტორტმანდა.

— როგორ? მერე, როდის იყო? როგორი შესახედავი იყო? რა მინდაო? ოთახში იყო?

— რას ამბობთ, რას, პეტრ პეტროვიჩ, როგორ შეიძლება სხვის ოთახში უცხო ადამიანის შეშვება? განა მე კი არ ვიცი? აბა რას ამბობთ!.. ჰო, ქერა იყო, რალაც უსიამოვნო. სულ მეკითხებოდა, როდის არის ხოლმე შინაო.

ადოლფი ჩამოჯდა ფანჯრის ფიცარზე; ფანჯარა შესახვევისაკენ გაიყურებოდა. მაცხოვრის ეკლესიის უზარმაზარი ოქროს გუმბათი სულ ახლოს მოსჩანდა. ქვევიდან, ზამოსკოვრეცკის რაიონიდან და ხიდიდან მოისმოდა ტრამვაის ზარის ხმა და ყრუ ხმაური. ქუჩებში ფანრებს ანთებდენ: პელაგია ივანოვნამ შემოიტანა სამოვარი და გამთბარი ვახშამი.

ადოლფი სჭამდა ბევრს, დიდხანს და ხარბათ.

როდესაც საკმაოდ დანაყრდა, მთელ ტანში იგრძნო რალაც ტკბილი დალლილობა და მიწვა ტახტზე. სწრაფად ჩაეძინა: უკანასკნელი მისი ფიქრი კი ის იყო, რომ როგორმე არ დასძინებოდა:

შუალამე გადასული იქნებოდა, როდესაც გამოელვიძა.

გადახედა საათს, ლოგინს, ვახშმის შემდეგ დარჩენილ ცალიერ ტაფას და დაიწყო ტანისამოსის გახდა; მტკიცედ გადაწყვიტა: აუცილებლივ ხვალ უნდა გადასულიყო ახალ ბინაზე.

— ამალამ არაფერი იქნება. თუ ის ნამდვილად პროფოკატორია, ეხლა ჩემთვის არ ეცლება, სოკოლნიკებში წავლენ იარაღის საძებრად

ფანჯარაში, რომლებიც გადადიოდა ასფალტით მოკირწყლულ ეზოში, შემოძვრა თავდაჭერილ ფეხების ხმაური რამდენიმე კაცისა. ადოლფმა ჩააქრო სინათლე და გადიხედა ფანჯარაში. ეზოს ორი გასავალი ჰქონდა: ერთი ჭიშკრით შესახვევისაკენ, მეორეთი კი—ვოლხონკისაკენ. სწორედ მოდიან ვოლხონკისაკენ, ეზოს ფანრების სუსტი შუქით განათებულნი მწკრივად მოდიოდენ ვილაცეები. წინ მოუძღოდათ ბოქაულის ნაცრის ფერი ფარაჯა.

— ჩხრეკა?!

— პიდჯაკი ნახევრად ჩაიცვა და ოთახიდან გამოვარდა.

— პელაგია ივანოვნა, პოლიცია!—ჩახლეჩილათ დაიძახა მის ოთახის კარებთან.—ჯერ არ გაულოთ! მოიცადეთ! მე ქვევით, დუქანში...

აჩქარებით გლეჯდა უბის წიგნაკიდან ფურცლებს, პირში იდებდა და გაპირვებით ჰყლაპავდა.

სამზარეულო ოთახის იატაკში გაკეთებული იყო ჩასავალი კიბე ქვემოთ, ლეინის დუქანში. საწყობის მეორე კარები ეზოში გადიოდა. კარები იხურებო-

და ურდულით შიგნიდან. ადოლფი ჩაგორდა ქვევით, როგორც ბურთი და კარებთან გაშეშდა: ყურს უგდებდა.

პელაგია ივანოვნას ხმა კითხულობდა ზევით:

— ვინა, ხართ?

რა უპასუხეს, არ ისმოდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ეხლავე, ეხლავე—იძახდა პელაგია ივანოვნა,—გახსნ[illegible] ეხლავე გავალებ.

ზარმა გულმოსულად დაიწკარა წკრიალი ადოლფის თავზე. მას ესმოდა, როგორი ხმაურით გაიღო კარები, ესმოდა მძიმე ნაბიჯები ზევით, მარჯვნივ, სადაც მისი ოთახი იყო. ფრთხილად მოხსნა ურდული და ფრთხილადვე გააღო კარები, შიშით, რომ არ გაეგონათ.

— „ლებიაჟის შესახვევით რუმიანცევის მუზეუმისაკენ, იქ ეტლსაც ვიშოვი" — სწრაფად დატრიალდა აზრი.

ჩამოიფხატა კეპკა, ნაბიჯი გადადგა, გამოვიდა კარებში და პირდაპირ პოლიციელს შეეფეთა.

გაჩერდი!!

საიდანაც გამოძვრა კიდევ ერთი ბნელი ფიგურა და მძიმედ ჩამოეკიდა ადოლფის მარცხენა ხელს; თანაც შეშინებული გაჰკიოდა.

— არ გაუშვა, არ გაუშვა!!

ადოლფის დღე გათავდა.

VII

ეს იყო ოთხშაბათს, ხუთშაბათ ღამეს კი პოლიციის გაძლიერებული რახმი უახლოვდებოდა სახლს № 8 ტიხონოვის ქუჩაზე. მიდიოდენ ეიწრო ქუჩით, ფიქვების ჩრდილში, თითქოს შეუმჩნეველნი—ეტმასნებოდენ ხეებს, როგორც ბნელი მოჩვენებანი. წინ ორნი ჩუმათ მუსაიფობდენ: ბოქაული და ვილაც მოქალაქე. იფანტებოდა ჰაერში ორკესტრის საიდგანლაც მოსული ხმები.

მოქალაქე ლაპარაკობდა ჩურჩულით:

— ალბათ ალყის შემორტყმა მოგვიხდება. ეზოში არის საწყობი. იქ არის იარაღი. ნანადირევი ბევრი უნდა იქნეს.

— ნანადირევი!—ბოროტად ჩაიცინა ბოქაულმა—გვთხლეშენ შუბლში მაუზერს და კარგი ნანადირევი დაგრჩება.

ბეჭებში ისე გაიზმორა, თითქოს გააცივაო და ნაბიჯს უკლო.

— არაფერია, ივან ფილიპოვიჩ, ვერა გვთხლეშენ, ივან ფილიპოვიჩ, ვერა,—ბლუკუნით, ჩქარი ლაპარაკით ამშვიდებდა ბოქაულს სამოქალაქო ტანისამოსში გამოწყობილი; ხმა უცებ ჩაუვარდა და ჩაეხლიჩა და ისე ჩიფჩიფებდა, როგორც ნედლი შეშა ცეცხლში.—ვერაფერს გახდებიან, ივან ფილიპიჩ, ვერაფერს, ღმერთი მოწყალეა, ივან ფილიპიჩ.

— ერთი შენც გიშოვნია, რაღა ღმერთი!—ჯავრით შეაწყვეტინა ბოქაულმა,—ღმერთი ხომ არ ზის ბრაუნინგებში! აი, გასულ კვირას, სუმჩევკაში წავიდა ასევე კლიმკოვი და...—ბოქაულმა ველარ გაათავა და გადაყლაპა, რაც უნდა ეთქვა.

— მე კი, ივან ფილიპიჩ, მე ყოველთვის ასეთ უპედურ შემთხვევებში, როდესაც ვთქვათ, უახლოვდები, მაგალითად, კარებს, რომლების უკან უნდა იმალებოდეს ბოროტმოქმედი, მე, ივან ფილიპიჩ, ამ დროს ყოველთვის მივმართავ ხოლმე სამხედრო ხერხს. დავიკაკუნებ — „დეპეშა“ ან სხვა რაიმეს მოვიგონებ, დავიკაკუნებ და იმ წამსვე გვერდზე გავხტები, ან და ჩავიჩოქებ [illegible] — თუ ატყდება ბაც-ბაც კარებიდან — მე უვნებლად გადავრჩებ [illegible]

— კაპიუკ! — დაუძახა ბოქაულმა ერთ-ერთ პოლიციელს.

— წაიყვანე ოთხი ჭიშკართან, ორს დატოვებ სახლის კარებთან. ორი დააყენე გზის ორივე მხარეს. თუ შეამჩნიოთ, რომ გარბიან და ძახილზე არ შეჩერდნენ — ესროლეთ, გესმით?!

— დიახ, მესმის, თქვენო მაღალკეთილშობილებავ — ხმა-მაღლა ამოსძახა პოლიციელმა.

— ს-ს-ს — გიჟივით წაისისინა ბოქაულმა — ვირო, ნადირო, ეფიოპო! რას ყვირი! ჩუმათ! გაიგონე, ჩუმად! ეზოს ალყა შემოარტყით ყოველ მხრივ... ფხიზლათ იყავით, თორემ... მე თქვენ გიჩვენებთ! თქვე... დაგალპობთ, გესმის?!

— მესმის! — ჩუმათ უპასუხა კაპიუკმა; — ცოტა უკან ჩაბორჩა და ჯგუფად შეკრიბა რაზმი.

ერთ-ერთ აგარაკის აივანზე, რომელიც პარუსინის საფარით იყო დაფარული, სინათლე მოსჩანდა. პარუსინაზე გადი-გადმოდიოდნენ ვილაცების ვეებერთელა აჩრდილები; მოისმოდა ჭურჭლეულობის ჩუმი რაკუნი ისმოდა:

— პიკი!

— ტრეფა!

— პასს!

— პასს!

ბოქაულმა იქეთ მიიხედა და ამოიხვნეშა:

— ეჰ! აი ცხოვრობენ ადამიანები, როგორც რიგი და წესია!.. ეჰ! ჩვენი სამსახური... ღმერთმა დასწყევლოს, რა არის მართლა, მისცენ ამ წყეულებს ეს კონსტიტუცია და დამფუძნებელი კრება, თუ რაღაც ჯანდაბა!.. მხოლოდ ყუმბარების კეთება აუკრძალონ და იარაღიც აართვან.

— რას ამბობთ, ივან ფილიპოვიჩ, როგორ შეიძლება! — ცოტა სიჩუმის შემდეგ ამოიოხრა სამოქალაქო ტანისამოსიანმა. — მაშინ ხომ აღარაფითარი სამშობლო არ გვექნება. ტახტისა და ქვეშევრდომული გრძნობების საფუძველი ასე უნდა დაილუპოს, ივან ფილიპიჩ!! როგორ შეიძლება.

ჯერ კიდევ არ იყვნენ მისული № 8 სახლთან, რომ შეჩერდნენ. ბოქაულმა ბრაუნინგი ფარაჯის ჯიბეში გადაიდო. კაპიუკი იძლეოდა ჩუმ განკარგულებებს და, როდესაც ბნელი აჩრდილები უხმაუროდ დაიფანტენ დანიშნულ ადგილებზე — ის მივიდა ბოქაულთან.

— ასე რომ, ყველაფერი მზათაა — თქვენო კეთილშობილებავ!

ბოქაული შეაქერდა ბნელ აგარაკს და პირჯვრისწერით მიუბრუნდა სამოქალაქო ტანისამოსიანს: „წინ მობრძანდით“, მიიპატიჟა:

— აბა!?

თვითონ კი უკან დაიხია.

— არა, ივან ფილიპიჩ, პირველად თქვენ... მე კი თქვენ მოგესალმებით, ივან ფილიპიჩ! თქვენ ხომ უფროსი ხართ, ივან ფილიპიჩ, ასე ვსთქვა ეს — მეორეარსარდალი. დიახ! თქვენ წინ გეკადრებათ!!

— თფუი! — გულიანად გადააფურთხა ბოქაულმა, უხმოდ ქალაქული ქამარი და გასწია წინ გაბედულათ, კაპაიუკს დაუძახა:

— კაპაიუკ, ჩემთან!!

— აქა ვარ, თქვენო კეთილშობილებავ! — მოისმა, კაპაიუკის ხმა და იმანაც წინ წაიწია ოოფით. გააღო ჭიშკრის კარები და ყველამ ნაბიჯის აჩქარებით, ჩექმების ხმაურით გასწიეს წინ.

VIII

როდესაც ოთახში ნატაშა შემოვიდა ნიკოლაი რაღაცას სწერდა ქაღალდის ვიწრო ნაჭერზე. წერილი გარკვეული ასოებით. ოლარის „საფრანგეთის რევოლიუციის ისტორია" მაგიდაზე იდვა მის წინ გაშლილი. ნიკოლაიმ — თითქოს შერცხვაო — სწრაფად ჩაიდო ქაღალდის ვიწრო ნაჭერი პინჯაკის ჯიბეში.

— კონსპექტს ადგენთ? — ჰკითხა ნატაშამ. თვალები კი დაინტერესებულად მიაცქერდენ ჯიბეს. სადაც ნიკოლაიმ ეს არის ქაღალდი დამალა.

— არა, ისე... ვწერდი! — კიდევ უფრო მეტად დაიბნა ნიკოლაი, გაწითლდა და პირი მიიბრუნა, — მე თქვენ სულ არ გელოდით; ჩაის ხომ არ მიირთმევთ?

ნატაშას სახე პირბადით ჰქონდა დაფარული: არ მოიხსნა, ისე დაჯდა მაგიდასთან. ოლარის ტომს დაუწყო ნელა ფურცვლა.

— ძალიან კარგი წიგნია — სთქვა ნიკოლაიმ — შეიძლება ჩაი მოგართვათ?

— არა, გმადლობთ, ძალიან მეჩქარება — უარი უთხრა ნატაშამ. — მე მხოლოდ ერთი წუთითა ვარ თქვენთან:

კედლის იქეთ მეზობელ ოთახში ვიღაც მოხუცის კეთილი და წყნარი ხმა მოისმოდა.

— შე ეშმაკო, შენა! რატომა ხარ ასე კერპი! კიდევ დაისვარე, შე ხანგიანო შენა! აი ავიღებ ამ ჯოხს და ზურგზე გადაგამტვრევ, არ გინდა?!

— ეს ჩემი ბინის პატრონია — ნარსიკს ეჩხუბება. კატა ჰყავს — ერთი მარსიკი, — განუმარტა ნიკოლაიმ ღიმილით ნატაშას, რომელიც ყურადღებით უსმენდა მეორე ოთახს. ნატაშამაც გაიღიმა, მაგრამ უცებ მოიშორა ეს ღიმილი და სერიოზულად და მკაცრად გადახედა ნიკოლაის.

— ხვალ უნდა წახვიდეთ სალტიკოვკაში, — დაიწყო მან; აჩქარებით ფურცლავდა წიგნს უსისხლო, ათრთოლებული თითებით, — იქ ჩვენ აგარაკზე იარაღი გვაქვს, ლიტერატურა და კიდევ სხვა რამეები. საჭიროა მათი გადატანა სხვა ადგილას. თქვენ იცნობთ ამხ. სემიონს, არა?

ნიკოლაი უდიდესი ყურადღებით უსმენდა მას.

— იქ ბაქანზე დაგხვდებათ სკამზე მჯდომი. ხელში ექნება გაზეთი „Утро России“. ხომ დაიხსომებთ? თქვენ მიხვალთ მასთან და პაპიროსის მოკიდებას სთხოვთ—პაპიროსით იქნება. ის გკითხავთ, რომელი საათია? აი, იმასთან ერთად წახვალთ აგარაკზე და დაეხმარებით.

— სემიონი, „Утро России“, პაპიროსი, რომელი საათია—გაიმეორა ნიკოლაიმ.

ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

— დიახ, დიახ!

— სალტიკოვკა, არა?

— დიახ!

ფანჯრის ფიცარზე მოსჩანდა ნახევრად შეკეცული ძეხვი და ხაჭაპურის ნატეხი. ლოგინის პირდაპირ კედელზე „კნოპკებით“ იყო მიმაგრებული ლასალის სურათი. აგრედვე პისარევი—შავ ჩარჩოებში. წიგნები ელაგა თაროზე. ტახტის ზურგზე ეკიდა სოფლური ტილოსგან მოქარგული პირსახოცი—წითელი ბამბის სურათით.

— დედა ხომ გყავთ!—იკითხა ნატაშამ.

ნიკოლაიმ უარის ნიშნად თავი გააქნია.

— მოკვდა?

— დიახ! მამაც და დედაც.

ნიკოლაიმ შეამჩნია, რომ ნატაშას თვალები შეჩერდნენ გახსნილ სახელოზე და მაშინვე საჩქაროთ შებნია სამივე თეთრი ღილი.

— მაშ როდის უნდა წავიდე?—იკითხა მან.

— მატარებლით, თერთმეტის ნახევარზე.

— უფრო ადრეც შეიძლება. მე ძალიან ადრე ვდგები.

— რატომ?

— ისე, მიყვარს. ძალიან მიყვარს დილა. როდესაც დილაობით ბევრი მძინავს, ადგომისას ყველაფერი ბინძურად და რალაც დაბერებულათ მეჩვენება.

— სემიონი დაგხვდებათ იქ თერთმეტ საათისათვის—გააწყვეტინა ნატაშამ და ყურადღებით გადახედა. უცნაური იყო მისი გამოხედვა. ასე უცქერიან უსულო საგნებს და ასე იცქირება ადამიანი, როცა ის მარტოა.

და კიდევ გამოძვრა კედლიდან კეთილი ბებრული ხმა:

— მეტს ხომ არ იზამ, ჰა? ხომ არა? ხედავ, როგორი სუფთა და თოვლივით თეთრი ხარ ეხლა. მალე საქმელს მიუდგეთ, რძესაც დავლევთ. ასე, ჩემო კარგო...

და ხმები ჩაიმალენ ტკბილ კოცნაში.

ნატაშამ გაიხედა კედლისაკენ, საიდანაც მოდიოდა ალერსით სავსე მომღერალი ხმა და უცებ მიუბრუნდა ნიკოლაის: ჩუმად უთხრა:

— გამიგონეთ, ნიკოლაი... მითხარით, მხოლოდ მე მითხარით...

ნიკოლაი უცებ მთელი ტანით გამოცქვიტდა, თვალებით ჩააფრინდა ნატაშას პირბადიან სახეს.

— რაო, რა თქვით?!

ნატაშამ ხმაურით დახურა წიგნი. კლავდია პოლიაკოვსაც ასეთი სახე ჰქონდა, ასეთივე უმანკო თვალებით და დიდი პირით

— ხომ გახსოვთ რაც გითხარით?—დაამთავრა მან და წამოდგა ზეზე.—არ დაგავიწყდეთ, მატარებელი გადის თერთმეტის ნახევარზე. სალტიკოვა, სემიონი...

— „Утро России", პაპიროსი, რომელი საათია!—ლაქაფეთქალ დაამთავრა ნიკოლაიმ. მეხსიერება კარგი მაქვს. ყველაფერი ისე იქნება, როგორც მითხარით. განა ნე ოდესმე ან რაიმეში დავიბენი?

— არრა!

— შემდეგ შემოვიარო თქვენთან?—იკითხა ნიკოლაიმ.

— შემდეგ?—ნატაშა წუთით უცქეროდა ნიკოლაის, თითქოს ვერ გაიგო მისი კითხვაო.

— ჰო, როდესაც ყველაფერს მოვრჩებით,—აუხსნა ნიკოლაიმ.

— დიახ, დიახ! კი, რასაკვირველია, რა თქმა უნდა!—სხაპა-სხუპით წაილაპარაკა ნატაშამ.

— რომელ საათზე შეიძლება შემოვიარო?

— როდესაც გენებოთ.

— მაგალითად, საღამოს რვაზე, ან ცხრაზე შეიძლება?

— ჰო, კი! ნახვამდის!

წავიდა. მოისმა აჩქარებული ფეხის ხმა, ფეხსაცმელების ბაკუნი ვიწრო კიბეებზე.

— ფრთხილად!—უძახდა მას მოაჯირზე მუცლით გადაყუდებული ნიკოლაი—ჩვენი კიბე გაფუჭებულია, არ წაიქცეთ. ხვალამდის!

ნატაშას უკან არ მოუხედია, არც არაფერი უპასუხია.

გაღებულ შესავლის კარებიდან შემოიჭრა ქუჩის ხმაური.

ნიკოლაი დიდხანს გასცქეროდა იქეთ, საითაც მიიმალა ნატაშა. თან ტუჩებზე ღიმილი ეკერა.

IX

ხის ბაქანზე ქარი უხმაუროდ ათამაშებდა შემოდგომის ფოთლებს. უღონო და ფერმკრთალნი იყვნენ ისინი, მაგრამ ჯერ კიდევ არ დაეკარგათ სავსებით სიმწვანე, ქარისგან ათამაშებულნი ცოცხლებს ჰგავდნენ. შემოდგომის ნაღველი და მწუხრი ფარავდა ყოველივეს, რაღაც საკვირველ სუფთა სინათლით. ღრმა და განიერი ცა ახალგაზრდობით სუნთქავდა და იყო, როგორც მტრედისფერი დიდი ტბა.

იჯდა ვილაც ერთ-ერთ სკამზე და კითხულობდა გაზეთს „Утро России". ხშირად იცქირებოდა მოსკოვის მიმართულებით, საიდანაც უნდა მოსულიყო მატარებელი. ეცვა საწვიმარი პალტო აწეულ საყელოთი. პაპიროსის ნამწვებით იყო მოფენილი იქაურობა—განსაკუთრებით მის ფეხებთან. პაპიროსს შეუწყვეტლივ ეწეოდა. მის წინ და უკან დაეხეტებოდნენ შემოდგომის დარჩენილი მოგარაკენი.

მეგაზეთემ რაოდენჯერმე შეაძლია ყურნალები. როდესაც შორიდან გამოჩნდა მატარებელი, პალტოიანი უცნაურად აჩქარდა; გაზეთი დაკეცა და ჯიბეში ჩაიტენა! შემდეგ ჩქარი ნაბიჯით გადაჭრა ბაქანი, ლიანდაგი და გაჩნდა მეორე ბაქანზე, საიდანაც მატარებლები მოსკოვისაკენ მიდიოდენ. პალტო შეიქნია და მხრები მაღლა ასწია, რის გამო მისი სახე მთლად ჩაიმალა აწეულ საყელოში. გავიდა ბანქანის ბოლოს და დაიწყო ცქერა მომავალ მატარებლის მოპირდაპირე მხრისკენ.

როგორც კარაქი ტაფაზე, ისეთი შიშინით გაცოცდა ორთქმავალი სულ ახლოს, გაყო ვაგონებით ორი ბაქანი, გაჩერდა, დაიკივლა და კვლავ გაითრია მომწვანო კოლოფები.

მატარებლიდან ცოტანი ჩამოვიდნენ, მათ შორის ნიკოლაიც.

ცქვიტათ და სიხარულით გაიარა მან ბაქანი თავიდან ბოლომდე, დაათვალიერა ყველა სკამები და გაკვირვებულმა მიიხედ-მოიხედა. საათს დააკვირდა. და კიდევ ერთხელ, მაგრამ ეხლა უფრო ნელა გაიარა ბაქანი სკამების ახლო.

უცებ მეორე ბაქანზე თვალი მოჰკრა ვილაც პალტოიანს, რომელიც იქ მარტო იდგა; ნიკოლაიმ გაუბედავათ გადასჭრა ხაზი და გაემართა მისკენ. პალტოიანი, რომელიც ზურგით იყო შემოქცეული, შემობრუნდა სწორედ იმ დროს, როდესაც ნიკოლაი ის იყო მივიდა მასთან.

ორი წყვილი თვალი ერთმანეთს შეხვდა. პალტოიანი სწრაფად მიბრუნდა და გასცილდა ნიკოლაის. ნიკოლაი დაედევნა, დაეწია, მარჯვნიდან მოუარა და თვალი გადაჭრა პალტოს ჯიბეს, საიდანაც თავი ამოეყო გაზეთს წარწერით „Утро России". აწეულ საყელოზე შეამჩნია ორი ლითონის ფოლაქი. საჩქაროთ ამოიღო პაპიროსი, უჩვეულოდ შეიკვეხა საჩვენებელ და შუა თითებს შუა—და მიუბრუნდა პალტოიანს:

— უკაცრავად, თუ შეიძლება ცეცხლი,—და პაპიროსი გაიწვდინა.

და კიდევ ერთხელ შეხვდა ერთმანეთს ორი წყვილი თვალი. პალტოიანმა პაპიროსი შორს გასწია და უნდოდა წინ წასულიყო; და კიდევაც გადადგა რაოდენიმე ნაბიჯი გაკვირვებულ ნიკოლაისაგან, მაგრამ უცებ შემობრუნდა და ჰკითხა:

— რომელი საათია?

— უ-უ-ხ! ამოისუნთქა თავისუფლად ნიკოლაიმ—თქვენ. ამხ. სემიონი ხართ, არა? მე ნიკოლაი ვარ. ნატაშასაგან.

— ხელი ჩამოართვეს. ნიკოლაი დააკვირდა სახეზე სემიონს და დაფიქრდა. თითქოს რაღაცას იგონებსო. სემიონი გესლიანათ იცქირებოდა; საკვირველი ყურადღებით ათვალიერებდა ლიანდაგს.

— დავჯდეთ ცოტა ხნით—სთქვა ნიკოლაიმ.

სკამზე ერთხელ კიდევ მიაცქერდა სემიონს და თვალები მიხუჭა.

— არსად მინახვიხართ, მაგრამ გიცნობთ მაინც,—ჩუმად დაიწყო მან, თვალ გაუხილავათ,—აი, ეს პალტოც მახსოვს და ფოლაქებიც საყელოზე.

ნიკოლაი ჩაცმული იყო იმავე შავ ხალათში, სამი თეთრი ფოლაქით, როგორც გუშინ, როდესაც ნატაშა იყო მასთან.

მალულად ათვალიერებდა სემიონი ნიკოლაის; იკუმშებოდა, თითქო სიცივისაგან და ძიგძიგმაც აიტანა. და ეს იმიტომ ემართებოდა, რომ მას გვერდით ედგა ნიკოლაი. უცახცახებდა ფეხები, ხელები, გული და, თითქოს სულას სრეხდენო, ისე აკრაჭუნებდა შეკრულ კბილებს.

ნიკოლაიმ თვალები გაახილა და პირი იბრუნა სემიონისაკენ.

— მე გუშინ ოპერაზე ვიყავი—სთქვა სემიონმა და უცბად წამოდგა, აჩქარდა:—დროა წავიდეთ, ადექით!

— შორს არის?—იკითხა ნიკოლაიმ.

— აი, იქ—მიუთითა სემიონმა ფიჭვნარზე, ლიანდაგის იქით.

— იქ ჩვენ გველოდება კიდევ ერთი ამხანაგი.

ტყეში მათ შეუერთდა ვანია—მაგარი, ფესვებიანი მუშა—ქერა ქუდიანი და პიდჟაკიანი. მან უხმოთ ჩამოართვა ხელი ნიკოლაის.

სამივენი ერთად მიდიოდენ; ფოთლები რბილად შრიალებდენ მიწაზე. იდგა მდინარის და დამპალ ფოთლების სუნი. დიდი ტყის ახლოს სემიონმა გზას თავი მიანება და პირდაპირ ტყისაკენ გასწია.

— აქეთ უფრო ახლოა!—ძოკლეთ ახსნა მან.

ტყეში სიჩუმე იდგა. სწორედ ისეთი, როგორიც იცის მხოლოდ შემოდგომას, როდესაც ჩამოტეხილ შტოების ხმაურიც ისმის. ფრინველები არსად სჩანდენ. ფიჭვნარი მოგაგონებდათ ცალიერ, ყველასაგან მიტოვებულ უზარმაზარ სახლს. ნიკოლაი დიდის ხალისით უამბობდა თანამგზავრებს აბბავს იმის შესახებ, თუ როგორი ტყეებია ნიჟნის გუბერნიაში. ხშირად ჩერდებოდა, თავს მალლა აიწევდა და სტკბებოდა ცით, რომელიც ვეებერთელა ხეების მწვერვალებს იქეთ ბოსჩანდა ცალკე ნაგლეჯებით, როგორც ღრმა ჭა.

— რა მშვენიერებაა! შეხედეთ! შეხედეთ! კიდევ შორს არის?

— არა, მალე მივალთ ძოკლეთ უპასუხა სემიონმა და ორჯერ მნიშვნელოვნად გადახედა ვანიას.

— აქ სახლებიც აღარ არის.

— იქით იქნება.

სემიონმა ნაბიჯს უკლო.

— მე ერთ პაპიროსს მოვწევ. ვანია, შენც ხომ არ გინდა?

— მე კი განგებ ვიყიდე ათეული დიუმესი—შეჩერდა ნიკოლაიც.—მე ხომ არ ვეწევი,—მაგრამ ნატაშამ მითხრა, რომ თქვენთვის ცეცხლი მეთხოვა მოსაკიდათ შეხვედრის დროს და მეც ამიტომ ვიყიდე. თუ გინდათ აიღეთ, აიღეთ! მე მაინც არ ვეწევი.—და გაუწოდა სემიონს პაპიროსებით სავსე ყვითელი კოლოფი.

— არა, არ მინდა. წადით, წადით!—უცნაური ხმით, თითქმის წამოიყვირა სემიონმა და სახეზე სულ შეიცვალა.—წადით წინ, მე... ამ წუთს.

და როგორც კი მიბრუნდა ნიკოლაი, უცებ ამოიძრო ჯიბიდან ბრაუნინგი და აჩქარებით ესროლა ზურგში.

ახ!—მწარეთ და გაკვირვებით ამოიხვნეშა ნიკოლაიმ და შემობრუნდა. და მაწინ ერთ წუთს—მარჯვენა ფეხით მალლა აწეული ის ჰგავდა ჯამბაზს, რო-

მელიც შეჩერდა ერთ ფეხზე, რათა გააკეთოს რაკ ფოკუსი: მისი ლურჯათ მოელვარე, გიქურად დაღებული თვალები შეჩერდნენ სემიონის სახეზე და იყო უზომო საშინელება დამარხული ამ თვალებში.

სემიონმა და ვანიამ თითქმის ერთსა და იმავე დროს კიდევ თითოჯერ ესროლეს ამ თვალებს. „დიდშესის“ ყვითელმა კოლოფმა გააკეთა ნახევარი წრე, გაძვრა გახსნილ თითებიდან და სემიონის ფეხებთან დაეარდა.

თვითონ კი ნიკოლაი—პირქვე დაეცა ყვითელ სველ თვალებში და ფეხებს ისე ანძრევდა, თითქოს დახეულ ფეხსაცმელებს ისწორებდა.

X

როდესაც საღამოს, რომლის სიბნელეს ძალას უკარგავდა ქუჩაზე ანთებული ფარნები, დაიძახა და აძგერდა, როგორც დაჭრილი ფრინველი, კარების ზარი, ნატაშას უნებლიეთ აღმოხდა გაკვირვებით და შიშით—ააა!?—ზარი განმეორდა ჯიუტად და მკვეთრად.

ოთახში მძიმე ნაბიჯით შემოვიდა სემიონი. შუა ადგილას გაჩერდა. ქუჩის ფარნის შუქი სახეს უნათებდა. სულ ახლოს, ახლოს მივიდა მასთან ნატაშა. მისმა სახემ და თვალებმა ყველაფერი უთხრეს ნატაშას. არც არაფერი კითხა. სემიონიც სდუმდა.

უსიტყვოდ გაუწოდა ნატაშას ქაღალდის ფურცელი, რომელიც ნახევრად შევსებული იყო წვრილი და ბეჯითი ნაწერით. ნატაშამ აანთო სანათი; ხელები უკანკალებდა, როდესაც ქაღალდს ხსნიდა.

ნიკოლაის ვერ დაემთავრებინა წერილი „საყვარელი დაიკო ლიზანკასადმი“, ვერ დაემთავრებინა ამბავი შესახებ მოსკოვისა და ახალ ამხანაგებისა, რომელთა შორის არის ერთი მშვენიერი ქალი; ამ ქალისათვის ის მზათაა გაიღოს უსაშინელესი მსხვერპლი.

„თვალებში უჩანს ისეთივე წმინდა და უძირო ცა, როგორც მინდორშია, როდესაც წვეხარ ზურგზე თავთავებში .. მას ნატაშას ეძახიან, იგი“.

აქ წყდებოდა წერილი; სწორედ ამ დროს მოვიდა მასთან მის პატარა ოთახში, ნახევრად შეჭმული ძეხვით და ხაჭაპურის ნატეხით—მშვენიერი ქალი ისეთი სუფთა თვალებით, როგორც არის ცა; მოვიდა ნატაშა, რომ მიეცა მისთვის უ-კ-ა-ნ-ა-ს-კ-ნ-ე-ლ-ი დავალება.

ხელის გულით გაასწორა ნატაშამ დაკუჭული ქაღალდის ფურცელი, რომელსაც ერთ ერთ კუთხეში შავი ლაქა დასჩენოდა და ჩურჩულით ჰკითხა სემიონს:

— შენ... წაიკითხე?

არ გასცა სემიონმა პასუხი. თავი ჩაიქნია და იდგა ისევ იმ ადგილას—სწორი, გაშეშებული. გამხდარ სახეზე დიდი პირი მკაფიოდ მოსჩანდა და თითქოს ტუჩები რაღაც საშინელი ძალით იყვნენ შეკუმშულნი, ისე თითქოს ამიერიდან არას დროს აღარ გაიხსენებიანო. ძხოლოდ ხანდისხან სასაცილოდ ხტუნაობდა მარცხენა წარბი.

ხელი გადისვა ნატაშამ შუბლზე. ჯიუტად შეყურებდა მას სემიონი. მაგი-

დასთან დაჯდა და დიდხანს და სიყვარულით ასწორებდა ქალალდის ეიწრო ნაჭერს შავი ლაქით.

— სემიონ, ეს წერილი ''ენ პიჯაკის მარკენა ჯიბიდან ამოიღე, არა? — ჰკითხა ნატაშამ და ჩუნადვე დაუმატა, —მან ეს მაშინ მარკენა ჯიბეში ჩაიდო, ეხლა გამახსენდა... გუშინ იყო ესა... სემიონ, რას მიყურებ, ასე?

უძრავად და უსიტყვოდ იდგა ისე ნატაშას წინ სემიონი. [illegible] ერთხელ გადისვა ნატაშამ შუბლზე ხელი - თალილი, აკანკალებული თითებით.

— სემიონ.?

სემიონი მისი მოწაფე იყო. პირველი ნაბიჯები რევოლიუციონერ მოქრაობაში ნატაშას უშუალო ხელმძღვანელობით გადადგა მან. სემიონი ლოცულობდა მასზე და იყო ერთგული მისი, როგორც გარდუვლად ერთგულია ადამიანი სიკეთილის.

— სემიონ?!

სანათის აბაჟური ჩრდილავდა მის სახეს— ლარები და ნაოქები მოსჩანდნენ მასზე მკაფიოდ, თითქო ქვა იყო იგი. და ქვასავით იყო დუმილით მოკული მისი უძრავი პირი დიდი, —უხეში, სწორი.

— სემიონ?!—მესამედ გაიმეორა ნატაშამ და წამოდგა. ახლოს მიეიდა მასთან. შეყურებდა მის მოკუმულ პირს. ისმოდა, თუ როგორ სუნთქავდა ღრმად და აღელვებით. მსუბუქი ხელი დაადო მის მხარს ნატაშამ. შემდეგ მაუბუქადვე გადაუსვა ხელის გული ქოჩორა თავზე და ფანჯრისაკენ წავიდა. წელში გაიმართა მაგრამ იმ წუთსავე, თითქოს ქუჩამ დაუქახა რაღაც ფანჯრიდანო, მოწყდა და ისევ სემიონს დაუდგა წინ, პირისპირ.

— სემიონ... ეს თუ... შეიცდით! მაშინ?!—ეროი სულის ამოთქმით დაამთავრა ნან და ხელი კვლავ მხარზე დაადო. აღელვებით შესცქეროდა მასზე შეჩერებულ შორეულ, ეცხო თვალებს.

სემიონის მკერდში და კისერში რაღაცამ დაიხრიალა; სახე დაემანჭა. ხელი ჩამოიღო მხრიდან და დაშორდა ნატაშას ერთი ნაბიჯით, შემდეგ კიდევ, კიდევ—კარებისაკენ. იქიდან მისი თვალები—ცივი და ბოროტი, როგორც სამართებლის პირი —გაუსწორდენ ნატაშას...

— ეგ შეასრულე კომიტეტის დადგენილება—მკაცრათ წარმოსთქვა სემიონმა და უკანასკნელი ორი სიტყვა კიდევ ერთხელ განიმეორა.

ნატაშა მოიკუმშა, თითქოს შეინძრა იატაკი. გაცივებული თითები უნებურად დაფათურდნენ კაბის საყელოზე, და მოწყვეტილი ფიალაქი ოპლად დაეცა იატაკს და ნელათ წარმოსთქვა ნატაშამ:

— დიახ, დიახ! თქვენ შეასრულეთ კომიტეტის დადგენილება, ამხანაგო!

გაიხმაურა კარებმა: საღლაც დაიკარგა სემიონის სირბილით მიმავალი ნაბიჯები...

ნატაშა მარტო თუ.

XI

სამოიგო ოთახში ფეხაკრეფით შემოვიდა მოწყალების და. და ჩუმად გადასცა ექიმს, რომელიც გაზეთში იყო ჩამალული.

— თქვენ ძალიან გთხოვთ ავადმყოფი მეოთხე საქირურგო ოთახიდან.

პენსნე მოიშორა და ცხვირის ზედა ნაწილი მოიუხანა, შემდეგ გადახედა მოწყალების დას, თითქოს რაღაცა მოიგონა და საჩქაროთ წამოდგა, ხალათი გაისწორა.

— ავადმყოფი ძალიან ცუდათაა—წაილაპარაკა მოწყალების დამ, თითქმის სულ უგრძნობლადაა...

ექიმმა მხრები აიწია და ორივე ხელები ჩაიქნია, თითქოს ამბობდა: რაც ჩვენ შეგვეძლო ყველაფერი ვიღონეთო; მოწყალების და ფეხაკრეფით მისდევდა მას; სწრაფად გაიარეს დერეფანი, დიდი პალატა ლოგინების ორი წყებით და დიდი კოლონებით შუაში; ექიმნა ფრთხილად შეაღო ცალკე პალატის № 1-ს კარები.

ლოგინზე იწვა ნიკოლაი; ეხურა ყავის-ფერი საბანი, თავი შეხვეული ჰქონდა და კისერი უერთდებოდა ბალიშს. თეთრი სახვევი მკაფიოდ აჩენდა ცოცხალი მგზნებარე თვალებს. შეხედა რა ექიმს, შეინძრა, ნაგრამ ექიმმა ტკბილად შეაჩერა იგი:

— ს—ს—ს! არ აღელდეთ და იწევით უნძრევლად.

მოწყალების დამ ექიმს სკამი მიაწოდა. ისიც დაჯდა და ნიკოლაის პულსის სინჯვა დაუწყო. ნიკოლაიმ თვალები მინაბა. სულს ითქვამდა ნაწყვეტ-ნაწყვეტად, მოკლე, უსწორო ამოსუნთქვით და მკერდშიც საშინლად ხრიალებდა. როდესაც ექიმმა ხელი ფრთხილად დაუშვა საბანზე, ნიკოლაიმ თვალები გაახილა.

— ექიმო... მე თქვენთან... მარტო...—ძალით წაიჩურჩულა: გაფითრებული ტუჩები—მიმხმარი სისხლით კუთხეებში—გაიშალენ.

მოწყალების და გავიდა და კარები მიიხურა.

ნიკოლაიმ თავისი ხელი ექიმის ხელს დაადო.

—„მე მალე მოვკვდები... გაგზავნეთ, გეველრებით, წერილი... მე არ შემიძლია მოვკვდე ისე... გეველრებით, გაგზავნეთ და ის მოვა... ის უსათუოდ მოვა... არ შეუძლია არ მოვიდეს. გეველრებით, ექიმო“,

ნიკოლაი ჩაჩუმდა და ულონოთ დაეშვნენ წამწამები. ექიმი მოიღუშა. ამ ყმაწვილის სიცოცხლის წუთები დათვლილი იყო: სამი მძიმე სასიკვდილო ჭრილობა ჰქონდა: არავითარ ძალას არ შეეძლო მისი გადარჩენა.

ვინ არის ის, ან ვინ დასჭრა, და რატომ?—ექიმმა ეს არ იცოდა; მხოლოდ ყოველივე ამბობდა, რომ აქ მოხდა საშინელი უჩვეული დრამა.

— მომეცით... ქალალდი... ფანქარი—წაილუღლუღა ნიკოლაიმ...—მე არ შემძლია ასე... მომეცით სიტყვა, ექიმო! მე ყველაფერს, ყველაფერს გეტყვით თქვენ... ის... გეტყვით..

ექიმმა უბის წიგნაკი ამოიღო და ფანქარი ჩაუდო უსისხლო თითებში ნიკოლაის.

საშინელი წვალებით ხაზავდა ფანქრით ქალალდს: ფანქარი ხშირად უსხლტებოდა თითებიდან და საბანზე ვარდებოდა. ორჯერ მიაწოდა ექიმმა გამხმარ ტუჩებს დასალევი.

შემდეგ გარეთ გავიდა და მოწყალების დას უთხრა: „არ მოშორდეთ". ბარათი კონვერტში ჩადო და საჩქაროდ გაგზავნა მეკარის ხელით.

ნახევარ საათში მოვიდა ნატაშა მეკარესთან ერთად, რომელმაც მიაცილა ის მორიგ ექიმის ოთახამდე. ექიმი ნატაშას დაღვრემილი შეხვდა და სთხოვა გაჰყოლოდა მას.

შეშინებული გასცქეროდა ნატაშა ლოგინების გრძელ რიგებს, ჩუმათ მწოლარე ავადმყოფებით. უხმაუროდ მიჰყვებოდა ექიმს. სიტყვაც არ უთქვამს მისთვის.

მე-4 პალატის კარებთან ექიმი შეჩერდა.

— მოითმინეთ აქ.

ის მოკლე წუთები, სანამ ექიმი პალატაში იყო, ნატაშას შეგნებაში ჩაწვნენ, — როგორც მძიმე ლოდები — მძიმე ფენებათ ერთი ვეებერთელა ცხოვრებისა, რომლის დაბოლოების ღონე არ აყო. გრძელ, მკრთალათ განათებულ დერეფანს თვალები მიჰყავდა უცნობ კარებამდე ბოლოში. იყო სიჩუმე: თეთრი, უხმაურო მოწყალების დები, რომლებიც ხანდისხან გადაჭრიდენ დერეფანს, სტოვებდენ თავის შემდეგ ნიშნებს ვიოლაცების წვალებისა, ტკივილებისა და სიკვდილისა. და დერეფანში ჩამწკრივებული ჩუმი კარებებიც ამბობდენ იმასვე, ყველანი ერთად კი — ეს სიჩუმე, თეთრი დები, წამლების სუნი ⁄ მთელი ეს სევდა ⁄ მწუხარება, ყოველივე ეს უნებლიედ მიაქანებდა ფიქრსა და გონებას იქ, სადაც ჯვრების და ძეგლების დუმილით მოცულ ტყეში — საფლავების ქვებზე სძინავთ ამ ქვეყნიდან წასულთა მწუხარე წარწერებს.

კარები გაიღო და ექიმმა ნატაშას შემოსვლის ნიშნები მისცა.

გაუბედავათ შევიდა ნატაშა პალატაში.

სანთელივით ყვითელი ხელი მორჩილებით და უნუგეშოთ იწვა ყავის-ფერ საბანზე. ეს იყო პირველი, რასაც შესვლისას თვალი მოჰკრა ნატაშამ. ნიკოლაი იწვა ცოტა თავ-წამოჭინდრული უკან და, რადგან მას თვალები დახუჭული ჰქონდა — ასე მოსჩანდა, თითქოს ერთი იყო მისი თეთრი სახე, თეთრი მარლით შეხვეული თავი და თეთრი ბალიში. უცნაურად შეცვლილი სახე ნატაშას ეჩვენა შორეულ-შორეულად თითქოს მოაგონებდა სხვა მის ნაცნობ და ცოცხალ ნიკოლაის. თავსაწოლთან მივიდა; აკვირდებოდა ამ სახეს და იხსომებდა თითოეულ მის ნაკვთს და ჩრდილს. სიჩუმე მეფობდა პალატაში. მხოლოთ აჩქარებით რაკუნობდა საათი ექიმის ჯიბეში.

ნატაშამ დაუძახა:

— ნიკოლაი.

გაახილა თვალები და, თითქოს თანდათან ცნობილობსო, უცქეროდა ნატაშას.

გამშრალი გალურჯებული ტუჩები შეინძრნენ, მაგრამ ვერ შესძლეს გახსნა. უკანასკნელი ძალღონე მოიკრიფა, უნდოდა ეთქვა რალაცა — ⁄ თვალებიდან, რომლებიც ასე უცქერდნენ ნატაშას, გადმოგორდა დინჯად ორი დიდი, ცრემლების მძივი.

მხოლოდ ტუჩების სუსტი მოძრაობით გაიჩურჩულა რალაცა, მაგრამ ულონო იყო გაეხსნა ტუჩები, რომლებსაც უკვე ჰკოცნიდა სიკვდილი.

თვალები კვლავ დაეხუჭა. და ქუთუთოებზე გადაეფარნენ ძნელად წესამჩნევი ჩრდილები.

დაემხო ნატაშა მის გაცივებულ ხელს საბანზე; ლოყან ეგრძნო, როგორ სუსტათ გაინძრნენ თითები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

VII

შეშფოთებულმა ბენიამინ აპოლონისძემ საეარძელში ჩასვა ნატაშა. გაფითრებული, უსისხლო სახე საშიშრად იყო განათებული ავადმყოფურ მოელვარე თვალებით. ბენიამინ აპოლონისძე მიაშტერდა ამ თვალებს და გაფითრდა.

— რა დაგემართათ ნატაშა?

ქალალდის ნაგლეჯი მიაწოდა.

გაბნეული ასოებით დახაზული იყო დიდრონი დაფლეთილი სიტყვები:

„მე მომკლეს... ვინ მომკლეს? ამხანაგებო, მითხარით, ჩქარა მითხარით, რატომ, მომკლეს... ჩქარა... მე მეშინია რატომ რისთვის? „არავინაა, მარტო ვარ, მოდით ჩქარა... მნახეთ... საავადმყოფოში ვკვდები. ნიკოლაი.“

ბენიამინ აპოლონისძე თვალებით სჭამდა ნატაშას.

— მერე? ხომ მოკვდა?! მოკვდა ხომ?!

ნატაშამ თავი ჩაჭიდა და აქვითინდა.

— მე... ვიყავი იქ... საავადმყოფოში... ღამით მოკვდა. იქ ერთი ექიმია— მენშევიკი,—მან გადმომცა ეს წერილი... ღმერთო, რა ვქენით ეს, რა? არა, მე არ შემიძლია, არა...

— ამხანაგო ნატაშა!— მკაცრად მოსწყვიტა ბენიამინ აპოლონისძემ,— გესმით, ამხ. ნატაშა, გონს მოდით, გონს!..

მისი მაგარი და მძიმე ხელი დააწვა ნატაშას თავს. ნატაშა აღელვებით წამოხტა და ხელი თავიდან მოიშორა.

— თქვენ გესმით, რას ნიშნავს ეს?!—ჩურჩულით შეშლილის თვალებით გაილაპარაკა მან—გე-ს-მით?! ჰა? ჩვენ მკვლელები ვართ, მკვლელები! ჩვენ მოვკალით ჩვენი ამხანაგი!! დიახ, ა-მ-ხ-ა-ნ-ა-გ-ი!!—გაილაპარაკა და იცდის შეშლილი, მწვავე, როგორც ტკივილი—ცეცხლით დანამწვარი.

— დამშვიდდით, ნატაშა, დამშვიდდით: მოერიეთ თქვენს გულს. წერილი ხომ არაფერს არ ეარყოფს. დაწერა...

— როგორ?! — წელში გასწორებით დაიყვირა ნატაშამ, — თქვენ ფიქრობთ, რომ ეს წერილი ტყუილია, რომ ის აქაც სტყუის?!

— დაწყნარდით, ამხანაგო ნატაშა... მე არაფერსაც არ ვფიქრობ. მე ვამბობ, მხოლოდ, რომ ეს პატარა წერილი ფაქტებს არ უარჰყოფს... ჩხრეკა სოკოლნიკებში ხომ ფაქტია?!

— არა, შეუძლებელია სიკვდილის წინ ტყუილის თქმა, შეუძლებელია!— კიდევ გააწყვეტინა ნატაშამ... და კიდევ გაიმეორა ბენიამინ აპოლონისძემ თავისი სწორი და ყრუ ხმით.

— დამშვიდდით, დამშვიდდით... თქვენ ამტკიცებთ, რომ ჩვენ შევცდით, არა? კარგი აგრე იყოს, ვთქვათ, რომ ჩვენ შევცდით. მერე? მე თქვენ გეკით-

ხებით: რისთვის, რა მიზნისათვის მოხდა ეს... საშინელი შეცდომა?? მიპასუხეთ. და ვინ არის დამნაშავე? თქვენ? მე? ადოლფი? ჩვენ? არა, ნატაშა, არა! აი ვინ არის დამნაშავე—ის-ი-ნი!-და ბენიამინ აპოლონისძემ მუქარით გაიწვირა ხელი ღია ფანჯრისაკენ.

— დიახ, ისინი, ნატაშა, ისინი—ჩვენი მტრები, ხალხის [illegible] ეს მსხვერპლია მიტანილი მათ უამრავ ბოროტებათა და დანაშაულთა [illegible] და ისინიც გადაგვიხდიან ამას ოდესმე... დიახ! ჩვენ ახალი ტვირთი დავიდეთ ჩვენს ისედაც მეტად დატვირთულ მხრებზე. როგორმე არ მოვიღუნოთ, არ დავსუსტდეთ, არ გავტყდეთ, —აი რა დაგვრჩენია ჩვენ, ჩემო ნატაშა. არ გავტყდეთ ამ ბრძოლაში... ასეთ მძიმე ტვირთის ქვეშ... ეეხ!

ამოხვნეშით თითები დაიმტვრია მან.

— ნატაშა, ჩემო კარგო, ნატაშა! ჩვენ მაინც ხომ უნდა განვაგრძოთ ჩვენი გზა. ჩვენ ხომ ცოცხლებში დავრჩით... და როგორ მძიმეა წინ-სვლა... ასეთ უზომოთ საშინელ ტვირთ-ქვეშ? როგორ?!

ნატაშა ჩაჩუმდა... ის სიმონზე ფიქრობდა.

გვიან საღამოს წავიდა ის ბენიამინ აპოლონისძისაგან. გულზე კაბის ქვეშ მიჰქონდა სიყვარულით დაკეცილი ქაღალდის ნაგლეჯი—ნიკოლაის უკანასკნელი წერილი. მისი ლამაზი სახე—ჰგავდა საკანში ჩამწყვდეულის მკვდარ სახეს.

მკაცრმა და უსიტყვო ბენიამინ აპოლონისძემ კარებამდის მიაცილა ის და კარებთან ჩუმათ აკოცა შუბლში.

— —

ორხაზიან ვერცხლის საბეჭურიანს საათს გადახედა—საათმა დარეკა რვა—და ხელში აიღო ტელეფონის სასმენი. მისამართის ნომერი მკაცრად და ბრძანებით წარმოსთქვა; იცდიდა,—და წარბებით იმაგრებდა თვალებზე ჩამოშვებულ დიდს და ულმობელ შუბლს.

— ალ-ო... ჰო... კი... აბა რას მეტყვით ახალს და კარგს?!

სასმენში აშიშინდა, ჩაახველა და შემდეგ გამოძვრა ყრუ და სწორი ხმა:

— კინალამ არ ჩაიმალა ყველაფერი, პოლკოვნიკო...

მსუქან კისრის ნაოჭები შეიკრიბა მუნდირის მაგარ კანტიან საყელოზე; საბეჭურიანი კაცი თავს აქნევდა და ყურადღებით ისმენდა. წარბები მნიშვნელოვნად თამაშობდნენ.

— —

იყო ცხრის ათი წუთი.

ბენიამინ აპოლონისძემ ტელეფონის სასმენი თავის ადგილას დადო და სავარძელში ჩაისვენა. მის გამხმარ ძვლებიან სახეზე გამოხოხდა უცნაური ღიმილი და შეანძრია ბანჯგვლიანი ყურები.

თარგმანი: ვ. ბ—ს.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

კრიტიკა მხატვრობა
და
პუბლიცისტიკა

6. ფეგუევი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გორკი როგორც ადამიანი

(სპეციალურად ჟურნალ „მნათობისათვის“)

წელს სრულდება ალექსი მაქსიმეს-ძე პეშკოვის სალიტერატურო მოღვაწეობის 35 წელიწადი.

ტფილისში, გაზეთ „კავკაზში“ მოთხრობა „მაკარ ჩუდრა-ს“ ქვეშ 1892 წ. პირველად დაიბეჭდა სახელი და გვარი **მაქსიმ გორკი.**

და მას შემდეგ აი უკვე ოცდათხუთმეტი წელია მთელი რუსეთი, მთელი ქვეყანა თვალს ადევნებს თვითეულ ახალ სტრიქონს, რომელიც კი მის ჯადოქარ კალამს მოწყდება.

რამდენი შუბი დაილეწა კამათში გორკის მნიშვნელოვანების შესახებ, როგორც მწერლის, როგორც მხატვრის, როგორც პუბლიცისტის, როგორც პოლიტიკურ მოღვაწის.

მაგრამ არავის არ უცდია, ვგონებ, გორკის ამ სახეებიდან. დაენახა პეშკოვი—ადამიანი.

მაშინ როდესაც, ძირითადი თვისება მაქსიმ გორკისა არის მისი **ადამიანობა.**

ადამიანი გაისმის ამაყად არა მარტო მწერლის ყველა თხზულებებში, არამედ პეშკოვის ცხოვრების ყველა გზებზედაც.

პირველივე წერილიდან თავისი საუკეთესო მეგობრის და მასწავლებლის ა. მ. კალიუჟნის მიმართ სჩანს, რა მაღლა აფასებს გორკი ადამიანურ მოპყრობას. კალიუჟნი გორკის სიცოცხლის განთიადზე ადამიანურად მოეპყრა ჭაბუკს და აი ათი ათასმა ვერსმა, რომელიც სორენტოს ტფილისიდან აშორებს, ოცდაათი წლის უნახველობამ, მრავალმა ახალმა ნაცნობობამ და მეგობრებმა, რომელნიც სახელოვან მწერლის და თითქმის ყველასათვის უცნობ თავმდაბალ რკინისგზის სახელოსნოების მუშის მეგობრობას ზღუდავდენ—ვერ დაარღვიეს მათი ნაზი კავშირი. უკანასკნელ დრომდე გორკი უგზავნის კალიუჟნის წერილებს, რომელნიც სავსე არიან სპეტაკი გრძნობებით და გულახდილობით. გორკის წერილები კალიუჟნისადმი—ეს რაღაც მეგობრობის რომანტიკაა.

ლ. კამენევი მართალია, როცა ამბობს, რომ ლენინის წერილები გორკისადმი ახასიათებენ არა მარტო გორკის, როგორც ადამიანს, არამედ ლენინსაც, როგორც ადამიანს, და ამიტომ კიდევ უფრო ძვირფასნი უნდა იყვნენ ჩვენთვის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

და გორკის წერილები კალიუჟნისადმი ახასიათებენ არა მარტო კალიუჟნის, როგორც ადამიანს, არამედ გორკსაც, როგორც ადამიანს.

ჩემი საჟურნალო მოღვაწეობის 35 წლის განმავლობაში მე უმთავრესად თვალყურს ვადევნებდი გორკის, როგორც ადამიანს.

და ჩემ მოვალეობად მიმაჩნია ახლა მწერლის საიუბილეო წელიწადში საჯაროდ გამოვაქვეყნო ჩემი დაკვირვებანი, წარბეჭდილებანი, საუბარნი, ამბავნი. მე არ დავხატავ მწერლის შემოქმედების ნაკვთებს, ეს უკვე ბევრმა გააკეთა, მაგრამ მე ვეცდები **ადამიანის სახე** გამოვხატო.

ამ თვალსაზრისით, გორკი არამც თუ არ ნოუციათ, არამედ არც კი განუხილავთ. ამიტომ ბევრნი ვერ დაინახა, როგორც ლიადოვმა მისი სული.

ასეთი ლიადოვი მრავალია, ათასები. და ისინი ლენინის თქმის არ იყოს, გორკის სახელის გარშემო აყენებდენ „**ღმუილს**".

როგორ გაუკვირდებოდა ლიადოვს, რომ გაეგო, რომ გორკის მთელ სიცოცხლეში, ყველაზე უფრო უყვარდა... ბავშვები...

განა ლიადოვი დაიჯერებდა, რომ კერძო ცხოვრებაში გორკი არამც თუ თავმდაბალია, არამედ პირდაპირ მორცხვია.

სტასოვს ესმოდა, გორკის ბოსიაკები ასე რომანტიული რატომ იყვნენ. დიახ იმიტომ, რომ ავტორს ეყვარს მათში „**ადამიანი**".

ის, რაც ლიადოვისთვის თითბრის ვარაყია, შოკოლადია, ის სტასოვის ნაღალი პროზის უკეთესი ნაბილესი ლითონია.

გარდა საუბრებისა თვით მაქსიმ გორკისთან, მე აქ ვათავსებ ჩემს საუბრებს მასზე კალიუჟნისთან, კონისთან, ლეონიდ ანდრეევთან, ლიადოვთან, სპენდიაროვთან, სტასოვთან, ევგენი ჩირიკოვთან, ჩეხოვთან და საუბრებზე უფრო უკეთესს—ლენინის წერილებს.

მე დარწმუნებული ვარ, რომ ეს მასალა დაეხმარება მკითხველს შეიყვაროს საყვარელ მწერალში მშვენიერსულოვანი ადამიანი.

გორკი ეძებდა ადამიანს, როგორც თავის დროზე ეძებდენ ღმერთს. მას სწამს, რომ ქვეყნის სახსნელად საჭიროა არა

— ღმერთკაცი,

არამედ

— კაცადამიანი!

I

გორკი ტფილისში

ვიდრე გადავიდოდე ჩემს საკუთარ მოგონებებზე მაქსიმ გორკის შესახებ, მინდა მოვიგონო გულმშვენიერი 74 წლის მოხუცი, რომელიც აქამდე სავსეა

მეტად ცოცხალი მოგონებებით მწერლის შესახებ. ეს არის ალექსანდრე მეთოდეს-ძე კალიუჟნი—ძველი რევოლიუციონერი.

ეზივართ ამ წუთს მე და ა. მ.-ძე მის პატარა ბინაში ავჭალის ნესახვევში. ჩვენ მარტო ვართ. მისი ოჯახი აგარაკზეა. ის ფუსფუსებს—სამოვარს ადგამს. საკვირველად მხნეთ და ცოცხლად გრძნობს თავის თავს, იმიტომ, რომ მეც ხომ ვუზიარებ მას ჩვენს შთაბეჭდილებებს, გორკიდან მოლებულს, ბესარიონ კი ყველაფერი, რაც კი გორკის შეეხება,--საუკეთესო ღვინოა. ათრობს, აახალგაზრდავებს.

მე ვკითხულობ უკანასკნელ წერილს სორენტოდან:

— ძვირფასო მეგობარო და მასწავლებელო ჩემო ალექსანდრე მეთოდეს-ძე. მას შემდეგ, რაც ჩემდა საბედნიეროდ თქვენ შეგხვდით, ოცდა თოთემეტმა წელმა განვლო: მას შემდეგ, რაც ჩვენ მეორეთ და უკანასკნელად ვნახეთ ერთმანეთი—ოცდა ორმა წელმა განვლო.

„ამ ხნის განმავლობაში მე შევხვდი ასეულ ადამიანებს, მათ შორის იყვენ დიდი, თვალსაჩინო პირები, მაგრამ—ნერწმუნეთ—მაინგან ვერავინ ვერ შესცვალა ჩემი გულის მეხსიერებაში თქვენი სახე.

„ეს იმიტომ, ძვირფასო მეგობარო, რომ თქვენ იყავით პირველი ადამიანი, რომელიც ჭეშმარიტად ადამიანურად მომეპყრა.

„თქვენ პირველი მახსოვხართ მე თქვენი რბილი თვალების კარგი შეხედვით, შემხედეთ მე არა როგორც საოცარი ბიოგრაფიის პიქს, უსაქმო მაწანწალას, როგორც რაღაც გასართობს, მაგრამ საეჭვოს.

„მახსოვს თქვენი თვალები, როცა თქვენ უსმენდით ჩემს მოთხრობებს იმაზე, რაც მე ვნახე და თვით ჩემს თავზე. მე მაშინვე გავიგე, რომ თქვენს წინაშე არაფრით არ შეიძლება დატრაბახება და ვგონებ, თქვენი წყალობით, მე ჩემს სიცოცხლეში, თავი არ მიქია, არც გადამიმეტებია მწუხარება, რომელიც ცხოვრებამ უხვად შემასვა.

„თქვენ პირველმა, ვამბობ მე, მაიძულეთ სერიოზულად შემეხედა ჩემი თავისთვის.

„თქვენი მეოხებით მე აი უკვე ოცდაათ წელზე მეტია რუსულ ხელოვნებას პატიოსნად ვემსახურები.

„მე შევხარი შემოხვევას ყველაფერი ეს საჯაროდ გითხრათ, - დეე იცოდენ, რა კარგია ადამიანს ადამიანური გულით მოეპყრა.

„ძველო მეგობარო, საყვარელო ჩუმო მასწავლებელო—მაგრათ ჩამოგართმევთ ხელს“.

ალექსი პეშკოვი
მაქსიმ გორკი.

25—X—25. სორენტო.

მაგრამ აი—ჩაი მზად არის, და იშლებიან მოგონებანი.

მათი და თვით ა. მ—ძის ავტობიოგრაფიული ხასიათის ნაწერების მიხედვით შეიძლება აღვადგინოთ გორკის ცხოვრება კავკასიაში.

კავკასიაში გორკი სამჯერ იყო. 1892 წელს, მერე ათი წლის შემდეგ 1902 წელს და კიდევ შემდგომ წელს.

პირველად ის წამოიყვანა აქეთ ვილაც აკარა ქართველმა ოსტატმა შაქრო ფთაძემ, რომელსაც ის ოდესაში გაეცნო. ამ შაქროს ჰქონდა საკვირველი მადა და კიდევ უფრო საკვირველი მოურიდებლობა და სიზარმაცე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გორკი ნაშინ ნავთსადგურში ბტვირთავათ იყო. ეძინა ეს დგას და „სადილობს" საზამთროთი და პურით. ხედავს ვილაც ახირებულმა ტიპმა ზოლებიან ტანისამოსში, შავი ქუდით, ლაქის ფეხსაცმელებით, ხელში—ტარიანი ჯოხით ხარბად ჩაასო თვალები მის უბრალო სადილს.

გორკიმ მიიწვია ის თავის სადილზე. ხუთი წუთის შემდეგ შაქრომ უკვე აუჩუყა კეთილი გული ა. მ—ძეს, მოუთხრო რა თავისი უბედური თავგადასავალი, უმთავრესად კი ის, რა მუხანათობით მოექცა მას ამბანაგი, რომელმაც გაქურდა ის, გაიტაცა ისეთი ნივთები, რომ მამა ტფილისში დაკლავს საბრალო შაქროს, თუ ის ნივთები მან ვერ დაიბრუნა. გორკიმ გადასწყვიტა ემუშავა ნავთსადგურში, რომ ფული მოეგროვებია ბილეთის საყიდლად ბათომამდე ახლად შეძენილ ამხანაგისათვის. ნაგრამ შაქრო ისე ზორბად ჭამდა, რომ ფული ჭამაზე ძლივს ყოფნიდათ.

გორკი აგვიწერს, როგორ იგონებდა შაქრო თავის ჭამას ტფილისში.

„თურმე ის ჯერ ორმეტ საათზე ისაუზმებდა „პატარა ბატკნით", ზედ სამ ბოთლ ღვინოს დააყოლებდა, ორ საათზე მას გაუჭირვებლად შეეძლო სადილობის დროს შეეჭამა სამი თეფში ჩახოხბილი ან ჩახირთმა, ერთი ჯანი ფლავი, მწვადი, ერთი შამფური მწვადი. „ტოლმა რამდენიც გინდა." და კიდევ ბევრი სხვადასხვა კავკასიური საჭმელები, და ამავე დროს შესვამდა ღვინოს, რამდენიც სურდა. რამ მიაჩვია გორკი შაქროს—არ ვიცით, ხოლო ისინი წავიდენ ფეხით ოდესიდან ტფილისში.

ნიკოლაევში სამუშაო არ იყო. აგრეთვე ხერსონში. შაქრო დაპირდა გორკის შეეზოვის ადგილის შოვნას ბათომში. გაიარეს პერეკოპი, სიმფეროპოლი. მიდიან იალტისაკენ და იკვებებიან რაღაც უცხო ბალახით და ხილით. იალტაში გორკიმ ცოტა ფული იშოვა ხეხილიანი ბაღის გაწმენდით ფორჩხებისაგან. შაქრო კი უქმად იყო. ის დაეჩვია მათხოვრობას და ფეხის თრევას—ვითომდა ავადმყოფიაო. მას მაინც ოითქმის არაფერს არ აძლევდენ.

შაქრო ყვლეფავდა და ატყუებდა გორკის, რამდენიც კი შეეძლო. ნაგრამ მას არ შესწევდა ნებისყოფა, რომ მიეგდო უმწეო ამხანაგი და ისინი სულ მიდიოდენ წინ. გორკი შოულობდა მუშაობით მანეთნახევარს კვირაში. და ეს ორისათვის!

უკვე შემოდგომაა. ისინი კი ჯერ ყირიმში არიან. შაქრო აჩქარებს კავკასიისკენ. იქ ტფილისში მისი მშობლები არიან.

ფეოდოსიაში უმუშევრობაა: მათ გარდა ათასი სხვა ბოსიაკია. რუსეთში შიმშილია, და ისინი სულ დაეხეტებიან აქეთ-იქით სამუშაოს და მოწყალების ძებნაში.

ქერჩში მთელი დღის განმავლობაში გორკიმ იშოვა ორი შაური (ღვდლის ცოლს ერთი ტომარა ნესვი სახლში წაეღო).

როგორ გადასულიყვენ ტამანის სრუტეს? გადასწყვიტეს მოეპარათ საბაჯოს ნავი. ღამით, გორკი თავგანწირულად ჩაეშვა ყელამდე წყალში, შეაღძრია და ამოაგდო ქვიდან რგოლი.

ტალღამ აიტაცა ნავი. მეგობრებს ხელში ეჭირათ ბაწარი—ესენი ამცურ-დენ ნავზე. ნიჩბები არ ქონდათ. ნიჩბების მაგივრად ფიცრები იხმარეს. ქარიშხალი ძლიერდებოდა. ნავი გადაბრუნდა. იფიქრეს, რომ იხრჩობიან. და უცებ „ნიწა".

ამ ადგილზე წყალი თურმე პატარა ყოფილა. წავიდენ ფონით და მიათრევდენ გადაბრუნებულ ნავს. შაქრო ღრიალებდა. შაქრო ქვითინებდა.

მაგრამ აი—ნაპირი, ცეცხლი, კოცონი. კოცონთან—მწყემსები.

— გადავრჩით!

წინ კავკასიაა. რაც უფრო უახლოვდებიან ტფილისს, შაქრო მით უფრო მოლრუბლულია. აი მცხეთაც! საქართველოს სამხედრო გზიდან შემოდგომის სუსხიანი ქარი ჰქროდა. ტფილისი ჯერ უზაჰესო, სალამოს ფარნებს ძუნწად ანთებდა. მიდიოდენ ოლგას ქუჩით. შაქრო ალაპარაკდა:

— Алексей! Видиш Кура! Вот Вэрийский мост. Сыди тут и жди! Я зайду один дом!.. Сэчас вернусь! Один момент.

შაქრო წავიდა და—ნეტი არ მობრუნებულა.

შემდეგ გვიამბობს კალიუჟნი.

— მე შემთხვევით შემხვდა მარტოხელა ჭაბუკი, რომელიც უცაბედად გაჩნდა ტფილისში. მე დავყავი ხუთი წელი კარის კატორღაში და გადასახლებული ვიყავი მთელი ვადის საბოლოოდ შესავსებად კავკასიაში: ტფილისში რკინის გზაზე შევედი და აი მას შემდეგ სულ ვმსახურებ! გორკის შევხვდი, ვიმეორებ, შემთხვევით. მან იწრიალა ახალგაზრდებს შორის და მერე მე წამაწყდა. ყმაწვილი მე ერთბაშად მომეწონა. ისე წარმტაცად, ისე მხურვალედ და ისე ნიჭიერად მიხატავდა ის თავის თავგადასავალს, მისი თანამგზავრი ქართველი შაქრო ცოცხალივით სდგას ჩემ წინ. მე კი ის ხომ არ მინახავს! რაზე არ ვილაპარაკეთ ჩვენ და ყველაფერში მე მატყვევებდა აზრის სიახლე, გულწრფელობა და ადამიანობა.

ზაფხული იყო. ჩვენ ავარაკზე წავედით. მე წინადადება მივეცი გორკის, დაეჭირა ჩემთან ოთახი შემოდგომამდე. ის გადმოვიდა და სამი თვე ჩვენ ერთმანეთის სულსა ვლევდით.

— შალიაპინი თქვენთან ხშირად დადიოდა? ვეკითხები მე.

— რატომ შალიაპინი?

— მე მითხრეს, რომ თავისი პირველი ჩამოსვლის დროს გორკი განუყრელად იყო შალიაპინთანო! რომ ისინი ერთად მღეროდენ ხოროში, ერთად ცხოვრობდენ და ცელქობდენ ოპერეტაში.

— ეს ნამდვილი სიცრუეა! არც ერთხელ ტფილისში სამჯერ ჩამოსვლის დროს გორკი შალიაპინს არ შეხვედრია. იმ დროს შალიაპინი ტფილისში არ

ყოფილა. ოპერეტასთან გორკის აგრეთვე არავითარი საქმე არ ჰქონებია. ის არასდროს არ სვამდა. ერთ ჭიქა ღვინოს დალევს და მეტი არ უნდა. ის ეძებდა მოწინავე მუშაობა ახალგაზრდობას და ინტელიგენტს, რომლისგანაც რისიმე დასწავლა შეიძლებოდა.

ასეთი ინტელიგენტი მაშინ გორკისათვის, ვგონებ, მე ვიყავი.

დაუჯერებელი ხეტიალის შემდეგ რუსეთში მას ჰსურდა ყველაფერი ის, რაც მან ნახა, როგორღაც მოესაზრებია, შეეგნო, გამოეხაკვთა. განეტვირთა სული. და აი ის მას განტვირთავდა ჩემს წინ. მაგრამ თვითეულ ნაბიჯზე ის გრძნობდა განათლების დანაკლისს. მას უკვე გაელვიძა წიგნის კითხვის გაუმაძღარი წყურვილი. რასაც კი დაინახავს მიეცი. დაინახა ჩემთან სპინოზას „ეთიკა"—გადაყლაპა. დაინახა ჰარტმანის „შეუგნებლის ფილოსოფია"—გადაყლაპა. მერე როგორ მოეწონა! მთხოვს ვაჩუქო წიგნი. მე—რა რიგ არ მიმძიმს ამაში გატყდომა—ღარი უთხარი:—„საყვარელო ალექსი მაქსიმეს-ძევ, თქვენთვის ამჟამად ადრეა ასეთი რამეების კითხვა! რამდენიმე წლის შემდეგ—გაჩუქებთ. ათი წლის შემდეგ ვღებულობ მისგან წერილს. ქვევით კი მინაწერია: ჰარტმანის „შეუგნებლის ფილოსოფია" მე მაინც ვიყიდე. არა, გორკის შალიაპინთან მაშინ ერთი გზა არ ჰქონებია. შემდეგ კი ისინი დამეგობრდნენ. ხოლო არა კავკასიაში.

მეორეჯერ 1902 წელს გორკი ჩამოვიდა ჩეხოვთან, ვასნეცოვთან, ექიმ სრუდინთან და ექიმ ალექსინსკისთან ერთად. მაშინ მცხეთაშიც ვიყავით. ჯვარის მონასტრის მთაზე ავედით. ვასნეცოვი განცვიფრებული იყო მცხეთის ტაძრის სიმარტივით და სიდიადით. მას ის მწვრის ნანგრევებზე უფრო მოეწონა.

1903 წელსაც ა. მ—ძესთან არ ყოფილა შალიაპინი. ის ჩამოვიდა პირველი ცოლის, პიატნიცკის და ტიხომიროვის თანხლებით. არც კი ეცლებოდა გორკის პირველი ჩამოსვლის დროს ხელოვნებისათვის.

ის, ჩემთან სამი თვის ცხოვრების შემდეგ, გადავიდა „კომუნაში"—ქალაქის გამგეობის მოსამსახურეთა საერთო ბინაში. აქ ის დაუახლოვდა მშვენიერ ადამიანს—ზეინკალს თედორე ათანასეს-ძეს. მასთან დაიწყო მეგობრობა. მთავარი კი ის არის, რომ ის დაუახლოვდა მოწინავე ახალგაზრდობის წრეს და ამის გამო კინაღამ დაისაჯა.

ზაფხულს 1893 წელს ის დაატუსაღეს და მეტეხის ციხეში ჩასვეს. სამი თვე სტკბებოდა გორკი ციხის სარკმლიდან მოდუდუნე მტკვრის მღვრიე ტალღებით... რევოლიუციის მუზეუმში აქამდე ინახება „საქმე ქ. გორკის შესახებ". სასამართლომდე ის არ მისულა. შემთხვევამ იხსნა. რომ მისულიყო, გორკის მარტო მეტეხის ციხეს არ დააჯერებდენ... ასე რომ, როგორც ხედავთ, ტფილისში გორკი ერთობოდა არა სმით და სიმღერით, არამედ კითხვით, განმათავისუფლებელი მოძრაობით და თავისი პირველ ნაწარმოებათა ლექსად და პროზად შექმნით. და გარდა ამისა ის რკინისგზის ანგარიშში მსახურებდა. ანგარიშს აწარმოებდა. მან წერა უმთავრესად ლექსებით დაიწყო. ერთი რევოლიუციონურ თემაზე ლეოპარდის მოგვაგონებდა და ფორმით ისე ლამაზი, და შინაარ-

სით ისე აგზნებული იყო! მაგრამ გორკის რცხვენოდა თავისი ლექსების და ის სპობდა მათ.

როგორ დაიწყო მან მოთხრობების წერა? ეს შემთხვევით მოხდა. მე უკვე რალაც ალფრთოვანება მომეფლინა. ერთხელ მე გორკი მიამბობდა თავის შეხვედრაზე ბოწასთან. მე ძალიან მოგეწონა. ისე დამენანა, რომ ეს ფანტაზიერება ჩაუწერელი დაიკარგებოდა, რომ მე ხელები ვსტაცე ა. მ—

დობლივი გარდატეხა? მის სულს, გაელენთილს შთაბეჭდილებებით ცხოვრების სიჭრელიდან, სურს გაუზიაროს ეს სიჭრელე სხვებს. ეს ცხოვრება კი მართლაც ჭრელი იყო. იმ დრომდე, როცა გორკიმ გადადგა მწერლის პირველი ნაბიჯი, ის იყო მეჩექმის, მხაზავრის, მეხატის, გემის მხარეულის, მებალის, ბებულკის შეგირდად... იყო ბუჩახის გამყიდავად, მებულკედ, დლიურ ძუძუსა ხეტიალგურზე, საქმისმწარმოებლად, მოანგარიშედ, მთავარი კი მაწანწალად, ბოსიაკად...

ბევრმა არ იცის, რომ მწერლის გზაზე, მწერლის განწირვაზე გორკის ხელი ჰკრა თავმდაბალმა, ტფილისის მოწინავემ, ფილოსოფოსმა ა. მ. კალიუჟნიმ.

მშვენიერი ადამიანი გორკის პიროვნებაში უმთავრესად აფასებდა **ადამიანს:**

— თქვენ რომ იცოდეთ, როგორ უყვარდა ა. მ. ბავშვები. როგორ ნაზად და ზრუნვით უვლიდა ის ჩემს ბავშვებს... და როგორ გამომეხმაურა ის კაპრიდან, როცა გაიგო, რომ ჩემი უფროსი ვაჟი დაჭერილია და ჩიორნი იარშია გაგზავნილი. როგორ ვცდილობდით ჩვენ, რომ შეგვეცვალა მისთვის ციმბირი საზღვარ გარეთ გადასახლებით; — ის ხომ მძიმე ავადმყოფი იყო. და აი — ცდა გაგვიცდა. და შვილი წავიდა გორკისთან კაპრიზე...

II

გორკი ნიჟნი ნოვგოროდში

პირველად მე ვნახე გორკი 1896 წელს ნიჟნი ნოვგოროდში.

მე ფაქტიურად ვრედაქტორობდი მიშინ „უწყებებს სრულიად რუსეთის გამოფენისა ნიჟნი-ნოვ-გოროდში". ოფიციალურ რედაქტორად ა. ვ. ამფიტეატროვი იყო. მაგრამ მას არ ეცალა ყურადღება მიექცია ამ უფასოდ კარებთან დასარიგებელ პატარა გაზეთისათვის და მან ერთბაშად გადასცა საქმე მართველობია სტუდენტის სუსტ ხელებს. ეს სტუდენტი მე ვიყავი.

გაზეთში ბევრი რამ მოიკოჭლებდა. მაგრამ ყველაზე უფრო კორექტურა. გამოფენის ამ „ოფიციოზს" ორჯერ კონფისკაცია უყვეს, მკითხველებს ხელიდან გამოგლიჯეს. მე მიკვირდა: რატომ უნდა მომხდარიყო ეს? დეპეშებისა და გამოფენის პავილიონების აღწერილობის გარდა ნომერში არაფერი არ ყოფილა. თურმე... ბეჭდვითი შეცდომის გამო.

„უმაღლეს" ბიულეტენში ნიკოლოზ მეორის „უავგუსტოეს" ჯანმრთელობის შესახებ (ის მაშინ ავად იყო) უნდა ყოფილიყო დაბეჭდილი:

„Ночь провел спокойно. Сонливости не заметно"

(ღამე მშვიდად გაატარა. მძინარეობა არ ემჩნევა)

ჩემს გაზეთში კი დაბეჭდილი იყო:

„Ночь провел спокойно. Соцливости не заметно."

(ღამე მშვიდად გაატარა. ცხვირმოუხოცავობა არ ემჩნევა).

უნდოდათ ამფიტეატროვი გადესახლებინათ. მან დაამტკიცა, რომ ის მხოლოდ რედაქტორია, გამომშვები კი მე ვარ.

დაქტაკენ მე. რედაქციაში ჩხრეკა მოახდინეს. ჟანდარმებმა წაიღეს საკორექტურო წახნაგები. მაგრამ იმათ ძე მიხსნეს.

საკორექტურო ნაბეჭდავში ასო „п" ისე გაურკვეველად გამოვიდა, რომ შეიძლებოდა ის „н"-ადაც ნიგველო ჟანდარმები მიხვდენ, რომ ბოროტი განზრახვა არ ყოფილა.

მე გაბრაზდეს. მაგრამ მომესხოვეს, რომ მე დაუყოვნებლივ ამეყვანა გამოცდილი პასუხისმგებელი კორექტორი. ამისთანას კი სად იპოვი? მე მოსკოელი კაცი ვარ, ნიჟნის არ ვიცნობ.

მივედი „ნიჟეგოროდსკი ლისტოკში". რედაქციაში შევხვდი ჩირიკოვს, რომელთანაც ადრე „კაზანსკიე ვესტი"-ში ვმუშაობდი (ის მაშინ ხელმძღვანელობდა ე. ვ-ლინ).

— მიშველეთ, ევგენი ნიკოლოზის ძევ, მაშოვიეთ კარგი კორექტორი!

— ჩვენ გვყავს ორი ახალგაზრდა მეტად გაჭირვებული თანამშრომელი: ანდრეევი და პეშკოვი. ისინი ამსაათში რედაქციაში უნდა მოვიდენ. საშუშაო იმათ გაახარებს. იმათ წერაც შეუძლიათ. ვინ არი ეს თქვენთან სამანქანო განყოფილების შესახებ რომ სწერს?.. ეს ხომ მთლად ანეგდოტია!.. ისეთი მანკვით და ტერმინები მუდამ—თეატრალური რეკენზიაა...

— ეს ნ. ე. ეფროსია. მოსკოვიდან. ის ამფიტეატროვმა გამოაგზავნა. ის „ნოვოსტი დნიაში" განაგებს თეატრალურ განყოფილებას...

— კიდევაც სჩანს, რომ მანქანებში არაფერი არ გაეგება. თქვენ სცადეთ პეშკოვს მიანდოთ. ის ჩვენთან „გაკვრითი შენიშვნებს" განაგებს. ეს ბიჭი ჩვენთან „ვოლგარიდან" გადმოვიდა—უნიჭო არ არის! თავიდათავი ის არი, რომ შეუძლია ყველაფერში სოციალური აზრი მონახოს. მისი სამწერლო სახელია **მაქსიმ გორკი** ან **იერონიმ ხლამიდა**. თქვენ შეადარეთ, რომელი უფრო შეეფერება „სამანქანო განყოფილებას"—თქვენი ეფროსი თუ ჩვენი პეშკოვი. ის ახლა ჩვენთვის გამოფენის შესახებ სწერს.

ჩირიკოვმა მაჩვენა ნომერი და სტატია, რომელსაც ხელს აწერდა ი. ხლ. მე ის გადავათვალიერე. მაშინ, როცა ჩვენი ეფროსი კმაყოფილდებოდა ზოგადი ლამაზი ფრაზებით და ხოტბას ასხამდა ჩვენი მანქანური მშენებლობის სწრაფ ზრდას,—(„თვითეული რკინის ნაჭერი მღერის, თვითეული რაზი მას ბანს აძლევს, თვითეული თაეის ხმას ბიჭყვება ამ ფოლადის მრავალხმიანობაში... და ა. შ."), იმავე დროს ახალგაზრდა გორკი იმავე ექსპონატების მიხედვით სწერს ჩვენს ჩამორჩენილობაზე, უკულტურობაზე, რომელნიც აჩერებენ არა მარტო მანქანური მშენებლობის ზრდას. სწერს მხურვალედ, დაჯერებულად და მოჰყავს მაგალითები დასავლეთ ევროპიდან.

მე ძალიან დავინტერესდი, ჩირიკოვმა მონახა კიდევ „გაკვრითი შენიშვნა" სანავთო განყოფილების შესახებ. მაშინ, როცა ჩვენს გაზეთში გაისმოდა საერთო „ეაშა" ბაქოს ირგვლივ, გორკის შენიშვნაში:

„გვაქვია დიაგრამები ქალაქის კულტურის, სანიტარიის, განათლების შესახებ. მაშინ წარმოდგენა სრული იქნებოდა. ერთი მხრით ახმაურდებოდენ ასეული მილიონი ფუთები და ათეული მილიონი მანეთები, მეორე მხრით—გადაიშლებოდა საოცარი სურათი სიბინძურისა, ველურებისა და ყოველივე სისაძაგლისა, რომლის არსებობა გამოწვეულია უმთავრესად იმით, რომ მდიდრები ზედმეტად ჩაბძარალი არიან ნავთში და არაფერი არ შეუძლიათ მიაწოდონ ქალაქს... არც დრო, რადგან არ ცალიათ, არც ფული, რადგან ფულიან ხალხს

სიუხვე აკლია"... განსაკუთრებით კარგი გამოუვიდა გორკის მოსკოვის პავილიონის აღწერა,—აქაც ის განიხილავს საკითხს სოციალური თვალსაზრისით...

— მე ძალიან მსურს მოვათავსო პეშკოვი ჩვენს გაზეთში, მაგრამ ვშიშობ, რადგან ამფიტიატროვს სჭირდება სახელდობრ ეფროსი. საჭიროა, რომ ეფროსმა იძახოს „ვაშა" და არა გორკიმ—„ყარაულ"!

გადავწყვიტეთ, რომ მე მიმეცა სამუშაო იმისთვის, ვინც პირველი მოვიდოდა. მოლოდინის დროს ჩირიკოვმა, რომელიც მაშინ გორკის პიროვნებით გატაცებული იყო, ბევრი რამ საინტერესო მომიყვა მის შესახებ.

— ივითონ ის კინალამ ბოსიაკების ჩამომავალია და სულ მათკენ მიიღტვის. მისი ბავშობა სულთამხუთავი იყო! და აი ამ ჭაბუკს ყველაზე უფრო აწუხებს ქუჩის ბავშვების იღბალი.

ის მზად არის ყოველი დღე სწეროს უპატრონო ბავშებზე, მზად არის ებაასოს მათ, გაუყოს უკანასკნელი გროშები. შეგიძლიათ წარმოიდგინოთ, რომ მას მოუვიდა აზრად თავში უპატრონო ბავშვებისათვის გაეკეთებია შობის ხე. და მან ეს აზრი განახორციელა! ათასამდე ღატაკი ბავში მხიარულობდა გორკის შობის ხის გარშემო და ღებულობდა საჩუქრებს!.. მას საზოგადოთ საკვირველი აზრები ებადება თავში.

ამჟამად ის ცდილობს დაარსოს ქალაქის საუბნო მზრუნველობა ბავშებზე... ამ საქმისათვის მას აზრად აქვს გამოიწვიოს მთელი მოსახლეობა უბნების მიხედვით, ბავშის მეგობართა საზოგადოებების სახით!.. მას დაებადა აზრი მოეწყო კლუბი ბოსიაკებისათვის. მან კიდეც დასწერა ჩვენთან წერილი „ოქროს რაზმისათვის" („Для золотой роты"). გამოიწვია ერთი მილიონერის სიმპატია.

საქმე კინალამ განხორციელდა. მით უმეტეს, რომ ბევრი ფული საჭირო არ იყო,—ოქროს რაზმის, ე. ი. ბოსიაკების კლუბი კომერციულ ნიადაგზე უნდოდათ დაეყენებინათ...

შემოვიდა გამხდარი შავგრემანი კაცი სტუდენტის ქუდით. თხელი სახე. ჩაცმულია რუსულად, მაგრამ სუფთად და მოხდენილად.

— ნება მომეცით გაგაცნოთ! ანდრეევი ლეონიდ ნიკოლოზისძე! ახალი მწერალია! ძველი კორექტორი! მორიგდით.

მე გავაცვნე ლეონიდ ანდრეევი საქმის ვითარებას. მას უკვე გაეგო ამბავი ბეჭდვითი შეცდომის შესახებ. ხმამაღლა იცინოდა და კმაყოფილი იყო იმით, რომ მოხერხდა ჟანდარმების გაჯავრება. მისი აზრით ბეჭდვითი შეცდომა იმდენად ჰგავს ანეგდოტს, რომ ჟანდარმებს უბრძანებენ ზევიდან გააუქმონ საქმე.

მე წინადადება მივეცი გამხდარიყო „იზვესტიას" კორექტორად. ის ამის წინააღმდეგი არ იყო და დამპირდა ხვალ დილით შემოსვლას.

— ხომ არ შეგიძლიათ თან პეშკოვიც წამოიყვანოთ. მე ძალიან მსურს, რომ ის ჩვენთან სწერდეს. მეტი ცდა არ შემიძლია, გაცნობა კი უსათუოდ საჭიროა! ჩირიკოვმა ის მე უნახავად შემაყვარა!

— ის ამ წუთს მოვა! ჩვენ ერთად ვიყავით გამოფენაზე და ერთად დავბრუნდით. აი თვითონ ის მოდის!.. გორკი, შენთან გაცნობა სურს „იზვესტია ვისტავკის" რედაქტორს...

ტიპიური ახალგაზრდა ასოთამწყობი შეხედულობით. ლურჯ ბლუზაში. სარტყელი წვრილი, ყვითელი. თმა აბურძგნული. სახე გამხდარი, ავადმყოფი. მრუდედ გაიღიმა ხელის მოწოდების დროს.

— ეს თქვენ უწოდეთ მეფეს ცხვირმოუხოცავი? ძალიან გიმარჯვიათ!.

ხელი ჩამომართვა და გავიდა.

— მან ასე ხშირად იცის. ლაპარაკის დროს გამოუსადეგლად გაბერეზა!..— მოიხადა ბოდიში მის მაგივრად ანდრეევმა.

ლეონიდ ანდრეევმა მოათავსა „გამოფენის უწყებებში“ რამდენიმე ხელმოუწერელი შენიშვნა. მაქსიმ გორკიმ კი არ ისურვა „ოფიციოზში“ მუშაობა.

ამნაირად ორივე ამ მწერალს მე ერთსა და იმავე დღეს გავეცანი. განა შემეძლო იმის წარმოდგენა, რომ 20 წლის შემდეგ ერთსა და იმავე დღეს ხელახლა შევხვდებოდი ორივეს კაპრიზე! ორივე უკვე მწერლები ევროპიული სახელით. ორივე—საუცხოო ვილლების პატრონი. ორივე—სამშობლოს სევდით.

ლეონიდ ანდრეევი ახჩობდა სევდას ფოტოგრაფიაში. საშინლად გატაცებული იყო კოდაკით. ხუთი წუთის შემდეგ, რაც მე მასთან მივედი, მე უკვე გადაღებული ვიყავი.

მაქსიმ გორკი ახჩობდა სევდას დაუსრულებელ საუბრებში რუსეთზე. მის ახლანდელ მდგომარეობაზე. თავიდათავი—მის რევოლიუციონურ მომავალზე.

ლეონიდ ანდრეევი ცხოვრობდა მარტო (დედასთან მხოლოდ), რუსეთისაგან მოწყვეტილად.

მაქსიმ გორკი ცხოვრობდა გარშემორტყმული ამხანაგებით, რომელნიც ახალგაზრდა რევოლიუციონურ რუსეთის წარმომადგენლები იყვნენ.

ლეონიდ ანდრეევი თავს იზღუდავდა პოლიტიკისაგან, რადგან ეშინოდა, რომ ის ხელს შეუშლის ბელეტრისტიკას.

მაქსიმ გორკი თავს იზღუდავდა ბელეტრისტიკისაგან, რადგან ეშინოდა, რომ ის ხელს შეუშლის პოლიტიკას.

X

გორკი და სპენდიაროვი

ალტაცებით ახსენებს გორკის, როგორც ადამიანს, სომხეთის სახალხო არტისტი კომპოზიტორი ა. ა. სპენდიაროვი.

— გორკი ცხოვრობდა ზაფხულს 1902 წ. ყირიმში 14 ვერსის მანძილზე იალტიდან ალუპკის გზაზე ტოკმაკოვების მამულში, ოლეიზში. მასთან ყოფნა ჩემთვის ნეტარება იყო. ის შესანიშნავი მასპინძელი იყო, მას ყველასათვის ჰქონდა ღია კარები და ყოველთვის გაწყობილი მაგიდა. მან ისიც იყო გაიდა მეხუთე გამოცემა თავისი ხუთტომიანი კრებულისა,—ფული ბევრი იყო. სიძუნწე მწერალს არასოდეს არ სჩვეოდა. დილიდან დილამდე ღვინო და საჭმელები მაგიდაზე იყო. დილიდან დილამდე იცვლებოდა ვალეიდოსკოპი თავისებურ სტუმრებისა.

მაშინ იალტა ლიტერატურულ და მუსიკალურ ძალების ცენტრი იყო. ლევ ტოლსტოი გასპრაში, ჩეხოვი იალტაში. შალიაპინი მთელ დღეებს გორკისთან

ატარებდა. რახმანინოვი, ლეონიდ ანდრეევი, ტელეშევი, ბუნინი, შმელევი, სკიტალეცი,—განა მოიგონებ ყველას, ვისაც მე გორკისთან შევხვედრივარ. საოცარია, რომ ყველასთან, თვით მაბეზარ სტუმრებთანაც კი მასპინძელს თავი ერთნაირად ეკავა—თავაზიანად, ყურადღებით.

წინააღმდეგ ბევრის მიერ შეთვისებული წარმოდგენისა, თითქოს გორკი უხეში, თავხედი და შედიდური იყოს. იმ ხანებში „ნოვოე ვრემიას" შედიდურმა კრიტიკოსმა ბურენინმა პირველად წემოიღო პრესაში სიტყვა ახლა გაცვეთილი,— „ხულიგანი". და იხმარა ის გორკის მიმართ. ჩვენ ყველანი აღშფოთებული ვიყავით. უკმაყოფილო იყო თვით მწერალიც, თუმცა საზოგადოდ ის „ნოვოე ვრემიას" კრიტიკას არავითარ მნიშვნელობას არ აძლევდა. სიტყვა **ხულიგანი** მას ეწყინა. ბევრი ურჩევდა მას როგორმე „პასუხი გაეცა". ხულიგანობდა მოსკოვში ჯგუფი აგალგაზრდა, ხანდახან საკუთარი ენიჭო მწერლებისა, ეგრედ წოდებულ **პოდმაქსიმკებისა**. იმათ შეითვისეს მხოლოდ გარეგანი მხარე მაქსიმ გორკისა. მისი ბლუზა, ზარეული, ჩექმები, ტანისამოსის სიმარტივე; რომელიც ასე ჰშვენოდა ხალხიდან გამოსულ მოწინავეს პეშკოვს. შეითვისეს მისი მძაფრი, აფორისტული კილო. სიმძაფრე, მოუხეშაობა გორკის მხოლოდ ხალხში ჰქონდა და ეს მას როგორც ხმირად ხდება, ხელოვნური მოოცხვობისაგან ემართებოდა.

გორკის ტკივილამდე სწყინდა, რომ მისი პიროვნებით დაინტერესებულ იყვნენ. პოდმაქსიმკები კი, რომელნიც აკეთებენ თავის კარიერას გორკისთან ვითომდა სულიერ სიახლოვეზე, ხანდახან „დაუშვებლად ირჯებოდენ, ეძებდენ სკანდალებს, შემთხვევებს თუნდაც ქრონიკაში, გაზეთებში მოსახვედრად.

აი ეს პოდმაქსიმკები სახელს უტეხენ ვითომდა „მაოი ბრბოს ბელადს". თვითონ გორკი თითქმის არ სვამდა. მთვრალი ის მე ერთხელაც არ მინახავს, თუმცა, მე თვითონ ხშირად ვყოფილვარ მასთან და გორკი ყოფილა ჩემთან იალტაში სადაც მე ნამის სახლში ვცხოვრობდი. როგორც საკვირველ მაგალითს გორკის სტუმართმოყვარეობისა და მორიდებულობისა მოვიყვან შემთხვევას, რომელსაც ადგილი ჰქონდა ჩემს თვალის წინ.

მოვიდა მანდილოსანი – თაყვანისმცემელი და გაიცნა ა. მ.-თან პოლიტიკური კამათი. რა სისულელეები კი არ სთქვა ამ არისტოკრატ ქალმა, რა რიგ არ ცდილობდა ის დაემხო დ გაეთელა თავისი ფრანგული ქუსლით „ეს წითელი ბოდვა"! გორკი, როგორც ბავშს, მოთმინებით, ყურადღებით უსმენდა სადარბაზოდ მოსული ქალის მტკიცებებს, დაწვრილებით არჩევდა და ამსხვრევდა მათ ერთს მეორეზე. მანდილოსანი ცხარობდა, ნახულობდა კიდევ ახალს, კიდევ უფრო ფუქსავატს და შეურაცხმყოფელ აზრებს საპასუხოდ. გორკი, როგორც ექიმი, თავდაჭერილად და თანაგრძნობით უსმენდა პაციენტს. მანდილოსანი სულ უფრო და უფრო აუტანელი ხდებოდა. გორკიმ ხმასაც კი არ აუწია.

და ბევრი იყო ასეთი თაყვანისმცემელი, რომელნიც თუმცა აღიარებდენ გორკის ნიჭს ზოგიერთნი გენიოსობასაც კი, ცდილობდენ მისი გადაყვანას წითელი გზიდან სათნოების გზაზე—ეკლესიის და მამულის სასარგებლოდ. ის ნებას აძლევდა ვიგინდარას ჩხრეკა დაეწყო მისი სულის წმიდათა წმიდაში. და

ეს სრულებით არა იმიტომ, რომ მწერალს ეძებნოს ტიპაჟები თავისი მომავალ ქმნილებებისათვის.

და ეს იმიტომ კი არა, რომ მას ეძებნოს ადამიანში მისი რწმენა, მისი ღმერთი. გორკი **ღმერთმაძიებელი** არ ყოფილა. ის იყო კაცმაძიებელი, თვითეულ კაცში ის ადამიანს ეძებდა. და თუ პოვნას ვერ მოახერხებდა, განცვიფრებული იყო. და კვლავ და კვლავ ეძებდა. **ადამიანის მადნის მარაგნ**[illegible]ა, აი ეს იყო მისი სიხარული. **ადამიანის მადანი** ეს უფრო ძვირფასად ისინი, ვიდრე ოქროს მადანი.

მე უკვე ვსთქვი, რომ გორკი არ დამთვრალა გრძნობის დაკარგვამდე. დამახასიათებელია, რომ თვით მხიარულების დროს მას არ ავიწყდებოდა რევოლიუციონერები. მახსოვს იალტაში, როცა გორკი პოლიციის ზედამხედველობის ქვეშ იყო, მან ერთხელ თვალი გადაავლო მრავალრიცხოვან შეკრებილობას, გაიფიქრა რომ აქ ძალიან შეძლებული პირები იქნებიან და გამოაცხადა მოულოდნელი ფულის აკრეფა რევოლიუციონერების სასარგებლოდ. მისცა განიერი ქუდი შალიაპინს და განაცხადა: — „მშვიდად! ვიღებ!..“ და ქუდი სწრაფად აივსო კიდემდე ქალალდის ფულით, ხშირად წითელი და ოქროთი.

გორკის არ უყვარდა ქველმოქმედებთან კონცერტების მიწებება. მით უმეტეს რევოლიუციონურ საქმესთან. შალიაპინს კი უყვარდა, რომ მისი სიმღერა ყოფილიყო გულის და ჯიბის გასალებად. ყირიმში გორკი და შალიაპინი მეგობრულად ცხოვრობდენ. შალიაპინი მისთვის უჩვეულო აღტაცებით ეპყრობოდა ა. მ.

გორკის საზოგადოდ ჰქონდა რაღაც დამატყვევებელი სიმარტივე, მორიდება და სინაზე მოქცევაში. ის პირდაპირ ყველას უყვარდა. აი თუნდ ერთი დღით გაეშვათ იქ ლიადოვი! ისიც შეიყვარებდა. ისიც კი განცვიფრდებოდა, როგორ უმართებულოდ მსჯელობენ ისინი, რომელნიც აბრალებენ გორკის პუშკინის, დოსტოევსკის, ტოლსტოის, ჩეხოვის ავტორიტეტის შელახვას!.. ერთხელ გორკი დამნაშავე ღიმილით მელაპარაკება: — „აი... იცით, . . არ ვსწერ მე ლექსებს... სულ ერთია, პუშკინივით ხომ ვერ დასწერ, უარესად წერა კი-ნიშნავს პუშკინის ხსოვნის შეურაცხყოფას. პუშკინმა ყველა რუსეთის პოეტების მაგიერად ორასი წლით წინდაწინ დასწერა. და მაინც შევცოდე ლექსით... დავსწერე პატარა პოემა „მებადური და ფერია“... შეიძლება თქვენ მუსიკისთვის გამოგადგესთ“... მე გამოვართვი. მომეწონა. და 1903 წელს პაველოვსკში უკვე სრულდებოდა ჩემი ბალადა „მებადური და ფერია“ ბასისთვის ორკესტრით. მე სახეში მყავდა შალიაპინი.

აი ამ ჩემი მოგონებიდან დაინახავდა ლიადოვი, რას ფიქრობს გორკი პუშკინის შესახებ. დამკირებულთა და შეურაცხყოფილთა მამასთან გორკის იმდენი საერთო ფესვები აქვს, რომ ერთი წამითაც სისულელე იქნებოდა იმის ფიქრი, რომ მას შეუძლია არ იცნოს დოსტოევსკი! თითქმის თვითეული თავისი მოთხრობით ის აღიარებს დოსტოევსკის, იმიტომ რომ, ის გაიზარდა დოსტიევსკიდან. მე არ ვიცი, შეიძლება თუ არა მეტი სიყვარული ჩეხოვისა, ვიდრე ის უყვარდა გორკის.

ფაქიზი და თავაზიანი ყველასთან, გორკი განსაკუთრებით ნაზი იყო სახელდობრ ანტონ პავლეს-ძესთან! ტოლსტოი გასპრაში ცხოვრობდა. ტოლსტოის ქალები და ქალიშვილი გორკისთან ხშირი სტუმარი იყვნენ. თვითონ ტოლსტოი არ ყოფილა ოლეიზში. მაგრამ გორკის ტოლსტოისთან წახვლა უყვარდა. და ბრუნდებოდა განსპეტაკებული. მან ღმერთის ძიებაში იპოვა ადამიანის მადანის ისეთი მთები, რომ მის დასამუშავებლად არ იკმარებდა ათასი ადამიანის სიცოცხლე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მხატვარიც და ადამიანიც გორკის უყვარდა და უყვარს ტოლსტოიში. გორკი ყოფილა ჩემთან იალტაში მამის სახლში. მამა ჩემი არ ზოგავდა ქონებას, რომ თავისი სახლი რაც შეიძლება მხატვრულად მოეწყო. მთელი ავეჯი სპეციალურად შეუკვეთეს სახელოვან მელცერს, სურათები, ქანდაკებები, ბრინჯაო, ფაიფური სახლს ხელოვნების სასახლეს ამსგავსებდენ.

მე მაოცებდა, როგორი სიყვარულით გორკი ყოველთვის ათვალიერებდა ხელოვნების ამ საგნებს. მისი ბავშობა და ყმაწვილობა ისე წარვიდა, რომ მას შეძლება არ ჰქონდა დამტკბარიყო მხატვრობის, ქანდაკების, მუსიკის სიხარულით. მაგრამ მას ჰქონდა თანდაყოლილი გრძნობა მშვენიერებისა. რომელიმე ფაიფურის ნივთის დათვალიერების დროს ის წამოიძახებდა:—აი ასეთი მშვენიერებისათვის დათვალიერების დროს არაეთარი თანხა არ დაგენანება!"

ის ერთხელ ანვითარებდა აზრს, რომ ყოფა-ცხოვრების ყველა საგნები—ავეჯი, ჭურჭელი, ტანისამოსი—უნდა იყვნენ ხელოვნებით გაჟღენთილი. ჯერ ხომ უშორესი დროის ველურები, ყველა მიწაში ნახული კულტურები ცდილობენ თვითეულ ნივთს სულ უბრალო საშინაო დანიშნულებისას მხატვრული სახე მისცენ. ან მასზედ სურათს ამოკაწრავენ, ან ფორმას ისე გათლიან, რომ მხეცის სახეს მისცემენ, ან შეღებავენ. მაშინ ხელოვნება იყო **ხელოვნება ყველასათვის.** რამდენად ჩვენ უფრო ღარიბნი, ჩამორჩენილნი ვართ, თუ ჩვენთან ხელოვნება ფუფუნებაა, მდიდართა და წარჩინებულთა პრივილეგია.

მუსიკა ა. ნ. საშინლად უყვარდა. მისი თხოვნით, როცა მე მას სტუმრად ვიწვევდი, ყოველთვის ვმართავდი სახლში კონცერტებს. ერთხელ მოვაწყვე საკვარტეტო საღამო იალტის სიმფონიური ორკესტრის სოლისტებიდან. ეს საღამო ყველაზე უფრო მოეწონა გორკის. კვარტეტიდან კი ყველაზე უფრო ბეტჰოვენის კვარტეტი. საზოგადოდ კლასიკოსებს გორკი უპირატესობას აძლევდა. თავის სახლშიდაც ის მართავდა მუსიკალურ საღამოებს, რომლებზედაც ხალისით მღეროდა შალიაპინიც.

ჩვენ ვმუსაიფობდით ა. ა.-სთან ბაღ „სტელაში". შორს უკრავდა სიმფონიური ორკესტრი კარდაშეევის ხელმძღვანელობით. მე უთხარი სპენდიაროვს:

— გესმით: ლიადოვი ჩვენს საუბარში იჭრება!

მან ყური დაუგდო.

— დიახ, ეს არის ლიადოვის „კიკიმორა". როგორ საბრალოდ მღერის. მას სჩანს რცხვენია მისი წერილების გამო გორკის შესახებ.

— თქვენ კი მე, ა. ა. სრულებით ვერ გამაკვირვეთ გორკის სიტყვებით ხელოვნების შესახებ. ლენინგრადში ცხოვრების უკანასკნელ წლებში ის გატა-

ცებული იყო ფაიფურის და... ჩინურ ლერწების შეკრებით. მე ვიყავი თავმჯდომარედ ანტიკვარების და რესტავრატორების კავშირისა (სანტიკრესტ) და ანტიკვარებისაგან გამიგონია, რომ ჩინურობით გატაცება გორკის ვნებად გადაექცა. მაშინ ხომ შეიძლებოდა გორკის ფასად შესანიშნავი ნივთები გეყიდა. ანტიკვარები სჩიოდენ, რომ გორკი ვაჭრობს, როგორც ლომი. მაგრამ მაინც ყველაფერს მას აჩრიდენ. უკანასკნელი ჩემი შეხვედრა გორკისთან იყო ანტიკვარ ბურცევთან ბასეინაიაზე. გორკი მარიამ თეოდორეს ასული შევიდა საკითხავად, არის თუ არა გასაყიდად „საფაიფურო ჭარხნების მარკების მაჩვენებელი". ბურცევს არ ჰქონდა. მე წინადადება მივეცი:

— ალექსი მაქსიმეს ძევ. მე მაქვს. ნება მომეცით, გაჩუქოთ.

— საჩუქრებს არ ვღებულობ. ყიდვით კი სიამოვნებით ვიყიდი!

— მე ის არ მჭირდება. მე სურათებს ვაგროვებ და არა ფაიფურს! დავიწყეთ ვაჭრობა: მე—არ მსურს გავყიდო, მას—არ სურს საჩუქრის მიღება. წავედით კომპრომისზე: მარიამ თეოდორეს ასულმა მოგვარიგა:

— აბა კარგი, თქვენ აჩუქეთ კატალოგი არა ალექსი მაქსიმეს ძეს, არამედ მე!

ასედაც მოვიქეცით. და ამ წვრილმანშიდაც გამოჩნდა გორკის სიფაქიზე. არ სურს მიიღოს გროშის ფასის საჩუქარიც კი.

IV

გორკი და აკადემია

გორკის (ათი წლის) სალიტერატურო მოღვაწეობა დიდი და ბრწყინვალე წარმატებით დაგვირგვინდა.

რუსეთის საიმპერატორო მეცნიერებათა აკადემიამ ის საპატიო წევრად აირჩია.

გორკის ეს ესაჭიროებოდა, როგორც უნაგირი ძროხას. მალე თვით საპატიო და ნახევრად საპატიო საიმპერატორო აკადემიკოსები მიხვდენ ამას.

განსაკუთრებით შფოთავდა მეფის კარი რამენაირად საჭირო იყო „ბოსიაკების მამის გაძევება წევრთა სიიდან.

ითქის უმაღლესი ბრძანებით „მთავრობის უწყებაში" დაბეჭდეს განცხადება:

„იმ გარემოებათა მიხედვით, რომელნიც არ იყვნენ ცნობილი საიმპერატორო მეცნიერებათა აკადემიის რუსული ენის და სიტყვიერების განყოფილების შეერთებული კრებისათვის არჩევნები საპატიო აკადემიკოსის ალექსი მაქსიმესძის პეშკოვის (ფსევდონიმი მაქსიმ გორკი), რომელიც გაწვეული იყო დასაკითხავად სისხ. სამ. წესდ. 1035 მუხლის ძალით, არანამდვილად ცხადდება.

დოროშევიჩმა, „რუსსკოე სლოვოს" რედაქტორმა, სადაც მე მაშინ ვმუშაობდი, გამაგზავნა მე ა. პ. ჩეხოვთან:

— გაიგეთ როგორ სურს შეხვდეს ამ სკანდალს ჩეხოვი? ისიც ხომ საპატიო აკადემიკოსია.

ჩეხოვი სახლში დამიხვდა.

— პროტესტის განცხადება პრესაში მე არ მსურს! ეს იმის მაჩვენებელი იქნებოდა, რომ ჩვენ ძალიან ვაფასებთ აკადემიკოსის წოდებას! ბატონო! ბატონ მე პირადად მას სრულებით არ ვაფასებ, ისევე როგორც გორკი, ასაკოვანია, იმდენად არ ვაფასებ, რომ ვფიქრობ დავუბრუნო აკადემიას ჩემი საპატიო აკადემიური დიპლომი. დიახ, შეგიძლიათ აცნობოთ დოროშევიჩს! ჩეხოვმა თავისი დიპლომი აკადემიას დაუბრუნა". მე დარწმუნებული ვარ, რომ კოროლენკოც დაუბრუნებს.

ასედაც მოხდა, ჩეხოვმაც და კოროლენკომაც დაუყოვნებლივ დაუბრუნეს აკადემიას თავისი დიპლომები, ესე იგი უარი სთქვეს საპატიო წევრობაზე.

თვითეულ გახმაურებული საქმის გამო ყოველთვის მიხდებოდა ინტერვიუს გაკეთება ფ. ა. კონისთანაც. მისი ავტორიტეტი, ყოველმხრივი ერუდიცია, გონებამახვილობა და ტაქტიანობა ყოველთვის აძლევდენ გაზეთს მშვენიერ მასალას.

— მე ვფიქრობ, რომ ფორმალურადაც აკადემია მართალი არ არის. მარტო ერთი გაწვევა დასაკითხავად არ შეიძლება იყოს საფუძველი არჩევნების გაბათილებისათვის, დაკითხვამ რომ საქმის მოსპობა გამოიწვიოს! ეს სავსებით შესაძლებელია, რადგან მე ამ გაწვევასთან ცოტადენად გაცნობილი ვარ. მაშინ რა? ახალი არჩევნები? თუ ახალი განცხადება „თავრობის უწყებაში?" მერწმუნეთ არც ერთი, არც მეორე არ იქნება. ჯერ ერთი ამას თვითონ აკადემია არ ისურვებს. მეორე, ამას არ ისურვებს თვითონ მაქსიმ გორკი. გულახდილად რომ გითხრათ, მე დარწმუნებული ვიყავი, რომ ალექსი მაქსიმეს-ძე ადრე თუ გვიან თვითონ ეტყოდა უარს საპატიო აკადემიკოსის წოდებაზე

ის, რაც კონიმ მიპასუხა, სისწორით ასრულდა. საქმე მაქსიმ გორკის წინააღმდეგ არც კი ყოფილა აღძრული. აკადემიაშიდაც აგრეთვე არ ყოფილა აღძრული საკითხიც კი მწერლის აღდგენის შესახებ საპატიო წევრობაში.

კინალამ არ დამავიწყდა: კონიმ სხვათა შორის სთქვა:

— მათ არც კი შეეძლოთ გორკის დატოვება აკადემიაში, იმიტომ რომ ზოგიერთი საპატიო აკადემიკოსები იმუქრებოდენ, რომ უარს იტყოდენ წოდებაზე, თუ ჰეშკოვი გაძევებული არ იქნებოდა. ასე სძულთ ის ზოგიერთ ძალა-უფლებით მოსილ აკადემიკოსებს.

და ეს იმიტომ, რომ გორკი — „მეტიჩარაა".

მაგრამ განა თვითეული ნიჭი მეტიჩარა არ არის?

V

გორკი და ჩეხოვი

ჩემს სიცოცხლეში იყო ორი ძალიან მძიმე ინტერვიუ.

ავადმყოფი ჩეხოვი საზღვარგარეთ მიემგზავრებოდა. რედაქტორმა დამავალა დამეჭირა ის და მეკითხა: რა ეწოდება მის უკანასკნელ ნაწარმოებს?

მე ის დამხვდა სამხატვრო თეატრის ლოჟაში, რომელსაც ის თითქოს საშუდამოდ ემშვიდობებოდა.

მოვიხადე ბოდიში შეწუხებისათვის და მივეცი დოროშევიჩის კითხვა.

ანტონ პავლეს-ძემ დიდხანს, წვალებით ჩაახველა და ცდილობდა ცხვირსახოცით დაეფარა ხმები.

— რა ეწოდება ჩემს უკანასკნელ ნაწარმოებს?... აი ეს...

მან მოიხსნა ცხვირსახოცი ტუჩებიდან და მიჩვენა. ცხვირსახოცზე წითლად მოსჩანდა სისხლის ნაკვეთი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეორე ასეთივე ლაკონიური ინტერვიუ გორკისთან მქონდა:

1905 წ. გორკი დააკავეს და ციხეში ჩასვეს იმის გამო, რომ მან მონაწილეობა მიიღო დეპუტაციაში წინაგან საქმეთა მინისტრთან.

ამ ძალადობამ, რომელიც ჩაიდინა მთავრობამ სახელოვანი მწერლის მიმართ, გამოიწვია მსოფლიო აღშფოთება. არ ყოფილა ქვეყანა, რომელსაც პროტესტი არ გამოეცხადებინოს და მისი განთავისუფლება არ ეთხოვოს.

ციხეში რეჟიმი აღმაშფოთებელი იყო.

როდესაც გორკი, ბოლოს, გაათავისუფლეს, მე, რედაქციის მონდობილობით, უნდა დამეჭირა ის და გამეგო:

— რა სურს აკეთოს? რას სწერს? საით მიდის? თავს როგორ გრძნობს? სახლში დამხვდა, მაგრამ კითხვები პირში შემრჩა, როცა მე სახეში შევხედე ალექსი მაქსიმეს-ძეს.

საპყრობილემ ისე გასტეხა მისი ჯანი, რომ გული გეტკინებოდათ მისი დანახვისაგან გაძვალტყავებული, მოხუცი სახე. მხოლოდ თვალები დარჩა უწინდელი.

არაფერი არ მიკითხავს. ჩუმად გამოვედი რედაქციაში კი მივიტანე ამბავი:

— მიდის კაპრისს, მაგრამ გორკის დღეები დათვლილია...

მე საბედნიეროდ ვცდებოდი: კაპრიმ სასწაული მოახდინა.

VI

გორკი და სტასოვი

1906 წელს ჩემს „ბულეტინში" მე გამოვაცხადე კონკურსი ახალი ჰიმნის შექმნაზე ნაცვლად მობეზრებულის „ღმერთო ფარვიდე მეფესა". ჟიურისათვის ავითვალთვალე ვლ. ვას. სტასოვი, მაქსიმ გორკი, ნ. ა. რიმსკი-კორსაკოვი, ანატ. კონსტ. ლიადოვი და ა. კ. გლაზუნოვი.

წავედი სტასოვის მოსაწვევად. სახელგანთქმული სამხატვრო კრიტიკოსი მიესალმა ჩემს წამოწყებას, ერთბაშად მომცა თანხმობა ჟიურის მონაწილეობაზე. ალტაცებით მიესალმა გორკის მიწვევას ჟიურის შემადგენლობაში, **თუმცა ის მუსიკოსი არ იყო:**

— სამაგიეროდ ეს რევოლიუციონური სულია! სამაგიეროდ ეს მხატვარია სრული მნიშვნელობით. სამაგიეროდ ეს ავტორიტეტია! სიმღერა მას ესმის: ის თვითონ მგალობელი იყო.

სტასოვიდან მივდივარ ლიადოვთან. მცხოვანი კომპოზიტორი მშვენივრად შემხვდა:

— დროა, დრო შევქმნათ ახალი რუსეთის ჰიმნი! ვინ გყავთ სახეში, ჩემს გარდა, ჟიურისათვის?

მე ჩამოვთვალე.

— როგორ, გორკი! არაფრის გულისთვის. გორკისთან შესვენდრა არც ერთ საქმეში არ მსურს. ის მეტიჩარა და უვიცია!

— რას ამბობთ, გორკი არამც თუ თავმდაბალი, ის ... — ... მოიხსენებულია მწერლებში. თქვენ გაიგონებდით, რომ მან უთხრა ბალმონტს, რომელიც მას გარს შემოერტყა თეატრის ფოიეში:—„რას მიშტერებთ ვთალებსა. მე არ ვარ ბალერინა და არც დამხრჩვალი!..“

— სწორედ მაგ არის! ის ლიტერატურაში ბალერინაა და—დამხჩვალზე უარესი. ის აფურთხებს პუშკინს, ტოლსტოის, ტურგენევს...

— ანატოლი კონსტანტინეს ძევ! როგორ გეკადრებათ „ბაბა იაგას“, „კიკიმორას“ ავტორს ამის ლაპარაკი. განა თქვენ, მუსორგსკის და ნიკოლოზ ანდრიას ძეს [2]) არ გაბრალებდენ იმას, რომ თქვენ აფურთხებთ გლინკას და კლასიკოსებს!?.. განა ვლადიმერ ვასილის ძე [3]) არ იყო ქაფით პირზე რომ იცავდა თქვენს „ძლიერ ჯგუფს“ გაშმაგებული დევნისაგან პრესაში და საზოგადოებაში?! მუსორგსკი რომ ცოცხალი ყოფილიყო, ის გულში ჩაიკრავდა გორკის: —„ეს ხომ ნამდვილი ჯგუფისტია!“ ვლადიმერ ვასილის ძე კი ახლაც მზად არის ვისაც გინდა შეებრძოლოს გორკისათვის...

მოხუცი—გაჯიუტდა.

— ან გორკი, ან მე. ჟიურიში ერთად არ ვიქნები!

წავედი სტასოვთან.

— დააჯერეთ მოხუცი! ძალიან ეინიანობს. განუმარტეთ მას გორკი.

ეს მან წაიკითხა „XIII სბორნიკ ზნანია“. იქ გორკი მოიმკაცრებს, თავს დაესხა დასავლეთ კულტურის ავტორიტეტებს. განსაკუთრებით საფრანგეთს. მაგრამ ის მართალია. ბევრში. და მთლიანად. აი რა. მოათავსეთ ლიადოვი სიაში. მე კი თავს ვიდებ შევარიგო ლიადოვი გორკისთან“.. გორკისთან წასვლა მოსაწვევად იმავე დღეს ვერ მოვახერხე. მე მესამეჯერ დამაკავეს. შემდეგ სასამართლო. შემდეგ წელიწადი ციხე. შემდეგ ნახევრად გაქცევა საზღვარგარეთ. ამნაირად ჰიმნების კონკურსის ისტორია არაფრით გათავდა.

მახსოვს ცოლი საპყრობილეში ნახვის დროს მეუბნებოდა, რომ ჰიმნების შემოსვლა დაიწყო. მე ვთხოვე მას გადაეგზავნა ისინი ჟიურის წევრებისათვის.

ამას წინად წავიკითხე სტასოვის სიკვდილის შემდეგ გამოქვეყნებული წერილები მასთან და მისგან. ვნახულობ ლიადოვის მეტად საინტერესო სამ წერილს ვლადიმერ ვასილის ძეს მიმართ.

პირველში ლიადოვი მიჩივის სტასოვთან, რომ მე მის ნებადაურთველად ისიც მოვათავსე ჟიურის წევრთა რიცხვში. „და რადგან თქვენ მას თანხმობა მიეცით, ამიტომ გიგზავნით პირველ ჰიმნს, რომელიც დღეს შებუევისაგან მივიღე“.

---

[1]) რიმსკი-კორსაკოვი

[2]) სტასოვი

[3]) გაბედულ რევოლიუციონერთა ჯგუფი რუსულ მუსიკაში.

აი მე რა მაინტერესებს: როგორ ბრძანდება თქვენს გულში გორკი? ნუთუ ახლაც მოხიბლული ხართ იმით? თქვენ-და გორკი! არაფრის გზით არ შემიძლია ამის გაგება და ამასთან შერიგება. მოვიდა... და ყველანი აღტაცებაში მოვიდენ: „ახ, რა სუნნელება, რა სითამამე, რა პოეზია, რა ახალი სიტყვა". მაგრამ მთელი მისი უფლება არსებობაზე, როგორც მწერლის, მხოლოდ [illegible] გომარეობს, რომ მან დროზე დაიბლოყინა, როცა თითქმის არავის [illegible] პუშკინი, ტურგენევი, ტოლსტოი. მისი „შემოქმედების" სიცრუე და მოუხეშაობა მე მაბრაზებს. ამ კაცს აქვს ბეჰემოტის კანი და ბეჰემოტის გული. არც ერთი მოხდენილი ხაზი — ყველაფერი ქანდაკისთვის, ყველაფერი „განმათავისუფლებლად", უხეშად, სამაგლად, მოდაზე, და ეს მოშაქრული ოჩოფეხა, „ეს ბუცლის" და ბინძურ ინსტინქტების მგოსანი ბედავდა ხელი შემოექნია მსოფლიოს უდიდეს მხატვრებისათვის, ნამდვილ განმათავისუფლებელთათვის. სიბოროტიდან და სიძულვილიდან ყვავილები და სიმართლე არ იზრდებიან".

ლენინი თავის წერილში გორკის მიმართ იგონებს „ღმუილს" წერილის „კიდევ კარამაზოვშჩინისათვის" გარშემო. ეს „ღმუილი" (ილიჩის გამოთქმა) თან სდევდა გორკის მთელი სიცოცხლე. საშუალო არ ყოფილა: ერთნი აძაგებენ მას „ღმუილით", — მეორენი აღტაცებას გამოთქვამდენ „ღმუილით".

გორკის, როგორც ადამიანს არავინ არ იცნობდა, და არ იცნობს. განა შეუძლია ვინმეს წარმოიდგინოს, რომ გორკი... აწყობს შობის ხეს ქუჩის ბავშებისათვის? გორკის განზრახვა აქვს შექმნას ბავშის მეგობართა საზოგადოება!!? გორკი ცდილობს მოაწყოს კლუბი ბოსიაკებისათვის!!.

კორკი ნახულობს ვაჭარ ბუგროვის ქალთა ახალშენს და მეტად სიმპატიური კილოთი აგვიწერს მას! წერილი ლიადოვის, მეტად კეთილი და რბილი ადამიანის, გვიჩვენებს რა ბრმა, უსამართლო და ეინიანი იყვნენ თვით მოწინავე იდეოლოგები იმ „ღმუილისა", რომელზედაც ლაპარაკობს ლენინი.

ლიადოვის მეორე წერილი სტასოვთან კიდე უფრო საინტერესოა.

სტასოვი დამბირდა მე ლიადოვის გორკისთან შერიგებას. და შეასრულა დაპირება.

„ მე აფრთოვანებული ვიყავი, რომ თქვენ საკუთარი ხელით გადასწერეთ ზოგიერთი ადგილები გორკიდან. როგორი საყვარელი და კეთილი ხართ — პირდაპირ საკვირველია. მე არ უარვყოფ, რომ გორკის აქვს რამდენიმედ ნიჭი და ჭკუა, მაგრამ ის „მოიჯარადრეა" ლიტერატურაში, და არა „მემკვიდრე" — ამით არი ის ჩემთვის საძაგელი. მისთვის ადვილი იყო ასწლოვანი ჭალაკის აჩეხვა „რომ უფრო სლაბოდნად ესეირნა საყვარელთან ერთად". მისთვის ადვილია პაპის სავარძლის სალაქიოში გატანა — მას წარსული არა აქვს და ის წარსულთან დაკავშირებული არ არის, ის — „უცხოა". ალბად ის თვითონ სთვლის თავის თავს „ტრაგიულ პიროვნებად", რომელიც მოწოდებულია ზეცით ყველაფერი თავის ადგილზე დადგას. მე მაცინებს მისი პოზა, როცა ის ღილიდან საღამომდე ცვრებზე სდგას, რომ „დიდ კაცად" გამოჩნდეს, არა ძვირფასო და კარგო, ვლადიმერ ვასილის ძეო, მე არ შემიძლია ვეპამო მისი შოკოლადის ბოსიაკები — ოუგინდ შომკალით. მე საზოგადოდ ვგრძნობ მისდამი რაღაც ზიზღს — რო-

გორკ მწერლისადმი და როგორც ადამიანისადმი. მე ვგრძნობ რომ მასში $^{9}/_{10}$ სიცრუე და პირფერობაა, ნიჭიც მას ფრჩხილის ოდენა აქვს. გული მოგდისთ?

და სტასოვი წყრებოდა. და კვლავ ამტკიცებდა, როგორ საშიშროდ ცდება ლიადოვი.

ორი მოხუცის ეს კამათი ფრიად მაჩვენებელია. **ერთი მხრით** სტასოვი — სულიერი მემკვიდრე ხელოვნების გაიფრთებულ რევოლიუციონერის ბელინსკის და თვით რევოლიუციონერი — შემოქმედი კლასიკოსის თვალსაზრისით აღმაშფოთებელი ნაწარმოებებისა.

მეორე მხრით — ახალი რუსული ხელოვნების სულიერი ბელადი, ყოვლად შემძლე მეუფე, რომელსაც მაღლა აჰყავდა ერთი თავის ავტორიტეტული სიტყვით მხატვრები და მუსიკოსები და ამხობდა მათ. იცოდა თუ არა გორკიმ ამ ორ მოხუც მეგობართა კამათის შესახებ? იცოდა თუ არა გორკიმ, რომ იმ დროს არ ყოფილა კუთხე, ოჯახი, სადაც არ ეკამათნათ და არ ეჩხუბათ სახელითა მისისათა?

მოკამათეებს შორის გორკის მხარეზე ჩვეულებრივად უფრო ახალგაზრდა იყო. აქ კი ლიადოვისა და სტასოვის კამათში გორკის მხარეზეა უფრო მოხუცი ბებერი. **მაშინ სტასოვი 73-წელში იყო გადამდგარი**

განა არ გვიჩვენებს ეს ერთხელ კიდევ, თუ რამდენად სულით ახალგაზრდა იყო თვით სიკვდილამდე დიადი კრიტიკოსი?

განა არ ჩაურთავს ახალ ყვავილს სტასოვის გვირგვინს ეს მხურვალე დაცვა გორკისა!

VII

გორკი და ლენინი

ბევრი ფიქრობს, რომ ლენინი აფასებდა გორკის, როგორც თანამგზავრს. ეს სწორი არ არის. ლენინი აფასებდა გორკის, როგორც თანამებრძოლს. და უყვარდა, როგორც ადამიანი. და პატივს სცემდა, როგორც მწერალს. ყველაზე უფრო მკაფიოდ ეს სურვილი და პატივისცემა ჩნდება ლენინის 34 წერილში გორკის მიმართ. ეს წერილები მეტად დასაფასებელია. ისინი გვიხატავენ არა მარტო გორკის პოლიტიკურ და ადამიანურ შინაარსს, არამედ ლენინსაც, როგორც ადამიანს.

ტყუილად კი არ სწერს ლ. კამენევი:

„საბუთები, რომელნიც შეძლებას მისცემდენ ასეულ და ათასეულ პირებს მისულიყვნენ ვლადიმერ ილიას ძეს პიროვნებასთან, მისი სულიერი რაობის ძირითად ელემენტებთან, გაცილებით უფრო ცოტა, ვიდრე საბუთები, რომელნიც გვიხატავენ მას, როგორც მეცნიერს, ხელმძღვანელს, პოლიტიკოსს. მათი რიცხვი მეტის მეტად მცირეა, ამ მცირერიცხოვან საბუთების შორის წერილები გორკის მიმართ უაღრესად საყურადღებოა.

მათი მიჩქმალვა ამ წერილში არ შეიძლება, იმიტომ რომ ეს არა მარტო გასაღებია ლენინისადმი, არამედ გასაღებია გორკისადმი.

გორკის ადამიანს, გორკის მეგობარს ლენინი სწერს ჟენევიდან 1908 წ.: „ნეტა ზაფხულში ან გაზაფხულში თქვენ გესტუმრებოდეთ, როცა ალბათ უკვე გაჩარხული იქნება. როცა თქვენთან ყოფნა განსაკუთრებით კარგია, როგორ გიკითხოთ? როგორა გრძნობთ თავს? თუ გეხალისებათ მუშაობა? ბერლინში გავლისას გავიგონე, რომ თქვენ და ლუნაჩარსკიმ გააკეთეთ ტურნეე იტალიაში და კერძოდ რომში. კმაყოფილი ბართ თუ არა იტალიით? [illegible] წახულობთ ბლომათ? თქვენთან ჩამოსვლა, მე ვფიქრობ, უკეთესია მაშინ, როცა თქვენ არ გექნებათ დიდი სამუშაო, რომ შეიძლებოდეს ხეტიალი და ერთად ლაყბობა“.

ერთი კვირის შემდეგ ახალი წერილი:

„ძალზე მიზიდავს, ჯანი გავარდეს, თქვენთან წამოსვლა კაპრიზე! თქვენ ეს ისე კარგად აწერეთ, რომ ღმერთმანი ავიკრავ ბარგს და ვეცდები ცოლიც თან წამოვიყვანო.

„გაზაფხულზე გამოვიქროლებთ თეთრი კიპრის ღვინის სასმელად და ნეაპოლის საჭვრეტად და თქვენთან სალაყბოდ. მე შევუდექი იტალიური ენის შესწავლას“.

ორი თვის შემდეგ:

„ვნაღვლობ, რომ არ ხერხდება თქვენთან წამოსვლა. ბრიუსელიდან პასუხი მოვიდა და აქ არაფერი ხელს არ შემიშლის. მაგრამ არ არის ფული, არ არის დრო, არ შეიძლება გახეთის მიტოვება. თქვენ, მე მგონი, რადგან თხა გყოლიათ, კარგ გუნებაზე იქნებით და ჭკუამოხაზულობა სწორი, ცხოვრებაც ნორმალური გექნებათ. ჩვენთან კი ყველაფერი რიგზე არ არის“.

ლენინს უხარია გორკის სიხარული. თავის ჭირ-ვარამსაც უზიარებს.

„ჩემსას დავიდარაბაა. ცოლი ავად გახდა ბაზედის სენით. ნერვები. შეც ცოტა მითამაშებს ნერვები. საზაფხულოდ წავედით სოფელ პორონინში ზაკოპანეს ახლოს“...

თავისთან იწვევს მეგობარს:

„ზაკოპანე ძალიან კარგი კურორტია. რაც შეეხება სამგზავრო ფულს — გამოვნახავთ, ალბათ (ასე სწერენ)...“

ერთი თვის შემდეგ ბერნიდან:

„ხომ არ შეგვიძლია ჩვენ სადმე ვნახოთ ერთმანეთი? თქვენ ხომ მაინც მოგიხდებათ გავლა ან ბერნით, ან ციურიხით, ან მიუნხენით, უსათუოდ“...

ნიდრეკილება გორკისადმი ისეთია, რომ ლენინი წინადადებას იძლევა:

„მე ხომ ვერონაში შემეძლო ჩამოსვლა ბერნიდან... მაშინ კი თქვენგან თვეების განმავლობაში ხმაც არ გამიგონია!..

რა ნაზად ზრუნავს ლენინი გორკის ჯანმრთელობაზე:

„თქვენ კი კაპრის შემდეგ ზამთარი რუსეთში გინდათ გაატაროთ... მე საშინლად მეშინია, რომ ეს ავნებს ჯანმრთელობას და გასტეხს თქვენს შრომისუნარიანობას. არიან თუ არა ამ იტალიაში პირველხარისხოვანი ექიმები? მოდი ერთი გაემგზავრეთ პირველხარისხოვან ექიმთან შვეიცარიაში (მე შემიძლია სახელები და აღრესები გაგიგოთ)“...

კრაკოვიდან კი—საკუთარი ხელით შეწუხებული წერილი:

„იმის ამბავმა, რომ თქვენ გიაქიმებს **ახალი** საშუალებით, ყოვილი „ბოლშევიკი, მე ძალზე შეშაფოთა. ღმერთმა დაგიფაროს ექიმ-ამხანაგებისაგან საზოგადოდ, ექიმ-ბოლშევიკისაგან კერძოდ. მართლაც 100-დან 99 შემთხვევაში ექიმ-ამხანაგები „ვირები" არიან, როგორც ერთხელ თქვა ერთმა კარგმა ექიმმა. გარწმუნებთ, რომ აქიმობა (წვრილ შემთხვევების გარდა) საჭიროა მხოლოდ პირველხარისხოვან ექიმებთან. საკუთარ თავზე განიცადო ბოლშევიკის გამოგონება—ეს საშინელებაა".

და თითქმის ყოველ წერილში ნინაწერი „იაქიმეთ", ღვთის გულისათვის, რაც შეიძლება უკეთესად".

ასეთი ზრუნვით ეპყრობოდა ლენინი გორკის, როგორც ადამიანს, როგორც მეგობარს.

ახლა აი როგორ ეპყრობა გორკის—მწერალს:

„... მე ვფიქრობ, რომ ხელოვანს შეუძლია ბევრი რამ თავისთვის სასარგებლო ნახოს ყოველ ფილოსოფიაში. უკანასკნელად მე საკუთარი თანახმა ვარ იმისა, რომ მხატვრულ შემოქმედების საკითხებში თქვენ გამოცდილი ხართ და რომ თქვენ, გამოგაქვთ რა ამგვარი შეხედულებანი საკუთარი მხატვრული გამოცდილებიდანაც და ფილოსოფიიდან თუგინდ იდეალისტურიდან, შეგიძლიათ მიხვიდეთ ისეთ დასკვნებამდე, რომელნიც მუშათა კლასს დიდ სარგებლობას მოუტანენ".

ლენინი მრავალჯერ იწვევს გორკის „პროლეტარი"-ში სამუშაოდ, მაგრამ ყოველთვის დასძენს: თუ ეს მუშაობა ხელს არ შეუშლის დიდ სალიტერატურო მუშაობას:

„რასაკვირველია, მე არ ვფიქრობდი „ინტელიგენციის" დევნას, როგორც ამას შვრებიან სულელი სინდიკალისტები, ან უარყოფენ მის აუცილებლობას მუშათა მოძრაობისათვის. ყველა **ამ** საკითხებში ჩვენ გზები არ აგვეშლება, ამაში მე მტკიცედ დარწმუნებული ვარ და, რაკი ამჟამად არ შეიძლება შევსება აუცილებელია ერთბაშად, ერთად დაწყება. მუშაობის დროს ყველაზე უფრო ადვილად და უკეთესად შევხმატკბილდებით საბოლოოდ".

... „რა იქნებოდა, რომ თქვენ ფელეტონი დაგეწერათ ტოლსტოიზე ან სხვა ამგ. მომწერეთ, აპირებთ თუ არა.

... სწერეთ ძველებურად სხვა რამეზე, ფრაქცია ჯერ კიდევ მოიცდის. თუ არის შესაძლებლობა, რომ აუცილებელი გაბოროტება შესუსტებულ იქნას, მაშ მხოლოდ აგრე, ჩემი აზრით. თქვენ სწერთ: მენშევიკები მოიგებენ ჩხუბისაგან. ცდებით, ღრმად ცდებით, ა. მ.. ისინი მოიგებენ, თუ ბეკის *) ფრაქცია არ ჩამოიშორებს თავის თავს სამი ბოლშევიკის ფილოსოფიისაგან"...

... „აქ დაგვეხმარებიან პრაქტიკოსები, აქ უნდა დაგვეხმაროთ თქვენც,—აქ ფსიქოლოგია არის". თქვენ ხომ გემარჯვებათ ეს".

... „მომეცით საშუალება ვიყოფო ფილოსოფიაში, ჯერ კი დაეხმარეთ „პროლეტარს"...

*) ასე ეძახის ვ. ი. ლენინი ბოლშევიკურ ფრაქციას.

... გაგინეთ მე თუ არა. ან სად? ალბად „სადისკუსიო ფურცელში“ № 1 (ცენტრალურ ორგანოსთან გამოდის), გიგზავნით მას. თუ იმათ, ვინც თქვენ შეგატყობინათ სახეში ეს არ ჰქონებიათ, სხვას მე ამჟამად ვერ მოვიგონებ“...

ვნახოთ, როგორ აგინებდა ამ „ლისტოკში“ ლენინი გორკის.

„მართლაც რა დასამალავია ფაქტი, რომელიც გაახმაურა (მისი—დამახინჯებით და შეცვლით) ბურჟუაზიულმა პრესამ, რომ მ. გორკი—ანარქისტ ჯგუფის მომხრეებს ეკუთვნის. მაგრამ გორკი უთუოდ უდიდესი წარმომადგენელია **პროლეტარული** ხელოვნებისა, რომელმაც ბევრი გააკეთა მისთვის და კიდევ მეტი შეუძლია გააკეთოს. სოციალ-დემოკრატიული პარტიის ყოველ ფრაქციას კანონიერად შეუძლია იამაყოს, რომ გორკი მას ეკუთვნის...

... „გორკი ავტორიტეტია პროლეტარულ ხელოვნების საქმეში, ეს უდავოა. ცდა იმისა, რომ გამოიყენონ (რასაკვირველია, იდეურ თვალსაზრისით) ეს ავტორიტეტი მახიზმის და ოტზოვიზმის გასამაგრებლად—არის იმის ნიმუში, თუ როგორ არ უნდა მოეპყრა **ავტორიტეტებს**“.

... „პროლეტარულ ხელოვნების საქმეში მ. გორკი არის დიდი პლიუსი, მიუხედავად მისი თანაგრძნობისა მახიზმისა და ოტზოვიზმისადმი“.

მ. გორკის შეუძლია იამაყოს, რომ ლენინმა ასე „გალანძღა“ ის.

აი კიდევ მეორე წერილი, რომელშიდაც „ლანძღავს“ მას ლენინი.

„უწინარეს ყოვლისა, რომ არ დამავიწყდეს. ტრიო დაკავებულია. ამბობენ სინამდვილეაო. მებრალება ეს კარგი ბიჭი. რევოლიუციონერი. „სოვრემენნიკის“ შესახებ დღეს ვკითხულობ „რეჩში“ პირველი წიგნის შინაარსს და ვიგინები, ვიგინები. ვოდოვოზოვი მურომცევის შესახებ. კოლოსოვი მიხაილოვსკის შესახებ, ლოპატინი „არა ჩვენნი“ და ა. შ. როგორ არ უნდა იგინო! თქვენ კი თითქოს მაღიზიანებთ: „რეალიზმი, დემოკრატია, აქტიურობა.“ თქვენ ფიქრობთ, ეს კარგი სიტყვებია. ეს სიტყვები **საძაგელია**, ყველა ბურჟუაზიული გაიძვერების მიერ გამოყენებული, კადეტებიდან და ესერებიდან ჩვენში, ბრიანამდე და მილიერენამდე აქ, ლლოიდ ჯორჯამდე. ინგლისში სიტყვებიც საძაგელი, გაბერილი და შინაარსიც იგულისხმება ესერულ-კადეტური. არ არის კარგი“.

კიდევ ერთხელ მოხვდა გორკის ლენინისაგან.

„გუშინ წავიკითხე „რეჩში“ თქვენი პასუხი „ლმუილზე“ დოსტოევსკის გამო და მზად ვიყავი გამხარებოდა, დღეს კი მოდის ლიკვიდატორების გაზეთი და იქ დაბეჭდილია თქვენი წერილის აბზაცი. რომელიც „რეჩში“ არ ყოფილა...

ეს „ლმუილი“, დოსტოევსკის გამო ატეხილი, მე კარგად მახსოვს.

1913 წლის შემოდგომას მე ჩავედი მოსკოვს, რომ მენახა პრემიერა დოსტოევსკის „ბესი“-ს ინსცენიროვკისა სამხატვრო თეატრის მიერ. როცა გავიგე, რომ გორკი მოსკოვშია, მე გადავწყვიტე გამეკეთებინა მისთვის ინტერვიუ, როგორც ამას ვშვრებოდი წინედ „რუსკოე სლოვოსათვის“.

იმ დროს მე „რუსკოე სლოვოში“ უკვე არ ვმუშაობდი, რადგან მთელი ჩემი ძალები შევსწირე დიდ ლამაზ საქმეს-პირველ რუსულ სამფეროვან ჟურ-

ნალს „სოლნცე როსიი“, ჩემს ახალ მწერლების ჟურნალს „ვესნა“ და თეატრალურ ჟურნალს „თეატრების მიმოხილვა“, შემდეგ კი „ზრიტელ“.

ფაქტიურად ყველა ამ ჟურნალებს მე ვრედაქტორობდი და გორკისთან საუბარი მინდოდა მათთვის გამომეყენებინა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გორკიმ თავაზიანად მიმიღო ჩემს კითხვაზე:

— რას ფიქრობთ თქვენ რომანების სცენისათვის გადაკეთების შესახებ საერთოდ და „ბესის“ ინსცენიროვკის შესახებ განსაკუთრებით?

გორკიმ მრუდედ გაიღიმა:

„დაიგვიანეთ, გეთაყვა! ამაზე მე უკვე არ ვფიქრობ!

— რატომ დავიგვიანე?

განა თქვენ დოროშევიჩთან არ ყოფილხართ? (ვლას. მიხ. დოროშევიჩი სახელგანთქმული ფელეტონისტი—იყო ფაქტიური რედაქტორი სიტანის „რუსკოე სლოვოსი“).

— არა! მე ესეც არის პიტერიდან ვარ!

— მაშ აი ხვალ „რუსსკოე სლოვოში“ თქვენ დაინახავთ, რას ვფიქრობ მე „ბესის“ შესახებ. მე თვითონ ჩემ თავს გავუკეთე ინტერვიუ და ამჟამად „ბესის“ შესახებ მეტი ფიქრი არ მინდა.

მაგრამ მას მოუხდა ფიქრიც, ლაპარაკიც, წერაც და მეგობრული საყვედურების მიღება ილიჩისაგან თვით ამ „ბესის“ გამო.

მეორე დღეს მე, მართლაც, წავიკითხე „რუსსკოე სლოვოში“ ენერგიული პროტესტი, მომართული დოსტოევსკის კონტრრევოლიუციონური რომანის „ბესის“ ინსცენიროვკის წინააღმდეგ.

„ეს წარმოდგენა—არის წამოწყება საეჭვო ესთეტიურად და უთუოდ ბაენებელი სოციალურად“.

ბეჭდვითი სიტყვა და საზოგადოება მაშინ განსაკუთრებული მგრძნობიარეობით ეკიდებოდენ ყველაფერს, რაც კი „მოსკოვის სამხატვრო თეატრს“ შეეხება.

პროტესტის გარშემო გაცხარებული პოლემიკა ასტყდა.

გორკიმ კიდევ დაასხა ზეთი ცეცხლს, როცა დაბეჭდა „რუსკოე სლოვოში“ —„კიდევ კარამაზოვშჩინას“ შესახებ.

„რეჩმა“ ეს წერილი გადაბეჭდა უკანასკნელი აბზაცის უმისოდ:

„ღმერთის ძიება კი დროებით უნდა გადავდვათ,—ეს უსარგებლო საქმეა; არაფერია საძებნელი, სადაც არ დაგვიდვია. არ დათეს, ვერც მოიმკი ღმერთი თქვენ არა გყავთ, თქვენ ის **ჯერ კიდევ** არ შეგიქმნიათ. ღმერთებს არ ეძებენ, **მათ აჩენენ**; ცხოვრებას კი არ იგონებენ, არამედ ქმნიან.“

აი ამ სამ ხაზგასმულ სიტყვისათვის ვლადიმერ ილიას-ძემ თავს დაახალა გორკის ორი ვეებერთელა წერილი.

„გამოდის რომ თქვენ წინააღმდეგი ხართ „ღმერთის ძიებისა“ მხოლოდ დროებით“... გამოდის რომ თქვენ წინაღმდეგი ხართ ღმერთის ძიებისა, რომ შესცვალოთ ის ღმერთამშენებლობით: განა ეს საშინელება არ არის, რომ თქვენ **გამოდიხართ** ასეთი რამ!“

გორკი წერილში, რომელმაც ჩვენამდე ვერ მოაღწია, თავს იმართლებდა:

—„არ შემიძლია გავიგო, როგორ გამომეპარა სიტყვა დროებით...“

მაგრამ თავის გამართლების დროს ისევ დაიბნა, რაშიდაც მას ვლავ ამ-ხელს ვლადიმერ ილიას-ძე:

„თქვენ „გაჯავრებული ხართ“, თქვენ ვერ გაგიგიათ, რა-გვარ-ი-ა-ა-ა

მეტს. ეს არის არა ფრაზა, არამედ ეროვნული საკითხის პროლეტარული გადაჭრა.

ლენინი უზიარებს მეგობარს სიხარულს, რომელიც მან განიცადა „საოცარ ქართველთან,"—ი. ვ. სტალინთან შეხვედრის გამო. სტალინი მაშინ გამოიქცა პარიზიდან, სადაც ის გადასახლებული იყო.

„თანამედროვე ცხოვრება" ბაქოში დააკავეს და დაბეჭდეს,—ლენინი უზიარებს მეგობარს თავის მწუხარებას.

ლენინი ხშირად მეგობრულად მიმართავდა გორკის დახმარებოდა მუშათა საქმეს თავისი მწერლის ავტორიტეტით:

„რამდენიმე სტრიქონი თქვენი წერილისა მუშების მიმართ შესახებ იმისა, რომ საჭიროა მუშათა გაზეთის აქტიურად გამაგრება (ხელის მოწერით, გავრცელებით, ფულის შეგროვებით) იქნებოდა აგრეთვე მშვენიერი აგიტაცია...

ი. ა. სემაშკოს დაკავების შემდეგ ლენინი—გორკის:

„თუ თქვენ პირველად იცნობთ სემაშკოს, ან იცნობდით მას ნიჟნიში, აუცილებლად დასწერეთ აგრეთვე ამ გაზეთში, რომ თქვენ გაშფოთებთ მარკოვის განცხადება, რომ თქვენ პირადათ იცნობთ სემაშკოს, როგორც ს-დ.-ს, რომ თქვენ დარწმუნებული ხართ იმაში, რომ მას არაფერი საერთო არა აქვს იმ საქმეებთან, რომელსაც აზვიადებს საერთაშორისო პოლიცია.

ერთი სიტყვით სჩანს, რომ ლენინი გორკის არასდროს თვალს არ აშორებდა. კრიტიკულ წუთებში თითონ დაუძახებლად მიდიოდა მასთან რჩევით.

„ძვირფასო ა. მ. დღეს წავიკითხე მანიფესტი... ლიტერატურული ამნისტია, ვგონებ სრულია. თქვენ უნდა სცადოთ დაბრუნება—მაგრამ ჯერ, რასაკვირველია, უნდა გაიგოთ, ხომ არ მოგაყენებენ უსიამოვნებას „სკოლის" გამო. ალბად ამისათვის პასუხისგებაში ვერ მიგცემენ. იმედი მაქვს, თქვენ არა ხართ იმ შეხედულების, რომ ამნისტიის „მიღება" არ შეიძლება. ეს იქნებოდა არასწორი შეხედულება: რევოლიუციონერი ახლანდელ პირობებში რუსეთის შიგნითგან მეტს გააკეთებს"...

...რევოლიუციონურ მწერლობისათვის რუსეთში (ახალ რუსეთში) გასეირნების შესაძლებლობა ნიშნავს შესაძლებლობას ასჯერ უფრო მეტად შემოჰკრას რომანოვებსა და კომპანიას"...

უკვე მარტო ამ წერილიდან აშკარაა, რომ ლენინი სთვლიდა გორკის არა თანამგზავრად, არამედ რევოლიუციონერად, რევოლიუცონურ მწერლად.

სკოლა, რომელსაც იხსენიებს ლენინი, პირველ ხანებში არა ყოფილა გამოყენებული გორკის გასამტყუნებლად.

მე ორჯერ ვიყავი კაპრიზე მწერალთან: 1906—1908 წ.

პირველ ჩამოსვლისას მე დამხვდა ვეებერთელა ვერანდაზე გრძელი მაგიდა. მას მოსხდომოდნენ 20-მდე ჩემთვის უცნობი ამხანაგები.

მაგიდის ბოლოში იჯდა თვითონ ა. მ.

ესეც იყო ისადილეს. მ. თ.—გორკის მეუღლემ—გადასცა მას რუსეთიდან მოსული ფოსტა,—გაზეთები, ჟურნალები, წერილები.

ა. მ. გამოცოცხლდა. დაიწყო ბანდეროლების გახსნა და განხარისხება და აძლევდა ამხანაგებს, ალბად თვითეულს დანიშნულებისამებრ, — თითქოს თვითეული მათგანი „განაგებდა“ ცალკე განყოფილებას, ცალკე საგანს ან თავის განკარგულებაში ჰქონდა განსაკუთრებული გაზეთი.

მე და მ. თ. ასული მივედით მოაჯირთან და გავაბით საუბარი თეატრის შესახებ, რომლის ბედ-ილბალი მას ძალიან აინტერესებდა, როგორც ახალგაზრდა თეატრის ყოფილ მსახიობს (ანდრეევა), და შორიდან თვალყურს ვადევნებდით მაგიდას.

ჯერ ყველანი კითხვამ გაიტაცა... შემდეგ ამხანაგებმა რიგრიგობით დაიწყეს წაკითხულის განმარტება, ლაპარაკობდნენ ავტორიტეტულად.

გორკი სდუმდა. გულდასმით უსმენდა. იშვიათად ჩაურთავდა მოკლე შეკითხვას.

რჩებოდა ისეთი შთაბეჭდილება, თითქოს ეს იყო სკოლა. მოწაფე — ა. მ. ამხანაგები კი — მასწავლებლები.

1908 წ. — იგივე მაგიდა. იგივე მდებარეობა ვერანდის. მაგრამ მაგიდასთან არა იგივე პირები.

მათ შორის მე ვიცანი ა. ვ. ლუნაჩარსკი, რომელიც ვნახე პიტერში მეტრეკოვსკისთან. მაშინ ის გორკისთან სტუმრობდა და ეჭირა თავი, როგორც თავისიანს.

დანარჩენებსაც აგრეთვე მოურიდებლად ეჭირათ თავი.

ლაპარაკობდა ა. მ. მას დილით წაეკითხა გაზეთები და საქმის ვითარებას განმარტავდა.

ეს იყო მძიმე რეაქციის დრო. თვითეულ ფოსტას მოქონდა აშკარა და იდუმალი უსიამოვნება: ღალატი, რენეგატობა, განხრები, ლიკვიდატორობა სხვადასხვაგვარი ილაჯგაწყვეტილ პოზიციებისა.

გორკი ავტორიტეტულად ლაპარაკობდა. მე მეგონა: ეს არის სკოლა. გორკი — მასწავლებელია, დანარჩენი ამხანაგები — მოწაფეები (რასაკვირველია, გარდა სტუმრის — ლუნაჩარსკის, რომელიც აგრეთვე, სჩანდა, თავის სიტყვებში ეხმარებოდა ა. მ. ს ძეს, ანვითარებდა მის აზრს).

ამ სკოლაში ერთ საგანს გადიოდენ: რწმენას რევოლიუციის გამარჯვებაში.

თვითონ გორკის, მიუხედავად რეაქციის სიუპრიზებისა, არამც თუ სწამდა რევოლიუციის გამარჯვება, არამედ **ხავსებით დარწმუნებული იყო მასში.**

ლენინიც, ხომ, არც ერთ წერილში გორკისადმი არ გამოხატავდა გულგატეხილობის რაიმე ნიშანს. **არც ერთში.**

მაშასადამე, კაპრიზე ორი სკოლა იყო. ერთში — გორკი სწავლობდა, მეორეში გორკი ასწავლიდა.

მაგრამ გორკის მთავარი მასწავლებელი პოლიტიკურ საკითხებში იყო ლენინი.

ჩვენ დავინახეთ, როგორ აფასებდა ლენინი გორკის. ხოლო, როგორ ესმოდა ლენინი გორკის, სჩანს ასეთი საეპიტაფიო სიტყვებიდან:

„ის იდიალისტია. თუ მოვათავსებთ ამ მცნებაში ბუნების ყველა ძალების შეერთებას ერთ იდეაში—საყოველთაო სიკეთის იდეაში“...

...მისი ცხოვრება ისეთია, რომ რელიგიური სულისკვეთების გაბატონების ეპოქაში, ლენინს წმინდანად ჩასთვლიდენ...

ეროვნული ბიბლიოთეკა

ᲒᲝᲠᲙᲘ ᲓᲐ ᲜᲔᲛᲘᲠᲝᲕᲘᲩ-ᲓᲐᲜᲩᲔᲜᲙᲝ

ორი რამ განსაკუთრებით აინტერესებდა საზოგადოებას: მოსკოვის სამხატვრო თეატრი და მაქსიმ გორკი. ჩვენთვის, ჟურნალისტებისათვის აგრეთვე არ ყოფილა თემა უფრო სასიამოვნო.

მართალია, გორკის არ უყვარდა რეპორტიორები და მათთან ყოველთვის ცივი და ლაკონიური იყო. ეს აიხსნებოდა ბუნებრივი მორცხვობითაც და შიშით, რომ ინტერვიუები დაამახინჯებს ნათქვამს, გორკის კი შემდეგ ყველაფერს დააბრალებენ.

სამაგიეროდ ვლ. ივ. ნემიროვიჩ-დანჩენკო—სამხატვრო თეატრის ბელადი ჩვენთან ყოველთვის ალერსიანი იყო და ყოველთვის პოულობდა რაიმე სათქმელს.

ერთხელ მან გამაცა მე სენსაციური ამბით:

— იცით რა, გორკი ჩვენთვის პიესას სწერს. ჩეხოვმა, ვგონებ მას ჩააგონა.

— რასაკვირველია, ბოსიაკების ყოფა-ცხოვრებიდან?

— პირიქით, ჩვენ პირობა დავსდეთ ავტორთან, რომ პირველ პიესაში ის არ შეეხება ბოსიაკების ყოფა-ცხოვრებას. რა საჭიროა ცენზურისა და პოლიციის შეწუხება. ისედაც უკვე თვით გორკის სახელი სცენაზე მოახდენს „მათზე“ ბრძოლაში გამოწვევის შთაბეჭდილებას. გორკი დევნილია! გორკის მოექცენ უსინდისოდ, როცა აკადემიიდან გააძევეს! ჩვენ კი მას ვადიდებთ!..

და აი ორი ასეთი მწვავე თემა, როგორც სამხატვრო თეატრი და გორკი ერთში შედულდენ. ამის შემდეგ ძალიან მოვუხშირეთ ნემიროვიჩთან სიარულს.

მალე მან მოგვიყვა, რომ მთელი დასი მიდის იალტას, რომ ავადმყოფ ჩეხოვს უჩვენოს „ჩაიკა“ და „ძია ვანო“ და რომ შეაყვაროს გორკის მოსკოვის სამხატვრო თეატრი. მოსკოვს ვერც ჩეხოვი და ვერც გორკი ვერ მოვლენ: ჩეხოვი ავადმყოფობის გამო, გორკი—გადასახლების გამო. გორკი დაპირდა პიესას. მაგრამ საჭირო იყო ჰორიზონტების ჩვენება მისი შემოქმედებისათვის.

გორკი იალტაში დასთან განუყოფელად იყო. მას მართლაც შეუყვარდა თეატრი და „მეშჩანე“ მზად იყო უფრო ადრე, ვიდრე დასი მოელოდა.

როცა ვლ. ივ. გაეცნო პიესას, მას არ გამოუჩენია დიდი აღტაცება.—რასაკვირველია, ეს დასაბეჭდი არ არის,—მითხრა მან მე: გორკის „მეშჩანე“ არც სტანისლავსკის, არც მე, არც დასს არ მოსწონებია. მე ამას იმით ვხსნი, რომ გორკი სწერდა უხალისოდ. ამ პიესას სწერდა, ფიქრობდა კი მეორეზე—ყოფილ ადამიანების ცხოვრებიდან. მას უკვე დაწერილი აქვს ორი აქტი მეორე პიესის „ცხოვრების ძირზე“. მაგრამ რაც უნდა ყოფილიყო „მეშჩანე“ ჩვენ დავდგით, მიუხედავად პიესის ნაკლისა. ეს ხომ მაინც გორკი არის.

ჩვენ ვნერვიულობდით. ქალაქში დადიოდა ხმები, რომ „მეშჩანე“ ნებადართული არ იქნებოდა, იმიტომ, რომ ხელისუფლებას ეშინია, რომ ახალგაზრდობა, სტუდენტები პრემიერაზე მოაწყობენ დემონსტრაციას აკადემიის პრეზიდენტის კონსტანტინე კონსტნტინეს ძის წინააღმდეგ, — ყველამ იცოდა, რომ მან ამოშალა გორკი აკადემიკოსების სიიდან.

ვლ. ივ. ყოველდღე სადმე მიდიოდა, ხან შინაგან საქმეთა მინისტრთან, ხან ჟანდარმების შეფთან. ყველა წარჩინებულებს მათი ცოლებით და ყაყვარლებით იპატიჟებდა რეპეტიციაზე, რომ პირადად დარწმუნებულიყვენ, რომ „მეშჩანე“ სავსებით უვნებელი პიესა არის. დააჯერა. კანკალით მივდივარ პრემიერაზე. კიბეზე ვხვდები ვ. ა. გილიაროვსკის (—ყოფილ „რეპორტიორთა მეფეს“). ზეიმობს:

— წადი, წადი, ძმაო, მალე დარბაზში. საშინელი სკანდალი იქნება! გრადონაჩალნიკმა კაპელდინერები გოროდოვოებით შესცვალა! ნემიროვიჩ—დანჩენკოს სურს მათი დარბაზიდან გაყვანა, ყოჩაღ! გაბედულად მოქმედობს! მეო, ამბობს, თეატრში მასპინძელი ვარო! მე ვაგებ პასუხსაო!.. არ მოველოდი მისგან ასეთ სიმკვირცხლეს...

შევდივარ დარბაზში—არაჩვეულებრივი სანახაობა,—ყველგან პოლიცია არის. თითქოს ჩხრეკა იყოს. გოროდოვოები სინჯავენ ბილეთებს და ერთმანეთს რაღაც შენიშვნებს აძლევენ. ხალხი მათგან განზე ირეკება, ერთნი—იცინიან. მეორენი—ალშფოთებული არიან. მესამენი—იმუქრებიან სკანდალის მოწყობას.

ნემიროვიჩმა გასცა განკარგულება გაეყვანათ გოროდოვოები დერეფანში, კაპელდინერები კი დაებრუნებიათ დარბაზში. ამით მან აიცილა სკანდალი. ავტორი, რასაკვირველია, თეატრში არ ყოფილა. „ის შორსაა, ის ვერ გაიგონებს“,—გადასახლებულია. მოსკოვშიდაც რომ ყოფილიყო, არა მგონი რომ თეატრში შეეშვათ!

პრემიერა კარგად ჩატარდა. წარმატებითაც კი. თუმცა ამ წარმატებაში საგრძნობი იყო პატივისცემა ავტორისადმი, და არა პიესისადმი.

მეორე დღეს მივდივარ ნემიროვიჩთან:

— მომილოცეთ გამარჯვება: გრადონაჩალნიკმა თავისთან დამიბარა, დამიწყო გაჯორვა ძალა-უფლების აღმატებისათვის. მაგრამ მე ის დავაჯერე, რომ სტუდენტები პოლიციის ფორმის დანახვის დროს გაცოფდებიან მეთქი. დამეთანხმა. სიტყვა მომცა, რომ პოლიციის ფორმა მეტად არ შეაშფოთებს თეატრის სიმშვიდესო. ინციდენტი ამოწურულია!

მე პირადად, ზოგი რამ „მეშჩანებში“ საინტერესოდ მომეჩვენა. რომ გამოშეცადა ჩემი თავი, მივდივარ მეორე წარმოდგენაზე.

შევდივარ დარბაზში,—სანახაობა კიდევ უფრო არაჩვეულებრივი, ვიდრე პრემიერაზედ.

წარმოიდგინეთ მსუქანი, ჩაფსკვნილი, მოუხეშავი გოროდოვოები ფრაკებში!

ისინი ცდილობენ იყვნენ „ზრდილობიანი“, ქშენენ, ჩამოხევენ ბილეთებს და ხალხს ადგილს უჩვენებენ!

გრადონაჩალნიკმა შეასრულა სიტყვა—პოლიციის ფორმა არ ყოფილა, მაგრამ იყო პოლიციის **შინაარსი.**

აი ასეთი საფრთხობელა იყო გორკის სახელი ხელისუფლების მქონეთათვის!

მთავრობამ თავი გაიმეტა და მოაწყო ვოდევილი გადაცმულ „გოროდოვოებით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გორკი და რომენ როლანი

დღეს, მაქსიმ გორკის სალიტერატურო მოღვაწეობის 35 წლის თავზე, ჩვენამდე მოფრინდა სორენტოდან მისი ხმა—წერილი რომენ როლანზე.

მე მსურს ჩემი დახასიათება გორკისა, როგორც ადამიანის, დავასრულო რამდენიმე ციტატებით ამ წერილიდან.

...„ჰუმანიზმზე ლაპარაკი ჩვენს გაველურების ეპოქაში უზრდელობად ითვლება. და თუ, ძველი ჩვეულებით, მაინც გაიძახიან:—„შეიბრალეთ ადამიანი",—ამას გაიძახიან და ამავე დროს არ ფარავენ სიძულვილს ადამიანებისადმი და მათ შურისძიებით ემუქრებიან".

...„რასაკვირველია, ჩემთვის საშიში და საზიზღარია უაზრობა სტიქიური და გაღიზიანებული ძალებისა. ჩემთვის უძვირფასესია ცხოვრება და მუშაობა იმ ადამიანთა, რომელნიც დაუღალავად ჰქმნიან კულტურულ ღირებულებებს ჩვენს ბნელ დღეებში".

...საჭიროა გქონდეს გული, შემძლე სასწაულთმოქმედებისა, რომ შექმნა საფრანგეთში იმ ტრაგედიების შემდეგ, რომელიც მან განიცადა, ასეთი კეთილი წიგნი („კოლა ბრენიონ"), წიგნი შეურყეველი და ვაჟკაცური რწმენისა თავის ღვიძლ ადამიანში, ფრანგში. მე ქედს ვიხრი რომენ როლანის წინ სახელდობრ აი ამ რწმენის გამო, რომელიც გაისმის ყველა მის წიგნებში, ყველაფერში, რასაც ის აკეთებს. ჩემთვის რომენ როლანი უკვე დიდი ხანია საფრანგეთის ლევ ტოლსტოი არის, მაგრამ ტოლსტოი, რომელსაც არა აქვს სიძულვილი გონებისადმი, ეს საშინელი სიძულვილი, რომელიც რუსეთის რაციონალისტისათვის იყო მისი ტანჯვის წყარო, და ისე სასტიკად უშლიდა მას ხელს გენიალურ მხატვრად დარჩენილიყო".

...„ამბობენ: რ. როლანი—დონკიხოტი არისო. ჩემი თვალსაზრისით, ეს არის საუკეთესო, რისი თქმაც კი შეიძლება ადამიანზე".

...„ვლადიმერ ილიას ძემ მოახერხა იმის დამტკიცება, რომ ლევ ტოლსტოის ისტორიის ფილოსოფია ძალიან შორს არის ჭეშმარიტებისაგან და რომ პიროვნების როლი ისტორიაში არ არის საესებით ისეთი, როგორც მას კარლ მარქსი აფასებდა. რ. როლანი ჯიუტი და გაბედულია, როგორც ნამდვილი ფრანგი და ჭეშმარიტად თავისუფალი ადამიანია. საჭიროა მტკიცე რწმენა თავის სიმართლეში, რომ იმ დღეებში, როდესაც დრომოჭმულ ადამიანთა ათასები, გახარებულნი ლენინის სიკვდილით, ბოროტი სიხარულით ზეიმობდენ, უთხრა მათ მშვიდად და მოკლედ: „ლენინი—ყველაზე უფრო დიდი ადამიანია ჩვენი საუკუნის საქმისა და ყველაზე უფრო უანგარო".

გორკი და უელსი

უკანასკნელად მე ვნახე მაქსიმ გორკი უკვე ბოლშევიკების დროს ბანკეტზე მწერალ ჰერბერტ უელსის პატივსაცემად, რომელიც ჩამოვიდა ლენინგრადში, რომ ენახა „ყველაზე უფრო ფანტასტიური ქვეყანა, რომელმაც განახორციელა ისეთი უტოპია, რომელზედაც სახელოვან ინგლისის ფანტასტს არც კი ოცნებია".

ბანკეტს ვაძლევდით ჩვენ, მწერლები. მაგიდასთან, რომელიც დაფარული იყო თეთრი სუფრით და გაწყობილი ჭურჭლით დიდი სასახლიდან, თითქმის მარტო მწერლები ისხდენ მაქსიმ გორკის თავმჯდომარეობით.

თეთრი სტუმარი წუნდაუდებლად იყო ჩაცმული. ჩვენ კი ყველანი ჩაცმული ყიყავით წუნდასადებლად. გაცვეთილი სერთუკები და პიჯაკები ფერავდენ ტომრის მატერიიდან შეკერილ თეთრეულს.

ზოგიერთებს ეს თეთრეული ნაცრისფერი და შავი ქონდათ. ისე იშვიათად რეცხდენ მას საპნის და ცხელი წყლის უქონლობის გამო.

ეს იყო ყოველმხრივ გაჭირვების წელიწადი. ნამეტურ მწერლებისთვის. „ლიტერატორების სახლში" ბასეინაიაზე საათობით ველოდებოდით შესაძლებლობას დაგველია ერთი თეფში ნარეცხის მსგავსი სითხე, რომელსაც სუპს უწოდებდენ.

მახსოვს ორი საპატიო პროფესორი ცხარედ კამათობდენ: გასულის კვირის სამშაბათს თუ ოთხშაბათს მისცეს მათ ფაფა? განა შეიძლებოდა ისეთი რამეს დავიწყება, როგორც მანანას ფაფა!

ჩვენ ყველანი მუდამ მშიერი ვიყავით. დავდიოდით ქურქებით და პალტოებით და მათ არ ვიხდიდით არა მხოლოდ სიცივის გამო, არამედ აგრეთვე გახდის შეუძლებლობის გამო,—ზოგიერთებს ქურქი თითქმის შიშველ ტანზე ეცვათ.

და უცებ—ბანკეტი! ბევრი დამსწრეთაგანი მხოლოდ იმაზე ფიქრობდა:

— ნეტავი გორკი რას გვაჭმევს?

მაგრამ მაინც ყველანი გამოეწყვენ. ქურქი არავის არ ესხა. ვისაც სერთუკი ან პიჯაკი არ ჰქონდა, მან ამჯობინა ბანკეტზე არ გამოცხადებულიყო.

ჰერბერტ უელსი, მისთვის ჩვეული გადაჭარბებით თავის სიტყვაში, გატაცებით ლაპარაკობდა საბჭოთა რუსეთის ფანტასტიკაზე.

რამდენად გულწრფელი არ იყო ეს ქება, გვიჩვენა ახლო მომავალმა—წიგნმა, რომელიც მან სამშობლოში დაბრუნების შემდეგ დასწერა ჩვენთან გამომგზავრების შესახებ.

მაგრამ ბანკეტზე სხვათა შორის მის მიერ ხაზგასმით იყო ნათქვამი, რომ ის **არასოდეს არ მოელოდა მოხვედრას ბოლშევიკების ქვეყანაში ისეთ ბრწყინვალე საზოგადოებაში, როგორც აქ ბანკეტზე.**

ამის საპასუხოდ ერთმა მწერალთაგანმა კ., თავი ვერ შეიკავა და წარმოსთქვა სარკაზმით სავსე სიტყვა.

— ნება მიბოძეთ მე ამ ბრწყინვალე საზოგადოების ერთ-ერთ წარმომადგენელს ნიღაბი ავხადო ჩვენი ბრწყინვალების ზოგიერთ საიდუმლოებას! ჩვენ

ბევრი ვიოსტატეთ, რომ რაც შეიძლება წესიერად შევხვედროდით საზღვარგარეთელ სტუმარს! და რადგან საზღვარგარეთ მიღებულია შეხვედრა ტანისამოსის მიხედვით, ამიტომ ჩვენც უმთავრესად ჩვენს გარეგნობაზე ვზრუნავდით! თითქმის ყველას აქ, თუ ძალიან არ ჩაუკვირდებით, გვარიანი პიჯაკები და სერთუკები აქვს. თუ ჩაუკვირდებით, ისინი აღმოჩნდებიან არა გვარიანი, არამედ გაცვეთილი, მაგრამ თუ აი ამ წუთში საზღვარგარეთელი სტუმარი წინადადებას მოგვცემს ჩვენ: „აბა ერთი გაიხსენით თქვენი სერთუკები და პიჯაკები!" ვერც ერთი აქ დამსწრეთაგანი ვერ გაბედავს ამას იმის შიშით, რომ არ გამოჩნდეს მისი თეთრეული. ისინი, ვისაც ის შერჩენია, დაირცხვენენ საცოდავ, დაგლეჯილ, ჭუჭყიან და ძველი ჩვრების გამოჩენას. ისინი, ვისაც თეთრეული სრულებით არა აქვს—და მე ასეთები აქ დამსწრეთაგან ეიცი—მით უმეტეს არ მოისურვებენ თავისი ბრწყინვალე გარსის გახსნას...

მე თითქმის გორკის პირდაპირ ვიჯექი. მას შეეცვალა სახე. ის წამოხტა, ხელსახოცს ნერვიულად შმუშნიდა ხელებით:

— ამხანაგო კ., ჩვენ აქ შევიკრიბენით, რომ გვესიამოვნებია ჩვენი სტუმრისათვის! მე დარწმუნებული ვარ, რომ მისთვის სასიამოვნო და საინტერესო არ იქნება ჩვენი ჭუჭყიანი თეთრეულის სინჯვა!

კ. ცდილობდა იმავე ჰანგზე განეგრძო. ა. მ. მკაცრი და ბრძანებითი კილოთი შეაწყვეტინა მას სიტყვა.

— მე ვფიქრობ, რომ გამოვხატავ საერთო სურვილს, რომ ა. კ. სიტყვა არ გადაუთარგმნონ ჩვენს სტუმარს...

ყელს არ ესმოდა, რა ხდებოდა. ჩამოვარდა უხერხული სიჩუმე. გორკიმ ის დაარღვია მშვენიერი სიტყვით, რომელმაც დროებით დაგვავიწყებია ჭირვარამი.

მაგრამ ბანკეტის გათავების შემდეგ, ყველამ მხურვალედ დაიწყო მსჯელობა.

ჰქონდა თუ არა მაქსიმ გორკის უფლება კ.-თვის სიტყვა წაერთმია.

ერთნი გაცხარებით ამტკიცებდენ, რომ არ ჰქონდა.

— დეე, მაღალმა სტუმრებმა გაიგონ ჩვენი დამალული ჭირი!

მეორენი:

— რასაკვირველია, უფლება ჰქონდა. განა მართლაც ლამაზია საცოდავი ჩივილი ჩვენს სიღატაკეზე. ის ღა აკლდა, რომ კ. ეთხოვა უელსისათვის პერანგის ამხანაგების გამოგზავნა!..

მეც აგრეთვე ვფიქრობ, რომ გორკის ამგვარი ჩივილი უნდა შეეწყვიტა. მაშინ ისეთი მომენტი არ იყო, რომ გეტირა უცხოელის მხარეზე, რომელსაც ისედაც გადამეტებული წარმოდგენა ჰქონდა ბოლშევიზმის საშინელებაზე.

თვითონ გორკი პირადად ხედავდა, იცოდა, განიცდიდა საბჭოთ მწერლის მძიმე გაჭირვებას და როცა თავმჯდომარედ იყო მეცნიერთა სახლისა მილიონნაიაზე, ის არა ზოგავდა დროს, შრომას, მოხერხებას, რათა ეშოვა საშუალებანი და დაერიგებინა იმ დროებაში სახარბიელო ულუფები არა მარტო მეცნიერებისათვის, არამედ მწერლებისთვისაც.

სიტყვა **მეცნიერს** ის განმარტავდა რაც შეიძლება ფართოდ. ყოველი მწერალი, რომელსაც კი წაეკითხა სადმე ლექცია, უკვე ღებულობდა უფლებას ულუფაზე მეცნიერთა სახლიდან.

როდესაც გორკი შეუდგა მეცნიერთა ბედ-იღბლის გაძღოლას, მას შეეძლო ეფიქრა, რომ განხორციელდა მისი ნიჟნი-ნოვგოროდის ოცნება ბოსიაკების კლუბის შესახებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩვენ ყველა „მეცნიერები" ვიყავით ისე მშიერნი, შეცივებულნი, ფეხშიშველნი, ტიტველნი. ზოგი დადიოდა გადაბრუნებული პიჯაკით (ხელახლად შეკერილიც კი არ იყო). ზოგს ლანჩა თოკით აკრული ჰქონდა: თოკით ლანჩას ფეხსაცმლის ცხვირს მიაკრავდა,—დღეს ხომ ეყოფა!

გორკი საზღვარგარეთ გამგზავრებამდე ყოველნაირად ცდილობდა, რომ ეფიქრა არა მარტო პურზე, არამედ თვით იმ ჭუჭყიან თეთრეულზე, რომლის გახსენება ასე ეწყინა მას უელსის ბანკეტზე.

გორკი და ბროდსკი

ცნობილი მხატვარი ი. ი. ბროდსკი 1909 წ. კაპრიზე იყო და ხატავდა თავის სურათს. ეს იყო ბუნების წარმომშობ ძალების სიმფონია.

ცენტრშია მისი უდიდებულესობა ბავში,—ფონზე, რომელიც გაქლენთილია ფოთლებით, ყვავილებით და ხეხილებით.

ბავში მოხდენილად არის ჩაქსოვილი კაპრის ფლორაში,—სურათი სავსეა იტალიის მზის ცხოველმყოფელ სხივებით. მაქსიმ გორკი დიდი ინტერესით ადევნებდა თვალს რეპინის ნიჭიერ მოწაფის სურათს. მაქსიმ გორკი, რომელსაც განსაკუთრებით უყვარდა ბავშები, დიდი აღელვებით უცქერდა ამ „აპოთეოზს ბავშისას".

— რა გინდათ დაარქვათ სურათს?

— „მარადი ზღაპარი".—

— „მარადი ზღაპარი".—დაფიქრებით გაიმეორა მწერალმა.

— „არა. ეს ბანალურია. დაარქვით უბრალოდ „ზღაპარი". ეს კარგი იქნება!" და ახლა ამ სურათს ეწოდება—„ზღაპარი".

ბროდსკი ხშირად იყო გორკის ვილლაზე. და უნდოდა გაეგო თავის მეზობლის შემოქმედების საიდუმლოება. მაგრამ გორკი მუშაობდა და არაფერს ლაპარაკობდა თავის მუშაობის შესახებ.

— ერთხელ მივედი მასთან. ა. მ. გორკი შემხვდა მხიარული. ხელებს იფშვნეტს სიამოვნებისაგან.

— შეგიძლიათ მომილოცოთ.

— გილოცავთ. მაგრამ რაშია საქმე?

— მე მოვკალი კაცი.

— მე გაოცებით შევხედე მას.

— მე დიდებულად მოვკალი კაცი! ძალიან კარგად მოვკალი! თვითონ ვგრძნობ, რომ ჩინებულად მოვკალი!

თურმე გორკის დაუმთავრებია თავისი „კოქემიაკინი“, რომელშიდაც მკვლელობის სცენა წარმოადგენს გორკის შემოქმედების საუკეთესო შედეგს.

— ახლა წავიდეთ სათევზაოთ!

შეუერთდით ადგილობრივ მეთევზეებს და გავემგზავრეთ. 6 თუ 7 იტალიელი მეთევზე დამწვარი სახით, ბადეები, ძველი ნავი,—ყველაფერი ეყო მეტად ლამაზი, მაგრამ არა საიმედო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გავიდეთ ზღვაში. მზე ოქროსავით ბრწყინავდა. თევზი ელვარებდა ვერცხლისფრად. თევზაობა იღბლიანი გამოდგა. დატვირთულნი თევზით მივადექით ნაპირს და დავიწყეთ მისი ხარისხებად დალაგება. წვრილი თევზი ზღვაში გაუშვით. საშუალო და უფრო დიდი გირლიანდებათ დავაცვით ლაყუჩებით თოკზე და ჩამოვკიდეთ ნავის ქიმზე.

როდესაც ჩვენ გახურებულ მუშაობაში ვიყავით, დავინახეთ, რომ ზღვის შუაგულიდან გვიახლოვდება წყალქვეშა ნავი.

მე არასოდეს არ მინახავს ასეთი საშინელება. უნდა გამოვტყდე, შევშინდი. მაგრამ გარეგნულად თამამად ვარ. ჩვენ ხომ არავითარი საფრხე არ მოგველის. ჩვენი ნავი თითქმის ნაპირზეა,—თითქმის შეიჭრა ქვიშაში.

ვეშაპი მოდის და მოდის ჩვენზე. ის არ მოერიდა ათ კაცს, დაეტაკა ნავის ქიმზე დაკიდულ თევზს, რომელიც იყო ჩვენი ნადავლი, და დაუწყო მას ხარბად განადგურება. არაფერი სასიამოვნოა ჩაუვარდე ხახაში ამ ქოფაკს! მგონია, რომ ის იოლად გადასჭამს თვითეულ ჩვენგანს ხელს ან ფეხს, მიუხედავად ზოგიერთ ჩვენი ამხანაგების დიდი სათევზაო სტაჟისა.

— ამხანაგებო! დავიჭიროთ ის არამზადა!- წამოიძახა გორკიმ.

მას გაუბრწყინდა თვალები. ხელში თოკი აქვს. შეჩვეული ხელით გააკეთა კანატიდან ნასკვი.

მეთევზეებმა უთარჯიმანოთ გაიგეს ყველაფერი.

წინამდებარე, საქმე სახიფათო იყო. ჩვენ არ ვიყავით შეიარაღებული სათანადოთ, რომ მოგვეკლა ვეშაპი. მისი დახჩობა თოკით შეუძლებელი იყო. ვეშაპები ცნობილი არიან თავისი ღონით.

მაგრამ იმ ხუთში არავინ ყოფილა წინააღმდეგი. ვეშაპი ისე იყო გატაცებული ჩვენი თევზის განადგურებით, რომ ჩვენ ადვილად ჩავაბით მას მარყუჟი კისერში და მაგრად მოუჭირეთ.

როდესაც ვეშაპმა იგრძნო საფრთხე, ის ატორტმანდა ისე ღონივრად, რომ ჩვენ კინალამ არ ჩავცვივდით წყალში. მაგრამ ნავი არ გადაბრუნებულა. ის მხოლოდ მოსწყდა მეჩეჩიდან და გაექანა ზღვაში, გატაცებული ვეშაპის საშინელი ღონით.

ჩვენ დავიბენით. არავის უფიქრია აემუშავებინა ნიჩბები. ისინიც უძრავად იყვნენ, ვინც ნიჩაბს ინერციულად მოჰკიდა ხელი.

ჩვენ მივყვებოდით ბუქსირს და ვერ შევამჩნიეთ, რომ შორს გავედით ზღვაში. და საფრთხე ნავის გადაბრუნებისა თანდათან იზრდებოდა.

— დაარტყი ნიჩაბი, ქოფაკს!—მგონი ისევ პირველად დაიძახა გორკიმ.

და აი ასეთი სანახაობა ჩვენ რაც ძალი და ღონე გვქონდა, ურტყამდით თავში ვეშაპს. მისი ტორმანი გადაიქცა გაბრაზებულ ნახტომებად. ის აქეთ იქით ეხეთქებოდა.

ჩვენ დავედევნეთ მას. წყალი შეიღება სისხლით. ერთი მისი თვალი გადაიქცა სისხლიან იარად. მეორე—ნიჩბით ამოგდებული [illegible] კიდა და ფართხალებდა, როგორც ზარი.

ჩვენ კიდევ უშენდით.

— გადენე მაგ ოხერი ნაპირისაკენ!

უკვე მივეჩვიეთ ჩვენს ფანტასტიურ ცხენს, რომლის მოძრაობა უდრიდა ურიცხვ ცხენების ძალას. ჩემთვის ძნელია იმისი თქმა, თუ რამდენ ცხენის ძალას უდრიდა ჩვენგან დატყვევებული ვეშაპის ძალა. მაგრამ მან სწრაფად მიგვიყვანა ნაპირთან. და დაუძლურდა. დაიწრიტა სისხლისაგან. ის სულს ველარ ითქვამდა მარყუჟში, რომელიც შეეჭრა მას ლაყუჩებში. მეთევზეები ამოხტენ ნავიდან და ქვიშაზე წაათრიეს თავისი ნადავლი. ის კიდევ ფართხალებდა საშინლად. მე ვშიშობდი რომ მეთევზეები გააგდებდენ თოკს და ნადავლი ისევ გადავარდებოდა ზღვაში. ზოგიერთი ნანობდა, რომ თოკი მოეხსენით ნავს, რადგანაც იმედი არ ჰქონდათ, რომ შეათრევდენ ნაპირზე გასისხლიანებულ, დაკლაკნილ და დაბრმავებულ ვეშაპს.

უკანასკნელად ეს მოხერხდა. ხორცის სისხლიანი კლდე იგრიხება და იკლაკნება ნაპირზე. კუდის თვითეული მოქნევით შეუძლია გამოასალმოს ადამიანი წუთისოფელს. მაგრამ ჩვენ გვაქვს დიდი პლიუსი: ჩვენ შეგვიძლია ვისუნთქოთ ნაპირზე, ჩვენ გვათრობს სიხარული, რომ გადავრჩით და ეს აათკეცებს ჩვენს ძალას. ვეშაპი კი იხრჩობოდა უწყლობისაგან. მისი აგონია გრძელდება. ის დაბრმავებულია და ჩვენ ვერ გვხედავს. მან ვერ დაინახა, როგორ აელვარდა მეთევზეების ხელში ექვსი დანა.

მე არ ვიცი, როგორ მოხდა ეს, მაგრამ ვეშაპს მუცელი გაკვეთილი აქვს. აკვამლებული, მთრთოლვარე შიგნეულები დამოუკიდებლად სცოცხლობენ ქვიშაზე, იკლაკნებიან და ხოხავენ გველებივით.

თითონ ვეშაპი გამოფატრულია, გული ამოჭრილი აქვს, იქნევს კუდს და იგრიხება.

მაქსიმ გორკი დაიღუნა და მწველი ცნობის მოყვარეობით უცქერის ვეშაპის გულს, რომელიც თანდათან იკუმშება. ერთ საათზე მეტი სცემდა ვეშაპის გული, ქვიშაზე დაგდებული.

ჩვენ არ ვაშორებდით თვალს. მე მაშინ არ მქონდა წაკითხული „კოქემიაკინი“, და მაინც ვფიქრობდი, რომ გორკის მიერ დილას წარმოთქმულ სიტყვებს:

— მე დიდებულად მოვკალი ადამიანი!

რალაც კავშირი აქვს ამ გამოფატრულ, სისხლიან ვეშაპის ჭვრეტასთან..

რაჟდენ კალაძე

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ქართველი საზოგადოება და ანტონ ფურცელაძე

(მე-XIX საუკუნის 40—50—60—70—80—90-იანი წლები)

წინასწარი

ანტონ ფურცელაძემ მთელი თავისი სიცოცხლე თითქმის სულ ტფილისში გაატარა სადაც, როგორც ვიცით, ქართულთან ერთად სომხური, რუსული და თათრული „საზოგადოებაც“ არსებობს. ტფილისი ინტერნაციონალური ქალაქია და ანტონ ფურცელაძის მოღვაწეობა და შემოქმედება, სხვათა შორის, ინტერნაციონალური მოტივითაც ხასიათდება. მაგრამ ანტონი შვილი იყო ქართველი საზოგადოების და უმთავრესად ის თავის შემოქმედება-საქმიანობის მოტივებსა და საგანს ამ საზოგადოებიდან ღებულობდა.

მხოლოდ არავის ეგონოს, რომ ამ ნაწერში სიტყვას **საზოგადოება** ჩვეულებრივი ვიწრო მნიშვნელობით ვხმარობდე: ამ სიტყვით მინდა მეცნიერულად შემუშავებული ცნება გამოვხატო.

ყოველი საზოგადოება მეტად რთულ კოლექტივს წარმოადგენს, რომელიც თავის განსაკუთრებული სახით ცოცხლობს; ერთგვარ ინდივიდუალობას ატარებს, მაგრამ იმავე დროს იგი ინდივიდუმისაგან ძირითადათ იმით განსხვავდება, რომ ეს უკანასკნელი განსაზღვრულ დროს განმავლობაში ვითარდება, იცვლება და ბოლოს კვდება, სამუდამოთ ჰკარგავს თავის ინდივიდუალობას; მაშინ როდესაც ინდივიდუალური **კოლექტივი—საზოგადოება** დროის წინასწარ განუსაზღვრელად ვითარდება, იცვლება და ეპოქის შესაფერათ შეცვლილ ინდივიდუალობასაც დროის განუსაზღვრელათ თან ატარებს.

დღემდე მაგალითად, არ ყოფილა და გვჯერა შემდეგშიაც არ იქნება, რომ რომელიმე ივანეს ან გიორგის „სამუდამოთ“ ეცოცხლოს თავისი ინდივიდუალობით, არ მომკვდარიყოს, მაშინ როდესაც ბევრია იმის მაგალითი, რომ რომელიმე „ხალხოსნობას“ ინდივიდუალურ კოლექტივს-საზოგადოებას ათასი წლები ეცოცხლოს, იგი დღესაც ცოცხლობს და გვაქს იმის საბუთი ვიფიქროთ, რომ იგი მანამ იცოცხლებს, ვიდრე კაცობრიობა არსებობს. აშნაირათ

სამუდამო და უცვლელი, რა თქმა უნდა, არც ის არის: სამუდამო და უცვლელი არის მხოლოდ სამყაროს ენერგია და ისიც მხოლოდ თავის **რაოდენობით** და თვისებით ანუ **სახეობით.**

ერთი სიტყვით: ინდივიდის ინდივიდუალობა ხანმოკლეა და [illegible]ებითი; ხოლო **საზოგადოების** კი შედარებით „სამუდამო" ე. ი. [illegible] მხოლოდ კაცობრიობის სიცოცხლით, **ინდივიდი მოკლებულია [illegible] შესაძლებლობას კაცობრიობასთან ერთად ბოლომდე იცოცხლოს ხოლო საზოგადოებას აქვს ეს შესაძლებლობა: ამაშია მთავარი მიზეზი მათ შორის განსხვავებისა.**

ამის დამამტკიცებელ საბუთს თვით **ქართველი ხალხის ინდივიდუალობა** წარმოადგენს როგორც ისტორია მოწმობს. ამ ხალხის ინდივიდუალობა ჯერ ისევ ქრისტიანობის გაჩენამდე გამოინაკვთა, ჩამოყალიბდა და რამდენიმე ათასზე მეტმა წელიწადმა განვლო, რომ ცოცხლობს. დღეს იგი უკვე გასაბჭოებული სოციალისტურ გზაზე შედგა და ახლო მომავალში საკუთარი ძალებში კომუნიზმსაც დაამყარებს (რა თქმა უნდა, არა სხვა ერებზე დამოუკიდებლათ).

პიროვნება, რომელიც თავის თანამედროვე საზოგადოების განვითარების ტენდენციებს სისწორით და ნათლად სჭვრეტს, ცხადათ ხედავს ამ საერთო განვითარების წინმსვლელობის, შუალა გეზს, არკვევს ამ მსვლელობის აუცილებლობას და მის კანონებს, თანაც ხელს უწყობს აქტიურათ თავისი პირადი ჩარევით ამ მსვლელობას, ის ამ **საზოგადოების ჭეშმარიტი იდეოლოგიც არის და ამ საზოგადოების ნამდვილი წინამძღოლ-ხელმძღვანელიც. ასეთი პიროვნება ისტორიულ ძალას წარმოადგენს.**

მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ იგი „ზეკლასიური" იდეოლოგი იყოს. (ეს კარგად დაიმახსოვრა ზოგმა ზერელე კრიტიკოსმა, ვითომდა მარქსისტმა, რომელსაც ხშირათ კლასიურობით თავი მოსწონს და სხვებს „ზეკლასიურობას" უკიჟინებს) სულაც არ ვფიქრობ, რომ ზემო აღნიშნული ტიპის იდეოლოგი კლასის იდეოლოგიის გარეშე დავაყენო და მისი გავლენა საზოგადოებაზე „ზესთაბუნებრივ" მოვლენათ ჩავთვალო.

არა, საქმე აქ შემდეგშია: წარმოშობით, ფიზიკური მხრით შეიძლება ის, როგორც გამონაკლისი ერთ რომელიმე (თუნდაც გაბატონებულს) კლასს ეკუთვნოდეს და იმავე დროს მისი პირადი იდეოლოგია მეორე კლასის, სულ სხვა კლასის (თუნდ დაჩაგრულის) იდეოლოგიასთან იყოს შეთანხმებულ-შეთანაბრებული.

ყოველი კლასი შეგნებულათ, თუ შეუგნებლათ თავის საკუთარ კლასიურ იდეოლოგიას ატარებს და ცხოვრებაში ყოველ წამოყენებულ საკითხს თავისებურათ, კლასიურათ სჭრის.

და რადგან მთელი საზოგადოების წინსვლის ჩარხი კლასთა ბრძოლაა, ამიტომ იმ ახალი კლასის იდეოლოგია იქნება ამ წინსვლის გამომხატველი, რომელიც ამტყდარ კლასობრივ ბრძოლაში იმარჯვებს და ამ გამარჯვებით საზოგადოებას, როგორც მთელს, წინ მიაქანებს.

აქედან — ის პიროვნება-იდეოლოგიც, რომელიც ამ წინ-მსრბოლ კლასის იდეოლოგიას უკეთესათ გამოხატავს, შეიძლება მთელი საზოგადოების წინმსვლელობის მატარებლათ ჩავთვალოთ.

ამიტომ ისტორიულ **პიროვნების** ბიოგრაფიისათვის მთავარი ის კი არაა, რომ ვიცოდეთ, თუ ვისი შვილი იყო ის ან რომელი კლასიდან წარმოსდგა (თუმცა ამასაც თავისი მნიშვნელობა აქვს) არამედ ის, თუ ისტორიულ განვითარების რა საფეხურზე დგას ის **საზოგადოება**, რომელსაც ეკუთვნის ეს **პიროვნება** და რა და რა საზოგადოებრივ ჯგუფების და კლასების ბრძოლას წარმოადგენს ამ საზოგადოების ცხოვრება.

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

ამ ბრძოლის პროცესში **საზოგადოება**, როგორც მთელი ერთ საფეხურზე ვერ შეჩერდება, ის დროის მსვლელობაში თვითონაც თანდათან წინ მიდის და მისი საერთო მსვლელობის გამომხატველი **პიროვნებაც** წინ მიდის, იცვლება.

მაგრამ განსაკუთრებული პირობებისა გამო ზოგჯერ **პიროვნება** საზოგადოების განვითარებას ვერ მიჰყვება, ერთ საფეხურზე ჩერდება და ამნაირათ იგი საზოგადოების საერთო წინმსვლელობის გამომხატველის როლს ხელიდან უშვებს; ზოგჯერ ისედაცაა, რომ ერთ დროს წინმსვლელობის გამომხატველი შემდეგ საზოგადოების უკან ჩამორჩენილი ფენების დამცველი ხდება. ხდება მესამე რიგის მოვლენაც: ხშირათ პიროვნების იდეოლოგიური განვითარება წინ უსწრებს მისივე საზოგადოების ახალ ძალების გამოჩენას და ჩამოყალიბებას და ამ შემთხვევაში პიროვნება ხდება უნიადაგო უტოპისტი ან „მეოცნებე".

ხშირათ ასეთი პიროვნება, თუ მას ძალაუფლება ხელთა აქვს, „ძალათ მაცხონედაც" გამოდის.

ამ ნაწერის დანიშნულებაა: ყველა ზემოაღნიშნულ დებულებების და თვალსაზრისის თანახმათ გამორკვეულ და დაფასებულ იქნას მე-19 საუკ. მეორე ნახევრის ქართული საზოგადოება და მასთან დამოკიდებულებით ქართველ მწერლის, ანტონ ფურცელაძის პიროვნება.

მისი საზოგადოებრივი ცხოვრება მწერლობით მარტო არ განისაზღვრება, ის პრაქტიკულ საქმეებშიაც იღებდა მონაწილეობას.

ის რთულ პიროვნებას წარმოადგენდა და რთული ხასიათის უნდა იყოს ის მასალებიც, საიდანაც მისი პიროვნების ცოცხალი სურათი უნდა აღდგენილ იქნას.

ჩვენდა სამწუხაროდ ამისთვის, რაც ერთი შეხედვით თითქო ძალიან საკვირველია და გაუგებარიც, საკმაო მასალა არ მოგვეპოება. არსად არა სჩანს ჯერ-ჯეროობით მაინც ამ მწერლის საზოგადოებრივი ხასიათის მიწერ-მოწერა და არც პირადი მოგონებები არსებობს დღემდე მასზე, გარდა ბელეტრისტ სოფრომ მგალობლიშვილისა (1924 წლის, მარტის №№ 16, 18 და 19 გაზ. „ქართული სიტყვა".) ამიტომ შემიძლია დავემყარო მხოლოდ შემდეგ წყაროებს:

1. ყველა იმ თანამედროვეთა ნაწერებს, რომლებიც მე 19 საუკ. 60, 70, წ. წ. ქართველ საზოგადოებას და მოღვაწეებს შეეხებიან, 2. მეცხრამეტე საუკუნის სამოციან და ოთხმოციან წლების ქართულ ჟურნალ-გაზეთობას, 3. თვით ანტონ ფურცელაძის ნაწერებს, 4. მისივე შვილების, ნესტორის და ივდიტას (ქარცივაძისა) მიერ მოწოდებულ ხელნაწერებს, ცნობებს, მოგონებებს და განმარტებებს, 5. ზ. ჭიჭინაძისაგან მოწოდებულ ხელნაწერს, სადაც ის ანტონ ფურცელაძის ნაწერების „ამბებს" გადმოგვცემს და, წერილობით მოწოდებულ სხვა

ცნობებს, 6. თვით ანტონის „მოგონებას“, რომელიც 1911-12 წ. რუსულ გაზეთებში მოთავსებული ფელეტონების სახით—სათაურით: „Наши общественные дела“... „ზაკავკასსკაია რეჩ“ 1911 წლის №№. 256, 57 და 1912 წლის №№. 131, 132, 136 და 138.

არის კიდევ ერთი მეტად საყურადღებო და განსაკუთრებული გარემოება, რაც ანტონის პიროვნების შეფასებას ძალიან გვიძნელებს, სახელდობრ ის, რომ არც მისივე დროის და არც ეხლანდელი დროის „განათლებული საზოგადოება“, ე. ი. არც თავადაზნაურული და არც ბურჟუაზიული ინტელიგენცია მას მხატვრულ მწერლად არ ცნობდა, მაშინ როდესაც მის მხატვრულ ნაწერებს „მდაბიო ხალხიდან“ უფრო მეტი კითხულობდა, ვიდრე, მაგ. ილია ჭავჭავაძის „სახალხო ნაწერს“.

საზოგადოდ ასეთი შეხედულება— „მდაბიო ხალხს“ მოსწონდეს რაიმე „მხატვრული“ ნაწარმოები და ეს საღი საზოგადოების მოწინავე ნაწილს კი არა— იმით აიხსნება, რომ ნაწარმოები **საგაზრო ლირსებისაა**, „ხალტურაა“, როგორც დღეს რუსულ მწერლობაში ამბობენ. მაგრამ ასეთ საზომს, ცხადია ანტონ ფურცელაძის ნაწერებზე ვერ იხმართ, რადგან ეს ნაწერები „ხალტურად“ არას გზით არ ჩაითვლება.

ისტორიაში მრავალია იმის მაგალითი, როცა საზოგადოება უყურადღებოთ ტოვებს რომელიმე თანამედროვე მწერალს, არ იცის მისი ვინაობა და არც აფასებს ამ მწერლის ნაწარმოებს, მაშინ როდესაც შემდეგი თაობები ამ მწერლის ნაწერებზე იზრდებიან შემდეგში. ასეთს მაგალითს შექსპირი წარმოადგენს, რომლის ვინაობა დღესაც არ იცის ისტორიამ, ხოლო მის ნაწერები დღესაც დრამატურგიის სამაგალითო ნიმუშად ითვლება.

მაგრამ მე არ ვიცი სხვა ისეთი მაგალითი, რომ რომელიმე ხელოვანს საზოგადოების მოწინავე ნაწილის არც ერთი თაობა ხელოვანად არ ცნობდეს და ის მაინც მხატვრულ კრიტიკის თვალსაზრისით, შეიძლება მეორეხარისხის, მაგრამ მაინც ხელოვანად ჩაითვალოს.

ანტონ ფურცელაძე კი, ვამტკიცებ, სწორეთ ასეთ მაგალითს წარმოადგენ.

მხატვრულია მისი ნაწარმოები თუ არა?

კითხულობ, მაგალითად, ანტონის რომელიმე მხატვრულ ნაწარმოებს და ავტორთან ერთად ჰხარობ ან იტანჯები, იმსჭვალები იმ იდეით, და გრძნობით, რითაც თვითონ ავტორია გამსჭვალული, დასასრულ ესთეტიურადაც დაკმაყოფილებული რჩები, რომ ავტორმა სიმართლე-სინამდვილე დაგვიხატა და ეს სიმართლე-სინამდვილე სილამაზეს, მშვენიერებას შეიცავს.

იმავე დროს კითხვის პროცესში ავტორი ხშირათ ისეთ დაბრკოლებებს გიყენებს თავისი სტილით და უხერხული გამოთქმით, ან ნაძალადევი, გამოგონებული და განმეორებული სურათით, რომ გინდა წიგნი ხელიდან გააგდო და თავი ანტიესტეტიური შთაბეჭდილებისგან გაინთავისუფლო. მაგრამ ამას არ ჩადიხარ, არ ჩადიხარ იმიტომ, რომ გიტაცებს ნაწარმოების ინტრიგა, მთავარი

გმირი, ან სურათი, სცენა მეტად საინტერესო ცხოვრებიდან, რომელიც თავისთავად დიდ ესთეტიურ ღირებულებას წარმოადგენს.

ამიტომ არ შეგიძლია სთქვა, რომ ეს ნაწარმოები მხატვრული არაა.

არაა ის მხატვრული სტილისა და შიგ-ნარევი შემთხვევითი და წვრილმანი ელემენტების მხრით, მაგრამ იმავე დროს ულრმესად მხატვრულია, იგი თავისი მთლიანი აღნაგობით, მთავარი სახეების სინაკვთით და ნათელი მხატვრული სურათებით.

ამიტომ გაკვირვებას ეძლევი და შენდა უნებურათ კითხულობ: საიდან გაჩნდა ასეთი უცნაური წინააღმდეგობა? ამ ნაწარმოების ავტორი დიდათ ნიჭიერი მხატვარიც არის და იმავე დროს სრულიათ უნიჭოც, უხეშიც და გაუთლელიც.

როგორც ამ წინააღმდეგობას, ისე ანტონ ფურცელაძის ისტორიულ-იდეოლოგიურ მნიშვნელობას, ვფიქრობ, აგვიხსნის 1) ამ მწერლის დროინდელი ქართველი საზოგადოების ცხოვრების გათვალისწინება, 2) მისი (ანტონის) პიროვნების შესწავლა და 3) მისი ნაწარმოების კრიტიკული განხილვა.

I

ქართველი საზოგადოება მე-19 საუკ. 40-50-იან წლებში

1. მკვდრული პერიოდი: „არ მომკვდარა"...

აკაკი.

როგორი იყო **ქართველი საზოგადოება** მეცხრამეტე საუკუნის 40-იან და 50-იან წლებში: რა „ფორმაციებიდან", რა ფენებისგან შედგებოდა ის, რა ტერიტორიალურ ფარგლებში იყო ის მაშინ მოქცეული და განვითარების რა გვარი ტენდენციები ჩნდებოდა მის წიაღში?

„ქამთა ვითარების" გამო აღნიშნულ ხანაში **ქართველი საზოგადოება** მეტად ვიწრო და მცირე ტერიტორიალურ ფარგალში მოემწყვდა.

ერთ დროს ეს საზოგადოება, როგორც ერთი მწერალი ამტკიცებს (ალ. ჭავჭავაძე), მთელ კავკასიას შეიცავდა 16 მილიონი მცხოვრებით, [1]) ეხლა კი მა. ეკავა მხოლოდ ეხლანდელი ქართლ-კახეთი ქართული მთიულეთით, (ხევი-თუშეთშავ-ხევსურეთი). იმერეთი ჩასათვლელი არაა, რადგან მას ამ ხანაში ქართულ საზოგადოებრიობასთან კავშირი თითქმის გაწყვეტილი ჰქონდა.

ამხ. ფილიპე მახარაძის გამოკვლევით **ამ საზოგადოების წევრთა რიცხვი ნახევარ მილიონსაც ვერ აღწევდა** და მისი ერთად ერთი ნამდვილი ქალაქი იმ დროს ტფილისი იყო და აქ ქართული ელემენტი ცოტა ამ ხანაზე გვიან (1865-70 წ. წ.) მხოლოთ 21-%ს შეადგენდა, დანარჩენს სხვა ერები შეადგენდენ: სომხები 41%,—რუსები და თათრები. (ნხ. ჟურნალ „მნათობის 1926 წლის მე-2 (22) № ში:—„საქართველო მეცხრამეტე საუკუნეში". 176 გვ.) **ქარ-**

[1]) ნხ. ამის შესახებ 1926 წ. გამოცემა ჟურნ. „ქართული მწერლობა" № 4-5-ში მოთავსებული ისტორიული დოკუმენტი ალ. ჭავჭავაძის სტატია:—„საქართველოს მოკლე ისტორიული ნარკვევი და სხვა... გვ. 164.

თულ ელემენტს ამ ხანაში ტფილისის მხოლოდ მეხუთედი ეკვა. იმ დროის ქართლ-კახეთის სხვა ქალაქები ქალაქებად არ ჩაითვლება, ამ სიტყვით ქართველი ხალხის საცხოვრებელი ადგილი თითქმის მარტო სოფელი იყო.

ქართველი საზოგადოება დასახლებული იყო ტფილისის, გორის, დუშეთის, თელავის და სიღნაღის მაზრებში და როგორც ვიცით, ეს მაზრები ამ დროს ერთიანათ მოწყვეტილი იყო, როგორც ბაქოს და კასპიის ზღვას ისე ბათუმ-ფოთის და შავ-ზღვას. **მას მხოლოდ ერთად-ერთი გზა ჰქონდა შედარებით მაღალ კულტურისაკენ — რუსეთისაკენ — „საქართველოს სამხედრო გზა“.**

ეს საზოგადოება მეცხრამეტე საუკუნემდე იყო წმინდა ფეოდალური, წარმოება ჰქონდა წმინდა ნატურალური და განუწყვეტელ შინაურ დგარეშე ომეში იყო გაბმული. და ის ამ ომებისა და შინაურ დაქსაქსულობის, უორგანიზაციობის სიმძიმის ქვეშ უნდა გაჭყლეტილიყო, უნდა გამქრალიყო, რომ რუსეთის თვითმპყრობელური მთავრობის **სავაჭრო-სამრეწველო აგრესიულ პოლიტიკამ** მას მოუსწრო: სწორეთ ამ პოლიტიკის შესაფერი იყო ქართველთა მეფის, **ერეკლე მეორის გადაწყვეტილება: საქართველო რუსთ-ხელმწიფის, ერთმორწმუნე მთავრობის „საფარველქვეშე“ შეიყვანოს.**

ქართველა ხალხის მმართველი წრის ასეთი გადაწყვეტილებით და მდგომარეობით მართლაც და მარჯვეთ ისარგებლა იმ დროინდელი რუსეთის სავაჭრო-სამრეწველო კაპიტალის პოლიტიკის მატარებელმა თვითმპყრობელობამ.[1])

რუსულ თვითმპყრობელობას ამის გარდა წმინდა აგრესიული ტრადიციებიც ამოძრავებდა: მას თავისი მფლობელობის უსაზღვროთ გაფართოების სურვილი, განსაკუთრებით სამხრეთისაკენ, სპარსეთისაკენ, დიდი ხნიდან ჰქონდა.

ამ მიზნებისათვის მას შესაფერი კალონიაც სჭირდებოდა და სამხედრო მოქმედების ბაზაც, საიდანაც ის სამხრეთ აზიისაკენ სამხედრო მოქმედებას გაავითარებდა.

და სწორეთ ამ მიზნისათვის საქართველო, განსაკუთრებით ტფილისი საუკეთესო პუნქტს წარმოადგენდა.

ამრიგათ საქართველოს „ბედი“ მეთვრამეტე საუკუნის გასულს უკვე გადაწყვეტილი იყო და შესაფერ მომენტს ელოდენ, რომ რეგულიარული ჯარები შეეყვანათ ტფილისში.

ასეთი მომენტიც დადგა 1801 წელს და რუსეთის მთავრობამაც არ დააყოვნა იქ ჯარების შეყვანა.

„ბარაბანი დაჰკრეს: საქართველო იმარხებაო“, სთქვა თურმე ამაზე მაშინ ერთმა ტფილისელმა პატრიოტმა — ფილიპემ თუ ნიკოლამ (როგორც სჩანს კათოლიკე -ფრანგები და მათი პატრები იმ დროს ტფილისში ბლომათ ყოფილან.)

---

[1]) „საქართველოში რუსეთის შემოსვლაზე“ რომ გაურკვეველი და ცალმხრივი შეხედულება აგვთ ჩვენს „ისტორიკოსებს და პუბლიცისტ-კრიტიკოსებს“, ამას სხვათა შორის ა. წ. ჟურნალ „ნნათობში“ დაბეჭდილი მიხ. ზანდუკელის სტატია ამტკიცებს, სადაც სწერია: „რუსეთის დამკვიდრებამ (უკეთ — შემოსვლამ. რ. კ.) ქართველი ერის ყოველ-ნაწილს მთლად გაუცრუა იმედები... რუსეთის „კულტურულმა კლანჭმა“... ქართველი ერი სრულს განადგურებამდის მიიყვანა“... და სხვ.

ერთი შეხედვით ქართველი ხალხი თითქო მართლაც „იმარხემოდა“ რუსეთის ჯარების შემოსვლით, რადგან ამ ჯარების ბატონს, რუსულ ფერთმპყრობელობას ქართველი ხალხის ინტერესები სულაც არ ჰქონდა მხედველობაში, პირიქით მისი მიზანი იყო, ესარგებლა მისი ტერიტორიით და ქონებით, რომ ის სამხედრო ბაზად გაეხადა, თან რუსეთის საქონელი კავკასიისაკენ დაეძრა, რომ შემდეგ სპარსეთში უფრო ფართე ბაზარი გაეჩინა თავისთვის.

მაგრამ იმოდენა ჯარებს ხომ ბინა, სურსათი, „ფურაჟი“ და ტანისამოსი უნდოდა? და თუ იმდროინდელ ურკინისგზობას მხედველობაში მივიღებთ, ადვილად წარმოვიდგენთ, თუ რა მოჰყვებოდა თავისთავათ ადგილობრივ მცხოვრებთათვის რუსეთის ჯარების საქართველოში შემოყვანას.

მართალია, ერთი მხრით ამ ჯარებს ქართველ ხალხში შემოჰქონდათ ყოველგვარი „ძალმომრეობა“, მაგრამ რა იყო ეს იმ ძალმომრეობასთან შედარებით, რასაც თვითონ ქართველი თავადაზნაურობა ჩადიოდა „თავისივე ხალხში“? ჯართან ერთად მმართველ ბიუროკრატიასაც შემოჰქონდა თავისი რუსიფიკაციული პოლიტიკა, რითაც ხალხს გაჭირვებაში აგდებდა.

მაგრამ მეორე მხრით მთავრობა მაშინვე შეუდგა ჯარებისათვის ყაზარმების და სხვა შენობების აგებას, სამხედრო გზების გაყვანას, ადგილობრივთა მცხოვრებთაგან სურსათ-სანოვაგის და „ფურაჟის“ შესყიდვას და სხვ.

ამ სახით ქართულ საზოგადოებაში რუსეთის ხაზინის ფული შემოვიდა. **დაიწყო ფულის ტრიალი.**

ეს კი სრულიად ახალი მოვლენა იყო ქართველი საზოგადოებისათვის და ამ დღიდან იწყო მან ნატურალურ-ფეოდალურ-პატრიარქალური კარჩაკეტილობიდან გამოსვლა.

ეს იყო დასაწყისი იმ ეკონომიური „რევოლიუციისა“, რომელიც საქართველოს საზღვრებში 1864 წელს ბატონყმობის გაუქმებით დასრულდა.

მეცხრამეტე საუკუნის პირველი ნახევარი მოუნდა იმ ნიადაგის მომზადებას, რომელზედაც საქონლის წარმოება უნდა აღმოცენებულიყო და კაპიტალის პირველ დაგროვების პროცესი დაწყებულიყო. ეს ერთი მხრით.

ხოლო მეორე მხრით საქართველოში რუსულ სამხედრო რეჟიმს და თვითმპყრობელურ ბიუროკრატიას პოლიტიკურათ დადამბლავებული **ქართველი ხალხ-ზოგადოება** მოძრაობაში უნდა მოეყვანა: უნდა დაწყებულიყო მისი სოციალური რეორგანიზაცია.

მისი სტრუქტურა მეტად მარტივი იყო: სათავეში იდგა ყოველგვარი უფლებით აღჭურვილი თავადაზნაურობა, ქვევით კი მის ფეხთა ქვეშ განრთხმული იყო ყოველგვარ უფლებას მოკლებული ყმა-გლეხკაცობა და ყმა-ხელოსნობა. სხვა კლასი, არც ჯგუფი არ არსებობდა. ამ საზოგადოების მთელი იდეოლოგიის გამომხატველი და შემოქმედი იყო სამღვდელოება.

შემოსული რუსული სამხედრო და სამოქალაქო ბიუროკრატია საქართველოს ისე უყურებდა, როგორც დაპყრობილ ქვეყანას, მაშინ როდესაც მას ჯერ კიდევ ჩრდილო-კავკასია, განსაკუთრებით დაღესტანი და „მთა“ დასაპყრობი ჰქონდა.

და აი დაპყრობილი **ქართველი საზოგადოება** მას ამ მიზნისთვისაც უნდა გამოეყენებია, მით უმეტეს, რომ კარგად იცოდა მან, თუ რა ძალას, რა მეომარ ხალხს წარმოადგენდა ქართველობა.[1]) მაგრამ პირველყოვლისა მას უნდა დაეთრგუნა ყველგან ის სტიქიურ-ინსტიქტიური თავდაცვითი მოძრაობა, რაც რუსეთის ჯარების საქართველოში შემოსვლამ და შემოღებულმა სამხედრო-სამოქალაქო რეჟიმმა **ქართველ საზოგადოებაში** გამოიწვია.[2]).

აქ, ამ ნიადაგზე **ბატონი და ყმა თითქო** ხელი-ხელჩაკიდებული იბრძოდენ რამდენადაც კი მათ ჯერ კიდე ბრძოლის უნარი შერჩენოდათ.

უნდა გარკვევით აღინიშნოს, რომ ამ ბრძოლაში თვითეული მათგანი (ბატონი და ყმა) თავის თავის ინტერესებიდან გამოდიოდა და თვითეულ მათგანს თავისი საკუთარი კლასიური ანუ წოდებრივი მიზანი ამოძრავებდა. **პირველს** აწუხებდა პოლიტიკური უფლების და დამოუკიდებლათ მბრძანებლობის უფლების დაკარგვა, ტრადიციულად განმტკიცებული „ბატონ-კაცური" ზნე-ჩვეულების შელახვა, ხოლო **მეორეს**—ახალი გადასახადები, „რეკვიზიციები", ხშირი „ექზეკუციები" და ჩამოყენებული ჯარის-კაცების მიერ ჩადენილი ძალ-მომრეობა, გლეხური ზნე-ჩვეულებების და სინდისის შელახვა, ფეხქვეშ გათელვა და ის გარემოება, რომ ენის უცოდინარობის და სხვა და სხვაობის გამო ხალხს მმართველების არაფერი ესმოდათ და მმართველებს კიდევ ხალხის.

თარჯიმანიც კი ისე იშვიათი მოვლენა იყო, რომ „უცხო" მმართველები იძულებულნი იყვნენ ასეთი როლის შესასრულებლად ტფილისში ქალაქ ყიზლარიდან (თერგის ოლქიდან) მოეყვანათ ვინმე მღვდელი, რომელმაც რუსულთან ერთად თურმე ქართულიც იცოდა (იხ. ზემოთ აღნიშნული წერილი ალ. ჭაველაძის ჟურ. „ქართული მწერლობის" № 4—5 1926 წ. გვ. 171).

ქართველი ბატონისა და ყმის კავშირი რუსული თვითმპყრობელობის ბატონობის წინააღმდეგ მიმართული თავიდანვე წოდებრივ ანუ კლასობრივ წინააღმდეგობას შეიცავდა, რის გამოც ეს კავშირი მართლაც მალე უნდა დარღვეულიყო და დაირღვა კიდეც მანამ, ვიდრე ბატონ-ყმობა გაუქმდებოდა და ჩვენ აშკარათ ვხედავთ, რომ ამ „ხალხის" 40-იანი და 50 წლების აჯანყებები (გურიისა და სამეგრელოსი, მავალითად) ნამდვილ გლეხთა ომს, წოდებრივ ბრძოლას წარმოადგენს.[3])

რუს-მთავრობა კარგად არჩევდა საზოგადოების ამ ორ სხვა და სხვა წოდების ინტერესთა შორის განსხვავებას. და თავის ეროვნულ პოლიტიკასაც ამ განსხვავების დაგვარად აწარმოებდა.

---

[1]) ამის ილუსტრაციას წარმოადგენს ანტონ ფურცელაძის მოთხრობაში—„მართა"—აწეული ამბები, საიდანაც სჩანს, რომ კახეთის გასაპირას, საინგილოში, ქ. ლაგოდეხში „რუსის ჯარი" იდგა (50-იან წლ.) ალბათ ლეკების საწინააღმდეგოთ და ამ ჯარში მაწერილ ქართველ ჯარისკაცს და აფიცერს იმ დროის პირობებზე კარგა მოზრდილ ჯამაგირს აძლევდენ.

[2]) ნხ. ამის შესახებ ვრცლათ და დასაბუთებით ამხ. ფილიპე მახარაძის სტატია—„საქართველო ბოლშევიკურ საუკ." 1926 წ. ჟურნ. „მნათობი" № 2 (22) გვ. 164—7.

[3]) ნხ. ამის საილუსტრაციოთ ეგ. ნინოშვილის რომანი—„ჯანყი გურიაში" და ანტონ ფურცელაძის—„მაღი ხვიტია".

ის ერთი მხრით რომ აჯანყებულ ქართველ ხალხს ხიშტებით დაუზოგველად ახშობდა, მეორე მხრით პირველ ხანებში მაინც თავად-აზნაურულ არისტოკრატიას („ბატონიშვილებს", „წარჩინებულთ" და „უფლის წულებს") რუსეთში ეპატიჟებოდა, სამხედრო სამსახურს, ჩინებს და სხვა წყალობას ავალებდა; თუ ვინმე მათგანი შეურიგებელი და გაჯიუტებული იყო, მას „პეტერბურგსა და მოსკოვში ძალით „ასახლებდა".

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაგრამ როცა დაინახა რომ ხალხი მაინც არ ცხრებოდა, როცა დანახა, რომ ხალხს ქართველი თავად-აზნაურული არისტოკრატიის მომადლიერება ვერ დააშოშმინებს, ვერ დააწყნარებს, (ამის საბუთს მას 1841 წლის გურიის სახალხო აჯანყება აძლევდა), **თუ ამ ხალხის კულტურულ-ეროვნულ საჭიროებას მხედველობაში არ მიიღებს და გამწვავებულ ბატონ-ყმურ ურთიერთობას რამდენიმეთ მაინც არ შეამსუბუქებს**. სწორეთ ამით აიხსნება, რომ ამ ხანებში საქართველოს მმართველად მან მიხეილ ვორონცოვი (1844—54 წ. წ.) გამოგზავნა ლიბერალური პოლიტიკის გასატარებლად, რომელმაც საქართველოში მართლაც გაატარა ასეთი პოლიტიკა. მაშინ როდესაც იმავე დროს მთელ რუსეთში ნიკოლოზ „პალკინის" პოლიტიკა მძვინვარებდა და სამხედრო-აგრესიული რეჟიმი უკიდურესობამდე იყო მიყვანილი.

არ უნდა დაგვავიწყდეს აგრეთვე ორი კიდევ სხვა და სხვა გარემოება, რაც ამ დროს გავლენას ახდენდა ცენტრზე. ეს იყო ერთი ის, რომ თვით „ნიკოლოზ პალკინის" პოლიტიკა ეს რუსეთის საავჭრო-კაპიტალის პოლიტიკა იყო, მისი მიზანი იყო რუსეთის საქონლისათვის რაც შეიძლება მეტი და ფართე საგარეო ბაზარი მოეპოვებია.

მეორე ის, რომ ამავე ხანებში იწყება ომი „მთის" წინააღმდეგ, მალე „დალესტნის არწივის" შამილის წინააღმდეგაც ომი დაიწყო და ქართველ თავადაზნაურობას, რომელიც თავის შინაურ ფეოდალიზმის წუმპეში ილრჩობოდა საქმე გამოუჩნდა.

ეს საქმე კიდევ უფრო ხელსაყრელი იყო მთავრობისათვისაც.

ქართველი მეომარი ხალხის საშუალებით „ნიკოლოზ პალკინი" თავისი სამხედრო აგრესიულ მიზნებსაც აღწევდა, მთელ ურჩ კავკასიონს საშუდამოთ იმორჩილებდა.

ამ სახით მუშაობდა ორი პიროვანი, „ორლესული" პოლიტიკა რუსთ-მთავრობისა: ერთი მხრით რომ ვორონცოვის ლიბერალიზმით ქართველი ხალხის გულსა და ნდობას პოულობდა, მეორე მხრით ციციანოვების და ორბელიანეს კავკასიის მთავარმმართველებად და მთავარსარდლებად დანიშვნით მეორე მიზანს, კავკასიის ხალხთა დამორჩილებას, დაპყრობას აღწევდა.

რა შედეგი მოჰყვა ყველა ამ ეკონომიურსა და პოლიტიკურ მოვლენებს **ქართველი საზოგადოებისათვის**?

2. დაშოშმინების შემდეგ: „მხოლოდ სძინავს და იხევე გაილვიძებს"...

აკაკი.

ამას მოჰყვა ქართველ საზოგადოებისათვის სრულიად უჩვეულო და სრულიად ახალი მოვლენები.

ქ. ტფილისში, მაგალითად, წინათ თუ მთავარ სავაჭრო ადგილად „თათრის მოედანში“ იყო, ეხლა გაჩნდა „სალდათის ბაზარი“, სადაც სომეხ ჩარჩს „პოლოს კარაპეტიჩს“ გვერდში ამოუდგა ჩვენი „ისაკ ისაკიჩიც“. სოფლად კიდევ გაჩნდნენ „დურმიშხანები“.

ქ. ტფილისში ეხლა ახალი მოქალაქეებიც გაჩნდნენ: „იმერელი ქებაღე“ და „იმერელი ბიჭი“.[1]) **ასე რომ მეცხრამეტე საუკუნის 50 იან წლებში, ქართველი საზოგადოების შემადგენლობის ფენები, ჯგუფები და „ფორმაციები“ დიდათ შეცვლილი გამოიყურებოდენ.**

დავიწყოთ თავადაზნაურებიდან: მისი ზედა ფენების **ერთი** ნაწილი რუსეთის მთავრობის სამხედრო და სამოქალაქო სამსახურში წავიდა, **მეორე** ნაწილი სოფლად „მცონარეობას“ და „ნაცარქექიაობას“ შეუდგა, დაემყარა რა თავის „ყმა და მამულს“, **მესამე** კი არც „ყმასა და მამულს“ უშვებდა ხელს და სახელმწიფო სამსახურსაც ეტანებოდა. ყველა ეს ნაწილები იყვნენ „ძველი თაობის“, ძველი „ფორმაციის“ ხალხი, მაგრამ ამავე დროს უკვე წამოზრდილი იყო თავადაზნაურობის „ახალ-თაობაც“, რომელიც შექმნილი პირობების თანახმად ასე ნაწილდებოდა: **ერთი** ნაწილი, რომელსაც თვით მთავრობაც ხელს უწყობდა, რუსულ შკოლურ განათლებას, სწავლა-ცოდნას ეწაფებოდა, **მეორე** ნაწილმა კი, რომელიც ვერ შეეგუა სკოლურ პირობებს, „მამებთან“ ერთად ხელი მიჰყო სოფლად მამულების ფლანგვას და ქეიფს, დროს ტარებას და „დარდების“, წოდებრივი სასოწარკვეთილების „ღვინოში ჩაკვლას“ (ამ ნიადაგზე აღმოცენდა მაშინ „ლოთი-ფოთური“ ქართული პოეზია.)

დარჩა **მესამე** ნაწილი და ის ერთი ხელით რომ „ყმა-მამულის“ ვითომ ვაჭრულ-კაპიტალისტური „ახალი წესით“ პატრონობას ცდილობდა, მეორე ხელში მასაც ღვინით სავსე ყანწი ეჭირა და „მრავალ ჟამიერს“ ჰმღეროდა.

ახალმა პირობებმა და ფაქტორებმა ღრმა ცვლილება შეიტანა თავად-აზნაურობის ქვედა ფენებშიაც, აქაც გაჩნდა ერთი ჯგუფი, რომელიც გარეთ „სამსახურს“ ეძებდა, შინ კი, რაც კი გაუვიდოდა „ყმასა და მამულს“ პატრონობდა.

რა მოუვიდა გლეხკაცობას სოფლად და ამქრობას დაბა-ქალაქში? ესენი საერთოდ თანდათან ებმებოდენ საქონლის წარმოებაში და ცდილობდენ ყველაფერი შინ სამყოფზე მეტი დაემზადებინათ და საქონელი გარეთ ბაზარზე გასასყიდათ გაეტანათ. ამ მშრომელთა ფენებიდან ერთი მხრით რომ სამუშაოს მძებელნი გამოდიოდენ, მეორე მხრით ისეთებიც ჩნდებოდენ, რომელთაც თავის ხელობად მარტო აღებმიცემობა და ვაჭრობა გაეხადათ.

მაგრამ როცა ბატონყმური ურთიერთობა განსაკუთრებით ბოლო ხანებში გამწვავდა და ამით მშრომელი მასსები უკიდურეს მდგომარეობაში ჩავარდენ, რაც ამ მასებიდან გამოსულ ზემოთალნიშნულ ელემენტებს მათს მისწრაფებაში წინ ეღობებოდა, მაშინ ზოგი, უფრო გაბედული ამ ელემენტთაგანი მშვიდობიან შრომას თავს ანებებდა: ზოგი შეურიგებელი ელემენტი ამბოხების სულს

[1]) ნხ. ამის შესახებ 1872 წ. ჟურნ. „მნათობში“ გიორგი წყალტუბელის წერილი — „იმერლები თბილისში“.

სიკვდილამდე ატარებდა, მშვიდობიან ცხოვრებას სულ ტოვებდა და არსებულ წესწყობილებას და პარაზიტ-მჩაგვრელ ძალების წინააღმდეგ ბრძოლას მუდმივ მიზნათ ისახავდა, **ერთი სიტყვით ეხლა „ოხმანაღები“ ბლომათ იყვნენ და „არსენა ოძელაშვილობას“ ბევრი ჩემობდა.**

ახალმა პირობებმა ისეთ ოპსკურანტულ, უფრო ძნელად დასაშლელს, ისეთს ძველ იდეოლოგიურ ფენასაც კი შეუცვალა სახე, როგორც სამღვდელოება. ეს ძველი „ფორმაციის“ ინტელიგენცია ერთი მხრით სამღვდელოების მაღალი ფენის სახით წმინდა რუსიფიკატორული როლის შემსრულებელი და რუსული მთავრობის აპოლოგეტი შეიქნა, ხოლო მეორე მხრით მდაბალი, ღარიბი სამღვდელოების სახით, რომელიც თავად-აზნაურობასთან ბატონყმურ დამოკიდებულებაში იყო და რუსეთიდან მოსული ხშებით — სამღვდელოება იქ, რუსეთში ბატონყმური დამოკიდებულებისაგან გაანთავისუფლესო — ამბოხების გუნებაზე დგებოდა და თავის ბატონებს გაურბოდა.

ამ რიგად „სამოციან წლების“ წინ ძველი **ქართველი საზოგადოება** თითქმის სულ დაშლილი იყო; მის წიაღში ძველი „ფორმაციის“ ხალხი ილუპებოდა, სამუდამოთ ჰქრებოდა, ხოლო ახალი „ფორმაციისა“ კი თანდათან გარკვეულ სახეს ღებულობდა, მრავლდებოდა და იზრდებოდა. ამ ისტორიულ სინამდვილის უტყუარი გამომხატველი და დამ დასტურებელია ის სტატისტიკური ცნობები, რომლებიც აღნიშნულია ამხ. **ფილიპე მახარაძის** ზეპოთ დასახელებულ ნარკვევში. აქ ჩვენ ვკითხულობთ შემდეგს:

„1806 წლის აღწერით ქ. ტფილისში ცხოვრობდა სულ 5.126 სული... ექვსი წლის შემდეგ, ე. ი. 1811 წელს ტფილისის მოსახლეობის რიცხვი ავიდა უკვე 8.237-მდე. უნდა ვთქვათ, ამბობს ავტორი, რომ ქართველების რიცხვი ამ დროს ქ. ტფილისში სრულიად უმნიშვნელო იყო. დიდ უმრავლესობას სომხობა შეადგენდა; იყვნენ აგრეთვე თათრები და სპარსელებიც ეგრეთწოდებული მოქალაქეთა რიცხვი ადიოდა 1.000-მდე, დანარჩენი მცხოვრებლები სხვა და სხვა კატეგორიის გლეხები იყვნენ. ტფილისის გარდა აღმოს. საქართველოში (ქართლ-კახეთში), ქალაქებათ ითვლებოდენ: გორი, თელავი, სიღნაღი და ანანური. ამათში:

გორში	1.200 სული.
სიღნაღში	1.300 „
თელავში	1.100 „

რაც შეეხება ამ ქალაქების ბედს შემდეგ წლებში, მოგვყავს შემდეგი ცხრილი:

	მ ო ხ ა ხ ლ ე ო ბ ა	
	1835 წელს:	1865 წელს:
ტფილისის	25.290 სული	67.770 სული.
გორის	3.000 „	5.054 „
თელავის	2.680 „	7.240 „
სიღნაღის	3.500 „	9.687 „

ტფილისში ქართველთა რიცხვი იზრდებოდა შემდეგნაირად: 1835 წელს ქართველები იყვენ 4.217 სული, 1865 წელს კი—14.878 სული, (ნახ. ჟურნ. „მნათობის“ 1925 წ. № 2-22 გვ. 175,176).

როგორც ხედავთ ქართველთა რიცხვი 30 წლის განმავლობაში ქალაქებში თითქმის სამჯერ მეტად გამრავლებულა. შემდეგ იმავე ნარკვევიდან ჩვენ ვგებულობთ, თუ როგორ იმატა იმ ხანებში სხვადასხვა საქონლის შემოტანამ და გატანამ (იმპორტ-ექსპორტმა).

„მაგალითად თუ 1832 წელს ევროპიდან საქონლის შემოტანა უდრიდა დაახლოვებით 5—6%-ს; 1846 წელს იგი უკვე 12% უდრის.

ამგვარად, დაასკვნის ავტორი, უკვე მეცხრამეტე საუკუნის პირველ ნახევარში აღებმიცემობამ საერთოდ ამიერ-კავკასიაში და ე მ თ ა ვ რ ე ს ა დ კ ი ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო შ ი, (ხაზგასმა ჩემია, რ. კ.) საკმარისად დიდი ნაბიჯი გადადგა წინ მეტი წილი საქონელი შემოდიოდა უცხოეთიდან, მაგრამ რუსეთიდანაც დიდძალი საქონელი მოჰქონდათ. მთავარი ცენტრი, სადაც თავს იყრიდა, როგორც უცხოეთიდან, ისე რუსეთიდან შემოტანილი ს ა ქ ო ნ ე ლ ი ტ ფ ი ლ ი ს ი.

ბიბლიოთეკა

იმპორტიან ერთად, განაგრძობს ავტორი, საჭიროა მოვიყვანოთ აქვე ცნობები ექსპორტის შესახებაც..

ექსპორტში საკმაოდ დიდი ადგილი ეჭირა რუსეთიდან შემოტანილ საქონელს, ისე როგორ ჩვენთან მოყვანილი ცნობები შეიცავს, როგორც რუსეთიდან შემოტანილს, ისე ადგილობრივად დამზადებულ საქონელს.

28 წლის განმავლობაში (1832—1850 წ. წ.) სულ ამიერკავკასიიდან გაუტანიათ 15.095,860 მან. საქონელი, რაც შეადგენს იმპორტის ერთს მეოთხედს".

საქართველოდან გაჰქონდათ: 1. აბრეშუმის ძაფი, 2. პერი (ალბათ ყველანაირი ხალიჩა-ლეგეული: აქ სიმინდიც იგულისხმება) 3. დაუმუშავებელი ტყავი, 4. ბამბა, 5. პირუტყვი, 6. აბრეშუმის ქსოვილები და შალეულობა, 7. ხე-ტყე, 8. თაფლის სანთელი, 9. მატყლი და 10. თამბაქო.

ამ სტატისტიკებზე ცოტა უფრო ზევით ავტორი სწერს:

„ფულის საჭიროების ზრდამ გამოიწვია იმავე დროს მევაჭრეობის განვითარება, ზრდა სამეურნეო კაპიტალისა". (იხ. 1926 წ. ჟურ. „მნათობის" № 3—(23) გვ. 190, 191, 192, 193).

ერთი სიტყვით ზემოთმოყვანილი სტატისტიკური ციფრებით აშკარა ხდება ის, რომ საქართველოში შექმნილმა ახალმა პირობებმა მეცხრამეტე საუკუნის პირველ ნახევარში ძალიან ჩქარი ტემპით გაამრავლა ქართველი ხალხი, რაც ქართველი საზოგადოების საწარმოო ცოცხალი ძალის ზრდას ნიშნავდა.

ამავე ცნობებიდან სჩანს, თუ როგორ თანდათან იზრდებოდა საქონლის წარმოება და ამ საქონლის საზღვარ-გარეთ გატანა, როგორ ჩნდებოდა და იზრდებოდა ვაჭარი, აღებ-მიცემის კლასი.

პოლოს ისიც სჩანს, თუ როგორ ჩაისახა საკრედიტო კაპიტალი.

მეორე ავტორის, ამხ. სვ. ხუნდაძის ნარკვევიდან—„ქართველი ინტელიგენციის პროფილი" კიდევ ისიც აშკარათ სჩანს, თუ მეცხრამეტე საუკუნის შუა წლებში შექმნილმა ახალმა პირობებმა როგორ დაბადა ქართველ თავადაზნაურების ერთ ნაწილში მაინც სავაჭრო მიზნით სასოფლო მეურნეობის გაძლოლა-გაუმჯობესების მისწრაფება. აქ ჩვენ ვხედავთ ისეთსავე პროცესს მრეწველობის აღორძინებისას, როგორც ეს ჯერ ისევ მეთვრამეტე საუკუნეში რუსეთის ცენტრალურ გუბერნიებში ხდებოდა, სადაც მებატონეები თავიანთ „მამულებში" საბრეწველო და სავაჭრო მიზნით მთელ „ეკონომიებს" აწყობდენ.

ზემოთ დასახელებულ ნარკვევში ჩვენ შემდეგ ცნობებს ვღებულობთ:

„მეურნეობის ამ დარგს (ნეთამბაქოებზე აქაა ლაპარაკი. რ. კ.) 40-იან და 50-იან წლებში დიდი ყურადღება მიაქცია ვორონცოვმა... გარდა ამისა ადგილობრივი ხელისუფლება ცდილობდა რუსეთში ჩვენებური თუთუნის გავრცელების საქმის მოგვარებას.

ამ სამეურნეო პოლიტიკამ ჩვენში თავისი ნაყოფი გამოიღო. ვორონცოვის მოხსენების გადმოცემით საქართველოში აღმოჩნდა „მრავალი მეურნე" (ე. ი. მებატონე), რომელთაც მოისურვეს თამბაქოს მოყვანის საქმის გაუმჯობესება 40-იან წლების დასასრულში".

ბალე, კაპიტალისტურმა ეკონომიკამ ქალაქში მრეწველობის სახითაც იჩინა თავი.

ᲐᲘ ᲐᲛᲘᲡ ᲓᲐᲛᲐᲛᲢᲙᲘᲪᲔᲑᲔᲚᲘ ᲤᲐᲥᲢᲘ:

„ᲢᲤᲘᲚᲘᲡᲨᲘ ᲗᲐᲛᲑᲐᲥᲝᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲤᲐᲑᲠᲘᲙᲐ ᲒᲐᲘᲮᲡᲜᲐ 1852 Წ. ᲛᲔᲝᲠᲔ—1858 Წ. ᲛᲔᲡᲐᲛᲔ —1868 Წ. (ᲓᲐᲜᲐᲠᲩᲔᲜᲘ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ ᲬᲚᲔᲑᲨᲘᲐ ᲒᲐᲮᲡᲜᲘᲚᲘ. Რ. Ჯ.).

ᲐᲛᲜᲐᲘᲠᲐᲓ **ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲛᲐ ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝᲔᲑᲐᲛ** ᲖᲔᲛᲝᲐᲦᲜᲘᲨᲜᲣᲚ ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲣᲚ-ᲝᲑᲘᲔᲥᲢᲣᲠᲘ ᲞᲘᲠᲝᲑᲔᲑᲘᲡ—ᲠᲣᲡᲣᲚᲘ ᲗᲕᲘᲗᲛᲞᲧᲠᲝᲑᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲓᲐ ᲛᲘᲡᲘ ᲔᲙᲝᲜᲝᲛᲘᲣᲠᲘ-ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲣᲠᲘ ᲒᲐᲕᲚᲔᲜᲘᲗ ᲛᲔ-19 ᲡᲐᲣᲙᲣᲜᲘᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲜᲐᲮᲔᲕᲠᲘᲡ ᲒᲐᲜᲛᲐᲕᲚᲝᲑᲐᲨᲘ ᲡᲘᲙᲕᲓᲘᲚᲡ ᲗᲐᲕᲘ ᲓᲐᲐᲮᲬᲘᲐ, ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲘᲜᲓᲘᲕᲘᲓᲣᲐᲚᲝᲑᲐ ᲨᲔᲘᲜᲐᲠᲩᲣᲜᲐ ᲓᲐ ᲔᲙᲝᲜᲝᲛᲘᲣᲠᲘ ᲒᲐᲜᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲘᲡ ᲒᲖᲐᲖᲔ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲡᲐᲤᲔᲮᲣᲠᲘ ᲣᲙᲕᲔ ᲐᲘᲐᲠᲐ.

ᲔᲡ ᲘᲧᲝ ᲑᲐᲢᲝᲜᲧᲛᲣᲠᲘ ᲣᲠᲗᲘᲔᲠᲗᲝᲑᲘᲡ ᲠᲦᲕᲔᲕᲘᲡ ᲓᲐᲡᲐᲬᲧᲘᲡᲘ, ᲡᲐᲥᲝᲜᲚᲘᲡ ᲬᲐᲠᲛᲝᲔᲑᲘᲡ ᲩᲐᲡᲐᲮᲕᲐ, ᲡᲐᲩᲐᲠᲩᲝ-ᲡᲐᲕᲐᲮᲨᲝ ᲙᲐᲞᲘᲢᲐᲚᲘᲡ ᲒᲐᲩᲔᲜᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲕᲐᲭᲠᲝ ᲙᲐᲞᲘᲢᲐᲚᲘᲡ ᲐᲦᲠᲫᲘᲜᲔᲑᲐ. ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲜᲐᲢᲣᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲬᲐᲠᲛᲝᲔᲑᲐ ᲯᲔᲠ ᲙᲘᲓᲔᲕ ᲫᲐᲚᲐᲨᲘ ᲘᲧᲝ ᲓᲐ ᲙᲐᲠᲩᲐᲙᲔᲢᲘᲚᲝᲑᲘᲡ ᲙᲔᲓᲚᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲛᲘᲡᲘ ᲒᲐᲛᲝᲛᲮᲐᲢᲕᲔᲚᲘ ᲘᲓᲔᲝᲚᲝᲒᲘᲐ ᲯᲔᲠ ᲘᲡᲔᲕ ᲛᲐᲒᲐᲠᲘ ᲓᲐ ᲒᲐᲣᲠᲦᲕᲔᲕᲔᲚᲘ ᲩᲐᲜᲓᲐ. ᲘᲬᲧᲔᲑᲝᲓᲐ ᲒᲐᲠᲓᲐᲛᲐᲕᲐᲚᲘ ᲮᲐᲜᲐ—ᲤᲔᲝᲓᲐᲚᲘᲖᲛᲘᲓᲐᲜ ᲙᲐᲞᲘᲢᲐᲚᲘᲖᲛᲨᲘ ᲒᲐᲓᲐᲡᲕᲚᲐ—ᲓᲐ ᲐᲛ ᲔᲠᲗᲒᲕᲐᲠᲐᲗ ᲠᲔᲕᲝᲚᲘᲪᲘᲣᲠ ᲞᲠᲝᲪᲔᲡᲨᲘ. ᲮᲔᲚᲛᲫᲦᲕᲐᲜᲔᲚᲘ ᲠᲝᲚᲘ ᲠᲣᲡᲣᲚ ᲗᲕᲘᲗᲛᲞᲧᲠᲝᲑᲔᲚᲣᲠ ᲑᲘᲣᲠᲝᲙᲠᲐᲢᲘᲘᲡ ᲒᲕᲔᲠᲓᲘᲗ ᲐᲓᲒᲘᲚᲝᲑᲠᲘᲕᲘ, ᲨᲘᲜᲐᲣᲠ—ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚ ᲫᲐᲚᲔᲑᲘᲡ ᲘᲓᲔᲝᲚᲝᲒᲘᲣᲠ ᲝᲠ�გᲐᲜᲘᲖᲐᲪᲘᲘᲡ ᲣᲜᲓᲐ ᲔᲙᲘᲡᲠᲜᲐ.

ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲘ ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝᲔᲑᲘᲡ ᲠᲝᲛᲔᲚᲘ ᲜᲐᲬᲘᲚᲘ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘ ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝᲔᲑᲠᲘᲕᲘ ᲯᲒᲣᲤᲘ ᲐᲡᲠᲣᲚᲔᲑᲓᲐ ᲐᲦᲜᲘᲨᲜᲣᲚ ᲮᲐᲜᲐᲨᲘ, ᲒᲐᲠᲓᲐᲛᲐᲕᲐᲚᲘ ᲮᲐᲜᲘᲡ ᲓᲐᲡᲐᲬᲧᲘᲡᲨᲘ, ᲛᲔᲪᲮᲠᲐᲛᲔᲢᲔ ᲡᲐᲣᲙᲣᲜᲘᲡ ᲨᲣᲐ ᲬᲚᲔᲑᲨᲘ (1850—60 Წ. Წ.) ᲛᲗᲔᲚᲘ ᲛᲐᲛᲝᲫᲠᲐᲕᲔᲑᲔᲚᲘ ᲫᲐᲚᲘᲡ ᲠᲝᲚᲡ ᲓᲐ ᲠᲐᲨᲘ ᲛᲓᲒᲝᲛᲐᲠᲔᲝᲑᲓᲐ ᲐᲛ ᲡᲐᲔᲠᲗᲝ ᲛᲗᲚᲘᲐᲜᲘ ᲛᲘᲛᲓᲘᲜᲐᲠᲔᲝᲑᲘᲡ ᲘᲓᲔᲝᲚᲝᲒᲘᲐ ᲓᲐ ᲕᲘᲜ ᲘᲧᲕᲜᲔᲜ ᲐᲛ ᲘᲓᲔᲝᲚᲝᲒᲘᲘᲡ ᲨᲔᲛᲛᲥᲛᲔᲜᲓᲘ ᲞᲘᲠᲐᲓᲐᲗ ᲐᲛ ᲯᲔᲠ ᲙᲘᲓᲔᲕ ᲙᲚᲐᲡᲔᲑᲐᲓ ᲩᲐᲛᲝᲣᲧᲐᲚᲘᲑᲔᲑᲔᲚ ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝᲔᲑᲐᲨᲘ?

ᲪᲮᲐᲓᲘᲐ, ᲧᲕᲔᲚᲐ ᲘᲛ ᲞᲠᲝᲪᲔᲡᲔᲑᲘᲡ, ᲮᲐᲜᲘᲡ ᲐᲛᲝᲪᲐᲜᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲛᲮᲐᲢᲕᲔᲚᲐᲓ, ᲠᲝᲛᲚᲔᲑᲘᲪ ᲖᲔᲛᲝᲗ ᲐᲦᲜᲘᲨᲜᲔ ᲫᲕᲔᲚᲘ „ᲤᲝᲠᲛᲐᲪᲘᲘᲡ“ ᲘᲜᲢᲔᲚᲔᲒᲔᲜᲪᲘᲐ ᲔᲡ. ᲘᲐ. ᲡᲐᲛᲚᲕᲓᲔᲚᲝᲔᲑᲐ ᲔᲮᲚᲐ ᲐᲦᲐᲠ ᲒᲐᲛᲝᲓᲒᲔᲑᲝᲓᲐ, ᲕᲘᲜᲐᲘᲓᲐᲜ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲣᲠᲗᲘᲔᲠᲗᲝᲑᲐ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲙᲘᲗᲮᲕᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲡᲐᲠᲙᲕᲔᲕᲐᲓ ᲐᲮᲐᲚ ᲛᲔᲗᲝᲓᲔᲑᲡ ᲛᲝᲘᲗᲮᲝᲕᲓᲐ.

ᲡᲐᲛᲚᲕᲓᲔᲚᲝᲔᲑᲐ ᲙᲘ, ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲠᲔᲚᲘᲒᲘᲘᲡ ᲬᲐᲠᲛᲝᲛᲐᲓᲒᲔᲜᲔᲚᲘ ᲐᲕᲢᲝᲠᲘᲢᲐᲚᲣᲠᲘ ᲐᲖᲠᲝᲕᲜᲔᲑᲘᲗ ᲒᲐᲭᲚᲔᲜᲗᲘᲚᲘ, ᲪᲮᲐᲓᲘᲐ, ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲣᲚ, ᲞᲝᲖᲘᲢᲘᲣᲠ ᲐᲖᲠᲝᲕᲜᲔᲑᲘᲡ ᲛᲔᲗᲝᲓᲔᲑᲡ ᲕᲔᲠᲪ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲐᲕᲓᲐ.

ᲐᲮᲐᲚᲘ ᲘᲜᲢᲔᲚᲘᲒᲔᲜᲪᲘᲘᲡ ᲬᲔᲡᲐᲓᲒᲔᲜᲐᲗ ᲛᲐᲡᲐᲚᲐ ᲣᲙᲕᲔ ᲛᲖᲐᲗ ᲘᲧᲝ: ᲔᲡ ᲘᲧᲝ ᲠᲣᲡᲔᲗᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲔᲑᲨᲘ ᲡᲬᲐᲕᲚᲐ-ᲪᲮᲝᲓᲜᲘᲡ ᲛᲘᲡᲐᲦᲔᲑᲐᲗ ᲒᲐᲡᲣᲚᲘ „ᲐᲮᲐᲚᲘ ᲗᲐᲝᲑᲐ“. ᲐᲮᲐᲚᲒᲐᲖᲠᲓᲝᲑᲐ.

ᲔᲡ ᲐᲮᲐᲚᲒᲐᲖᲠᲓᲝᲑᲐ ᲗᲣᲛᲪᲐ ᲣᲛᲔᲢᲔᲡᲐᲗ ᲛᲐᲦᲐᲚ ᲗᲐᲕᲐᲓᲐᲖᲜᲐᲣᲠᲔᲑᲘᲓᲐᲜ ᲘᲧᲝ ᲒᲐᲛᲝᲡᲣᲚᲘ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝᲔᲑᲐᲨᲘ ᲐᲮᲐᲚᲤᲔᲜᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲩᲔᲜᲐᲛ, ᲐᲮᲐᲚᲘ ᲓᲔᲛᲝᲙᲠᲐᲢᲘᲣᲚᲘ ᲬᲠᲔᲔᲑᲘᲡ ᲔᲙᲝᲜᲝᲛᲘᲣᲠᲐᲗ ᲛᲝᲚᲝᲜᲘᲔᲠᲔᲑᲐᲛ ᲗᲐᲜ ᲓᲐ ᲗᲐᲜ ᲐᲛ ᲣᲙᲐᲜᲐᲡᲙᲜᲔᲚ ᲬᲠᲔᲔᲑᲘᲓᲐᲜᲐᲪ ᲒᲐᲛᲝᲡᲣᲚᲘ ᲘᲜᲢᲔᲚᲘᲒᲔᲜᲪᲘᲐᲪ ᲓᲐᲑᲐᲓᲐ. ᲗᲣᲛᲪᲐ ᲔᲡ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲘᲜᲢᲔᲚᲘᲒᲔᲜᲪᲘᲐ, ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝᲔᲑᲘᲡ ᲐᲮᲐᲚᲘ „ᲤᲝᲠᲛᲐᲪᲘᲘᲡ“ ᲬᲐᲠᲛᲝᲛᲐᲓᲒᲔᲜᲔᲚᲘ ᲫᲕᲔᲚᲘ „ᲤᲝᲠᲛᲐᲪᲘᲘᲡ“ ᲬᲐᲠᲛᲝᲛᲐᲓᲒᲔᲜᲔᲚᲡ, ᲡᲐᲛᲚᲕᲓᲔᲚᲝᲔᲑᲐᲡ ᲓᲐᲣᲞᲘᲠᲓᲐᲞᲘᲠᲓᲐ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲛᲐᲚᲔ ᲐᲛ ᲡᲐᲛᲚᲕᲓᲔᲚᲝᲔᲑᲘᲓᲐᲜᲐᲪ, ᲒᲐᲜᲡᲐᲙᲣᲗᲠᲔᲑᲘᲗ ᲛᲘᲡᲘ ᲥᲕᲔᲓᲐ ᲤᲔᲜᲔᲑᲘᲓᲐᲜᲐᲪ ᲒᲐᲛᲝᲩᲜᲓᲜᲔᲜ ᲬᲐᲠᲛᲝᲛᲐᲓᲒᲔᲜᲚᲔᲑᲘ.

ᲐᲛ ᲡᲐᲮᲘᲗ ᲨᲔᲛᲓᲒᲐᲠᲘ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲘᲜᲢᲔᲚᲘᲒᲔᲜᲪᲘᲐ, ᲬᲐᲠᲛᲝᲨᲝᲑᲘᲗ, ᲪᲮᲐᲓᲘᲐ, ᲐᲠ ᲘᲧᲝ ᲔᲠᲗᲘ ᲑᲣᲜᲔᲑᲘᲡ, ᲔᲠᲗᲜᲐᲘᲠᲘ, ᲐᲠᲐᲛᲔᲓ ᲘᲡ ᲗᲐᲕᲘᲓᲐᲜᲕᲔ ᲭᲠᲔᲚᲘ ᲘᲧᲝ: ᲐᲥ ᲘᲧᲕᲜᲔᲜ ᲛᲐ-

ლალ თავად-აზნაურობის წრიდან გამოსულები, იყვნენ აზნაურებიდანაც და ბოლოს „დიაკვნის შვილებიც“ გამოჩნდნენ.

მხოლოდ ამ დროს „მშრომელი ხალხის“ წრიდან გამოსული ინტელიგენციები ჯერ კიდევ არ სჩანდნენ.

მაგრამ ეს კიდევ იმას არ ნიშნავდა, რომ ზემოხსენებულ პირველ ინტელიგენციიდან არ გამოჩენილიყო „მშრომელი ხალხის“ ინტერესების დამცველი და მისი იდეოლოგი.

ეს უფრო იმაზე იყო დამოკიდებული, თუ მიმდინარე ცხოვრება რა კითხვებს წამოაყენებდა და შექმნილი პირობები რა საშუალებას, და ძალას იძლეოდა მათ გადასაჭრელათ.

რაში მდგომარეობდა ის მთავარი, ძირითადი საკითხი ქართველი საზოგადოებისათვის, რომელიც მიმდინარე ცხოვრებამ წამოაყენა?

მთავარი და ძირითადი საკითხი ყოველი საზოგადოებისათვის იმაში მდგომარეობს, თუ **როგორ** და **რით**, რა გზით და რა საშუალებით შეიძლება განვითარების არსებულ საფეხურიდან უფრო მაღალ საფეხურზე აღნიშნული საზოგადოების აყვანა.

საზოგადოებრივი განვითარების რა საფეხურზე იდგა აღნიშნულ ხანაში **ქართველი საზოგადოება** და საით, რომელი ან რა გვარი საფეხურისაკენ იყო მიმართული განვითარების ტენდენცია?

როგორც ზევით დავინახეთ, მან დატოვა ფეოდალურ-პატრიარქალური საფეხური და ის იყო ფეხი შედგა საქონლის წარმოების და „კაპიტალის პირველ დაგროვების“ საფეხურზე ე. ი. კაპიტალიზმის პირველ საფეხურზე, რომელზედაც მისი წინამძღოლი და მასწავლებელი რუსული საზოგადოება თავისი თვითმპყრობელი მეფეების მეთაურობით ჯერ ისევ მეთვრამეტე საუკუნის მეორე ნახევარში იყო შემდგარი.

მაგრამ არ უნდა დავივიწყოთ ის გარემოება, რომ რუსეთი ერთი მხრით ევროპასთან დაახლოებით მის მილიტარისტულ ფერხულშიაც იყო ჩაბმული, რაც მას აიძულებდა დაგროვილი კაპიტალი წარმოებაში დაბანდების ნაცვლად სამხედრო ძალების გამრავლებაზე და გაწვრთნაზე დაეხარჯა, ხოლო მეორე მხრით რუსეთის თვითმპყრობელური მთავრობა, როგორც ფეოდალიზმის გვირგვინი, იძულებული იყო არსებული, ბატონყმური ურთიერთობა სახელმწიფოში მტკიცეთ დაეცვა; და ეს კი რუსეთის საწარმოვო ძალების განვითარებას ბორკავდა, ვაჭრობა-მრეწველობას გასაქანს არ აძლევდა, ამნაირათ სახელმწიფოს ყოველმხრივ აუძლურებდა.

ყოველივე ეს ყველას აშკარათ დაანახვა რუსეთის დამარცხებამ ყირიმის ომში (1853 წელს), როცა მილიონებად ღირებული რუსეთის ფლოტი ინგლისის ნალმოსნებმა ერთ ღამეს სულ ერთიანათ ზღვის უფსკრულისაკენ გააქანეს, ჩაძირეს.

ამ „საბედისწერო“ ამბავს გადაჰყვა ზემოთალნიშნული ორმაგი პოლიტიკის გვირგვინოსანი წარმომადგენელი, ნიკოლოზ „ბალკინიც“. მან თავი მოიწამლა და ამით ანდერძათ დაუგდო თავის მემკვიდრეს: თუ ისიც არ ეცდება

საწარმოვო ძალების განვითარებას და ბარჟონყმობის გაუქმების საკითხის გადაჭრას, ისე კრიტიკულ მდგომარეობიდან და დამცირებისაგან რუსეთს ვერ გამოიყვანს (იხ. М. Покровский — „Русская История" часть I и II. XIX в. 2-е изд. Гиза 1922 г. стр. 85 и 86).

აი როგორი იყო მდგომარეობა რუსეთში, როცა **ქართველ საზოგადოებასაც** ობიექტური პირობების ძალით შემდეგი ძირითადი საკითხი ჰქონდა წინ წამოჭრილი:

დაეგმო მას თავისი წარსული და ერთიანათ შეერთებოდა რუსულ თვითმპყრობელობას, დამდგარიყო მისი პოლიტიკის გზაზე და ამით თავის ეროვნულ თავისებურებაზე, დამოუკიდებელ განვითარებაზე ხელი აელო, თუ ეცნო თავისი წარსულის ავი და კარგი და ახალცხოვრების გზაზე ისევ ეროვნულ დამოუკიდებელი გზით ევლო?

ეს იყო მეტათ ფართეთ დაყენებული საკითხი. მას **ქართველი საზოგადოების** ზემოთაღნიშნული ძველი და ახალი ფენები, ზოგი შეგნებულათ და ზოგიც ინსტიქტიურათ თავისებურათ უპასუხებდენ პრაქტიკაში. **მაგრამ საჭირო იყო ამის შესაფერი იდეოლოგიის შემუშავება.**

იმდენათ ძლიერი იყო ეს ახალი მოთხოვნილება იმ დროინდელ ქართველ საზოგადოებაში, რომ ამ როლში, იდეოლოგების როლში გენერლებიც (გრიგოლ ორბელიანი და სხვები) ბერები და ეპისკოპოსებიც (30-იან წლებში ბერი ფილადელფოს კიკნაძე და შემდეგ ეპისკოპოსი გაბრიელი) კი გამოდიოდენ.

და როგორ გგონიათ, რამდენი იდეოლოგიური მიმდინარეობა შეჰქმნა ამ საკითხმა იმ დროინდელ ინტელიგენციაში და არაინტელიგენციაში?!

სწორედ იმდენივე, რამდენ-ნაირ ძველ და ახალ ფენებათ დაიყო ქართველი საზოგადოება ზემო აღნიშნულ ეკონომიურსა და სოციალურ ცვალებადობის პროცესში.

ეს საკითხი არ იყო, ცხადია, ახალი საკითხი: ის მეჩვიდმეტე საუკუნის შემდეგ („დიდი მოურავის" დრო) ტფილისში „რუსის ჯარის" შემოსვლის დროიდან იქმნა წამოყენებული და მის გადაჭრას ქართველი საზოგადოება, როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, სახალხო აჯანყების გზით შეეცადა, მაგრამ ეს ცდა, როგორც ვიცით, სრული დამარცხებით გათავდა. ეს იმას ნიშნავდა, რომ ქართველი საზოგადოების ეროვნულობა სახელმწიფოებრივი მხრით საბოლოთ შეიკვეცა და მას კაპიტალისტურ პირობებში მაინც ვერავითარი ძალა ვერ აღადგენდა.

აქ საჭიროთ მიმაჩნია: ამ საკითხს მოკლე ისტორიული მიმოხილვა გაუკეთდეს, წინააღმდეგ შემთხვევაში გაუგებარი და აუხსნელი რჩება ის მოვლენა, რომ მთელი მე-19 საუკუნის ქართული ლიტერატურის ლეიტმოტივი, უმთავრესად, ეროვნული იდეაა.

ამ მოვლენის ასახსნელად არ კმარა ჩვენში ებლა გავრცელებული ის აზრი, რომ ქართველმა ფეოდალურმა არისტოკრატიამ, გაბატონებულმა წოდებამ დაკარგა პოლიტიკური, სახელმწიფოებრივი უფლება და ამიტომ გახდა მთელი ქართველი საზოგადოება „პატრიოტი".

არა, ეს დიდი გაუგებრობაა: საზოგადოების დაჩაგრული ნაწილი **ვერ გახდება მთლიანად თავგამოდებული მებრძოლი** გაბატონებული ნაწილის ინტერესებისათვის.

ასე რომ იყვეს, მაშინ არც რომი დაილუპებოდა შესეულ „ბარბაროსებისაგან" ძველ დროში და ვერც პროლეტარული რევოლიუციის მოხდებოდა ყოფილ რუსეთის იმპერიაში, ამიტომ არ შეიძლება ითქვას: მეფის და „ბატონიშვილების" უფლების დაკარგვამ ააღებინა იარაღი ხელში ქართველ ხალხს.

აქ საჭიროა უფრო ღრმა სოციალური ანალიზი, რო ამ მოვლენის ნამდვილი ძირითადი მიზეზი აღმოჩენილ იქნას. სამწუხაროდ აქ ამას ვერ შეუდგებით, ამიტომ ამ ხანათ იძულებული ვართ ამ საკითხის ნოკლე „ისტორიის" გათვალისწინებით დავკმაყოფილდეთ.

მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისში რუსული თვითმპყრობელობის შეიარაღებული ძალების და ჩინოვნიკური ბიუროკრატიის საქართველოში შემოსვლა და შემდეგ მისმიერ სტიქიურ ამბოხებათა სისხლში ჩახრჩობა იმდენად უკბო, საშინელი და თავზარდამცემი იყო ქართველი საზოგადოებისათვის, ქართველი ხალხისათვის, რომ იგი ამ მოვლენებმა საზოგადოებრივად დაადამბლავა, მან ერთხანს, 1812 წლიდან (კახეთის აჯანყება) 1820 წლამდე (ქართული გაზეთების დაარსების დრომდე) ყოველგვარი მოძრაობის უნარი დაკარგა: ამ ხნის განმავლობაში არა სჩანს მისი არც იდეოლოგიური და არც სოციალურ-პოლიტიკური ხასიათის რაიმე მოძრაობა. ყოველივე ქართველთან ერთად (გარდა ქართველ-ინდივიდთა ფიზიკური არსებობისა) ეროვნული იდეაც თითქო ჩაკვდა.

პირველი ფენის ზემოთ აღნიშნულ კითხვისადმი დამოკიდებულება იყო სრულიათ უარყოფითი, ეს თავად-აზნაურული არისტოკრატიის მხრით, იმ არისტოკრატიის, რომელიც „ყელამდე იყო ავსილი" რუსთხელიმწიფის წყალობით, „სხვათა შორის ამის გამოც" ის უკვე გარუსების და გადაგვარების გზაზე იყო დამდგარი ესენი იყვნენ ბაგრატიონთა ზტოების შთამომავალნი: „გრუზინსკები" „მუხრანსკები" შემეგში „მინგრელსკები" და სხვები. ეს იყო გადაგვარებულთა და გადაბირებულთა მიმდინარეობა. (ამათ იდეოლოგი შემდეგში, სამოციან წლებში გამოუჩნდათ, ეს არის გიორგი მუხრანსკი, რომელმაც ამ თემაზე დასწერა კარგა მოზრდილი წიგნი (რუსულ ენაზე) სახელწოდებით: „О существе национальной индивидуальности и об образовательном значении крупных народных единиц", სადაც პატარა ერის დიდ ერთან ასიმილიაციის აუცილებლობის აზრია გატარებული და სადაც სხვათა შორის ის აზრიც არის, რომ საჭირო არაა პატარა ერების ენების განვითარება, არამედ ისინი დიდი ერის ენას უნდა შეუერთდენ და შეუსისხლხორცდენო).

ამ მიმდინარეობის წარმომადგენელნი ცხოვრებაში უკვალოდ ჩაკვდენ, რადგან მათ მიმდევარნი არ დარჩენიათ და თუ დარჩათ, ისინი რუსულ თვითმპყრობელურ არისტოკრატიაში გაითქვიფენ და ერთიანად გადაგვარდხენ. ეს იყო ქართველი საზოგადოების ისტორიაში პირველ „ეროვნულ ნიჰილისტთა" ჯგუფი.

ქართველი საზოგადოების მეორეს, უფრო დიდ რიცხოვან ფენას წარმოადგენდა თავადაზნაურობის ის ნაწილი, რომელიც რუსთ-ხელმწიფის სამხედრო და სამოქალაქო სამსახურს ეტანებოდა და თავის ხსნასა და „ბედნიერებასაც“ ამაში ხედავდა. მისი იდეალი იყო „სამსახურში“ დაწინაურება, „ჩინ-მენდლეობის“ დამსახურება, მისი პოლიტიკა იგივე თვითმპყრობელურ-ბიუროკრატიის პოლიტიკა იყო, ე. ი. რუსთ-ხელმწიფის ტახტის [illegible] სამფლობელოს რაც შეიძლება მეტი გაფართოება: გარეთ რუსეთის მტრების დათრგუნვა-დამორჩილება, ხოლო შინ თვითმპყრობელურ-ბიუროკრატიული რეჟიმის განმტკიცება.

ეს მიმდინარეობა ქართველ ხალხს იმდენათ ცნობდა, რამდენადაც ეს ხალხი რუსთ-ხელმწიფის და იმპერიის საერთო ინტერესებსაც გამოადგებოდა და მის წოდებრივ ინტერესებსაც. ხალხის წარსულიც და მომავალიც მას იმდენად აინტერესებდა, რამდენათაც იგი მასში ეძებოთ თავისთვის სასარგებლო რასმე ხედავდა. ის ქართულ პირობებთან და ხალხთან ნივთიერათ და ფიზიკურად იყო დაკავშირებული, ამიტომაც ის ეროვნულ საკითხთან ზემოდ აღნიშნული ნიჰილისტური, უარყოფითი დამოკიდებულებით ვერ დაკმაყოფილდებოდა.

ეს მიმდინარეობა იმავე წლებში ჩაისახა, როცა თვითონ რუსთ-მთავრობამ იფიქრა ეროვნულ ნიადაგზე თავის პოლიტიკის გადანერგვა, როცა პირველი ქართული გაზეთი მანვე დაარსა, ე. ი. ოციან წლებში. [1]) ამ მიმდინარეობამ თავის უმაღლეს წერტილს მაშინ მიაღწია, როცა „ქართველთა ხელახალი შეთქმულობით“ შეფიქრიანებულნა იმავე მთავრობამ, 1840-ან წლების დასაწყისში თვითონვე შესცვალა ეროვნული პოლიტიკა ქართველი საზოგადოების მიმართ.

აქედან აშკარაა თავის პოლიტიკისა და რეჟიმის საქართველოში განსამტკიცებლად რუსთ-მთავრობამ ქართული ლიტერატურული ორგანოს დაარსება აუცილებელ საჭიროებად სცნო ჯერ ისევ 20-იან წლებში.

მაგრამ ამ ცნობამ და ქართული გაზეთის დაარსებამ ბალე მთავრობისათვის არა სასურველი, საშიში, თუმცა ბუნებრივი ნაყოფი გამოიღო: მის მიერ აღიარებულმა და ცნობილმა ეროვნულობამ სხვა სახე მიიღო—ერთი მხრით ისტორიულ მსვლელობით დაგმობილ არისტოკრატიისა და „ბატონიშვილების“ სახელმწიფოებრივი ბატონობის აღდგენის ერთხელ კიდევ ცდა, ხოლო მეორე მხრივ ხალხის მასსის ინტერესების გამომხატველი.

როგორც შემდეგში აღმოჩნდა, ეს ეროვნული იდეა ქართველ საზოგადოებაში ერთი შეხედვით თითქო ჩაკლული, პეტერბურგში გადასახლებულ ქართველ ბატონიშვილთა და ბერ-მონაზონთა წრეში ისევ ცოცხლობდა.

---

[1]) ნხ. ამის შესახებ დავით კარიჭაშვილის ნარკვევი მთავარპოლიტ-სამართველოს მიერ 1925 წ. გამოც. ჟურნალში „წიგნის მეგობრის“ № 1-2 გვ. 94-6, სადაც ნათქვამია, რომ პირველი ქართული გაზეთი დაარსდა 1819 წ. მთავრობის ჩინოვნიკების ინიციატივით და სომხების ეპისკოპოსის, ვინმე ნერსესის ნივთიერი დახმარებით.

ამ სახით ეროვნული იდეის „მებაირახტრედ“ ისტორიულმა გარემოებამ ქართველი საზოგადოების რეაქციონერი—ბატონიშვილნი და კლერიკალთა—ჯგუფები წამოაყენა.

და აი გამოჩნდა პიროვნება, რომელმაც პეტერბურგში მაღალ რუსულ-ევროპიულ სწავლასთან ერთად ამ ქართველი საზოგადოების ზედა ფენის ნაშთთა წრეში ეროვნული იდეაც შეითვისა, რომლის განხორციელება მას მხოლოდ სახალხო აჯანყების გზით სწამდა.

ის არ იყო დიდი გვარის შთამომავალი, ის იყო ოთქმის შეუმჩნეველი გვარიშვილი, მაგრამ ისტორიულ გარემოებათა გამო ქართველ საერო და სამღვდელო არისტოკრატთა წრეში მოქცეული, ის პეტერბურგის უნივერსიტეტში გაიზარდა ქართველ ბატონიშვილების და ბერ ითნა ხელამძღვანელის ხარჯითა და დახმარებით. ეს პირი იყო გვარად სოლომონ დოდაშვილი.

ამ პირველი „თერგ-დალეულის“ პირველი ეროვნული საქმე იყო: ტფილისში ქართული სტამბის დაარსება ქართული წიგნების და ჟურნალ-გაზეთების გამოსაცემად (1827 წ.).

მეორე საქმე, ეს ოფიციალური გაზეთის „ტფილისის უწყები“-ს ლიტერატურულ დამატების, „სალიტერატურო ნაწილის ტფილისის უწყებათანი“-ს დაარსება, მისი რედაქტორობა და თანამშრომლობა იყო. („ამ დამატების“ დღეს სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში ინახება მხოლოდ პირველი 5 №-რი, 1832 წელს გამოსული).

ამ წლების განმავლობაში (1827-დან 32 წ.) იმავე სოლომონ დოდაშვილმა პეტერბურგელ ქართველი წრისაგან დავალებით ტფილისში მოაწყო შეთქმულთა „ფარული საზოგადოება“, რომელსაც 32 წლის დამლევს (დეკემბერში) რუსული ადგილობრივი მთავრობა სულ ერთიანად უნდა ამოეწყვიტა (ნახ. იქვე გვ. 90).

აი ვინ იყო ის პირველი „თერგდალეულ“ ინტელიგენტთაგანი, რომელმაც ეროვნული იდეა დაუკავშირა პრაქტიკაში ფეოდალურ არისტოკრატიის წოდებრივ ინტერესს და ამ იდეის განსახორციელებლად პირველმა მიმართა შეიარაღებულ ძალას, არალეგალურ გზას.

როგორც ამბ. სვ. ხუნდაძის წინგში გამოქვეყნებულ წერილებიდან სჩანს, მასთან ერთად მუშაობდენ: სოლომონ რაზმაძე, თავადი გიორგი ერისთავი, ბერი ფილადელფოს კიკნაძე და სხვები. ყველა ამ სხვა და სხვა ელემენტების გამაერთიანებელი იყო ეროვნული იდეა: ქართველი საზოგადოების ეროვნულ-დამოუკიდებელი განვითარების გზაზე დაყენება. მაგრამ რადგან ქართველ საზოგადოებაში არც ამ ხანად (30-იან წლ.) მოიპოვებოდა ფართე ხასიათის ახალი საზოგადოებრივი ფენა, რომელსაც ამ როლის ხელში აღება შესძლებოდა და, „შეთქმულებისათვის“ ხელი მიეცა, ამიტომ ეს მოძრაობა უნიადაგო გამოდგა და როგორც ავანტიურა, ის რუსულ მთავრობას რომ ძალით არ ჩაეხშო თავის თავადაც ჩაჰქრებოდა. მაგრამ ეს იმას სრულიადაც არ ნიშნავს, რომ ამ ჯგუფის მიერ აღიარებული ეროვნული განვითარების იდეა უნაყოფო იყო.

როგორც ვხედავთ სოლომონ დოდაშვილის ეროვნულ მოღვაწეობას და მის მნიშვნელობას ოდნავაც ვერ შეედრება ვერც უცნობ წრისაგან რუსული მთავრობის კარნახით პირველად ქართული გაზეთის დაარსება და ვერც „დიდი პატრიოტ“ პოეტის თავად გრიგოლ ორბელიანის მიერ თავის კაბინეტში თავის გასართობათ დაწერილი რიტორიკით და „კნიაზურ-ლიბერალური“ სავსე პოემა, „სადღეგრძელო“.

მაგრამ თვით სოლომონ დოდაშვილის მოღვაწეობას და მის ეროვნულ იდეასაც ჩრდილი ადგება და ის რეტროგრადულ-რეაქციონერი ხდება იმ გარემოების ძალით, რომ იგი ქართველ არისტოკრატიისა და ბატონიშვილების ინტერესებთან არის დაკავშირებული. თუმცა ეს ასეა, მაგრამ ყველაფრიდან სჩანს, რომ ეროვნული საკითხი სოლომონ დოდაშვილმა უფრო ფართეთ, ისტორიულათ დააყენა და **ეროვნული იდეა მთელი ხალხის იდეოლოგიურ მოთხოვნათ გახადა.** ეს ყველასათვის აშკარა ხდება, როცა ეროვნული საკითხის მის მიერ გაგებას და დაყენებას სხვებისას ვუდარებთ, მაგრამ, როგორც ვიცით, ეს მიმდინარეობაც ისე ჩაჰქრა, (ეკეთ—ჩაკლეს), როგორც პირველი (ე. ი. „ნიჰილისტური“).

ამრიგად ორმოციან წლებში „ბურთი და მოედანი“ მესამე მიმდინარეობას, რუს-მთავრობის ლიბერალიზმთან შეთანხმებულ ქართულ თავადურ—„პატრიოტიზმს“ დარჩა.

რუსულ თვითმპყრობელობასთან შეთანხმებულ, ამ ლიბერალურ-ოპორტიუნისტული „პატრიოტიზმის“ გამომხატველი შეიქნა კნიაზ მიხეილ ვორონცოვი (1844-54 წ. წ.). [1]

მართალია მისი პოლიტიკა იმავე ნიკოლოზ „პალკინის“ პოლიტიკა იყო საერთოთ, ისიც რუსეთის სავაჭრო კაპიტალის გამომხატველი იყო, ისიც კავკასიის შეიარაღებული ძალით დამპყრობელი, მაგრამ ამ პოლიტიკის გატარება მან საქართველოში ეროვნული გზით მოინდომა.

აქ რუსულმა თვითმპყრობელურმა მთავრობამ გამონახა ის ისტორიული სწორი გზა, რომლითაც ყოველნაირი მთავრობის პოლიტიკა ეგრეთ წოდებულ „კულტურულ ხალხში“ ტარდება. ამასთან მხედველობაში უნდა მივიღოთ ისიც, რომ მიხეილ ვორონცოვის პოლიტიკა ქართველ ფეოდალების „ტრადიციული“ პარტიკულია-

---

[1]) არ შეიძლება მიხეილ ვორონცოვის პოლიტიკის გამო არ შევნიშნო ამბ. სვ. ხუნდაძეს, როცა ის თავის ნარკვევში (ნაბ. გვ. 30) შენიშვნას აძლევს ნოე ჟორდანიას ამ უკანასკნელის შემდეგ სიტყვების შესახებ: „და ყველა ეს მოხდა არა ხაციონალურ კლასის დროშის წინამძღოლობით, არამედ გარეშე ძალის, რუსეთის მეთაურობით“.

ამბ. სვ. მართალია, როცა ამაზე შენიშნავს, „რომ ჟორდანიას ტენდენცია აქვს რუსეთში რუსეთის მთავრობა იგულისხმოსო“, მაგრამ არაა მართალი, როცა ის ჟორდანიას აწერს იმ აზრს, თითქო ქართველი საზოგადოების კულტურული განვითარება მთელ მე 19 საუკუნის მანძილზე რუსეთის მთავრობის მეთაურობითა და ხელმძღვანელობით მომხდარიყოს. არა, ჟორდანია ლაპარაკობს მე 19 საუკუნის 50-იან წლების შესახებ, სწორედ იმ ვორონცოვის პოლიტიკის შესახებ, რაზედაც აქ მეც ვლაპარაკობ; და ეს ფაქტია, რომ ვორონცოვის სახით სწორეთ რუსეთის მთავრობამ იკისრა ზემოალნიშნული ინიციატივა.

რიზმის და „გამწვავებული“ ბატონ-ყმური ურთიერთობის ამლაგმველი პოლიტიკაც იყო.

ქართველი ხალხი კულტურული ხალხი იყო და სხვა გზით, თუ არ ეროვნულით, მასში არავითარი პოლიტიკის გატარება საბოლოოთ არ შეძლებოდა. ის ბოლოს და ბოლოს თუ ისევ ეროვნული გზით განვითარებას ვერ შესძლებდა, ფიზიკურად გადაშენების გზაზე შედგებოდა და დალუპულ ხალხად ითვლებოდა, მიემატებოდა, ისტორიაში მისი მხოლოდ სახელი-ღა დარჩებოდა.

ამიტომ მისთვის ეროვნულ მიმართულებას, ეროვნულ მიმდინარეობას უაღრესი და გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა.

ამით აიხსნება, მხოლოთ ამით, რომ ამ მომენტიდან ახალი ქართული მწერლობა ამ გზას დაადგა და ეროვნული მოტივი თავის მასულდგმულებელ მთავარ მოტივად გაიხადა.

პირველი ქართული ჟურნალი, ქართული თეატრი მიხეილ ვორონცოვის პირადი ინიციატივით ტ მთავრობი სნივთიერი საშუალებით დაარსდა. შემთხვევითი არც ისაა, რომ პირველი პოეტური სიტყვა ეროვნულ მოტივზე იმ ქართველ პოეტისაგან დაიწერა (1827 წ.), რომელიც შემდეგშიაც ვორონცოვის „მალმერთებელი“ იყო (ამის შესახებ ნახეთ მიხ. ზანდუკელის წერილში—1926 წლ. ჟურნ. „მნათობის“ № 7-ში თვითონ გრიგოლ ორბელიანის რუსულად დაწერილი შენიშვნა, მის ხელთნაწერებში ნაპოვნი).

ამ სახით ნიჰილისტური მიმართულება ეროვნულ საკითხში რუსულმა თვითმპყრობელურმა მთავრობამ თვითონვე დაჰგმო და ეროვნულ პოლიტიკაში დათმობის გზაზე შედგა: წინათ თუ სასტიკი, სრულიად უარყოფითი იყო და წმინდა რუსიფიკატორული (როგორც ეს პოლონეთში იყო) ეხლა ის ქართულ-ეროვნულ კულტურას, ენას ტოვებდა, მხოლოდ იმ პირობით თუ 1) თვითმპყრობელობის და 2) მართმადიდებლობის პრინციპები არ შეილახებოდენ.

როგორც ვიცით სავაჭრო კაპიტალი ამ პრინციპებს ჩინებულად ეგუება, სწორეთ ამით აიხსნება, რომ ქართველი საზოგადოების ახალმა ფენებმა და ახალმა „ფორმაციამაც“, როგორც ქართველ თავად-აზნაურობის „გაჩინოვნიკებულმა“ და „გავაჭრებულმა“ ნაწილმა, ისე გლეხთა და ხელოსანთა წრეებიდან გამოსულმა „მეშჩანებმა“, მოქალაქეებმა მიხეილ ვორონცოვის პოლიტიკა ძალიან მოიწონეს და ამ პოლიტიკის გამტარებელს, ვორონცოვს ტფილისის შუა გულში დიდი ძეგლი აუგეს.

ამ სახით ვორონცოვის პოლიტიკა ქართველი საზოგადოებისათვის ეროვნული მხრითაც და მისი ახალი კლასის ინტერესების თვალსაზრისითაც მისაღები გახდა.

ამის შემდეგ მაინც ქართველ საზოგადოებაში ამის შესაფერი იდეოლოგიაც უნდა შემუშავებულიყო, ამ იდეოლოგიის გამომხატველნიც უნდა გამოჩენილიყვნენ და მართლაც გამოჩნდენ, ესენი იყვნენ: დიდი „კნიაზ პოეტი“, იმავე დროს დიდი „ჩინოვნიკი“, გრიგოლ ორბელიანი და უბრალო „კნიაზი“ და ახალგაზრდა თავადი ინტელიგენტი, გიორგი ერისთავი.

ესენი სრულიად კმაყოფილნი იყვნენ ვორონცოვის პოლიტიკით და მიე-

ლი თავისი ენერგიით ემსახურებოდნენ მის პოლიტიკას: პირველი უმთავრესად ხმლით და თავისი სამხედრო ნიჭით, ხოლო მეორე კულტურული, იდეოლოგიური შემოქმედებით.

აქ, ამ ნიადაგზე რუსული თვითმპყრობელური მთავრობა და ქართველი საზოგადოება სრულიათ მორიგდენ და ხელი ხელ ჩაკიდებულნი განაგრძობდენ მუშაობას „საერთო სამშობლოს“ რუსეთის იმპერიის „[illegible]“ და აქვე ხაზგასმით უნდა აღინიშნოს ის, რომ ამით გამოეცალა ყოველნაირი ნიადაგი რევოლიუციური გზით ეროვნული იდეის განხორციელების ცდას. შემდეგში ეს ცდა არც განმეორებულა.

ამიერიდან ამ სახით დაუახლოვდა, იდეიურათ და კულტურულად დაუკავშირდა ქართველი საზოგადოება რუსულ საზოგადოებას. აქედან მათ შორის გაიბა მჭიდრო კულტურული კავშირი და დადგა ეგრედ წოდებული „განმანათლებელი ხანა“ ქართველი საზოგადოებისათვისაც.

და როგორც ერთ დროს პეტრე დიდმა „გაუღო კარი რუსეთს ევროპისა ენმაღალ კულტურის, კაპიტალისტური კულტურის შესათვისებლად, ისე მიხეილ ვორონცოვის და „დიდი მთავრის“, მეფის ძმის, მიხეილის პოლიტიკამ „კარი გაუღო“ **ქართველ საზოგადოებას** ევროპის კულტურის შესათვისებლად **რუსული ენის საშუალებით და რუხეთის გზით.**

კაპიტალისტური კულტურა ერთია ყველა ქვეყნებისათვის, ტეხნიკა და მეცნიერება ერთია ყველა ერებისათვის, ხოლო მეთოდი და ენა, უნარი კულტურის შეთვისებისა, პოლიტიკური და სოციალური ვითარება კი სხვა და სხვა ეროვნული საზოგადოებისათვის სხვა და სხვაა.

ამიტომ ყოველი ერის განვითარების ინტერესი მოითხოვს, რომ საერთო კულტურა შეთვისებული იქნას მის მიერ თავისებურ ეროვნულ პირობებში, თავისებური მეთოდით.

აქედან საერთო **„კოსმიური კულტურა“** (ინტერნაციონალური) ყოველ ერში ღებულობს თავისებურ, განსაკუთრებულ ეროვნულ სახეს, **აქედან იქმნება კულტურის სხვა და სხვა ეროვნული სტილი.**

ასე მოხდა ქართველ საზოგადოებაშიაც: რაკი ის 50-იან წლებში ოკვე შედგა ეროვნულ-აღორძინების გზაზე. შემდეგ ხანაში მას მსოფლიო კულტურის კაპიტალისტური კულტურის შეთვისება ეროვნულ ფორმებში უნდა დაეწყო და დაიწყო კიდეც.

და აი ამ ქართულ-ეროვნული ფორმების ერთი შემომქმედთაგანი და იმავე დროს ინტერნაციონალური იდეის მატარებელი იყო **ანტონ ფურცელაძე.**

სერ ამაღლობელი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სახკინმრეწვის საკითხები

ჩვენი კრიტიკა სამხატვრო დარგში, მიკიბ-მოკიბული და პირფერულ-დიპლომატიურია. ეს ხედმიწევნით ეგუება ჩვენს ზედმეტად თავმოყვარე სახელოვნო დარგის მუშაკებს. მათთვის მაგარი და პირდაპირი კრიტიკა პიროვნულ მტრობის სინონიმათ არის გამხდარი. კრიტიკოსიც, ყველასთან კარგ განწყობილებაში მყოფი გაურბის მახვილ კრიტიკას. ამიტომ მისგან უცუდეს შემთხვევაში ვიღებთ—ჯგუფურ-მეგობრულ ხოტბაასა და ჯგუფურ-მტრულ გინებას, უკეთეს შემთხვევაში—პირფერულ-დიპლომატიურ ორპოფობას, სამ სიტყვაში ორს საქებარს და ერთს წელგატეხილსა და ნიღაბ აფარებულ კრიტიკულს.

ახალი თაობის, ახალი საზოგადოებრიობის ვალია ასეთ მდგომაეობასთან ბრძოლა. დაე, ჩვენი კრიტიკა იყოს გადაჭარბებული, მაგრამ პირდაპირი, მკაცრი და პიროვნულ ელემენტებისაგან განტვირთული. უნებლიეთ შეცდომა ათასჯერ სჯობია განზრახ სულმდაბლობას. პირფერულ-დიპლომატიური კრიტიკა სულმდაბლობის ნიშანია.

ჩვენ, „ბედმა უმადურმა", გვაოგუნა საქ. კინო მრეწველობის საკითხის წამოყენება პრესაში. ამ საკითხზე ჩვენ ვერ ველირსეთ საზოგადოებრიეი აზრის ჩამოყალიბებას. კინო მრეწველობის შესახებ ყველა იმხანაგი მსჯელობს. არც შეიძლება არ იმსჯელო დღეს კინო ხელოვნების შესახებ. ის მასიურ-სანახაობითი ხელოვნებად იქცა. ასეთი ხელოვნება მასის ,მსჯელობის და მასიური მსჯელობის საგნათ ხდება ყოველ ეპოქაში.. ყველა მსჯელობს, მაგრამ არავინ სწერს. საჯაროთ არავინ არაფერს ამბობს. ამ გარემოებას ორი მიზეზი აქვს. პირველი—ჩვენში ნაკლებად იცნობენ კინო ხელოვნების პრობლემას და კინო წარმოების საკითხებს; მეორე—კარგი სათქმელი არაფერია და ცუდის თქმას ყველა გაურბის.

ჩვენ ვფიქრობთ საჭიროა ამ დაბრკოლებათა დაძლევა. საქ. კინო წარმოებაში დაახლოვებით ორი წლის მუშაობამ საკმაო მასალა მოგვცა ამ წარმოების შესახებ, ამავე მუშაობამ ნათელი გახადა ჩვენი კინოს პრაქტიკული საქმიანობა. ამ წარმოებიდან საკუთარი ნებით წასვლამ, (ყოველგვარი პი-

როვნული უთანხმოების გარეშე) სრულებით განტვირთა ჩვენი მსჯელობა პიროვნული ანგარიშიდან. კიდევ მეტი. თუ მაინც ვწერთ კინო წარმოების შესახებ, მხოლოდ და მხოლოდ მოქალაქეობრივი მოვალეობის მოსახდელად. ეს მოვალეობა გვაიძულებს ვთქვათ,—რადგან სხვა ვერაფერს ამბობს,—რომ **ჩვენი კინო მრეწველობის არსებობის საკითხი სდგას, რომ საჭიროა დაუყოვნებლივ მთელ რიგ ამოცანათა მიზანშეწონილი გადაჭრა, რის გარეშე, გარდა ფინანსიურ-მხატვრული ზარალისა, ჩვენ ამ საქმიდან ვერაფერს მივიღებთ.**

სამი პერიოდი

საქ. კინო მრეწველობის სამხატვრო მუშაობაში სამი პერიოდია. პირველი—მისი დაარსებიდან საქ. კინო მრეწველობის სამხატვრო საბჭოს შექმნამდე (1926 წლის იანვარი). მეორე—სამხატვრო საბჭოს დაარსებიდან (1926 წლის იანვრიდან) მის გაუქმებამდე, წარმოების გამგეობის რეორგანიზაციამდე (1927 წლის სეზონის მზადებამდე). მესამე—ახალი გამგეობის მუშაობა, მუშაობა მიმდინარე წლის სეზონისათვის.

რა ახასიათებდა პირველ პერიოდს?

პირველ პერიოდს ახასიათებდა ერთი უცნაური მოვლენა—სამხატვრო დაწესებულებაში, კინო წარმოებაში: **არ არსებობდა სამხატვრო ნაწილი.** არ არსებობდა არც კოლეგიალური, არც პიროვნული ხელმძღვანელობა კინო მრეწველობის სამხატვრო ცხოვრების. ასეთი მოვლენა ჭეშმარიტად პირველია მთელს მსოფლიოში. იქაც კი, სადაც კინო კომერციულ მიზანს ისახავს, მასების აღზრდის საკითხს გვერდს უვლის, ხაზ გადალმა, და ოკეანეს გაღმაც, იქაც არსებობს სამხატვრო დირექტორები სურათის რედაქტორები, ლიტერატურული კოლეგიები. ჩვენს წარმოებას არც ერთი ბუდმიანი მუშაკი არ ჰყოლია სამხატვრო-სალიტერატურო-იდეოლოგიური მხარის ხელმძღვანელობის დარგში. მართალია, არსებობდა ე.ვ. წოდ. სარედაქციო კოლეგია, მაგრამ ეს კოლეგია არსებობდა კინო მრეწველობის გარეშე, მისი შემადგენლობის უდიდესი უმრავლესობა იყო მაქსიმალურად დატვირთული პასუხისმგებელი ამხანაგები. მათ ფიზიკურად არ შეეძლოთ თვალყური ედევნებიათ კინო მრეწველობის მუშაობისთვის. ისინი მხოლოდ დადგმების საკითხს სწყვეტდენ. და სწყვეტდენ, რა თქმა უნდა, კინო მრეწველობაში უშუალო მომუშავე პირების წინადადებით. ამიტომ ამ კოლეგიის მუშაობას არ შეეძლო არც სახელმძღვანელო როლის შესრულება წარმოებაში, არც წარმოების მუშაობის პასუხისმგებლობა. **ამ რიგად სამხატვრო დაწესებულებაში არ არსებობდა სამხატვრო ნაწილი.**

რა მივიღეთ ამის შედეგად? მეტად სამწუხარო ამბავი. რეპერტუარში სრული მოხსნა იდეურ-მხატვრული გეზის, ჩვენი სამხატვრო პოლიტიკის ამოცანების. რეჟისორთა ძველი კადრის სრული უკონტროლობა. მაგ. არხი-კურიოზული მდგომარეობა რეჟ. პერესტიანის დადგმაში. რეჟისორს დაეკალა „წითელი ეშმაკუნების“ გაგრძელების დადგმა. თუ მეხსიერება არ მღალატობს, რეჟი-

სორმა 16 თვის განმავლობაში იმუშავა გადაღებაზე, მაგრამ **არც კინომრეწველობამ, არც რეჟისორმა აღარ იცოდა თუ რა სურათი იდგმებოდა.** არ არსებობდა დადგმის არც სცენარი, არც თემა, არც სამონტაჟო სქემა სიუჟეტის, არც ლიტერატურული ნაწარმოები, რომლის მიხედვით შეეძლებოდა მუშაობა რეჟისორს. **და ერთი სურათის ნაცვლად „წითელი ეშმაკუნების" გაგრძელების სამაგიეროთ, ჩვენ მივიღეთ სამი სურათი, მაგრამ არც ერთი მათგანი არ წარმოადგენდა „წითელ ეშმაკუნების" გაგრძელებას.** მესამე სურათის განხილვის წემდეგ, რეჟისორის გარეშე, ოპერატორისა და მონტაჟისტის მუშაობამ, კიდევ შემოგვთავაზა **მეოთხე სურათი.** ამოკრებილი მრავალ ათასიან ფირის მეტრებიდან. **ეს მეოთხე უკეთესი გამოდგა, ვიდრე პირველი სამი.**

მსოფლიოში არც ერთი კინოწარმოება ასეთი წესით სურათს არ სდგამს. მე ნოგახსენებთ მეთოდზე, რეჟისორის იმპროვიზაციის მეთოდზე. რასაკვირველია არა იმ უწესოებაზე, რომლითაც არცერთი გონების პატრონი კაცი არ ამუშავებს რეჟისორს. დ. გრიფიტი იმპროვიზაციის მეთოდს მიმართავს. მის მუშაობას ორი პირობა აქვს, უკეთ ჰქონდა: 1) ის სდგამდა საკუთარ ხარჯზე, ზარალიც პირადი საქმე იყო, 2) ის სიუჟეტის საერთო ჩონჩხს იღებდა და ანაწილებდა სამუშაო გეგმათ. ეს გეგმა მუშაობის დროს, იმპროვიზაციის პროცესში სახელმძღვანელოდ ჰქონდა მომარჯვებული. ჩვენ არ ვიცით დღეს როგორ მუშაობს დ. გრიფიტი, მას შემდეგ, რაც მან თავისი წარმოება გააუქმა, მაგრამ ერთი აშკარაა— არც ერთი წარმოება არ შეიძლება ემყარებოდეს რეჟისორის ლაღ ფანტაზიას ყოველგვარი გეგმის გარეშე, მით უფრო ისეთი რეჟისორის, რომელსაც არა აქვს მსოფლიო სახელი, დახელოვნებული ხელი. ასეთი შეცდომა ჩაიდინა საქ. კინო-მრეწველობამ. მიღებული ოთხი სურათი არა მარტო დაშორდა განზრახულ თემას, არამედ იქცა გაუგონარი კურიოზების რეზერვუარად: სცენები, მთელი აქტები უაზროთ, უმიზნოთ, უშინაარსოდ შევიდა სურათში. მკვლელი გადამხტარი თოვლში გაიქცა პაპანება სიცხეში და შეახტა მატარებელს (ერთი ნაწილი გადაულია რეჟისორს ზამთარში, მეორე ზაფხულში და შეერთებით კი გამოდის აბსურდი). ასეთი რეჟისორი პასუხისგებაში იქნა მიცემული. აქ კიდევ შეცდომა არის ახალი გამგეობის. პასუხისგებაში მიცემა შეიძლება, როცა არის დანაშაულობის შემადგენლობა საქციელში. რეჟისორის მხატვრული მარცხი დანაშაულობრივ შემადგენლობის არ არის. ის მხატვრული მოელენაა და არა კრიმინალური კრიმინალური საზომი აქ არ მიუდგება. საჭირო არ არის კიდევ სხვა ფაქტების მოყვანა სურათების დადგმის დარგიდან. სანიმუშოთ ესეც კმარა.

სამხატვრო ნაწილის უქონლობას უნდა მიეწეროს ლიტერატურულ მასალის შეურჩევლობა. მასალები ყოველგვარი პრინციპის, საფუძვლის, მოსაზრების გარეშე შედიოდა კინო-მრეწველობის დარგში. სამხატვრო ნაწილი რადგან არ არსებობდა, თვით რეჟისორები ადგენდენ რეპერტუარს. სდგამდენ მას, რაც სურდათ, როგორც სურდათ, მსახიობებს იყენებდნენ „თავისუფალი შერჩევით". სურათის მთელი სამხატვრო ფიზიონომიაც საკუთარი დამოკიდებული იყო რეჟისორის აბსოლიუტურად განუსაზღვრელ თავისუფლებაზე.

ამ პერიოდში ჩვენ მივიღეთ რამდენიმე რიგიანი დადგმაც. „წითელი ეშმაკუნები“ პირველი საბჭოთა ფილმის სახით ჩატარდა მთელს კავშირში. „სანი სიცოცხლე“ და „ვინ არის დამნაშავე“ რიგიან სურათთა რიცხვშია შესატანი. მაგრამ ეს გამონაკლისია მხოლოდ. უმთავრესად კინო-მრეწველობამ ამ პერიოდში ვერ მოგვცა შესაფერი პროდუქცია, ვერ გაამართლა თავისი ბუნება, ვერ დაუახლოვდა ჩვენს სინამდვილეს.

საქ. კინო-მრეწველობა ამ პერიოდის დასასრულს თავისი კრიზისის უკიდურესობაში შევიდა. მან დაჰკარგა პირველობა საბჭოთა კავშირის კინო-მრეწველობათა შორის.

საქ.კინო-მრეწველობას ხელს უშლიდა თუ არა ბუნებრივ-სოციალური პირობები? რაში მდგომარეობდა საქართველოს კინო მრეწველობის კრიზისის საფუძვლები? რა თქმა უნდა არა ჩვენი ბუნებისა და ცხოვრების სილარიბეში. „გოლივუდს“ შემდეგ, მზის სიუხვისა და ბუნებრივ გარემოს მრავალფეროვანებით მსოფლიოში კინო მრეწველობისათვის პირველი ადგილი გვიჭირავს. კინო არტისტიული მასალის შერჩევის შესაძლებლობით ამიერ-კავკასიის და თბილისის ეტნოგრაფიული სიჭრელე დაუსრულებელ რეზერვუარს წარმოადგენს. არ სცდებოდა „მეჟრაპომ-რუსი“, როცა სურდა საქართველოში კინო-ქარხნის აგება და ცნობილი ფრანგი რეჟ. ეპშტეინი, როცა წინადადებას იძლეოდა ჩვენში სურათების გადასაღებად.

ეს შესაძლებლობანი საქ. კინო მრეწველობას მონოპოლიურად აქვს გადაცემული. ამის მიუხედავათ ამ პერიოდის სურათები ვერ გადასცდა ეტნოგრაფიულ კუსტარულ ჩარჩოს, ვერ ავიდა თანამედროვე კინო ხელოვნების საშუალო ხარისხის სურათების გამომუშავებამდე, ვერ შესძლო რუსეთის კინო მრეწველობას ფეხდაფეხ გაჰყოლოდა, იმ მრეწველობას, რომელსაც ამ სამოდე წლის წინად თავს არ უყადრებდა.

რა მოხდა? რატომ ჩამორჩა ჩვენი კინო მრეწველობა რუსეთის კინო მრეწველობას? რატომ ვერ გამოიყენა არსებული პირობები?

არ უნდა დავივიწყოთ, რომ გარდა ბუნებრივ შესაძლებლობისა საქ. კინო მრეწველობა ყოველმხრივ პრივილეგიურ მდგომარეობაში იმყოფებოდა. პარტიისა და საბჭოთა ხელისუფლების მხრივ ის იღებდა ყოველ გზით დახმარებას, უფლებრივს, (მონოპოლიის მინიჭება საქართველოს ფარგლებში წარმოებისა და სურათების გაქირავების დარგში) ფინანსიურს (უშუალო დახმარებანი და საბანკო კრედიტების გახსნა) ტექნიკურს (კინო მრეწველობის ოპერაციების ხელის შეწყობა და სხვ.). ეს დახმარებაც არ გახდა საფუძველი ჩვენში კინო მრეწველობის აღორძინებისთვის. ვინ არის პასუხისმგებელი ამ საქმეში? რასავვირველია არა ის, ვინც ეხმარებოდა—არა პარტია და ხელისუფლება, არამედ ისინი, ვისაც ეხმარებოდენ, ჩვენ, რომლებიც უშუალოდ მუშაობდენ ამ დარგში და ვერ გამოიჩინეს იმდენი უნარი და ნიჭი, რომ სასურველად წაემართად კინო მრეწველობა, გამოეყენებია ის დიდი შესაძლებლობანი, რომელიც მისცა ჩვენმა ბუნებამ, ცხოვრებამ და ხელისუფლებამ.

საქ. კინო მრეწველობის პირველი პერიოდის სურათებს ახასიათებდა რამდენიმე თვისება:

ყოფის დამახინჯება. საქ. კინო მრეწველობამ თავიდანვე მიზნად დაისახა ქართულ სურათების დადგმა. ეს მიზანი თავისთავად არ იყო გაუმართლებელი. ქართული სურათები ყოფის მხრით საინტერესო იქნებოდა საბჭოთა კავშირისათვის. დადგმის მხრით, ახლად ფეხადგმულ მრეწველობისთვის ეს ადვილი იყო. სინამდვილის ბუნება, ტიპები, ბზის განათება, ატელიეს სცენების სიმცირე საუკეთესო საშუალებას აძლევდა წარმოებას ქართულ სურათების დადგმისთვის. ამერიკამაც ხომ „კოვბოებით" დაიწყო თავისი კინო წარმოება. **ჩვენი კინოს შეცდომა იმაში მდგომარეობდა, რომ მან ვერ გაარჩია ზნე-ჩვეულების ნაშთები ნაციონალური ყოფიდან.** ყოფა გაიგო მეტად ვიწროდ, ის შემოფარგლა ხანჯლით, ლეკურით, სქესობრივი ბოროტმოქმედებით—გაუპატიურებით, ყანწით და კრივით. თითო სურათში მისცა ამ მოვლენების საკმაო დოზა. საკვირველი რან მოხდა—ძველი მეფის მოხელეების „ფილოსოფია" „კავკასიაზე" რუსეთში გატანილი, ფოტოგრაფიულად გაამტკიცა საქ. საბჭოთა კინომ. ჩვენ გავხდით სინონიმი ყანწის და ხანჯლის, ცემის ბ გაუპატიურების, სმისა და ცეკვის. ჩვენი ძველი რევოლიუციონური წარსული, დღევანდელი შრომისა და ბრძოლის მომენტები, სოციალური ჩაგვრისა და ყოფა-ცხოვრების თავისებურობანი გამოეპარა იმ წარმოებას, რომელიც ქართულ სურათების დადგმას შეუდგა.

ყოფის გადაქცევა ზნე-ჩვეულების ნაშთებათ, წასულის კურიოზულ მომენტებად და ამ ზნე-ჩვეულების ნაშთების საზღაპრო **დამახინჯება** (სამოვრით თავადების ქეიფი ტყეში და მრავალი სხვა) გახდა საქ. კინო მრეწველობის მთავარ საქმედ. გამონაკლისის სახით მივიღეთ ერთი ორი დადგმა („სამი სიცოცხლე", „ვინ არის დამნაშავე"), სადაც ადგილი არ ჰქონია ყოფის დამახინჯებას მაგრამ აქაც აღებული იქნა მე 19 საუკუნის და მე 20 დასაწყისის ყოფა, რაც ჩვენთვისაც კი აღარ წარმოადგენს ინტერესს, რაც საბჭოთა კინო აუდიტორიისათვის ახალს არაფერს ამბობს.

კინო მრეწველობამ ვერ გაითვალისწინა, რომ საქართველოს კუთხური „ყოფით" დიდხნობით არ შეიძლებოდა არსებობა. კინო ხელოვნება თავისი ბუნებით ინტერნაციონალური ხელოვნებაა. მისთვის საჭიროა უფრო ზოგადი შინაარსი და ტიპები, ვიდრე კახურ-მეგრული ან იმერული მოძრაობა და კოსტუმი. კინო მისდევს ან დიდ ეგზოტიურობას ინდოეთის, ჩინეთის, აფრიკის ან ზოგად ხასიათებს. ჩვენ საშუალო ადგილი ავირჩიეთ. სამეგრელოსა და კახეთის ფანჯრიდან გავხედეთ მსოფლიოს. ამიტომ ბევრი ვერაფერი დავინახეთ. ვერც ჩვენი თანამედროვე ყოფა ავსახეთ. ვერც მეზობელ ერების ყოფას მივსწვდით, ვერც ზოგადი შინაარსი გამოვიყენეთ. პროვინციალურ ზნე-ჩვეულებათა მასალით პროვინციალური კინო ხელოვნების ცუდი ნიმუშები შევქენით. ინტერნაციონალური ხელოვნება ეტნოგრაფიამდე ჩამოვიყვანეთ. ვერ შევათავსეთ ეროვნული შემოქმედება ინტერნაციონალურ ხელოვნებას. უკეთ ვერ ვიპოვნეთ საკუთარი სტილი კინო ხელოვნებაში, ვერც განვითარებულ სტილს დავესესხევით.

თავი მაღლა არ აკიღეთ და ცხადია მხოლოდ საკუთარი ფეხების ცეკვა-ლეკური შეეამჩნიეთ.

რევოლიუციონური ფილმები. საქ. კინომრეწველობამ სცადა რევოლიუციონური ფილმების გადაღებაც. პირველი გამარჯვება „წითელმა ეშმაკუნებმა" აკუთვნა მას. ამ პირველი გამარჯვებით ამოიწურა გამარჯვებული რევოლიუციონური რეპერტუარიც. ამ გამარჯვებას მოჰყვა საარაკო [illegible] „[illegible] საიდუმლო", „მეცხრე ტალღა", „გაფლანგვა", „საკურ საფლავი", „თავადი ქალის წირვანკის დანაშაული", „სასჯელი", „ილიანდილი", „ზვირთი" (რომელიც ჯერ არ გამოსულა ეკრანზე). რევოლიუციონურ რეპერტუარში საესებით დამარცხდა ჩვენი კინო, ელემენტარი მოთხოვნები ვერ დააკმაყოფილა მან.

მსახიობების აღზრდა. კინო მსახიობის აღზრდის სისტემა ჯერ არ არსებობს. კინო მსახიობი, ცხოვრებიდან მოდის ის თუ თეატრიდან, კინო მრეწველობაში ყალბდება. ჩვენში ვერ შეიქმნა კინო მსახიობის ტიპი. საუკეთესო კინო არტისტული მასალა ვერ იქცა კინო მსახიობად. ზნე-ჩვეულების განსცენიურება კინო მსახიობის შემოქმედების გზას ვერ უხსნის. დღეს ერთი იცეკვებს ლეკურს და დაატრიალებს ხანჯალს თუ ხვალ მეორე, სულ ერთია, არც ერთი ამით არ ჰქმნის დიდ ღირებულებას, არტისტიულ დახელოვნებას, მსახიობურ შემოქმედებას. ამიტომ ჩვენს მრეწველობაში ტიპაჟის ამოლოგია ლოლიკურად ჰკლავდა მსახიობს. ტიპაჟი აუცილებელი ხდებოდა ზნე-ჩვეულების, ეტნოგრაფიის ჟანრის ფილმებისთვის. ამ რიგად **ეტნოგრაფიულმა ფილმებმა ჩაკლა მსახიობი.** **რევოლიუციონურმა** ფილმებმაც ვერ აღზარდა ის. დამარცხებული ფილმები ამარცხებს მსახიობსაც. უკეთ, ჩვენი რევოლიუციონური ფილმების დამდგმელებმა, რეჟისორებმა, ვერ შექმნეს რევოლიუციონური ტიპები ეკრანზე. მსახიობს დამოუკიდებლად არ შეუძლია კინოში მუშაობა, ის ვერაფერს შექმნის, რადგან რეჟისორის მიერ არის განსაზღვრული მსახიობის ყოველი მოძრაობა და პოზა. ამ რიგად, რევოლიუციონურმა ფილმებმაც ვერ ჩამოაყალიბა ჩვენში კინო მსახიობი. ვერ მოგვცა ვერც ახალი და ვერც ძველი ცხოვრების ერთა ტიპი განცდილ და შემოქმედებით დასრულებული.

რა ახასიათებს კინო მრეწველობის მეორე პერიოდს?

1926 წლის იანვრიდან კინოს მრეწველობაში დაარსდა სამხატვრო საბჭო. ამ საბჭოს პასუხ. მდივნად მე მომიხდა მუშაობა. ჩვენს მიზანს შეადგენდა უპირველესად საქმის გაცნობა, წარმოების პრაქტიკული შესწავლა, ძველი ნამუშევრის და შეცდომების გათვალისწინება. სამხატვრო საბჭო ორგანიზაციულად ვერ იყო სასურველ საფეხურზე. მასში შედიოდა 16 წევრი, მათ შორის მხოლოდ ორი საქ. კინო მრეწველობიდან. ჩვენ ამ საბჭოს პარლამენტს უწოდებდით. მას ახასიათებდა მართლაც საპარლამენტო თვისებანი—სესიებით შეკრება მთავარ საკანონმდებლო საკითხების გადაწყვეტა, არსებითად მმართველობისგან შორს დგომა. ჩვენ ეს საბჭო ჩამოვიყვანეთ ხუთ წევრამდე, მათ შორის სამი კინო მრეწველობიდან იყო. ამაშიაც იყო უხერხულობა, საბჭოს მუშაობას არ ჰქონდა ორგანიული კავშირი წარმოებასთან. ეს იწვევდა ამ ორი ნაწილის შეუთანხმებლობას ზოგ საკითხებში.

რა გააკეთა საბჭომ? უპირველესად მიზნათ დაისახეთ ჩვენი რეპერტუარი განგვეტვირთა, ყოფის, ეტნოგრაფიის სივიწროვისაგან. გადაეედით ერთი მხრით რუსეთის კლასიკებზე (ლერმონტოვი), მეორე მხრით ევროპიერ მწერლობაზე (ცვეიგის „ამოკი"), შევეცადეთ დაგვეკავშირებია წარმოება ახალ ყოფასთან, თანამედროვე სინამდვილესთან („გაფლანგვა", „ზვირთი", „ბავშვები" ავკრძალეთ ვიწრო ეტნოგრაფიული მასალა—ხანჯლიანი [illegible] ბანი, ლეკური და კრივი. დაუშვით უფრო ფსიქოლოგიური დრამები ყოფის ფონზე („ორი მონადირე" „გიული", „იბრაგიმ და გოდერძი").

ამ მუშაობაში ჩვენ შეეეხეთ რეჟისურის შემადგენლობის გარკვეულ ხარისხს. **ჩვენ შევეცადეთ რეპერტუარის განახლებას რეჟისურის განუახლებლად. ამაში ჩვენ სახტიკად შევცდით.** ლერმონტოვი ჩავაბარეთ რეჟ. ბარსკის. რევოლიუციონური დადგმები რეჟ. პერესტიანს. ვერც ერთმა და ვერც მეორემ ვერ გაამართლა იმედი. ეს საკვირველიც არ არის. შედარებით კარგად მივიღეთ ახალგაზრდების დადგმა „გიული." რეჟ. წუწუნავას „ორი მონადირე", რეჟ. მარჯანიშვილს „ამოკი" (ეს უკანასკნელი კინო მრეწველობის მიერ არის მიღებული, როგორც საუკეთესო სურათი. პირადათ ახლოს დგომის გამო ამ სურათის გადაღებასთან, ჩვენ მასზე არაფერს ვიტყვით) რეჟ. ბერიშვილის „იბრაგიმ და გოდერძი". რას მოწმობს ეს? ერთ მარტივ ჭეშმარიტებას **მთავარი კინო ხელოვნებაში რეჟისორია და არა ლიტერატორი.** როცა რეჟისორს შეუთავსებთ მასალას მიიღებთ, რეჟისორის მხატვრული ღირებულების ფარგლებში, კარგ ფილმს, როცა ლიტერატურასთან მიდენით რეჟისორს, მიიღებთ ლიტერატურის დამახინჯებას—ცუდ ფილმს. რეჟისორის ხელმძღვანელობა, მისი **დაქვემდებარება უშუალო** შემოქმედების პროცესში ეს უდრის მისი შემოქმედების გაუქმებას. სამხატვრო საბჭომ ვერ გაუწია უშუალო ხელმძღვანელობა რეჟისორებს. ამ ფაქტს ორი მიზეზი ჰქონდა—პირველი რეჟისორის იმუნიტეტის დატოვება გარკვეულ ფარგლებში (ჩვენ ვამტკიცებდით სცენარს, სამხატვრო პერსონალს, როლების განაწილებას) ვაძლევდით რეჟისორს საშუალებას საკუთარი მხატვრული გემოვნებით მიცემულ ლიტერატურული და არტისტიული მასალისაგან აეგო ფილმი. გადაღების დროს ვკმაყოფილდებოდით რჩევით (ფაკულტატიურით) იდეური ხაზის გასწორებით. რეჟისორები სრულიად უყურადღებოდ გვრჩებოდა ქარხნის გარეშე გადაღების დროს. რამდენიმე რეჟისორი ერთსა და იმავე დროს საქართველოს სხვადასხვა კუთხეში, და საქართველოს გარედაც, აწარმოებდა გადაღებას. სამხატვრო საბჭოს არ შეეძლო თითო კაცი გაეყოლებია მათთვის. ამ დარგში მუდმივ მომუშავეთ მხოლოდ ერთი პირი იყო მიჩენილი. ამ გარემოებამ მოგვცა კიდევ დიდი შეცდომები. რეჟ. პერესტიანის დადგმაში „ზვირთი" (ჯერ არ გამოსულა ეკრანზე) რეჟისორმა ერთ მომქმედ პირს ფრაკი ჩააცვა, ხოლო შარვალი გააძრო. რეჟ ბარსკიმ „ბელაში" ბელას კაბა გახადა და სამ შიშველ ქალთან მდინარეში გადაუშო. უკან კაზბიჩი, მთის რაინდი, გარყვნილ გიმნაზიელივით აადევნა. ესეც ააშკარავებს -თუ რეჟისორი თავისი მხატვრული გემოვნებით მაღლა არ სდგას. შეუძლებელია მას მიუყენოთ დარაჯი, რომ მომქმედ გმირებს შარვა-

ლი ან კაბა არ ჩახადოს. ან სხვა რაიმე ალოგიური და არა ესთეტიური რამ არ ჩაიდინოს.

ჩვენთვის აშკარად გახდა ერთი გარემოება—**კინო მრეწველობა ჩაიკეტა კუსტარულ-არაკვალიფიციურ სამხატვრო პერსონალში.** მან მთელი თავისი არსებობის განმავლობაში არც ვინმე გამოზარდა ამა თუ იმ დარგში სამუშაოდ, სპეციალური ცოდნით, არც ასეთი მოიწვია. კინო ხელოვნება—[illegible] ემყარება ტექნიკურ-მეცნიერულ საფუძველს, ამ გზით ვერ იარს. ფიზიკის, ქიმიის ტექნიკის კანონების ცოდნაა საჭირო კინო მუშაკისთვის. ჩვენს კინოში გაბატონდა ინდიფერენტიზმი კინო სპეცების მიმართ.

პირველ პერიოდშიაც და მეორეშიაც მოხდა გადაფასება თავიდან კინოში მომუშავე რეჟისორების და ვერ დაფასება კინოს გარეშე მყოფი სამხატვრო ძალების. კინოში მომუშავე ამხანაგებს ახსოვს თუ რაოდენი ბრძოლა ავიტანე კინოს ადმინისტრაციასთან თითქმის ყველა იმ ახალ რეჟისორების დადგმებზე, რომლებმაც საუცხოოთ, ძველ რეჟისორებზე გაცილებით კარგად ჩააბარეს წარმოებას თავისი დადგმები. ადმინისტრაცია კომერციულ სიფრთხილის მოსაზრებით ზოგიერთ ძველ რეჟისორს აშკარა მსატვრულ ნაგავს ადგმევინებდა, ახლებს კი, დადგმის სრულ დამარცხების შიშით, დადგმებს არ აძლევდა. ჩვენ მიეახწიეთ ახალ დადგმებს, შედარებით გამარჯვებულს ძველ რეჟისორების დადგმებთან, მაგრამ **ვერ მივაღწიეთ ახალ ძალების მომზადებას.**

საქ. კინო მრეწველობისთვის მთავარი იყო არა ორგანიზაციული სქტრუქტურის ცვლა, არა ადმინისტრატიული უწყების რეორგანიზაციები და პერსონალური გადარჩევა, არამედ სამხატვრო და ტექნიკური პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლება (ჩვენ პრესაშიაც აღვნიშნეთ ეს საკითხი „მნათობი" „ქართულ მწერლობა", „საბჭოთა ხელოვნება".)

ჩვენ საქ. კინო მრეწველობის მხატვრულ-იდეურ განახლებას ახალი სამხატვრო ძალების მომზადებაში ვხედავდით, მაგრამ ამ გზით ნაბიჯები არ იქნა გადადგმული. სხვა გზით მუშაობა ნაყოფს ვერ მოიტანდა. ამას აშკარად გვიმტკიცებს რუსეთის მაგალითი. რეჟ. იეზენშტეინი, პუდოვკინი, კულეშოვი, რომ ის რეჟისორებია, რომლებიც იძლევიან ახალ მხატვრულ-რევოლიუციონურ ფილმებს. ისინი რუსეთის კინო მრეწველობის ახალი ძალებია, წარმოების დარგში. გამოზრდილნი, უცხოეთის გამოცდილებით აღჭურვილნი. აქაც აშკარავდება ჩვენი დებულების სისწორე—**რუსეთში ახალმა რეჟისორებმა შექმნეს ახალი ფილმები, ახალი მხატვრული და იდეური რეზონანსის მქონე სურათები. ამ ახალმა რეჟისორებმა შექმნეს მსახიობთა ახალი სახეებიც. ჩვენ კი შევეცადეთ ძველი რეჟისორებით ახალი სურათების მიღებას.** ამიტომაც ჩვენი 1926 წლის რეპერტუარში დამარცხდა ყველა დადგმა, რომელიც ვერ შეუფარდეს რეჟისორთა მხატვრულ ინდივიდუალობას. ამაში იყო ჩვენი მარცხი და ეს მარცხი საჭიროა გაკვეთილად მაინც მივიღოთ ამიერიდან. ამ მარცხში დამნაშავე ვართ ყველა კინო მრეწველობის პასუხისმგებელი მომუშავენი.

ჩვენ შევეცადეთ ჩვენი ლიტერატურულ-მხატვრული ძალები დაგვეკავშირებია კინო მრეწველობისთვის. მოვაწყვეთ რამდენიმე საჯარო მოხსენება კინო ხე-

ლოვნების საკითხებზე. მოვიწვიეთ ლიტერატორები და შევქმენით ლიტერატორთა მუდმივი ჯგუფი. ვმართავდით საუბრებს სასცენარო მუშაობიდან, ვცდილობდით სცენარისტთა კადრის ჩამოყალიბებას წარმოებასთან. აღსანიშნავია, რომ პირველად შედგა ფეხი კინო მრეწველობაში ლიტერატორებმა. წინეთ, პირველ პერიოდში, სურათები იდგმებოდა გარდაცვლილ ლიტერატორებსა და თანამედროვე ცხოვრებიდან დაშორებული მასალები იყო გამოყენებული (ყაზბეგი, ნინოშვილი, ჭონქაძე და სხ.) „ცოცხალ ლიტერატორთა" წორის მუშაობა მიმდინარეობდა სამხატვრო საბჭოს გაუქმებამდე, ახალი გამგეობის შექმნამდე. პოეტიკული შედეგი ამ მუშაობას, თავისი ხანმოკლეობის გამო, არ მოუცია. ჩვენ შევეცადეთ ერთი სენი მოგვეშორებია საქ. კინო მრეწველობისთვის—**რეპერტუარის უსისტემობა.** ამ მიზნით გამოვიმუშავეთ რეპერტუარის საფუძვლები, პრინციპები, რომლებზედაც უნდა აგებულიყო ჩვენი რეპერტუარი, მისი იდეოლოგიური და მხატვრული მოდუსი, სურათების ტიპები და ნათი სოციალური და ფორმალური კლასიფიკაცია. ეს რეპერტუარის საფუძვლები პიროვნულად გადაეცა კინო მრეწველობის ხელმძღვანელებს, დაიბეჭდა „ნნათობში" და „ქართულ მწერლობაში" და საქმეც ამით დასრულდა. ის აღარ გამხდარა ხელმძღვანელოდ დაწესებულებისათვის. შესაძლებელია იმიტომ, რომ თავის შინაარსით იყო მიუღებელი, შეცდარი. ეს შესაძლოა, მაგრამ **არსებითია ის გარემოება, რომ კინო მრეწველობის რეპერტუარი განისაზღვრებოდა არა რაიმე დებულებით, წარმოების საპერსპექტივო გეგმით, სამხატვრო პოლიტიკით, არაშედ შემთხვევით მომუშავე პირების სიმპატიით.** ეს კი მეტად ცუდი საქმეა. კინო მრეწველობას ეკარგებოდა თავისი თავი იმ თავების ცვლაში, რომელთა სიმპატიით მათი მდინარების ერთ მომენტში იქმნებოდა რეპერტუარის ხასიათი. რეჟისორების ინდივიდუალობას ველარ ეგუებოდა დადგმები და ამით ნიადაგი ნოყიერდებოდა მათი დამარცხებისთვის ამ დარგშიაც კინო მრეწველობის საქ. საბჭომ ვერ შექმნა ზტკიცე სამხატვრო პოლიტიკა. მეორე პერიოდშიაც საქ. კინო მრეწველობამ ვერ შესძლო დიდი გამარჯვების მიღება. თუმცა გაუსწრო წინანდელ სეზონებს. ამით—დასრულდა მეორე პერიოდი. აქ დასრულდა სამხატვრო საბჭოს არსებობაც.

რა ახასიათებს საქ. კინო მრეწველობის მესამე პერიოდს, მიმდინარე სეზონს?

გამგეობის რეორგანიზაციის შემდეგ, ახალი გამგეობა გაფართოვებული უფლებებით ჩაუდგა სათავეში კინო მრეწველობას. გამოირკვა, რომ მას აქვს თავისი სამხატვრო პოლიტიკა, რეპერტუარი, რომელიც არ ეგუება არსებული სამხატვრო საბჭოს გეზს და პოლიტიკას. ამიტომ ჩვენ შეთანხმებით გავაუქმეთ სამხატვრო საბჭო და მისი ფუნქციები გადავიდა გამგეობის კომპეტენციაში. დაიწყო მუშაობა მიმდინარე სეზონისთვის, ძველ შეცდომათა გასწორებისთვის.

გამოსწორდა თუ არა საქ. კინო მრეწველობის შეცდომები? ჩვენის აზრი არა.

1) **კინო მრეწველობა კვლავ დაუბრუნდა ეტნოგრაფიულ მასალას** („ელისო" „ხაჯიმურატი" „შამილი" „ბოშის სისხლი" „სისხლიანი შურისძიება" „ჯანყი გურიაში" და სხ.) კვლავ ეტნოგრაფიით დაიტვირთა რეპერტუარი. კვლავ კუთხურ ნაჭუჭში მოექცა კინო შემოქმედება.

2) **ახალი სამხატვრო ძალების მომზადების საკითხი ვერ მოგვარდა.** ეს გენერალური საკითხი კვლავ ღიათ არის დარჩენილი. მარტო რეჟ. კულეშოვის მოწვევა რამდენიმე თვით საქმეს არ უშველის თუ არ შეიქნა გარკვეული სისტემა, წესი და პერსპექტივა სამხატვრო პერსონალის კვალიფიკაციის ასამაღლებლად. ამისთვის საჭიროა ხანგრძლივი დრო და სპეციალურად [illegible] ექსპერიმენტალური ლაბორატორიის მოწყობა.

3) **რეპერტუარის პრინციპები, სამხატვრო პოლიტიკა ვერ გამომუშავდა.** როგორც აქამდე ისე დღესაც, ის დარჩა ინ პიროვნებათა მხატვრულ პოლიტიკათ, რომელიც მუშაობს კინო მრეწველობაში. ამის შედეგია დაუსრულებელი გაუგებრობანი რეჟისურასა და ადმინისტრაციას შორის. სამხატვრო ნაწილში მომუშავე ლიტერატორები, მოწვეულნი მოსკოვიდან, სრულიად არ იცნობენ არც ჩვენს ყოფას, და არც რეჟისორთა მხატვრულ ინდივიდუალობას. ეს აფერხებს მუშაობას. ჰქმნის დაუსრულებელ დაბრკოლებებს.

4) **ლიტერატორები გაბატონდენ რეჟისურაზე.** მთავარი შემოქმედი, ფილმის ავტორი რეჟისორი საესებით დაუმორჩილდა ზემოდ აღნიშნულ ლიტერატორებს. ამით დაირღვა კინო ხელოვნების ძირითადი პრინციპი. ფილმის ავტორის როლში გამოვიდა არა რეჟისორი თავისი მხატვრული ინდივიდუალობით, არამედ სცენარისტი, ან ლიტერატორი, რეჟისორის ხელმძღვანელი, ფილმის შენების პროცესში.

5) **სეზონის საუკეთესო ნახევარი გაცდა ლიტერატორთა და ადმინისტრატიულ აპარატის მიერ რეპერტუარის გაურკვევლობით.** ივლისის პირველ ნახევარში (მაშინ როცა. სეზონი იწყება აპრილიდან) მუშაობდა მხოლოდ **სამი რეჟისორი.** უსაქმოდ იდგა ექვსი რეჟისორი*), თავისი ჯგუფებით ეს წარმოადგენს უდიდეს მხატვრულ-ფინანსიურ დეფიციტს წარმოებისთვის.

6) **გამარტივდა სარეჟისორო მუშაობა, სათანადო ძალების მომზადების ნაცვლად, ახალგაზრდა სარეჟისორო ძალებს ერთბაშათ, ერთ საწარმოო გეგმაში მიეცათ დადგმა ყველას.** ხარისხის ნაცვლად მთავარი გახდა რაოდენობა. ყველა ახალგაზრდა სარეჟისორო ძალა, რომლებიც უეჭველად წარმოადგენენ დიდ ღირებულებას, დაიტვირთა ერთბაშათ, რაც შესაძლებელ დამარცხების დროს დიდ რისკს წარმოადგენდნენ წარმოებისათვის.

7) **ადგილობრივ ლიტერატორთა ჯგუფის მუშაობა, რომელიც დაწყებული იყო მეორე პერიოდში, შეწყვეტილ იქნა.** ამით გრძელდება ის უცნაური მდგომარეობა, რომ ლიტერატორებით სავსე ქვეყანაში, ტფილისში, კინოს დარგში არც ერთი ლიტერატორი არ მუშაოაობს, როგორც სცენარისტი. გრძელდება კინო მრეწველობის პირველი პერიოდის თვისება, გარდაცვლილ ლიტერატორებზე ორიენტაციის აღება, ან ორიოდე ლიტერატორისთვის ავანსის მიცემა და მით დაკმაყოფილება. ტფილისი მდიდარია ქართველი, რუსი, სომეხი ლიტერატორებით, მაგრამ ჩვენ გზა ვერ გაუხსენით ამ ძალებს, რომ ელემენტარულად მაინც გაეცნოთ მათ კინო შემოქმედების კანონები. ამის გარეშე ისინი წარმოებისთვის გამოუსადეგარი არიან. ამიტომ ხდება კურიოზები— აჯარისტანის ან სვანეთის ყოფის გაცნობისთვის მოსკოვიდან ჩამოსული სცენარისტი სამი დღით, ან სამი კვირით, უნ-

*) დღესაც უსაქმოდ სდგას ორი რეჟისორი. ქ. ა.

და იქნას მივლინებული თარჯიმნით, რომ შემდეგ დასწეროს ყოფის სცენარი, ან გოგირდის აბანოში უნდა შევიდეს — როგორც განაცხადა ერთმა ლიტერატორმა — რომ მან დასწეროს ტფილისის ყოფის კომედია. ეს მოგვცემს ყოფის სრულ დამახინჯებას და ზედმეტი ხარჯების უანგარიშოდ გაწევას.

8) ლიტერატორების კარნახით რეპერტუარში შემოვიდა **„საწარმოო სურათები“**. სიუჟეტი **საბაბი გახდა** წარმოების პროცესების საჩვენებლად. „ლეფისტური“ გადახრის სენი, რომელსაც არ იზიარებს არც ერთი პროლეტარული მწერალი, არც ერთი მარქსისტი კრიტიკოსი, ადვილად შესათვისებელი გამოდგა კინო მრეწველობისთვის. ასეთი საზი ანგარიშს არ უწევს არც რეჟისორთა შემადგენლობას, მათ უნარს საწარმოო სურათების გადაღებისთვის. დასადგმელ თემებათ გამოვიდა—წავი ქვა, სიმინდი, წყალი, მთა, ჩაი, მეაბრეშუმეობა, მეფუტკრეობა, მეთევზეობა. ერთ ლიტერატორს, ან ლიტერატორთა მცირე ჯგუფს თუ ველარ გაურჩევია ერთმანეთისგან ხელოვნება და ხელოსნობა, საწარმოო შრომა და მხატვრული შემოქმედება, კინო მრეწველობაც მზად არის ასევე მოიქცეს. ამ გზით დღეს არსად, არც უცხოეთში, „არც საბჭოთა კავშირში სურათები არ იდგმება. **უცხოეთში ბუნებას აგებენ ატელიეში, რომ შეუგუონ სიუჟეტს და სცენის განწყობილებას, ჩვენში სიუჟეტს ილებენ როგორც საბაბს, რომ გვაჩვენონ როგორ კრებენ ჩაის, როგორ იჭერენ თევზს, როგორ** თოხნიან **სიმინდს.** დაიწყებულ იქნა ის ძირითადი დებულება, რომ ხელოვნებაში, კლასობრივი თვალსაზრისით, საინტერესოა არა წარმოების **პროცესები** (ასეთი **პროცესები** კაპიტალისტურ მეურნეობაში ნაკლებად არ არის) არამედ **კლასობრივი ფსიქოლოგია და იდეოლოგია გარკვეულ წარმოების პროცესების ნიადაგზე წარმოშობილი.** ამ ფსიგოლოგიისა და იდეოლოგიის ფარგლებში დასახული თემა და სიუჟეტი.

9) **როგორც მეცნიერული ფილმები ან უბრალო კინო ქრონიკები** საინტერესოა უშუალოდ წარმოების **პროცესები**, მეცნიერული მუშაობის **პროცესები**, ეტნოგრაფია, ძველი ნაშთები, ახალი მიღწევანი, აღმშენებლობის ფაქტები და სხ. ეს უკანასკნელი დარგი სრულიად უყურადღებოდ არის დატოვილი ჩვენი კინოს მიერ. რუსეთში მუშაობა სწარმოებს მეცნიერულ ფილმებისა და ქრონიკების გადასაღებად. აქ კი სანტიმენტალურ და სისხლიანი დრამების შესაქმნელად ზნე-ჩვეულების ნაშთების ფონზე, ან „საწარმაო სურათები“-ს დასადგმელად, სადაც სიუჟეტი საბაბი იქნება უშუალო **პროცესების** საჩვენებლად.

10) **კინო მრეწველობამ ვერ შეარიგა იდეოლოგიური მოთხოვნა თავის რეპერტუართან.** ეს შეუძლებელი საქმეც არის იმ სარეჟისორო კადრის დროს, რომელიც კინო მრეწველობაში მუშაობდა ძველად. მათ მიერ ჩვენ მივიღეთ მრავლად დამარცხებულ რევოლიუციონური ფილმები. მაგრამ დღეს კინო მრეწველობას ჰყავს ახალგაზრდა რეჟისორები. ისინი დაიტვირთა იდეოლოგიურად სრულიად არა საინტერესო მასალით (პუში—„ბოშის სისხლი“. შენგელაია „ელისო“ მაკაროვი—„ფერმა „მთამი“) ახლად მომუშავე რეჟისორთა შორის გამონაკლის წარმოადგენს საერთოდ რეჟ. კ. მარჯანიშვილი, რომელიც **თავისი-**

ᲕᲔ ᲘᲜᲘᲪᲘᲐᲢᲘᲕᲘᲗ სდგამს ვოინიჩის „კრაზანას". ჩვენ გვაქვს ასეთი გრანდიოზული მიღწევა და კინემატოგრაფიული ფაქტი, როგორიც არის ზაჰესი. ჩვენ გვყავს ასეთი თითქოს ლეგენდარული რევოლიუციონერი, როგორიც იყო კამო. ორივე მოვლენა თავის თავად კინემატოგრაფიულიც არის და ოქტომბრის 10 წლის აღსანიშნავადაც საუკეთესო მასალა. არც ერთი არ არის გამოყენებული ჩვენი კინოს მიერ. გვყავდეს კამო, გვქონდეს ზაჰესი და ილაბდე ოქტომბრის 10 წლის თავზე „მამილს" თუ „ელისოს" ან „სისხლიან ზღვისაკენ", რბილად რომ ვსთქვად, ვერ გაგებაა ვერც კინო ხელოვნების და ვერც თანამედროვეობის. ინტერნაციონალური ხელოვნება თავის ბუნებით ჩვენ ვაქციეთ ეტნოგრაფიულ ჭაობათ. კუთხურ-პარტიკულიარულ ჩვეულებათა აღმანახად.

11) საერთო უთავბოლობა შექმნა ყოველივე ზემოდ აღნიშნულმა. სამხატვრო ნაწილში თავი იჩინა უკმაყოფილებამ. ზოგი საჭირო ძალა, სარეჟისორო და არტისტიული, სრულიად ჩანოშორდა კინო მრეწველობას. რეჟ. ბარხუდაროვი (მუშაობდა ასისტენტად რეჟ. პერესტიანთან) და მს. მიხ. გელოვანი გადავიდენ სომხეთში სამუშაოდ. ჩვენ ვშიშობთ, რომ თუ ასეთი მდგომარეობა გაგრძელდა, ყველა არ წავიდეს, ვისაც წასვლა შეეძლება.

დასკვნა ერთია — **ჩვენი კინო მრეწველობა პირდაპირი და სწორი გზით მიდის დამარცხებისაკენ.** აქ პიროვნული ბრალი არაევის უდევს. საქმის უცოდინარეებმა ვერ დავაყენეთ დიდი ცოდნის მომთხოვნი კინო წარმოება. ვერც ჩვენ ვისწავლეთ რამე და არც ნასწავლი მოვიწვიეთ. საქმის გადაჭრას შეეცადეთ უმარტივესი კუსტარობით.

სად არის გამოსავალი? **გამოსავალია — საქ. კინო მრეწველობის გენერალური რევიზია,** ყველა შეცდომების პირდაპირი და აშკარა დანახვა. შეცდომის ნახვა სანახევროდ საქმის გაკეთებას უდრის. **ალება ჩვენი კინო მრეწველობის მხოლოდ მატერიალური საფუძვლის და განადგურება იმ სისტემისა და მეთოდის, რასაც ადგილი ჰქონდა და აქვს დღესაც. მთავარი ყურადღების მიქცევა ხარისხისა და არა რაოდენობისაკენ. წარმოების ქცევა წარმოებათა და სკოლად, ლაბორატორიათ ერთსა და იმავე დროს. მცოდნე რეჟისორის მოწვევა ლაბორატორულ მუშაობის სახელმძღვანელოდ. სისტემატიური მივლინებანი სათანადო სანდო მუშაკების რუსეთში და უცხოეთში კინო საქმის შესწავლის მიზნით. რეპერტუარისა და სამხატვრო პოლიტიკის მტკიცე განსაზღვრა. საპერსპექტივო გეგმის შედგენა მხატვრულ-საწარმოო ამოცანების გადასაჭრელად.**

აშკარაა ყოველი ამ დებულების დამუშავება ცალკე სისტემატიური მუშაობის საქმეა. აქ ჩვენ ამ საქმეს ვერ შეუდგებით. ჩვენ მხოლოდ ვაყენებთ ამ დებულებებს. შეიძლება სხვათა აზრით არაფერიც არ არის საჭირო. ჩვენ კი გვსურს პირუთვნელი ვალი მოვიხადოთ. გულგრილი ლოდინის პოლიტიკას არ გავყვეთ. არ დავფაროთ საერთო ნაკლი. არც ბევრი შეცდომა საკუთრივ ჩადენილი. შეცდომებზე ხომ სწავლაა საჭირო. სწავლა კი მას შეუძლია, ვინც ნასწავლად თავს არ იგულებს. ცოტას ვხედავთ ასეთ ხალხს ხელოვნების დარგში საერთოდ და კინოს დარგში კერძოდ. ჩვენში ყოველი საფუძველი არსებობს კინო ხელოვნების ასაღორძინებლად. სირცხვილიც იქნება, სხვა არა იყოს რა, ასეთი დიდი კულტურული, მხატვრული და კომერციული საქმე დავლუპოთ.

სოფიო თარხნიშვილი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

დიმიტრი და ალექსანდრე ყაზბეგები

(დასასრული)

გაბრიელ დიმიტრის ძე ყაზბეგი

გაბრიელ ყაზბეგი იყო დიმიტრი ყაზბეგის და მისი ცოლის კობიევის ქალის შვილი. იმას არ ჰყვანდა არც ძმები, არც დები, მხოლოდ ჰყავდა ერთი ბიძაშვილი ადამი, რომელსაც ჰყავდა ერთი და. დანარჩენი ყაზბეგები იყვნენ შორი სახლის კაცები.

როცა მეფე ირაკლი შეუკავშირდა რუსეთს, იმას ებარა ხევი, როგორც ჭკუიან კაცსა და იმ დროში ნასწავლსაც, რადგანაც ყაზბეგიანთ გვარი კავკასიის ხალხში ყოველთვის პატივცემული იყო, და გაბრიელ ყაზბეგს ამ ხალხზე დიდი გავლენა ჰქონდა.

საქართველოს მიჯნა თავდებოდა დარიალში, იმის იქით იწყებოდა ოსეთი, რომელიც, როგორც კავკასიის სხვა ხალხნი, თუმცა არ იყო საქართველოს ნაწილი, მაგრამ მაინც კავშირი ჰქონდა საქართველოსთან.

ოსეთის მიჯნა ოდესღაც ეხლანდელ როსტოვში თავდებოდა. მდინარე დონი ოსებისა იყო. „დონი" ოსურად წყალსა ჰქვიან. როცა რუსეთთან შეკავშირება მოხდა, ბევრნი ალექსანდრე ბატონიშვილის მეთაურობით არ ემორჩილებოდნენ რუსის მთავრობას. აგრეთვე ხევის ხალხიც და კავკასიის სხვა ხალხნიც.

მეფე ირაკლიმ გაბრიელ ყაზბეგს დაავალა, რომ დაეთანხმებინა ხევის ხალხი და ოსებიც. გაბრიელ ყაზბეგმა ისინი დაარწმუნა, რომ ესენი უომოდ შეუკავშირდენ რუსეთს. თვითონ გაბრიელი იმ აზრისა იყო, რომ საქართველოს უქომაგოდ ცხოვრება აღარ შეუძლიან, იმისი მეზობლები მაჰმადიანის სარწმუნოებისანი იყვნენ; ერთის მხრით სპარსეთი და მეორის მხრივ ოსმალეთი ანადგურებდენ საქართველოს, უხოცავენ საუკეთესო შვილებსა, ხოლო უფრო ნიჭიერსა და ლამაზ ქალებს იტაცებდნენ და ავსებდნენ თავიანთ ჰარამხანებს. ეს შეკავშირება რომ მოხდა, გაბრიელს ეშინოდა, ამ ქვეყნებს მაინც დაიპყრობენ და ისევ ნებაყოფლობით სჯობს შეკავშირებაო.

ოსები და ხევის ხალხი უომოთ შეუკავშირდნენ, დანარჩენი კავკასიის ხა-

ლხები კი შამილის მეთაურობით ეომებოდნენ რუსეთს. ამ ომმა გასტანა 1859 წლამდე. ამ წელს რუსეთმა საბოლოოდ დაიპყრო კავკასია.

თუმცა ხევიც შეუკავშირდა, მაინც რუსეთის გარნიზონს იქნები ხალხი ფულითაც არ აძლევდა საჭირო საზრდოს, ისევ გაბრიელი შოულობდა როგორც თავისთვის ისე რუსის ჯარისთვისაც, რაც გარნიზონის ნაჩალნიკმა შეატყობინა რუსის მართველობას. გაბრიელ ყაზბეგი რუსებისგან დაჯილდოებული იქნა: მისცეს დიდი მიწები, ღენერლობაც და მისი თხოვნით ყველა ყაზბეგებს სამხედრო ხარისხები დაურიგეს. მას აქეთ დაერქვა სოფელ სტეფან წმინდას ყაზბეგი, სადაც სცხოვრობდნენ ყაზბეგები, და მყინვარსაც ეს სახელი დაარქვეს.

რუსები შეუკავშირდენ საქართველოს იმ პირობით, რომ საქართველოს უნდა ჰყოლოდა თავისი მეფე, თავისი ჯარი, თავისი ხაზინა.

ირაკლი მეფის სიკვდილის შემდეგ ტახტზე ავიდა გიორგი მეცამეტე, რომელსაც არც ერეკლეს ჭკუა ჰქონდა, არც მისი სასიათი, მან ვერ შესძლო წინააღმდეგობის გაწევა. რუსებმა დაარღვიეს ხელშეკრულება.

ამბობდენ, გიორგი მეფე მოწამლესო, ვითომ იმის სიკვდილის შემდეგ აღმოჩენილიყო ანდერძი, რომლითაც გიორგიმ საქართველო რუსეთს უანდერძაო. რასაკვირველია გიორგი მეფეს ამის ნება არა ჰქონდა, და კიდეც ამბობდნენ: თავის დღეში იმას ეს ანდერძი არც დაუწერიაო. იმის სახელით ეს ანდერძი დაწერა ზაქარა არღუთასშვილმა, რომლის ძმა იმ დროს სცდილობდა სომხების კათალიკოსობას, რაც რუსების შეწეობით მიიღო კიდევაც. რუსებმა იძალადეს. გიორგი მეფის სიკვდილის შემდეგ დაარღვიეს ეს პირობები, და საქართველო რუსეთის ნაწილად გადააქციეს. ჩრდილოეთი ოსეთიც, როგორც გამოკვეულია მეცნიერ ვირხოვისა და მილერისაგან, ადრევე ყოფილა ქრისტიანული ქვეყანა. იქ ეხლაც იპოვება ბევრი ძველებური ეკლესიის ნაშთი. მაგრამ იმ დროს, როცა რუსები შეუკავშირდნენ, ისინი მაჰმადიანები იყვნენ. ზემო მოხსენებული ნასწავლები ამტკიცებენ, ოსები გერმანიის ხალხის ჩამომავალნი არიანო, დარჩენილი იმ ადგილას ჯვაროსნობის ომის დროს.

რუსები რომ მოვიდნენ, ნათვლა დაუწყეს ოსებს. მათი კეთილშობილები არ ინათლებოდნენ. გლეხები კი ინათლებოდენ. სიყმაწვილეში გამიგია მოხუცებულ ოსებისაგან: ყოველ სოფელში ნათლავდნენო. მონათვლის დროს გვაძლევდნენ ვერცხლის ჯვარს, ვერცხლის ბანეთსა და საპერანგეს. ჩვენც სოფელ-სოფელ დავრბოდით და ვინათლებოდით. ბევრნი ხუთმეტჯერაც იყვნენ მონათლულები.

ამ შეკავშირების დროს ოსის კეთილშობილები—ალდარები გეროლდიაში ჩათვლილები არ იყვნენ, მაგრამ რუსის კანონების მეათე ტომში მოხსენებული იყო, რომ ალდარებს აქვსთ ყველა კეთილშობილების უფლებანიო.

სიტყვა ალდარი ნიშნავს ბატონს. რადგანაც კარგი გვარის-შვილები, არ ემორჩილებოდნენ რუსებს, ამის გამო ყოველ ოჯახიდან მიჰყვანდათ ამანათები —მძევლები,—რომლებსაც რუსეთში სამხედრო სასწავლებელში აძლევდენ და ნათლავდენ კიდევაც. კავკასიის კარგ გვარის შვილებში მონათვლა ძალიან

ემძიმებოდათ, მაგრამ ყაზბეგიანთ გვარი იმდენად პატივცემული იყო კავკასიის ხალხში, რომ ისინი ირთავდნენ ყაზბეგიანთ ქალებს და ამისთვის ინათლებოდნენ, ყველა ყაზბეგიანთაც ჰყავდათ ამათი ქალები. ბებია ჩვენი, გაბრიელის ცოლი, ჩერქეზთა ბატონის მურთაზოვის ქალი იყო. პაპაჩვენის ბიძაშვილმა ადამმა შეირთო ოსის ბატონის შვილის დუდაროვის ქალი. დაც-ემბეგ-ბატონის შვილს მისცა. ყველა ყაზბეგებსაც ოსის ბატონისშვილების ქალები [illegible]ებად.

იმ დროს ყოველი გამომვლელი საქართველოსკენ ბაჟსა ხდილობდა, აგრეთვე საქართველოდან წამსვლელიც. დარიალში იმ ბაჟს ახდევინებდენ და ამ ფულებს აბარებდნენ გაბრიელ ყაზბეგს. დარიალის იქით, ოსის მიჯნაზე, ამ ბაჟს ოსის ბატონის-შვილები ჰკრეფავდნენ: ესენოვები, გუნდუხოვები, დუდაროვები.

გაბრიელ ყაზბეგის ცოლს მონათვლის დროს დაარქვეს ელისაბედი, მათ ყავდათ ხუთი შვილი: მიხეილი, ნიკოლოზი, სოფიო, (რომელიც მისოხოვდა გრიგოლ ყარანგოზოვს მამის სიცოცხლის დროსვე), ეკატერინე და ნინო.

მიხეილ ყაზბეგი რუსეთში გაიზარდა, სამხედრო სასწავლებელში, ემსახურებოდა იქვე, გვარდიაში. არ იყო დიდად ნასწავლი, არც დიდი გამოჩენილი ჭკვის პატრონი, იყო საერთოდ ტიპი სამხედრო კაცისა. მაგრამ არასოდეს არ ყოფილა იმისთანა ურიგო ადამიანი, როგორც გამოჰყავს მის შვილს ალექსანდრეს და მის ქმაგებს. არც უჭირდა მას, რომ ფულების შეძენისათვის უწესო საქმეები მოუხდინა, რადგანაც დიდი შეძლებაც დარჩა და ყოველთვის დიდი ჯამაგირიც ჰქონდა. გამიგონია მამიდაჩვენის სოფოისაგან, ოქროს ფულები პარკებითა გვქონდაო. დედა-ჩვენი არც თვითონ კადრულობდა არც ჩვენ გვათვლევინებდა ფულს—ხელები გაგიჭუჭყიანდებათო, მხოლოდ მოახლეები სთვლიდნენ ამ უამრავ ფულებს.

როცა გაბრიელი გარდაიცვალა, ეს დიდი ქონება გაიყვეს მიხეილ ყაზბეგმა და მისმა სიძემ სოფიოს ქმარმა, გრიგოლ ყარანგოზოვმა. სხვა შვილები პატარები იყვნენ და იმათ არაფერი ერგოთ-რა ამ დიდი ქონებიდან. ნიკოლოზს მამულის წილი მისცეს, ეკატერინესა და ნინოს სრულებით არა მისცეს-რა.

მიხეილ ყაზბეგი ძალიან ლამაზი, თვალტანადი ყმაწვილი კაცი იყო. პირველად შეირთო საგინაშვილის ქალი, რომელიც ძალიან ჭკვიანი, კეთილი, ლამაზი ქალი იყო და იმ დროისთვის ნასწავლიც. მისი დეიდაშვილი ნიკოლოზ ბარათაშვილი ზაფხულობით მასთან სცხოვრობდა და ბევრი თავისი ლექსებიც ყაზბეგში დასწერა. აგრეთვე მისი ნათესავი იყო გრიგოლ ორბელიანიც, რომელიც ხშირი სტუმარი იყო ყაზბეგში და ბევრი ლექსებიც დასწერა იქ.

როცა საგინაანთ ქალი გარდაიცვალა უშვილოდ, ბიძა-ჩვენმა მიხეილმა შეირთო თარხნიშვილის ქალი, თუმანიანთ ქვრივი, რომელსაც ჰყავდა სამი ქალი პირველი ქმრისაგან. ნიკოლოზ ყაზბეგმა დაასრულა ქალაქის სკოლა. ცოტა ხანს თუმცა სამხედრო სამსახურშიც იყო, მაგრამ არ მოსწონდა სახელმწიფო სამსახური და თავი დაანება. დაიწყო სოფელში ცხოვრება და მუშაობა. ძალიან ჭკვიანი კაცი იყო და საკმარისად ნასწავლი, ლექსებსაც სწერდა. შეირ-

თო ძალიან ჭკუიანი და ლამაზი ქალი, ოსის ბატონიშვილის დუდაროვის ასული. ყველა შვილები მშვენივრად დაზარდა.

ეკატერინე და ნინო გაბრიელის ქალები ბავშობის დროსვე იქვნენ დანიშნულები ორივენი დუდაროვებზე, რომლებიც რუსეთში დაიზარდნენ. იმ დროს დაარსდა კომისია, რომელიც არჩევდა მამულების და გვაროვნების უფლებებს. ეს კომისია ისე გათავდა, რომ რევოლიუციამდისაც კი ვერ [illegible] ეს საგანები. საქმეებს ვერ ასრულებდნენ, მხოლოდ სჭამდნენ დიდ ჯამაგირებს. იმ კანონის მუხლით, რომ ალდარებს ჰქონდათ კეთილშობილთა უფლებანი, იმათი შვილები მაინც სახელმწიფო ხარჯით სწავლობდნენ რუსეთში.

იმ დროს კავკასიელი ყმაწვილები ვერ იტანდნენ რუსეთის ჰაერს, ჭლექდებოდენენ და ძალიან ყმაწვილები იხოცებოდნენ. ეკატერინე მალე დაქვრივდა. რადგანაც ოჯახი მაჰმადიანური იყო, ისინი არ იშლიდენ შაჰმადიანთ წესებს. ეკატერინე ლამაზი და ჭკუიანი ქალი იყო. მისმა მაზლმა მოინდომა მისი შერთვა, მაჰმადიანური წესი უფლებას აძლევდა: ძმის სიკვდილის შემდეგ ქვრივს მისი ძმება ირთავდნენ.

ეკატერინემ არ მოინდომა ამ წესის შესრულება, და უთხრა „მე ქრისტიანი ვარ და ჩვენში ეს შეუძლებელია, ჩვენ მაზლი ძმად მიგვაჩნია“, მაგრამ მაზლმა მოინდომა ქალის დამორჩილება: თავის თოფ-იარაღი ეკატერინეს ოთახში შემოიტანა და ჩამოჭკიდა, რაც ამტკიცებდა, რომ მან ის ქალი შეირთო. ეს ამბავი ლარსის ციხეში მოხდა, იქ სცხოვრობდნენ. ეკატერინე ციხიდან გადმოვარდა, მოკვდა. ამ შემთხვევის გამო ოსურ ენაზე მშვენიერი ლექსებია გამოთქმული.

ამ ამბის შემდეგ ეკატერინეს უმცროსმა დამ ნინომ არ მოინდომა დუდაროვის შერთვა, სთქვა: ჩემს დას ერთი მაზლი ჰყავდა, მე კი ექვსი მეყოლება და სუყველანი ჩემს შერთვას მოინდომებენო. ეს საქმე სინოდამდის მივიდა. დუდაროვები არ ყაბულობდნენ და ძალით მოტაცებას უპირებდნენ. სხვა იმის შერთვას არავინ გაჰბედავდა, მოჰკლამდნენ. მისი საქმროს ძმები ყაჩაღად გავარდნენ და იკლებდნენ იქაურობას. მისი საქმრო მალე მოკვდა, ნინომ შეირთო ოსის ალდარი, გვარდიის ოფიცერი ესენოვი.

ოსები თუმცა ინათლებოდნენ, მაგრამ მაჰმადიან წესებს თავს არ ანებებდნენ. წესად ჰქონდათ: კარგი ოჯახიდან უნდა მოეყვანათ გლეხი ქალი, რომელსაც ჰყვაროობდნენ, მაგრამ იმ ქალს ნება ჰქონდა სხვებიც შეეყვარებინა. იმათ შვილებს მაინც ეძლეოდათ ის გვარი, ვის სახელზედაც იყვნენ მოყვანილნი, მხოლოდ ესენი კეთილშობილნი არ იყვნენ, ინათლებოდნენ, ხოლო ისინი კი, რომლის სახელზედაც იყვნენ მოყვანილნი მათი დედები, რჩებოდნენ მაჰმადიანებად. იმ ქალის ვაჟებს ცოტა წილს აძლევდნენ, მიწაშიც, და სხვა ქონებაშიც, როცა იმათი ვაჟები გაიზრდებოდნენ.

ოსებში იყო სამი გვაროვნობა: 1) „ალდარები“, ე. ი. ბატონები. 2) „ფარსაგლებები“, ე. ი. გვერდზე მდგომები და 3) იმ ქალების შვილებს, რომლებიც იყვნენ ბატონის სახლის ცოლათ მოყვანილნი, ერქოთ „ქავდას არდი“, ე. ი. ბოსელში ნაყოლები. გარდა ამისა, იმათ ბატონებს ნასყიდი ყმებიც ჰყავ-

დათ (ქართველ ბატონებისაგან, უკანასკნელ დროს კი რუსის ნემამულეებისაგან) ქისტები და სხვა კავკასიელი ლარიბი ხალხი, თავის შვილებსაც მიჰყიდიდნენ ხოლმე. ბიძა ჩემებს ჰყავდა ორი ოჯახი ნასყიდი, ერთი ოჯახი, ევონებ ათ სულამდე თითო სახლობა, ცხენზე გადაცვლილი იყო, მეორე ოჯახი კი მწევარ ძაღლზე, ქართველ თავადებისაგან.

შვიდი წლისა ვიყავი. მე და დედაჩემი ვცხოვრობდით [illegible] წელიწადი გავიდა, რაც მამაჩემი მოკვდა, მაგრამ დედა-ჩემი [illegible] იყო, თითქო ქმარი წინა დღით მოუკვდაო. არსად დადიოდა. მხოლოდ იშვიათად ეკლესიაში წავიდოდა. არაფერი არ ეინტერესებოდა, ნახევრაზე მეტად ლოგინში იწვა.

ჩვენთან ბიძა ჩემი მიხეილი მოვიდა და დედაჩემს უთხრა: შენთან სათხოვარი მაქვს: უნდა მათხოვო, რაც დიდი მთავრის მისაღებად მჭირდებაო. მაშინ დიდი მთავარი ნამესტნიკად იყო დანიშნული. იმ დროს არ იყო რკინის გზები, საქართველოში ყოველი მიმსვლელ-მომსვლელი ყაზბეგზე გამოივლიდა და ყოველი დიდკაცობა ჯერ ჩამოხტებოდა პაპაჩემ გაბრიელთან, მის შემდეგ კი ბიძა-ჩემთან მიხეილთან.

მიხეილმა დედა-ჩემს გამოართვა ოთხი ძვირფასი ეტლი, ათი ძვირფასი ცხენი, მრავალი ძვირფასი თოფი, იარაღი, ათი დიდი თავრიზული ხალიჩა, ორი ფუთი ვერცხლეული, ორი ყუთი სუფრა და ხელსაწმენდი. სთხოვა აგრეთვე დედა-ჩემს, სონაც გამომატანეო. ფრანგის სახლობა მყავს. ის ქალები, რომელიც გვყვანდა, იორდანეს მოყვანილები არიან (იორდანე იყო იმის უფროსი მხლებელი) არ გამოგვადგა, პირველი უსწავლელი და გერმანელი ყოფილა, მეორე კი კეკეს არ მოეწონაო.

— მართლაც, იორდანეს როგორ შეეძლო მასწავლებლების არჩევა!—უთხრა დედა-ჩემმა

— ეხლა მე თითონ მოვიყვანე, ძალიან პატიოსანი ფრანგის ოჯახია. სონას სასწავლებლისათვის კარგათ შეამზადებენ.

მე და ბიძა ჩემი გავემგზავრეთ ყაზბეგისკენ. პირველად გავიცანი ძალუა კეკე (მიხეილის ცოლი) და სანდროც, რომელიც იყო ჩემზე ცხრა წლით უფროსი, 16 წლისა, მან და იმის აღზრდამ გამაკვირვა. თუმცა ბავშვი ვიყავი, დედით ერთაც. იმასავით ნებიერი ჩემს სახლში, მაგრამ მაინც მე სხვა მესმოდა, სხვანაირად მზრდიდნენ.

მოვედი და ვნახე ის დიდი სახლები. შევედი დიდს დარბაზში, საცა მორიგე მრავალ მოსამსახურეებს კერძს ურიგებდა. თურმე სამოცდა ათი მსახური ჰყავდათ. მორიგემ მიამბო: „ყოველდღეს ცხვრებსა ვხოცავთო“, და მაჩვენა დიდი კასრები, თან მითხრა:

„აქ ყველი და ერბო ინახება, მუდამ სავსეაო“.

— ბევრი ცხვარი ჰყავს შენს ბიძას, ძროხებიც ბევრი ჰყავს, იმათაც ხშირად ვხოცავთ.—თანაც დაუმატა:—საკვირველია: ეს ბავშვი, ყველას კითხულობს, ყოველისფერის ცოდნა უნდა.

ეს იყო ზაფხულში. იქვე იყო ჩვენი ბიძა-შვილი ფიდო ყაზბეგი, თორმეტი წლისა, ქალაქის პირველი გიმნაზიის მოწაფე, ძიას ვკითხე:

— ფრანგულს როდის მასწავლიან, ძია?

— ჯერ ცოტა დაისვენე, მოასწრობ.

მპატიჟებენ: ქისტის ქალები ჰყავთ მოპატიჟებული სამკალად. „წავიდეთ, კაი სანახავია“,—და წამიყვანეს.

მართლა მშვენიერები იყვნენ: ლამაზი, თეალადი და ტანადი ქისტები. გასათხოვარი ქისტის ქალები თავისუფლად იზრდებიან, მუდამ შეიარაღებულ არიან ვაჟკაცებში, როგორც ამხანაგები. ხოლო გათხოვილი ქალი ვაჟკაცებთან აღარ გამოჩნდება. ქალები ისე მშვენივრად მკიდნენ, გეგონებოდათ ერთი ნამგლით მკიანო, თანაც საუცხოოდ მღეროდნენ.

იმავე საღამოს ერთმა სანახავმა გამაკვირვა, რასაც დაჩვეული არ ვიყავი, აბა სად ვნახავდი ტიტველა ვაჟკაცს! დედა-ჩემის სახლი მონასტერს ჰგვანდა, თუმცა ვაჟკაცი მსახურებიც ბევრი ჰყავდა. მოიტანეს დიდი ტაშტი და ტიტველი ალექსანდრე ჩასვეს. თავს ადგა ლაქია იაკობი. მოახლეები კი აბანავებდნენ.

ძალიან შემრცხვა. მეორე ოთახში გავედი, ძალუა გამოვიდა და მკითხა:

— აქ რათ გამოხვედი?

მე ვუთხარი:

— არ შემიძლიან ტიტველ ვაჟკაცს ვუყურო. ჩვენსა არც მე და არც არავინ ტიტვლები არ გამოვჩნდებით ხოლმე.

ძალუამ მრისხანედ შემომიტია:

— მიჰქარავ! განა სანდრო ვაჟკაცია? ბავშია.

ბიძა ჩემს უნდოდა, რომ ფიდოს და მეც ფრანგული გვესწავლა, უთხრა ბოს. ის სიამოვნებით დაეთანხმა, სთქვა:

— სანდრო ხალისიანად ვერ სწავლობს. როცა ამათაც ვასწავლი, სვინდისი აღარ შემაწუხებს, ვითომ ფულებს მუქთად ვიღებდე.

როცა ძალუამ შეიტყო, რომ კორბომ მე და ფიდოს უნდა გვასწავლოს, ისიც მუქთად, მისმა ზვიადმა გულმა ჩვენთვის ესეც არ გამოიმეტა. აუკრძალა კორბოს, ბიძა-ჩემსაც ძალიან გაუწყრა:

— დიდი საქმეა, თუ ოსის გომბიოს შვილებმა ფრანგული არ ისწავლეს!

— შენს შვილებზე უარესები არ არიან.—მიუგო ბიძამ.

კეკემ დიდის წყრომით უპასუხა:

— იესიან, დავითიან, სოლომონიან, ბაგრატოვიანთა და ღვთის მშობლის ნათესავები ვართ! აბა რა ღირსნი იყვნენ ყაზბეგიანი, რომ იმათი რძალი გავმხდარიყავი!

— მაშ რათ შეირთეთ ბიძა-ჩემი—ჩაეკითხე მეც. ის სხვას შეირთავდა, ის სხვა ვინმე არ დაგვაყვედრებდა ნათესაობას.

ძალუამ კარგად გამბერტყა, დამემუქრა:

— მეტიჩარა ხარ, დიდ მთავარს და კნეინას აღარ გაჩვენებ, იმათაც ეტყვი რასმესო.

ეს ყველაფერი მაშინ მოახდინა, როცა გაჯავრებული ბიძა-ჩემი თავის ოთახში აკიდა ზევით, და სადილათაც აღარ ჩამოვიდა. თურმე ამისთანა უსიამოვნება ხშირი იყო იმათში.

დედამ იმ პირობით გამომიშვა, რომ ძიამ დაარწმუნა: დიდ მთავარსა და კნეინას გავაცნობ და ეს შენთვისაც სასარგებლო იქნებაო. ძალუამ იცოდა ეს დაპირება. მაგრამ როცა დიდი მთავარი და კნეინა მოვიდნენ, ძველ სახლში ჩამკეტა. იმათ წასვლამდე მშიერი ვეგდე იქ. დედა ჩემს კი მიუწყრა. ბოლოს დიდ კნეინას კალთაში უჯდა. ძალიან მოეწონა. ყოველისფერს შენს თხოვნას შეასრულებს, ძალიან ნებივრათ გვყავსო.

მე კი მტყეპავდნენ, და იმასაც არ მაძლევდნენ რასაც, დედა მიგზავნიდა. ერთხელ შევესწარით მე და ფიდო: ჩემს დედას გამოეგზავნა კამფეტები, მურაბა, ნაცხობები. ძალუა, სანდრო და ძალუას შვილის-შვილი მიირთმევდნენ. ჩვენ კი გვითხრა:

ეს წამალია, თქვენ არ გეჭმევათო.

— ვიცი რა წამალიც არის. დედა-ჩემს გამოუგზავნია, მაგრამ მე და ფიდო თქვენისთანა ავმუცლები არა ვართ. თქვენთვის დაგვითმია, ვუპასუხე მკვახედ.

დაჩვეული ვიყავი ჩემს სახლში: მე ყველაფერს მაპატიებდნენ—ცელქობას, დიდი ხნით დაკარგვას, რისამე გატეხას, და ვინც ან დაჰკარგავდა ან გააფუჭებდა, ან გასტეხდა რასმეს, რომ იმათთვის არ გადაეხდევინებინათ, მე დავიბრალებდი ხოლმე. დედამ იცოდა ეს ჩვეულება. მაპატიებდა ხოლმე, მხოლოდ მეტყოდა: „რა უბედურებაა ამდენი ხიფათი!“.

აქაც ისე დავიწყე როცა ჩემ გულკეთილობისათვის რამდენჯერმე გამლახეს, თავი დავანებე ამ ჩვეულებას. ძალიან გამაკვირვა: შევატყე ალექსანდრეს, რომ ენის ტანტალი უყვარდა. შევარცხვინე:

— არა გრცხვენიან?

— შენ სულელი ხარ—მიპასუხა—რა გესმის! მე რომ მამას ვუამბობ, უიმისოდ დედა რასაც სჩადის, ან რას ამბობს ხოლმე, მამა ფულებს მაძლევს. აგრეთვე იქცევა დედა ჩემიც, თუ მიუტან მამის ნათქვამს, ისიც ფულს მაძლევსო.

— დიდი სირცხვილია, მაინც ვარიგებდი.—მე რომ მექნა მაგისთანა ჩვენს სახლში, გამკიცხავდნენ ბორებისთვის და აღარავის ვეყვარებოდი.

ამ ჩემს ტანჯვას და ჯოჯოხეთს ბოლო არ ექნებოდა, რომ ჩემს ბედზე ჩემ ბიძაშვილს ოლგას კურსი არ დაესრულებინა მოსკოვში და ბიძა-ჩემს ნიკოლოზს თავის სახლში არ გადავეყვანე. მაინც ჩემმა ტანჯვამ ორ წელიწადზე მეტი გასტანა. ბოლოს იმ ჯოჯოხეთიდან სამოთხეში ჩავვარდი—ნიკოლოზისას

კორბო წავიდა. მას შემდეგ მოიყვანეს გუვერნიორი ქალი ვინმე პრენცლეინისა. უცნაური ხასიათის ქალი იყო. სანდრო მას არ ეპუებოდა, არ სწავლობდა. ქალს ჭარბად უყვარდა ჭამა და სხვა არა აწუხებდა-რა. იმის შეგირდი რომ არ სწავლობდა, ეს იმისთვის სულ ერთი იყო.

იმ ხანებში ვარშავიდან მოვიდა მიხეილის ბიძის-შვილი, ამილახვარის სიძე, ფაცო ყაზბეგი, მშვენიერი ლაპარაკი იცოდა. ისე გაერთვებოდა ლაპარაკში რომ ჭამაც კი ავიწყდებოდა. პრენცლეინა მიუჯდებოდა, ნებას სთხოვდა და კერძს შეუჭამდა.

ერთხელ, როცა ეს ქალი ჩვეულებრივ წასწვდა იმის კერძს, იმან ხელი სტაცა და უთხრა.

— უკაცრავად, დღეს მე თითონაც ძალიან მშიან.

ეს ქალი მალე წავიდა ყაზბეგიდან. სანდროს უცებ ესეფრეველი მოუვიდა, სონამაც ფრანგული უნდა ისწავლოსო. მისი ოთახები ზემოთ სარდაფზე ყო, მე კი პირველში, ძალუას ოთახში ვიწექი. როგორც კი დავიძინებდი, სანდრო მომივარდებოდა:

— წამო ზევით, ფრანგული უნდა გასწავლო!

დიდი თმები მქონდა, იმ თმებით დამითრევდა, მძინარეს მეტყოდა რამდენიმე ფრანგულ სიტყვას და დაიქინებდა:

— სანამ არ ისწავლი, აქედან არ გამოგიშვებ.

მე ვეხვეწებოდი—ჯერ წერაი და კითხვა მასწავლე, მერე ზეპირად დავისწავლი მეთქი.

ის ისევ მაჯერებდა: „წერა-კითხვა არ გინდა, ზეპირად დაისწავლეო“. უცებ მოსხლტებოდა, სადმე გაიქცეოდა და მეც და ის სიტყვებიც ვავიწყდებოდით. მე კი ოთახში ვლრიალებდი. ასე მაწამებდა. ხელის შემშლელი კი არავინ ჰყავდა, არც მე მყავდა მშველელი.

მოსამსახურეებს ძალიან ვებრალებოდი, ვინც ერთი სიტყვა იცოდა კორბოსაგან გაგონილი—მეტყოდა:

— ეს სიტყვები დაისწავლე. სულ ერთია, სანდროს არ ახსოვს, რომელი სიტყვების დასწავლა დაგავალა.

მეც დავისწავლიდი. სანდრო მეორე დილით მოვიდოდა. მოახლეები ეტყოდნენ:

— სონამ დაისწავლა ფრანგული სიტყვები, გამოუშვი.

მეც გამოვიდოდი—დაქანცული, ძარღვებ მოშლილი. ჩემს ბიძა ნიკოლოზს ძალიან ვებრალებოდი. ხშირად ამბობდა:

— ამ საწყალ ობოლ ბავშვს სტანჯავენ. უნდა ვუშველოთ რამე.

იმას რომ არ გამოვეყვანე იმ ოჯახიდან, უეჭველად გავგიჟდებოდი.

ამ ტანჯვაში დავყავი კიდევ ერთი ზაფხული. ერთხელ ალექსნდრემ შაქროს თოკი გააბმევინა ზემო აივნიდან გალავნის კედლამდე. გალავანი დიდი იყო; ქვით მოფენილი. დაიქინა: ამ აივნიდამ ამ თოკზე გალავნის კედლამდის უნდა გადახვიდეო.

— არ შემიძლიან,—ვეუბნები,—თოკი გაწყდება. ან რათ გინდა რომ თოკზე ვიარო?

— აკრობატობა უნდა გასწავლო—გაიძახოდა.

რა თქმა უნდა, უარი ვუთხარი. ძალიან გაჯავრდა. თმებში ხელი მტაცა:

— თუ არ გახვალ ამ თოკზე ეხლავე აქედან გალავანში გადაგაგდებ.

და მართლა მოინდომა ჩემი გადაგდება. ჩემს ყვირილზე ბიძა ჩემი გამოვიდა და ჩემი თავი ხელიდან გამოსტაცა. ერთი წამითაც რომ დაეგვიანებინა ბიძა-ჩემს, უეჭველად გადამაგდებდა.

ერთხელ სტუმრად მოუვიდათ სამხედრო მინისტრი, მილიუტინი თავისი ქალიშვილით. ის ქალი მშვენივრად უკრავდა ფორტოპიანოს, კარგი ტროიალი ჰქონდა ბიძა-ჩემს. როცა იმ ქალმა გაათავა, ძალუამ დაიკვეხა:

ჩემი შვილიც კარგად უკრავს. სადილის უკან დაუკრავს.

როცა სასადილოში გამოვიდნენ სანდრომ მითხრა:

— ჩქარა დიასახლის ნინოს სთხოვე, თაფლი გამომიგზავნოს ულლუვე.

როცა თაფლი ამოვიტანე, სანდრომ საჩქაროთ ეს თაფლი ფორტოპიანოს კლავიშებზე წაუსვა. მერე ხელები დაიბანა და სასადილოში შევიდა.

— ეს რა ჰქენი, სანდრო?—ვკითხე

— შენ არ გესმის,—მიპასუხა,— ხომ არ შევრცხვები ამისთანა დამკვრელებთან. „სერენკი კოზლიკს“ ხომ არ დავუკრავ! კლავიშები რომ ერთმანეთს მიეკვრებიან, რალას დამაკვრევინებენ.

სადილის შემდეგ გამოიყვანეს დასაკრავად. სანდროც ისე გამოვიდა, ვითომ აქ არაფერი ამბავიაო. დაიწყო და უმალვე შესწყვიტა:

— ვერ დაუკრავ, არ შეიძლება. ვიღამაც თაფლი წაუსო, კლავიშები გაეკრა ერთმანეთს.

გამოიძახეს ნინო, დიასახლისმა სთქვა, თაფლი სონას მივეცით, მე საჭმელადაც არ მომცემდნენ. ძალუამ მაინც ძალიან მცემა სრულებით უდანაშაულოს, ძვირფასი ფორტეპიანო გააფუჭეო. სანდროს კი სინდისმა არ ათქმევინა სიმართლე. ის არხეინად უყურებდა თავის უდანაშაულო მსხვერპლის დასჯას. ძალუამ არ დამიჯერა, რომ ეს მისი კერპის ნამოქმედარი იყო.

ჩემის აზრით ეს დედმამის კერპი არასოდეს არ იყო სრული ჭკუისა, არც ჰქონდა ნაპერწკალი ადამიანობისა. ყოველთვის უზნეო იყო.

მთელი ოჯახი გაემგზავრა ქალაქს. დიდი ტრანსპორტი შესდგა. კარეტაში ისხდნენ დედ-მამა და სანდრო, ტარანტასში მოახლეები და მე. ორი ტროიკა მოსამსახურეებით და ბარგით იყო სავსე. პირდაპირ მივედით ქალაქში, ბარნოვის სახლში. ზემო სართულში ჩვენ ვიდექით, ქვემოში იდგა ამილბარ მაღალაშვილი. ამ მაღალაშვილს ხშირი წვეულება ჰქონდა. მე და სანდროს გვპატიჟებდენ ხოლმე, როგორც კარგ მოლეკურეებს.

ერთხელ ძალუამ არ მოინდომა ჩვენი წაყვანა იმ ოჯახში. მოიმიზეზა: სანდრო ენდა პანსიონში წავიდესო, და უჩვენოდ წავიდნენ ცოლ-ქმარნი. სანდრომ სთქვა:

— არც პანსიონში წავალ და კიდეც შევარცხვენ დედაჩემს.

სადღაც იშოვნა რაღაცა კონკები. დედაჩემი მე კარგს ტანისამოსს მიგზავნიდა, ამიტომ კარგად მეცვა. სანდროსაც, რასაკვირველია მშვენიერი ტანისამოსი ჰქონდა. ხელი დამავლო, კონკები ჩამაცვა, თითონაც ჩაიცვა და წამიყვანა ამილბარისას. როგორ შემეძლო ამის ბრძანება არ შემესრულებინა! თუმცა, მადლობა-ღმერთს, ქალაქში ჩემთვის აღარ ეცალა, ფრანგულს აღარ მასწავლიდა.

როცა შევედით, ეგონათ: მასკარადი იქნებაო, რადგან სწორედ სამასკარადო დროც იყო, მაინც გაუკვირდათ ჩვენი ჩაცმა. დაუკრეს ლეკური, ჩვენც დაუარეთ. როცა დაიწყეს ტაშის დაკვრა, ძალუა გამოვიდა, რა ამბავიაო.

— სანდრო და თქვენი მაზლის წული თამაშობენ.

ძალუამ რომ დაგვინახა, კინალამ გულს შემოეყარა. ხელი დაგვავლო წასაყვანად. ამილბარის ცოლმა სიტყვა ჩამოართვა, რომ ჩაგვაცმევდა და ისევ ჩამოგვიყვანდა. მთელი კიბე ძალუამ ჩქმეტით ამომიყვანა.

სანდრო მაშინ ჰაკეს პანსიონში იყო. თან ახლდა იაკობა ბიჭი. იქვე იყო მასწავლებლად კორბოც, რომელმაც სანდროს სახლში ყოფნა ---- შესძლო. კვირაობით სანდროსთან დადიოდა მუსიკის მასწავლებელი ეპშტეინი, რომელსაც თითო გაკვეთილში აძლევდენ თუმანს. და სანდროსაც თუმანს აძლეევდნენ, ოღონდ ესწავლა. მაინც არ სწავლობდა. მე და ფიდოს დიდი სურვილი გვქონდა მუსიკა გვესწავლა, მაგრამ, რა საკვირველია, ძალუამ არ მოინდომა, თუმცა ეპშტეინი ამბობდა: მუქთათ ვასწავლი თქვენი ოჯახისათვისო. მაგრამ ძალუას კეთილმა გულმა არც ეს გაიმეტა. ბიძა ჩემს ოჯახში გავლენა არა ჰქონდა, თუნდაც სდომოდა, ქალბატონი ნებას არ მისცემდა, არ შეეძლო.

ალექსანდრემ იმ ხანებში საშინელება მოახდინა ჰაკეს პანსიონში. დაღალულ მოხუცს კორბოს ეძინა. ალექსანდრემ ქაღალდში თოფის წამალი ჩაყარა, ჩაუდო კორბოს თმებში და ააფეთქა. საცოდავი მოხუცი კინალამ მთლად დაიწვა. თმები, სახე, შუბლი სულ დამწვარი ჰქონდა. ბიძა-ჩემმა კორბოს ფულები მისცა იწამლეო, მაგრამ მაინც ჰაკემ არ აპატია ეს საშინელი მოქმედება და გადაახდევინა. სანდროს ჰკითხა:

— რათ ჰქენი ეს საშინელება?

სანდრომ გაიცინა:

— ფეიერვერკი მიყვარს. დიდი ხანია არ მინახავს და კორბოს თავზე გავმართე.

მაშინ ეს „პატარა ბავში" უკვე 17 წლისა იყო. ძალუამ რომ შეიტყო, სანდროს ეს მოქმედება გადაახდევინესო, ძალიან გასწყრა:

— განა ჩემი შვილი სატანჯავად მიეეცი!

ქმარი გაგზავნა და სანდრო შინ მოიყვანა. ამის შემდეგ სანდრო კანანიჩის პანსიონში მიაბარეს. მისაყვან-მოსაყვანად იაკობა ბიჭი ახლდა. ერთხელ ამხანაგებმა დასცინეს: ამოდენა ვაჟკაცს ბიჭი დაგდევს, რა საკადრისიაო! სანდრომ ჯავრი იაკოფაზე ამოიყარა: სცემა და შინ გააგდო. მერე თვითონაც მოვიდა და გამოუცხადა დედ-მამას: თუ ისინიც არ გალახავენ ამ ყოვლად უდანაშაულო, საცოდავ იაკობას, და თუ ის კიდევ გაჰყვება სანდროს, ის აღარც გიმნაზიაში და არც პანსიონში არ წავა, და თუ თხუთმეტ თუმანსაც არ მისცემენ, სულაც აღარ ისწავლის და არც შეურიგდება დედ-მამას.

სნადროს მოლოდინი არა ჰქონდათ, რადგან მაშინ პანსიონში სცხოვრობდა, და იმის ოთახებში ვილაც სტუმარი დააწვინეს. ამაზედაც გაუწყრა დედ-მამას და სტუმარიც გამოაგდო თავის ოთახიდან. ვიდრე ყოველი სურვილი არ აუსრულეს, იაკობა არ გაბერტყეს, თხუთმეტი თუმანი არ მისცეს, ოთახიდან არ გამოდიოდა, ხოლო როცა ყველაფერი აუსრულეს, ისევ დაიწყო სიარული სასწავლებელში, ოღონდ ნარტომ.

ცუდათ სწავლობდა, ამიტომ ორი წელიწადი დარჩა ერთ კლასში. იმის მამამ უსაყვედურა კანანიჩს, რატომ არ შეამზადეო? იმან უთხრა:

— როგორ შემეძლო შემემზადა, რომ ის გიმნაზიიდან არ მოდიოდა! თქვენ შუდამ სტუმრები გყავთ და თქვენი შვილიც მიგყავთ სტუმრად. როდის-ღა უნდა შეამზადოს გაკვეთილები?

ძიას გაუკვირდა:

— რას ამბობთ, როდის მიმყავს კვირა დღის მეტი?

მან გამოიტანა მრავალი ბარათი ბიძა-ჩემის ბეჭედ-დასმულები, ხაცა ეწერა ოთოვნა სხვა და სხვა მიზეზებით სანდრო სახლში გამოეშვა. აღმოჩნდა, რომ მამას ბეჭედი მოჰპარა, თავის ამხანაგს ბახუტოს აწერინებდა ამ ბარათებს, და ვინ იცის სად ატარებდნენ მთელ ღამეებს.

ამით დამთავრდა ალექსანდრეს სწავლა, მეოთხე კლასს ის ველარ გასცდა. ბიძა-ჩემიც დარწმუნდა, რომ სანდროს სწავლა არ შეეძლო, არც უნდოდა. რადგან მათი ყოფნა ქალაქში ულარგებლო იყო, გადასწყვიტა სოფელში გადასახლება. ისევ წავიდნენ სოფელში.

აგვისტოში სანდრომ გაიგო, რომ ქალაქში ალარ წავიდოდა. ჩუმათ აიბარგა პატარა ჩემოდანით და წავიდა სოფლიდამ, ვითომ ქალაქში მიდიოდა. შეატყობინეს ძია ნიკოლოზს. მე მაშინ იმათ სახლში ვსცხოვრობდი. ძია ცხენით გამოუდგა, მაგრამ დუქნამდე რომ მივიდა, გამოუცხადდა სანდრო, დუქნის კედელზე ატუზული. ეს პატარა ყაჩაღი მაშინ უკვე 18-19 წლისა იყო.

— სად მიდიხარ?—ჰკითხა ბიძამ.

— რა ვქნა, სწავლა მინდა და არ მივყევარ ქალაქში.

ძია დაჰპირდა: თუ მამა არ წაგიყვანს, მე წაგიყვან, თუ მართლა სწავლა გინდაო. სახლში დააბრუნეს. მაგრამ ის სწავლისთვის არ მოდიოდა ქალაქში. იმას სურდა ქეიფი, რადგან უკვე შეჩვეული იყო. ფულის შოვნა იყო საჭირო. იფიქრა და დასწერა კომედია. სადაც აღმზრდელები სასაცილოდ გამოიყვანა, თავისი დედ-მამაც გაამასხარავა და გამოუცხადა: თუ ქალაქში არ წამიყვანთ და ოცდა-ათს თუმანსაც არ მომცემთ, ამ კომედიას დავბეჭდავო. ფულიც მისცეს, ქალაქშიაც წაიყვანეს.

მაინც იმისი სწავლა ოთხ კლასს ველარ გადასცდა. ქალაქიდან რომ მოდიოდნენ, ფასანაურში იმის მამას სიდამბლე მოუვიდა. იქ დაჰყო რამდენიმე თვე. ყაზბეგში მომაკვდავი მოიყვანეს. მალე გადაიცვალა. გვამი ქვემო სართულში ესვენა, შვილი კი ზემო სართულში გარმონს უკრავდა და დასძახოდა:

— მემკვიდრე ვარ, მემკვიდრე!—და ცეკვავდა.

როცა დროგამოშვებით შეატყობინებდნენ, სოფლის ხალხი მოვიდა, გამოდი და მიიღეო, ალექსანდრე მთის წესის თანახმად გულსა და ზურგს გაიტიტვლებდა და იწყებდა ლურსმანიან მათრახით გულში და ზურგში ცემას, ჩვეულება იყო, უნდა კუბოს გარშემო სამჯერ ცემით შემოევლო მგლოვიარეს; დასისხლიანებული ისევ ზევით ადიოდა და ისევ გარმონის დაკვრას დაიწყებდა, თანაც ცეკვავდა და მღეროდა:

— ნასლედნიკი ვარ, ნასლედნიკი!

საერთოდ დიდი ფოკუსნიკი სიმულიანტი იყო. ბიძაჩემის სიკვდილის შემდეგ დედა ჩემმა სთხოვა ძალუას, რომ დაებრუნებია რაც ძია მიხეილმა ჩვენგან

ითხოვა დიდი მთავრის დასახვედრად: ავეჯი, ცხენები, ეკიპაჟები, ხალიჩები, ვერცხლეული და თეთრეული. ძალუამ კარგად იცოდა რაც დედამ ითხოვა, მაგრამ აღარ დაუბრუნა, სთქვა:

— ჩემმა ქმარმა მითხრა, რომ ყველაფერი იყიდა და ფულიც მოგცათო.

მე პატარა ვიყავი, დედა-ჩემი ავადმყოფობდა. პატრონი ამბავს გვუსვდა. ასე გამცარცვეს „ნაროდნიკმა“ ალექსანდრემ და იმის დედამ. ბაბის სიკვდილის შემდეგ ეს „ნაროდნიკი“ გართული იყო ქეიფში, ქალაქის დიდ-კაცობაში და კავკავშიაც. როცა ბლომათ ფულები შეაგროვა, რუსეთში წასვლა მოიფიქრა, ვითომ სასწავლებლად. მისწერა თავის ამხანაგ ბახუტოვს, რომელიც იქ სწავლობდა, შენთან უნდა მოვიდე, სწავლა ახლად მინდა დავიწყოო.

ბახუტოვმა უპასუხა: როგორც შენ გიცნობ, დარწმუნებული ვარ შენი აქ მოსვლა გათავდება იმით, რომ აქ დიდკაცობაში ქეიფს მიჰყვები და მდიდარ საცოლოს ძებნას შეუდგებიო. არ გირჩევ, სჯობს ისევ საქართველოში დარჩე. საერთოდ ერთხელ შეწყვეტილ სწავლის ხელახლად დაწყობა ყველასთვის ძნელია, და ნამეტნავად შენთვის. ვერ შესძლებ, ხელი აიღეო. ალექსანდრემ ძალიან ითაკილა. მისწერა: მოვდივარ და დაგიმტკიცებ, რომ სწავლასაც შევსძლებ და საქართველოშიც ამაღლებული დავბრუნდებიო. ამ ადამიანს არა ყოფნიდა გამხდარიყო საზოგადოებისათვის სასარგებლო მუშაკი. დიდ ამაღლებაზე ფიქრობდა.

ბახუტოვმა უპასუხა: ღმერთმა ხელი მოგიმართოს, ძალიან გამეხარდება. არ მინდა გამოვდგე უხეირო წინასწარმეტყველი, მაგრამ მაინც ჩემი აზრი ასეთია: ძნელ ტვირთს კისრულობ, ვერ შესძლებ ასრულებასო.

როგორც ქვემოდ დაინახავთ, ბახუტოვი მართლა არ შესცდა. კარგათ იცნობდა თავის ამხანაგ ალექსანდრეს. მე ვგონებ, იმ თავითვე ის სწავლას არ აპირებდა. მხოლოდ, რადგან ბუნებითვე სიმულიანტი იყო, აქაც სიმულაციისთვის ესაჭიროებოდა მოსწავლის ფირმა.

რაც ხანი რუსეთში დაჰყო სანდრომ, იმისი დედაც იმდენივე ხანს საშინლად გატანჯული იყო მუდმივ ფულის თხოვნით. თუმცა ალექსანდრეს ბევრი ფული მოსდიოდა, მაინც მუდამ მოვალეები ახრჩობდნენ. იხილეთ ალექსანდრეს წერილები დედასთან მინაწერი და სხვა დამახასიათებელი ქალალდები, ჯერ სწერდა დედას, რომ მან გაიცნო მოსკოვის დიდკაცობა და იმათში ქეიფობს, მერე მოსწერა: მე ყოველთვის ამ აზრისა ვიყავი: იმისთანა არავინ შემეყვანა ჩვენს დიდ ოჯახში, იმისთანა ქალი არ შემერთო ცოლათ, რომ ღირსი არ ყოფილიყო ჩვენი დიდი შთამომავლობისა. ეხლა მე გავიცანი რუსის ხელმწიფე რიურიკის შვილისშვილი გრაფი ჩერნიშოვი კრუგლიკოვის ქალი, გრაფინია, მშვენიერი ნინა, დიდი შეძლების პატრონი, მაინც არ ვბედავდი იმის თხოვნას, ვიდრე სიზმარში არ ვნახე ყაზბეგიანთ მფარველი მიხეილ მთავარანგელოზი, რომელმაც მითხრა: „დამილოცავს შენი კავშირი შენს მიჯნურთან. მე ვიქნები თქვენი მფარველი“. ამ სიზმრის შემდეგ გავბედე და წავედი იმათთან. და როცა ეს ქალი მშვენივრათ ფორტოფიანს უკრავდა, დავუჩოქე და ხელი ვთხოვე. იმანაც სიყვარულით მიპასუხა და გამოუცხადა მამას და ნათესავებს, რომ მე მირთავს. ამ რიგად უკვე დანიშნულები ვართ. ეხლა ჩემი ბედნიერება შენს ხელ-

შია. თუმცა ძალიან მდიდარია ჩემი საცოლო, მაინც შეუძლებელია, რომ მე, მეფის შთამამავალმა, მთების მფლობელის შვილმა, ღირსეული საჩუქრები არ მივართვა და ქორწილისთვისაც ფული არა მქონდეს. გთხოვთ გამიმეგზავნოთ ყოველი ნივთები, რაც გაქვს ხელმწიფების საჩუქრები, და ორასი თუმანი ფული. თუ ამ ჩემს თხოვნას არ შეასრულებ, თავის მოკვლა-ღა დამრჩენია. ამ წიგნს დაატანა პატარა ბარათი: ეს წერილი არ აჩვენო გიორგი თარხნიშვილს და გიორგი ყაზბეგს. იმათ არ ვუყვარვარ, ბოროტები არიან და საქმეს შემიშლიანო.

ალექსანდრემ კარგად იცოდა, რომ მარტო დედის მოტყუება შეეძლო, რომელმაც არ იცოდა რუსეთის ისტორია, ამის გამო დაიჯერებდა ვითომ იმ დროს ცოცხალი იყო რიურიკის შვილის შვილი. რასაკვირველია, არც ჩემი ქმარი გიორგი თარხნიშვილი და არც ყაზბეგი ამ ზღაპარს არ დაიჯერებდნენ. გიორგი ყაზბეგმა მაშინ დაასრულა აკადემია და პეტერბურგიდან ჩამოვიდა. იმან კარგად იცოდა როგორ სცხოვრობდა სანდრო რუსეთში. იმ დროს ჩვენ კავკავში ვცხოვრობდით, და გიორგი ყაზბეგიც ჩვენთან იყო სტუმრათ. ძალუა კეკეც ჩამოვიდა ჩვენთან და ჩამოიტანა მრავალი ვერცხლეული, სხვათა-შორის ის ორი ფუთი ვერცხლეულიც, რომელიც ჩვენგან დაიჩემა.

მაინც არ მოითმინა ძალუამ და გამართა სალიტერატურო საღამო. სანდროს წერილი ხმამაღლა წაუკითხა სტუმრებს და დაიკვეხა. მოხუცებულმა ქალებმა თანაგრძნობა გამოუცხადეს, უთხრეს: მაგისთანა შვილს, რომელიც თავის ოჯახის აღმატებას აპირებს და ასეთ ზრუნვაშია, უეჭველად ყოველი თხოვნა უნდა აუსრულოო. თუმცა ჩემი ქმარი და გიორგი არწმუნებდენ, კეკეს, რომ სანდრო ატყუებდა, არამც თუ არ დაუჯერა, კიდეც გაუწყრა, უთხრა:

— თქვენ არ გიყვართ ალექსანდრე, არ გინდათ იმისი ბედნიერება.

ყველაფერი დააგირავა და გაუგზავნა. როცა სტუდენტები ჩამოვიდენ, მოსკოვიდან, გვიამბეს: როცა სანდრო იმ წერილს სწერდა, იმასთან ვიყავით. არც იმას, არც ჩვენ გროშიც არ გვქონდა. ბევრი ვიცინეთ მაგ წერილზე, მაგრამ დაგვარწმუნა, ვხუმრობ, ამ წერილს როგორ გავგზავნიო. ჩვენც არ გვეგონა, რომ მაგისთანა წერილს ან სანდრო გაგზავნიდა ან დედა დაუჯერებდა.

ამის შემდეგ სანდროს დედა დიდად იტანჯებოდა. სანდროსაგანაც წერილი ჯერ ალარ მოდიოდა, შემდეგ კი, როცა მოსწერდა, ისევ ფულების თხოვნით ახრჩობდა. უკანასკნელად მოსწერა: შენი პენსია ჩემს სახელზე გადმოიტანე მოსკოვშიო. დედამ ის თხოვნა რომ არ აუსრულა, სანდრომ დიდი მრისხანე წერილი მოსწერა და გალანძღა ძალუა კეკეს სიძე ფურმანი, ალბად იმან გირჩია უარიო. რა თქმა უნდა, რომელი სრული ჭკუის პატრონი და სვინდისიანი ურჩევდა იმ უბედურ ბებერს, რომ თავისი უკანასკნელი ლუკმა ისეთ შვილისათვის გაეგზავნა ქეიფისა და გარყვნილებისათვის.

ბოლოს, ოჯახის დაპირუბულ აშენების თუ აყვავების მაგივრად და ნაცვლად საქართველოში დიდებით შემოსვლისა, ალექსანდრე ფურმანმა მოიყვანა — საცოდავი, დაფლეთილი, ავადმყოფი. ფურმანი ძალიან განათლებული, კეთილი ადამიანი იყო. ის ინახავდა უკანასკნელ დროს სანდროსაც და იმის დედასაც.

სანდრო კი მადლობის მაგივრად მხოლოდ ლანძღავდა ამ კეთილ ადამიანს. ბოლოს ისევ ფურმანის სახლიდან წაიყვანეს საგიჟეში.

ალექსანდრეს არასოდეს ადამიანობის ნაპერწკალი არა ჰქონია. დედა შვილისთვის სულსაც კი არ ზოგავდა, შვილმა კი უპუროდ დასტოვა, გაიარცვა და უბრალო წერილსაც, პასუხსაც კი არ აღირსებდა, და თუ [illegible] ესეც და ისევ მარტო ფულის სათხოვნელად.

რუსეთიდან რომ ჩამოვიდა, ჯერ მწყემსობა დაიწყო, მერმე, როცა იზარალა, დუქანი გააღო ღვინისა და არყისა, საცა ხალხი ლოთობდა. აქაც იზარალა, მერმე დაიწყო იჯარების აღება, ომიანობის დროს. რანდენიმე პირისაგან იჯარას აიღებდა ისეთის პირობით, რომ მისი შესრულება მისთვის ყოვლად შეუძლებელი იყო, რადგან საკმაო საქონელი არ ჰყავდა საიჯარო ბარგის გადმოსატანად, წამოიღებდა ბარგს და დაჰყრიდა პირველსავე სადგურზე, გაჰყიდდა ზოგს, ზოგსაც იპარავდნენ, ზოგიც ავდრისაგან ფუჭდებოდა. ამას იმიტომ შვრებოდა, რომ ყველას ბეს ართმევდა, და თუ ბარგს არ წაიღებდა, ფულს არ მისცემდენ, ყველა ეს იჯარები საჩივრებით გათავდა სასამართლოში.

იმ დროს ალექსანდრე კავკავში ჩვენთან ხშირად დადიოდა. მოვიდოდა, მოიტანდა პაპიროსის კოლოფებს. ამას სჭრიდა და პატარა კოლოფებს აკეთებდა. მაშინ მწერლობისთვის არ ემზადებოდა, ფიქრადაც არა ჰქონია და იმისი დაწერილიც არავის არ უნახავს. მოვიდოდა სადილის დროს და დარჩებოდა დილამდის. თურმე იმ დროს დაქირავებული ეტლი ედგა გარეთ. მეეტლე შუალამისას დაიწყებდა ზარის რეკვას, ფულის თხოვნას, და სკანდალის ასაცილებლად იძულებული ვიყავით ჩვენ გადაგვეხადა ფული; რადგან ალექსანდრეს იმ ხანებში მანეთიც არ ეპადა ხოლმე. ამისთანა უსიანოვნებას ხშირად გვაყენებდა.

ერთხელ კინალამ გადაგვწვა პაპიროსით, და თითონაც გადაიწვა. იმის ბედზე ჩემი ქმარი გვიან მოვიდა, და როცა დაინახა კვამლი, შევიდა იმ ოთახში საცა სანდრო იწვა: მთელ ლოგინს ცეცხლი ეკიდებოდა და იმას კი ეძინა, ძლივს გააქრეს ცეცხლი.

როგორც მოვიხსენე, დიმიტრიმ წამიკითხა ცხრა ნაწარმოები: „ილგუჯა“, „მოძღვარი“, „მამის მკვლელი“, „ხევის ბერი გოჩა“, „ელისო“, „ციკო“, „ციცია“, „განკიცხული“ და მითხრა: ესენი შემუშავებული მაქვს, დანარჩენი მასალა ჯერ შემუშავებული არა ამქვს, ზოგი ჩემი საკუთარი არის, ზოგი ნათარგმნი: გერმანულიდან, ფრანგულიდან, რუსულიდან და სახალხო ლექსები.

რაც იყო შემუშავებული, იმას არ სჭირდებოდა გადაწერა. საჭირო იყო ალექსანდრეს ხალხი დაერწმუნებინა, თავის ავტორობაში, ამიტომ უალაგოალაგას სწერდა. მას არ ჰქონდა ლოლიკური აზროვნების ნიჭი, სამაგიეროთ კარგი ხსოვნა ჰქონდა. ადვილად დაისწავლიდა ზეპირად. გარდა ამისა, დიმიტრის ნაწერების ფურცლები მუდამ ჯიბით დაჰქონდა; თუ რასმე დაივიწყებდა, ჩაიხედავდა ამ ფურცლებში. არ ენანებოდა სხვისი ნალვაწი. ვინ იცის რამდენი დაამახინჯა! რასაკვირველია, დიმიტრის ნაწერებს ვერ გამოაჩენდა, სწვავდა. საჭირო იყო დანარჩენი მასალების შემუშავება, მათ აშკარადაც ეტყობათ, რომ

ხელოვანს საბოლოოდ არ გაუკრავს თავისი ხელი, იქნება ვინმემ სთქვას; ალექსანდრე რედაქციაშივე სწერდა, და როგორ შეიძლება ადამიანს მთელი ან ნახევარი ფელეტონის მასალა დაეზეპირებინაო. ვისაც კარგი მეხსიერება აქვს, იმისთვის ადვილია. ეჭვიანებს წინადადებას ვაძლევ ცდა მოვახდინოთ, დავავალოთ ვინმეს სხვისი ნაწერის დაზეპირება და დაწერა. ცხადია, მრავალი შესძლებს ამას, ამიტომ ამ საბუთს არავითარი ძალა არა აქვს.

თავიდანვე მოლიპულ გზაზე შემდგარი სანდრო ბოლოს დროს იქამდისაც მივიდა, რომ გლეხებს რამდენჯერმე მიჰყიდა ერთი და იგივე მიწა შინაური ქალალდით. როცა გლეხები დამტკიცებას მოისურვებდენ, უარს ეტყოდა, ან მეორეჯერ გამოართმევდა ფულს.

უკანასკნელად ახალქალაქში ვნახე. მოვიდა და რამდენიმეს ფული გამოგვართვა, შაქარს იაფად გიყიდითო, რკინის გზის სადგურის ბუფეტში მოიკითხეთ, იქ მივიტანო. როცა მივედი ბუფეტის პატრონთან, ძალიან გაჯავრდა:

— ახა, ღმერთო, რას ჩამაცივდა ეს ხალხი! რა ამბავია, პირი ხომ არ შეგიკრავთო! მე არც სანდროს ვიცნობ, არც იმისი შაქარი ვიცი.

ამის შემდეგ ის უბედური აღარ მინახავს. როცა ელისაბედ ყაზბეგის მემუარები წავიკითხე, ჩემს ხსოვნაში გაცოცხლდა იმის მიერ აწერილი პირები, ჩემი ყოფნა ძალუა კეკეს ოჯახში, თვითონ ძალუაც. ჩვენ შთაბეჭდილებათა შორის განსხვავება არის: ელისაბედს მუდამ მამა ადგა თავთ, ამიტომ ძალუა კეკე მას ეფერებოდა, მე კი სხვანაირად მექცეოდა, რადგან უპატრონო ვიყავი. ნამეტნავათ იმ დროს იყო ლიზა იმათთან, როცა ბიძა ჩემი ნიკოლოზი ოჯარებს იღებდა, და ფულები უნდა მიეღო თავის ძმა მიხეილისაგან, რადგანაც ის იყო მთის ხალხის „ნაჩალნიკი". ძია ნიკოლოზს, ელისაბედის მამას ერგებოდა ასი ათასი მანეთი. ეს ფული შეუჭამეს. მიხეილმა ეს ფული აღარ მისცა თავის წვრილშვილიან ძმას. ნიკოლოზი ხმასაც ვერ იღებდა. მთის წესი იყო: უფროსს ძმას ამის გახსენებასაც არ გაუბედავდა.

ნამეტნავად მომაგონდა ის დრო, როცა კორბოს და ეპფშტეინის უნდოდათ ჩვენთვის, მე და ფიდოსთვის, მუქთად ესწავლათ. ამბობდენ, სანდრო მაინც არ სწავლობს, და როცა ამ ბავშებს ვასწავლით, სვინდისი აღარ შეგვაწუხებს, რომ ფულებს მუქთად ვიღებთო.

ერთი უცნაური შემთხვევა მომაგონდა: როცა გავთხოვდი ტ სტუმრათ ვიყავი დიმიტრისთან, ჩემი ქმარი ბანაკში იყო. მისგან წერილი და სურათი მომივიდა. ვაჩვენე ძალუა კეკეს. მთხოვა რუსულად დაწერილი წერილი მეთარგმნა ქართულად. რასაკვირველია, ახალგაზარდაწერილი ქმრის წერილი ალერსიანი იქნებოდა. როცა წავუკითხე, სურათს ცქერა დაუწყო და სთქვა:

— ნეტავი შენა, ყმაწვილი ხარ და ყმაწვილი ქმარიცა გყავს.—ის იმ დროს სამოცი წლისა იქნებოდა. დაიწყო ქვითინით ტირილი. მერმე იმღერა: „ერთხელ მეც ვიყავ ბედნიერ, მეც მიყვარდა, და ვტკბებოდი", კიდევ იტირა და სხვა ლექსებიც სთქვა: „საბრალო გულო, რათ მღელვარებ ტრფობისა ენებით".

დიდ ხანს იტირა, მე მაშინაც გამაკვირვა ინის საქციელმა, და ვიფიქრე: დალოცვილია ის ადამიანი, რომელიც სიყმაწვილის დროს ყმაწვილია, და თავის დროზე დაბერდება. მე იმაზე მეტად არაფერი არ მეთაკილებოდა, როცა მოხუცებული ადამიანი სასაცილოდ გაიხდიდა თავს, როცა ბალარა კვლავ ეძებს სიყვარულს.

ვუბრუნდები ალექსანდრეს. მას ყოველთვის კარგი ხასიათი ჰქონდა, ნამეტნავად უკანასკნელ დროს მოუმატა. გამორკვეულია, რომ სიგიჟის დროს ადამიანს ხსოვნა ემატება. მე მქონდა შემთხვევა ორ გამოჩენილ პსიხიატრთან—შარკო და მერჟევსკისთან—ამ საგანზე მელაპარაკნა. შარკო მოიწვიეს პეტერბურგში ძალიან მდიდარ ბაზილევსკისათვის, რომელიც იმ დროს ჭკუაზე შესცდა. იმავე დროს გაგიჟდა ერთი ჩემი მეგობარიც, ძალიან ჭკვიანი, ნიჭიერი და ნასწავლი, რომელსაც ყოველისფერი ახსოვდა. მთელი საათობით რომ გელაპარაკნათ, მაინც ვერ შეატყობდით სიგიჟეს. მაგრამ ერთ შემთხვევაში იყო ცხადი გიჟი: ეგონა, ვითომ ყველა იმისი მტერია. მერჟევსკი ჩემი კარგი ნაცნობი იყო. ვთხოვე, რომ ამ ავადმყოფისთვის კონსილიუმში მოეწვიათ შარკოც.

ამ კონსილიუმის დროს ვკითხე შარკოს, ეს ავადმყოფი გიჟათ ჩაითვლება მეთქი თუ არა? მიპასუხა: ნამდვილი გიჟიაო. მერჟევსკიმაც დაუდასტურა. მერე ორივეს ვკითხე: განა შესაძლებელია გიჟს ამისთანა ხსოვნა ჰქონდეს მეთქი? მიპასუხეს: ხშირად მოხდება ხოლმე, რომ ხსოვნა უფრო ემატება კიდეც.

გარდა ამისა დამარწმუნეს, ზოგჯერ გიჟების შვილები ნორმალურები არიან, ხოლო შვილის შვილები, უფრო შორი შთამომავლობა, გიჟდებიან ხოლმე.

ამის გამო გაგახსენდა, ალექსანდრე არასდროს არ ყოფილა მეთქი სრული ჭკუის, ხოლო ვენერიულმა ავადმყოფობამ უფრო მოუმატა სენი. განა შესაძლებელი იყო, რომ იმ დედის შთამომავლობას, იმ უცნაურ აღზრდას, მუდამ გარყვნილებისა და ქეიფის მორევს შესაფერი ნაყოფი არ გამოელო?

სანდროს დედის ბებია, სოფიო ბატონისშვილი, როგორც დარჩა თარხნიანთში გარდმოცემად, არ იყო ბრძენი და დიდის ჭკუის პატრონი, იყო ბედოვლათიც. იმას მზითევში გამოატანეს ღვთის მშობლის ხატი, და რადგანაც ეს ხატი შემოსილი არ იყო, შესამოსავი ფულებიც მისცეს. როცა ფულები დასჭირდებოდა ამ ბატონისშვილსა, მღვდელს მოიყვანდა, პარაკლისს გადიხდიდა, დაწერილ თხოვნას და თამასუქს ხატის ჩარჩოში ჩასდებდა, სამაგიეროდ ხატის ფულებს ამოიღებდა—ვითომ სესხულობდა. ბოლოს, როცა ბატონისშვილი გარდაიცვალა, ხატი შეუმოსავი დარჩა, მხოლოდ შერჩა თამასუქები და თხოვნები.

ალექსანდრეს ბებია (ციციანთ ქალი) კი ნამდვილი გიჟი იყო, მახსოვს, პატარა ვიყავი. ცალკე ოთახში ჰყავდათ დაკეტილი. ზოგჯერ ტიტველი გამოვარდებოდა ხოლმე. ბავშვებს გვეშინოდა.

ალექსანდრემ მოსწერა ძალუას, ცოლს ვირთავო, ძალუამ ლექსი დაწერა, რომელშიაც იყო ვედრება ალექსანდრეს ბედნიერებისათვის, თანაც დაატანა: ბაგრატიონები ღვთისმშობლის შთამომავლები ვართ, მარიამი ჩვენი ნათესავია,

ჩემ თხოვნას შეიწყნარებსო. და ეს ლექსიც დაარჭო ხატის ჩარჩოში, რომელიც შეჩვეული იყო ამისთანა ლიტერატურას.

როგორც ზემოთ მოვიხსენე, სიგიჟე ხსოვნას არ აკლებს, ზნეობას კი ძალიან ავნებს.

ალექსანდრე ყაზბეგის სახელით გამოცემულ თხუზულებების კრიტიკოსების და ელისაბედ ყაზბეგის მემუარების შესახებ

დიმიტრი ყაზბეგი გარდაიცვალა 1880 წელს, თებერვალში. მაშინ იმის ოჯახში ყაზბეგში გარდა მისი 11 წლის შვილის კოლასი არავინ არ იყო. დაგვიანებით შეატყობინეს იმის მახლობლებს, ამიტომ არამც თუ ცოცხალს ვერავინ მიუსწრო, მკვდარიც ვერ ნახეს. უკვე დამარხულიც იყო და გაცარცულიც, როცა მოვიდა იმისი ცოლი.

მეც შორს ვიყავი. როცა შევიტყე და მივედი ყაზბეგში, ძალუა კეკეს მეტი ყაზბეგიანი არავინ დამიხვდა. იყო მხოლოდ დიმიტრის ბოურავი ალოშკა ბადური, რომელმაც მიამბო, რომ დიმიტრი ფილტვების ანთებით მომკვდარიყო. ორი კვირით ადრე იმისი ცოლი სამშობლოში წასულიყო. ბადურს ვკითხე, ასე გვიან რად შეატყობინე იმის სახლობას მეთქი? მიპასუხა:

— აბა რა ვქნა! მე სანდროს ვთხოვე, ტელეგრამა გაგზავნე მეთქი. გვიან გაგზავნა. მე თვითონ რუსული წერა არ ვიცი, ხომ იცით. მერე შემომჩივლა— ალექსანდრემ დიმიტრის განჯინა გატეხა, ქაღალდები გამოიღო, ზოგი დასწვა და ზოგიც თან წაიღო.

ვეკითხები: „რათ მიეცი სანდროს ნება, რომ ქაღალდები გამოეღო?“ მან სთქვა:

— რა ვქნა, რა შემეძლო, მომატყუა, შეეინახავო, აბა, როგორ შემეძლო დამეშალნა.

ალექსანდრე ყაზბეგში აღარ ამოდიოდა. როცა ამოვიდა, ალოშკაც იმავე ხანებში მოჰკლეს.

ერთი რამ არის საკითხავი: მონაწილე იყო თუ არა ელისაბედი ალექსანდრეს საქციელისა—დიმიტრის ნაწერების მითვისებაში? ჩემი ულრმესი რწმენა ასეთია—იყო, უეჭველად იყო. ეს მეტად სამწუხაროა იმის მახლობლებისათვის, რომ დიმიტრის ჭკუიანმა და განათლებულმა დამ მიიღო მონაწილეობა. ალექსანდრემ შეაცდინა, დაიყოლია, თორემ სხვა მხრივ ის დედაკაცი არაფრით არა ჰგავდა ავზნიან ალექსანდრეს.

მტკიცედ ვიმეორებ: ალექსანდრემ განჯინა გატეხა, დიმიტრის ნაწერები მოიპარა, ზოგი საბუთი დასწვა, ხოლო ნაწერები დაამახინჯა და საკუთარის სახელით გამოსცა. ეს იმდენად ცხადი და ურყევი ფაქტია, რომ ამის გამო კამათი და დავა უნდა შესწყდეს. თუმცა ფაქტებსაც ეკამათებიან ხოლმე—ან გაჯიუტებულნი, ან კიდევ მხდალები, რომლებსაც სიმართლის გამორკვევა კი არ უნდათ, არამედ თავიანთი ყალბი თავმოყვარეობის დაცვა: რაკი ერთხელვე საქვეყნოდ მხარი მისცეს ალექსანდრეს, აღარ შესწევთ ძალა, რომ ერთხელ წამომცდარი სიტყვა გადასთქვან.

დავუბრუნდეთ ფაქტებს.

ყაზბეგიდან ქალაქში წავედი. ლიზა შემხვდა, ვკითხე: „გამოართვი ალექსანდრეს დიმიტრის ქალალდები?“ მიპასუხა:

— რა ვქნა, ვერ ჩავიგდე თავისუფლად ალექსანდრე ხელში.

— მიკვირს, ვიცი შენი მტკიცე ხასიათი, როცა გინდა შეასრულო რამე, რჯულამდე მიჰყვები, ყელიდან ამოაძრობ ადამიანს. ამ შემთხვევაში კი მიკვირს ასეთი თავის მინებება ამ საქმისა. ნუ თუ შენი ხასიათის [illegible] ხასიათთა სანდროსაგან ვერ მოახერხე იმის გამორთმევა, რაც ეკუთვნის ძმის-წულებს? უფრო უპრიანი არ არის, რომ დიმიტრის ნაშრომი და საჭირო ქალალდები ტასოს ჰქონდეს? შვილებს შეუნახავს.

ჩემი ნათქვამი არ მოეწონა, მრისხანებით მითხრა.

— კარგი, კარგი, გამოვართმევ. ძალიან ქომაგი კი ჰყევხარ ტასოს!

— მე იმას ვამბობ, რასაც სვინდისი მეუბნება,—ვუპასუხე.

— სანდრომაც იმიტომ გამოიღო ის ქალალდები განჯინიდან, რომ ტასოს შეუნახოს, რომელმაც არც წერა იცის, არც კითხვა. ეშინოდა ვინმემ არ დასტყუოს, სანდრო კი დიმიტრის შვილებს შეუნახავს.

— სანდროს? მიკვირს— ვუპასუხე—მან ყადრი არ იცის არც თავისი ქონებისა, არც სხვისა. არ მესმის, სანდროს როგორ მიენდობა იმისთანა ძვირფასი ქალალდები; მართალია, ტასომ წერა-კითხვა არ იცის, მაგრამ ჭკუიანი დედაკაცია და ყოველივეს კარგად შეუნახავს შვილებს.

— მეც მაწუხებს—დამეთანხმა და დამარწმუნა, რომ ქალალდებს გამოართმევდა და შეინახავდა.

— შენ ყოველთვის ნოშორებული იყავი. თუმცა ის ნაწერები არ წაგიკითხავს, მაგრამ ხომ იცი, სწერდა, და უნიჭოსა და უხეშს არ დასწერდა.

ასე გათავდა ჩვენი ბაასი. ამსი შემდეგ ლიზა დიდხანს აღარ მინახავს, მეგონა, თავის სიტყვას შეასრულებდა, ქალალდებს გამოართმევდა. შორიდან მესმოდა, ალექსანდრე ძალიას ნიჭიერი მწერალი გახდაო, არა მჯეროდა იმისი ნიჭისა, რადგან კარგად ვიცნობდი: არავითარი საქმის დამთავრება მას არ შეეძლო, ყოველი საქმე იმის ხელში მარცხით თავდებოდა. დიმიტრის სიკვდილის დროს სანდრო უკვე 34 წლისა იყო. მანამდე მისი ნიჭი ვერა ვნახეთ. არაფერში არ ეტყობოდა იგი— არც ლაპარაკში, არც წერაში, არც საერთო განვითარებაში. არ ჰქონდა ლოგიკური აზროვნების მცირედი უნარიც. ერთი აზრიდან უმალ მეორეზე გადახტებოდა, არ შეეძლო თავის აზრის დამთავრებაც კი. უბრალო მსჯელობასაც კი მუდამ ისე ათავებდა რომ ბოლოს, ვითომ თქვენ იცავდით იმის აზრს, ის კი—თქვენსას.

მე ფიქრადაც არ მომივიდოდა, რომ ლიზა, ჯერ ერთი, ქალალდებს არ გამოართმევდა სანდროს და მეორეც—რომ შესაძლებელი ყოფილიყო ამისთანა უსვინდისო პლაგიატი. როცა „ელგუჯა“, „მამის მკვლელი“ და სხვა დაბეჭდილი წავიკითხე, ელდა მეცა. უმალ ვიცანი დიმიტრის ნიჭიერი, წმინდა აზრები— დამახინჯებული, არეულ-დარეული.

მაშინვე წავედი დიმიტრის ძმა გიორგისთან და ვთხოვე ნებართვა, ყოველივე გამომეცხადებინა. გიორგიმ დიდი მრისხანებით მითხრა:

— მეტიჩარა ნუ ხარ. რა შენი საქმეა! შენს მეტნი წერა არავინ არ იცის? რომ საჭირო იყოს, მე არ გამოვაცხადებდი? ვთხოვ გაჩუმდე და ამ საგანზე არ-სად ილაპარაკო.

გიორგის ნათქვამმა მეტად გამაკვირვა. მე არ ვიზიარებდი გაჩუმების ტაქ-ტიკას. მაინც ვუთხარი:

რაც დიმიტრიმ ცოლი შეირთო, თქვენ ისე დაშორდით ერთმანეთს, რომ იქნება არც კი იცით, რას სწერდა ის. მე კი იმდენად ახლო მეგობარი ვიყავი მისი, რომ ყოველისფერი წამაკითხა. მასალებიც მაჩვენა. ნუ თუ შესაძლებელია ამისთანა უსვინდისო და აშკარა დაჩემება? მაშ ეს პლაგიატი უნდა შერჩეს ალექსანდრეს?

— მეც დარწმუნებული ვარ, რომ დიმიტრის ნაწერებია, – მიპასუხა გიორგიმ, — მაგრამ, საუბედუროდ, სანდროც ჩვენი გვარისა არის. ამიტომ ამ საქმარცხვინო ამბის გამოცხადება იმისთანა ჭუჭყს მოსცხებს მთელ ჩვენს გვარს, რომ ისევ გაჩუმება სჯობია. მადლობა ღმერთს, რომ დიმიტრის შრომა საქართველოსვის არ დაიკარგა, გვარი ხომ ჩვენია, სახელს კი დიდი მნიშვნელობა არა აქვს. რაც შეეხება დამახინჯებას, ამის გასწორებას ჩვენ ველარ შევძლებთ. თუნდაც ჰქონდეს ალექსანდრეს დიმიტრის ხელნაწერები, არ მოგვცემს. უფრო კი მგონია, რომ სულ დასწვავდა. სჯობს ისევ ჩუმათ ვიყოთ.

მე ბიძა-შვილი ვიყავი დიმიტრისა, ისინი კი ღვიძლი ძმები იყვნენ. გარდა ამისა, ჩვენს ოჯახში გიორგი უფროსი, ჭკუიანი და ნასწავლი იყო. დიდი ავტორიტეტი ჰქონდა. მაინც მთის წესებში ვიყავით აღზრდილები და ვემორჩილებოდით უფროსის სურვილს და აზრებს.

ამ სიჩუმეს მაინც ვერ ვინელებდი. ნანამ ლიზას მემუარები არ წავიკითხე, არ მესმოდა ამათი გაჩუმება. რატომ არ მაძლევდნენ გამოცხადების ნებას? ამ საგანზე ასე მრისხანეთ რათ მელაპარაკებოდნენ? რათ ჯავრდებოდნენ? სად იყო ძაღლი ჩაფლული, როგორც რუსული ანდაზა ამბობს?

ელისაბედი თავის მემუარებში სწერს: დიდათ ვიტანჯები იმის გამო, რომ დიმიტრის სიცოცხლემ ასე უბედურად გაიარა, ბოლოს იმისი ნიჭიერი ნაწერები ალექსანდრეს ჩაუვარდა ხელში და იმან დაამახინჯა, დაიჩემაო.

მართლაც უნდა დატანჯულიყო. თუ მისი ნებითი ან უნებური დასტურით მოხდა ეს ამბავი, და თუ არ ერია, მაინც ყოველი შესაძლებელი საშუალება არ მოიხმარა, რომ თავის დროზე გამოერთმია ალექსანდრესთვის დიმიტრის ხელნაწერები.

მეც ისეთივე ბიძაშვილი ვიყავი სანდროსი, როგორც ლიზა. ერთადაც შევიზარდენით. ვინც მიცნობს, დამიდასტურებს, რომ არც ბოროტი, არც უგულო ადამიანი არ ვყოფილვარ. მაგრამ ერთი ხასიათი მქონდა მუდამ: როცა შევიტყობდი, რომ ესა თუ ის ადამიანი უზნეო იყო, რაც უნდა მახლობელი ყოფილიყო, იმას ჩემს გულში ადგილი აღარ ჰქონდა. მხოლოდ სიბრალული-ღა დამრჩებოდა გულში, რადგან ჩემის ღრმა რწმენით უზნეო ადამიანი მართლა შესა-

ბრალისია. თუმცა მისი ცუდი ზნეობა საზოგადოებისათვის მავნეა, ბოლოს უფრო თავისავე თავისთვის მავნე გამოდგება ხოლმე.

ლიზა, როგორც სჩანს იმის მემუარებიდგან, ჩემზე კარგად იცნობდა ალექსანდრეს, და ისიც იცოდა, რომ მას ნატამალიც არა ჰქონდა ადამიანობისა, მაინც სანდროს ჟუჟუნა თვალები რალაცას ეუბნებოდა მას. ეს თვალები ლიზას წმინდა მოვალეობასაც ავიწყებდა. მეტის სიმტკიცით რომ მოეთბოვნა, რაც იმის ძმის-წულებს ეკუთვნოდათ დიმიტრის წმინდა, ნიჭიერი ბრალმა დაუქახინჯებლად შეგვრჩებოდა.

ლიზა არ იყო გულჩვილი. მტკიცე ხასიათი და დიდი ნებისყოფა ჰქონდა. რომ მოესურვა, ადვილად დაიბრუნებდა იმ ხელნაწერებს, მაგრამ... არ მოისურვა, ან ვინ მოისურვა.

ელისაბედი იტანჯებოდა, მაგრამ ვაისა და ვუის თქმით აღარა ეშველებარა ამ სავალალო შემთხვევას. გვიან-ღაა თითზე კბენანი. რაც გულში აქვს ადამიანს ჩანერგილი, ვერ დაივიწყებს, ის ხინჯი ყოველთვის ღრღნის გულსა. ალექსანდრეს ჟუჟუნა თვალები აჩვილებდნენ ლიზას გულს. მაგრამ აჯობებდა, რომ ის გულჩვილობა დიმიტრის ცოლშვილზე გამოეჩინა. ყაზბეგებს რომ დროზე დაეჯერათ, რომ დიმიტრი თავის უსწავლელ ცოლს ტასოს არ გაეყრებოდა და ბოროტად არ ამოეჩემებინა დიმიტრის ცოლშვილი, სრულებით სხვანაირად მოეწყობოდა იმისი ცხოვრებაც და შედეგიც სხვანაირი გვექნებოდა.

ლიზა ძალიან ჰკიცხავს კეკეს და იმის ფეოდალურ აზრებს, მაგრამ თეითონაც შეითვისა იმისი აზრები. ეტყობა, რომ თვითონაც კეკეს აღზრდილი იყო. აბა რა დაამავა იმ საცოდავმა ტასომ, რა უპატიებელი ნაკლი ჰქონდა? არ იყო ნასწავლი? არ იყო კეთილშობილი შთამომავლობისა? სხვა ყაზბეგიანთ ცოლებზე არამც თუ უარესი არ იყო, ყოველისფრით მათზე მაღლაც იდგა— ჭკუითაც, ადამიანობითაც თვალ-ტანადობითაც, ტასო ისეთივე ოსის ქალი იყო, როგორც სხვა ყაზბეგის ცოლები. მხოლოდ ისინი იყვნენ კეთილშობილი, ის კი არა. არც იმათა ჰქონდათ სწავლა, არც ამას, ისე რომ არ გადაჰკიდებოდენ, განა იმასაც არ შეეძლო განათლება მიეღო? ის ლიზაზე უფროსი არ იყო იმ დროს, როცა ლიზამ დაიწყო რუსულის სწავლა.

ტასოს არც ჭკუა აკლდა, არც ნიჭი, დიმიტრის რომ სიცოცხლის ჩარხი არ შეშლოდა, როგორც ლიზამ მიიღო იმის გავლენით განათლება, ისიც ასე მიიღებდა. დიმიტრის ისე აწუხებდა თავის ოჯახის დაშორება, რომელიც გაგიჟებით უყვარდა, რომ ნაყოფიერებაც მოაკლდა და ბოლოც მოუღო. ნუ თუ ლიზას, რომელიც „ნაროდნიკობას„ ჩემობდა, არ ესმოდა, რომ იმის ძმა, რომელსაც უნდოდა მოეწყო თავისი ცხოვრება, როგორც ნაროდნიკს: უნდოდა იმისი ცოლი ყოფილიყო კეთილი, კარგი ადამიანი და ამისთვის გვაროვნობას მნიშვნელობას არ აძლევდა, იტანჯებოდა. სამწუხაროა, რომ ასე მოეწყო და გათავდა იმისთანა პატიოსნებით სავსე ნიჭიერი ადამიანის ცხოვრება!

თავიდანვე დიდი მითქმა-მოთქმა ასტყდა იმის შესახებ, თუ ვინ იყო ნამდვილი ავტორი იმ თხუზულებებისა, რომლებიც ალექსანდრე ყაზბეგმა გამოი-

ტანა თავის სახელით მოჩხუბარიძის ფსევდონიმით. მე არ ვაპირობ დეტალურად გავარჩიო კრიტიკოსების ნაწერები. მაინც არ შემიძლიან ჩემი შენიშვნა არ დავწერო.

მიხეილ ზანდუკელმა ნიჭიერად დაფიქრებით, დეტალურად გამოიკვლია ეს პრობლემა. ცხადია რომ ალექსანდრეს სახელით დაბეჭდილში ზოგი უფრო ნიჭიერია, ზოგი უნიჭო, ან სუსტი. ყოველ ნიჭიერ მწერლის ნაწერებიც შეიძლება თანაბრად ნიჭიანი არ იყოს. მე ვეთანხმები ზანდუკელს, რო ჯგუფად რომ გამოჰყო ეს ნაწერები. ოღონდ ერთი რამ არის აღსანიშნავი. პირველი ჯგუფი, დიმიტრიმ რომ წამაკითხა, უკვე შემუშავებული იყო. ხოლო მეორე— მასალები, თარგმანები, სახალხო ლექსები—შეუმუშავებელი დარჩა. სანდრომ ვერ შესძლო მათი შემუშავება, ამიტომ მხოლოდ პირველ ჯგუფს შერჩა დიმიტრის სტილი და ფაბულები. მხოლოდ ეს მეორე ჯგუფის მიტანა შეეძლო ალექსანდრეს უშიშრად პირდაპირ რედაქციაში. ეს იყო მისი ნაწერი, თუმცა, ეს ენიც იყვნენ დიმიტრის შრომა. დავფიქრდეთ, რა იყო მიზეზი. რომ რაც უფრო უნიჭო იყო იმისი შავები—დარჩა, რამაც შეიყვანა შეცდომაში ზანდუკელი, და უფრო ნიჭიერების შავი კი არ დარჩა? ეს ძალიან დამახასიათებელია. მე ავიხსნით:

სანდროს დავდაპირველად ესაჭიროებოდა საზოგადოების დარწმუნება, რომ თითონ იყო მწერალი. ამის გამო, რადგან კარგი ხსოვნა ჰქონდა, ზეპირად დაისწავლიდა, მიეიდოდა რედაქციაში და იქვე ზეპირად სწერდა. რადგან გიმნაზიაში შპარგალკებს იყო დაჩვეული, აქაც დიმიტრის ნაწერის ფურცლებს იმავე რიგით ხმარობდა. ეს ფურცლები შპარგალკების როლს ასრულებდნენ. ჯიბით დაჰქონდა. რაც დააკვიწყდებოდა, იმ ფურცლებში ჩაიხედავდა, ასე ამახსენებდა. მისი ნაშრომი არ იყო და არ ენანებოდა.

ვიმეორებ: დიმიტრი არ ბეჭდავდა, რადგან არ უნდოდა ცენზურას დაეშახინჯებინა, და ელოდებოდა თავისუფლების მოსვლას. სანდროს კი რა ენაღვლებოდა რასაკვირველია,დიმიტრის ნაწერებს სულ სწვავდა.

მეორე ჯგუფის ნაწერების ზეპირად წერა არ შეიძლებოდა. იმათ შემუშავება უნდოდა, ამის გამო თავისი ნაწერები დარჩა, დიმიტრის ნაწერები კი დასწვა. ამათ აშკარათ ეტყობათ, რომ სხვამ შეამუშავა, მხოლოდ სტილი და ფაბულა დარჩა დიმიტრისა, და როცა ალექსანდრეს ეს მასალებიც გამოელია, დაიწყო უნიჭო ფელეტონების წერა. უფრო ადრე დაწერილი იმისი პიესები იმდენად უნიჭო იყო, რომ დასაბეჭდათ არ ღირდა.

აქტიორობაშიც, საზოგადოების აზრით, ნიჭი ვერ გამოიჩინა. ბოდიშს ვიხდი, სანდროს უხეში ნათქვამის გამეორებისათვის: „აბანოშიც და ფეხისადგილშიც ვწერდიო". განა შესაძლებელია, რომ სრულის ჭკუის პატრონს, ისიც მწერალს, შეეძლოს მაგისთანა მდგომარეობაში წერა, ან ასეთი უხეში სიტყვის თქმა!

ვახტანგ კოტეტიშვილმა დაუფიქრებელი, ფანტასტიური გამოკვლევა დასწერა. მას არაფერი არ ეჩოთირება, ოღონდ თავისი შეცდომა მთელ საზოგადოებას გაამეორებინოს. მაგრამ ვერ შესძლებს. ის კომლი, რომელიც ახვევია

ალექსანდრეს მწერლობას, გაივლის, განიბნევა. ყოველი და ყველა თავის ადგილს დაიჭერს. ალექსანდრეც და მისი ნებით თუ უნებური გამდიდებელნიც მაღლიდან ძირს დაეცემიან. ხოლო ვისაც ეკუთვნის სვინდისით და სამართლით ეს ადგილი, ისინი დაიჭერენ და სხვის ბედაურზე შემსხდრებს ეტყვიან: დროა ტალახში ჩამობრძანდეთ, ეხლა კი უნდა ასე ვთქვათ ამ ქომაგზე, როგორიც მლდელი, ისეთი ერია. როგორიც ალექსანდრე იყო, ისეთი ~~ქომაგიც~~ შესცდა.

მაგონდება ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლისა და სხვების აზრი ~~ამ~~ საშინელი პლაგიატის შესახებ.

ილია ჭავჭავაძეს დუშეთიდანვე ვიცნობდი, როცა მომრიგებელ მოსამართლედ მსახურობდა. იქვე იყო სამსახურში დიმიტრიც. გარდა ამისა, ჩემი ქმარი ილიას თანაშემწედ იყო არჩეული ბანკში. მრავალჯერ მინახავს და მრავალ საკითხის შესახებ მომისმენია ილიას აზრი. უკანასკნელად პეტერბურგში ვნახე, როცა სახელმწიფო საბჭოს წევრად იყო არჩეული.

ილიამ და მაქსიმ კავალევსკიმ შეადგინეს მარცხენა ბლოკი, მაგრამ იმდენად ცოტანი იყვნენ, რომ დიდი გავლენის მოხდენას ვერ შესძლებდნენ. იქ წევრთა ცხრა მეათედი გურკოს მოზიარე იყო, რომელმაც სთქვა: „ვწუხვარ, რომ ყოველ სხვა რჯულის ხალხს, (გარდა რუსებისა) ერთი თავი არა აქვს, რომ ხმლის ერთი დაკვრით თავი მოვჭრაო“. ამ სიტყვების წინააღმდეგ იმ კრებაზე ხმა ვერვინ ამოიღო.

— საბწუხაროდ დიდ გავლენას ვერ ვპოულობთ. — მითხრა ჭავჭავაძემ.—თუმცა იმისთანებიც არიან, რომ თანაუგრძნობენ ჩვენს აზრებს, მაგრამ იმდენი გამბედაობა არა აქვთ, რომ აშკარად მოგვემხრნენ.

მერმე მოიგონა ის დრო, როცა დიმიტრისთან ვიყავით დუშეთში, და მითხრა:

— დიმიტრის დიდი გავლენა ჰქონდა თქვენზე. გახსოვთ, გატირეთ კიდევაც. თქვენ დიდ თმებში ძვირფასი ქინძისთავები გქონდათ, ყურებში—საყურეები. დიმიტრიმ გითხრათ: „სწორედ ველურ დედაკაცს ჰგვანხარ. ისღა გაკლია, ცხვირიც გაიხვრიტო და შიგ ძვირფასი ნივთი გაირჭო“. მეც დავუმატე: „ის ოქრო, რაც თავში იყო, გარეთ გამოდნა“ მეთქი.

გამახსენდა. ამ ლაპარაკმა მართლა ისე შემაწუხა, რომ ვიტირე. მას აქეთ თუმცა ბევრი ნივთი მქონდა, ოღარ ვხმარობდი. არამც თუ მე ოღარ მქონდა საყურეები, ჩემს ქალებსაც არ დავახვრეტინე ყურები. ჩემი ქმარიც დიმიტრის და ილიას აზრებისა იყო.

მერე ვკითხე, რას ფიქრობდა იმის გამო, რომ ალექსანდრემ საშინელი პლაგიატი მოახდინა და შერჩა?

— ვერც მე მომინელებია ეს ამბავი, არც მესმის გიორგის გვაროვნული გადაჭარბებული თავმოყვარეობა, ეს ჭუჭყი მხოლოდ იმას მიეცხობა, ვინც ასეთი საზიზღრობა ჩაიდინა და არა იმის გვარს. არ მესმის, რატომ არ გაძლევს გიორგი ნებას გამოაცხადო ყოველივე?

— რადგან დიმიტრის და-ძმანი ჩუმათ არიან, ჩვენც გაჩუმებულნი ვართ.

— როცა ვნახავ გიორგის, ვეტყვი. ვინც იცნობდა დიმიტრის და სანდროს, არავის სჯერა, რომ ალექსანდრეს ნაწერი იყოს. ეს ამბავი მთელმა ქვეყანამ იცის. მერწმუნეთ, ბუნების კანონია: ავაზაკობა არავის შერჩება, ადრე თუ გვიან გადაჰხდება. აქაც ასე იქნება. დრო მოვა, საზოგადოება დარწმუნდება. ალექსანდრე შერცხვენილი დარჩება, დიმიტრი კი იმ ადგილს [illegible], რაც სიმართლით ეკუთვნის.

ბიბლიოთეკა

იმ დღეს უკანასკნელად ვნახე ილია.

უკანასკნელად მოვიდა აკაკიც პეტერბურგში. ჩემთან თითქმის ყოველ დღეს დადიოდა. ერთხელ მოიგონა დიმიტრი.

— ნუ თუ ასე უნდა დაიმალოს ეს საქმე? გახსოვთ, საწყალ სერგეი მესხისთან ამაზე რომ ლაპარაკი გვქონდა. ისიც დავარწმუნეთ, მაგრამ იმასაც გაჩუმების მეტი არა შეეძლო-რა. უნტერ აფიცრის ცოლი ხომ არ იყო, რომ თავისთავი გაელახა.

სამწუხაროდ, თითქმის ყველა ძვირფასი მოწმეები უკვე დაიხოცნენ, მაგრამ ვინც კიდევ წაიკითხავს ნიკოლაძის წერილს ზანდუკელის მეორე წიგნში, და კიდევ ცნობების მეხუთე ნომერში ელისაბედ ყაზბეგის მემუარების წინასიტყვაობაში მოყვანილ, პეტრე უმიკაშვილის და სხვა და სხვა ნწერლების მოგონებებს და წერილებს მრავალ ჟურნალებში, ის გაიგებს ნამდვილ სიმართლეს.

ვიმეორებ: დროა ეს ზღაპარი გათავდეს და ნამდვილი ავტორი გაიოცხადდეს.

კ. ორაგველიძე

ეროვნული
ბიბლიოთეკა

კოოპერაციის სოციალური ბუნების შესახებ

კოოპერაციის ბუნების ცნებაში ჩვენ ვგულისხმობთ მისი სამეურნეო პოლიტიკის კლასიურ შინაარს და მის სოციალ-ეკონომიურ მიმართულებას. კოოპერაციის **სოციალური შემადგენლობა** განსხვავებული უნდა იქნეს მისი სამეურნეო პოლიტიკის ბუნებისა და კლასიური შინაარსისაგან. მათი ერთი მეორეში არევა მიგვიყვანდა მთელ რიგ შემცდარ შეხედულებამდე.

საქმე იმაშია, რომ ამა თუ იმ სამეურნეო და პოლიტიკური ორგანიზაციის სოციალური შემადგენლობა ხშირად არ შეეფერება მის მიერ წარმოებულ პოლიტიკის კლასიურ შინაარსს. იმისთვის, რომ ნათელვყოთ ეს დებულება მოვიყვანოთ მაგალითები. ცნობილია კერენსკის „სოციალისტური" მთავრობა რუსეთში 1917 წელს სრულიად არ იყო **თავისი სოციალური შემადგენლობით** კაპიტალისტ-იმპერიალისტების მთავრობა; მაგრამ პოლიტიკა, რომელსაც ატარებდა ეს მთავრობა თავისი კლასიური ბუნებით აშკარა იმპერიალისტური იყო (კერენსკის იერიშზე გადასვლა და სხ.). მაკდონალდის „მუშური" მთავრობა ინგლის'ში აგრეთვე არ შესდგებოდა კაპიტალისტებისაგან, მაგრამ მიუხედავად ამისა ისიც იმპერიალისტურ პოლიტიკას ატარებდა (კოლონიებთან დამოკიდებულება და სხ.). უამრავი რაოდენობა საბჭოებისა ჩვენში თავის სოციალური შემადგენლობით წარმოადგენენ გლეხურ საბჭოებს, მაგრამ ეს სრულიადაც არ ეწინააღმდეგება იმ დებულებას, რომ ჩვენი სახელმწიფო თავისი კლასიური ბუნებით პროლეტარულია.

ეს მაგალითები პოლიტიკური ცხოვრებიდან აშკარად გვიჩვენებენ, რომ შეუძლებელია თანასწორობის ნიშნის დასმა ამა თუ იმ ორგანიზაციის სოციალური შემადგენლობისა და მის მიერ წარმოებულ პოლიტიკის ბუნების შორის. ეს დასკვნა სწორია აგრეთვე სამეურნეო ორგანიზაციების მიმართაც. ასე მაგალითად, გლეხური კოოპერაცია ჩვენში რევოლიუციამდე უმთავრესად შესდგებოდა საშუალო და ღარიბ გლეხობისაგან, მაგრამ ამ კოოპერაციის კლასიური ბუნება იყო პოლიტიკური ბურჟუაზიული.

მაშასადამე კოოპერაციის ბუნების ანალიზის დროს შეუძლებელია ფორმალური მომენტებით დაკმაყოფილება. საჭიროა საკითხის უფრო ღრმად დაყენება, საჭიროა ამა თუ იმ მოვლენის განხილვა სხვა მოვლენებთან დაკავშირებით.

უდიდესი შეცდომა იქნებოდა წამოყენება საკითხისა კოოპერაციის ბუნების შესახებ განცალკევებულად, განყენებულად, დამოუკიდებლად ამ სოციალ-ისტორიული პირობებისაგან, რომლებშიაც მას უხდება მუშაობა. ლაპარაკი კოოპერაციის ბუნებაზე „საერთოდ", ნიშნავს სისულელის ლაპარაკს, ნიშნავს საკითხის უიმედოთ აბნევას.

ტუგან-ბარანოვსკი, რომელსაც სთვლიან კოოპერაციის [illegible] გამოჩენილ თეორეტიკოსად, ერთ-ერთი ასეთი ზედმიწევნით დაბნეული მეცნიერია. ამის დამტკიცება ძნელი არ არის. თავის შრომაში კოოპერაციის შესახებ ტუგანი სწერს: „თავისი **ფორმით** კოოპერატივი შეიძლება არ განსხვავდება კაპიტალისტურ საწარმოსაგან, **მაგრამ მაინც მათი შინაგანი სოციალ-ეკონომიური ბუნება იმდენად განსხვავდება ერთი მეორესაგან**, რომ რეალურ ცხოვრებაში კაპიტალისტური საწარმონი და კოოპერატივები არასდროს არ ერთდებიან ერთ საერთო მიმდინარეობაში, არამედ ყოველთვის სცხოვრობენ დამოუკიდებლად... კოოპერაცია გაიზარდა კაპიტალისტურ ნიადაგზე **და აქვს კაპიტალისტური ფორმა, მაგრამ ამ კაპიტალისტურ ფორმაში სცოცხლობს სულ სხვა არა კაპიტალისტური სული, რომელსაც მიჰყავს კაცობრიობა ახალი გზისაკენ, რომელიც ქმნის ახალ საზოგადოებრივ ფორმებს.** ეს ფორმები იმდენად განსხვავდებიან კაპიტალისტური საზოგადოების ცხოვრების ფორმებისაგან, რამდენადაც სოლიდარობა და ურთიერთ დახმარება განსხვავდება ექსპლოატაციისა და ძალადობისაგან."[1] (კურსივი ჩვენია. კ. ო.)

ტუგან-ბარანოვსკი ამტკიცებს, **რომ კაპიტალიზმის დროს კოოპერაციის ბუნება სრულიად განსხვავებულია კაპიტალიზმისაგან. კაპიტალიზმი თავზე ახვევს კოოპერაციას მხოლოდ თავის ფორმას, მაგრამ ამ ფორმაში სცოცხლობს სხვა არა კაპიტალისტური სული.**

რაშია ტუგანის შეცდომა?

ტუგანის შეცდომა გამოიხატება იმაში, რომ საკითხი კოოპერაციის ბუნების შესახებ გავლენას ახდენს მხოლოდ კოოპერაციის ფორმაზე, მაგრამ ის არ მოქმედებს მის სოციალ-ეკონომიურ ბუნებაზე, მის სულზე, რომელიც მუდამ რჩება არაკაპიტალისტური. მაშასადამე, ტუგანისათვის არსებითად არ არსებობს გარეშე კაპიტალისტური არე, რომელიც უნდა უმორჩილებდეს თავის იმანენტურ კანონებს თავის კოოპერაციას. კოოპერაცია განაგრძობს დამოუკიდებლად არსებობას და კაპიტალიზმს არას დროს არ ძალუძს მისი დამორჩილება. ამ შემცდარ თვალსაზრისს მიჰყავდა და მიჰყავს მრავალი კოოპერატორი იმ დასკვნამდე, რომ ჯერ კიდევ კაპიტალიზმის დროს შესაძლებელია სოციალიზმის განხორციელება კოოპერაციის საშუალებით.

ჩვენი ანალიზის საგანს წარმოადგენს არა კოოპერაციის ბუნება **საერთოდ** (in abstracto), არამედ კოოპერაციის ბუნება in concreto, **განსაზღვრულ სოციალურ პირობებში.** მაშასადამე, ეს საკითხი უნდა დაისვას კონკრეტიულად ე. ი. **კაპიტალიზმისა და პროლეტარიატის დიქტატურის პირობებში.**

ჩვენ ავიღებთ სამ მთავარ საკითხს, რომელთა მიხედვიდაც მოვახდენთ ჩვე-

1) ტუგან-ბარანოვსკი „კოოპერაციის სოციალური საფუძვლები" გვ. 32 – 33.

ნთვის საინტერესო ბრძოლების ანალიზს. ეს საკითხებია: 1) ხელმძღვანელობა კოოპერაციაზე, 2) ფასების პოლიტიკა, როგორც სამეურნეო პოლიტიკის მნიშვნელოვანი მომენტი, ⁄ 3) კოოპერაციის სამეურნეო განვითარების ტენდენციები. ე. ი. საით იზრდება იგი.

განვიხილოთ ეს საკითხები ჯერ კაპიტალიზმის პირობებში. ჩვენ უკვე ვთქვით, რომ რევოლიუციამდე არსებული გლეხური კოოპერაცია (სასოფლო, სამეურნეო, საკრედიტო) უმთავრესად შესდგებოდა საშუალო და ღარიბ გლეხობისაგან. მაგრამ ეს სრულიად არ ნიშნავდა, რომ გლეხურ კოოპერაციის ხელმძღვანელობაც ამ ფენების ხელში იყო. რასაკვირველია ასეთ შემთხვევებსაც ჰქონდა ადგილი. მაგრამ კაპიტალიზმის დროის ასეთ შემთხვევებს შეიძლება ჰქონოდა ხანმოკლე და ძლიერ იშვიათი ხასიათი.

არ უნდა დავივიწყოთ, რომ კოოპერაციის ხელმძღვანელები გაზოდიოდენ ბურჟუაზიული წრეებიდან. იზრდებოდენ ბურჟუაზიულ სასწავლებლებში, ითვისებდენ ბურჟუაზიულ იდეოლოგიას. კოოპერატორად შეიძლება ყოფილიყო ცოტათ თუ ბევრად მომზადებული კაცი, ხოლო განათლება, როგორც ცნობილია, მიუღწეველი იყო მოსახლეობის დაბალი ფენებისათვის. ერთი სიტყვით, თვით ბურჟუაზია და სხვა პრივილეგიური ფენები იძლეოდენ კოოპერატორთა დიდ უმრავლესობას, კოოპერაციის სხვა და სხვა სახეთა ხელმძღვანელებს. ამ დებულების დამტკიცება მე ვფიქრობ არც არის საჭირო.

მაგრამ როგორ ახერხებდენ და ახერხებენ ბურჟუაზიულ კოოპერატორები ხელმძღვანელობის ხელში ჩაგდებას? რაშია ამ მოვლენის მიზეზები?

კაპიტალიზმის დროს სხვანაირად არც შეიძლება მოხდეს, რადგან წარმოების კაპიტალისტური წესი გაბატონებულია, მისთვის ძნელი არ არის დაეუფლოს კოოპერაციას, შეიჭრას მასში, დააჩნიოს თავისი **კვალი** მის მუშაობას. კოოპერაცია აუცილებლად უნდა გადაიქცეს კაპიტალიზმის დამატებად. კაპიტალისტური მეურნეობით გარშემორტყმულმა, მან უნდა დაამყაროს მასთან კავშირი დამორჩილების პირობებში, კაპიტალის მაგნატთა ყოველგვარი ბრძანების შესრულების პირობით. ერთი ორში, **ან** კოოპერაცია უნდა ჩაებას კაპიტალიზმის სისტემაში და დაემორჩილოს მას, **ან** და ის არ დაემორჩილება კაპიტალიზმს და აუცილებლად განადგურებული იქნება მის მიერ.

არ არსებობს ისეთი კაპიტალისტური ქვეყანა, რომელშიაც მსხვილი კაპიტალისტური სამეურნეო ორგანიზაციები არ იმორჩილებენ კოოპერაციას. საკმარისია აქ მიუთითოთ ბანკების როლზე. კაპიტალიზმი ყველგან ახერხებს კოოპერაციაზე ხელმძღვანელობის აღებას. ამისათვის საკმარისია დაეხმარო კულაკურ და კოოპერაციის სხვა ელემენტებს, რათა მათ ხელში ჩაიგდონ კოოპერაციის **სახელმძღვანელო** სიმაღლეები **შიგნიდან.** ბოლოს და ბოლოს ყველა კოოპერატიული ორგანოები, ხელში უვარდებოდენ რეაქციონურ, ბურჟუაზიულ ხელმძღვანელებს.

მეორე მნიშვნელოვანი საკითხი არის ფასების პოლიტიკა კაპიტალიზმის პირობებში, რომელიც აგრეთვე სწყდებოდა და სწყდება კოოპერაციის კაპიტა-

ლისტური ელემენტების სასარგებლოდ და არა ღარიბ გლეხობისა და პროლეტარიატის სასარგებლოდ.

ფასების პოლიტიკაში ყველაზე უფრო მკაფიოდ მეფავნდება კოოპერაციის ბუნება და ჩვენ ვხედავთ, რომ ამ საკითხში ის სრულიადაც არ ხასიათდება არაკაპიტალისტური სულით. საკმარისია აქ მიუთითოთ [illegible] დანიის კოოპერაციაზე. „დანია წარმოადგენს ისეთი ქვეყნის ტიპიურ [illegible], სადაც გლეხის ინტერესები, როგორც მწარმოებლისა ძალიან მძაფრად ეჯახება მუშის—როგორც მომხმარებლის ინტერესებს. იმ დროს, როდესაც მრავალ კაპიტალისტურ ქვეყნებში (უნგრეთი, რუსეთი, ჩრდილო ამერიკანული შეერთებული შტატები) გლეხები აწარმოებენ ფართო მომხმარებებელთა მასების და მათ შორის პროლეტარიატის ექსპლოატაციის, ყიდიან რა თავის პროდუქტებს.

ძვირად—დანიის გლეხობა სრულიად უბრალოდ სწყვეტს ამ საკითხს—ის ღარს ამბობს თავის პროდუქციის მუშებისათვის მიყიდვაზე (ფასი ერბოზე, ყველზე, კვერცხზე და სხვ. დანიაში უფრო მაღალია, ვიდრე ინგლისში). დანიის გლეხობას თავის პროდუქციის 20—25%-ი გააქვს საზღვარგარეთ და შინაურ ბაზარს მისთვის სრულიად უმნიშვნელო ინტერესი აქვს. მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მხედველობაში მივიღებს იმას, რაც იყო თქმული, შესაძლებელი გახდება იმ მოვლენის გაგება, რომ მაშინ როდესაც ყოველწლიურად დანიიდან გააქვთ 5 მილიონი ფუთი კარაქი და 11 ათასი მილიონი ფუთი ხორცი—დანიის პროლეტარიატი იკვებება მარგარინით და ღორის შიგნეულობით. კარაქის და ხორცის იმ 3—8%-ს, რომელსაც სტოვებენ გლეხები შინაური ბაზრისათვის, ხმარობს უმთავრესად მოსახლეობის შეძლებული ნაწილი[1]).

სოციალისტ-ფანტაზიორებს ცამდის აყავდათ ყოველგვარი კოოპერაცია კაპიტალიზმის დროს, სთვლიდენ მას სოციალიზმის ჩანასახად. მათი აზრით კოოპერაციის საშუალებით, შესაძლებელი იყო სოციალიზმის განხორციელება. მაგრამ შეხედეთ დანიას, კოოპერაციის ამ კლასიკურ ქვეყანას! დანიაში, კოოპერაციაში გაერთიანებულია თითქმის მოსახლეობის 80%. თითქოს იქ უნდა განხორციელებულიყო უტოპისტთა ოცნებები. მაგრამ ეს ულრმესი შეცდომაა. დანიის კოოპერაციას (ჩვენ არ ვლაპარაკობთ მუშათა კოოპერაციაზე) არავითარი საერთო არა აქვს სოციალიზმთან, პირიქით, მისი ყველაზე უფრო **სასტიკი** მტერია.

ზემოთ მოყვანილი ფაქტები ნათლად ააშკარავებენ, ჩვენ დებულებას. დანიის კოოპერაცია არაფრით არ განსხვავდება კაპიტალისტურ სინდიკატებისა და კარტელებისაგან, რომლებიც უმატებენ ფასებს. ის უმატებს ფასებს ქვეყნის შიგნით, სარგებლობს რა მონოპოლიით და უკლებს ფასებს გარეშე ბაზარზე. ჩვენ აქ გვაქვს რაღაც დამპინგ—სისტემის მსგავსი. მუშებს და გლეხებს არ ძალუძთ სასოფლო-სამეურნეო საქონლის ყიდვა. ისინი იძულებული არიან იკვებებოდენ ხელოვნური ერბოთი—მარგარინით და ღორის შიგნეულობით.

ამაზე უფრო მომაკვდინებელი კრიტიკა ეგრედ წოდებული კოოპერაციის კაპიტალისტური სულისა შეუძლებელია. ცხადია რომ ლაპარაკიც კი შეუძლე-

[1]) ვარიაში—კოოპერატიული დანია. გვ. 180—181.

ბელია ამ არაკაპიტალისტურ სულზე. პირიქით, კოოპერაციის სამეურნეო პოლიტიკა გამსჭვალულია კაპიტალისტური სულით. კაპიტალიზმი დაეუფლა კოოპერაციას და გადააქცია იგი თავის ძლიერ იარაღად. ის უნდა გადაგვარებულიყო და კიდეც გადაგვარდა, გადაიქცა რა კაპიტალისტურ საწარმოოთ.

მესამე საკითხი—სამეურნეო განვითარების ტენდენციების შესახებ—ე. ი. იმის შესახებ, თუ საით იზრდება კოოპერაცია—ეხლა საკმაოთ ცხადი ხდება. ორგანიზაციულად უფრო მოწესრიგებულ ქალაქის მრეწველობას, ბანკებს და კაპიტალიზმის სხვა სამეურნეო ორგანიზაციებს თან მიყავსთ კოოპერაცია, ბრძანებლობენ მასზე, ხდიან მას კოლექტიურ—კაპიტალისტურ დაწესებულებათ. კაპიტალიზმის დროს არსებობს კოოპერაციის განვითარების მხოლოდ ერთი გენერალური ხაზი, ხაზი მისი კაპიტალისტური განვითარებისა, უფრო სწორად, მისი კაპიტალისტური გადამუშავებისა ხდება კოოპერაციის შეზრდა კაპიტალისტურ სამეურნეო სისტემაში, მისი გარდაქმნა კაპიტალიზმის ვინტიკათ, მისი გავლენის გამტარებლად. სხვა გზა კოოპერაციისათვის კაპიტალიზმის დროს არ არსებობს და ყოველგვარი ლაპარაკი იმის შესახებ არის სრული ფანტასტიკა და სიცრუე.

ამიტომ სრულიად მართალი იყო მარქსი, როდესაც ამბობდა, რომ კაპიტალიზმის დროს კოოპერაციამ აუცილებლად უნდა გადაიღოს კაპიტალიზმის ყოველივე ნაკლი. ამიტომ სრულიად მართალია აგრეთვე ამხ. ლენინი, როდესაც ის კოოპერაციას კაპიტალიზმის დროს აფასებდა, როგორც **კოლექტიურ კაპიტალისტურ დაწესებულებას**. ის წარმოადგენს კოლექტიურ—კაპიტალისტურ დაწესებულებას არა იმიტომ, რომ მისი შემადგენლობის უმრავლესობა ეკუთვნის კაპიტალისტთა კლასს, არამედ იმიტომ, რომ 1) ხელმძღვანელობა ბურჟუაზიის ხელშია, 2) სამეურნეო პოლიტიკა (პოლიტიკა ფასებისა და სხვ.) გამსჭვალულია ბურჟუაზიული სულით, 3) სწარმოებს მინი შეზრდა კაპიტალიზმის სისტემაში. სწორედ ამიტომ არავითარი საფუძველი არ არის იმისათვის, რომ ვილაპარაკოთ კოოპერაციის არაკაპიტალისტური ბუნების შესახებ კაპიტალიზმის დროს. პირიქით, არის სრული საფუძველი ვამტკიცოთ, რომ კაპიტალიზმის დროს კოოპერაციას ან უკვე აქვს, ან აუცილებლად მიიღებს კაპიტალისტურ ბუნებას. საკმე არსებითად იცვლება პროლეტარიატის დიქტატურის დროს. კოოპერაციის ბუნების ცვლილება პროლეტარიატის დიქტატურის დროს გამოწვეულია მით, რომ ყველა სახელმძღვანელო სიმაღლეებს იკავებს მუშათა კლასი, მით რომ იცვლება წარმოების წესი. „არსებულ წყობილების დროს კოოპერატიული დაწესებულებანი, განსხვავდებიან კერძო კაპიტალისტური დაწესებულებებისაგან, როგორც კოლექტიურ საწარმონი, მაგრამ არ განსხვავდებიან სოციალისტური წარმოებისაგან, თუ ისინი დაფუძნებული არიან იმ მიწაზე, თუ მათ აქვთ ის საწარმოო საშუალებანი, რომელიც ეკუთვნის სახელმწიფოს, ე. ი. მუშათა კლასს[1]).

ლენინი იმავე წერილებში კოოპერაციის შესახებ რამოდენჯერმე ხაზს უსვამს იმ აზრს, რომ პროლეტარიატის დიქტატურის დროს, **პროლეტარული საწარმოო დაწესებულებანი არ განსხვავდებიან სოციალისტური დაწესებულე-**

[1] ლენინი—კოოპერაციის შესახებ.

ბებისაგან, რომ ისინი „ჩვენს პირობებში ყოველთვის ემთხვევიან სოციალიზმს". რომ „კოოპერაციის უბრალო ზრდა ჩვენთვის სავსებით იგივეა, რაც სოციალიზმის ზრდა", და შემდეგ „იმ პირობებში, რომ კოოპერაციაში ჩაბმული იყოს მთელი მოსახლეობა ჩვენ ორივე ფეხებით სოციალისტურ ნიადაგზე ვიქნებით დაფუძნებული".

სავსებით ცხადია, რომ კოოპერატივის ბუნების ასეთი [illegible] ძლებელი შეიქნა სოციალ-ისტორიული მდგომარეობის სრული შეცვლის გამო. **კოოპერაცია კაპიტალიზმის დროს წარმოადგენდა კაპიტალიზმის იარაღს, ასრულებდა მის ბრძანებას. პროლეტარიატის დიქტატურის დროს პირიქით. კოოპერაცია ხდება სოციალისტური პროლეტარიატის იარაღად. ექვემდებარება მას, ატარებს მის გავლენას.** მხოლოდ სასტიკად დაბნეულ პირებს არ შეუძლიათ დაინახონ მდგომარეობა. ეს ცვლილება.

პროლეტარიატი ანხორციელებს **თავის** ხელმძღვანელობას კოოპერაციაზე. ის წარმართავს მის ათეულ და ასეულ მუშაკთა კოოპერატიულ საქმიანობას. ის აწინაურებს ქვედა ფენებიდან მომავალ კოოპერატორებს. პროლეტარიატი ამყარებს კავშირს კოოპერაციის მონაწილე ღარიბ და საშუალო გლეხობასთან—კულაკების წინააღმდეგ.

კოოპერაცია ანხორციელებს, უნდა ანხორციელებდეს, პროლეტარიატის სამეურნეო პოლიტიკას, მას არ შეუძლია და არც უნდა გაატაროს ფასების დამოუკიდებელი პოლიტიკა, რომლის მიზანი იქნება მშრომელთა ექსპლოატაცია (როგორც დასავლეთში). სახელმწიფო ვაჭრობის კომისარიატის საშუალებით თვით აწესრიგებს ფასებს უმთავრეს საქონელზე.

კოოპერაციას ჩვენს პირობებში შეუძლია ზრდა მხოლოდ სოციალიზმის მიმართულებით. ეს არის მისი განვითარების ერთად-ერთი გენერალური ხაზი.

ეს შეზრდა ხორციელდება სოციალისტური ზეგავლენით კოოპერაციაზე. მისი ჩაბმით სოციალისტურ სისტემაში, მისი სოციალისტური ზეგავლენის სფეროში მოქცევით.

როგორც ვხედავთ, კოოპერაციის ბუნება პროლეტარიატის დიქტატურის დროს მკაფიოდ უნდა განსხვავდებოდეს კაპიტალიზმის პირობებში არსებულ კოოპერაციის ბუნებისაგან. კოოპერაცია იღებს სოციალისტურ ხასიათს, **ხდება სოციალისტურ საწარმოთ.** რასაკვირველია ის ჯერ კიდევ არ არის თანამიმდევრობითი სოციალისტური ტიპის საწარმოო (სახელმწიფო საწარმო), მაგრამ თანდათანობით უახლოვდება მას, მთელ რიგ შემთხვევებში ემთხვევა მას.

ამიტომ სრულიად მართალი იყო ლენინი, როდესაც ის ლაპარაკობდა კოოპერაციის სოციალისტურ ბუნებაზე ჩვენს პირობებში, სოციალისტურ და კოოპერატიულ საწარმოთა იგივეობაზე. რასაკვირველია ეს ჯერ კიდევ არ ნიშნავს, რომ ჩვენ შეგვიძლია ყოველი კოოპერაცია გამოვაცხადოთ სოციალისტურად. ლაპარაკია ისეთ კოოპერაციაზე, რომელიც ატარებს პროლეტარიატის კლასიურ ხაზს. ლაპარაკი არ არის ისეთ კოოპერაციაზე, რომელშიაც კულაკური ელემენტები ახერხებენ თავის კლასიური ხაზის გატარებას.

სავსებით ცხადია ავრეთვე, რომ კოოპერაციის ეს გარდაქმნა სოციალისტურ კოოპერაციათ არ სწარმოებს მშვიდათ, ბრძოლისა და წინააღმდეგობათა

გარეშე. პირიქით, ეს გარდაქმნა შეიძლება მოხდეს ხანგრძლივი პროცესის შემდეგ წარსულის ნაშთებთან და კულაკურ-კაპიტალისტურ ელემენტებთან კოოპერაციის შიგნით მტკიცე კლასიური პოლიტიკისათვის.

ჩვენ გვრჩება ეხლა კიდევ ერთი საკითხი, რომლის გამო შეეხებილია გაუგებრობა ზოგიერთ ეკონომისტის მიერ. ეს საკითხი შემდეგნაირია: რომელ კოოპერაციაზე ლაპარაკობდა ამხ. ლენინი თავის წერილებში, როდესაც ხაზს უსვამდა კოოპერაციის და სოციალიზმის იგივეობას? რა ჰქონდა მას მხედველობაში — გლეხობის საწარმოო (კოლექტიური მეურნეობანი), სასოფლო-სამეურნეო, საკრედიტო თუ სამომხმარებლო კოოპერაცია?

ამხ. პრეობრაჟენსკი ფიქრობს, რომ ამხ. ლენინს მხედველობაში ჰქონდა **საწარმოო** კოოპერაცია, „როდესაც ლენინი წერილში „კოოპერაციის შესახებ" ამბობდა, რომ კოოპერატიული საწარმონი ჩვენი წყობილების სისტემის პირობებში არ განსხვავდება სოციალისტურ საწარმოთაგან, მას მხედველობაში ჰქონდა არა კოოპერაცია, **გაცვლა-გამოცვლის** სფეროში, რომელიც ემყარება წვრილ საქონლის მეურნეობას **წარმოებაში**, არამედ საწარმოო კოოპერაცია, რომელიც წარმოადგენს სახელმწიფოებრივ გეგმიან მეურნეობის **გაგრძელებას** [1]).

როგორც ვხედავთ ამხ. პრეობრაჟენსკი აცხადებს **სოციალისტურ კოოპერაციად** ჩვენს პირობებში **მხოლოდ საწარმოო კოოპერაციას**, ლენინს მისი აზრით თავის წერილებში მხედველობაში არ ქონებია კოოპერაციის დანარჩენი სახეები. მართალია ამხ. პრეობრაჟენსკი თავის შრომის მცირე ადგილს (გვ.-20) ლაპარაკობს **კოოპერაციაზე გაცვლა-გამოცვლაში**, როგორც სახელმწიფოებრივ ნეურნეობის გაფართოებაზე, რომელიც უფრო მერყეევია, და უფლო ნაკლებად მოწესრიგებულია ორგანიზაციულად), მაგრამ ეს მოწმობს მხოლოდ მის არათანამიმდევრობის შესახებ.

ამხ. პრეობრაჟენსკის მტკიცება წარმოადგენს ულრმეს შეცდომას, ის არამც თუ არ გამომდინარეობს კოოპერაციის ლენინური თეორიიდან, არამედ სავსებით და მთლიანად ეწინააღმდეგება მას. ეჭვს გარეშეა, რომ ამ თეორიულ შეცდომაში (კოოპერაციის ბუნების შესახებ) უნდა ვეძიოთ ჩვენ ოპოზიციურ ეკონომისტების მთელ რიგ შემცდარ პრაქტიკულ წინადადებათა ფესვები კოოპერაციის შესახებ: მართლაც, თუ სასოფლო-სამეურნეო და სამომხმარებლო კოოპერაცია არ წარმოადგენს სოციალისტურ კოოპერაციას, და თუ ისინი ვერც გახდებიან ასეთად, აქედან შეიძლება გამოვიტანოთ მხოლოდ ერთი პრაქტიკული ხასიათის დასკვნა, რომელიც გამოქონდათ თვით ოპოზიციონერებს (სახელმწიფო კაპიტალების ამოღება კოოპერაციიდან, ვაჭრობიდან და სხვ.).

ამხ. პრეობრაჟენსკის არ ესმის გლეხური კოოპერაციის ბუნება კაპიტალიზმის დროს, მან ვერ შეითვისა აგრეთვე ლენინის თვალსაზრისი კოოპერაციის ბუნებაზე ჩვენს პირობებში, ამაშია მისი ძირითადი შეცდომა. მას არ ესმის სახელმძღვანელო სიმაღლეების როლი. როლი პროლეტარიატის ხელმძღვანელობისა და ზემოქმედებისა.

---

1) პრეობრაჟენსკი.—ახალი ეკონომიკა 1 გამც. გვ. 208.

ამხ. ლენინი არც ერთ თავის წერილში („კოოპერაციის შესახებ") არ ლაპარაკობდა კოოპერაციის სხვადასხვა სახეებზე. ის არ ლაპარაკობდა აგრეთვე სპეციალურად კოლექტიურ მეურნეობაზე. ლენინი ლაპარაკობდა კოოპერაციის როლის შესახებ საერთოდ **კაპიტალიზმის დროსა და ჩვენს პირობებში,** ის ლაპარაკობდა მისი ბუნების შესახებ. არავითარი საფუძველი არ-ა-ქვს იმის ფიქრს, რომ ეს წერილები ეხება მხოლოდ კოლექტიურ მეურნეობას, [illegible] 1923 წელში, (როდესაც იწერებოდა ეს წერილები კოოპერაციაზე) კოოპერაციის უფრო გავრცელებულ სახეს, მის მასიურ ფორმას წარმოადგენდა არა საწარმოო კოოპერაცია, არამედ კოოპერაცია გაცვლა-გამოცვლის დარგში. მიუხედავად ამისა ეს წერილები ეხებოდა აგრეთვე საწარმოო კოოპერაციასაც.

რატომ არ სთვლის ამხ. პრეობრაჟენსკი სოციალისტურად კოოპერაციის გაცვლა-გამოცვლის დარგში? ალბად იმიტომ, რომ მისთვის კოოპერაციის სოციალისტური ბუნების არსებით ნიშანს წარმოადგენს კოოპერაცია წარმოების დარგში, მაგრამ არაფის არ ულაპარაკია კოოპერაციის სოციალისტურ ხასიათზე გაცვლა-გამოცვლის სფეროში (მაგალითად სასოფლო-სამეურნეო კოოპერაცია) **იმ აზრით,** რომ ის წარმოადგენს კოოპერაციას წარმოების სფეროში. აშკარაა, შეუძლებელია გამნაწილებელ სავაჭრო ორგანიზაციის შედარება საწარმოო ორგანიზაციასთან. თუ გსურთ გამოარკვიოთ სასოფლო-სამეურნეო და სამომხმარებლო კოოპერაციის სოციალისტური ხასიათი, საჭიროა შეადაროთ იგი **სახელმწიფო ვაჭრობას.** თუ კი გსურთ გამოარკვიოთ საწარმოო კოოპერაციის (კოლეკტიური მეურნეობა) სოციალისტური ბუნება, მაშინ საჭიროა მისი შედარება **სახელმწიფო მრეწველობასთან, თანამიმდევარ სოციალისტური ტიპის საწარმოო დაწესებულებებთან.** მაშინ გახდება ცხადი, რომ კოოპერაცია გაცვლა-გამოცვლის სფეროში და კოოპერაცია წარმოების სფეროში, ყოველთვის ემთხვევა სოციალიზმს, ე. ი. წარმოებისა და განაწილების სოციალისტურ ორგანიზაციას.

საწარმოო კოოპერაცია მტკიცე ბაზისს ჩაუყრიდა კოოპერაციის სოციალისტურ ხასიათის გასაღების სფეროში, მაგრამ უიმისოთაც ეს უკანასკნელი **ჩვენს პირობებში მაინც სოციალისტური გამნაწილებელი აპარატი იქნებოდა.**

რატომ უწოდებთ ჩვენ კოოპერაციას გაცვლა-გამოცვლის სფეროში სოციალისტურს? პირველყოვლისა იმიტომ, რომ ამ კოოპერაციას ხელმძღვანელობს პროლეტარიატი, მეორე მხრივ იმიტომ, რომ ის ატარებს პროლეტარიატის სამეურნეო პოლიტიკას (ფასების პოლიტიკას და სხვ.) და მესამე იმიტომ, რომ ის შეეზარდა სახელმწიფოებრივი მეურნეობის სისტემას, არსებითად მის ნაწილად გადაიქცა.

იმისათვის, რომ კოოპერაცია გაცვლა-გამოცვლაში დახასიათებულ იქნას, **სოციალისტურ** კოოპერაციად, საკმარისია მიუთითოთ იმ როლზე, რომელსაც ის ასრულებს პურისა და კვების სხვა პროდუქტების დამზადების დროს. კიდევ უფრო აშკარად კოოპერაციის ეს როლი—როგორც სახელმწიფოს დაკვეთა აღმასრულებელი ორგანიზაციისა—მჟღავნდება სამრეწველო ნედლეულობის დამ-

ზადებაში (ბამბის, ხელის, ბაღჩლის, თამბაქოს და სხვ.) კოოპერაციამ აქედან თითქმის სრულიად გამოდევნა კერძო კაპიტალი და დაეუფლა საქონლის ბრუნვას. არსებითად ის გადაიქცა სახელმწიფოს აპარატად, ვინაიდან თავის ფუნქციებით ის ცოტათი განსხვავდება სახელმწიფოებრივ და მომზარებულ ორგანიზაციებისაგან [1].

აი რატომ უნდა ვაღიაროთ ჩვენ სოციალისტურად [illegible] ცველა-გამოცვლის სფეროში. მაგრამ ასეთივეა ის კრედიტის სფ[illegible] კოოპერაციაც აგრეთვე პროლეტარიატის კლასიური ხაზის გამტარებელია.

ლენინი თავის წერილებში ლაპარაკობდა **კოოპერაციაზე საერთოთ**, ყველა მის სახეებზე. ყოველგვარი კოოპერაცია პროლეტარიატის დიქტატურის დროს უნდა წარმოადგენდეს სოციალიზმის იგივეობას, ვინაიდან მისი პოლიტიკის კლასიურ შინაარსს, მისი სოციალ-ეკონომიურ მიმართულებას საკვანძოთ და მთლიანად განსაზღვრავს გაბატონებული კლასი (ე. ი. პროლეტარიატი). ვინც უარყოფს ამ ძირითად დებულებას, მან უნდა უარყოს აგრეთვე ლენინის მთელი თეორია კოოპერაციის შესახებ.

* * *

მარქსისტული თეორიის ნიხედვით პროლეტარიატის დიქტატურის დროს შესაძლებელია მეურნეობის არა მარტო ზოგიერთი, არამედ **ყველა** პროცესების განსაზოგადოება. კოოპერაცია პროლეტარიატის დახმარებით შესძლებს განსაზოგადოების საქმის მიყვანას მის ლოგიურ დასკვნამდე, გლეხურ მეურნეობაზე ყოველმხრივად თავის გავლენის გავრცელებას.

სასოფლო მეურნეობაში განსაზოგადოებითი პროცესები, რომ დაკმაყოფილებულიყო მარტო გლეხობის კოოპერაციაში ჩაბმით მხოლოდ **საქონლის ბრუნვის სფეროში, ან კრედიტის სფეროში,** მაშინ გლეხური მეურნეობის განსაზოგადოების ამოცანა ვერ იქნებოდა გადაჭრილი. პროლეტარიატის საბოლოო მიზანს წარმოადგენს სასოფლო-სამეურნეო **წარმოების** განსაზოგადოება, წვრილი გლეხური მეურნეობის გარდაქმნა მსხვილ საზოგადოებრივ წარმოებად. ჩვენთვის მნიშვნელოვანია სწორედ წარმოების **წესის** შეცვლა. ამ ძირითადი ამოცანის გადაწყვეტისაკენ უნდა იყოს მიმართული პროლეტარიატის ყველა დანარჩენი ღონისძიებანი, ვინაიდან ამაშია ნამდვილი განსაზოგადოების პრობლემის საფუძველი.

მაგრამ ყველა არ ეთანხმება მარქსისტულ თვალსაზრისს. მთელი რიგი წვრილბურჟუაზიული იდეოლოგებისა მკაცრად ილაშქრებენ ამ თვალსაზრისის წინააღმდეგ. ისინი ფიქრობენ, რომ გლეხური მეურნეობის განსაზოგადოება შეუძლებელია, როგორც ტექნიკური, ისე ეკონომიური მხრით. **ისინი მზად არიან**

[1]) ეს არ ნიშნავს იმას, რომ ჩვენ შეგვიძლია ერთი მეორეში აურიოთ, იგივეობად გამოვაცხადოთ კოოპერაცია და სახელმწიფოებრივი სამეურნეო აპარატი. საჭიროა მხედველობაში ვიქონიოთ, რომ კოოპერაცია წარმოადგენს მასიურ ნებაყოფლობით ორგანიზაციას. მაგრამ ტექსტში ლაპარაკია არა ამის შესახებ, არამედ კოოპერაციის ბუნებისა, როლისა და ფუნქციების შესახებ, რომლებიც აუცილებლად ემთხვევა სოციალიზმს.

დაეთანხმონ იმ დებულებას, რომ შესაძლებელია კოოპერაციის გავრცელება საქონლის გასაღებისა და ყიდვის პროცესებზე, კრედიტის საქმეზე და სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების პირველად დამუშავებაზედაც კი. მაგრამ მაინ არაფრით არ შეუძლიათ დასთანხმდენ მარქსიზმის იმ დებულებას, რომ შესაძლებელია სასოფლო-სამეურნეო წარმოების განსაზოგადოებაც (კოოპრაციაში ჩ. ბმა).

რასაკვირველია მარქსისტებსა და წვრილბურჟუაზიულ იდეოლოგებს შორის ადგილი აქვს მთელ რიგ სხვა სადაო დებულებებსაც, გლეხური მეურნეობის განვითარების საკითხის შესახებ. მაგრამ ჩვენ გამოვყოფთ ამჟამად მხოლოდ ერთ სადაო დებულებას—გლეხური წარმოების განსაზოგადოების შესაძლებლობის შესახებ. ამ დებულების განხილვა აუცილებელია იმისათვის, რომ უფრო მკაფიოდ გამომჟღავნებული იქნეს ორი დიამეტრალურად საწინააღმდეგო თვალსაზრისი ამ საკითხზე.

დავიწყოთ ცნობილ რუს ეკონომისტისაგან და რევიზიონისტ—ტუგან ბარანოვსკისაგან. მან დასწერა დიდი წიგნი კოოპერაციაზე, რომელშიაც ამკარად და მკაფიოდ ჩამოაყალიბა თავისი შეხედულება საკითხზე სასოფლო-სამეურნეო წარმოების კოოპერატიულ ფორმაში განსაზოგადოების შესაძლებლობის შესახებ. მოვიყვანოთ შესაფერი ადგილი ტუგანის წიგნიდან. ტუგან-ბარანოვსკი სწერს: „მხედველობაში უნდა ვიქონიოთ, რომ გლეხური კოოპერაცია სრულიად არ ამჟღავნებს გლეხური მეურნეობის **ყოველმხრივად** გარემოცვის ტენდენციას. ნამდვილად, როგორც ფაქტები გვიჩვენებენ, გლეხური კოოპერაცია ვრცელდება გლეხური მეურნეობის მხოლოდ ერთ დარგზე, სახელდობ **გაცვლა-გამოცვლის დარგზე და არა გლეხურ საწარმოო შრომაზე.** ჩვენ თითქმის არ ვიცნობთ წარმატებით მომქმედ გლეხურ საწარმოო არტელებს... და ამიტომ ჩვენ არა გვაქვს არავითარი საფუძველი დაუშვათ, რომ გლეხური კოოპერაცია ნელნელა დაიპყრობს გლეხურ საწარმოო შრომის დარგსაც, **არ შეგვიძლია ვიფიქროთ, რომ თავის შემდეგ განვითარებაში გლეხური კოოპრატივები აიღებენ თავისთავზე მიწადმოქმედების პროდუქტთა წარმოებასაც; ამასთანავე გლეხი დაჰკარგავდა დამოუკიდებელ სამეურნეო საწარმოს, ჩამოშორდებოდა თავისი მინდვრის დამოუკიდებელ დამუშავებას, რომელიც მთელი თავისი ინვენტარით გადავიდოდა გლეხური კოოპერატივის ხელში.** ცხოვრება არ გვიჩვენებს ისეთ მაგალითებს, და ჩვენ ჯერჯეროობით ვერ ვხედავთ ვერავითარ ტენდენციას ასეთი განვითარების პროცესისაკენ.

პირიქით, ფაქტები გვიჩვენებენ, რომ კოოპერაციის განვითარებასთან ერთად გლეხი სულ უფრო მჭიდროთ უკავშირდება თავის მიწას და არ ამჟღავნებს არავითარ სურვილს ხელი აიღოს თავის სამეურნეო საწარმოზე და გადასცეს იგი რომელიმე კოოპერატივს.

ამიტომ ვუწევთ რა ანგარიშს რეალურ ფაქტებს, ჩვენ უნდა მივიდეთ იმ დასკვნამდე, რომ გლეხურ კოოპერაციას სრულიად არა აქვს **საკუთარი გლეხური მეურნეობის გაუქმების ტენდენცია,** არამედ პირიქით ამაგრებს მას და გარდაქმნის იმრიგად, რომ გლეხის დამოკიდებულება ბაზართან ჰკარგავს თავის წინანდელ ინდივიდუალისტურ ხასიათს და იცვლება კოოპერატიული ორგანი-

ზაციით. **გაცვლა-გამოცვლის და აგრეთვე გლეხურ პროდუქტების გადამუშავების სფეროში კოოპერაცია ნამდვილად აუქმებს გლეხის კერძო მეურნეობას, მაგრამ ამ პროდუქტების წარმოების სფეროში გლეხური მეურნეობა არამც თუ სუსტდება, არამედ კიდევ უფრო მტკიცდება კეთილ მდგომარეობის ზრდის გამო, რომელსაც ქმნის კოოპერაცია.**

ამრიგად თუ დავეყრდნობით ფაქტებს ჩვენ უნდა მივიღეთ დასკვნამდე, რომ გლეხური კოოპერაცია სრულიადაც არ შეიცავს გლეხური მეურნეობის სინდიკალური სოციალიზმით შეცვლის ტენდენციებს. კოოპერაციის წყალობით იქმნება გლეხური მეურნეობის ახალი ტიპი, რომელშიც ინდივიდუალური მეურნეობისათვის რჩება მხოლოდ ერთი დარგი_სასოფლო-სამეურნეო შრომისა, ყველა დანარჩენი სამეურნეო ოპერაციები—ყიდვა, გაყიდვა, კრედიტის მიღება და სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების გადამუშავება, სრულდება არა სასოფლო-სამეურნეო მწარმოებლის ერთეული, განკერძოებული ძალით, არამედ კოოპერაციაში გაერთიანებულ მწარმოებელთა კოლექტიური ძალით. შედეგად ჩვენ ვიღებთ გლეხური მეურნეობის ერთგვარ ახალ სისტემას, მაგრამ სულ სხვას, ვიდრე ის სისტემა, რომელსაც იწვევს პროლეტარული კოოპერაციის ბუნებრივი განვითარების მსვლელობა [1]) (კურსივი ჩვენია კ. ო.).

როგორც ვხედავთ ტუგან-ბარანოვსკი აღიარებს კოოპერაციის გავლენას გლეხურ მეურნეობაზე. ეს აღიარება იქამდე მიდის, რომ ის ლაპარაკობს კიდეც „გლეხური მეურნეობის ახალ სისტემაზე". მაგრამ შემცდარი იქნებოდა იმის ფიქრი, რომ ტუგანი აღიარებს და სცნობს წვრილი გლეხური წარმოების გარდაქმნას მსხვილ კოოპერაციულ წარმოებად. პირიქით, კოოპერაცია მისი აზრით ხელს უწყობს **კერძო** გლეხური მეურნეობის განმტკიცებას. ეს უკანასკნელი ყოველთვის დარჩება რთული კოოპერატიული ორგანიზაციის ძირითად და ერთად-ერთ უჯრედათ, ვინაიდან გლეხი ყოველთვის იბატონებს საკუთარ სასოფლო-სამეურნეო წარმოების სფეროში, როგორც ინდივიდუალური, კერძო მწარმოებელი.

ერთი სიტყვით, **სასოფლო-სამეურნეო წარმოება წარმოუდგენელია წვრილი კერძო საკუთრების გარეშე. ის სამუდამოდ უნდა დარჩეს წვრილი მწარმოებელთა სამეფოდ, ვინაიდან მისი განსაზოგადოება შეუძლებელია. ასეთია კოოპერაციის წვრილ-ბურჟუაზიული თეორიის კვინტ-ესენცია**

წვრილი ბურჟუაზიის მეორე იდეოლოგი პროფ. ჩაიანოვი ანვითარებს ქვევით ტუგან-ბარანოვსკის თვალსაზრისს. ის ამბობს: „ჩვენ არ შეგვიძლია გზადა-გზა არ შევჩერდეთ კოოპერაციულ წრეებში ფრიად გავრცელებულ შეცდომაზე. ბევრი ფიქრობს რომ მეურნეობათა ნაწილობრივი ჩაბმა კოოპერაციაში წარმოადგენს მხოლოდ გარდამავალ საფეხურს, და რომ ყამთა ვითარებაში სასოფლო-სამეურნეო წარმოების ყველა პროცესები გაერთიანდებიან კოოპერაციის საფუძველზე „ინტეგრალურ" სამიწადმოქმედო არტელში, ერთგვარ სამიწად-მოქმედო კომუნაში.

---

1) ტუგან-ბარანოვსკი. კოოპერაციის სოციალური „საფუძვლები". გვ. 468 469.

მკითხველისათვის, რომელიც ყურადღებით ჩაუკვირდა წინა ფურცლებს, ცხადია აღნიშნულ შეხედულობის შეცდომა: „შრომითი კომუნა ყოველთვის უფრო სუსტი იქნება შრომით კოოპერაციულ მეურნეობაზე, ვინაიდან, თავის სტრუქტურის გამო ის იძულებულია გააერთიანოს მსხვილ ფორმებში არა მარტო მეურნეობის ის დარგები, რომელთა ასეთი ორგანიზაციაც მისთვის ხელსაყრელია, არამედ ისეთიც, რომელშიაც **წვრილი წარმოება ტექნიკურად ყოველთვის უფრო სრულყოფილია.**

ამიტომ კომუნა, როგორც ყოველი მსხვილი მეურნეობა, წააგებს კოოპერატივში გაერთიანებულ ოჯახურ მეურნეობასთან შედარებით შინა-სამეურნეო ტრანსპორტში, ბიოლოგიურ პროცესებზე ფრთხილი დაკვირვებისა და მოვლის მხრივ, არ ექნება რა ამავე დროს არავითარი უპირატესობა ორგანიზაციული გეგმის სხვა დარგებში.

ასეთია მოსაზრებანი, რომლებიც გვაიძულებენ ჩვენ ვაღიაროთ, რომ გადასვლა ნაწილობრივ კოოპერაციიდან სრულზე, წარმოების კომუნიზაციიდან—ტექნიკური თვალსაზრისით არ შეიძლება ჩაითვალოს პროგრესიულ მოვლენად" [1]) (კურსივი ჩვენია. კ. ო.).

ოჯახურ შრომით მეურნეობას აქვს უდიდესი ტექნიკური უპირატესობა მსხვილ მეურნეობათა წინაშე. ამიტომ ნაწილობრივ კოოპერაციას არ შეუძლია გადაეიდეს სრულ კოოპერაციაში. **კერძო გლეხური მეურნეობა მარადიულია, ის ყოველთვის დარჩება გლეხური კოოპერაციის ძირითად ორგანიზაციულ უჯრედად—ასეთია პროფესორ ჩაიანოვის მოძღვრების არსება.**

რითი ასაბუთებენ თავიანთ დებულებებს მარადიული ოჯახური შრომითი მეურნეობის იდეოლოგები? რაშია მათი არგუმენტაციის არსება?

ჩვენ მიერ ზემოთ მოყვანილი ციტატები აშკარა პასუხს იძლევიან ამ საკითხზე. იმთავითვე ცხადი ხდება, რომ როგორც ტუგან-ბარანოვსკი, ისე ჩაიანოვი უკავშირებენ თავის დასკვნებს გლეხური მეურნეობის განსაზოგადოების შესახებ ჩვენთვის ცნობილ გერმანელ რევიზიონისტების თეორეტიულ დებულებებს. არსებითად ჩვენ გვიკვეებიან დავიდის, გერცის, ბულგაკოვის და სხვების ძველ არაკებს, ასაღებენ რა მათ როგორც მეცნიერების უკანასკნელ სიტყვას.

მართლაც რას გვეუბნება ტუგან ბარანოვსკისა და ჩაიანოვის მითითება ბიოლოგიურ პროცესებზე სასოფლო-მეურნეობაში, წვრილ წარმოების ტექნიკურ უპირატესობაზე მსხვილთან შედარებით და სხვა? ეს გვეუბნება იმას, რომ წვრილ ბურჟუაზიის იდეოლოგები თავის თეორეტიულ შეხედულებებს იღებენ დავიდის, გერცის და სხვების არსენალიდან.

ცნობილია, რომ ჯერ კიდევ დავიდი ლაპარაკობდა სასოფლო-მეურნეობის ძირითად კარდინალური თვისებების შესახებ. ეს თავისებურება მისი აზრით გამოიხატება იმაში, რომ სასოფლო-მეურნეობა წარმოადგენს **ორგანიულ** პროცესს, მაშინ როდესაც წარმოება არის **მექანიკური** პროცესი. ემყარებოდა რა ამ დებულებას დავიდი ამტკიცებდა, რომ სასოფლო-მეურნეობაში მსხვილ მეურ-

[1]) ჩაიანოვი—„გლეხური კოოპერაციის ორგანიზაციის ძირითადი იდეები და ფორმები". გვ. 42, იხ. აგრეთვე გვ. 301—302.

ნეობას არა აქვს მომავალი, რომ ის ვერასოდეს ვერ შეავიწროებს და გამოდენის წვრილ წარმოებას. ის წვრილ მეურნეობას სთვლიდა ყველაზე უფრო **რაციონალურ** მეურნეობად „ორგანიულ წარმოების სფეროში“ და ამიერად მოუწოდებდა მის დაცვისა და სამარადისო განმტკიცებისაკენ.

დიდიბანია დავიწყებულ თეორიულ დებულებებზე ეკონომიკურ-ბარნოვსკიმ და ჩაიანოვმა თავისი გლეხური მეურნეობის განსაზოგადოების თეორია. მათ არა აქვთ და არც შეიძლება ექნეთ სხვა არგუმენტი თავის თეორიის დასამტკიცებლად, გარდა დავიდის და სხვა ძველ რევიზიონისტების არგუმენტებისა.

განვიხილოთ ახლათ ეს არგუმენტები.

შეიძლება თუ არა იმის უარყოფა, რომ სასოფლო-მეურნეობაში ჩვენ საქმე გვაქვს ორგანიულ პროცესებთან? შეიძლება თუ არა რომ შევედავოთ ამ დებულებას?

რასაკვირველია, ამის უარყოფა, ამ დებულებასთან დავა შეუძლებელია. არც ერთ მარქსისტს დღემდის აზრად არ მოსვლია სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში ბიოლოგიური პროცესების უარყოფა. დავიდს აქ არავითარი აღმოჩენა არ გაუკეთებია.

ყოველმა ადამიანმა, ვინც კი ოდნავათ მაინც ერკვევა სამეურნეო საკითხებში, იცის, რომ წარმოების ყოველ დარგს აქვს თავისი ბუნებრივი და ტეხნიკური თავისებურებანი. საკმარისია აქ მიუთითოდ ისეთ დარგებზე, როგორიცაა ტრანსპორტი, ქიმიური მრეწველობა, მეჯოგეობა და სხვ. ყველა ისინი განსხვავდებიან ერთი მეორისაგან: დავა სწარმოებს **არა ამ ბუნებრივ თავისებურებათა შესახებ, არაშედ იმაზე, შეუძლიათ თუ არა მათ იმოქმედონ საზოგადოებრივ ურთიერთობაზე ისე, რომ შეუძლებელი გახადონ მსხვილი მეურნეობა ამა თუ იმ დარგში.**

ჯერ კიდევ მარქსი სწერდა აშკარად და გასაგებად—პროფესორებისათვისაც კი, რომ სასოფლო-მეურნეობაში ჩვენ საქმე გვაქვს ორგანიულ პროცესებთან. ის სწერდა: „ნედლეულის ნაწილი, როგორიცაა მატყლი, აბრეშუმი, ტყავი იქმნება **ცხოველურ-ორგანიული** პროცესების წყალობით, ბამბის ქაღალდი, ტილო და სხვა **მცენარეულ-ორგანიულ** პროცესების წყალობით; დღემდის კაპიტალისტურმა საზოგადოებამ ვერ შესძლო და ვერასოდეს ვერ შესძლებს განაგოს ამ პროცესებს ისე, როგორც მექანიკურ და არა ორგანიულ ქიმიურ პროცესებს. ლენინი, კაუცკი და სხვებიც არა ერთხელ აღნიშნავდენ ხაზგასმით მიწადმოქმედების ამ თავისებურებას, არ გამოყავდათ რა აქედან ისეთივე დასკვნა, როგორც დავიდსა და სხვებს.

მაგრამ სასოფლო-მეურნეობის ამ თავისებურებათა აღიარებიდან სრულიადაც არ გამომდინარეობს, რომ შეუძლებელია **გლეხური შრომის განსაზოგადოება**, რომ შეუძლებელია კერძო, ინდივიდუალური გლეხური მეურნეობის აგება მსხვილ საზოგადოებრივ წარმოების საფუძველზე. პირიქით, მარქსისტები ყოველთვის აღიარებდენ ასეთ შესაძლებლობას.

რაში გამოიხატება გლეხური მეურნეობის განსაზოგადოების ამოცანა? ის გამოიხატება პირველყოვლისა, გლეხური მეურნეობის ტექნიკურ გადმოსვლისებაში, გლეხური შრომის ინდივიდუალური ხასიათის შეცვლაში, მეორე მხრივ, მის შეფარდებაში საწარმოო ძალთა განვითარებასთან, წარმოების [illegible] ურთიერთობათა შეცვლაში. **მაგრამ სასაცილო იქნებოდა გგონია, რომ განსაზოგადოების ამოცანა გამოიხატება სასოფლო-მეურნეობის ორგანიულ პროცესების შეცვლაში მექანიკური პროცესებით. საჭიროა არა ამ ბუნებრივ თავისებურებათა მოსპობა, არამედ იმ საზოგადოებრივ თავისებურებათა და წარმოების იმ პრიმიტიულ საშუალებათა მოსპობა, რომლებიც ხელს უშლიან შრომის ნაყოფიერების განვითარებას.**

რევიზიონისტები ტყვილათ ხედავენ სადაო პრობლემას იქ, სადაც ის არ არის. სადაოა მეორე საკითხი: შესაძლებელია თუ არა საზოგადოებრივ ურთიერთობათა და საწარმოო ძალთა შეცვლა განსაზოგადოების მიმართულებით? ამ საკითხზე რევიზიონისტები და ყველა წვრილი ბურჟუაზიული მეცნიერნი უპასუხებენ უარყოფითად, გამოდიან რა მიწად მოქმედების აღნიშნულ მარადიულ ბუნებრივ თავისებურებიდან. მაგრამ ეს თავისებურებანი აუცილებლობით არ არის დაკავშირებული წვრილ წარმოებასთან ისე, როგორც მექანიკური წარმოება აუცილებლობით არ არის დაკავშირებული მსხვილ წარმოებასთან. ხომ ცნობილია, რომ კაპიტალიზმამდე მრეწველობის (მექანიკურ პროცესების) სფეროში — ბატონობდა აგრეთვე წვრილი წარმოება ისე, როგორც სასოფლო-სამეურნეო (ორგანიზაციულ პროცესების) სფეროში, მაგრამ მისი ადგილი იქ დაიკავა მსხვილმა წარმოებამ; სწორედ ასევე შესაძლებელია მსხვილი სასოფლო-სამეურნეო წარმოება. თვით ჩაიანოვს არ შეუძლია უარყოს, რომ სასოფლო-მეურნეობაში შესაძლებელია მთელი რიგი საწარმოო პროცესების განსაზოგადოება, ლაპარაკია ეგრედ წოდებულ სასოფლო-სამეურნეო წარმოებაზე ამ სიტყვის საკუთარი მნიშვნელობით. ავიღოთ მემინდვრეობა. ის იყოფა მთელ რიგ პროცესებზე: ნიადაგის დამუშავება, დათესვა, მოსავლის აკრეფა, და სხვა. შესაძლებელია თუ არა ამ პროცესების განსაზოგადოება? ტუგან-ბარანოვსკის ეს შეუძლებლად მიაჩნდა. ჩაიანოვი იძულებულია ეს აღიაროს მორცხვათ, არ ამბობს რა ამას აშკარად. მართლაც, არაფერი შეუძლებელი არ არის იმაში, რომ მოხდეს ამ პროცესების განსაზოგადოება. ხოლო ორგანიული პროცესების შეცვლა მექანიკურ პროცესებით სრულიად არ წარმოადგენს განსაზოგადოების ამოცანას.

აქ საჭიროა ხაზი გაესვას ერთ გარემოებას. ზემოთ მოყვანილ ციტატში ჩაიანოვის წიგნიდან, ის ეკამათება ალბათ ხალხოსნებს, რომლებიც ხაზს უსვამენ კოოპერაციის უდიდეს როლს გლეხური მეურნეობის არაკაპიტალისტური ევოლიუციისათვის და ამტკიცებენ საერთოდ ამის შესაძლებლობას კაპიტალიზმის პირობებში. ძნელი არ არის იმის გაგება, რომ ხალხოსნურ და მარქსისტულ თვალსაზრისთა შორის არაფერი საერთო არ არის. მარქსისტები არასოდეს არ ამტკიცებენ, რომ კაპიტალიზმის დროს კოოპერაციას შეუძლია მიიყვა-

ნოს გლეხობა სოციალიზმამდე, აქ დიდი განსხვავებაა და შეცდომა იქნებოდა ამ ორი თვალსაზრისის ერთი მეორეში არევა.

წვრილბურჟუაზიული მეცნიერები კი მსგავსად ტუგან-ბარანოვსკისა და ჩაიანოვისა, აღიარებენ გლეხური მეურნეობის სრულ განსაზოგადოებას შეუძლებლად, როგორც კაპიტალიზმის, ისე პროლეტარიატის დიქტატურის დროს, ვინაიდან თუ ეს შეუძლებლობა გამომდინარეობს, სასოფლო-მეურნეობის მარადიულ ბუნებრივ თავისებურებიდან, აქედან თავის მხრივ ლოგიურად გამომდინარეობს, რომ გლეხური მეურნეობის განსაზოგადოება ასევე შეუძლებელია პროლეტარიატის დიქტატურის დროსაც. სოციალიზმი, მათი აზრით, უნდა შეურიგდეს გლეხის კერძო საკუთრებას და აღიაროს იგი მარადიულ და ბუნებრივ აუცილებლობად.

მარქსისტული თეორია აშკარად განსხვავდება როგორც ხალხოსნურ, ისე ტუგან-ბარანოვსკისა და ჩაიანოვის თეორიებისაგან. ის სთვლის, რომ ჯერ კიდევ კაპიტალიზმი გზას უკაფავს სოფლად მსხვილ მეურნეობას, რომ მას ამ საქმის ბოლომდე მიყვანა არ შეუძლია, ამას გარდა კაპიტალიზმი ანვითარებს მსხვილ წარმოებას ანტაგონისტურ ფორმებში. მხოლოდ პროლეტარიატის დიქტატურას შეუძლია კოოპერაციის საშუალებით რადიკალურად გადასჭრას სასოფლო-მეურნეობის განსაზოგადოების ამოცანა.

მაგრამ წვრილბურჟუაზიული მეცნიერნი ხაზგასმით აღნიშნავენ, რომ **რეალური ფაქტები** ეწინააღმდეგება მსხვილ წარმოებას სასოფლო-მეურნეობაში, რომ იქ წვრილი წარმოება უფრო რაციონალურია მსხვილზე, რომ იქ მსხვილ წარმოებას არ აქვს ტექნიკური უპირატესობანი წვრილ წარმოებასთან შედარებით, ამიტომ საჭიროა უფრო დეტალურად შევჩერდეთ ამ „რეალურ ფაქტებზე“ სასოფლო მეურნეობის განსაზოგადოების პროცესების მატერიალურ-ტექნიკურ ბაზისზე.

ბიბლიოგრაფია

ეროვნული
ბიბლიოთეკა

კარლო კალაძე „რჩეული ლექსები“ სახელგამი, 1927 წ.

ამ წიგნში წარმოდგენილია კარლო კალაძის ლექსების მხოლოდ ნაწილი. დიდი ნაწილი ძველი ლექსებისა,—რომლებიც ახასიათებენ ავტორს წარსულში, და როგორც კომკავშირელი თემატიკის პოეტს—წიგნში არ არიან მოთავსებული.

ცოცხალი პოეტის სქემებში მოთავსება შეუძლებელია, მაგრამ კ. კალაძის პოეზიაში ჩვენ მაინც შეგვიძლია გამოვყოთ **ხუთი მთავარი თემა**, რომელსაც ავტორი სხვა თემებთან შედარებით გულმოდგინედ ამუშავებდა. ეს თემები შემდეგია: **1. რევოლიუციონური ბრძოლის რომანტიკა** (და კომკავშირული თემები), **2. რევოლიუციონური წარსულის იდეალიზაცია** (ისტორიული ანალოგიები), **3. ნაციონალური საკითხი რევოლიუციაში** (საქართველო რევოლიუციაში), **4. აღმოსავლეთი** (კლასიკური აღმოსავლეთური პოეზიის თემატიკის გავლენა) და **5. რევოლიუციის ზედმეტი, ან რევოლიუციაში დაღლილი ადამიანის პრობლემა.**

უნდა ითქვას გარკვევით, რომ ნაციონალური და ზედმეტი ადამიანის პრობლემების გაზვიადება, რასაც ადგილი აქვს კ. კალაძის პოეზიაში დამახასიათებელია უმთავრესად თანამგზავრისთვის.

რუსეთის ლიტერატურაში ეხლა ცნობილია, რომ უმთავრესად თანამგზავრი და არა პროლეტმწერალი ზრუნავს ზედმეტი ადამიანის გულისთვის, მისი განწყობილების და ყოფა-ცხოვრების მოცემისთვის. კ. კალაძის „ტფილისი“, „ნახტომი გულიდან“, „ენგურის მთები“, „რუბაიები“ უეჭველად რევოლიუციაში დაღლილი და რევოლიუციისათვის ზედმეტი ინტელიგენტის განწყობილებებს იძლევიან. თემატიურად ნაწილობრივ ამავე ხასიათისაა ლექსი „ქურდი“, რომელშიაც რევოლიუციის შემთხვევითი და ზედმეტი თანამგზავრი—ქურდია მოცემული. ასეთივე ხასიათისაა მისი დრამა „ტრაღედია ოხ“-იც!.

ზედმეტი და დაღლილი ადამიანის განწყობილებების მოცემაში, ავტორი ვერ დარჩა კომუნისტურად „ობიექტური“ და თვითონ ჩავარდა ამ განწყობილებების ძლიერ გავლენაში, რის შედეგია მთელი დიდი პერიოდი გადახრებისა და ლექსები „ბრძოლების შემდეგ“. არაპროლეტარული ინტელიგენციის ძლიერ გავლენებს უნდა მიეწეროს ის გარემოება, რომ ისეთი ჯანსაღი ლექსის პატრონი და რევოლიუციონური რომანტიკის პოეტი, როგორიცაა კ. კალაძე ჩვენ პროლეტარულ მწერლობაში გადახრების ინიციატორი აღმოჩნდა. „ტფილისში“ ავტორი იძლევა „დაღლილების“ განწყობილებას („რა საჭიროა წავიკითხო ძველი წარწერა: მოქალაქენო! ხმა მიეცით მეხუთე ნომერს)“, შემდეგ ნაციონალურ რომანტიკაში გადადის და გაზვიადებულად, ტრადიციულად განიცდის ძველი საქართველოს დაღუპვას.

„ძახილი აღმოსავლეთს“ ამ ნაციონალური რომანტიკის გაგრძელებაა. აქ ავტორი სრულებით არაპროლეტარულად ეძახის ფერეიდანელებს „მშობლიურ ცის ქვეშ“ შემოსაკრებად. ნაციონალურ პრობლემაში, ისე როგორც ზედმეტი ადამიანის ჩვენებაში, კ. კალაძემ ვერ გამოიჩინა საჭირო ლენინური სიმტკიცე. პოემა „22,000“-ში კი ისეთი აზრიცაა გამოთქმული, თითქოს საქართველომ რევოლიუციაში ახალი სამოსი ჩაიცვა—და მეტი არაფერი.

უკანასკნელად დაწერილ „ერთ საუბარში“, რომელიც მიმართულია მაიაკოვსკისადმი ავტორი თავის ნაციონალურ გადახრების და ტკივილების ახსნას საქართველოს სიპატარავით („მიწას როგორ ვენდო“) ცდილობს. მაგრამ ასეთ საკითხისადმი არაკლასობრივი მიდგომაა, არაკლასობრივია აგრეთვე პრობლემის დასმა „ცნობილობის“ შესახებ. თუმცა ეს ლექსი შედარებით წინა ლექსებზე უკვე ბევრად უფრო ჯანსაღია.—აქ კარგადაა გაგებული პოეზიის დანიშნულება ბრძოლებში („ძახვილად ვიგულო ეს ხმალი და ლექსივე“) და პროლეტარულადაა დასმული პრობლემა სიჯანსაღის კულტის პროპაგანდისა („ჯერ ისევ ხალისის შენება გვჭირდება“). საერთოდ უკანასკნელ ლექსებში, მაგალითად „მხედრულში“, რომელიც „ძახილ აღმოსავლეთის“ შემდეგაა დაწერილი, კ. კალაძე თანდათან სცდილობს ნაციონალური გადახრებიდან თავის დაღწევას:

„თუმცა სხვადასხვა გორის ვართ
გვარჩევენ სხვაგვარ ტომობით,
სწრაფვა და გრძნობა ერთი გვაქვს
ხორცით და სისხლით ტოლები“.

ამბობს ავტორი სხვადასხვა ეროვნების საბჭოთა ხალხების შესახებ.

მაგრამ დიდი შეცდომა იქნებოდა წარმოგვედგინა კ. კალაძე მხოლოდ იმ ლექსების ავტორად, რომელიც ზემოდ დავახასიათეთ. კ. კალაძის პირველი მუშაობის პერიოდი—ეს რევოლიუციონურ და კომკავშირულ რომანტიკის შედარებით ჯანსაღი პერიოდია, სადაც ავტორი ანვითარებს ბრძოლების და რევოლიუციის მოტივებს, (იხ. განყოფილებები: „კომუნართა მეორე თაობა“ და „განვლილი გზა“).

აქ ამ ლექსში კ. კალაძეს შედარებით სხვა ფორმაც ახასიათებდა. ურითმო და უფრო მოძრავი ლექსი, რიტმზე და თქმის სიმკვეთრეზე დაბყარება, კომკავშირული დაუდეგრობა და მოძრაობის ტემპის განსაკუთრებული მოცემის უნარი და სხვ.

პოეზიის საერთო მოტივების ცვლასთან ერთად იცვლება ფორმაც. შემდეგ ლექსებში რითმის რესტავრაციას ვხედებით, ძლიერდება სიმბოლიზმის (რა თქმა უნდა არა-ქართული „ყანწიზმის“) გავლენა („ბავშვ. „გადუვლის დღე, როგორც ფრთა ფანტ ფრენელი“, ლექსები „აღმოსავლური“; „ძახილი აღმოსავლეთს“ და სხვ., სადაც ხშირად გვხდება ე. წ. „მიწა“ ათასგვარ მისტიურ ზმნებში), თუმცა დროებით, მაგრამ მაინც ძლიერდება სახეებით ირაციონალისტური გატაცება („ქურდი“ და სხვ.) ასეთია კ. კალაძის სტილის უარყოფითი მხარეები.

მაგრამ კ. კალაძე განსაკუთრებით ძლიერია სწორედ, როგორც **ოსტატი** ლექსის. ის მეტის მეტად ერთგულია თავისი ლექსის და ამუშავებს მას დიდის სიყვარულით. განსაკუთრებით მუშაობს კ. კალაძე ლექსიკონზე და სიტყვაზე. მას საკუთარი ლექსიკონი აქვს, თუმცა აქაც არის საშიშროება: შესაძლოა გადახრა თვითმიზნობრივ მუშაობისაკენ, ჩამოცილება პრაქტიკულ ენიდან.

კ. კალაძემ ორგანიულად შესძლო **ეპიური თხრობითი ჟანრის** განმტკიცება („ტფილისი“, „ძახილი აღმოსავლეთს“ და სხვ.) ეს განსაკუთრებით სასიხარულო მოვლენაა, მაშინ, როცა ჩვენ ლექსს სიტკბილის მანია აწამებს. და თუ კ. კალაძე სუსტია იდეოლოგიურად, მაგრამ მაინც იგი ჯანსაღი მხატვრული ფორმის პატრონია. მისი ლექსის ტონალობა და რიტმი თავ-სთავად ჯანსაღი და მებრძოლია და ამიტომაა, რომ მისი შინაარსით „პესიმისტური“ ლექსებიც კი ხშირად ოპტიმისტურ მებრძოლ განწყობილებას ბადებს მკითხველში. კ. კალაძის ლექსი, თუ შეიძლება ასე ვთქვათ,—ჭაბუკურია (мужественный). განსაკუთრებით ძლიერი რჩება კ. კალაძე მოძრაობის რიტმის მოცემაში („ქურდი“).

განსაკუთრებით სასიხარულოა ფორმალურის თვალსაზრისით „ერთი საუბარი“. ამ ლექსში ავტორი ახდენს ერთგვარ **სინთეზს** მთელი მისი წარსულული მუშაობისა, აქ შეერთებულია

სასაუბრო ენა, საკუთარ სპეციფიურ ლექსიკონთან, ეპიურ თხრობასთან, რიტმიულობასთან და რითმასთან.

დაბოლოს, გამოვდივართ რა კ. კალაძის უკანასკნელი ლექსებიდან, ჩვენ შეგვიძლია ვსთქვათ, რომ ავადმყოფურ გადახრების პერიოდი მასში თანდათან იწურება და ჩვენ გვინდა გამოვსთქვათ იმედი, რომ სულ ახლო მომავალში კ. კალაძის სახით პროლეტარულ მწერლობას ეყოლება ყოველ მხრივ ჯანსაღი მწერალი, განთავისუფლებული ინტელიგენტურ გადახრებიდან.

წიგნი გამოცემულია [illegible] სუფთად, ორიგინალურად [illegible]

პლ. ქიქოძე.

რუდოლფ ჰილფერდინგ. ბემ-ბავერკი როგორც მარქსის კრიტიკოსი. გერმანულ ტექსტთან შედარებული თარგმანი მ. თავართქილაძისა. სახელგამი. ფ. 5×8, გვ. 103, ტირაჟი 2000, ტფილისი 1927 წ., ფასი—65 კაპ.

რუდოლფ ჰილფერდინგის წიგნაკი წარმოადგენს ურთულეს ნარკვევს, საეკონომიო მეცნიერების საფუძველის—ღირებულების თეორიის შესახებ არსებულ მდიდარ ლიტერატურაში.

წიგნს აქვს ანტიკრიტიკის ხასიათი, იგი დაწერილია ავსტრიულ სკოლის გავლენიანი თეორეტიკოსის, ბემ-ბავერკის წინააღმდეგ, მაგრამ არსებითად, რაც ფსიქოლოგიური სკოლის დამახასიათებელია, დისკუსია ტრიალებს ღირებულების პრობლემის გარშემო, და, როგორც ბემ-ბავერკის კრიტიკა, ისე ჰილფერდინგის ანტიკრიტიკაც, შეიცავენ ამ ძირითად საკითხის, და, მისგან გამომდინარე საკითხების გაშუქებას.

წიგნის ღირებულება მარტო ბემ-ბავერკისადმი პასუხით არ განისაზღვრება, ამ შემთხვევაში, ბემ-ბავერკი, აღებულია როგორც ერთ-ერთი წარმომადგენელი, მარქსის ეკონომიური სისტემის იმ ბევრ კრიტიკოსთაგან, რომლის გარშემო დისკუსიას ნახევარ საუკუნეზე მეტი ისტორია აქვს. პასუხი ბემ-ბავერკის, ამავე დროს არის, პრინციპიალური პასუხი იმ სადაო საკითხებზე, რომლებმაც ბემ-ბავერკის დებულებებში უფრო დასრულებული გამოსახვა ჰპოვეს.

წიგნი შეიცავს სამს თავს. პირველ თავში, დასაწყისშივე, რადიკალურად არის დასმული საკითხი, რა არის ღირებულება, არის იგი ეკონომიური კატეგორია, რომელიც მოწოდებულია ახსნას ეკონომიური პროცესების დინამიური მოვლენები, თუ იგი ინდივიდის შეფასების საგანია, რომელიც სუბიექტის ფსიქიურ ემოციებისაგან გამომდინარეობს და როგორც პიროვნებისა და საგნის ურთიერთობა, საზოგადოებრივი მეცნიერების საკითხთა რკალის გარეშე რჩება.

ბემ-ბავერკის კრიტიკა მარქსის ანალიზის გამოსავალ პუნქტიდან—საქონლის ანალიზიდან იწყება; როგორ შეიძლება საქონლის „საერთო თვისებად", მხოლოდ შრომის აღიარება, განა საქონელს არ ახასიათებს კიდევ მთელი რიგი სხვა თვისებებისა. ან და, კვლევის საგანს რათ უნდა შეადგენდეს მარტო საქონელი, და არა, ბუნების სხვა დოვლათიც; ან, როგორ არის მოსახერხებელი სახმარი ღირებულებიდან აბსტრაქცია მაშინ, როდესაც არ არსებობს საცვლელი ღირებულება, რომელსაც სახმარი ღირებულება არ ჰქონდეს; ეს მხოლოდ დიალექტიური დახელოვნების შედეგია, რომელიც „გველთევზას მოქნილობას გვაგონებს", იგი მომაკვდინებელი მეთოდოლოგიური Kunststück-ია, ან, და, მისტიური „Hokuspokus".

ეკონომიკის კვლევის საგანს, ატომებად დაშლილ საზოგადოების განვითარების კანონების აღმოჩენა წარმოადგენს; განსაზღვრულ საფეხურზე განცალკავებულისამეურნეოერთეულებიკავშირს აბამენ ერთმანეთთან, ეს ურთიერთობა

მყარდება მათი ნაწარმოების ჯერ შემთხვევითი ვაცვლის სახით, რომელიც მ,მდევ გადაიქცევა, საზოგადოების არსებობის მიუცილებელ პირობად, რომელიც ერთმანეთისაგან მოწყვეტილ ერთეულებს აქცევს მთლიან სახალხო მეურნეობად. კერძო მეურნეობათა კავშირი მყარდება მათი შრომის პროდუქტების ურთიერთობის სახით, რომელიც ამ საფეხურზე, საქონლის ფორმაში გამოდის, როგორც კერძო პირთა ინდივიდუალური შრომის ნაყოფი, მაგრამ გაცვლის დროს, სხვა, მგზავსივე პროდუქტებთან, იგი ჰკარგავს ინდივიდუალურ იერს და ხდება შრომის ისეთი რაოდენობის შემცველად, რომლის გასაკეთებლად, მასზე, საზოგადოების სხვა წევრი დახარჯავდა. ამგვარად, საქონლის „საერთო თვისებად" არის შრომა, როგორც საზოგადოებრივი კავშირის საფუძველმდებელი ფაქტორი, იგი „სოციალური ნივთია", და არა, რომელიმე თვისების მქონე ბუნების დოვლათი. რამდენადაც შრომა არის **საზოგადობერივი კავშირის სიმბოლო**, იგი ქმნის ღირებულებას და, არა იმიტომ, რომ „იგი მთავარი ტექნიკური ფაქტორია". არც საქონლის სახმარი ღირებულებიდან განყენება წარმოადგენს დიდს მეთოდოლოგიურ ცოდვას; საქონელი, ერთის მხრივ, წარმოადგენს ბუნების ნივთს, როგორც ფიზიკური სხეული, რომელიც ბუნებისმეტყველების კვლევის საგანია, მხოლოდ საქონელი, როგორც **საზოგადოებრივი** ნივთი, საცვლელი ღირებულების ფუნქციის შემსრულებელი, არის სოციალური მეცნიერების შესწავლის საკითხი. აქ მხოლოდ განხილვის ხერხთა წინაალმდეგობაა. მარტივ საზოგადოებაში ნიკთები, შრომის აწყარა პროდუქტი იყო, გაცვლა-გამოცვლის გართულებულმა ეკონომიურმა ურთიერთობამ გახვია იგი მისტიურ სამოსელში, რომლისთვისაც მარქსს დასჭირდა უფრო მოსწრებული საქონელის ფეტიშიზმის თეორიის შექმნა.

შემდეგ მიდის ცნობილი სადისკუსიო საკითხი; ღირებულების კანონის დამოკიდებულება სინამდვილისადმი, რომელიც, თითქოს მაშინ „გვღალატობს", როდესაც საჭიროა მოვლენის ახსნა. ეს საკითხი დაკავშირებულია მეორე დიდ საკითხთან, ღირებულება და საშუალო მოგების ურთიერთობის შესახებ, რომელიც აყენებს საკითხს „კაპიტალის" I და III ტომის წინააღმდეგობაზე. ბემ-ბავერკის, ბურჟუაზიული კრიტიკოსების, კრიტიკოსების თვითონ მარქსიზმის ბანაკიდან, აზრი ერთია: მარქსმა მხოლოდ იმით გადასჭრა საშუალო მოგების პრობლემა, რომ მან უარყო მისი პირველი წიგნის დებულებები, და, მეორე წიგნში, სრულიად ახალი გადაწყვეტა მისცა საკითხს. ამ თავში, ჰილფერდინგი, ანვითარებს მარქსის თეორიას; თუ სხვადასხვა შემადგენლობის კაპიტალები, როგორ ქმნიან სხვადასხვა ზედმეტ ღირებულებას, მაგრამ კონკურენციის მეოხებით ეს გადახრანი ბალანსდებიან ტ კაპიტალის განსაზღვრული ოდენობა ღებულობს იმდენს მოგებას, რამდენსაც „მიუსჯის მათ საზოგადოება".

მარქსს, მესამე ტომში, პირველ ტომთან შედარებით, არავითარი უკანდახევა არა აქვს; ჯერ ერთი, მესამე ტომი უკვე დაწერილი იყო მაშინ, როცა პირველი დაიბეჭდა, მეორე, ის რომ, ის ცნებები, რომელიც მესამე ტომში ვითარდება, როგორც ღირებულების თეორიის მოდიფიკაცია, პირველ წიგნშივე გეხვდება, რომელსაც ობიექტიური მკითხველი იპოვის. შემდეგ, წიგნში განხილულია რამოდენიმე საკითხი და იგი თავდება მესამე თავით—თვითონ ბემ-ბავერკის სუბიექტიური თვალსაზრისის შეფასებით.

ბემ-ბავერკი იმიტომ დაიბნა მარქსის თეორიის გაგებაში, რომ თვითონ მისი საბოლოა მცდარი. საზოგადოებრივი მეცნიერების კვლევის საგნათ ნივთის ინდივიდისათვის მნიშვნელობის დასახვა ნიშნავს, ეკონომიური ძიების სფეროდან საწარმოო ურთიერთობის გამორიცხვას, და, ღირებულების განმსაზღვრელად ნივთის იშვიათობის აღიარება, როდესაც ეს იშვიათობა სხვა არ არის

რა, თუ არა შრომის ფუნქცია, არის ეკონომიკის უარყოფა. ასე რომ ავსტრიულ სკოლას, მარქსიზმის კრიტიკა ისეთს უკიდურესობაში გადასჩეხავს, რაც პოლიტიკურ ეკონომიკის გაუქმებას მოასწავებს.

საერთოდ, ეს კლასიკური ნაშრომი რეკომენდაციას არ საჭიროებს. მხოლოდ მისი რთული, თეზისებური ხასიათი, მას ვიწრო წრის მისაწვდენად ხდის.

ქართულ თარგმანს აქვს ზოგიერთი დეფექტები; მაგ., სიტყვა „სამუშაო ძალის გამოყენების" მაგიერ, „მოხმარების" ხმარია, (გვ. 34), ასეთ მძიმე ნაშრომში გაუგებრობას იწვევს, ან კიდევ, გამოთქმა: „გაცვლა ღირებულების **შესაბამად** წარმოებს" (გვ. 49), არეულია ადგილი: „ზედმეტად ღირებულების ღირებულება" (გვ. 74); ტერმინოლოგიის მხრივ არ არის მოწონებული „ერთობლივი შრომა". — Совокупный труд, Gesamtarbeit, გამოთქმა „სუბიექტივისტური" თეორია არ ესმის კარგად. თარგმანში ნახმარია მეუფლებელი სიტყვები: „საჭოთირო", „ბრძოლებს", „თვალნათლივ" და სხვა.

მიუხედავად ამისა, წიგნი საერთოდ, უსათუოდ კარგად არის თარგმნილი, მას ამჩნევია ახალგაზრდა მთარგმელის ენერგია.

აღნიშნული წიგნის ქართული გამოცემა აღსანიშნავ მოვლენად ჩაითვლება. ამ საკითხზე ეს პირველი ნაშრომია, რომელიც მკითხველს აუცილებლად იპოვის. მ. ტ.

ბ. კუპრაშვილი. ბუში გამომცემლობა „შრომა" 1927 წ.

რევოლიუციის მომდევნო ეპოქამ ბევრი ახალი ავტორი გამოიყვანა ჩვენში სამწერლო ასპარეზზე, ავტორების უჩვეულო გამრავლებას, რასაკვირველია თან მოჰყვა იქა-აქ ხარისხობრივი დონეს ძირს დაწევა. ბ. კუპრაშვილიც რევოლიუციის შემდგომი პერიოდის მწერალია.

მიუხედავათ ამისა უკვე პირველ მოთხრობაში: „ამბავი სამანაშვილი" ეტყობოდა მას მხატვრული ფაქტების ასახვის უნარი და მეორე მისი მოთხრობა „ბუში" უსათუოდ ნაბიჯია წინ. აქ მხატვრული არქიტექტონიკა შედარებით უკეთესად არის დაძლეული და მომქმედ პირთა შინაგანი დრამატიზმით მეტი სისწორითა და სიმართლით არის გაშლილი.

ბ. კუპრაშვილი, რასაკვირველია, ახალი ფეხადგმული მწერალია, ის ჯერ კიდევ უსუსურად დადის ბელეტრისტის ატელიეში. მხატვრულ შეცდომების გვერდით მის მოთხრობაში უბრალო გრამატიკულ შეცდომებსაც კი ნახავთ. მაგრამ რაც უმთავრესია, ეს მას აქვს. — ე. ი. მას აქვს მოთხრობის გაშლის და მკითხველის დაინტერესების უნარი.

მე ეს მოთხრობა „ერთი დაჯდომით" წავიკითხე, ე. ი. მისმა სიუჟეტმა ისე დამაინტერესა, რომ მეუწყვეტლად ვკითხულობდი მას რამოდენიმე საათს და ეს უკვე მიღწევაა მისი ავტორისათვის. მოთხრობის მონტაჟი ძალიან ჩვეულებრივია. აქ მოთხრობილია ერთი იმერელი „ბუშის" ყოფა-ცხოვრება, ყველა იმ უფლებრივი და სოციალური სახის დამცირებით, რაიც „ბუშობას" თან დაჰყვებოდა რევოლიუციამდე. „ბუში" პროტესტანტია თვის საზოგადოებრივ გარემოში. ეს თემა ძველია. მაგრამ კუპრაშვილმა ამ ბუშურ-პროტესტანტიზმს მისცა სულ ახალი გასაქანი. ქურდბაცაცობის სკოლის გავლის შემდეგ „ბუში" მოექცა რევოლიუციონური მოძრაობის ტრიალში და აქ გამოირკვა მისთვის, თუ რა მიმართულებით უნდა წასულიყო მისი გზა. „ბუში" ეთხოვება ქურდობას და ყაჩაღობას და იქცევა რევოლიუციის დამხმარე ელემენტი, ტეროორისტი ® მებრძოლი. დრამატიული ძლიერებით არის მისი ცხოვრების უკანასკნელი ხანა აწერილი. ის ილუპება იმიტომ, რომ რევოლიუცია დამარცხდა.

მ.

„მემარცხენეობა“. ქართულ ხელოვნების მემარცხენე ფრონტის ორგანო.

ფუტურიზმის ესთეტიური სახე დინამიზმით, წარსულის უარყოფით და ურბანისტულ—ქალაქური თვისებებით ხასიათდება. ეს თვისებანი ახასიათებს სოციალური გარდაქმნის პროცესსაც. ამიტომ იმპერიალისტურ ტენდენციის ნიადაგზე აღმოცენებული ფუტურიზმი რევოლიუციის პირობებსაც შეეგუა. რუსეთში მემარცხენე ფრონტის წარმომადგენლებმა საკმაოდ გარკვეული პოლიტიკური ხაზი აიღეს და ლიტერატურაში ახალი ყოფისა და რევოლიუციის პათოსის ელემენტები შემოიტანეს. ჩვენში მემარცხენეობის სახელით მხოლოთ ამ ორგანოს საშუალებით გამოდის ყოფილი ფუტურისტული გაერთიანება. მემარცხენე ხელოვნების ქვეშ ორგანო გულისხმობს „ცხოვრების აღმშენებლობით პრინციპების გამარტივებასა და თანამედროვე ადამიანის გაგების ჩამოყალიბებას“. ის გადაჭრით აღიარებს, რომ მისი მიზანია ახალი საზოგადოებრიობის და საბჭოთა საქართველოს მასალებრივი სპეციფიკის შეგრძნობა.

ჟურნალის ასეთი ხაზი სწორია და მისაღები. აქ სჩანს ორი გარემოება: დატოვება ძველი ფუტურისტული უკიდურესობის და დაახლოვება საბჭოთა სინამდვილესთან. ეს ხაზი თავიდან ბოლომდეა გაჭარებული ჟურნალში. ამ რიგად „მემარცხენეობა“ ახალგაზრდა ლიტერატორთა სამწერლო გარდაქმნის ერთი მთავარი საფეხურია.

ამ გარდაქმნის საფეხურში, ისე, როგორც ყოველთვის ასეთი ლიტერატურულ ატმოსფერის დროს, ადგილი აქვს ცალი თვალით ძველი ტრადიციებისაკენ ცქერას, მეორეთი ახალი გზების ძიებას. ბესარიონ ეღენტის საპროგრამო წერილი „მემარცხენეობის საზღვრები“ ასეთ ლიტერატურულ დოკუმენტს წარმოადგენს. ის საკვანძოთ სწორად უშენს თავის არგუმენტაციას დეკადენტურ—სიმბოლისტური მიმართულების წინააღმდეგ. აყენებს ლოზუნგს, „არავითარი დასრულება, არავითარი რესტავრაცია“. მაგრამ საჭიროთ მიაჩნია გაემარტივებინა, „ეფუ რატომ იბრძვიან ისინი „ფორმალურად“ და არა თემატიური რევოლიუციისათვის“. ავტორი გვიმტკიცებს, რომ სოციალისტური და კაპიტალისტური კულტურა ერთსა და იმავე ნივთობრივ საფუძველზე შენდება. ამიტომ ახალი ხელოვნების გზაა რეკონსტრუქცია, ფორმალური რევოლიუცია არსებულ თემების საფუძველზე. ეს არ არის სწორი შეხედულება. სოციალისტური და კაპიტალისტური კულტურის ნივთობრივი მასალა ერთგვარია, მაგრამ კულტურის უშუალო საფუძველი არ არის „ნივთობრივი სამყარო“. გ. პლეხანოვი ებრძოდა მარქსისტულ სოციოლოგიის ისეთ დამახინჯებას, რომელიც ნივთიერი კულტურის უშუალო ნაყოფად მიიჩნევდა სულიერი კულტურის ფენომენებს. მართალია სოციალისტური და კაპიტალისტური კულტურის მატერიალური ბაზა ერთგვარია, მაგრამ მისი სოციალური გამოყენება, მის ნიადაგზე საზოგადოებრივი ურთიერთობის, იდეოლოგიის და ფსიქოლოგიის დიამეტრალური სხვაობაა. ამ სხვაობაშია ამ ორი კულტურის თემების ძირები. ამაშია მათი შინაარსის და ფორმის სხვაობაც. ვიდრე ეს არ იქნება გათვალისწინებული, მანამდე მემარცხენე ფრონტელების ფორმალური რევოლიუცია ვერ მოგვცემს ჭეშმარიტ რევოლიუციონურ შემოქმედებას.

ამ დებულების სისწორეს გვიმტკიცებს „მემარცხენეობაში“ მოთავსებული პოეტური მასალა. იქ ვხდებით ერთი მხრივ თემატიურ სიახლესაც და მეორე მხრივ თემატიურ უკან დაბრუნებას და ფუტურისტული ტენდენციების მემკვიდრეობის სიძლიერეს.

შ. ალხაზიშვილის ლექსი „მანზაი შანხაი“ უფრო მეტად, „თემატიური რევოლიუციის“ შედეგია, ვიდრე ფორმალურის. თემა და შინაარსი რევოლი-

უკიონურია, ფორმა და კონსტრუქცია ვერ ჩაითვლება მემარცხენე ფრონტის დიდ მიღწევად. მ. აბულაძე უკან ხედვისაგან ვერ არის განთავისუფლებული.

„სევდა გვაყრია ნაბადივით ყოველი მხრიდან
შორს მთაწმინდაზე
დაკაწრულებს დავიწყობთ ფიქრებს".

აქ პესიმიზმია და სანტიმენტალური განცდა მთაწმინდის ტრადიციით. ცხოვრება მთაწმიდისაკენ ზაპესის მოტორით მიგვაქანებს და გზაზე ანტენების ანძებს შეგვახვედრებს, რომლებიც ილებს ჩინეთის ხალხის რევოლიუციონურ ბრძოლის ცნობებს.

ან კიდევ:

„არაფერს არ ვგრძნობ
ყველაფერი ფეხებზე მკიდია,
ჩემს წინ ამართულ საქართველოს
მორცხვი სხეული,
ოხ, როგორ მინდა სიბრაზისგან
გამოვლადრო მისი მუცელი
რომ მე დამბადა უტიფარი და
საძაგელი„.

საბჭოთა თანამედროვეობას ალმშენებლობით გატაცებას და მომავლისათვის გიგანტიურ ძეგლთა შენებას ვერ გამოხატავს პოეტი, რომელსაც „ყველაფერი ფეხებზე ჰკიდია".

დავ. გაჩეჩილაძე კარგად განიცდის „ზელიმხანს". ლექსი კარგია, მაგრამ ესეც არ მოწმობს ახალი ადამიანის განცდას. არც ნიკ. შენგელაიას („მოხადირე", „მზის ჩასვლა"). სიმონ ჩიქოვანის („წვიმების ქვეშ" მიძღვნა ნ. ბარათაშვილს) არ უახლოვდება საბჭოთა საქართველოს მასალებრივ სპეციფიკას და ახალი ადამიანის განცდას.

ამ მხრივ ერთგვარი წინააღმდეგობა არის საპრაგრამო წერილებსა და შემოქმედების შორის. ეს ბუნებრივეიც არის. პროგრამულად უფრო ადვილია მისვლა თანამედროვეობასთან, შემოქმედებით ეს გაცილებით ძნელია. მაგრამ პროგრამულ მისვლაშიაც არის ღირებულება, ეს პირველი საფეხურია, შემოქმედება მეორე საფეხურად აიმართება. ამას გარდა, მემარცხენე ფრონტელებმა ამ ახალი გამოსვლით თუ სავსებით ახლო ვერ მივიდნენ თანამედროვეობასთან, ყოველ[illegible] დაიბერტყეს „ზაუბნიკური [illegible]ბა, გაუგებარ სიტყვათა საეჭვო ლირებულებით კონსტრუქციები და დაიწყეს ძიება რითმის და მასალის, გადაიხარენ ხალხურ თემატიკისაკენ (ნ. ჩაჩავას „თოლების სიმღერა") ნაწილობრივ მოახერხეს რევოლიუციონურ თემის აღება („შანხაი მანზაი", „ლაპარაკი შოფერთან" და სხვ.)

ამ მხრივ „მემარცხენეობა" ნაბიჯია წინ. მეტია თემატიური სიახლე, თანადროულობა, ფორმის სისადავე და სიმახვილეც.

მემარცხენე ფრონტელები ერთად ერთ მეტოქეთ სთვლიან ან უკეთ გრძნობენ პროლეტარულ მწერლობას. მათ შორის ბრძოლაა მემარცხენეობისათვის. ამიტომ ჟურნალის მწვავე და ზედმეტად მკაცრი პოლემიკური კილო „პროლეტარული მწერლობის" გარჩევის დროს, თითქოს ააშკარავებს ამ უკანასკნელთა სიძლიერეს. სუსტებს რად დასჭირდებოდა ასეთი ძლიერი ლაშქრობა. უმჯობესი იქნებოდა ამ ორ ახალგაზრდა და მემარცხენე მწერალთა ჯგუფს შორის მეტი სერიოზული და პრინციპიალური დავა სწარმოებდეს, ვიდრე ამა თუ იმ ნებით თუ უნებლიეთ ნაკლის გაზვიადება. მაგრამ ჯგუფურ ბრძოლას ზედმეტი ცეცხლი არ მოაკლდება.

საერთოდ ჟურნალის მხატვრულ-ტექნიკური მხარე დადებით შთაბეჭდილებას სტოვებს. მას ეტყობა კულტურა და სისტემა. ის ეხება, როგორც აქტიურ სადისკუსიო პრობლემებს, ისე მიმდინარე სამხატვრო ცხოვრების საკითხებსაც ბიბლიოგრაფიისა და რეცენზიის განყოფილების სიმდიდრით.

ს. ა.

რედაქტორი: მ. ქაზიანი

შინაარსი:

მხატვრული ლიტერატურა

ეროვნული ბიბლიოთეკა

საძართველო

		გვერ.
1.	**აბაშელი**—მოგონება	5
2.	**ზომლეთელი**—ზღვის პლიაჟი	7
3.	**ი. მოსაშვილი**—ცხოვრების გზაზე	8
4.	**კ. ბობოხიძე**—ზღვის პირად	9
5.	**ვიქ. გაბესკირია**—ჩონგური	11
6.	**იაკინთე ლისაშვილი**—ის ხომ არ არის კიდევ თამაში	12
7.	**ვ. ფურული**—ომი და ზავი	14
8.	**სიმონ ჩიქოვანი**—კავკასიდან—ტაგანროგამდე	15
9.	**ლეო ქიაჩელი**—სისხლი (გაგრძელება)	17
10.	**ალექსანდრე ქუთათელი**—ცხენოსანი	51
11.	**ნ. ზომლეთელი**—იფქლი	62
12.	**დ. თურდოსპირელი**—მამაკედავ კოშკში	97
13.	**ბიქტორ შარაშენიძე**—ცოცხალი	112

რუსეთი

14.	**პეტრე შირიაევი**—ციკუტა (თარგმ. ვ. ბ—ძის)	153

კრიტიკა, მხატვრობა, პუბლიცისტიკა

15.	**ნ. შებუევი**—გორკი როგორც ადამიანი	187
16.	**რ. კალაძე**—ქართველი საზოგადოება და ანტონ ფურცელაძე	222
17.	**ს. ამაღლობელი**—სახკინმრეწვის საკითხები	243
18.	**სოფიო თარხნიშვილი**—ალექსანდრე და დიმიტრი ყაზბეგები	255
19.	**პ. ორაგველიძე**—კოოპერაციის სოციალური ბუნების შესახებ	278

ბიბლიოგრაფია

20.	**პლატონ ს-ძე**—კარლო კალაძე	293
21.	**მ. ტ.**—რუდოლფ ჰილფერდინგ	295
22.	**მ.**—ბ. კუპრაშვილი	297
23.	**ს. ა.**—მემარცხენეობა	298